ნიკო ძოწრთუა

ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომში

(რუსი და ამიერკავკასიის ხალხების
საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან)

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1978

მონოგრაფიაში მდიდარი საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომში ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ხალხების ძირითადი ფენები მხარს უჭერდნენ რუსეთის გამარჯვებას.

ნაშრომში რუსეთის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ფონზე ვრცლად და თანამიმდევრულად არის გაშუქებული ამ ომის მსვლელობა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, კერძოდ, ინგლისის ანტირუსული საქმიანობა ირანში, რომელიც მარცხით დასრულდა.

მონოგრაფია რუსი და ამიერკავკასიის ხალხების ისტორიული მეგობრობის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს.

რედაქტორი პროფ. მ. დუმბაძე

К $\frac{10601-013}{М\text{-}602(08)-78}$ რეზ. — 78

© გამომცემლობა „განათლება“, 1978

შ ე ს ა ვ ა ლ ი

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კავკასიის პრობლემა წინა პლანზე აღმოჩნდა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან მან უაღრესად აქტიური ხასიათი მიიღო. შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებით დაკავშირებული რუსეთი ცდილობდა, თავისი პროზიციები განემტკიცებინა ამიერკავკასიაში, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ირანსა და ოსმალეთს ეკავათ. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის ასპარეზიდან აღნიშნული სახელმწიფოების განდევნის საკითხი.

ცარიზმი კავკასიის დაპყრობას ესწრაფოდა. მისი ამ სურვილის სისრულეში მოყვანას ხელს უწყობდა ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ადგილობრივი ხალხების შეურიგებელი ბრძოლის დაუოკებელი სულისკვეთება. თავის მხრივ ცარიზმი მოხერხებულად იყენებდა ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას და მას ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წარმართავდა. რუსეთის მიერ ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ წარმოებული ომები, მიუხედავად დაპყრობითი ხასიათისა, ობიექტური შედეგებით ხელს უწყობდა ირანელთა და ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან ამიერკავკასიის ხალხების განთავისუფლებას.

ბედის უკუღმართობა და ჟამთა სიავე ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს აიძულებდა, ერთმანეთისათვის დახმარების ხელი გაეწოდებინათ და გაერთიანებულად ებრძოლათ გარეშე მტრების წინააღმდეგ, თუმცა ასეთ პროგრესულ საქმეს ყოველთვის მრავალი ხელშემშლელი მიზეზი გამოუჩნდებოდა ხოლმე, რის გამოც ის ხშირად მარცხით მთავრდებოდა.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში დიდი გარდატეხა იწყება კავკასიის ხალხების ისტორიაში. 1783 წელს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ გეორგიევსკში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის მეგობრობის ტრაქტატი დაიდო. რუსეთის ძლიერი იმპერია მფარველობასა და დახმარებას ჰპირდებოდა გარეშე მტრებთან ბრძოლაში დაღლილ და მისუსტებულ ქართლ-კახეთის სამეფოს. გეორ-

გიევსკის ტრაქტატი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვისაც. მან დასაბამი მისცა როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის ხალხების რუსეთთან შეერთებას. იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, როცა ქართველებს და ამიერკავკასიის სხვა მოძმე ხალხებს ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდათ, ერთადერთი ლოგიკური გამოსავალი მათი ხსნისათვის რუსეთთან შეერთება იყო. რუსეთთან შეერთებამ ჩვენს ხალხებს ეკონომიკური აღორძინებისა და კულტურული განვითარების გზა გაუხსნა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ 1976 წლის 20 ოქტომბერს საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში — „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ — სრულიად მართებულად მიუთითა იმის შესახებ, რომ „რუსეთთან ორსაუკუნოვანი მეგობრობის და ძმობის მანძილზე, საქართველოს არათუ არ დაუკარგავს ერის ნიშნები, როგორც ჩვენი საზღვარგარეთელი მოშურნენი ამტკიცებენ, არამედ რუს ხალხთან კავშირის განმტკიცებით ქართველმა ერმა შეძლო, შეენარჩუნებინა და განვითარებინა ისეთი ფენომენები, როგორიც არის საერთო ენა, ტერიტორია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, კულტურა“ [1].

შეიძლება, ზემოაღნიშნული სიტყვები ასეთივე ძალით გავიმეოროთ მოძმე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მიმართ, რომლებმაც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ მოიპოვეს სიმშვიდე და სამეურნეო და კულტურული განვითარების ცხოველმყოფელი პერსპექტივა.

ირანი, ოსმალეთი და მათი დასავლელი „მეგობრები“ ვერ ურიგდებოდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის რუსეთთან შეერთებას და ყველა ღონეს ხმარობდნენ მის დასაპყრობად.

რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი იყო რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომი, რომელმაც მკაცრად დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ბედიღბლის შესახებ. ირანი და მისი „მფარველი“ ინგლისი ცდილობდნენ, ოსმალეთის მიმხრობის გზით სისრულეში მოეყვანათ ამიერკავკასიის ახალი დანაწილების ვერაგული განზრახვა. სწორედ ამ ომში დიდი სიცხადით აისახა ამიერკავკასიის ხალხების სულიერი განწყობილება, მათი ერთგულება რუსეთის მიმართ.

---

[1] ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1976 წელი, № 12, გვ. 67.

რუსი და ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის მეცნიერული შესწავლა აღნიშნულ ომთან დაკავშირებით დღემდე არავის უცდია. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არ მოგვეპოვება ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომის წარმოშობის ძირითად მიზეზებზე, ირანის მხრივ ომის მიზნებსა და ამოცანებზე, ომის მსვლელობასა და მის შედეგებზე.

წინამდებარე ნაშრომი არის ცდა აღნიშნული რთული პრობლემის მეცნიერული შესწავლისა.

ამ ომში რუსეთის გამარჯვება იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა ირანისათვის, რომ მიუხედავად ინგლისისა და საფრანგეთის აქტიური ანტირუსული საქმიანობისა, მან განამტკიცა ხანგრძლივი მშვიდობა და ხელი შეუწყო ამ ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

დასმული ამოცანის გადაჭრამ მრავალი საინტერესო საკითხის შესწავლა მოითხოვა. როგორც ირკვევა, ომში აქტიურად ერეოდა ინგლისი, რომელიც ცდილობდა თავისი ინტერესები დაეცვა ახლო და შუა აღმოსავლეთში. ინგლისის მთავარი მიზანი აღმოსავლეთის ბაზრების დაუფლება იყო. კერძოდ, ინგლისი რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში ხედავდა დიდ საფრთხეს, პირდაპირ რომ ემუქრებოდა მის ბატონობას ინდოეთში.

შრომის წინა თავებში განხილულია ირანის ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთის მიმართ გიულისტანის (1813 წ.) საზაკო ხელშეკრულების შემდეგ და რუსეთის დიპლომატიის ცდა ომის თავიდან აცილებისათვის. საკმაო ადგილი ეთმობა გენერალ ერმოლოვის დიპლომატიური მისიის საქმიანობას ირანში და მის წარუმატებლობას. სათანადო მასალებით დასტურდება რუსეთის საგაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ირანში და ინგლისის ანტირუსული საქმიანობა რუსეთ-ირანის ვაჭრობაში 1821—1832 წლებში.

შრომაში გარკვეული ადგილი უკავია ირან-ოსმალეთის 1821—1823 წლების ომს, რომელიც ერზერუმის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა. ამ ომის შესწავლის გარეშე ძნელი გახდებოდა რუსეთის მეტოქე სახელმწიფოების — ირანისა და ოსმალეთის რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო გაერთიანების გარკვევა.

ნაშრომში საკმაოდ დეტალურად არის ნაჩვენები ომის დაწყების წინ რუსეთ-ირანის ურთიერთობის გართულება: თავად მენშიკოვის დიპლომატიური მისიის საქმიანობა ირანში, შაჰთან უიმედო მოლაპარაკების შედეგები; რუსეთის მისიის ირანში ყოფნის მიუხედავად აბას-მირზას ჯარების მოულოდნელი შემოჭრა ამიერკავკასიის ფარგლებში, მტრის

პირველი წარმატებანი. ყურადღება გამახვილებულია იმ საფრთხის მიმართ, რომელიც რუსეთის პოზიციებს დაემუქრა ამიერკავკასიაში.

საგანგებოდაა განხილული ის ბრძოლები, რომლებიც მოხდა შამქორთან და ელიზავეტოპოლთან (განჯასთან). დასტურდება, რომ აღნიშნულ ბრძოლებში რუსეთის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა არსებითი გარდატეხა მოახდინა ომის მთელ მსვლელობაზე; მტრის პირველ მარცხს კავკასიის რეგიონში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მან კავკასიაში რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ძალების ერთი ნაწილის პარალიზება მოახდინა, ხოლო სხვას კი რუსეთის მიმართ მტრულ მოქმედებაზე დროებით ხელი ააღებინა.

ნარკვევში ნაჩვენებია აღნიშნული დამარცხების შედეგად ირანში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი, რაც აჩქარებდა ომში შაჰის დამარცხებას.

გარდა ამისა, ვცადეთ, გვეჩვენებინა, თუ როგორ იბრძოდნენ ხსენებულ ომში რუსეთის მხარეზე ერთმორწმუნე ქართველი და სომეხი ხალხების გვერდით მაჰმადიანი აზერბაიჯანელებიც. ირანის რელიგიურმა პროპაგანდამ „გიაურთა“ წინააღმდეგ „საღვთო ომის“ გაჩაღების შესახებ საბოლოოდ არსებითი შედეგები ვერ მოიტანა. ირანელების წინააღმდეგ ბრძოლა ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნდა შურისგებად იმ დიდი უბედურებისათვის (გაუთავებელი შემოსევები, რბევა, სისხლის ღვრა, აყრა-გადასახლებანი), რაც მათ მოუტანეს ჩვენს ხალხებს XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე.

სწორედ ამიტომ იყო, რომ აზერბაიჯანის მშრომელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, მსგავსად ქრისტიანი ხალხებისა, ერთსულოვნად, თავდაუზოგავად იბრძოდა ირანელ მოძალადეთა წინააღმდეგ.

შევეცადეთ, სათანადო საარქივო მასალებზე დაყრდნობით დაგვედგინა მეფის რუსეთის იდეოლოგიური (რელიგიური) პოლიტიკა XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს ამიერკავკასიაში.

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი იმის მტკიცება, თითქოს ცარიზმის იდეოლოგიურმა პოლიტიკამ მაჰმადიანი ხალხების მიმართ გამოხატულება პოვა მხოლოდ ქრისტიანი და მაჰმადიანი ხალხების დაპირისპირებაში, რათა მას ამით თავისი დამპყრობლური მიზნები განეხორციელებინა. მართალია, ცარიზმი ტრადიციულად ქრისტიანი ხალხების „მფარველად“ აცხადებდა თავის თავს და ამით ცდილობდა, ისინი თავისი ხელისუფლების ქვეშ მოექცია, მაგრამ სათანადო საარქივო მასალების გაცნობამ დაგვარწმუნა იმაში, რომ რუსეთის მთავრობა მუსლიმანთა მიმხრობის კურსსაც კარგად ახორციელებდა. ასეთმა კურსმა განაპირობა აზერბაიჯანის მოსახლეობის დიდი ნაწილის მიმხრობა აღნიშნულ ომში. რუსეთის მთავრობის ამგვარ იდეოლოგიურ პოლიტიკას ისიც აძლიერებდა, რომ რუსეთის ომს ირანთან ობიექტურად როგორც ქრისტიანი, ისე მაჰ-

შადიანი ხალხებისათვის, ცარიზმის სურვილისა და მიზნების მიუხედავად, განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. ესეც უწყობდა ხელს რუსეთის იდეოლოგიურ საქმიანობას, რათა მას სასურველი შედეგები მოეტანა. აღნიშნული წარმატების უეჭველი მაჩვენებელი უნდა იყოს ის მასალები, რომლებიც ცხადყოფენ თავრიზელი მუშტეიდის — შიიზმის მიმდევარ მორწმუნეთა სულიერი მამის — გადასვლას რუსეთის მხარეზე. მუშტეიდის გადასახლება თავრიზიდან შირვანში, ხოლო შემდეგ მისი დამკვიდრება თბილისში, მომასწავებელი იყო რუსეთის შიიტ ქვეშევრდომებზე გავლენის გაძლიერებისა.

ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა ამიერკავკასიაში დეკაბრისტთა გადმოსახლებას და მათს გმირულ მონაწილეობას ირანის წინააღმდეგ ომში. დასტურდება, რომ ისინი იყვნენ სამხედრო საქმის საუკეთესო სპეციალისტები და გმირობისა და მამაცობის სასწაულებს ახდენდნენ ბრძოლაში. დეკაბრისტებმა ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი გაიჩინეს საქართველოში. მთავრობამ რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის (1828—1829 წწ.) ომებში გადარჩენილი დეკაბრისტები კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გაფანტა იმ მიზნით, რომ მათს ერთად ყოფნას ზიანი არ მოეტანა ხელისუფლებისათვის.

ჩვენ ვცადეთ, გვეჩვენებინა აგრეთვე კასპიის ზღვის ახალგაზრდა ფლოტილიის საბრძოლო საქმიანობა. საარქივო მასალებით დასტურდება, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდა მთავრობა კასპიის ზღვის ფლოტილიის სრულყოფის მიმართ. აქვე ნაჩვენებია რუსეთის მხარეზე თურქმენთა მონაწილეობა.

წიგნში საკმაოდ გამოიკვეთა რუსი ჯარისკაცების გვერდით მდგომი ქართული, სომხური და აზერბაიჯანული მილიციის ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ და მისი შედეგები ირანელების მიერ მიტაცებული სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. აქვეა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ აიღეს ნახიჩევანის, ერევნისა და სხვა ციხესიმაგრეები და როგორ დაეუფლა რუსეთის ჯარი თავრიზს.

რუსეთის სამხედრო წარმატებებმა დააფრთხო ინგლისის დიპლომატიური მისია და მან სცადა, ხელი შეეშალა რუსეთისათვის ხელსაყრელი დაზავების საქმეში. ამასთან ერთად, ინგლისელების მიერ წაქეზებული ოსმალეთი რუსეთთან ახალ ომს ამზადებდა. რუსეთის დიპლომატიის აქტიური მოქმედების მიუხედავად რუსეთს დასჭირდა ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედების განახლება. დროებითი ზავის დადების შემდეგ რუსეთის ჯარის აქტიურმა მოქმედებამ აიძულა აბას-მირზა, ხელი მოეწერა რუსეთის მიერ შეთავაზებულ საზავო პირობებზე. თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულება განამტკიცებდა რუსეთის ბატონობას ამიერკავკასიაში და აძლიერებდა მის პოზიციებს შუა აღმოსავლეთში.

ირანელებს უნდოდათ, რუსეთის მიერ ოსმალეთთან ომის დაწყება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ; ინგლისელების მიერ წაქეზებული შაჰი რუსეთთან ომის განახლების სამზადისს შეუდგა. იგი უხეშად არღვევდა თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების თითქმის ყველა მუხლს. გახშირდა სასაზღვრო ინციდენტები.

რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ირანში ა. ს. გრიბოედოვი მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას ახმარდა საზავო ხელშეკრულების პირობების დაცვას. საარქივო მასალები ადასტურებენ, რომ 1829 წლის 30 იანვრის თეირანის ტრაგედია მტრული ძალების მიერ საკმაოდ ორგანიზებული ფართო მასშტაბის ტერორისტული აქტი იყო, რომელიც მოეწყო ირანის შაჰის, ოსმალეთის სულთნის მისიის, ინგლისის ელჩის მაკდონალდის, თეირანის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლის და ირანში რუსეთის წინააღმდეგ ომის გამჩაღებელი პარტიის მესვეურთა ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად. ამ ტერორისტული აქტის სისრულეში მოყვანას უნდა მოჰყოლოდა რუსეთ-ირანის ომის განახლება. ინგლისის, ირანისა და ოსმალეთის მმართველი წრეების ვარაუდით სულთნისა და შაჰის ჯარების ერთობლივი მოქმედების შედეგად კვლავ აღდგებოდა ირანისა და ოსმალეთის ბატონობა ამიერკავკასიაში.

აბას-მირზას ერთ-ერთი ადიუტანტი, რომელიც უდავოდ კარგად იცნობდა ინგლისის დიპლომატიური მისიის ანტირუსულ საქმიანობას ირანში, მსგავსად იგავისა, ყვებოდა ა. ს. გრიბოედოვის უცნაურ მკვლელობაში ინგლისელთა მონაწილეობის შესახებ. აი რას აღნიშნავდა იგი: „Однажды чертова жена с своим ребенком сидела неподалеку от дороги в кустах. Вдруг показался путник с тяжелою ношею на спине и, поровнявшись с тем местом, где сидели черты, споткнулся о камень и упал. Поднимаясь, он с сердцем произнес: „Будь же ты, черт, проклят!“ — Как люди несправедливы, — сказал чертенок, обращаясь к матери, — мы так далеко от камня, а все же виноваты. — Молчи, отвечала мать: — хотя мы и далеко, но хвост мой спрятан там под камнем...“ „Вот так-то, ...было и в деле с Грибоедовым; англичане хотя и жили в Тавризе, но хвост их все же был скрыт в русской миссии в Тегеране“.[1]

ჩვენ შევეცადეთ, სათანადო მასალების საფუძველზე დაგვედგინა ინგლისელების წვლილი თეირანის ტრაგედიაში და ამასთან ერთად ამ საქმეში ჩაბმული სხვა რეაქციული ძალების როლი და ადგილი. ა. ს. გრიბოე-

---

[1] В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизолах, легендах и биографиях, т. 3, вып. 3, СПБ 188[illegible] г., стр. 620. ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.

დოვი და რუსეთის დიპლომატიური მისიის დიდი ნაწილი ემსხვერპლნენ ამ შეთქმულებას, მაგრამ რუსეთის გონივრული დიპლომატიის შემწეობით ირანთან ომი არ განახლებულა. აწტირუსული ძალების ბრძოლა მარცხით დამთავრდა.

წინამდებარე ნარკვევზე მუშაობისას შესწავლილია მდიდარი საარქივო მასალა, რომელიც ინახება სსრ კავშირის სხვადასხვა არქივსაცავში, მათ შორის აღსანიშნავია სსრ კავშირის სამხედრო ისტორიული არქივის (Центральный Государственный военно-исторический архив Союза ССР — ЦГВИА СССР), სსრ კავშირის ძველი აქტების არქივის (Центральный Государственный архив древних актов Союза ССР — ЦГАДА СССР), რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის (Архив внешней политики России — АВПР) შესაბამისი ფონდები. გარდა ამისა, გამოყენებულია მაშინდელი პერიოდიკა, კერძოდ, „თბილისის უწყებანის" („Тифлисские ведомости") თითქმის ყველა ნომერი, რომლებშიც მეტ-ნაკლებად აისახა რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის ომების დამახასიათებელი მოვლენები.

ჩვენ მიერ შესწავლილია აგრეთვე მთავარსარდლების — ა. ერმოლოვისა და ი. პასკევიჩის სამხედრო კანცელარია, მემუარული მასალები, ომის თანამედროვეთა ცნობები, მოგონებები, წერილები და სხვ., რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა ჟურნალსა და პერიოდულ გამოცემაში.

მონოგრაფიის დაწერისას ვიყენებდით აგრეთვე კავკასიის არქეოგრაფიული კომიისის მიერ გამოცემული აქტების (Акты Кавказской Археографической комиссии — Акты) სათანადო ტომებს. როგორც ცნობილია, აღნიშნული მასალა დღემდე ინარჩუნებს პირველწყაროს მნიშვნელობას. აქაც აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო მრავალი მასალა.

გარდა ამისა, ჩვენ მიერ მოძიებული და გამოყენებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები, სადაც ინახება ომის მონაწილის ა. ვ. ორბელიანის მოგონებანი (ფონდი 1656-ა), რომელიც პირველწყაროს წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის შესწავლისათვის.

რუსეთ-ირანის ომის აქტიური მონაწილე იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მამაცურად ებრძოდა ირანელებს შამქორთან, განჯასთან, ერევანთან და სხვა ადგილებში, რისთვისაც იგი ღირსეულად იქნა დაჯილდოებული. გრ. ორბელიანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა საქართველოს ისტორიული მტრის ირანის დამარცხების გამო. მან პოემაც კი დაწერა ირანთან ომის თემაზე და მიუძღვნა ამ ომის მონაწილეს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანს. ეს პოემა — „ტოლუმბაში ანუ ომის შემდეგ ლხინი და სადღეგრძელო 1827 წელსა" პოეტს წარმოუთქვამს ერევნის მისადგომებთან,

ირაკლის თაფაზე; გრ. ორბელიანს პოემაზე მუშაობა გაუგრძელებია და 1871 წელს ჟურნალ „კრებულის“ № 1-ში გამოუქვეყნებია სათაურით „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდეგ ლხინი, ერევნის სიახლოვეს“. პოეტის თქმით „ლეკი, ოსმალო და სპარსი ვით მგელნი განუძღომელნი, უწყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს, სისხლითა ჩვენით ღებულნი“.[1] ამიტომ ახარებდა პოეტს ომში ირანისა და ოსმალეთის დამარცხება მათ მოკავშირეებთან ერთად.

ნამდვილ საბრძოლო მოწოდებად გაისმა გრ. ორბელიანის შემდეგი სიტყვები:

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ქამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას აოგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შეეჰხვდეთ უშიძრად ათასს მახვლსა,
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!“.[2]

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პატრიოტები რუსეთის ჯართან ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ ირანელ და ოსმალო მოძალადეთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იჭედებოდა საბრძოლო თანამეგობრობა რუსი და ამიერკავკასიის ხალხებისა. პოეტი მოუწოდებს:

„მეგობრობასა წმიდასა შეეკსწიროთ სრულად რაც გვაქვნდეს!
დაველიოთ მისთვის ფიალა და აღთქმა არა გვაგიწყდეს...
ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად და ვინცა ომში დაეცეს,
ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს“.[3]

აღმოსავლეთ სომხეთის, კერძოდ კი, ერევნის სახანოს ირანელ მოძალადეთაგან განთავისუფლებას უაღრესად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სომეხი, არამედ ამიერკავკასიის ყველა ხალხისათვის, რადგანაც ერევნის ციხესიმაგრე წარმოადგენდა ირანის ძლიერების დასაყრდენს ამიერკავკასიაში. პოემა მრავალმხრივ არის საყურადღებო ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით შევისწავლეთ რევოლუციამდელ და საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნარკვევები, რომელთა განხილვა წინამდებარე ნაშრომში ვერ ხერხდება.

ავტორი დიდი მადლობით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას.

---

[1] გრიგოლ ორბელიანი, ი.ხუციშვილთა სრული კრებული, თბ, 1959 წ, გვ. 127.
[2] იქვე, გვ. 100—101.
[3] იქვე, გვ. 102.

თავი I

ირანის ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთის მიმართ. გენერალ ერმოლოვის დიპლომატიური მისია ირანში

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაიწყო ახალი პერიოდი ამიერკავკასიის ხალხების ისტორიაში. რუსეთის იმპერია თანდათანობით ამარცხებდა თავის პოლიტიკურ მეტოქეებს კავკასიის ასპარეზზე. იგი მიზნად ისახავდა შავი და კასპიის ზღვების სანაპიროების დაუფლებას და ახლო აღმოსავლეთის დიდ სავაჭრო გზებზე გაბატონებას. ამის შესახებ იმპერატორი ალექსანდრე I ჯერ კიდევ 1803 წ. 25 ოქტომბერს საქართველოს მთავარსარდალს პავლე ციციანოვს ავალებდა, „Займитесь вы учреждением беспрепятственного сообщения между Баку и Грузией, которое по занятии Имеретии и Мингрелии, соединив, так сказать, Каспийское море с Черным, откроет торговле нашей новый путь“ [1].

აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთი უშუალოდ დაემუქრა ირანისა და ოსმალეთის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში, ფეხი მოიკიდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მან მფარველობის ხელი დაადო სამეგრელოს სამთავროს, თავისი გარნიზონი გადმოსხა მდ. ხობის შესართავთან, მფარველობაში აიყვანა იმერეთის სამეფო, შეუტია ჭარ-ბელაქანსა და განჯის სახანოს და ა. შ. ყველაფერი ეს 1803—1804 წლებში მოხდა. ამას შემდგომ მოჰყვა ომი ირანთან (1804—1813 წ.წ.) და ოსმალეთთან (1806—1812 წ.წ.). რუსეთმა ძლევამოსილად დაასრულა ეს ომები და კიდევ უფრო განამტკიცა თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით შედეგიანი იყო ომის დასრულება ირანთან, რასაც აზერბაიჯანის სახანოების რუსეთთან შეერთება მოჰყვა.

გიულისტანის საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლი განამტკიცებდა რუსეთის განუყოფელ ბატონობას კასპიის ზღვის აუზში. მართალია, რუსეთისა და ირანის სავაჭრო გემებს თანაბარი უფლება ენიჭებოდათ

[1] Акты, т. II, д. 720. стр. 359—360.

კასპიის ზღვაზე ნაოსნობისათვის, მაგრამ ირანს სამხედრო გემების ყოლა ეკრძალებოდა.

სხვა მიზეზებთან ერთად, ესეც ხელს უწყობდა კავკასიაში ირანის პოზიციების დასუსტებას.

ხელშეკრულებაში ამის შესახებ ნათქვამი იყო: „Кроме Российской державы, никакая другая держава не может иметь на Каспийском море военного флага“[1].

გიულისტანის საზავო ხელშეკრულებამ განამტკიცა რუსეთის ძლიერება ამიერკავკასიაში. ამ ხელშეკრულებას თავის დროზე აგრეთვე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-ოსმალეთის სადავო საკითხების მოწესრიგებისათვის. ირანმა ცნო დასავლეთ საქართველოში იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიების რუსეთის ხელში გადასვლა, რომლებიც უწინ ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ითვლებოდნენ.

გიულისტანის საზავო ხელშეკრულების დადებით უკმაყოფილო იყო ინგლისი. მან, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ირანისათვის სასურველ პირობებში ვერ მოახერხა გიულისტანის საზავო ხელშეკრულების გაფორმება, რითაც შეილახა მისი ავტორიტეტი შაჰის წინაშე. ინგლისი ცდილობდა, თავისი პოლიტიკური და სამხედრო კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა ირანი და საშუალება არ მიეცა რუსეთისათვის, ირანის მხრიდან დამუქრებოდა ინდოეთს. ინგლისი ყველა საშუალებას ხმარობდა, რომ ზემოაღნიშნული საზავო ხელშეკრულება ჩაეფუშა. ირანში ინგლისის პოზიციების განმტკიცების მიზნით ლონდონიდან გამოიგზავნა ჰენრი ელისის დიპლომატიური მისია, რომელსაც დაევალა ირანთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება. მართლაც, 1814 წლის 25 ნოემბერს თეირანში ხელმოწერილ იქნა ინგლის-ირანის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ირანის შაჰი ვალდებულებას კისრულობდა, ანულირება მოეხდინა ყველა შეთანხმებისა, გაფორმებული რომ ჰქონდა ევროპის იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი ინგლისის მიმართ. შაჰი აგრეთვე ვალდებულებას კისრულობდა, ირანის ტერიტორიაზე არ გაეტარებინა ევროპის რომელიმე სახელმწიფოდან ინდოეთისაკენ მიმავალი ჯარი. ამასთან, თუ ეს უკანასკნელი შეეცდებოდა, ამ მიზნით ხორეზმის, ბუხარისა და სამარყანდის სახანოების ტერიტორიები გამოეყენებინა, შაჰი ვალდებული იყო, აეძულებინა მათი ხანები, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის[2]. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ეს ხელშეკრულება მიმართული იყო უშუალოდ რუსეთის წინააღმდეგ, ის ზღუდავდა რუსეთის აქტიურ პოლიტიკას შუა აღმოსავლეთში.

---

[1] Полное собрание законов Российской империи, т. XXXII, стр. 643—644.

[2] Ш. В. Шостакович, Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова, стр. 30, М., 1960 г.

ინგლის-ირანის ხელშეკრულება თავის მხრივ ავალდებულებდა ინგლისის მთავრობას, ირანის სასარგებლოდ გადაესინჯა გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით დაწესებული რუსეთ-ირანის სახელმწიფო საზღვრები. ინგლისის დიპლომატია ყოველგვარ რისკზე მიდიოდა, ოღონდ არ მომხდარიყო რუსეთისა და ირანის დაახლოება, გარეგნულად კი ისეთ პოზიციას იჭერდა, თითქოს მათი ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის იღვწოდა.

ინგლისი, გარდა ამისა, ვალდებულებას კისრულობდა, შეენარჩუნებინა ირანის ტერიტორიული მთლიანობა, არ მიეცა რომელიმე მეზობელი სახელმწიფოსათვის ირანის პროვინციების მიტაცების საშუალება, დახმარებოდა ირანს ფინანსური საშუალებებითა და ჯარით[1]. ინგლისი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევდა ირანს, შაჰი კი, ბუნებრივია, იმ ტერიტორიული დანაკარგის შემდეგ, რაც მან გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით განიცადა, ამჯობინებდა რუსეთის პოტენციურ მოწინააღმდეგესთან—ინგლისთან დაკავშირებას. ამიტომ გენერალი ერმოლოვი კოლეგიის ასესორს მაზაროვიჩს სწერდა: „Персия, давая порочное направление политическим делам своим, легко пренебрежет выгоду оных (ლაპარაკია რუსეთ-ირანს დაახლოებაზე, ნ. ქ.), обольщаема будучи надеждою возвратить потерянныя ею области вспомоществованием Англии“[2]

ინგლის-ირანის ამ ხელშეკრულებით ირანის სახელმწიფო დამოკიდებული ხდებოდა ინგლისზე და თავისი რეაქციული წრეების ანტირუსულ განწყობილებას დიდ გასაქანს აძლევდა. ეს ხელშეკრულება განსაზღვრავდა ირანის საგარეო პოლიტიკას XIX საუკუნის პირველ მესამედში. მას მოჰყვა რუსეთსა და ირანს შორის გაუთავებელი სასაზღვრო ინციდენტები, რამაც ახალი ომის დაწყება გამოიწვია.

როგორც აღინიშნა, გიულისტანის საზავო ხელშეკრულება ირანის სამხედრო-პოლიტიკურ მარცხს გამოხატავდა. მისი პირობები არც ისე ხელსაყრელი იყო შაჰისათვის. თუმცა საზავო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე რატიფიცირებაც მოხდა, მაგრამ შაჰი მაშინვე წეუდგა მისი დარღვევის თადარიგს; აქეთკენ უბიძგებდა მას ინგლისის დიპლომატია, რომელიც შაჰს პეტერბურგში საზავო ხელშეკრულების გადასინჯვასა და ირანის სასარგებლოდ საქმის დამთავრების გარანტიას აძლევდა. ფეტხალი შაჰმა 1814 წლის ივნისში პეტერბურგს გაგზავნა (რატიფიცირებული ხელშეკრულების ტექსტით) ცნობილი დიპლომატი მირზა-აბულ-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. 403, стр. 222. Письмо ген. Ермолова К. С. Мазаревичу от 27 января 1820 г.

[2] იქვე, გვ. 222,

ჰასან ხანი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ირანის ელჩი იყო ინგლისში, თანაც დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა იმპერატორ ალექსანდრე I-ს იმ იმედით, რომ მისი ელჩი შეძლებდა რუსეთთან ომში დაკარგული ზოგიერთი ტერიტორიის დაბრუნებას. პ. ნ. ერმოლოვმა საგანგებოდ შეისწავლა ა. პ. ერმოლოვის ირანში ელჩობის საკითხი. ეხება რა მირზა-აბულ-ჰასან ხანის ელჩობას რუსეთში, იგი აღნიშნავს, რომ ირანთან ომში რუსეთმა გატეხა შაჰის სამხედრო ძლიერება და 1813 წლის 23 ოქტომბერს გიულისტანში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომელიც გამარჯვებულ სახელმწიფოს დიდ უფლებებს აძლევდა ამიერკავკასიაში. შაჰი ამ საზავო ხელშეკრულებას რატომღაც საბოლოოდ არ მიიჩნევდა. პ. ნ. ერმოლოვის ცნობით „Хотя по трактату сем, Россия удержала за собою все области в продолжении войны ею завоеванныя над персиянами, но правительство персидское полагало, что отправленный от него в Санкт-Петербург посол, успеет упросить у императора уступку некоторых из сих провинций, почему и послан был с подарками от шаха к нашему двору тот же самый Мирза-Аббуль-Гасан-хан, который подписал мирный трактат в Гюлистане“[1]. რუსეთს ირანის საქმეებისათვის უკვე აღარ ეცალა ევროპაში მაშინ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო. კერძოდ, 1815 წ. კუნძულ ელბიდან ნაპოლეონის გაქცევამ და მისმა წარმატებებმა დიდად დააფრთხო ევროპის მონარქები. ალექსანდრე I დასავლეთ ევროპაში იმყოფებოდა. მან მოუცლელობის გამო ვერც კი მოახდინა ირანთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია.

პეტერბურგს მიმავალი ირანის ელჩი 1814 წლის ივლისის ბოლოს თავისი ამალით თბილისს ჩამოვიდა. გენერალი რტიშჩევი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან არც კი იცოდა, როგორ მოქცეოდა მას. პეტერბურგიდან არაფერი ისმოდა. რტიშჩევს არ ჰქონდა მიღებული საზავო ხელშეკრულების რატიფიცირებული ტექსტი. ამიტომ მან ცოტა ხნით, სანამ ვითარებას დააზუსტებდა, დააყოვნა ირანის ელჩის გამგზავრება პეტერბურგს, ხოლო 1814 წლის სექტემბრის ბოლოს გენერალ-მაიორ ლისანევიჩის თანხლებით იგი თბილისიდან პეტერბურგს გაისტუმრა. ირანის დიპლომატიური მისია იმავე წლის 11 დეკემბერს მოსკოვს ჩავიდა და იქ სამ თვეს დაყო, 1815 წლის მარტში პეტერბურგს ეწვია, ხოლო 27 მარტს ცარსკოე სელოში დაბინავდა. ირანის დიპლომატიური მისიის მეთაურს მოახსენეს, ალექსანდრე I დასავლეთ ევროპაში იმყოფება და ამიტომ მის დაბრუნებას უნდა დაელოდოთო.

---

[1] ЦГАДА СССР, Ф. Ермоловых, д. 347, л. 14. Журнал путешествия Российского посольства в Персию в 1817 г., отрывочные черновые записки П. Н. Ермолова.

აბულ-ჰასან-ხანი ერთხანს ცარსკოე სელოში დარჩა, მაგრამ, როგორც კი მოიწყინა, 1815 წლის 14 მაისს საცხოვრებლად პეტერბურგს გადავიდა. ამან საბაბი მისცა აქ მყოფ ირანელ ვაჭრებს ჭორი დაეგდოთ, თითქოს ირანის ელჩს უყურადღებოდ და უპატივცემლოდ ექცეოდნენ პეტერბურგში. ჭორმა მალე ჩაღწია თეირანში. ამის გამო გენერალ რტიშჩევს შაჰთან ახსნა-განმარტებისა და საჩუქრების გაგზავნა დასჭირდა, რათა ჭორის სიყალბეში დაერწმუნებინა[1]. შაჰი ღელავდა, მას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა მისი დიპლომატიური მისია რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებით დაკარგული ტერიტორიების მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც დაბრუნებას.

შაჰი აბულ-ჰასან-ხანისადმი გაგზავნილ წერილებში მოითხოვდა ირანისათვის სასურველი შედეგების მიღწევას, მაშინ როცა მას ჯერ კიდევ არ დაეწყო მოლაპარაკება რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ირანის დიპლომატიურმა მისიამ ტრადიციისამებრ რჩევისათვის მიმართა პეტერბურგში აკრედიტებულ ინგლისის ელჩს ლორდ ვალპოლსა და ირანიდან ინგლისში მიმავალ სერ გორ-უზელეს. ამ უკანასკნელმა, რომელიც აღმოსავლეთში თავისი მოღვაწეობით პოპულარული პიროვნება იყო, თავი გამოიდო ირანისათვის. იგი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას უმტკიცებდა, რომ ირანსა და რუსეთს შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, რუსეთს ირანის თხოვნა დაეკმაყოფილებინა. იგი კიდევ უფრო შორს წავიდა, ირანისათვის იმაზე მეტს ითხოვდა, ვინემ თვითონ ირანის მისია. უზელეს თქმით: „Уступка шаху, даже и всех приобретений... в том крае до самой Грузии, была бы выгодна для России. Она уменьшила бы бесполезную трату людей и денег. По моему мнению, естественною границею между Россиею и Персиею должна быть река Терек и кряж гор Кавказских. Хищные обитатели тех неприступных мест не могут никогда быть ни истреблены, ни украшены, но всегда вредны для вас по своей необузданности и многолюдию“.[2]

გაქნილი ინგლისელი დიპლომატი სერ უზელე „კეთილი მრჩევლის“ როლს თამაშობდა. ირანთან მეგობრობით შეკრული ინგლისელი დიპ-

---

[1] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. VI, стр. 198, 1888 г.

[2] იქვე, გვ. 199.

ლომატი საჭიროდ მიიჩნევდა არა მარტო უკანასკნელი ომის შედეგად რუსეთის მიერ შემოერთებული სახანოების, არამედ თვით საქართველოს ტერიტორიის შაჰისათვის გადაცემას, რუსეთსა და ირანს შორის სახელმწიფო საზღვრად მდ. თერგისა და კავკასიონის ქედის აღიარებას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთის მიმართ ამგვარ პრეტენზიას ირანელები ახალი ომისათვის გაცხოველებული მზადების პერიოდში აყენებდნენ.

სერ უზელემ ერთგვარი დიპლომატიური ტრიუკიც სცადა. იგი რუს დიპლომატებს არწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო ირანთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა, რადგანაც, როგორც თითქოს მან შეიტყო, კონსტანტინოპოლში ნაპოლეონს ყობერი გაუგზავნია, რომელიც სპეციალური დავალებით ირანშიც ჩავიდოდა და ირანსა და ოსმალეთს ერთდროულად აამხედრებდა რუსეთის წინააღმდეგ.

პეტერბურგში კარგად იცოდნენ, რომ ინგლისი ცდილობდა, შაჰი თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა და რუსეთი გამოეთიშა ირანისა და ინდოეთის ვაჭრობისაგან. ცნობილი იყო ისიც, რომ სერ უზელე გიულისტანში საზავო მოლაპარაკების პერიოდში ხელს უშლიდა რუსეთს, ხელსაყრელი ზავი დაედო ირანთან. მაგრამ ეს დაზავება დააჩქარა ხორასანში მომხდარმა აჯანყებამ, რომელმაც სახიფათო ხასიათი მიიღო.

ამასთან, თავის დროზე სერ უზელემ ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკებაში შუამავლის როლი იკისრა. მან დაარწმუნა შაჰი, რომ შექმნილ რთულ სიტუაციაში ირანი რუსეთის მიმართ გარკვეულ ტერიტორიულ დათმობაზე უნდა წასულიყო; უზელე შაჰს აიმედებდა, რომ იგი პეტერბურგში მოლაპარაკების გზით შეძლებდა ირანისათვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

დანაპირების სისრულეში მოყვანისათვის იბრძოდა სერ უზელე, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმე ჩანდა. სასაზღვრო პრეტენზიებთან დაკავშირებით ირანსა და რუსეთს შორის მოლაპარაკება დიდხანს გაჭიანურდა. მან არაერთი დიპლომატიური მისია დაღალა და ბოლოს მაინც გადაუჭრელი დარჩა, საქმე იქამდე მიეიდა, რომ დავა საბოლოოდ იარაღის ძალას უნდა გადაეწყვიტა.

ინგლისს გასამგზავრებლად გამზადებულმა სერ უზელემ, პეტერბურგში აკრედიტებული ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაურმა ვალჰოლმმა და აბულ-ჰასან-ხანმა მაინც მოახერხეს იმპერატორისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტის შედგენა, რაც იმაზე მიგვითითებს, თუ რა დიდ დაინტერესებას იჩენდა ინგლისის დიპლომატია, რომ რუსეთსა და ირანს შორის სადავო საკითხები უკანასკნელის სასარგებლოდ გადაჭრილიყო. წერილში ნათქვამი იყო, რომ ევროპაში მყოფ იმპერატორს 14 თვეს უშედეგოდ ელოდა ირანის დიპლომატიური მისია, რომელმაც ვერ მოახერხა მასთან შეხვედრა და გადაუდებელ საკითხებზე მოლაპარაკება. ამის

გამო შაჰი უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ირანის ელჩი ალექსანდრე I-ს სთხოვდა, ნება დაერთო, თვითონ ხლებოდა ევროპაში მას. თუ ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა, აბულ-ჰასან-ხანი იმპერატორს აუწყებდა: „Оставить (уступить) Персии несколько пограничных мест, в которых никакой пользы, кроме больших убытков, для России нет“[1].

ამ წერილში განვითარებული იყო ზუსტად ის აზრი, რომელსაც ადრე სერ უზელე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებს სთავაზობდა. ინგლისელები აშკარა მეურვეობას უწევდნენ ირანის საგარეო პოლიტიკას, რაც ნათლად ჩანს ზემოაღნიშნული წერილის ქვემოთ მოყვანილი ადგილიდან: „Сэр Гор-Узелей в бытность свою здесь часто обнадеживал меня в рассуждении вашего милосердия. Теперь он уехал; я один, без знакомых, без друзей и много беспокоюсь и страшусь гнева шаха“[2].

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა აბულ-ჰასან-ხანს ამ წერილის პასუხად პარიზიდან რესკრიპტი გამოუგზავნა, სადაც იგი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას ვერ დახვდა ადგილზე, რადგანაც მსოფლიო მნიშვნელობის საქმეებით იყო დაკავებული. თანაც იგი იმედს გამოთქვამდა, რომ სულ მალე ექნებოდა მასთან შეხვედრა, დაინტერესდებოდა ირანის მიერ წამოყენებული საკითხებით და მათ ორივე სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვეტდა[3]. მართლაც, იმპერატორის დაბრუნებისთანავე, 12 დეკემბერს, იმპერატორის დაბადების დღეს, აბულ-ჰასან-ხანი სასახლეში მიიწვიეს. 20 დეკემბერს მოეწყო ქალაქში საზეიმო გასეირნება, ხოლო 22 დეკემბერს ალექსანდრე I-მა მას აუდიენცია დაუნიშნა. სააუდიენციო დარბაზში ირანის ელჩმა სიტყვით მიმართა იმპერატორს და გადასცა შაჰის მიერ გამოგზავნილი სიგელი და საჩუქარი. ამით დამთავრდა ეს შეხვედრა. 1816 წლის 20 იანვარს აბულ-ჰასან-ხანმა საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ ნესელროდეს გაუგზავნა წერილი, სადაც ჩამოაყალიბა პეტერბურგში თავისი ჩასვლის მიზანი. ირანის ელჩი, მიუთითებდა რა გიულისტანის საზავო ხელშეკრულების ტექსტის შეზღუდულობაზე, რწმენას გამოთქვამდა, რომ იგი შეიცვლებოდა ახალი ხელშეკრულებით, რომელშიც უფრო დეტალურად აისახებოდა ორივე სახელმწიფოს საზღვარი და აგრეთვე შაჰის სურვილისამებრ შეიცვლებოდა საზავო ხელშეკრულების ზოგიერ-

---

[1] Н. Дубровин, История войны..., т. VI, стр. 200.

[2] იქვე, გვ. 201.

[3] იქვე.

თ ი პ ა რ ა გ რ ა ფ ი. აბულ-ჰასან-ხანი ამიერკავკასიაში დაღესტნისა და საქართველოს გარდა ყველა ტერიტორიას მოითხოვდა, სამაგიეროდ დიდძალ თანხას ჰპირდებოდა რუსეთს. ისტორიკოს ნ. დუბროვინის მართებული შენიშვნით, იგი ასეთი წესით ხელმძღვანელობდა: „Проси как можно более — получишь желаемое“[1]. ირანის ელჩი თანდათანობით უფრო ზომიერი გახდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი შემოიფარგლა თალიშის, ყარაბაღისა და განჯის სახანოების დაბრუნების პრეტენზიებით.

იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ნესელროდემ შაჰის ელჩს განუცხადა, რომ იმპერატორი ამ საკითხის გადაწყვეტას შეუდგებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მიიღებდა ზუსტ ცნობას საზავო ხელშეკრულების საფუძველზე თანამედროვე სასაზღვრო ტერიტორიებისა და ოლქების განლაგების შესახებ.

იმპერატორს გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად გაეგზავნა ცნობილი მხედართმთავარი გენერალ-ლეიტენანტი ერმოლოვი. საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, „Генералу Ермолову особенно поручено будет, чтобы он во время пребывания своего в Персии изыскивал все способы, дабы укрепить те дружественныя связи, на коих незыблемо должны быть основаны мир и доброе согласие между обоими государствами“[2].

ეს იყო ირანის ელჩისათვის გაცემული საბოლოო პასუხი. 1816 წლის 22 მაისს ელჩის პატივსაცემად მოეწყო გაცილების აუდიენცია საგარეო საქმეთა სამინისტროში. ელჩმა პეტერბურგიდან თან წაიღო შაჰისათვის გადასაცემი იმპერატორის სიგელი.

სულ მალე იმპერატორმა ორიოლის გუბერნიიდან პეტერბურგში გამოიძახა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში სახელმოხვეჭილი გენერალ-ლეიტენანტი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი. იგი იმპერატორის ბრძანებით დაინიშნა კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდლად, რუსეთის საგანგებო ელჩად ირანში და საქართველოს, ასტრახანისა და კავკასიის გუბერნიების მმართველად. ერმოლოვი ოცი წლის წინათ, როგორც თვითონ წერს, კავკასიაში კაპიტნის ჩინით იმყოფებოდა, გენერალ-ანშეფის, გრაფ ვ. ზუბოვის სარდლობით 1796 წელს იბრძოდა ირანელების წინააღმდეგ[3].

ალექსანდრე I 1816 წლის 29 ივლისის ინსტრუქციით ერმოლოვს ურჩევდა, შეესწავლა ირანის მიერ წამოჭრილი სადავო საკითხი; იმპერატორს აკვირვებდა ის გარემოება, რომ ადრე, საზავო ხელშეკრულების

---

[1] Н. Дубровин, История войны..., т. VI, стр. 204.

[2] Акты, т. V, д. № 913, Нота персидскому послу от 22 матра 1816 г.

[3] Записки Алексея Петровича Ермолова, 1816—1827 гг., ч. II, М., 1868 г. стр. 3.

ვაფორმებისას, ირანმა საზეიმოდ განაცხადა უარი ყველა იმ ტერიტორიაზე, რომლებზეც ახლა დაობდა.

იმპერატორს აინტერესებდა, შეიძლებოდა თუ არა ირანისათვის რუსეთი ტერიტორიის დათმობა, რომელსაც რუსეთისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა[1].

ალექსანდრე I-ის ინსტრუქცია ნათელ სურათს იძლევა იმ დაძაბულობის შესახებ, რაც შეიქმნა რუსეთსა და ირანს შორის ინგლისის ანტირუსული პოლიტიკის შედეგად. ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ ინგლისმა აგენტების „მზრუნველობის" შედეგად მოასწრო ირანში თავისი გავლენის მეტისმეტად გაძლიერება, რითაც საფრთხე ექმნებოდა რუსეთის გაბატონებულ მდგომარეობას კავკასიაში.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ შუა აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობაზე, მოვიყვანთ ინსტრუქციის ერთ ნაწილს, სადაც ნათქვამია: „Из всех Европейских держав Англия паче всех других старалась как можно больше сблизиться с персидским правительством и при неослабном о том попечении посредством многих деятельных агентов, ею там употребленных, она успела усилить свое влияние до такой степени, что оно распространяется на все части внутреннего управления.

Сколь ни тесны мои сношения с Великобританским правительством, я не могу однако же равнодушно видеть, чтобы власть его усиливалась в соседственном со мною государстве, о котором по необходимости я должен стараться, чтобы оно не было подвержено постороннему Европейских держав влиянию. Англия, естественно, должна желать, чтобы все виды и помышления персидского правительства были обращены к северу и будет возбуждать в нем против нас подозрения, дабы отвлечь его внимание от юга. Меня не занимают замыслы, чтобы посредством Персии потрясти власть англичан в Индии и, следовательно, я неоспоримое имею право стараться всеми мерами, дабы остановить действие такой системы, которая со временем легко обратиться может и к той цели, чтобы вредить моим владениям за Кавказом.

---

[1] Акты, т. VI, ч. II, № 267, стр. 125.

Вследствие сего я признал за нужное при самом начале устранить всякое посредничество Англии в переговорах с персидским послом здесь производившихся, ибо легко было не предвидеть, что всякое его соучастие в столь важном обстоятельстве открыло бы ему множество способов и предлогов вмешиваться час от часу более в дела Персии“ [1].

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, რუსეთის იმპერატორი სწორად იყო ინფორმირებული ინგლისისა და ირანის ურთიერთობის საკითხებში. ირანის ანტირუსული პოლიტიკა მთლიანად ინგლისის დიპლომატიას ეყრდნობოდა. ინგლისელები ცდილობდნენ, შაჰი რუსეთის წინააღმდეგ განეწყოთ და იგი დაეპირისპირებინათ კავკასიაში ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკისათვის, თვითონ კი მშვიდად ებატონათ ინდოეთში. ამიტომ გამოთქვამდა უკმაყოფილებას ინგლისის მიმართ ალექსანდრე I. იგი თავს იმართლებდა, რომ არასოდეს არ ცდილა, აზრადაც არ მოსვლია, ირანის მეშვეობით შეეყვანა ინგლისელების პოზიციები ინდოეთში. აქვე ასკვნის: მას, როგორც იმპერატორს, უცილობელი უფლება აქვს, ყველა ღონე იხმაროს, რათა შეაჩეროს იმ ძალების მოქმედება, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან რუსეთის სამფლობელოებს კავკასიაში. ამავე დროს იმპერატორი ერმოლოვს მოაგონებდა, რომ მან პეტერბურგში ირანის ელჩთან მოლაპარაკებისას არ დაუშვა ინგლისის დიპლომატების ჩარევა, რაც ირანში მათი პოლიტიკის გააქტიურებას გამოიწვევდა.

იმპერატორი თავის წერილში რწმენას გამოთქვამდა, რომ გენერალ ერმოლოვის ენერგიული და გონივრული საქმიანობა კავკასიის მთებს გალმა სიმშვიდეს დაამყარებდა და საბოლოოდ ხელს შეუწყობდა კავკასიის ხალხების დაპყრობას. დასასრულ, იგი ერმოლოვს სწერდა: „Сей важный предмет требует неослабного с Вашей стороны попечения, ибо доколе продолжаться будет неприязненное положение с сими народами, до тех пор нельзя ручаться за прочность нашего военного положения в Грузии“[2].

გენერალი ერმოლოვი იმპერატორისაგან ინფორმირებული მიდიოდა ირანში. მან კარგად იცოდა, თუ სად ედო სათავე ირანის პრეტენზიებს რუსეთის მიმართ, ვინ ედგა შაჰს ზურგს უკან და ვისი კონსულტაციით მოქმედებდა იგი. გიულისტანის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ზოგიერთი სახანოს შემოერთების შემდეგ სადავო გახდა სასაზღვრო ხაზის დაწესება. რუსეთს ხელს აძლევდა, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ბუნებრივი საზღვარი ყოფილიყო, კერძოდ, მდინარეების—მტკვრის, არაქ-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. 267, стр. 125. ხაზი ყველგან ჩვენია, ნ.ქ.

[2] იქვე, გვ. 126.

სისა და არფაჩაის გასწვრივ. ეს შექმნიდა იმის პირობას, რომ თავიდან აეცდინათ მოსალოდნელი სასაზღვრო ინციდენტები. იმპერატორი მცირე ტერიტორიულ დათმობაზე თანახმა იყო, მაგრამ ამას არ უნდა გამოეწვია გიულისტანის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა.

გარდა ამისა, ერმოლოვის მისიას დავალებული ჰქონდა, ირანთან სამოკავშირეო ხელშეკრულება დაედო ოსმალეთის წინააღმდეგ და ძალღონე არ დაეშურებინა, რომ ირანზე ინგლისის მზარდი გავლენისათვის ბოლო მოეღო, ან უარეს შემთხვევაში, შეესუსტებინა ის; ამასთან. ერმოლოვს უნდა მიეღწია შეთანხმებისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო რუსეთის საკონსულოები ირანის დიდ ქალაქებში, კერძოდ, გილიანსა და ასტრაბადში, და ირანთან ომის დროს ჩავარდნილი ტყვეები რუსეთში დაებრუნებინა.

გენერალი ერმოლოვი 1816 წლის 10 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა და 12 ოქტომბრის ბრძანებით ხელქვეითებს ამცნო, რომ მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

როგორი იყო რუსეთის სამხედრო ძლიერება კავკასიაში? რა ძალა ჩაიბარა ერმოლოვმა? ისტორიკოს ნ. დუბროვინის ცნობით, ჯარში შტატით 45 000 ქვეითი მებრძოლი და 6.926 კავალერისტი უნდა ყოფილიყო. ჯარის განკარგულებაში იყო 131 ქვემეხი[1]. ამ ჯარის ერთი მესამედი კავკასიის ხაზზე უნდა განლაგებულიყო, როგორც ზურგის დაცვა. ერმოლოვის შემოწმებით დადასტურდა, რომ კავკასიის ცალკეული კორპუსი მთლიანად არ იყო დაკომპლექტებული. ასე რომ, ქვეითი 45.000-ის ნაცვლად შეადგენდა 37.360-ს, კავალერია 6.926-ის ნაცვლად ითვლიდა 5.948-ს; სულ კორპუსს აკლდა 11.866 მებრძოლი[2]. ერმოლოვს დასჭირდა სერიოზული ღონისძიების გატარება ჯარის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. ხშირად რუსეთიდან კავკასიის ცალკეულ კორპუსში ჯარისკაცები და ოფიცრები დასჯის მიზნით იგზავნებოდნენ, რაც, ბუნებრივია, მათ მორალურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. გარდა ამისა. კორპუსის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე პოლიტიკურად არასაიმედონი, რომლებსაც სახელმწიფოს წინაშე დანაშაულის ბრალდება ჰქონდათ წაყენებული.

თბილისში ჩამოსული ერმოლოვი აგროვებდა ცნობებს ირანის შესახებ, სწავლობდა ირანის სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობას, რადგანაც ირანში მისი გამგზავრების დრო ახლოვდებოდა[3].

რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას კა-

---

[1] Н. Дубровин, История войны ..., т. VI. стр. 216.

[2] იქვე, გვ. 219.

[3] Записки А. П. Ермолова, 1816—1827 гг., ч. II, стр. 29. М., 1868 г.

ტეგორიულად მოითხოვდა შაჰის მემკვიდრე აბას-მირზა. ამასთან ერთად, მშვიდობიანი ურთიერთობის პირობებში იგი ნორმალურად მიიჩნევდა, დაკავშირებოდა რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილ ამიერკავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის ხანების ერთ ნაწილს, ეწარმოებინა მათთან საიდუმლო მოლაპარაკება და მიმოწერა და აემხედრებინა ისინი რუსეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, თბილისში ჩამოსვლისთანავე ერმოლოვმა შეიტყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს, ირანს წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. იგი მთაში აგროვებდა რუსეთისადმი მტრულ ძალებს მომავალი ბრძოლისათვის. ცნობილი გახდა, რომ ირანს მიმავალმა ალექსანდრემ ანწუხის თემს შეაფარა თავი, ანწუხელები კი ჰპირდებოდნენ მას, რომ სამშვიდობოზე გაიყვანდნენ. მართლაც, მათ წარჩინებული ექვსი გვარის თავკაცები შაჰთან გააგზავნეს მძევლებად ნიშნად იმისა, რომ მშვიდობით ჩაიყვანდნენ თეირანში ალექსანდრე ბატონიშვილს. ირანს მძევლებად გაგზავნილი ანწუხის თავკაცები ივანე ციციანოვის (ციციშვილის) მესვეურობით საზღვარზე დაიკავეს. მათ აღმოაჩნდათ ალექსანდრეს წერილი აბას-მირზასადმი; ტახტის პრეტენდენტი იუწყებოდა, რომ სულ მალე ირანს ჩავიდოდა. ერმოლოვმა წინადადება მისცა ანწუხელებს, რომ სამი კვირის ვადაში ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის სამხედრო ხელისუფლებისათვის გადაეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ციციანოვთან ერთად ტყვედ ჩავარდნილი ანწუხელები სიკვდილით დაისჯებოდნენ, ხოლო ჭარბელაქნის ლეკებს უბრძანებდა, შესეოდნენ ანწუხელებს და სულ ერთიანად გაენადგურებინათ ისინი[1].

ანწუხელებმა კატეგორიული უარი შეუთვალეს ერმოლოვს ალექსანდრე ბატონიშვილის გადაცემაზე. ისინი გენერალს სწერდნენ: „Клянемся великим аллахом, что с нашей стороны никогда не воспоследует измены и коварства Эмиру Александр-хану. Ты в своем письме требуешь, чтобы мы его отправили к тебе. Ей богу, мы ему не изменим и не окажем коварства, если бы ты даже перебил всех наших людей, не исключая наших жен и детей. Этого дела от нас не жди[2]“.

ანწუხელებს სიტყვა არ გაუტეხიათ. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, საზღვარს გაეყვანათ იგი. თავის მხრივ ალექსანდრე ბატონიშვილი ერევნის ხანს სწერდა, რომ ნან მიიღო აბას-მირზას წერილი. აბას-მირზა იტყობინებოდა, რომ თავრიზში მოელოდნენ რუსე-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. 67, стр. 31.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 71, стр. 32.

თის ელჩის ჩასვლას და სწორედ იმ დროისათვის ისიც ირანს დაბრუნებოდა.

ალექსანდრე არწმუნებდა ერევნის ხანს, დაღესტანში დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველანი ირანის შაჰისა და მისი მემკვიდრის ერთგულნი არიანო, იგი წერდა: „Все старшины тамошних городов и деревень, кадии, эмиры, визиры и даже дети в колыбелях и мертвецы в могилах и их (дагестанския) птицы суть покорные слуги шаха и его сына шах-задэ, и никто не сложит с себя этого долга, если бы даже он был сирота. Если вы пожелаете, они готовы прислать сто тысяч и более войска. Пусть в таком случае шах пришлет к ним воззвание и казну"[1].

ეტყობა, ალექსანდრე ბატონიშვილმა დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ მუსლიმანური სარწმუნოების მთის ხალხები დაერაზმა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად; როგორც ჩანს, ამაში მას ოდნავაც ვერ შეუშალა ხელი იმან, რომ თვითონ ქრისტიანი იყო. წერილი საერთო საბრძოლო მზადყოფნას გამოხატავდა, თუმცა, ცხადია, ასი ათასი მებრძოლის გამოყვანა მაშინდელ დაღესტანს არ შეეძლო. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც სიამოვნებით იბრძოლებდნენ რუსებთან ერთად ირანელების წინააღმდეგ. ბევრ დაღესტნელში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების სულისკვეთება.

ალექსანდრე ბატონიშვილი შემთხვევით როდი უგზავნიდა წერილს ერევნის ხანს ჰუსეინ-ყული-ხანს. იგი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და ერთგული მოხელე იყო ირანის შაჰისა, ნათესავადაც კი ერგებოდა მას. აი, როგორ ახასიათებდა მას თავად მენშიკოვის დიპლომატიური მისიის (1826 წ.) წევრი, გენერალ-ლეიტენანტი ფ. ფ. ბარტოლომეი თავის მემუარებში, რომელიც მას ირანში მოგზაურობის შთაბეჭდილებით დაუწერია: „Сардарь Эриванский Гусеин-кули-хан, 86-ти летний старец, родом Каджар, как и сам шах. Он один из первых вельмож Персии и имеет полную доверенность своего государя, который отчасти ему обязан престолом. Как непримиримому врагу русских, ему поручена область Эриванская, пограничная с Россиею"[2].

მან დესპოტური მეთოდებით შეძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება და სახანოს ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება. ერევნის

---

[1] Акты, т. VI. ч. I, № 1363. стр. 516.

[2] Русская старина, т. 118, стр. 76, 1904 г. Посольство князя Меньшикова в Персию в 1826 году. Здр. Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 3.

სარდარს, როგორც მაშინ ეძახდნენ, დამსახურება ჰქონდა ხორასანის პროვინციაში შაჰის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების ჩახშობის საქმეში. სწორედ ამიტომ ებოძა მას ერევნის სახანო. იგი გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი იყო, რაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მაშინდელი ირანის მმართველ წრეებში. ჰუსეინ-ყული-ხანი განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდა სომხურ მოსახლეობას.

ერმოლოვი ირანში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1817 წლის იანვარში მან თეირანს გაგზავნა კოლეგიის მრჩეველი სიმონ ივანეს ძე მაზაროვიჩი, წარმოშობით ვენეციელი, განათლებით ექიმი. იგი ერმოლოვის ელჩობის მონაწილე იყო, შემდგომში (1818—1826 წწ.) კი— რუსეთის რწმუნებული ირანში. ერმოლოვის დახასიათებით, მაზაროვიჩი მოხერხებული და ნიჭიერი ადამიანი იყო, თუმცა უხეში შეცდომებისაგან არც ის ყოფილა დაზღვეული. მან მალე გაიცნო სასახლის მაღალი თანამდებობის პირები, შაჰმაც კარგად მიიღო იგი. თეირანიდან მაზაროვიჩი იტყობინებოდა, რომ რუსეთის დიპლომატიური მისიის მისაღებად დიდი მზადება მიმდინარეობდა. ფეტხ-ალი-შაჰს აინტერესებდა ერმოლოვის მისიის დროულად ჩასვლა ირანში[1].

ერმოლოვის მრავალრიცხოვანი მისია (200-ზე მეტი კაცის შემადგენლობით) 1817 წლის 17 აპრილს თბილისიდან გაემგზავრა[2]. მას რთული ამოცანა დაეკისრა: ირანის შაჰთან რუსეთის იმპერიის სახელით მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა იმ სადავო საკითხებზე, ირანის მთავრობამ რომ წამოჭრა.

ჯერ კიდევ 1816 წლის 5 აგვისტოს პეტერბურგში იმპერატორმა გენერალ ერმოლოვს რწმუნების სიგელი უბოძა, რომლის ძალითაც მას უფლება ეძლეოდა, კავკასიაში ირანის საზღვრებთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი პირადად გადაეწყვიტა. აღნიშნულ სიგელში ვკითხულობთ: „Мы чрез сие действительно определяем и уполномочиваем помянутаго нашего генерал-лейтенанта Ермолова, постановить, заключить и подписать особый договор о всем том, что послужить может твердым и прочным основанием дружбы и взаимного положения дел между обоими государствами, обещая императорским нашим словом все то, что помянутым нашим полномочным в силу сей полной мочи, постановлено, заключено и подписано будет, за благопрять твердо и непоколебимо навсег-

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 31.

[2] ЦГАДА СССР, Ф. Ермоловых, д. 965, Александр Ермолов, А. П. Ермолов в Персии, СПБ, 1909, стр. 9.

да содержать и точно исполнять, да и дать на то имперскую нашу ратификацию в срок, который назначен будет"[1].

იმპერატორი დიდ ნდობას უცხადებდა ერმოლოვს. იგი მას გადაწყვეტილების უსიტყვოდ დამტკიცების გარანტიას აძლევდა და დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა. ერმოლოვს ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რომელიც იმპერიის ინტერესებს დაიცავდა და განამტკიცებდა იმპერატორის პოზიციებს ამიერკავკასიაში, არ შებღალავდა მის ავტორიტეტს ახლო და შუა აღმოსავლეთში. მას კარგად უნდა შეესწავლა რუსეთ-ირანის სადავო საკითხი. ესოდენ დიდი ნდობა ამ უკანასკნელს არ აძლევდა იმის უფლებას, რომ მოეხდინა გიულისტანის საზავო ხელშეკრულების რევიზია და თვითნებურად დაებრუნებინა ირანისათვის რუსეთის მიერ შეერთებული სახანოები. მას მხოლოდ ის შეეძლო, რომ საზღვრის დაფუძნებისას მცირე ტერიტორია (ერთი ან რამდენიმე სოფელი) დაებრუნებინა ირანისათვის, მაგრამ იგი რუსეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების უკან დაბრუნების მოთხოვნას შაჰს ვერ შეუსრულებდა, რადგანაც ეს საზავო ხელშეკრულების პირობებს სცილდებოდა.

აი რა უნდა გაეკეთებინა ერმოლოვს ირანის მიერ წამოყენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით: „На месте убедиться, не предоставится ли возможным уступить некоторыя земли Персии, без нарушения, конечно, наших интересов. Миролюбивые виды императора Александра I должны были лечь в основание поступков посла, и его поведение должно было клониться только к тому, чтобы укрепить дружбу и ни в каком случае не нарушать ея"[2].

რუსეთის დიპლომატიურ მისიას ევალებოდა, სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებინა და ამით ბოლო მოეღო ირანის ყოველგვარი პრეტენზიებისათვის.

ერმოლოვი, როგორც სამხედრო სპეციალისტი, აკვირდებოდა ირანის სამხედრო ობიექტებს, არმიას და, საერთოდ, მთელ ქვეყანას. ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით ერმოლოვის მემუარული ხასიათის ჩანაწერები პირველადი წყაროა ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესასწავლად.

თბილისიდან გამგზავრების წინ ერმოლოვს აცნობეს, ირანის სასაზღვრო ოლქებში, განსაკუთრებით კი ერევნის სახანოში, უწესრიგობა სუფევს, ადგილობრივი მოსახლეობა, კერძოდ, სომხები, უკმაყოფილო-

---

[1] ЦГАДА СССР, ф. Ермоловых, д. 154, л. 21.

[2] ЦГАДА СССР, ф. Ермоловых, д. 965; Александр Ермолов, А. П. Ермолов в Персии, 1909 г., стр. 7.

ნი არიან ხელისუფლებით და რუსეთში გადასახლებას მოითხოვენო. მართლაც, როგორც კი ერმოლოვი კარაკლისში ჩავიდა, მასთან გამოცხადდა ადგილობრივი მოსახლეობის დელეგაცია, რომელიც 10.000 მცხოვრების სახელით რუსეთში გადასახლების ნებართვას ითხოვდა[1]. ამ ამბით შეშფოთებულმა ერმოლოვმა. რუსეთის მისიის ირანში ჩასვლას არეულობა რომ არ მოჰყოლოდა, სთხოვა მათ, გადასახლების განზრახვისაგან ჩემ დაბრუნებამდე თავი შეიკავეთო.

ერმოლოვი შაჰთან შეხვედრამდე თავრიზში, ირანის ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას სატახტო ქალაქში, უნდა ჩასულიყო. შაჰის ბრძანებით აბას-მირზა ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო საქმეებს განაგებდა. მას გიულისტანის საზავო ხელშეკრულების დარღვევის დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდა.

რუსეთის ელჩი 19 მაისს თავრიზს ჩავიდა. ქალაქში შესვლამდე 7 კმ მანძილზე ერმოლოვის მისიას შეეგებნენ თავრიზის ბეგლარბეგი (სამხედრო გუბერნატორი) და სხვა დიდებულები და სახელმწიფო მოხელეები. მალე გამოჩნდა აგრეთვე ვეზირი კიმაკამი — მირზა ბეზიურგის, სახელმწიფოში მეორე მინისტრის, ვაჟი თავისი ამალით[2].

ქალაქის შესასვლელთან განლაგებული იყო ქვეითი და ცხენოსანი ჯარის ნაწილების 16 ათასამდე მებრძოლი და 42 ქვემეხი. ჯართან ერმოლოვის მიახლოებისთანავე საარტილერიო ზალპი მისცეს. ჯარის დანაყოფებს ინგლისელი ოფიცრები მეთაურობდნენ, რომლებიც ირანელებს დაქირავებული ჰყავდათ რეგულარული ჯარის გასაწვრთნელად[3].

ერმოლოვი დიდი პატივით მიიღეს თავრიზში. თუმცა ირანში წესი არ იყო, სახელმწიფოთა ელჩებს ამგვარად შეხვედროდნენ, მაგრამ რადგანაც პეტერბურგში ირანის ელჩს მირზა-აბულ-ჰასან-ხანს მაღალ დონეზე მოუწყვეს შეხვედრა, აბას-მირზამ ირანში დამკვიდრებულ ტრადიციას გვერდი აუარა და ერმოლოვი დიდი პატივით მიიღო. რუსეთის დიპლომატიური მისია მალე უნდა შეხვედროდა ტახტის მემკვიდრეს აბას-მირზას. რუსეთის დიპლომატიური მისიის მეთაურს თავის რეზიდენციაში წინასწარ გააცნეს აბას-მირზასთან და შაჰთან მიღების წესები და ცერემონიალი. სხვათა შორის, მას მოახსენეს, რომ მიღების წინ საჭირო იქნებოდა სასახლეში შემოთავაზებული წითელი ქუდის დახურვა, ფეხზე გახდა და წითელი წინდების ჩაცმა. ფრანგი და ინგლისელი დიპლომატები და სახელმწიფო მოღვაწენი შაჰთან შეხვედრისას სავალდებულო წესით ასრულებდნენ ფეხზე გახდის ამ დამამცირებელ ცერემონიალს,

---

[1] Н. Дубровин. История войны..., т. VI. стр. 245.

[2] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 11.

[3] იქვე.

ისინი ამას არ თაკილობდნენ, ოღონდ თავიანთი განზრახვისათვის მიეღწიათ. ხშირად მათი ეს განზრახვა რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. აი რას წერდა ამის შესახებ ერმოლოვი: „Во время Наполеона, когда все средства изыскивал он вредить России, присланный от него в Персию генерал Гардан, дабы вкрасться в доверенность персиян, делал все им угождения, и ему, после краснаго колпака вольности, нетрудно было надевать красные чулки. Посланники английские и в Персии живущие чиновники, совершенно с другими видами, но с намерением, тесною связью приобрести исключительныя для торговли выгоды, так же не делают затрудненыя в исполнении предлагаемого этикета“[1].

ცნობილია, რომ გარდანის მისიის მთელი საქმიანობა ირანში რუსეთის ინტერესებს უპირისპირდებოდა, მაგრამ ამასთან ერთად ის ნაკლები ინტენსივობით როდი ეწინააღმდეგებოდა მეზობელი ინგლისის პოლიტიკასაც.

აბას-მირზასთან მიღება შედგა. რუსეთის დიპლომატიური მისია ევროპული წესით წარუდგა შაჰის მემკვიდრეს, რომელმაც ის დიდი ყურადღებითა და პატივით მიიღო. სასახლე, სადაც მიღება მოხდა, დაცული იყო ირანის ქვეითი ჯარის მიერ; აქაც ოფიცრები ინგლისელები იყვნენ[2].

ა. პ. ერმოლოვს თავი ღირსეულად ეჭირა, როგორც რუსეთის სახელოვან გენერალს, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ნაპოლეონის დამარცხებაში. იგი ხშირად არღვევდა სპარსულ ეტიკეტს, მაგრამ ა. ერმოლოვის ცნობით „Он, конечно, при этом защищал не свое личное достоинство, а достоинство чрезвычайного посла Российского императора и всего Государства Российского“[3].

აბას-მირზა ცდილობდა, ერმოლოვისათვის ირანის არმიის ძლიერებაზე გარკვეული შეხედულება შეექმნა და მას ისეთ ადგილებში ატარებდა, სადაც განლაგებული იყო ჯარი, ან საველე მეცადინეობა და საარტილერიო მანევრები ტარდებოდა. მართალია, აბას-მირზამ ინგლისელი სამხედრო სპეციალისტების დახმარებით დიდი ამაგი დასდო ირანის რეგულარულ არმიასა („სარბაზი“) და კავალერიას, აგრეთვე საარტილერიო საქმეს, მაგრამ ირანი თავისი სამხედრო ძლიერებით მაინც დიდად ჩამორჩებოდა ევროპის სახელმწიფოებს, მათ შორის რუსეთსაც.

თავრიზში ყოფნის პერიოდში ერმოლოვი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა, დარწმუნდა, რომ აბას-მირზას სასახლეში ქვეყ-

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 12.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] ЦГАДА СССР, ф. Ермоловых, д. 965, Александр Ермолов. А. П. Ермолов в Персии. СПБ. 1909. стр. 8.

ნის პოლიტიკურ ამინდს ინგლისელები ქმნიდნენ, მისი თქმით, „без англичан почти ничего не делается у двора наследника“[1]. აბას-მირზა აზიურ ვერაგობას იჩენდა, მან ჯაშუშები მიუჩინა ერმოლოვს იმ მიზნით, რომ ჩასწვდომოდა რუსეთის დიპლომატიური მისიის საიდუმლოებას[2].

შაჰი თეირანში იმყოფებოდა. ერთხანს მასთან ერმოლოვის შეხვედრა ვერ მოხერხდა, მაგრამ რუსეთის დიპლომატიური მისიის მეთაურმა კარგად იცოდა მისი განწყობილება სადავო საკითხების გამო, ბარონი სტროგონოვი კონსტანტინოპოლიდან აუწყებდა გენერალ ერმოლოვს, რომ „Шах сказывал посланнику из Порты чиновнику, что он надеется возвратить все потери войною причиненныя“[3].

ერმოლოვი მოითხოვდა შაჰთან შეხვედრას. ირანის მოხელეებთან მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ იგი შაჰს შეხვდებოდა სულთანიეში. ამასთან ერთად მან დიდი უკმაყოფილება გამოხატა თეირანიდან გამოგზავნილ მოხელესთან მამედ-ალი-ბეკთან საუბარში იმის გამო, რომ აბას-მირზას დავალებით მირზა-ბეზიურგმა რუსეთის მისიას ჯაშუშები მიუჩინა, რომლებიც სიმშვიდეს უკარგავდნენ მის წევრებსა და მეთაურს. ერმოლოვი ირანის პირველი მინისტრისაგან კატეგორიულად მოითხოვდა მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ ასეთი უპრეცედენტო დამოკიდებულების აღკვეთას, წინააღმდეგ შემთხვევაში ირანის დატოვებას აპირებდა.

მართლაც, კიმაკამ მირზა-ბეზიურგმა ზემოაღნიშნული და სხვა ბევრი უმსგავსო მოქმედებისათვის ბოდიში მოუხადა ერმოლოვს, რომელსაც იგი ეზიზღებოდა. ერმოლოვი დარწმუნდა, რომ მირზა-ბეზიურგი რუსეთის დაუძინებელი მტერი იყო, რომელიც ყოველნაირად უშლიდა ხელს ირანსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

შაჰის მიერ ოფიციალურ მიღებამდე რუსეთის მისიასთან მოსალაპარაკებლად სულთანიეს ახლოს მდებარე სოფელ სამან-არხში, მდ. ზეგანჩაის სანაპიროზე, გაიგზავნა სპეციალური მისია, რომელსაც მინისტრი მირზა-აბულ-ვეხაბი მეთაურობდა. იგი საკმაოდ განათლებული და ამავე დროს შაჰის ნდობით აღჭურვილი პიროვნება იყო. მას დავალებული ჰქონდა, დაეზუსტებინა, რა სახის ტერიტორიულ დათმობაზე წავიდოდნენ რუსები. რუსეთის მისია მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობაზე უარს აცხადებდა, რადგანაც ასეთი რწმუნება მას არ ჰქონდა. ერმოლოვი ამ მოლაპარაკებაზე ირანელი მინისტრის პოზიციების შესახებ შემდეგს იუწყება: „Кажется весьма ясно, но министр, известный за умне-

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 20.

[2] იქვე.

[3] Н. Д. Дубровин, История войны..., стр. 258.

йшаго в Персии, сего ни как не понял и, вслед за тем, несколько еще раз домогался узнать, может ли он надеяться, что Россия уступит Карабаг? Он говорил, что за отказом может последовать война, хвастал, как персиянин... утверждая, что подвластные нам в Грузии и Дагестане народы преданы душою персидскому правительству и уже нравственно покорены, что от Персии зависит иметь все теперь по самыя ворота Тифлиса"[1].

მირზა ვეხაბი ერმოლოვის შეშინებას ცდილობდა და ირანის არმიის ძლიერებით ტრაბახობდა. ირანელები ოცნებობდნენ თბილისისა და დაღესტნის დაპყრობაზე, რომელთა მოსახლეობას ირანის ერთგულებად აცხადებდნენ. მოლაპარაკება 10—12 დღეს გაგრძელდა, ზოგიერთი შეხვედრა, როგორც ერმოლოვი იუწყება, მეტისმეტად ხმაურიანი, მაგრამ ირანელებისათვის უშედეგო გამოდგა. ირანელები თავისას არ იშლიდნენ. ომის განახლების მუქარამაც კი ვერ გაჭრა, ერმოლოვი ვერ დაითანხმეს. მან მირზა ვეხაბი გააფრთხილა: თუ შაჰი ციკად მიიღებდა მისიას ომის გამო, რომ რუსეთი ტერიტორიულ დათმობაზე უარს აცხადებდა, ერმოლოვი იქვე გააკეთებდა განცხადებას, რომ მზად არის, დაარღვიოს ზავი და იომოს, სანამ მდ. არაქსი სახელმწიფო საზღვარი არ გახდება. ამის გამო ერმოლოვი წერდა: „При том я истолковал способ овладеть Араксом, который заключался в том, что надобно взять Тавриз, и, возвратя из великодушия Адербиджанскую провинцию, удержать области по Аракс, в чем должны они будут признать примерную умеренность. Жаль мне, сказал я ему, что вы почтете за хвастовство, которое между нами не должно иметь места, но я бы назначил вам день, когда русския войска возьмут Тавриз"[2].

ერმოლოვის წინასწარმეტყველება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გამართლდა. ომი, ირანის შაჰისა და მისი მრჩევლების უგონო პოლიტიკის წყალობით, გარდაუვალი გახდა, მან დიდი უბედურება მოუტანა ირანელ ხალხს. რუსეთის ძლევამოსილმა არმიამ სხვა ქალაქებთან ერთად აიღო სამხრეთ აზერბაიჯანში აბას-მირზას სარეზიდენციო ქალაქი თავრიზი (1827 წ.). მართლაც, სახვეწარი გაუხდა აბას-მირზას თავისი სარეზიდენციო ქალაქის დაბრუნება, რომ არაფერი ვთქვათ ყარაბახის, თალი-

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 31.

[2] იქვე, გვ. 33.

შისა და სხვა სახანოების სადავო ტერიტორიათა შესახებ, რომლებიც რუსეთმა სამუდამოდ დაისაკუთრა.

სულთანიეს ახლოს მდებარე სოფელ სამან-არხის წინასწარი მოლაპარაკება ერმოლოვსა და ირანის მისიას შორის უშედეგოდ დამთავრდა, ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, სადავო საკითხი ღიად დარჩა. რუსები არაფერს არ თმობდნენ, ირანელები კი გიულისტანის საზავო ხელშეკრულებას არ ცნობდნენ.

1817 წლის 20 ივლისს, დილით, შაჰი ქ. სულთანიეში საზეიმოდ შევიდა. მას თან ახლდნენ შვილები, ცოლების მცირე ნაწილი (ორმოცი ცოლი), მაღალი რანგის მოხელეები, 20 ათასიანი ჯარი და არტილერია[1]. რუსეთის მისიას შაჰთან აუდიენცია 31 ივლისს დაუნიშნეს. ერმოლოვი აქაც გადაურჩა ფეხსაცმლის გახდას და თავისი მისიის წევრებთან ერთად ჩექმებში გამოწყობილი ეახლა შაჰს, რომელმაც მოჩვენებითი თავაზიანობით მიიღო ისინი. ერმოლოვმა შაჰს იმპერატორის სიგელი და საჩუქარი გადასცა. ეს უკანასკნელი ძალიან მოეწონა მას. ფეტხ-ალი-შაჰი და ირანის სასახლის მოხელეები საჩუქრებზე დიდად იყვნენ გაწუწკებული. როგორც ერმოლოვი წერს, „Он (ლაპარაკია შაჰზე, ნ. ქ.) пришел через полчаса, восхищен был подарками, удивлялся многим вещам, а паче зеркалом, коим, конечно, не бывало подобных величиною, и говорил, что легче иметь миллионы, и что им предпочел бы такие подарки“[2]. შაჰი დიდად მოხიბლულა იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ბროლის ნივთებით და ძვირფასი თვლებით შემკობილი დიდი სარკით. ისტორიკოს ნ. დუბროვინის თქმით, შაჰი ძვირფას საჩუქრებს პატარა ბავშვივით ესიყვარულებოდა. თავისი ტკბილი საუბრით და მოჩვენებითი გულწრფელობით ერმოლოვმა შაჰის ყურადღება მიიპყრო. შაჰმა ერმოლოვს სთხოვა, მისთვის რუსეთში შეეკვეთა ფაიფურის ჭურჭელი და ბროლის ჭაღი, რომელთაც, მისი აზრით, ინგლისელები კარგი ხარისხისას ვერ ამზადებდნენ[3]. ერმოლოვს შაჰმა ნება დართო, ნებისმიერ დროს შესულიყო მასთან, თუმცა ამის საჭიროება არ ყოფილა.

ერმოლოვი მირზა-შეფს (პირველ მინისტრს) უნდა შეხვედროდა, რათა საბოლოოდ განეხილათ ის საკითხები, რომლებიც ირანის ხელისუფლებას სადავოდ მიაჩნდა. მირზა-შეფი ირანისათვის ნებისმიერი პროვინციის გადაცემას მოითხოვდა.

ირანის დიპლომატიურ მისიასთან (მირზა-აბულ-ჰასან-ხანი) პეტერ-

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 36.

[2] Записки А. П. Ермолова, стр. 40. შდრ. Дубровин. История войны... стр. 265.

[3] იქვე.

ბურგში დაწყებული დავა ახლა თითქმის ყოველ მოლაპარაკებაზე გრძელდებოდა. არც ერთი მხარე არ თმობდა. მირზა-აბულ-ჰასან-ხანი ინგლისის მხარდაჭერას გრძნობდა და შაჰი ადრევე დაარწმუნა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობაში.

ერმოლოვმა მირზა-შეფთან საუბარში განაცხადა, რომ რუსეთის იმპერატორი არ შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას და სახელმწიფო საზღვრად მომავალშიც გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით დამტკიცებული საზღვარი დარჩებოდა.

იმის გამო, რომ ეს მოლაპარაკებაც ჩიხში მოექცა და არავითარი სხვა გზა არ ჩანდა, საკითხი განიხილა შაჰის საბჭომ, რომლის ზოგიერთი წევრი მკაცრად მოითხოვდა ირანის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. მაგრამ შაჰმა, რომელსაც თავისი უფროსი ვაჟი მამედ-ალი-მირზა მხარს უჭერდა, განაცხადა, რომ მას განზრახული არა აქვს რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დარღვევა, ამასთან, იგი რუსეთთან მეგობრობას უფრო მაღლა აყენებს. ვინემ დაკარგული ტერიტორიების შემოერთებას. მას არ უნდა, რუსეთის ელჩი ჩაადგოს უხერხულ მდგომარეობაში და მისგან მოითხოვოს ის, რისი რწმუნებაც თავისი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისაგან არა აქვს. ამასთან ერთად იგი სასაზღვრო საქმეების მოგვარებას თავის მემკვიდრეს აბას-მირზას აკისრებდა: „Прежде еще, для окончания того предмета означения границ. мы назначили сына и наследника нашего престола; служащие при нем имеют полное сведение о границах. Сие дело опять ему же предоставлено и снова будем давать ему нужныя приказания. чтобы он имел потребный к сему переговор с послом и решение, которое последует касательно Талышинских и Муганских границ, должно быть подробно обьяснено особенною о том статьею“ [1].

ერმოლოვს ეგონა. რომ ამით მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ. აბას-მირზასათვის საქმის მინდობას კარგი შედეგი არ მოჰყოლია. შაჰმა ტკბილი სიტყვებით კი გამოისტუმრა რუსეთის მისია, მაგრამ რუსეთ-ირანის ურთიერთობა ამ ელჩობით არ გაუმჯობესებულა.

რუსეთი არაფერს არ თმობდა. ირანი კი თავის პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა.

სულთანიედან გამომგზავრების წინ ერმოლოვმა გიულისტანის საზავო ხელშეკრულების VII მუხლის საფუძველზე შაჰისაგან მოითხოვა, რომ ევროპის სახელმწიფოების მაგალითისამებრ რუსეთს ჰყოლოდა ირანში

---

[1] **Акты**, т. VI, ч. II, д. 311, стр. 161—162.

თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელსაც თვითონ იმპერატორი დანიშნავდა.[1]

ერმოლოვი ურთიერთხელსაყრელ პირობებში ვაჭრობის განსავითარებლად, რაც, მისი აზრით, ხალხთა დაახლოების საუკეთესო პირობას წარმოადგენდა, საჭიროდ მიიჩნევდა, შაჰს ნება დაერთო რუსეთისათვის, ირანის ზოგიერთ ქალაქში დაეწესებინა საგენტოები, სავაჭრო კანტორები და საკონსულოები.

ერმოლოვი იმპერატორის სახელით ვალდებულებას კისრულობდა, რომ ირანელი ვაჭრებისათვის რუსეთში გარანტირებული ყოფილიყო ყველა ის უპირატესობა, რაც რუსი ვაჭრების მიმართ განხორციელდებოდა ირანში[2].

გარდა აღნიშნულისა, ერმოლოვი ირანისაგან მოითხოვდა, სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცა რუსეთ-ირანის 1804—1813 წწ. ომისდროინდელი ტყვეებისა და იმ ჯარისკაცებისათვის, რომლებმაც სამშობლოს უღალატეს და მტრის მხარეზე გადავიდნენ, მაგრამ ამჟამად შეიგნეს თავიანთი დიდი დანაშაული და რუსეთის მთავრობისაგან შეწყნარებასა და შენდობას მოითხოვდნენ[3].

მირზა შეფმა ერმოლოვს ზემოაღნიშნულ თხოვნათა შესახებ უპასუხა, რომ საკონსულოებისა და სავაჭრო კანტორების დაწესების, სამხედრო ტყვეებისა და გაქცეული ჯარისკაცების დაბრუნების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა აბას-მირზა, რომელსაც შაჰისაგან მინდობილი ჰქონდა სასაზღვრო საქმეების განმგებლობა. ცნობილია, რომ აბას-მირზა ტყვე ჯარისკაცებისა და რუსი დეზერტირებისაგან ბატალიონებს აკომპლექტებდა, საგანგებო პირობებს უქმნიდა და მათზე დიდ იმედებს ამყარებდა. საეჭვო იყო, რომ მას მათი რუსეთში დაბრუნების თხოვნა დაეკმაყოფილებინა.

29 აგვისტოს შაჰთან გამოსამშვიდობებელი აუდიენციის შემდეგ ერმოლოვმა დატოვა სულთანიე, ხოლო 9 სექტემბერს ჩამოვიდა თავრიზში ამგვარად, ყველა სადავო საკითხმა აბას-მირზასთან მოიყარა თავი. ერმოლოვს აინტერესებდა, თუ როდის შეუდგებოდნენ ირანისა და რუსეთის წარმომადგენლები საზღვრების გასამიჯნავი სამუშაოების დაწყებას, თავის მხრივ იგი ვარაუდობდა, რომ ეს დაეწყო 1818 წლის აპრილიდან. ერმოლოვმა სთხოვა კაიმაკამ მირზა-ბეზიურგს, ეს საკითხი დაეზუსტებინა და მისთვის მოეხსენებინა. გაიძვერა მირზა-ბეზიურგი იმ მიზნით, რომ ერმოლოვი თავის სასარგებლოდ განეწყო, მის ვარაუდს გამიჯვნის

---

[1] Акты, т. VI, д. 313, стр. 162.

[2] იქვე.

[3] Акты , т. VI, ч. II, д. 314, стр. 162—163.

დროის შესახებ სასწრაფოდ დაეთანხმა. მაგრამ მას უფრო დიდი საქმე უნდა მოეგვარებინა. მირზა-ბეზიურგს განზრახული ჰქონდა, ერმოლოვისათვის შეეთავაზებინა წინადადება იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერატორს აბას-მირზა ეცნო ირანის შაჰის მემკვიდრედ. ირანის მაშინდელი გართულებული საშინაო მდგომარეობის პირობებში იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ აბას-მირზას აღიარება ირანის ტახტის მემკვიდრედ ბევრ რამეს ნიშნავდა. რისთვის სჭირდებოდა აბას-მირზას რუსეთის იმპერატორის ავტორიტეტული სიტყვა?

ირანის შაჰს მრავალი შვილი ჰყავდა, ყველაზე უფროსი თავისი ფიზიკური მდგომარეობის გამო ტახტზე პრეტენზიას არ აცხადებდა. უფროსის მომდევნო იყო მამედ-ალი-მირზა, რომელსაც ტრადიციისამებრ შაჰის მემკვიდრეობა ერგებოდა, მაგრამ იგი დედით ქრისტიანი იყო და მამამ შეუძლებლად ჩათვალა მისი ტახტზე აყვანა. შაჰმა მემკვიდრედ აბას-მირზა გამოაცხადა, რომლის დედაც ყაჯართა ტომის ასული იყო. შაჰიც ყაჯარების ტომს ეკუთვნოდა. ყაჯართა ასეთმა წამოწევამ სხვა ტომების უკმაყოფილება გამოიწვია. მხოლოდ ყაჯარები უჭერდნენ მხარს აბას-მირზას, ხოლო დანარჩენი ირანული ტომები მამედ-ალი-მირზას ემხრობოდნენ, რომლის გარშემო იქმნებოდა ძლიერი პარტია აბას-მირზას წინააღმდეგ. მამამ შვილებს თავის სიცოცხლეშივე დაუნაწილა სამფლობელოები, მაგრამ აბას-მირზას მიმართ ერთგვარი წინადაუხედაობა გამოიჩინა. მას, გარდა აზერბაიჯანისა, ძირითადად ის მიწები ერგო, რომლებიც ადრე ოსმალეთს ეკუთვნოდა და რომელთა მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებოდა ირანის სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში ყოფნას. მამედ-ალი მირზას ირანული მოსახლეობა ხვდა წილად, მათ შორის ბევრი დაწინაურებული გვარისა იყო. მან მიიმხრო ისინი და ძლიერი პარტია შექმნა აბას-მირზას წინააღმდეგ.

შაჰმა, მამედ-ალი-მირზას ძლიერების შეზღუდვის მიზნით, აბას-მირზას ძმების სამფლობელოებზე ზოგიერთი უფლება უბოძა და აგრეთვე ნება დართო, მხოლოდ მას ჩამოეყალიბებინა რეგულარული არმია, რომლის ყოლაც მამედ-ალი-მირზას სასტიკად ეკრძალებოდა.

ტახტის მემკვიდრეობას რომ ვეხებით, ისიც უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ აძლიერებდა აბას-მირზა ირანის ჯარს და როგორ უხამებდა ერთმანეთს სახელმწიფოებრივ და პირად ინტერესებს.

აბას-მირზამ მოიწვია ინგლისელი სამხედრო სპეციალისტები და შეუდგა რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას.

უფრო ადრე ნადირ-შაჰმა სცადა ირანის არმიის რეორგანიზაცია, მან ერთგვარი ორგანიზებულობა შეიტანა მასში და ჩაატარა არა ერთი დიდი ლაშქრობა, მათ შორის ლაშქრობა ინდოეთში, რამაც დიდი სახელი მოუ-

ტანა ირანის ჯარს, მაგრამ ნადირ-შაჰის გარდაცვალებისთანავე მისი არმია დაიშალა.

ფეტხ-ალი-შაჰმა თავის მეორე შვილს აბას-მირზას უბრძანა, ევროპული უაიდის არმია შეექმნა. 1809 წლიდან შაჰზადე თავშესაფარს აძლევდა ევროპიდან გამოქცეულ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ავალებდა მათ ჯარის ნაწილების ჩამოყალიბებას. სწორედ ამ პერიოდში ნაპოლეონის დავალებით ირანში ფრანგი გენერალი გარდანი ჩავიდა ოფიცერთა თანხლებით. მათ შორის იყვნენ ლამი, ვერდიე და სხვ.[1].

გარდანმა თავისი დიპლომატიური მისია თავრიზში დატოვა, ხოლო თვითონ თეირანში გაემგზავრა შაჰთან მოსათათბირებლად. ირანის პირველმა მინისტრმა მირზა-ბეზიურგმა ფრანგებს სთხოვა, დახმარება გაეწიათ რეგულარული არმიის შექმნაში. ფრანგები სიამოვნებით დათანხმდნენ. თუმცა გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდნენ..

მირზა-ბეზიურგმა აბას-მირზას ურჩია, წარჩინებულთა შვილებიდან ამთავითვე შეეკრიბათ ნიჭიერი ახალგაზრდები და მათთვის სამხედრო საქმე ესწავლებინათ. ასე მოუყარეს თავი 200-მდე ახალგაზრდას, რომელნიც სამხედრო წვრთნას ფრანგი ოფიცრის ვერდიეს მეთაურობით გადიოდნენ. აბას-მირზა ახალგაზრდების წახალისების მიზნით საჩუქრებსა და სახელმწიფო ჯილდოებს არ იშურებდა, რასაც საკმაოდ კარგი შედეგიც მოჰყვა. ამით გამხნევებულმა აბას-მირზამ აზერბაიჯანელ ხანებს დაავალა, მასთან გამოეგზავნათ ყველა ახალგაზრდა, ვისაც რეგულარულ ჯარში სამსახურის სურვილი ექნებოდა; იგი ახალგაზრდებს ჰპირდებოდა, რომ მათს ოჯახებს ყოველგვარი გადასახადისაგან გაანთავისუფლებდა და თითოეულ მათგანს ყოველწლიურად სწავლის პერიოდში 10 თუმანს დაუწესებდა. ამგვარი ღონისძიების გატარების გზით აბას-მირზამ შეძლო „სარბაზთა“ 14 ბატალიონის (ქვეითი რეგულარული ჯარის) ჩამოყალიბება. თითოეულ ბატალიონს სახელწოდება ეძლეოდა ამა თუ იმ სახანოს მიხედვით. ზოგიერთი სახანოს ახალგაზრდებისაგან ორ-ორი ბატალიონიც კი შეიქმნა. ასე ჩამოყალიბდა მარანდის, ხოის, ურმიის, თავრიზის, ყარადაღის, შაგაგინის, მარაღის, ნახიჩევანის და ერევნის ბატალიონები. მე-14 ბატალიონი, რომელიც რუსი დეზერტირებით იყო დაკომპლექტებული, „ბაგრადანის“ სახელწოდებას ატარებდა, რაც „რჩეულ ჯარს“ ნიშნავდა.

მალე, „სარბაზთა“ ბატალიონების ჩამოყალიბების შემდეგ, სპარსეთში ჩამოვიდა ფრანგი ოფიცერი დრუვილი, რომელმაც აბას-მირზას ურჩია, აზერბაიჯანში შეექმნა რეგულარული კავალერია. აბას-მირზამ ეს

---

[1] Тифлисские ведомости, № 38, 20 сентября 1829 г. Статья „Современная история. О военном состоянии Адзербиджанской области“.

წინადადება სიამოვნებით მიიღო და თვითონ დრუვილი, როგორც გამოცდილი სამხედრო სპეციალისტი, გააგზავნა ურმიის ოლქში, რათა მლაშე ტბის სანაპიროს მცხოვრებთაგან საუკეთესო მხედრები შეერჩია. მართლაც, თავი მოუყარეს 1 000 მხედარს. ეს იყო ბირთვი ირანის რეგულარული კავალერიის ჩამოსაყალიბებლად. მხედრის ხელფასი წლიურად 15 თუმანს შეადგენდა.

ფრანგი ინჟინრის ლამის ხელმძღვანელობით ირანში სამხედრო-საინჟინრო საქმის სწავლება წამოიწყეს. თვითონ ის ასწავლიდა ამისათვის შერჩეულ ირანელ დიდებულთა შვილებს მათემატიკას, ფორტიფიკაციას და სხვა საგნებს. აბას-მირზა მათზე დიდ იმედებს ამყარებდა და ამიტომ არავითარ ხარჯს არ ერიდებოდა.

მალე საგრძნობი გახდა რეგულარული ჯარის ჩამოყალიბების შედეგები. ირანის ფეტხ-ალი-შაჰმა პარიზს ნაპოლეონთან ასკერხანი გაგზავნა და დაავალა, გადაეცა მისთვის, რომ იგი დიდად კმაყოფილი იყო მისი დახმარებით, ყურადღებითა და კეთილი განწყობილებით. ამასთან ერთად იგი ნაპოლეონს სთხოვდა ზემოქმედება მოეხდინა რუსეთზე, რათა ამ უკანასკნელს ირანისათვის დაებრუნებინა მის მიერ კავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები. მაგრამ ამჯერად ნაპოლეონს ირანის ელჩისათვის არ ეცალა[1].

ინგლისელები ხედავდნენ ფრანგების წარმატებას ირანში და შიშობდნენ, რომ ფრანგების გავლენის ზრდას რამე ზიანი არ მოეტანა ინგლისის სამფლობელოებისათვის ინდოეთში; ამიტომ ინგლისის მთავრობამ ირანში, შაჰის კარზე, სასწრაფოდ გამოგზავნა ელჩი სერ გარფორდ ჯონსი. მან შაჰს მოახსენა, რომ ირანისათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა ინგლისთან მეგობრობა, ვიდრე საფრანგეთთანო. მან შაჰს გულის მოგების მიზნით ძვირფას საჩუქრებთან ერთად, დიდი რაოდენობით სამხედრო სპეციალისტები, ქვემეხები, თოფები და ინგლისური წმინდა მაუდი შესთავაზა.

ამას მოჰყვა ანალოგიური დავალებით ირანში ინგლისის სხვა ელჩის—მალკოლმის ჩამოსვლა; „Сверх того, англичане, будучи в то время неприязнены России, обещали персиянам в случае войны с сею державою 200 000 туманов ежегоднаго вспоможения. Все сии обстоятельства убедили персиян согласиться выслать французов и начать войну с Россией"[2]. ეს თანხა ირანს რუსეთთან ომის მანძილზე ეძლეოდა, გიულისტანის საზავო ხელშეკრულების დადებამდე. ამის შემ-

---

[1] Тифлисские ведомости. № 39, 27 сентября 1829 года. „Современная история. О военном состоянии Адзербиджанской области".

[2] იქვე

დეგ ირანს გამოეცხადა, რომ დახმარება მიეცემოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ომს დაიწყებდა მის წინააღმდეგ. თუმცა ისინი მალე მორიგდნენ. გიულისტანის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ „ по обоюдному согласию было положено, чтобы англичане за условленныя деньги выдавали персиянам пушки и ружья“[1].

ინგლისის სამხედრო სპეციალისტები რუსეთ-ირანის ომის დამთავრების შემდეგ დიდი რაოდენობით მიაწყდნენ ირანს, ჯარის თითქმის ყველა სახეობას ინგლისელების ხელი დაეტყო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საარტილერიო საქმეს. აი, როგორ ახასიათებს ინგლისელთა ნაყოფიერ საქმიანობას ირანის საქმეში ჩახედული ერთ-ერთი თანამედროვე:

„Один из английских офицеров, капитан Линдзей, занялся образованием регулярной артиллерии. Первые опыты в учреждении сего войска были предприняты за несколько до того времени офицерами, находившимися в свите генерала Гардана, но не имели успеха.

Орудия, сделанные под надзором французов, были не пропорциональны, и артиллеристы действовали неудачно.—Капитан Линдзей привел артиллерию в лучшее состояние. Но несмотря на потери персиян в сражениях Ленкоранском и Асландузском, при начатии последней войны с русскими, персияне имели 7 бригад регулярной полевой артиллерии; в каждой находилось по 5 пушек и в некоторых сверх того по одному единорогу.

Капитан Линдзей, начал также первоначальное образование литейного двора в Тавризе, в цитадели Арке. Там же приготовлялись ядра, патроны, лафеты и хомуты для артиллерийских лошадей.

Прибывший вскоре из Англии Г. Амстронг был капитану Линдзею хорошим помощником: он сверлил пушки и приготовил для сего все нужные инструменты. Потом, по недостатку в лес во всех окрестностях Тавриза, Г. Амстронг ездил в Карадагское ханство и к Ардебилю. Там он нашел деревья удобныя для пушечных лафетов и колес“[2].

გარდა ამისა, თავრიზში ინგლისელმა სპეციალისტებმა ააშენეს თოფის წამლის ქარხნები, რომლებიც უხვად ამარაგებდნენ რეგულარული არ-

---

[1] Тифлисские ведомости. № 39, 27 сентября 1829 года „Современная история. О военном состоянии Адзербиджанской области“.

[2] იქვე.

ტილერიის ნაწილებს საომარი მასალებით. თავრიზის თოფის წამლის ქარხნების უფროსობა ერთხანს ინგლისელ კაპიტან ჰარტს დაეკისრა, ხოლო ქვემეხების ჩამოსხმის საქმეს სხვა ორ ინგლისელ სპეციალისტთან ერთად ლინდზეი მეთაურობდა.

ერმოლოვი ირანში ყოფნისას ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა ინგლისელ სამხედრო სპეციალისტებს. რომლებმაც რეგულარული ჯარის ნაწილები ჩამოაყალიბეს და ევროპულ ყაიდაზე ასწავლიდნენ მათ. ერმოლოვს უსაუბრია ერთ-ერთ ინგლისელ კაპიტანთან, რომელიც ირანელთა ბატალიონს ამეცადინებდა, და მაღალი შეფასება მიუცია ბატალიონის სამხედრო მომზადებისათვის, აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ ერმოლოვის ჩანაწერებში: „Во время пребывания моего в Тавризе показывали мне ученье пехотнаго батальона. Я удивлен был хорошим видом людей, скорым заряжением ружья и точностью в построениях. Вообще таков был баталион, каковых нет ни одного у меня в Грузии. Я должен был сделать заключение, что подобные ему баталионы могут быть и многие другие. Обучавшему баталион, английскому капитану, сказал я справедливое приветствие, что видевши в Париже английскую армию, я не видал полков, столько хорошо выученных. Аббас-Мирза был в восхищении и торжествовал, как образователь регулярных войск в Персии[1]. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა ირანის რეგულარულ არმიას ნაპოლეონის არმიებზე ძლევამოსილი გამარჯვების მონაწილე რუსი გენერალ-ლეიტენანტი ა. პ. ერმოლოვი.

ერმოლოვი საარტილერიო საქმითაც დაინტერესდა. მან ნახა, რომ ირანის არტილერია ინგლისელი სპეციალისტების ხელში საუკეთესოდ გამოიყურებოდა. ქვემეხები ინგლისური წარმოებისა იყო. ინგლისელებმა შეძლეს ირანში საარტილერიო წარმოების განვითარებაც. ერმოლოვის ცნობით, „Артиллерия в образе и уставе своем совершенно английская. Первыя орудия для образца были привезены из Индии, но теперь отливают в Тавризе довольно хорошия. Основание литейнаго завода сделано французами, когда прислан был Наполеоном генерал Гардан, но оный распространен и усовершенствован англичанами... — Мастеровые всякого рода обучаемы были в Индии, и артиллерия в короткое время может быть многочисленна и в порядке. Разрабатывается медная руда хорошаго качества и свинец достается в изобилии"[2].

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 61.

[2] იქვე.

საარტილერიო საქმის სულისჩამდგმელები ირანში ევროპელები იყვნენ, ჯერ ფრანგები, შემდეგ კი ინგლისელები. აბას-მირზა გარკვეულ ყურადღებას აქცევდა საარტილერიო კადრების მომზადებას, კერძოდ კი ნასწავლი ირანელი ოფიცრებით საარტილერიო დანაყოფთა დაკომპლექტებას. ამიტომ ირანიდან დასავლეთ ევროპაში, კერძოდ კი ინგლისში, აგზავნიდნენ დიდებულთა შვილებს საოფიცრო სკოლაში სასწავლებლად. ერმოლოვის ცნობით, „Аббас-Мирза постигает необходимость в ученых офицерах, и потому несколько молодых людей знатнейшаго рода обучает он в Англии на собственном иждивении“[1].

ირანის რეგულარული კავალერია ამ პერიოდში ყალიბდებოდა. ერმოლოვი ქვეით რეგულარულ ჯარსა („სარბაზებს“) და არტილერიას კარგ შეფასებას აძლევდა, მაგრამ უარყოფითად ახასიათებდა კავალერიას, რომლის სამხედრო მომზადება და საბრძოლო თვისებები ჯერ კიდევ დაბალი იყო, თუმცაღა ამ საქმესაც ინგლისელები ხელმძღვანელობდნენ. ერმოლოვი წერს: „Аббас-Мирза формирует также регулярную конницу... Представьте людей, которые, приобвыкши к хорошему и меткому ружью, заменили его бракованным английским карабином, вместо сабли лучшаго несравненно железа, прицепили английскую саблю в железных ножнах, для того, кажется, чтобы познакомиться с непрерывною ржавчиною. Командующий сею конницею англичанин не мог показать мне оной, отзываясь, что люди недовольно хорошо ездят и лошади еще не выучены“[2].

აბას-მირზა ყოველნაირად ცდილობდა, ირანის კავალერიის საბრძოლო მომზადება ევროპის სახელმწიფოთა არმიების დონეზე დაეყენებინა, რისთვისაც დიდძალი თანხა იხარჯებოდა. ფაქტები მეტყველებენ, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ ინგლისელები ირანის შეიარაღებული ძალების ფორმირებაში. აბას-მირზა ინგლისელების დახმარებითა და ხელისშეწყობით ამ საქმის ორგანიზატორი გამოდიოდა. მას ეს სჭირდებოდა როგორც ირანის სახელმწიფოს დასაცავად, ასევე პირადი ინტერესებისათვის, ტახტის მეტოქის — მამედ-ალი-მირზას წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიუხედავად სამხედრო რეფორმების გატარებისა, ირანის არმია სასტიკად ჩამორჩებოდა ევროპის სახელმწიფოთა არმიებს, რაც ერთხელ კიდევ დადასტურდა რუსეთ-ირანის ომში მისი დამარცხებით. ეხებოდა რა ირანში სამხედრო რეფორმის ჩატარების თავისებურებას, ფრ. ენგელსი წერდა: „В Персии европейская система военной организации была

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 62.

[2] იქვე, გვ. 64.

привита к азиатскому варварству"[1]. სწორედ ამან განაპირობა ირანის არმიის სამხედრო წარუმატებლობა.

ინგლისელი სამხედრო სპეციალისტების დახმარებით ირანის რეგულარული არმიის ჩამოყალიბება კიდევ უფრო ამწვავებდა წინააღმდეგობას ძმებს შორის. ბუნებრივია, მამედ-ალი-მირზა ყველას უპირისპირდებოდა, ვინც აბას-მირზას მხარს უჭერდა. კერძოდ, იგი აქტიურად იბრძოდა ირანში ინგლისელების გავლენის ზრდის წინააღმდეგ.

ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში კარგად გარკვეულ ერმოლოვს, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, რუსეთს ირანის ტახტის მემკვიდრედ ეცნო აბას-მირზა, რომელიც ინგლისელების უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ერმოლოვი დარწმუნებული იყო, რომ შაჰის გარდაცვალებისთანავე დიდი ბრძოლა ატყდებოდა ტახტის პრეტენდენტთა შორის, რადგანაც მამედ-ალი-მირზა ნებით ტახტის დათმობას არ აპირებდა.

ირანის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის იმპერატორის მიერ ირანის ტახტის მემკვიდრედ აბას-მირზას აღიარება ქვეყანას თავიდან ააშორებდა შინაპოლიტიკურ ბრძოლას.

ერმოლოვის წინაშე დასმული საკითხი (რუსეთის მიერ ირანის ტახტის მემკვიდრედ აბას-მირზას ცნობა) ძნელი გადასაწყვეტი იყო, რადგანაც ის მრავალ გარემოებას ითვალისწინებდა: საქმეს ისიც ართულებდა, რომ ეს საკითხი არ აღძრულა სულთანიეში შაჰთან მოლაპარაკების დროს, ამასთან, ერმოლოვს არც საამისო რწმუნება ჰქონდა რუსეთის იმპერატორისაგან. ირანის ტახტის მემკვიდრედ აბას-მირზას აღიარების საკითხი რუსეთის იმპერატორის წინაშე მხოლოდ შაჰს უნდა დაეყენებინა და სხვას არავის[2]. ასეთი იყო ერმოლოვის პასუხი.

ამ პასუხით განაწყენდნენ როგორც აბას-მირზა, ისე მისი დამრიგებელი და უახლოესი მრჩეველი მირზა-ბეზიურგი, რომელიც ერმოლოვის დახასიათებით იყო ადამიანი „Самой черной души и подлых свойств[3]"

მირზა-ბეზიურგმა თავრიზში მოლაპარაკების დროს არ მიიღო ერმოლოვის მიერ სულთანიეში დასმული წინადადება გილიანსა და ასტრაბადში საკონსულოების გახსნის შესახებ იმ მოტივით, რომ ეს ადგილები აბას-მირზას სამფლობელოში არ შედიოდა[4]. თავის მხრივ მირზა-ბეზიურგი რუსეთის ხელისუფლებას სთხოვდა, ნება დაერთო დაღესტანში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილისათვის. ირანში დაბრუნებულიყო. ამაზე ერ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. соч.. т. XI, ч. I, стр. 162.
[2] Записки А. П. Ермолова. ч. II, стр. 68. 69.
[3] Н. Дубровин. История войны.... т. VI, стр. 273.
[4] Акты, VI, ч. II, Д. 328, стр. 170—171.

მოლოვმა კატეგორიული უარი განაცხადა. იგი მოითხოვდა, რომ ალექსანდრეს, როგორც რუსების მტერს, თავშესაფარი არ მისცემოდა ირანში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას რუსეთის მთავრობა საზავო ხელშეკრულების დარღვევად ჩათვლიდა. ალექსანდრე ბატონიშვილი, ეს ამბავი რომ შეიტყო, ერევნის სახანოში გაიპარა, საიდანაც ხანის მეშვეობით შაჰს უკავშირდებოდა. ერევნის ხანი ალექსანდრე ბატონიშვილს ფინანსურად ეხმარებოდა. ალექსანდრე ერთგული პირების მხარდაჭერითა და დახმარებით მალულად ახერხებს მთიდან ჩამოსვლას და 1818 წლის აგვისტოში მარაბდის, ქვეშისა და ალგეთის გზით ახალციხის საფაშოში გადასვლას.

ალექსანდრე ბატონიშვილის ირანში დაბრუნებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით მირზა-ბეზიურგმა წამოჭრა საკითხი რუსი სამხედრო ტყვეების დაბრუნების შესახებ, რასაც სულთანიეში ერმოლოვი შაჰთან საუბრისას მოითხოვდა.

ირანელები რუსი სამხედრო დეზერტირებისა და ტყვეებისაგან აკოწიწებდნენ ბატალიონს, რომელიც, როგორც ითქვა, „ბაგრადანის“ ბატალიონის (ანუ „რჩეული ბატალიონის“) სახელწოდებით იყო ცნობილი[1], აბას-მირზა მათ საგანგებო პირობებს უქმნიდა, თავისი პოლიტიკის იარაღად იყენებდა.

ერმოლოვმა ამ ბატალიონის დაშლა და სამხედრო ტყვეების რუსეთში დაბრუნება მოითხოვა[2]. დიდი ნაწილი გამოქცეულებისა და სამხედრო ტყვეებისა, რომლებიც ზემოაღნიშნული საქმისათვის უვარგისი იყვნენ, სამშობლოს დაკარგვის შემდეგ მონურ პირობებში ჩავარდა. ამიტომ ბევრი ტყვე რუსეთის ხელისუფლებისაგან პატიებასა და შინ დაბრუნების უფლებას ითხოვდა.

მ ი ს ი ი ს წევრთა ერთი ნაწილის შეხვედრა მათთან არანორმალურ ვითარებაში მოხდა. ირანის ხელისუფალნი წინასწარ ახდენდნენ გამოქცეულთა და ტყვეთა დამუშავებას, დაშინებას და ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მათ ხელი აეღოთ განზრახვაზე. საქმეში ჩახედული ერმოლოვი ამის შესახებ მირზა-ბეზიურგს შემდეგ მოახსენებდა: „Известны мне все обстоятельства и каким образом русские чиновники допущены были спросить беглых о желании их возвратиться. Известно, какой жестокий присмотр учрежден за беглыми, чтобы они не имели случая обнаружить желание свое и показать раскаяние“.[3]

---

[1] „Тифлисские ведомости“ 20 сентября, 1829 г. „Современная история“,
[2] И. Е н и к о л о п о в, Грибоедов и Восток, Ереван, 1954, г., стр.22.
[3] Акты, т. VI, ч. II, д. № 328, стр. 171.

ირანის ხელისუფლების წარმომადგენელთა მყარი პოზიცია ტყვეების მიმართ მხოლოდ საკუთარ ძალებს როდი ემყარებოდა.

ერმოლოვმა სცადა, სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების გზით ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ განეწყო, მაგრამ უშედეგოდ. მრავალმა სადავო საკითხმა იჩინა თავი ირანსა და რუსეთს შორის, რის გამოც მდგომარეობა გამწვავდა და სასაზღვრო დავაც კი გადაუჭრელი დარჩა.

რამ გამოიწვია ირანის მესვეურთა ამგვარი უკომპრომისო დამოკიდებულება რუსეთის მისიის მიმართ?

როგორც აღვნიშნეთ, აბას-მირზამ ინგლისის სამხედრო ფინანსური დახმარებით შეძლო ირანის არმიის გარდაქმნა, შექმნა რეგულარული პოლკები, საუკეთესო არტილერია, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. საფუძველი ჩაეყარა რეგულარულ კავალერიას. ირანში აშენდა ქვემეხების ჩამოსასხმელი, თოფებისა და თოფის წამლის, საარტილერიო ჭურვებისა და სხვა სამხედრო დანიშნულების ქარხნები. 1817 წლისათვის აბას-მირზას უკვე ჰყავდა 30 რეგულარული ბატალიონი, თითოეული ათასი მებრძოლით. გარდა ამისა, მას ჰქონდა 100 საველე ქვემეხი. არმიის ფორმირება განუწყვეტლივ გრძელდებოდა, რეკრუტში მომთაბარე ტომებიდანაც კი მიჰყავდათ ახალგაზრდები, იქმნებოდა არმიისათვის საჭირო სურსათის დიდძალი რეზერვი. ჩაცმა-დახურვა ინგლისელების დახმარებით ადვილად ხერხდებოდა. ინგლისი ცდილობდა, ირანი გადაექცია მძლავრ ბუფერულ სახელმწიფოდ და მისი სამხედრო პოტენციალის გაზრდის საშუალებით რუსეთი განედევნა კავკასიიდან, გადაეკეტა მისთვის გზა ინდოეთისაკენ, ხოლო კავკასია თავისი ბატონობის სფეროში მოექცია.

ერმოლოვის აზრით, აუცილებელი იყო ირანში ინგლისის გავლენის შესუსტება, რათა აბას-მირზა უფრო ზომიერი გამხდარიყო რუსეთის მიმართ, მაგრამ ეს ძნელი საქმე გახლდათ, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ირანის არმიის სადავეები უკვე ხელთ ეპყრათ ინგლისელებს, მეორე მხრივ, ინგისელებს ქვეყნის მმართველი წრე, შაჰიდან დაწყებული მინისტრებითა და უფრო დაბალი ჩინის მოხელეებით დამთავრებული, მოსყიდული ჰყავდათ[1]. ახასიათებდა რა აბას-მირზას მდგომარეობას ირანში, გენერალი ერმოლოვი წერდა: „Итак, Аббас-Мирзе предлежит выбор: или пособиями англичан в образовании войск и деньгами Англии удовлетворить ожидание народа, возвращением потерянных областей, и, в случае самой даже

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 56; Акты, т. VI, ч. II, д. № 357, стр. 188.

неудачи, иметь несчастие оправданием молодости, незнания и даже неспособности, в которых до селе его упрекали, или, предавшись с полною беспечностию расположению к России, собственною силою ея покровительства удерживать власть над народом, вопреки его желания и умножая его негодование. Смею полагать, что он не затруднится в выборе перваго, ибо переменою поведения своего уничтожил бы в мнении народа единственное достоинство своей злобы к нам и ненависть.[1]".

უდავოდ სწორი ვარაუდი იყო. აბას-მირზას ინგლისელები სჭირდებოდა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე პირადი ინტერესებისათვის. „რომის რეორგანიზაციისა და მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასთან ერთად, ტახტისათვის ბრძოლაში იგი უშუალოდ ინგლისელებს ეყრდნობოდა; რაც შეეხება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, იგი კავკასიიდან რუსეთის განდევნას მოითხოვდა, რაც ინგლისის საგარეო პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი იყო ახლო აღმოსავლეთში. ამიტომაც ასე გულუხვი ჩანდა ინგლისის სამხედრო-ფინანსური დახმარება ირანის მიმართ. ამაღე მიზეზით, შეუძლებელი იყო, რომ აბას-მირზას რუსეთთან დაახლოების ორიენტაცია ჰქონოდა.

რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესმა დააახლოვა ინგლისი ირანთან. შაჰის პოლიტიკისაგან ინგლისის იზოლაცია უფრო ძნელი საქმე აღმოჩნდა, ვიდრე ამას რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა, რადგანაც ინგლისელებს უკვე მოესწროთ ანტირუსული საქმიანობის შედეგად ფეხის მოკიდება ირანში. ერმოლოვის მისიამ ინგლისის პოზიციები ოდნავაც კი ვერ შეასუსტა, პირიქით, თავისი საქმიანობის ობიექტური შედეგებით უფრო შეუწყო ხელი ირანში ინგლისის გავლენის გაძლიერებას.

მისიამ ვერც რუსეთის საკონსულოების დაწესების საქმე მოაგვარა. ირანის ხელისუფლება საკონსულოების გახსნის წინააღმდეგი იყო, რადგანაც ინგლისელების შთაგონებით, აბას-მირზას სწამდა, რომ სავაჭრო-კომერციულ ურთიერთობას რუსების ჯაშუშური საქმიანობაც მოჰყვებოდა.

რუსი ტყვეების დაბრუნების საკითხიც ვერ მოგვარდა. აბას-მირზა ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ სამხედრო ტყვეები ირანში დაეტოვებინა. ამასთან დაკავშირებით დავა მომავალშიც გაგრძელდა.

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, стр. 58.

ამგვარად, რუსეთ-ირანის მოლაპარაკებამ კიდევ უფრო გააღრმავა წინააღმდეგობა ორ სახელმწიფოს შორის და ხელი შეუშალა მათ დაახლოებას. ამიტომ, ბუნებრივია, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ ომში მათი მოკავშირეობა გამორიცხული იყო.

1817 წლის 10 ოქტომბერს ერმოლოვი ირანიდან თბილისს დაბრუნდა იმ აზრით, რომ შაჰის სასახლე ინგლისის წაქეზებით რუსეთის წინააღმდეგ ახალ ომს ამზადებდა.

თ ა ვ ი II

რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ირანში

კავკასიასთან სავაჭრო ურთიერთობა რუსეთს ძველთაგანვე ჰქონდა; მას უფრო ფართო ხასიათი მაშინ მიეცა, როდესაც კასპიის ზღვისაკენ მიმავალი ვოლგის სავაჭრო გზა რუსეთმა დაისაკუთრა. რუსი ვაჭრები დარუბანდითა და ბაქოთი უკავშირდებოდნენ დაღესტნისა და აზერბაიჯანის სანაპიროებს, ხოლო საქარავნო გზებით მიდიოდნენ შამახიასა და განჯაში, ასტრახანის გზით მოჰქონდათ საქონელი აზერბაიჯანელ და სომეხ ვაჭრებს; ისინი ხშირად მოსკოვშიც კი გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ეზიდებოდნენ კავკასიის ხელოსნური წარმოების საქონელს, ინდოეთიდან შემოტანილ აბრეშუმისა და ბამბეულის ქსოვილებს, საღებავებს, თვალმარგალიტს. ასე ვითარდებოდა ვაჭრობა რუსეთსა და აზიის სახელმწიფოებს შორის.

პეტრე I დიდ შეფასებას აძლევდა ირანისა და ინდოეთისაკენ მიმავალ კავკასიის სატრანზიტო გზას. მისი სურვილი იყო, ევროპის ვაჭრებსაც ამ გზით ესარგებლათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დარიალის გზით საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება. ეს გზა თერგისა და არაგვის ხეობებს მისდევდა მერმინდელი „საქართველოს სამხედრო გზის“ გაყოლებით. მას ხან „ოსეთის გზას“ და ხან „ასტრახანის გზას“ უწოდებდნენ. ამავე გზით ეზიდებოდნენ ქართველი ვაჭრები საქონელს როგორც ასტრახანიდან, ისე რუსეთის სხვა ქალაქებიდანაც[1]. ისინი უკავშირდებოდნენ მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქებსაც[2]. პეისონელის ცნობით, რომელიც XVIII საუკუნის 60-იანი წლების ვაჭრობას შეეხება, თბილისში ყოველდღე ჩამოდიოდნენ სავაჭრო ქარავნები განჯიდან, შამახიიდან, ერევნიდან, თავრიზიდან, ერზერუმიდან[3]. თბილისიდან ყოველთვიუ-

---

[1] Ш. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, стр. 134, Тб., 1959 г.

[2] იქვე.

[3] იქვე.

რად იგზავნებოდა 150—200 ურემი საქონელი ერევანში, თავრიზსა და ერზერუმში. თბილისზე გამოატარებდნენ კონსტანტინოპოლში, სმირნასა და ალეპოში მიმავალ და პირუკუ მომავალ საქონელს. „По этому, как отмечает Пейсонель, „Тбилиси представлял самое удобное место для установления торговли с Ираном", „он являлся ключом ко всем городам Ирана"[1].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი არა მარტო რუსეთსა და საქართველოს შორის, არამედ აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხებთან და ქალაქებთან. ჩრდილოეთ აზერბაიჯანის რუსეთთან შეერთებამ კიდევ უფრო ინტენსიური გახადა სავაჭრო ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან, ირანთან და თურქეთთან; ფართო გზა გაეხსნა რუსეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობას. აკად. პ. გუგუშვილის ცნობით:

რუსეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ ფოლადი, რკინა, თუჯი, კალა, ქაღალდი, ბამბის ქსოვილები, ტილო, მაუდი, ქურქი, ბეწვეული, გვარჯილა, შაქარი, ღორის ქონი, დამარილებული თევზი, ტყავეული, სხვადასხვა სახის ტანისამოსი, ბროლისა და ფაიფურის ჭურჭლეულობა და სხვ.;

ინდოეთიდან მოჰქონდათ ძვირფასი თვლები—მარგალიტი, ზურმუხტი, ლალი, იაგუნდი, ალმასი, ფირუზი, სხვადასხვა ფერისა და ხარისხის შალეული, საღებავები და სხვ.;

ირანიდან — სხვადასხვაგვარი შალი, დიბა-ფარჩა, მრავალფერი ზარბაბი—ოქროს და ვერცხლის ქსოვილი, აბრეშუმის მანდილები, თავსაკრავები და წამოსასხამები, აბრეშუმის სხვადასხვაგვარი ქსოვილი, შალეული, საღებავები, სანელებლები, ჭურჭლეული და სხვ.;

თურქეთიდან — სხვადასხვა ხარისხის, ფერისა და ზომის მანდილები, ოქრო და ვერცხლი, ქსოვილი ფარჩები, ყავა, ჩაი, შაქარი, სანელებლები, ქარვა, მარჯანი, სახელსაქმო-საოჯახო იარაღები, თამბაქო, შუშის ჭურჭლეული, ფანჯრის მინები, საპონი, მარილი და სხვ.

XVIII საუკუნის ბოლოს თურქეთიდან საქართველოში წლიურად შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულება 100.000 მანეთს აღემატებოდა.

აკად. პ. გუგუშვილის გამოკვლევით მხოლოდ ირანიდან შემოტანილი აბრეშუმის საერთო ღირებულება XVIII საუკუნის მიწურულს წლიურად უდრიდა 200.000 მანეთს[2]. თუ ირანსა და თურქეთში გატანილი საქონ-

---

[1] Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, стр. 134, Тб., 1959 г.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, გვ. 114, 115, 116, 117, თბ. 1949 წ.

ლის რაოდენობა 1802 წელს აზიაში რუსეთის ექსპორტის 3,3%-ს შეადგენდა, 1807 წელს მან 5,4% შეადგინა, ხოლო 1825 წელს—29,3%[1]. მოყვანილი ციფრობრივი მონაცემი აშკარად მეტყველებს იმას, თუ როგორ გაიზარდა რუსეთის ვაჭრობა ირანთან და ოსმალეთთან კასპიის ზღვისა და დარიალის ხეობაზე გამავალი სავაჭრო გზების ინტენსიური მოქმედების შედეგად.

რუსეთ-ირანის ვაჭრობის მთელი ბრუნვა 1815—1816 წწ. შეადგენდა 1800 ათას მანეთს, ხოლო 1820—1821 წწ. შეადგინა 4.250 ათასი მანეთი, რაც ირანის საერთო საგარეო საქონელბრუნვის ერთ მეხუთედს უდრიდა[2].

მიუხედავად იმისა, რომ აზიის ქვეყნებთან რუსეთის ვაჭრობაში შეინიშნება ერთგვარი ზრდა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მას მაინც არ ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი იმპერიის საერთო ექსპორტში. მაგალითად, აზიის ქვეყნებში 1802 წელს გატანილმა საქონელმა საერთო ექსპორტის 5% შეადგინა, 1807 წელს—6,7%, 1820 წელს—5,7%, 1825 წელს—5,1%, 1830 წელს 6,3%, ხოლო 1850 წელს—11,5%[3]. მაგრამ საგულისხმოა ის, რომ დასავლეთ ევროპაში რუსეთს ძირითადად გაჰქონდა ნედლეული და ნახევარფაბრიკატი (ხე-ტყე, ქონი, კანაფი, დაუმუშავებელი ლითონი, ხორბალი და სხვ.), აღმოსავლეთის ბაზრებზე კი—სამრეწველო საქონელი, უმთავრესად ბამბეულის ქსოვილი. საინტერესოა, თუ რა ადგილი ეჭირა აღმოსავლეთის ბაზრებზე გატანილი ბამბეულის ქსოვილს რუსეთის ამ სახეობის ექსპორტში.

დასტურდება, რომ რუსეთის მრეწველობაში დამზადებული ბამბეულის ქსოვილების მთავარი მომხმარებლები აზიის ქვეყნები იყვნენ, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტი: 1820 წელს აზიის ქვეყნებზე გატანილი ბამბეულის ნაწარმის 88,2% მოდიოდა, 1830 წელს კი—94,1%[4]. აზიის ქვეყნებში გატანილი საქონლის საერთო რაოდენობიდან, კერძოდ, ირანსა და ოსმალეთზე 1825 წელს 29,3% მოდიოდა, 1826 წელს—26,1%, 1827 წელს—30,4%, 1828 წელს—37,0%, ხოლო 1829 წელს—39,7%[5]. ჯერ ირანთან, ხოლო შემდეგ თურქეთთან ომმა უარყოფითი გავლენა მო-

---

[1] М. К. Рожкова. Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX в. и русская буржуазия, стр. 36, М., 1949 г.

[2] Л. С. Семенов. К истории русско-персидских экономических отношений первой трети XIX в. „Научные доклады высшей школы. „Исторические науки", № 1, М., 1958, ст р. 55.

[3] М. К. Рожкова. Экономическая..., стр. 65.

[4] იქვე, გვ. 66.

[5] იქვე.

ახდინა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ვაჭრობის განვითარებაზე.

1825 წელს აზიის ქვეყნებში გატანილი რუსეთის საფაბრიკო ნაწარმის ღირებულებამ შეადგინა 3.217 ათასი მანეთი, აქედან 1.331 ათასი მანეთი, ანუ 41,4% ირანსა და ოსმალეთზე მოდიოდა. 1826 წელს შესაბამისად 3.944 ათასი მანეთიდან ირან-ოსმალეთთან ვაჭრობაზე 1.705 ათასი მანეთი მოდიოდა, ანუ 43,2%, 1827 წელს—5,638 ათასი მანეთიდან 2.402 ათასი მანეთი, ანუ 42,6; 1828 წელს—7,785 ათასი მანეთიდან 3.901 ათასი მანეთი, ანუ 50,1%. 1829 წელს—8.492 ათასი მანეთიდან 4.224 ათასი, ანუ 49.7%, მაშინ, როდესაც შუა აზიასთან ვაჭრობაზე 3.100 ათასი მანეთი, ანუ 36,5% და ჩინეთთან ვაჭრობაზე 1.168 ათასი მანეთი, ანუ 13,8% მოდიოდა[1].

ეს მონაცემები იმას მეტყველებენ, თუ რაოდენ დიდი იყო რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ირანსა და ოსმალეთში XIX საუკუნის 20-იან წლებში.

1813 წელს გიულისტანის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ირანთან გამარჯვებულ რუსეთს შეეძლო, ხელსაყრელ პირობებში წარემართა ვაჭრობა. ადრე ირანის საზღვრებში შემავალი აზერბაიჯანული სახანოები, რომლებიც ახლა რუსეთმა შეიერთა, რუსეთის ვაჭრობაში ჩაებნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდნენ ამიერკავკასიის სახანოებსა და საქართველოს ყოფილ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებში არსებული საბაჟოები. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. პ. გუგუშვილი, „მეფე-მთავართა დროინდელ საქართველოში ვაჭრობასა და საერთოდ კომერციულ მესარეწეობას სხვათა შორის დიდად აფერხებდა საბაჟოთა ქსელის მეტისმეტი სიმრავლე. მეფე, ცალკე ეკლესია, ცალკე მთავარი და კიდევ ცალკე სხვა ფეოდალებიც თავიანთ სამფლობელოებში, სათავადოებში მისასვლელ გზებზე აწყობდნენ საყარაულოებსა და საბაჟოებს და ბაჟს ახდევინებდნენ შემოსატან თუ გასატან საქონელზე“[2].

შინაგანი საბაჟოების არსებობა დიდად უშლიდა ხელს ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ განვითარებას. ცარიზმის მმართველობა გრძნობდა ამას და ცდილობდა მათ გაუქმებას. საქართველოში საბაჟოები იჯარით გაიცემოდა და შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა, რუსეთთან შეერთების შემდეგ ხაზინის საბაჟოები წინანდელი ჩვეულებისამებრ გადაეცათ მეიჯარეებს, რომლებიც ბაჟებს ხელოვნურად ზრდიდნენ[3]. 1804

---

[1] М. К. Рожкова. Экономическая политика..., стр. 69.

[2] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, გვ. 31, თბ. 1949 წ.

[3] იქვე, გვ. 34—35.

წლის 4 მარტს გამოცემული ბრძანებულებით საქართველოს შინაგანი საბაჟოების იჯარით გაცემა უნდა შეწყვეტილიყო და ისინი უნდა გადასულიყო თვით ხაზინის გამგებლობაში, მაგრამ ეს საქმე ჭვიანდებოდა. წლები გადიოდა და შინაგანი საბაჟოები კი კვლავ არსებობდა; რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი ეწინააღმდეგებოდა შინაგანი საბაჟოების მოსპობას იმ მოტივით, რომ რუსეთის ხაზინას ამით შემოსავალი შეუმცირდებოდა[1]. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება საქართველოში შინაგანი ბაჟებისაგან ათავისუფლებდა რუსეთიდან შემოტანილ საქონელს. XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არსებობდა შინასავაჭრო წესების 17 მუხლი და 120 სხვადასხვა სახის ბაჟი, რაც, ბუნებრივია, ზღუდავდა ვაჭრობის განვითარების საქმეს.

ევროპიდან ოსმალეთზე გამავალ სავაჭრო გზაზე (ერზერუმი, ყარსი, თავრიზი) ირან-ოსმალეთის ომის დროს (1821—1823 წწ.) ვაჭრობა შეწყდა. ამის გამო რუსეთი ცდილობდა, სავაჭრო გზა ამიერკავკასიაში გადმოეტანა. რედუტ-კალე-თბილის-თავრიზის გზას უნდა შეეცვალა ევროპიდან თურქეთზე გამავალი სავაჭრო გზა. საჭირო იყო ვაჭრობისათვის ხელისშემშლელი საბაჟოების გაუქმება ამიერკავკასიაში და, მართლაც, 1821 წლის 8 ოქტომბერს შემოღებულ იქნა შეღავათიანი ტარიფით ვაჭრობა, რომლითაც მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე წესდებოდა 5%-იანი ბაჟი. ადრე არსებული ყველა სახე ბაჟისა უქმდებოდა. ასეთი შეღავათიანი საბაჟო ტარიფის დაწესებამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში ვაჭრობის შემდგომ გაფართოებას და კომერციული კავშირის დამყარებას საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან.

როგორც აღინიშნა, შეღავათიანი ტარიფის შემოღება ხელს უწყობდა უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ირღვეოდა ტარიფის ნორმა, რაც უმთავრესად სახელმწიფო მოხელეთა პირად ანგარებასთან იყო დაკავშირებული. პოლკოვნიკ ბარტოლომეის ცნობით,"... Взимание пошлин в Редут-кале под ведомством комендантов и подвержены большому злоупотреблению"[2].

დასტურდება, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლების გაზრდილ ეკონომიკურ მოთხოვნილებას ვერ უპასუხებდა რედუტ-კალე, რადგანაც მას არ გააჩნდა ისეთი ნავსაყუდელი, სადაც შეეძლოთ უცხოეთის სავაჭრო გემებს უშიშრად შესვლა. პოლკოვნიკი ბარტოლომეი აღნიშნავს, რომ

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, გვ. 36—37, თბ. 1949 წ.

[2] ЦГАДА СССР, ф. Разряд XI, д. 1181—1183, л. 25.

„Торговля в Редут-кале свободная, но совсем не так обширная и важная, как полагаем сего, потому что место сие, не имея ни гавани, ни фарватора в речке Хопи, весьма опасна для кораблей, часто претерпевающих кораблокрушения“[1]. აქ ხშირად მოდიოდნენ თურქეთის პატარა, ბრტყელძირიანი სავაჭრო გემები ტრაპიზონიდან და კონსტანტინოპოლიდან, რომლებსაც შემოჰქონდათ მანდარინი, ფორთოხალი და მრავალი წვრილმანი, მათ შორის დიდი რაოდენობით რომი. ბარტოლომეის ცნობით, ყოველწლიურად შემოჰქონდათ 50 ათასი ვედრო რომი, თითოეული ვედრო 22 მან. ასიგნაციით იყიდებოდა. იგი ვარაუდობდა, რომ აქედან რომი გაჰქონდათ სპარსეთში, სევასტოპოლსა და ოდესაში, სადაც ის გაცილებით უფრო ძვირი ღირდა. რედუტ-კალეში შემოჰქონდათ მანუფაქტურის ნაწარმი—მაუდი და სხვა სახის ქსოვილი, გალანტერიის საქონელი, ბროლისა და მინის ნაწარმი თურქეთის, საფრანგეთის და ინგლისის სავაჭრო ხომალდებს.

კავკასიასთან რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისა და მთის მუსლიმანი ხალხების საბოლოოდ დამორჩილების მიზნით, ბარტოლომეის საჭიროდ მიაჩნდა ანაპის, სუჯუკ-კალესა და ფოთის ნავსადგურების იარაღის ძალით აუცილებელი დაპყრობა. კავკასიიდან ოსმალების, გაძევება, ბარტოლომეის აზრით, ბევრად შეუწყობდა ხელს რუსეთის პოზიციების განმტკიცებას და კავკასიის ეკონომიკურ აღორძინებას[2].

პოლკოვნიკი ბარტოლომეი მიუთითებდა სახმელეთო გზების გამართვის აუცილებლობაზედაც. ის გზა, რომელიც რედუტ-კალედან ქუთაისთბილისის მიმართულებით მოქმედებდა, სრულიად უვარგისი იყო სავაჭრო ტრანსპორტისათვის და, საერთოდ, ზღუდავდა ვაჭრობის განვითარებას. მისივე ცნობით, „От Редут-кале дорога в самом худом положении до Кутаиса, нет почти возможности проехать одному верхом, не говоря уже о вьюках“[3].

აღნიშნულ გზას მარტო სავაჭრო-ეკონომიკური დანიშნულება როდი ჰქონდა, მას სამხედრო მნიშვნელობაც ენიჭებოდა, ამიტომაც სწრაფი ტემპით წარმოებდა გზების მშენებლობა, რისთვისაც მაქსიმალურად იყენებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

რედუტ-კალეს გზით საქართველოში ევროპიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება 1823 წელს 1.288.107 მანეთს შეადგენდა, მაგრამ მალე დაიწყო ტრანზიტის ინტენსიური განვითარება. ევროპასა და ირანს შორის ამ გზით ვაჭრობამ რამდენიმე წლის განმავლობაში იმდენად ინტენსიური

---

[1] ЦГАДА СССР, ф. Разряд XI, д. 1181—1183, л. 2 24.

[2] იქვე, ფ. 29 об.

[3] იქვე, ფ. 26.

ხასიათი მიიღო, რომ ირანის ვაჭრობის ცენტრმა სამხრეთიდან—ბუშირიდან ჩრდილოეთში — თავრიზში გადაინაცვლა და ევროპული საქონლით გაივსო აგრეთვე კერმინშის, შირაზისა და გერათის ბაზრები[1]. აკად. პ. გუგუშვილის გაანგარიშებით 1812—1821 წლებში, ე. ი. შეღავათიანი ტარიფის დაწესების წინ ათი წლის განმავლობაში ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა 5.812. 495 მანეთის, ხოლო გატანილ იქნა 964.151 მანეთის საქონელი, მაშინ როდესაც შეღავათიანი სატრანზიტო ტარიფის პერიოდში, რომელიც მხოლოდ ცხრა-ნახევარი წლის განმავლობაში მოქმედებდა, ოფიციალური ცნობების მიხედვით შემოტანილ იქნა 17 მილიონი მანეთის საქონელი, ხოლო გატანილ იქნა 7 მილიონი მანეთის საქონელი[2]. რედუტ-კალე-ირანის ვაჭრობამ ხელი შეუწყო აგრეთვე ქ. თბილისის, როგორც სავაჭრო ქალაქის, გაფართოებას.

საფრანგეთის კონსული გამბა თბილისის, როგორც სავაჭრო ქალაქის, შესახებ წერდა: „ Через Тифлис за последнее время проезжает много англичан, едущих обыкновенно этим путем из Индии в Европу... в Тифлисе встречались „ негоцианты из Парижа, курьеры из Петербурга, купцы из Константинополя, англичане из Калькуты и Мадраса, армяне из Смирны, узбеки из Бухары“[3].

გამბა თბილისს ევროპასა და აზიას შორის მთავარ საკვანძო პუნქტს უწოდებდა. აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს ნაცარტუტად ქცეული თბილისი XIX საუკუნის 30-იან წლებში საუკეთესო ევროპული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში თბილისში უკვე იყო შვიდი „ქარავანსარაი“ (ქარვასლა) სავაჭრო საქონლის საწყობი—უცხოელი ვაჭრებისათვის; აქ გაცხოველებულ ვაჭრობაზე მიგვითითებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ თბილისში 1264 სავაჭრო დუქანი იყო, ამათგან სამი სახელმწიფოს ეკუთვნოდა[4].

1828 წელს თბილისში მყოფი ვინმე უცხოელი მოგზაური აღფრთოვანებული იყო თბილისის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრის, მშვენებით. მას თავისი თვალით უნახავს, თუ როგორ ალამაზებდნენ ქალაქის მოედნებს დატყვევებული სპარსელები და ოსმა-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, გვ. 179, თბ. 1949 წ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 184, თბ. 1949 წ.

[3] А. В. Ф а д е е в. Россия и Кавказ первой трети XIX в., стр. 56—57, М. 1960 г.

[4] Обозрение Российских владений за Кавказом, в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях, часть I, стр. 192, 1836 г.

ლები, რომლებიც თბილისის დაპყრობის იმედით მოიწევდნენ საქართველოსაკენ. როგორც ანონიმი უცხოელის ცნობიდან ჩანს, იგი არა ერთხელ ყოფილა თბილისში, უნახავს, თუ როგორ მეშაობდნენ ჯერ აღა-მაჰმადხანის თანამემამულე ტყვე სარბაზები ოცდაათიოდე წლის წინათ დანგრეული თბილისის ქუჩებისა და მოედნების აღდგენა-გალამაზებაზე, ხოლო შემდეგ—ტყვე თურქები. იგი წერს: „В кратковременное пребывание мое в Тифлисе я совершенно был очарован сим городом. Огромныя здания в европейском вкусе, чистыя площади (устроенныя по распоряжению нынешняго начальства персидскими сарбазами, а ныне продолжаемыя турецкими военнопленными) огромные сады, обширные Караван-сарай, наполненные драгоценными тканями Востока и произведениями европейских мануфактур, публично отправляемыя ремесленниками работы, разнообразие костюмов европейских и азиатских...“[1]. მოყვანილი ცნობა მართლაც ნათელ წარმოდგენას იძლევა XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულის აღორძინებულ თბილისზე, როგორც დიდებულ ქალაქზე.

აკად. პ. გუგუშვილის გამოკვლევით, XIX საუკუნის 20-იან წლებში თბილისიდან ირანში საქონლის ტრანზიტი შემდეგ სურათს იძლევა:

	1822—1826 წ. წ.		1827—1831 წ. წ.	
ბამბა-საქონელი—	3.116.518	მ. ასიგნაც.	8.454.261	მ. ასიგნაც.
სხვა საქონელი—	2.478.310	„	2.558.023	„
სულ	5.594.828	„	11.012.284	„
საშუალოწლიური გატანა . .	1.118.965	„	2.202.457[2]	„

ამგვარად, რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა საქონლის ტრანზიტში თბილისს თავისი ხვედრითი წონა ჰქონდა. ექსპორტში დიდი ადგილი ეჭირა ბამბეულის ნაწარმს.

გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა აგრეთვე კასპიის ზღვის სანაპირო ქალაქებში. კერძოდ ბაქოში. მარტო ერთ თვეში, 1828 წლის ივლისში, როგორც გაზეთი „Тифлисские ведомости“ იუწყება, ქალაქში ნავაჭრმა შეადგინა 182.037 მანეთი და 90 კაპიკი, საიდანაც სახელმწიფომ ბაჟის სახით აკრიფა 9.030 მან. და 64 კაპ.[3] ეს ფაქტი წარმოდგენას გვაძლევს XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს ბაქოში ვაჭრობის შესახებ.

---

[1] Тифлисские ведомости, № II, 1828 г.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება... გვ. 194.

[3] Тифлисские ведомости № 9, 1828 г.

ამგვარად, რუსეთის მიერ საქართველოსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახანოების შეერთებამ ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების აღორძინებას ამიერკავკასიაში და ირანთან და ოსმალეთთან სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას.

შეღავათიანმა ტარიფმა ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ტრანზიტის გაშლას ამიერკავკასიაში. ცარიზმი იძულებული გახდა, შეეკეთებინა სამიმოსვლო გზები, გაეუმჯობესებინა კავშირგაბმულობა და მოესპო შინაგანი საბაჟოები, ვაჭრობის განვითარებას რომ აბრკოლებდნენ. ევროპიდან და ირანიდან შემოსული საქონლის დიდი ნაწილი ამიერკავკასიის ქალაქებში საღდებოდა.

ევროპიდან შემოსული საქონელი არა მარტო ამიერკავკასიის ქალაქებსა და ირანში მიდიოდა, არამედ ხშირად კონტრაბანდისტებს რუსეთის ბაზრებშიც შეჰქონდათ. როგორც აღინიშნა, ამიერკავკასიის ბაზრებზე ევროპულ საქონელში 5%-იან ბაჟს იხდიდნენ, მაშინ როდესაც რუსეთში საიმპერიო ტარიფით დაწესებული იყო 25—30%-იანი ბაჟი. ზოგიერთი საქონლის შემოტანას საერთოდ კრძალავდა მეფის მთავრობა. ევროპული საქონელი თავისი მაღალი ხარისხისა და დაბალი ფასების გამო მყიდველს იზიდავდა და მკაცრ კონკურენციას უწევდა რუსეთის საქონელს საკუთარ ბაზარზე ამიტომ იყო, რომ რუსეთის მრეწველებმა და ვაჭრებმა განგაში ატეხეს უცხოელი ვაჭრებისათვის ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტარიფის გაუქმების შესახებ.

1821 წლის ბრძანებამ შეღავათიანი ტარიფის დაწესების შესახებ გამოაცოცხლა ამიერკავკასიის ვაჭრობა. ამიერკავკასიის ვაჭრებმა დაიწყეს ევროპაში მოგზაურობა, ისინი აქტიურად ებმებიან ლაიფციგის ბაზრობაში. როგორც „კომერჩესკაია გაზეტას“ კორესპონდენტი ლაიფციგიდან იუწყებოდა, 1825 წელს თბილისიდან ბაზრობაზე ჩასულა 10 ვაჭარი, რომლებსაც 400.000 ტალერის ღირებულების საქონელი უყიდიათ, რაც მაშინდელი ფულის კურსით 1.600 ათას მანეთს უდრიდა; მეორედ 1828 წლის ბაზრობაზე კი თბილისიდან ჩასულა 13 ვაჭარი, რომლებსაც 1.100 ათასი ტალერის საქონელი უყიდიათ, ანუ მაშინდელი ფულის კურსით 4.400 ათასი მანეთის ღირებულებისა. ლაიფციგის ბაზრობაზე ყიდულობდნენ უმთავრესად ბამბეულის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს[1]. თბილისელ ვაჭრებს ლაიფციგიდან მხოლოდ შემოჰქონდათ სავაჭრო საქონელი და იქით არაფერი გაჰქონდათ.

სავაჭრო ბაჟის გაუქმებამ და შეღავათიანი ტარიფის დაწესებამ გამოიწვია ამიერკავკასიაში უცხოეთის საქონლის მოზღვავება. დასავლეთ ევროპის გაცილებით იაფი და უკეთესი ხარისხის საქონელი რუსეთის საქო-

---

[1] М. К. Рожкова. Экономическая политика..., стр. 52.

ნელთან კონკურენციაში იმარჯვებდა, რაც უცხოელი ვაჭრების გამდიდრებას იწვევდა და რუსეთში სამამულო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეს ზიანს აყენებდა.

პოლკოვნიკი ბარტოლომეი, რომელიც კარგად გაეცნო ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ მდგომარეობას, ყურადღებას ამახვილებდა სწორედ იმ ფაქტზე, რომ რუსულ საქონელს გვერდს უვლიდნენ ადგილობრივი ვაჭრები. მათ ლაიფციგიდან შემოჰქონდათ დიდძალი ევროპული საქონელი, რომელიც მყიდველთა ფართო მოწონებას იმსახურებდა. იგი წერდა: „Грузинские и армянские купцы, не покупая товары в России, обратились прямо в Лейпциг, где имеют даже своих агентов и привозят товары через Редут-кале“[1]. ქართველი და სომეხი ვაჭრების ასეთი მოქმედება რუსი ვაჭრებისა და მრეწველების უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომაც მათ არაერთი საჩივარი აღძრეს მთავრობის წინაშე.

ისინი წუხდნენ, რომ ტრანზიტი აფერხებდა სამამულო ინდუსტრიის განვითარებას, რადგან ევროპიდან შემოტანილი იაფფასიანი და საუკეთესო ხარისხის საქონელი არა მარტო ირანის, არამედ ამიერკავკასიის ბაზრებიდანაც აძევებდა რუსული მრეწველობის პროდუქციას.

ამასთან დაკავშირებით რუსეთის ფინანსთა მინისტრი ე. ფ. კანკრინი 1824 წელს ერმოლოვს სწერდა: 1821 წელს დაწესებული უბაჟო ტრანზიტი ევროპული საქონლისა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რომ „Фабриканты наши уже жалуются на подрыв со стороны ввозимых французских товаров“[2]. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელი იყო უცხოელი ვაჭრებისაგან რედუტ-კალეში აეღოთ ბაჟი ევროპული ტარიფის მიხედვით. ამასთან, ე. ფ. კანკრინს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა უცხოეთის საქონელზე 10—15%-იანი ბაჟის დაწესება[3]. ამის წინააღმდეგი იყო ერმოლოვი, მაგრამ მთავრობაში ვაჭრებისა და მრეწველების დიდძალმა საჩივარმა მოიყარა თავი, იისინი უცხოელი ვაჭრებისათვის შეღავათიანი ტარიფის გაუქმებას მოითხოვდნენ. 1825 წლის დასასრულს კანკრინი სწერდა ერმოლოვს, რომ უცხოელი ვაჭრების მოზღვავება ძირს უთხრიდა რუსი ვაჭრებისა და მრეწველების საქმიანობაა, რომ უცხოეთის საქონელმა კავკასიით გზა გაიკაფა ირანში და ბაზრიდან განდევნა რუსული საქონელი. კანკრინი სწერდა: „Последствием сего будет то, что Россия допущением иностранцев должна лишиться той части восточной торговли, которую, владея Грузиею и знатною частью Кас-

---

[1] ЦГАДА СССР, ф. Разряд XI, д. 1181—1183. л. 24—25.
[2] Акты, т. VI, ч. I, д. 280, стр. 480.
[3] იქვე.

пийского и Черного морей, могла бы сделать, исключительно своим достоянием к поощрению внутренней промышленности Если бы даже от столь свободного ввоза иностранных товаров и могли извлечь для себя пользу грузинские торговцы, однако же, как сие неизбежно должно послужить ко вреду внутренней промышленности своей империи, то выгоды одной провинции, не имеющей капиталистов и следовательно открывавшей прибыточный путь к обогащению иностранных негоциантов, не должны быть предпочтены целому классу империи, имеющему нарочитые заведения для сбыта своих изделий в тот край и ныне очевидно теряющему от того, что ввозимые в Грузию иностранные товары достаются азиатцам по ценам, несравненно низшим против тех, какие платились за Российские изделия"[1].

ბუნებრივია, რომ უცხოელი ვაჭრების მოზღვავება, ამასთან ერთად ლაიფციგის ბაზრობაზე საქონლის მასობრივი შესყიდვა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ვაჭრების მიერ, ხელს უშლიდა რუსეთის საქონლის გასაღებას როგორც ამიერკავკასიის, ისე ირანის ბაზრებზე. ამიტომ საკითხი სამამულო წარმოების განვითარებისა და რუსი ვაჭრების ბედის შესახებ სერიოზულად დაისვა რუსეთის მთავრობის წინაშე. ამიერკავკასიაში შეღავათიანი საგაჭრო ტარიფის წინააღმდეგ ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა[2]. მას შედეგად მოჰყვა 1831 წლის 3 ივნისის დებულება ამიერკავკასიის ბაზრებში რუსეთის მონოპოლიური მდგომარეობის შესახებ, რაც ევროპის საქონლისათვის ამიერკავკასიის ტრანზიტის დახურვას ნიშნავდა.

ამიერკავკასიაში მფარველობითი საბაჟო სისტემის შემოღებამ ხელი შეუწყო სამამულო წარმოების შემდგომ განვითარებას და რუს ვაჭრებს მონოპოლიური მდგომარეობა შეუქმნა. ყოველივე, ეს ბუნებრივია, ხელს უწყობდა რუსეთის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას.

ირანის ბაზარზე ინგლისის მხრივ რუსეთი გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. როგორც აღინიშნა, წინა აზიაში გადიოდა ცნობილი საგაჭრო გზა-ტრაპეზუნდი—ერზერუმი—თავრიზი. ამ გზით დიდძალ საქონელს ეზიდებოდნენ ევროპიდან ირანსა და აზიის სხვა ქვეყნებში. მისი ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ ფრ. ენგელსი წერდა: „Константинополь и, в особенности, Трапезунт в Азиатской Турции являются главными центрами караванской торговли с Внутренней Азией, с долинами Тигра и Ефрата, с Персией и Туркес-

---

[1] Акты, т. VI, ч. I, д. № 295.

[2] М. К. Рожкова, Экономическая политика..., стр. 82—93.

таном... Трапезунт по своему местоположению приспособлен для этой торговли лучше всякого другого пункта. С тыла к нему примыкают армянские возвышенности, гораздо более проходимые, чем сирийская пустыня и расположен он достаточно близко от Багдада, Шираза и Тегерана"[1].

ამ საქარავნო გზით ეზიდებოდნენ ინგლისელები სავაჭრო საქონელს, მაგრამ ისინი ჩრდილოეთ ირანში სერიოზულ კონკურენციას აწყდებოდნენ რუსი ვაჭრების მხრივ. პირველ ხანებში რუსი ვაჭრები ფრანგული და გერმანული საქონლის მოზღვავებას უჩიოდნენ და ირანის ბაზარზე ინგლისელების კონკურენციას ადვილად იტანდნენ. ფრ. ენგელსის თქმით, „Русские товары проникали вплоть до самого Инда и в некоторых случаях даже пользовались предпочтением перед английскими"[2].

იაფფასიანი რუსული საქონელი, კერძოდ, ბამბეულის ქსოვილები, უფრო ხელმისაწვდომი იყო აზიელი მომხმარებლისათვის. ამას ინგლისელები ვერ ურიგდებოდნენ და მომხმარებლებს ხშირად განაწყობდნენ რუსი ვაჭრების წინააღმდეგ. ირანის მთავრობაც მხარს უჭერდა ინგლისის სავაჭრო პოლიტიკას და თავის ბაზრებზე რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა. ცნობილია, რომ გიულისტანის საზავო ხელშეკრულება იცავდა ორივე მხარის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს, აწესებდა სავაჭრო ბაჟს, ითვალისწინებდა ვაჭრების ხელშეუხებლობას. მაგრამ ირანელები ყველაფერ ამას ხელაღებით არღვევდნენ, რაც დრო გადიოდა, ისინი სულ უფრო თავხედურად და გამომწვევად იქცეოდნენ. გენერალი ველიამინოვი ამის შესახებ 1824 წლის 6 მარტს რუსეთის დიპლომატიური მისიის მეთაურს მაზაროვიჩს სწერდა:

„Поступки персиян время от времени становятся наглее, а действия час от часу преступнее.

Еще в августе месяце минувшего года доходили жалобы от Бакинских судопромышленников на притеснения, делаемыя им Гилянским правительством по продаже соли и нефти, прибавившим на последнюю пошлины по 1 р. с. на каждый хальварь, о прекращении которой в сентябре месяце писал главноуправляющий в Грузии к правителю Гилянской области Шах-задэ Мамед—Риза—Мирзе"[3].

მოყვანილი ფაქტი აშკარად მეტყველებს, რომ ირანის ბაზრებზე უხე-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 9, стр. 12.
[2] იქვე.
[3] Акты, т. VI, ч. II. д. № 257, стр. 284.

შად ირღვეოდა უცხოელი ვაჭრების მიმართ დაწესებული სტატუტი. ადგილობრივი ხელისუფალნი თვითნებურად არღვევდნენ დაწესებულ საბაჟო ტარიფს და ქმნიდნენ არანორმალურ პირობებს სავაჭრო ურთიერთობაში.

ამ საქმეს ვერ უშველა რუსეთის სამოქალაქო, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და გენერალური კონსულის ჩარევამ. მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. ველიამინოვი სთხოვდა რუსეთის წარმომადგენელს მაზაროვიჩს, მკაცრი ნოტით მიემართა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის და მოეთხოვა ახსნა-განმარტება, თუ რას ნიშნავდა მათი ასეთი ყოვლად გაუმართლებელი მოქმედება.

ამასთან ერთად ირანში გრძელდებოდა რუსი ვაჭრების დისკრედიტირება. მოსყიდული სასულიერო პირები ირანელ მომხმარებელს უნერგავდნენ რწმენას რუსული საქონლის უვარგისობისა და გამოუსადეგარობის შესახებ. რუსეთის გენერალური კონსული ვაცენკო 1825 წ. 30 მაისს ერმოლოვს აუწყებდა, რომ გილიანის ხელისუფალნი ინგლისელებთან შეთანხმებით შეურაცხყოფდნენ და ავიწროებდნენ რუს ვაჭრებს.

„Здешнее правительство, — წერდა იგი, — признает Английскую миссию за дружественную. потому что Англия обязалась, давать ежегодно Персии по 200 т. туманов, если только она будет иметь войну с Россиею. Английский двор обратил все внимание свое на пользу торговли и зная от здешней миссии, что Российская торговля взяла верх до такой степени, что во всей Персии английского товара нет в продаже, потому что привозимый из России продается гораздо дешевле, предоставил все Персидския дела Индийской компании, назначившей сюда от себя посланником полк. Магдональда, который через два месяца имеет прибыть сюда. Нет сомнения, что персидский двор по внушению англичан притесняет Российских купцов. а английская миссия старается возобновить несогласие между Россиею и Персиею в уповании принудить персиян покупать их товары и тем уничтожить совсем нашу торговлю“[1].

მოყვანილი საბუთი იმაზე მეტყველებს, რომ ინგლისი უკანასკნელ წლებში, ომის დაწყების წინ, ინტენსიურად ეხმარებოდა ირანს. ამით იმასაც ვიგებთ, რომ რუსეთის იაფფასიან საქონელს ირანის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა, რის გამოც ინგლისელების შთაგონე-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 573, стр. 315.

ბით ირანის ხელისუფლება აუტანელ პირობებს უქმნიდა რუს ვაჭრებს.

ირანის ხელისუფალთა ამგვარი მოქმედება, ბუნებრივია, ირანსა და რუსეთს შორის ურთიერთობას ამწვავებდა და ომის საფრთხეს აახლოებდა.

ზემოაღნიშნული ფაქტების მიხედვით ვასკვნით, რომ XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის საგარეო ვაჭრობაში ამიერკავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, გარდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისა, ის თავისი ქალაქებით რუსეთის სამრეწველო საქონლის გასაღების ფართო ბაზარს წარმოადგენდა, რის გამოც სულ უფრო იზრდებოდა რუსი ვაჭრებისა და მრეწველების ინტერესი ამიერკავკასიის მიმართ. ამასთან, ამიერკავკასია წარმოადგენდა თავისებურ გადასასვლელ „ხიდს", რომელიც უზრუნველყოფდა ირანში რუსეთის საქონლის ტრანზიტს.

ინგლისის ანტირუსულმა პოლიტიკამ შუა აღმოსავლეთში რუსეთსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობაც გაამწვავა და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირიც მოშალა.

მართალია, ცარიზმი მაშინ ჯერ კიდევ არ გამოხატავდა რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებს, მაგრამ ის ხედავდა, რომ მრეწველობის სწრაფი ზრდის შედეგად შექმნილი სასაქონლო პროდუქციისათვის საკმარისი არ იყო საშინაო ბაზარი და ბურჟუაზიას მხარს უჭერდა საგარეო ბაზრების დაპყრობაში.

რუსეთის ცარიზმი აზიის სახელმწიფოებთან ვაჭრობას უყურებდა როგორც საუკეთესო საშუალებას ამ ქვეყნებში თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებისა და საკუთარი სახელმწიფოებრივი საზღვრების უსაფრთხოებისათვის. სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფოებრივი ეკონომიკის დეპარტამენტმა აზიური ტარიფის განხილვისას ამასთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „Взяв в уважение существенное различие не только торговли Россиею, производимой с Азиею от торга ее с Европою, но и политических ее отношений к сим странам света, департамент убедился, что первая как сама по себе, так и по сильному ее влиянию на последние для нас несравненно важнее... Торговлю нашу с Азиею не должно принимать единственно в виде обыкновенного обмена взаимных народных потребностей и обыкновенных торговых спекуляций, но паче как орудие надежнейшее и даже единственное для достижения

важной цели ограждения границ наших и их совершенного успокоения"[1].

რუსი ვაჭრების ამგვარმა შეზღუდვამ და შეურაცხყოფამ ცარიზმი მტრულად განაწყო ირანისა და ინგლისის მიმართ.

ის ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობა, რომელმაც თავი იჩინა ირანსა და რუსეთს შორის, კიდევ უფრო ამწვავებდა ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობას. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა იმით, რომ ირანი თავგამოდებით იბრძოდა ამიერკავკასიაში დაკარგული სახანოების დაბრუნებისათვის.

ირანი, როგორც დავინახავთ, ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებთან ერთად საქართველოს დაპყრობის პრეტენზიას აყენებდა. რუსეთი ამიერკავკასიას თავის სამფლობელოდ აღიარებდა და მას არავის არ დაუთმობდა.

რუსეთის ცარიზმი ამიერკავკასიას უყურებდა აგრეთვე როგორც წიაღისეული სიმდიდრისა და ნედლეულის ამოუწურავ ბაზას. რუსეთის მზარდ მრეწველობას სჭირდებოდა უხვი ნედლეული, რომლის შემოზიდვაც მას ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან უხდებოდა. ამიტომ კავკასიას უნდა შეემსუბუქებინა რუსეთის მდგომარეობა ნედლეულით მომარაგების მხრივ. შემთხვევით კი არ წერდა პ. ვიშესლავცოვი, რომ ამიერკავკასიამ რუსეთს უნდა მისცეს ის ნედლეული, რასაც ევროპას ორივე ინდოეთი აძლევსო. ის თანხა, რაც კავკასიის ეკონომიკური ათვისებისათვის დაიხარჯებოდა სულ მოკლე ხანში, მისი აზრით, ანაზღაურებული იქნებოდა აბრეშუმის, ბამბის, საღებავების, ნავთის, ღვინის და სხვა პროდუქტებიდან და ნედლეულიდან მიღებული შემოსავლით.[2]

მართლაც, ამიერკავკასიის პოლიტიკურ დაპყრობას უნდა მოჰყოლოდა ეკონომიკური დაპყრობაც, მაგრამ ეს უფრო რთული და ნელი პროცესი იყო.

კავკასიის ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრით თავის დროზე დაინტერესებას იჩენდნენ პეტრე I და ეკატერინე II. საქართველოდან არც ერთი დიპლომატიური მისია არ ჩასულა რუსეთში ისე, რომ მას რუსეთის მმართველი წრეების ყურადღება არ გაემახვილებია ქვეყნის წიაღისეულ სიმდიდრეზე. ამით ისინი ცდილობდნენ, დაინტერესებინათ რუსეთი, რომ მას დაეჩქარებინა თავისი მფარველობის ქვეშ საქართველოს მიღება. 1769 წელს პეტერბურგში ჩასული მიტროპოლიტი მაქსიმე ეკა-

---

[1] М. К. Рожкова, Экономическая политика царского правительства... стр. 43—44.

[2] П. Вышеславцов. Взгляд на Закавказье в хозяйственном и торговом отношении его к России (см. журнал „Сын отечества и Северный архив", СПБ, 1834, X IV, № 27, стр. 250—251 . მოყვანილია პ. გუგუშვილის მითითებული წიგნიდან, გვ. 449.

ტერინე II-ს აუწყებდა საქართველოში ისეთი ადგილების არსებობას, სადაც უხვად შეიძლებოდა ოქროსა და ვერცხლის მოპოვება[1].

ჯერ კიდევ მაშინ, როცა სახელმწიფო საბჭო იხილავდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს, „ერთმორწმუნეობისა“ და „კაცთმოყვარეობის“ პოლიტიკით მოქმედი იმპერატორი 1800 წელს ვულისყურით ისმენდა მუსინ-პუშკინის მოხსენებას საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად იმ სარგებლობის შესახებ, რისი მოტანაც მას შეეძლო რუსეთისათვის. იქ აღინიშნა საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობაც ირანთან და ოსმალეთთან ომის შემთხვევაში, აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება ხელს შეუწყობდა ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას. მაგრამ, პირველ რიგში, ამიერკავკასია თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით საუკუნეთა მანძილზე იპყრობდა რუსეთის ყურადღებას. გარდა ამისა, ხაზი გაესვა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს, რომლის ექსპლუატაცია დიდ მოგებას მოუტანდა რუსეთს[2], ლაპარაკი იყო „о удобности и выгодах присоединения Грузии к державе Российской“[3].

ამიერკავკასიის ცალკეული პროვინციების შეერთებას რუსეთი უყურებდა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით, რომლის სინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს რუსი მოხელის ლიტვინოვის მიერ 1804 წ. შედგენილი სამეგრელო-იმერეთის კოლონიური ექსპლუატაციის გეგმა, სადაც ნათქვამია იმ სარგებლობათა შესახებ, რომელთა მოტანაც შეეძლო სამეგრელოსა და იმერეთის რუსეთთან შეერთებას. იქ ვკითხულობთ:

„I. ს ა ე რ თ ო ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ხ ა ს ი ა თ ი ს მ ქ ო ნ ე ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა ნ ი:

1. სამადნეების დამუშავება; 2. ტყეების ექსპლუატაცია გემთმშენებლობისათვის, 3. თურქეთთან ომის დროს ამ ტერიტორიითა და ხალხით სარგებლობა; 4. კავშირგაბმულობა და მიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის ზღვით-სევასტოპოლიდან, რის შედეგადაც მიიღწევა თერგის ხეობაში ჯარის შენახვის ეკონომია და გარდა ამისა მოხერხდება ამ ჯარის, უფრო მეტი ზომით გამოყენების მიზნით, გადაყვანა იმერეთსა და სამეგრელოში და აქედან მათი ამოძრავება ტერიტორიების კიდევ უფრო გასაფართოებლად; 5. რადგან სამეგრელო-იმერეთში მიმოქცევა-

---

[1] А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии., т. I, СПБ, стр. 92.

[2] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа., т. 2, стр. 464, СПБ, 1869 г.

[3] Архив государственного Совета., т. 2, 1796—1801 гг., стр. 881, СПБ, 1888, შდრ. Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 гг., стр. 18, СПБ, 1866 г.

ში მყოფი თურქული ფული მეტად მდარე ღირსებისაა, შეიძლება რუსული მონეტა გადაკეთდეს თურქულად ან გადახურდავებულ იქნეს მცირე ფული ჩერვონცებზე (ჰოლანდ.) კონსტანტინოპოლში, რაც ხაზინას დიდ სარგებლობას მოუტანს (რუსული 1 მანეთი ორჯერ მეტი ნომინალით გაცა) და დააფარვინებს ჯარის შენახვისა და ლაშქრობათა ხარჯებს.

II. კერძო ანუ სავაჭრო ხასიათის სარგებლობანი:

მას შემდეგ, რაც შავ ზღვაზე მოეწყობა ნავსადგურები: 1. ჰაერის გაჯანსაღებისა, გზების გაყვანისა, ჭაობების დაშრობისა და ხორბლეულის კულტურისათვის უნდა გაიჩეხოს ტყეები, რაც ფარავს ოდიშის უდიდეს ნაწილს; მოჭრილი ტყე შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოტასიუმისა და შუშეულის ქარხნებისათვის. 2. აუარებელი ირმები, ჯიხვები და თხები დიდ ხელსაყრელობას ჰქმნიან საფიანისა და ზამშის ქარხნებისათვის; 3. ვენახის სიუხვე შესაძლებლობას იძლევა მისი კომერციულად ორგანიზებისათვის; აქაური ღვინის სიიაფე გამოიწვევს რუსეთში უცხოეთიდან მოტანილი ღვინოების ფასის დაწევას: 4. ბერძნული თხილი, წაბლი და სხვა ხეხილი იძლევა ვაჭრობისათვის ხელსაყრელ ობიექტებს; 5. აბრეშუმი ბევრი მოდის და იაფია; 6. ხარობს ბამბა; 7. კერძო ვაჭრებს დიდ სარგებლობას მოუტანს მარილით ვაჭრობა, ხოლო სახელმწიფო ვაჭრობის დროს შეიძლება გადაიცვალოს ღომზე, რაც გამოიყენება ჯარისათვის კრუპის ადგილას. აქ მარილს პურეულზე გაცვლით ღებულობენ, რაც იწვევს პურეულის გატანას და ნიადაგს ამზადებს შიმშილობისათვის, 8. მეთევზეობის იჯარით გაცემით ხაზინას შეემატება ახალი შემოსავალი. 9. დასასრულ, დრო აღმოაჩენს მეურნეობის ახალ დარგებს, რომელიც ჯერ უცნობია"[1].

მოყვანილი დოკუმენტი ნათელს ჰფენს რუსეთის ცარიზმის კოლონიურ საგარეო პოლიტიკას, მის დაპყრობით ინტერესებს ამიერკავკასიაში. აქ საინტერესოდაა გადმოცემული ის სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, რასაც ითვალისწინებდა რუსეთის ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკა. აქ დასმული იყო დასავლეთ საქართველოს შემოერთების შემდეგ უხვი ბუნებრივი სიმდიდრის, მდიდარი ნედლეულის ათვისების საკითხი, რაც ესოდენ სჭირდებოდა რუსეთის იმპერიას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსმა სპეციალისტებმა ინტენსიურად დაიწყეს საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის შესწავლა შემდგომში მისი ექსპლუატაციისათვის.

---

[1] Архив народного хозяйства СССР, ф. ГКК, д. 13141, лл. 20—23 მოყვანილია წიგნიდან: ა. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტ. I, გვ. 421—422. თბ. 1949 წ.

რუსეთის ბურჟუაზია თავგამოდებით იბრძოდა, რომ რუსეთის ემპერიის ფაბრიკა-ქარხნები ამიერკავკასიური იაფფასიანი ნედლეულით მოემარაგებინა. ნედლეულის პირველადი დამუშავებისა და ნახევარფაბრიკატების პეტერბურგში მიწოდების პირველი ცდა იყო პროექტი, რომელიც ასახავდა ამიერკავკასიაში აბრეშუმის პარკის ფარდულების მოწყობას, ტილოსა და მაუდის ფაბრიკების, ტყავეულის, ამუნიციის, სპილენძისა და სხვა ქარხნების აშენების ღონისძიებებს, თუმცა ის არ განხორციელებულა[1]. ცარიზმი საგანგებოდ უშლიდა ხელს დაპყრობილი, განაპირა რაიონების სამრეწველო განვითარებას.

ცნობილია, რომ ა. ს. გრიბოედოვმა და ი. ზავილეისკიმ შეიმუშავეს ამიერკავკასიაში რუსული კომპანიის შექმნის პროექტი, სადაც მოცემული იყო შეხედულებანი ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარებისა და მისი შემდგომი აღორძინების შესახებ. ისინი თავიანთი ვრცელი პროგრამით მოითხოვდნენ ამ მხარეში საწარმოო ძალების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობდა მისი ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების საქმეს. პროექტი ითვალისწინებდა საქართველოში ფაბრიკების აშენებას და სკოლების გახსნას, რომლებიც მოამზადებდნენ სხვადასხვა ხელობის სპეციალისტებს ახალშექმნილი საწარმოებისათვის. უნდა გამოეწვრათ კვალიფიციური სპეციალისტები საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან მინის წარმოებისათვის, მეღვინეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის, ნალეულისა და ბამბეულის ფაბრიკების მოწყობისათვის. პროექტი ფართოდ აჩვენებდა აზერბაიჯანში მეაბრეშუმეობის, ბამბის მეურნეობის გაფართოებისა და ბაქოს ნავთის წარმოების შემდგომი გაზრდის პერსპექტივებს.

ეს შეხედულებანი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული და მათ განხორციელება არ ეწერათ. გენერალმა პასკევიჩმა აშკარად უარყო ეს პროექტი. რადგანაც ამით კოლონიური პოლიტიკის საფუძვლები ირღვეოდა. იგი წერდა: „Не должно-ли смотреть на Грузию, как на колонию, которая доставляла-бы грубые материалы (шелк, хлопчатую бумагу и проч.) для наших фабрик, заимствуясь от России мануфактурными изделиями? В противном случае, при учреждении в Грузии таковых-же мануфактур не ослабнет-ли естественно взаимная связь оной с Россией“[2].

პასკევიჩის ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებს. აქ ჩამოყალიბებულია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მთელი არსი.

სამაგიეროდ, საფეიქრო მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდებო-

---

[1] Акты, т. 2, д. № 457.

[2] Акты, т. VII, д. № 108, стр. 140.

და რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში და საჭიროებდა დიდი რაოდენობით ბამბისა და აბრეშუმის ნედლეულს, აგრეთვე საღებავს.

ცნობილია, რომ სომხეთი განთქმული იყო ბამბის წარმოებით. ჯერ კიდევ ადრე, სანამ აღმოსავლეთ სომხეთი რუსეთს შეუერთდებოდა, ლაპარაკი დაიწყო სომხეთის ბამბის შესახებ.

1827 წლის ნოემბერში პასკევიჩისათვის გადაცემულ დოკუმენტში, ერევნის ოლქის მართვის ზოგად წესებში ყურადღება გამახვილებულია ერევანსა და სარდარ-აბადში არსებული ბამბის მარაგის მოგებით გაყიდვის შესახებ, აგრეთვე „поддерживать промысел обрабатывания и торговли сего продукта и впредь взимать по установленным прежде обычаям часть урожая податью от жителей бумагою“ [1].

სომხეთში ბამბის წარმოების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ცნობა არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით, ერევნის ოლქში იმ დროისათვის აწარმოებდნენ 59 ათას ფუთ ბამბას, ხოლო ნახიჩევანის ოლქში—6 ათას ფუთს[2].

სხვა წყაროს მიხედვით ერევნის ოლქიდან 20-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში შემოჰქონდათ 70 ათასი ფუთი ბამბის ნედლეული, თურქეთში კი გაჰქონდათ 52 ათასი ფუთი. ნახიჩევანის ოლქიდან ორივე მიმართულებით გაჰქონდათ 35 ათასი ფუთი, გოიდან არა ნაკლები 63 ათასი ფუთისა. კუნძულ სალიანზე შეიძლებოდა 590 ათასი ფუთი ბამბის მიღება[3]. ის რაოდენობა ბამბისა, რასაც სომხეთი რუსეთის საფეიქრო მრეწველობას მისცემდა, სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მისი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა XIX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში. მაშინ რუსეთის საფეიქრო მრეწველობას წელიწადში სჭირდებოდა 70—100 ათასი ფუთი ბამბის ნედლეული[4]. რუსი მრეწველები დაბალი ხარისხის გამო ხშირად თავს არიდებდნენ სომხეთის ბამბას და უფრო მეტად შუა აზიიდან შემოჰქონდათ.

რუსეთის საფეიქრო მრეწველობას დიდი რაოდენობით სჭირდებოდა ენდრო და სხვა საღებავი, რომლის ნაწილობრივი მიმწოდებელიც ამიერკავკასია იყო. ძირითადად ენდროს საღებავი რუსეთს შემოჰქონდა ჰოლანდიიდან, საიდანაც 1836 წელს შემოზიდა 83 ათასი ფუთი ენდრო, 1840 წელს კი—166 ათასი ფუთი[5]. საფეიქრო მრეწველობის ზრდასთან ერთად

---

[1] М. К. Рожкова. Экономическая политика царского правительства..., стр. 110—111.

[2] Обозрение Российских владений за Кавказом, ч. IV, стр. 280, 340, СПБ, 1836.

[3] М. К. Рожкова. Указ. Соч., стр. 111.

[4] იქვე.

[5] იქვე.

იზრდებოდა საღებავებზე მოთხოვნილება. ენდროს მოშენებას მიმართავ-დნენ დარუბანდის ოლქში. 30-იანი წლების დასაწყისში დარუბანდიდან გატანილი ენდრო გაყიდულა ასტრახანში, ყაზანში. ნიჟნინოვგოროდსა და მოსკოვში 35 ათასი ფუთის რაოდენობით[1].

მართალია, ამიერკავკასიის ენდრო ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებას. მაგრამ მისი მოყვანა დაიწყეს ბაქოს, ყუბის, განჯისა და სხვა ყოფილმა სახანოებმა, სადაც საამისო ბუნებრივი პირობები იყო.

ამასთან ერთად მოსახლეობა ველურად მოსულ ენდროსაც აგროვებდა, თუმცა ის შედარებით ნაკლები რაოდენობისა და მდარე ხარისხისა იყო.

ენდროს მოპოვება ამიერკავკასიაში 100 ფუთიდან (1812 წელს) გაიზარდა 140 ათას ფუთამდე (1850 წ.)[2], რაც იმას მოწმობს, რომ ამ კულტურის განვითარებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ, რათა მას რუსეთის საფეიქრო მრეწველობის მზარდი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა.

რუსეთის საფეიქრო მრეწველობაში აბრეშუმის ქსოვილების წარმოება გაცილებით ნელი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე ბამბეულის ან შალეულისა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში შალეულის წარმოება გაიზარდა 3.5-ჯერ, ბამბეულის—22-ჯერ, მაშინ როდესაც აბრეშუმის წარმოება მხოლოდ ორჯერ გაიზარდა[3].

აბრეშუმის წარმოება ძირითადად რუსეთის საშინაო ბაზრის სამსახურში იმყოფებოდა. მისი ექსპორტი ვერცხლით 100 ათას მანეთს არ აღემატებოდა. ის ძირითადად გაჰქონდათ ირანში, თურქეთში და შუა აზიაში. შუა აზიიდან შემოტანილმა აბრეშუმის ქსოვილმა XIX საუკუნის დასაწყისში, მიუხედავად პროტექციონისტული ტარიფის არსებობისა, ნახევარი მილიონი მანეთი შეადგინა[4].

რუსეთში აბრეშუმის ქსოვილის წარმოებისათვის საჭირო იყო მისი ნედლეულის წარმოების გადიდება. ამიერკავკასიაში აბრეშუმის მოპოვების მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა XIX საუკუნის პირველ მესამედში. მაგალითად, შაქის პროვინციაში 1822 წელს აბრეშუმი 1760 ფუთს უდრიდა, 1827 წელს—8170 ფუთს. 1829 წელს ამიერკავკასიიდან რუსეთში გაიტანეს 15 ათასი ფუთი აბრეშუმი, მაშინ, როდესაც აბრეშუმის

---

[1] М. К. Рожкова. Указ. Соч., стр. 114.

[2] Г. К. Бакрадзе. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, стр. 16, Тб., 1958 г.

[3] М. К. Рожкова. Экономическая политика царского правительства... стр. 118.

[4] იქვე.

ნედლეულის იმპორტმა იტალიიდან, საფრანგეთიდან და სპარსეთიდან შეადგინა მხოლოდ 12,5 ათასი ფუთი[1].

მოყვანილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ რუსეთში ამიერკავკასია თავისი ნედლეულის მარაგით დიდ ინტერესს იწვევდა. თუმცა ცარიზმის მიერ კავკასიის ეკონომიკური დაპყრობა საერთოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ის გაცილებით უფრო გვიან მოხდა.

რუსეთისათვის ცნობილი იყო ამიერკავკასიის ნედლეულის ამოუწურავი რუსურსები. სწორედ XIX საუკუნის 20-იან წლებში გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ რესურსების ასათვისებლად. ცარიზმი მზად იყო, დაეცვა ამიერკავკასიის მდიდარი ნედლეულის რესურსები და გაეფართოებინა თავისი გავლენის სფერო შუა და ახლო აღმოსავლეთში. ამიერკავკასიის მდიდარი რესურსების ათვისებას რუსეთი ხვალინდელი დღის თვალით უყურებდა და, ცხადია, მას არავის დაუთმობდა.

ამგვარად, ამიერკავკასიის სტრატეგიული მდებარეობა, მისი სავაჭრო ეკონომიკური პოტენცია ქვეყნის ცხოვრებაში და უხვი მარაგი ნედლეულისა, რომლის ათვისებაც მხოლოდ ახლა იწყებოდა, აძლიერებდა რუსეთის ინტერესს ამ ქვეყნის მიმართ და მას გზას უხსნიდა ირანისა და ოსმალეთისაკენ. რაც შეეხება ირანის დაპყრობითს პრეტენზიას საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიების მიმართ, ის აშკარად უდღეური ჩანდა. გარდა იმისა, რომ რუსეთი არავის დაუთმობდა აღნიშნულ ქვეყნებს, ადგილობრივ მოსახლეობას, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე გამოცადა ირანისა და ოსმალეთის ბატონობის სისასტიკე, რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა ერჩია. იგი მზად იყო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა რუსი ჯარისკაცების გვერდით თავის სამშობლო მხარეში უშიშარი ყოფა-ცხოვრების დამკვიდრებისათვის.

---

[1] М. К. Рожкова. Экономическая политика царского правительства... стр. 129—130.

თ ა ვ ი III

ირან-ოსმალეთის ომი (1821—1823 წწ.) და ერზერუმის საზავო ხელშეკრულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო. ირანი გიულისტანის საზავო ხელშეკრულების დარღვევისათვის იღვწოდა; არც ირანსა და ოსმალეთს შორის იყო ნორმალური ურთიერთობა. ძველთაგანვე ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფო საზღვარი ზუსტად არ იყო გამიჯნული, რის გამოც მათ შორის გაუთავებელ სასაზღვრო ინციდენტებს ჰქონდა ადგილი. ზოგიერთ მოსაზღვრე ოლქზე პრეტენზიას აცხადებდა როგორც ირანი, ასევე ოსმალეთი. ამ ოლქებში მცხოვრები ტომები ხშირად უაჩაღური ძარცვის შემდეგ გარბოდნენ და მეზობელ ქვეყანას აფარებდნენ თავს. გარდა ამისა იყო შემთხვევები, როცა ირანელი და ოსმალო ხანები ერთმანეთის საშინაო საქმეებში ერეოდნენ, რაც გაუთავებელ ბრძოლებს და ზოგჯერ ომსაც იწვევდა.

ოსმალეთი ხშირად უჩიოდა შაჰის ვაჟს მამედ-ალი-მირზას, რომელიც ბაღდადისა და სხვა სასაზღვრო ტერიტორიებს თავის ვასალურ პროვინციებად თვლიდა. იგი ხშირად ერეოდა ოსმალეთის სასაზღვრო პროვინციების საშინაო საქმეებში. ასე იქცეოდნენ ერევნისა და ირანის სხვა ხანებიც. რუსეთის ელჩი ბარონი სტროგონოვი 1817 წლის 8(20) აპრილს კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდა, რომ ბაიაზეთის იბრაჰიმ ფაშა, რომელსაც ბრალი ედებოდა სახელმწიფოს წინაშე დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მაგრამ იგი შეიფარა ერევნის ხანმა და თავისი ჯარების დახმარებით სცადა ბაიაზეთში მისი უფლების აღდგენა. სტროგონოვის ცნობით, „Сие происшествие было причиною весьма неприятных объяснений с персидским двором, который наконец доставил удовлетворение Порте, сделав выговор сердарю и приказав вывести персидския войска из пределов турецких“[1].

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. 724, стр. 405.

ასეთი შემთხვევა იშვიათი როდი იყო. ირანში გაიქცა აგრეთვე სულთნის წინაშე ურჩობისათვის ვანიდან განდევნილი დერვიშ-ფაშა, რომელმაც შაჰ-ზადესაგან დამხმარე ჯარი მიიღო და დაეუფლა ვანს, ამოხოცა ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი და იქ გაგზავნილი თურქი მოხელეც იმსხვერპლა[1]. ოსმალეთის სულთანმა ბრძანა დერვიშ-ფაშას დასასჯელად გაეგზავნათ ერზერუმის, ტრაპიზონის, ახალქალაქისა და მუშქის ფაშები ჩაფან-ოღლისთან ერთად და მათ გაერთიანებული ძალებით მოესპოთ ურჩი მეამბოხე, რომელსაც აბას-მირზა ექომაგებოდა[2]. დერვიშ-ფაშას წინააღმდეგ სულთნის ბრძანებით ზღვით გაიგზავნა აგრეთვე არტილერისტთა სამი ასეული 10 ქვემეხითა და 3 მორტირით იმ მიზნით, რომ დახმარებოდნენ იქ განსაცდელში ჩავარდნილ სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებს დერვიშ-ფაშას ჯარის განადგურებაში[3].

მართლაც, ოსმალეთის ჯარებმა ვანი აიღეს, მეამბოხეები შეიპყრეს, დერვიშ-ფაშასა და მის თანამზრახველებს თავები მოკვეთეს და სულთანს გაუგზავნეს. აღნიშნული და მსგავსი სხვა შემთხვევების გამო ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთს შორის იმდენად გამწვავდა, რომ ნიშნად პროტესტისა ირანის ელჩი კონსტანტინოპოლიდან გააძევეს; მაგრამ სულ მალე ინგლისელებმა სცადეს ირანისა და ოსმალეთის შერიგება. ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაურის საპროტექციო წერილით კონსტანტინოპოლში კვლავ გამოჩნდა ირანის ელჩი მირზა-ფერეჯი და მომხდარი ფაქტის გამო პატიება ითხოვა. 1819 წლის 16 სექტემბერს ბარონი სტროგონოვი ერმოლოვს აუწყებდა, რომ ოთხი თვის უკან კონსტანტინოპოლიდან გაძევებული მირზა-ფერეჯი კვლავ ჩამოვიდა და სულთნისაგან პატიებას თხოულობსო.

ოსმალეთის სულთანი განაწყენებული იყო ირანის მიმართ, მას არ სჯეროდა ირანის ხელისუფალთა გულწრფელობისა და ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ მირზა-ფერეჯის განუცხადა, რომ იგი მიღებული იქნებოდა ოსმალეთში არა როგორც სახელმწიფოს ელჩი, არამედ როგორც კერძო პირი. სულთანი ღირსად არ თვლიდა ირანის მთავრობას, რომ მას მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი ჰყოლოდა კონსტანტინოპოლში. მირზა-ფერეჯიმ აბას-მირზას სახელით დახმარება სთხოვა ინგლისის ელჩს — ლისტონს და მას აბას-მირზას წერილი გადასცა. ელჩიც დატრიალდა, თუმცა უშედეგოდ. ირანის მიმართ განრისხებას სულთანი არ მალავდა იმის გამო, რომ ადრე აბას-მირზა მეამბოხე დერვიშ-ფაშას დაეხმარა და სულთნის წინაშე შუამდგომლობაც კი გაუწია მას.

---

[1] Акты, т. VI, ч.II, д.739, стр. 418.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ოსმალეთთან ირანის ურთიერთობა იმანაც გაართულა, რომ შაჰის ვაჟის, ცნობილი მამედ-ალი-მირზას შთაგონებით ბაღდადის საფაშოში გაძარცვის მიზნით შეიჭრა ირანის 20-ათასიანი კორპუსი ინგლისელი ოფიცრების მეთაურობით და მოაოხრა საფაშო, რამაც დიდად გაანწყენა ოსმალეთი, როგორც ირანის, ისე ინგლისის მიმართ. მართალია, ინგლისი დიპლომატიური, ფინანსური და სამხედრო ხასიათის დახმარებას უწევდა როგორც ირანს, ისე ოსმალეთს, მაგრამ სულთანი ინგლისელი ოფიცრების მეთაურობით ბაღდადის საფაშოს გაძარცვას ვერ იტანდა.

ინგლისის დიპლომატიას ხელს არ აძლევდა ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავება, რადგანაც ის ორივეს რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ უბიძგებდა. ამიტომ ინგლისი ცდილობდა მათს შერიგებას არსებულ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის გზით.

ლორდი ლისტონი არწმუნებდა ოსმალეთის მთავრობას, რომ ირანის კორპუსის თავდასხმა სრულიად შემთხვევით მოხდა, უაჩაღური მიზნით, შაჰის დაუკითხავად[1] და ამიერიდან მსგავს შემთხვევას ადგილი არ ექნებაო. იგი, როგორც აღინიშნა, ცდილობდა ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული კონფლიქტი ჩაექრო. ამიტომ ბარონი სტროგონოვი ერმოლოვს სწერდა: „В. выс-о, конечно, изволили заметить в поведении Листона новыя доказательства хитрой политики английскаго правительства и желания его приобрести особенное влияние на восточныя державы нам соседственныя“[2].

რუსეთის მმართველი წრეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ადრე თუ გვიან ოსმალეთთან ომი გარდაუვალი იქნებოდა, ამიტომ ცდილობდნენ, გამოეძებნათ საერთო ენა ირანთან, ირანის შაჰი პოტენციურ მოკავშირედ გაეხადათ ოსმალეთთან ომში.

ერმოლოვის ელჩობამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასურველი შედეგები ვერ მოუტანა რუსეთს, მაგრამ რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა საბოლოოდ ირანთან დაახლოებისა და დაკავშირების იმედი. იგი ამისათვის სხვადასხვა გზასა და საშუალებას ეძებდა, თუმცა ყოველივე ამას ინგლისის დიპლომატია ხელს უშლიდა. რაც შეეხება ირანში აკრედიტებულ რუსეთის დიპლომატიურ მისიას, რომელსაც მაზაროვიჩი მეთაურობდა, ის აოც ისე მოქნილად მოქმედებდა, რომ ესოდენ დიდი საპასუხისმგებლო ამოცანისათვის თავი გაერთმია. ყოველივე ამას კარგად ხედავდა იმხანად მისიის თარჯიმანი ა. ს. გრიბოედოვი. მაზაროვი-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 744, стр. 421.

[2] იქვე.

ჩი, რომელსაც საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საქმე მიანდვეს, ირანის ბაზრებში დადიოდა და სასპეკულაციოდ საქონელს ყიდულობდა, რითაც დიპლომატის სახელს ჩირქს სცხებდა.[1]

ირანში მაზაროვიჩის უღირსი საქციელით თვითონ ა. ს. გრიბოედოვი ყოფილა განაწყენებული. ნ. ნ. მურავიოვის ჩანაწერიდან ვგებულობთ, „რომ გრიბოედოვი „рассказывал, между прочим, обращение Мазаровича в Персии и каким образом роняет честь своего звания, а следовательно и государя своим поведением в Персии. Когда получены были бумаги из Петербурга, которыми извещали персидский двор, что турки своим поведением навлекают на себя гнев государя и сами задирают нас к войне, надобно было Аббас-Мирзе, что государь желает дать знать всем народам, что не страсть к завоеваниям его к сему понуждает, но единственно неправильные поступки турок против него. Грибоедов ходил к Аббас-Мирзе и объяснял ему сие, говоря, что государь не требует союзников, но дает только ему знать о сем. Аббас-Мирза, обрадованный сим случаем, обещал выставить 50 тысяч воинов и идти на турок, что он и сделал. На другой день Мазарович, увидевшись с ним в саду, стал ему о том же говорить; но вместо того, чтобы соблюсти осторожность, он просил Аббас-Мирзу быть союзником нашим, и в знак благодарности, когда тот объявил свое согласие, схватил у него руку и поцеловал ее. Вот поступок, достойный иностранца наемника в нашей службе“[2].

ასეთი უღირსი საქციელი დიპლომატიური მისიის მეთაურისა, ცხადია, საერთოდ ღირსებას უკარგავდა რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, ამის გამო ა. ს. გრიბოედოვი 1821 წლის ნოემბერში, თბილისში სამსახურებრივი მივლინების შემდეგ, ირანში აღარ ბრუნდება იგი 1822 წლის 19 თებერვლიდან ერმოლოვთან იწყებს მუშაობას „დიპლომატიურ ნაწილში“.

რუსეთის დიპლომატიამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლო ირან-რუსეთის კავშირის გაფორმება. ამავე დროს შაჰი და სულთანი სასაზღვრო ინციდენტების მოსაწესრიგებლად ერთმანეთს დიპლომატიურ მისიებს უგზავნიდნენ და მათ შორის გაუთავებელი დავა წარმოებდა. რუსეთის ხელისუფლებას, ცხადია, აწყობდა მათ შორის ურთიერთობის გართულება. ერმოლოვი შიშობდა, რომ მათ არ გამოენახათ საერთო ენა რუსეთის

---

[1] „Русский архив“, 1886, г., № 12, стр. 446.

[2] „Русский архив“, 1888 г., № 5, стр. 105, см. запись Н. Н. Муравьева от января 1822 года.

წინააღმდეგ. მართალია, ირანსა და ოსმალეთს შორის წინააღმდეგობანი არსებითი ხასიათისა იყო, მაგრამ მას აფიქრებდა, რომ გარეშე ძალების ჩარევით ისინი ერთმანეთს არ დაკავშირებოდნენ.

ერმოლოვი ბარონ სტროგონოვს სწერდა: „Легко быть может, что если Персия не сблизится с Портою собственным движением, то известная вам причина (იგულისხმება საქმეში ინგლისელების ჩარევა, ნ. ქ.) может сблизить их в намерениях и сия причина действует с полною силою и постоянно“[1].

როგორც ითქვა, სულთანიესა და თავრიზის მოლაპარაკებაში რუსეთის მისიის მეთაურმა ერმოლოვმა ვერ შეძლო ირანის მთავრობის მიმხრობა ოსმალეთის წინააღმდეგ, სამაგიეროდ, აბას-მირზამ სცადა, რომ გამოენახა გზები და საშუალებები ოსმალეთთან დაახლოებისათვის. სულ მალე ამ მიზნით ირანიდან ოსმალეთში გაიგზავნა მისია მუღიბ-ალი-ხანის მეთაურობით. ერმოლოვის აზრით, არსებობდა ერთგვარი საფრთხე ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის ჩამოყალიბებისა, რომლის ავტორადაც მას მიაჩნდა აბას-მირზას აღმზრდელი კაიმაკამი მირზა-ბეზიურგი, ცნობილი თავისი ვერაგობითა და მუხანათობით.

ამჯერად, ირან-ოსმალეთის დაახლოებას, ერმოლოვის აზრით, ხელს შეუშლიდა თანდაყოლილი უნდობლობაც ერთმანეთის მიმართ. მაგრამ ირანსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირის გაფორმების ცდაში ინგლისელების ხელი ერია. ერმოლოვი ბარონ სტროგონოვს სწერდა: „Я смею думать, что угадываю сомнение В. Пр. насчет искренности английского посла, что будто он не подкрепил кредитом своим некоторыя действия Мугиб-Али-Хана, или по крайней мере не был-бы предупрежден о том соотечественниками своими, нанимающимися в службу Аббас-Мирзы“[2].

ოსმალეთში ჩასულმა მუღიბ-ალი-ხანმა წინადადება შესთავაზა ოსმალეთის მთავრობას, დაედოთ თავდაცვითი და შეტევითი კავშირი საერთო მტრის—რუსეთის წინააღმდეგ. ირანის ელჩმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის მზარდ ძლიერებაზე და გამოთქვა რწმენა, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, სახიფათო იქნებოდა მუსლიმანური სამყაროსათვის. ამიტომ მუღიბ-ალი-ხანი „Лаская самолюбие султана, говорил, что, заключив союз с Персиею и распространив его на все магометанския владения, Оттоманский император станет главою союза и тем возвратит престолу своему весь блеск древних халифов, преемником которых, султан себя называет“[3].

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 719, стр. 401.

[2] Акты, т. VI, ч. II д. № 734, стр. 411.

[3] ი ქ ვ ე, ს. № 357, გვ. 189.

ოსმალეთის სულთანი არ იყო დარწმუნებული შაჰის გულწრფელობაში, ამასთან ერთად იგი თავის ქვეყანას ჯერ კიდევ მოუმზადებლად თვლიდა ასეთი დიდი საქმისათვის. ამიტომ მან უნდობლად შეხედა შემოთავაზებულ წინადადებას და ირანის ელჩი ცივად გაისტუმრა. ამის საფუძველს იძლეოდა ის ცუდი მეზობლობა, რომელიც ბოლო ხანებში მათ ერთმანეთთან ჰქონდათ. ირანის ელჩი შესაფერისზე ნაკლები უურადღებით გაისტუმრეს ოსმალეთიდან. სტროგონოვის თქმით „Подарки, кой получил он при отъезде, самые бездельные и по обычаям нашим, показались бы непристойными. Посланнику выдано 10 т. пиастров, а свите его 5 т. и ничего более“[1].

ეტყობა, ინგლისელებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს სულთანი რუსეთის წინააღმდეგ ირანთან სამხედრო კავშირში მონაწილეობაზე დაეთანხმებინათ. რადგანაც ამის მწარე გაკვეთილი ოსმალეთს ადრე მიღებული ჰქონდა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის პირველ ომში 1810—1811 წლებში თურქეთ-ირანის სამხედრო კავშირმა ვერ გაამართლა. ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული ჯარები ახალქალაქთან ორჯერ სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო შემდეგ ერთმანეთი ამოხოცეს[2]. გარდა ამისა, ოსმალეთი განაწყენებული იყო შაჰის მიმართ იმიტომაც, რომ მან გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით რუსეთს დაუკანონა არა მარტო ის ტერიტორიები, რომლებიც ირანთან ომის შედეგად რუსეთის ჯარებმა დაიკავეს, არამედ ისიც, უწინ ოსმალეთის ქვეშევრდომობაში რომ ითვლებოდა, მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი. ირანი, როგორც ოსმალეთის მოკავშირე, გიულისტანში იძულებული გახდა, ეცნო რუსეთის მიერ იმ ტერიტორიების შეერთებაც, რომლებზედაც პრეტენზიას სულთანი აცხადებდა. ამით კი ირანსა და ოსმალეთს შორის უკვე წაიშალა სამოკავშირეო ხელშეკრულების არსებობის ყოველგვარი კვალი. სხვა მიზეზებთან ერთად, ამანაც განაპირობა ირანსა და ოსმალეთს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოვარდნა[3]. ამიტომ იკავებდა თავს სულთანი ირანთან მწარედ მოსაგონარ მოკავშირეობაზე.

კონსტანტინოპოლში მუღიმ-ალი-ხანს საიდუმლოდ შეხვდა ინგლისის ელჩი ლესტოკი, რომელსაც აბას-მირზას წერილი გადასცეს. იგი დახმარებას ითხოვდა ინგლისელებისაგან ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული უთანხმოების დაძლევისა და სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების საქმეში. მაგრამ აბას-მირზას ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩ-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 357, стр. 189—190.

[2] ნ. ქ ო რ თ უ ა, საქართველო 1806—1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 275, 341, 366, თბ. 1964 წ.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 457—458.

ნდა. ლესტოკი აღშფოთებული იყო ირანის დიპლომატიური მისიის წარუმატებლობით.

ინგლისის ელჩი რუსეთის დიპლომატიურ მისიას უმტკიცებდა, თითქოს მას ირან-ოსმალეთის საქმეებთან საერთო არაფერი ჰქონოდეს. ცხადია, რუსეთს არ აწყობდა ირანსა და ოსმალეთს შორის სადავო საკითხების მოწესრიგება და მით უფრო მათ შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება, რისთვისაც ინგლისის დიპლომატია თავგამოდებით იბრძოდა. ბარონი სტროგონოვი ამასთან დაკავშირებით კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდა: „Лесток (ინგლისის ელჩი, ნ. ქ.) имел, конечно, в виду уверит меня, что Англия не имела никакого участия в столь неприязненном для России предложении, но с другой стороны, дал мне почувствовать, что Порта хотя и отклонила ныне внушение Персии, но не совсем удалена показаться сговорчивее на будущее время"[1]. ლესტოკს სურდა, სტროგონოვი დაეეჭვებინა, რომ მომავალში შესაძლებელი იქნებოდა ირან-ოსმალეთის შეთანხმება. ყოველივე ამას იმიტომ აკეთებდა იგი, რომ რუსეთი ორივე სახელმწიფოს მიმართ გარკვეულ დათმობაზე წასულიყო.

ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობამ წარმოუდგენლად დაძაბული ხასიათი მიიღო.

1820 წელს ერზერუმის მმართველმა გადამალა ირანიდან გაქცეული მომთაბარე ტომები და მათს უკან დაბრუნებაზე უარი განუცხადა აბას-მირზას.

ირანში თავიანთი საჩივრებით ანტითურქულ განწყობილებას აღვივებდნენ აგრეთვე ოსმალეთის ხელისუფლების მიერ შევიწროებული მექაში, ქერბელსა და ნეჯეფში მოსიარულე მლოცველები. ირანის ხელისუფლების დიდი აღშფოთება გამოიწვია მექაში სალოცავად მიმავალი შაჰის ერთ-ერთი ცოლის ქარავნის გაძარცვის ამბავმა. ეს ფაქტი გახდა საბაბი ირან-ოსმალეთის ომისა, რომელიც 1821 წელს დაიწყო[2]. აბას-მირზას სურვილი ჰქონდა, ოსმალეთთან ომში გამოეცადა თავისი ჯარი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აბას-მირზამ მოახდინა ირანის არმიის რეორგანიზაცია. იგი ქმნიდა ევროპული ტიპის ჯარს. მან ჩაატარა სამხედრო რეფორმა და დარწმუნებული იყო, რომ ჰყავდა უძლეველი არმია, თუმცა ეს შეხედულება რუსეთის ჯარებთან ბრძოლებში ირანის არმიის მარცხმა სულ მალე გაუქარწყლა.

ოსმალეთთან ომში ირანმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 357. стр. 190.

[2] М. С. Иванов. История Ирана, стр. 138, М., 1952 г.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ოსმალეთი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მას ბრძოლა უხდებოდა აჯანყებული ბერძნების, მოლდავეთისა და ვალახეთის წინააღმდეგ. 1821 წ. ბერძენთა აჯანყებამ დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღება მიიპყრო. მან კიდევ უფრო გაამწვავა აღმოსავლეთის საკითხი. რუსეთის იმპერატორი მტრულად იყო განწყობილი ოსმალეთის მიმართ, იგი ისწრაფოდა, თავისი გავლენა განმტკიცებინა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მას უნდოდა, ბალკანეთში თავისი პროტექტორატის ქვეშ შეექმნა ბერძენთა სახელმწიფო და ამით თავი დაეზღვია სრუტეებზე ინგლისელების კონკურენციისაგან. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი კაპადისტრია წარმოშობით ბერძენი იყო, იგი მხარს უჭერდა აჯანყებას და მოვლენების განვითარების შესახებ სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას იმპერატორს. თვით საბერძნეთში არსებობდა გავლენიანი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც რუსულ ორიენტაციას იზიარებდა. რუსეთმა ოსმალეთთან ომის სამზადისი დაიწყო, მალე მას ნოტა გაუგზავნა და გაწყვიტა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, ხოლო თავისი ელჩი კონსტანტინოპოლში ბარონი სტროგონოვი უკან გამოიწვია. ალექსანდრე I, როგორც „საღვთო კავშირის“ ორგანიზატორი, ამ შემთხვევაში არღვევდა დაკანონებულ პრინციპს, — ბერძნები ხომ თავიანთი „კანონიერი“ ხელმწიფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ბერძნებს მხარს რომ უჭერდა, ალექსანდრე I ამით ევროპაში რევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი „საღვთო კავშირის“ პრინციპებს არღვევდა. ავსტრია რუსეთს უტევდა, რათა მას ბერძნებისათვის მხარი არ დაეჭირა. ინგლისი ავსტრიას თანაუგრძნობდა, რადგანაც მასზე ნაკლებ როდი იყო დაინტერესებული, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთი არ გაძლიერებულიყო.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთი ქრისტიანული ხალხების მფარველად აცხადებდა თავის თავს და ეს მას ხელს უწყობდა დაპყრობითი გეგმების განხორციელებაში. ჩამორჩენილი, ფეოდალური თურქეთის შენარჩუნების, Status quo-ს დაცვის ლოზუნგით ინგლისი ხელს უშლიდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებას, ყოველნაირად ახშობდა იქ ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობას, ასევე აფერხებდა ის ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და სხვა ხალხების განთავისუფლების საქმეს. ინგლისს თურქეთის იმპერია მიაჩნდა ბარიერად ბალკანეთზე რუსეთის ბატონობის გავრცელების წინააღმდეგ[1]. სწორედ ამიტომ იყო ის წინააღმდეგი, რომ მარტო რუსეთი დახმარებოდა ბერძნებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

[1] С. В. Шостакович. Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова, стр. 68, М., 1964 г.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თურქეთის მხრივ რუსეთის სავაჭრო ხომალდების გატარების შემზღუდველი ღონისძიებანი ინგლისის მთავრობას ხელს აძლევდა. ის მოუწოდებდა ოსმალეთის სულთანს, რათა მას ყველა ღონისძიება ეხმარა, რომ აუტანელი პირობები შეექმნა რუსეთისათვის და დაესუსტებინა მისი პოზიციები.

რუსეთს, როგორც აღინიშნა, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ირანთან. ამასთანავე ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ომის დაწყება რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ერმოლოვი 1821 წლის 1 ივლისს ირანში მყოფ რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს მაზაროვიჩს სწერს, რომ ოტომანთა იმპერია განუკითხავად ანადგურებს არა მარტო ბერძნებს, არამედ, საერთოდ, ქრისტიანებს, სისხლში ახშობს აჯანყებებს მოლდაველთსა და ვალახეთში, ხოლო რუსეთის იმპერატორი, როგორც „ქრისტიანთა მფარველი", ამ ფაქტების გულგრილი მაყურებელი ვერ დარჩებაო. ამიტომ ერმოლოვი ავალებს მაზაროვიჩს დააზუსტოს, თუ როგორ წარიმართება მომავალში ირან-ოსმალეთის ურთიერთობა, ხომ არ არის მოსალოდნელი მათი შერიგება და შემდეგ კი გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ. იგი წერდა: „Полезно проникнуть в отношения Персии к Порте и можетли война, наружностью религей прикрытая, соединить сии державы, не взирая на существующую между ними зависть и самое даже чувство ненависти"[1].

მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალეთთან ომის დაწყება გამოიწვევდა ირანისა და ოსმალეთის დაზავებას და მათს გაერთიანებას რუსეთის წინააღმდეგ.

ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის შემდგომი გართულება და ომის გაჩიანურება ხელს არ აძლევდა ინგლისს. ირან-ოსმალეთის კონფლიქტს მხოლოდ რუსეთისათვის შეეძლო სასურველი შედეგების მოტანა. ამიტომ ინგლისის დიპლომატია ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ის ჩაექრო. ამის შესახებ 1821 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ნესელროდე სრულიად მართებულად სწერდა ერმოლოვს: „Зная влияние Великобританских агентов на поступки и намерения двора персидскаго и в особенности Аббас-Мирзы, трудно поверить, чтобы Англия не воспрепятствовала сему нападению Персиян, которое может иметь столь бедственныя последствия для турок, заняв главнейшую и лучшую часть их войск".[2]

1821 წელს, ომის პირველ თვეებში, აბას-მირზამ ირანის აზერბაიჯანის მოსაზღვრე ოსმალეთის რაიონები დაიპყრო, ორი თვის ალყის შემ-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 447, стр. 242.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 462, стр. 250.

დეგ აიღო ბაიაზეთი, ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი და გაემართა ერზერუმისაკენ, დაიკავა ტოპრაკ-კალა, სულეიმანიე და სხვ. ოსმალო ფაშებს შორის არსებული შუღლი აბას-მირზას მტრის დამარცხებას უადვილებდა[1]. ოსმალეთი ირანთან ომში სასტიკ დამარცხებას განიცდიდა. 1822 წელს მეომარ სახელმწიფოთა ჯარში გაჩნდა ქოლერა, რამაც დროებითი დაზავება გამოიწვია. ირანსა და ოსმალეთს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და მათი დაზავებისათვის, მართლაც, ბევრი რამ გააკეთეს ინგლისელებმა. როგორც აღინიშნა, ავსტრიისა და ინგლისის ენერგიულმა ჩარევამ ხელი ააღებინა რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებაზე. ინგლისი ასეთივე მონდომებით იბრძოდა აგრეთვე ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. სწორედ ამას გულისხმობდა გრაფი ნესელროდე, როცა ზემოაღნიშნულ წერილში ერმოლოვს სწერდა: „Желая, чтобы Турция оставалась в мире с державами Европейскими, Англия, без сомнения, желает ей того же и в отношении к Азиатским“[2].

საქმე იქამდე მივიდა, რომ ინგლისის მთავრობამ ინგლისელ სამხედრო სპეციალისტებს, რომლებიც აბას-მირზას ჯარში მსახურობდნენ, ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა, რადგანაც ის ხედავდა, რომ ირან-ოსმალეთის ომი ახლო აღმოსავლეთში მიმართული იყო ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ. რაკი აბას-მირზა ომის გაგრძელებას არ იშლიდა, ირანის მთავრობაზე დიპლომატიური ზემოქმედება რომ მოეხდინა, ინგლისის ელჩმა ჰენრი უილოკმა დატოვა ირანი.

ინგლისის დიპლომატიის დიდი მოწადინებისა და ირანზე ზემოქმედების შემდეგ, 1823 წლის მარტში, შესაძლებელი გახდა ამ ორი სახელმწიფოს დაზავება ქ. ერზერუმში.

მართალია, საომარი მოქმედება ირანის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მაგრამ ერზერუმის საზავო ხელშეკრულებით მეომარი მხარეები უბრუნდებოდნენ თავიანთ ძველ საზღვრებს, ირანის არმია ტოვებდა დაპყრობილ სოფლებსა და ქალაქებს. ოსმალეთში დაკავებული ირანელი ვაჭრები თავიანთი საქონლითურთ თავისუფლდებოდნენ, მათ თავისუფალი ვაჭრობის უფლება ეძლეოდათ, მაგრამ უნდა გადაეხადათ საბაჟო ტარიფი ოსმალეთის სასარგებლოდ არა უმეტეს 3%-ისა.

გარდა ამისა, ოსმალეთი კისრულობდა, ირანიდან მექაში მიმავალი მლოცველები ბაჟის გარეშე გაეტარებინა.

საზავო ხელშეკრულებას ორი საიდუმლო მუხლი გააჩნდა, რომლის თანახმად ირანის მთავრობა ვალდებული იყო ოსმალეთისათვის წართმე-

[1] Тифлисские ведомости от 11 января 1829 г. и 18 января № 3.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 462, стр. 250.

ული ქვემეხების საფასური—15 ათასი თუმანი გადაეხადა. გარდა ამისა, ამ ხელშეკრულებით ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობდა, თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო თავს დაესხმოდა ირანს, სამხედრო ძალით დახმარებოდა მას[1].

ლოიალურ პირობებში ირან-ოსმალეთის დაზავება ინგლისის დიპლომატიის ენერგიული ჩარევის შედეგი იყო. ინგლისი ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეერბილებინა მათ შორის არსებული წინააღმდეგობა და ორივე სახელმწიფო რუსეთის წინააღმდეგ საომრად განეწყო, მით უფრო, რომ რუსეთსა და ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა მწვავდებოდა და ომი მწიფდებოდა. ინგლისში ხომ ჯერ კიდევ 1819 წელს დიდი პატივისცემით მიიღეს ირანის ელჩი აბულ-ჰასან-ხანი. მან გააფორმა ხელშეკრულება ინგლისის მთავრობასთან, რომლის ძალითაც „Английский Кабинет принял на себя гарантировать Персии целость северных ея провинций"[2], ე. ი. ლაპარაკი იყო ირანისათვის იმ ტერიტორიების დაბრუნებაზე, რომლებიც გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა შეიერთა. ჯერ კიდევ ადრე, 1814 წელს, ინგლისსა და ირანს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც ხაზს უსვამდა ირანის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და შაჰს რუსეთთან ომში დაკარგული სახანოების დაბრუნების გარანტიას აძლევდა.

ზემოაღნიშნულიდან აშკარად ჩანს, რომ ინგლისის დიპლომატია ცდილობდა, მიეღწია ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და სასაზღვრო ინციდენტების ლიკვიდაციისათვის. ინგლისის დიპლომატიის ენერგიული ჩარევით აღნიშნულ სახელმწიფოთა შორის ზავი დაიდო. ერზერუმის საზავო ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა ირანსა და ოსმალეთს შორის სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარებას. ოსმალეთის სულთანი ვალდებულებას კისრულობდა, ირანზე გარეშე ძალის თავდასხმის შემთხვევაში მისთვის სამხედრო დახმარება გაეწია. მის მიერ ასეთი ვალდებულების აღება ინგლისის უშუალო ზემოქმედების შედეგს წარმოადგენდა და ამას ინგლისის დიპლომატია აუცილებელ და საჭირო საქმედ მიიჩნევდა. ინგლისი ღრმად იხედებოდა რუსეთ-ირანის დაძაბულ ურთიერთობაში და არც აეკვებდა მათ შორის ომის გარდაუვალობა. ინგლისის დიპლომატია ვარაუდობდა, რომ ომს რუსეთი დაიწყებდა და ამიტომ მან ირანს მოკავშირედ ოსმალეთი ამოუყენა. ეს ორი მტრულად განწყობილი სახელმწიფო ერთმანეთთან დააახლოვა, ოსმალეთი ირანის პოტენციურ მოკავშირედ აქცია. ინგლისი, თავის მხრივ, ირანის მთავრობას ტერიტორიულ ხელშეუხებლობას და რუსეთთან ომში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას აღუთქვამდა.

[1] Акты, ч. VI, ч. II, д. № 523, стр. 282.
[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 744, стр. 421.

თ ა ვ ი IV

რუსეთ-ირანის ურთიერთობის შემდგომი გართულება. მენშიკოვის დიპლომატიური მისია და ირანის ვერაგული თავდასხმა

ზემოთ აღინიშნა, რომ რუსეთის მთავრობამ სადავო საკითხების მოწესრიგების მიზნით ირანში გაგზავნა საგანგებო უფლებებით აღჭურვილი მისია ერმოლოვის მეთაურობით, რომელსაც გარდა სხვა საკითხების მოგვარებისა, დაევალა სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ირანში ინგლისის აქტიური, ანტირუსული პოლიტიკის შედეგად თითქმის ყველა საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

მიუხედავად ამისა, აბას-მირზა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ იგი რუსეთის იმპერატორს ირანის ტახტის მემკვიდრედ ეცნო, მაგრამ მას აფიქრებდა მამედ-ალი-მირზას ძლიერი ოპოზიციური პარტია, რომელიც თავის მხრივ იმისათვის იბრძოდა, რომ რუსეთის იმპერატორს ირანის ტახტზე კანონიერ მემკვიდრედ ეღიარებინა არა აბას-მირზა, არამედ მამედ-ალი-მირზა.

იმპერატორისათვის ირანული ცხენების ჩუქების მომიზეზებით, აბას-მირზამ პეტერბურგში გაგზავნა ავშარის მამედ-ხასან-ხანი, რომელიც 1818 წელს თბილისს ჩამოვიდა. იგი სინამდვილეში შაჰის და აბას-მირზას საგანგებო დავალებით მიემგზავრებოდა იმპერატორთან და მისგან ითხოვდა რუსეთის ავტორიტეტულ დასტურს მემკვიდრეობაზე, რაც აბას-მირზას მოწინააღმდეგე პარტიას აღზევების პერსპექტივას სამუდამოდ დაუკარგავდა. აბას-მირზა წერილში უსაზღვრო ერთგულებას ეფიცებოდა იმპერატორს, ძვირფას მამასაც კი უწოდებდა. ყველაფერი ეს მას გარკვეულ დრომდე, იმპერატორისაგან დასტურის მიღებამდე სჭირდებოდა. თბილისში შაჰისა და შაჰ-ზადეს წერილებს ერმოლოვი გაეცნო. მან 1818 წლის 10 აგვისტოს ნესელროდეს აუწყა, რომ შაჰის ტახტზე რუსეთისათვის უკეთესი იქნებოდა მამედ-ალი-მირზა, რომელიც რუსეთისადმი მტრულად განწყობილი არც ერთი სახელმწიფოს დიპლომატიურ მისიასთან არ იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, სულთანიეში მასთან განცალ-

კევებულმა შეხვედრებმა ერმოლოვი დაარწმუნა, რომ მამედ-ალი-მირზა ინგლისელების დაუძინებელი მტერი იყო, აბას-მირზა კი მათ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა. „Признание Аббас-Мирзы наследником,— წერდა ერმოლოვი, — не удалит от Персии тех бедствий, которыя ей угрожают и не предоставит того благоденствия, которого Государь император в великодушии своем желает соседственной и приязненной державе... Великодушием нельзя покорить сего злодея, и признание дало бы ему новыя к злодеяниям средства"[1].

იგი აუწყებდა ნესელროდეს, რომ უბრალო მოხელის მანტიით შემოსული მამედ-ხასან-ხანი ერთ-ერთი „უკკუიანესი სპარსელი იყო" და ურჩევდა მისგან თავი შორს დაეჭირა, თან დასძენდა, რომ„ Я несомневаюсь, что он имеет с собою подлинныя признания Английскаго правительства, короля французского Людовика XVIII и султана Турецкаго и к тому же целыя тетради писем предместника моего ген. Ртыщева, в коих дает он ему название наследника"[2].

დასტურდება, რომ ოსმალეთის სულთანმა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ერთმა ნაწილმა უკვე ცნეს აბას-მირზა ირანის შაჰის ტახტის მემკვიდრედ, მაგრამ ირანის დიპლომატია გარკვეული მოსაზრებით ამას საკმარისად არ მიიჩნევდა და იმპერატორ ალექსანდრე I-ის დასტურს ითხოვდა. ირანის ჩრდილოელი ძლიერი მეზობლის—რუსეთის იმპერატორის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა აბას-მირზას შემდგომი ბედისათვის.

როგორც ირკვევა, ირანის ელჩმა დაასწრო ერმოლოვს და რუსეთის იმპერატორს გამოსტყუა იმის თანხმობა, რომ აბას-მირზა ეღიარებინა შაჰის მემკვიდრედ ირანში. ალექსანდრე I იმედოვნებდა, რომ აბას-მირზა, თანახმად დაპირებისა, ხელს შეუწყობდა რუსეთსა და ირანს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. რასაც, შესაძლოა, შედეგად მოჰყოლოდა ამ ორ სახელმწიფოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ იმპერატორის ვარაუდი ძირშივე მცდარი იყო. აბას-მირზას არასოდეს უფიქრია ყოფილიყო რუსეთის გულწრფელი მეგობარი და მოკავშირე.

ერმოლოვი შემდეგ სინანულს გამოთქვამდა, რომ მან ვერ მოასწრო

---

[1] Акты. т. VI, ч. II, д. № 367, стр. 198.

[2] იქვე. გვ. 199.

პეტერბურგის გაფრთხილება, რათა იმპერატორს უარი ეთქვა ირანის ელ ჩისათვის.

როგორც კი იმპერატორმა ირანის შაჰის მემკვიდრედ ოფიციალურად ცნო აბას-მირზა, ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ მოითხოვა ყარაბაღის დაბრუნება. იგი ვარაუდობდა, რომ კავკასიის მთის ხალხების აჯანყება ერმოლოვს დათმობაზე წაიყვანდა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კავკასიაში შექმნილი ვითარების გარკვევა.

როგორც აღინიშნა, 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს შეერთებით რუსეთმა საიმედო პლაცდარმი შეიქმნა ამიერკავკასიაში. ირანთან (1804—1813 წწ.) და ოსმალეთთან (1806—1812 წწ.) ომებმა ხელი შეუწყვეს მას ამ პლაცდარმის შემდგომ გაფართოებაში. რუსეთმა არა მარტო შეინარჩუნა აღმოსავლეთი საქართველო, არამედ შეიერთა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიც, დამკვიდრდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და სომხეთის ზოგიერთ რაიონში. მაგრამ ის ტერიტორია, რომელსაც რუსეთი დაეუფლა, მოწყვეტილი იყო იმპერიას კავკასიის მთებით და აქ მცხოვრები ხალხები არ ცნობდნენ მეფის რუსეთის ხელისუფლებას.

რუსეთმა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის დამთავრების შემდეგ ყურადღება მიაპყრო კავკასიის მთიანეთს და ამიერკავკასიაში საბოლოოდ დამკვიდრებისათვის მთაში გაბატონება პირველხარისხოვან ამოცანად დაისახა. თუ XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიის ხაზი თერგსა და ყუბანზე გადიოდა, შემდეგში თანდათანობით დაიწყო მისი გადაწევა სამხრეთისაკენ. კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთამ 1817 წლისათვის თერგიდან სუნჯაზე გადაინაცვლა, სადაც აშენდა „გროზნაიას“ ციხე-სიმაგრე; ცენტრალურ ნაწილში ამ ხაზმა 1821—1823 წლებში მდ. მალკიდან შავ მთებამდე გადაინაცვლა. უფრო გვიან მდ. ყუბანის სათავეებთან მოეწყო ახალი კორდონი, აშენდა ციხე-სიმაგრეები „ნეოტსტუპნი სტანი“, „ბურნაია“ და სხვ.

ახალი ციხე-სიმაგრეებისა და კორდონების მშენებლობას თან ახლდა მთის აულების განადგურება და მოსახლეობის იძულებითი გასახლება საცხოვრებელი ადგილებიდან. ცარიზმის მოხელეთა განკარგულებით იჩეხებოდა ტყეები და ბაღები. ადგილობრივ მოსახლეობას იძულებით ამუშავებდნენ სამხედრო გზებისა და ხიდების მშენებლობაზე. მთავრობის მიერ დაწესებული ბეგარის გადახდაზე მოსახლეობის ყოველგვარი წინააღმდეგობა სასტიკად ისჯებოდა, მას ართმევდნენ პირუტყვსა და სხვა ქონებას „შტრაფებისა“ და „კონტრიბუციის“ წესით“[1].

[1] А. В. Фадеев, Россия и Восточный кризис 20-х годов XIX века, стр. 110, М., 1953 г.

მოსახლეობის აშკარა გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ იარაღისა და დამსჯელი ექსპედიციების ძალით იხშობოდა. წვავდნენ აულებს, ნადგურდებოდა შამა-პაპათა ნაამაგარი. ნ.ნ. რაევსკი კავკასიაში ცარიზმის ამ ანტიხალხური პოლიტიკის შესახებ წერდა: „Наши действия на Кавказе напоминают все бедствия первоначального завоевания Америки испанцами“[1]. ასეთი არაადამიანური მოქმედება ზრდიდა მთიელთა წინააღმდეგობას.

ბარბაროსული მეთოდებით კავკასიის დაპყრობისათვის ცარიზმი დასაყრდენს ადგილობრივ ფეოდალებში ეძებდა; ამიტომაც უჭერდა მხარს მათს უსამართლო პრეტენზიებს და ვინც თავს გამოიჩენდა მის სამსახურში, მაღალ სამხედრო ჩინსა და ჯილდოებს აძლევდა. ამ გზით არაერთ უვიც ხანსა და ბეგს ოფიცრისა თუ გენერლის წოდება ენიჭებოდა და სახელმწიფო ხაზინიდან დიდი ხელფასი ენიშნებოდა.

ცარიზმის ბატონობის დამყარებას კავკასიაში თან სდევდა მშრომელი მასების ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერება. ამიტომაც კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა სოციალური უსამართლობისა და, საერთოდ, მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლის სახეს ღებულობდა.

1817 წ. თერგიდან სუნჯაზე საკორდონო ხაზის გადატანამ იქ მცხოვრები ჩეჩნების დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია[2]. ჩეჩნებმა დახმარება სთხოვეს მეზობელი დაღესტნის ახმედ-ხანს. მან ჩეჩნებთან გაგზავნა ავარიელების რაზმი ნურ-მუჰამედის მეთაურობით, მაგრამ ისინი გროზნოს ციხე-სიმაგრის იერიშის დროს დამარცხდნენ.

1819 წელს დაღესტნის მფლობელი ხანები, ტარკის შამხალის ვამოკლებით, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ.

ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკა კავკასიის ხალხებში სიძულვილს ნერგავდა, რითაც მოხერხებულად სარგებლობდნენ მისი ისტორიული მტრები — ირანი და ოსმალეთი. დაღესტნის ხანებმა დახმარებისა და მფარველობისათვის ირანს მიმართეს.

შიხ-ალი-ხანის მიერ გაგზავნილმა კაცებმა აბას-მირზას დახოცილი რუსი ჯარისკაცების ყურები და ტანის სხვა ნაწილები ტომრით წაეღეს ნიშნად ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებისა და მისგან დახმარება ითხოვეს. შაჰის მემკვიდრემ ისინი თავრიზში ზარ-ზეიმით მიიღო, რაც სამ დღეს გაგრძელდა: ქვემეხებს და თოფებს ისროდნენ ბრძოლებში მოპოვებულ წარმატებათა აღსანიშნავად[3]. აბას-მირზამ ისინი დაასაჩუქრა და თანაც საიმედო დახმარება აღუთქვა.

---

[1] А. В. Фадеев, указ. соч. стр. 309.

[2] „Кавказскій сборникъ“, т. X, стр. 38—40, შდრ. Н. Д. Дубровин, История войны..., т. VI, стр. 333—348.

[3] Акты, т. VI, ч. II, д. № 390, стр. 213.

„Аббас—Мирза... обнадежил своею помощью и отправил до 20.000 руб. Ших-Али-хану на наем войска“[1] ამგვარად, ირანის შაჰის მემკვიდრე ცდილობდა, რუსეთის მოწინააღმდეგე ძალები გაეძლიერებინა და დიდძალი ფინანსური დახმარებით გაეაქტიურებინა მათი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ.

1822 წელს მდინარე მალკის გაღმა საკორდონო ხაზის გადატანასთან დაკავშირებით ყაბარდოელთა რამდენიმე აულის გასახლების გამო, რომლებიც მდ. ყუბანსა და მალკას შორის მდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, აჯანყებამ იფეთქა. გლეხთა ამ ანტიკოლონიურ აჯანყებას ფეოდალები ჩაუდგნენ სათავეში, მაგრამ ეს აჯანყება ჩააქრეს და აჯანყებულები სასტიკად დასაჯეს.

ამგვარად, ანტიკოლონიური მოძრაობის მთავარ კერას ჩრდილოეთ კავკასიაში 1817—1823 წლებში წარმოადგენდა ჩეჩნეთი, დაღესტნის მთიანეთი და ყაბარდო. ამ აჯანყებებს არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, ცარიზმი იოლად ახერხებდა მათ ჩაქრობას, მოჯანყეთა დასჯას, აულების მასობრივად გადაწვას. გენერალი ერმოლოვი, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დემოკრატიული შეხედულებებით იყო დაკავშირებული დეკაბრისტებთან, სისასტიკეს იჩენდა აჯანყებულთა მიმართ. ა. ს. გრიბოედოვის გადმოცემით, მას კავკასიის მთიანეთში „ღვთის რისხვას“ ეძახდნენ, დედები ბავშვებს ერმოლოვის სახელით აშინებდნენ[2]. ამ დროს აბას ბირზა იმაზე ზრუნავდა, რომ კავკასიის მთიანეთის ხალხები ამიერკავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ ერთგულ მოკავშირედ ჰყოლოდა.

აბას-მირზა რუსეთთან მოსალოდნელ ომში დიდ იმედებს ამყარებდა აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილზე. მან კავკასიის მთიანეთიდან ოსმალეთში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი ირანში გაიწვია და სამფლობელოდ რუსეთის საზღვართან უშუალოდ მდებარე დარალაგეზის ოლქი გადასცა, რომელიც ძირითადად ყარაბაღიდან გადმოხვეწილ მოსახლეობას ეკავა. აბას-მირზას სურდა, ალექსანდრე დაექორწინებინა, რათა მას, როგორც საქართველოს „მომავალ მეფეს“, ტახტის მემკვიდრე ჰყოლოდა. ამ მიზნით თურქეთში მცხოვრებ ქრისტიან აისორთა მღვდელმთავარს შეუთვალა, თავისი ძმისწული ალექსანდრესათვის მიეთხოვებინა[3]. გარდა ამისა, აბას-მირზა საზღვრებთან ახლო მდებარე სადავო ოლქებს თავის ერთგულ ხანებს ურიგებდა. თალიშის სახანოს მოსაზღვრე ოლქი ხანის წოდებასთან ერთად გენ. პ. ციციანოვის მკვლელს იბრაჰიმბეგს უბოძა, ეს უკანასკნელი თავრიზში ცხოვრობდა. იგი აბას-მირზას

---

[1] Н. Дубровин, История войны..., стр. 591.

[2] А. С. Грибоедов, собр. сочинений, СПБ, 1889 г., стр. 31.

[3] Акты, т. VI, ч. II, д. №394, стр. 214.

დიდ პატივში ჰყავდა. ხოლო რაც შეეხება ერევნის სახანოს, ის, როგორც ითქვა, ჰუსეინ ყული ხანს, აბას-მირზას ახლო ნათესავს, ეკუთვნოდა.

ამგვარად, საზღვრისპირა ოლქები აბას-მირზას მომხრეებს ეკავათ. ეს-პროვინციები ირანისათვის წარმოადგენდნენ პლაცდარმს რუსეთის წინააღმდეგ მომავალი შეტევის დაწყების წინ. აბას-მირზა ერთგულებას ეფიცებოდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და ერთდროულად სიყვარულითა და პატივისცემით ღებულობდა კავკასიიდან გადახვეწილ ხანებს, კერძოდ, ყაზი ყუმუხის სურხაი-ხანი და შირვანის მუსტაფა-ხანი ზარ-ზეიმით მიიღო. სწორედ ამიტომ ერმოლოვი გრაფ. ნესელროდეს 1823 წლის 11 მარტს სწერდა: „Все ханы, убегающие от нас, приемлются им дружественно, получают жалованье и награды и непременно имеют жительство на границах наших, не взирая на мое представление“[1].

კავკასიიდან გაქცეული და ირანს თავშეფარებული ხანები საიმედო ძალას წარმოადგენდნენ აბას-მირზასათვის.

მძიმე პირობები ექმნებოდა რუსეთის დიპლომატიურ მისიას ირანში. მისიის მეთაურს მაზარევიჩს აბას-მირზას გარეშე ნაბიჯის გადადგმის უფლებაც არ ეძლეოდა. მას თეირანში ჩასვლაც აკრძალული ჰქონდა. რუსეთის მისია ირანში იმდენად მძიმე პირობებში აღმოჩნდა, რომ მაზარევიჩმა არაერთხელ სთხოვა ერმოლოვს, ირანსა და რუსეთის იმპერიას შორის საზღვრის გამიჯვნამდე მისიის წევრებისათვის უკან დაბრუნების ნება დაერთო[2].

აბას-მირზა ხმას ავრცელებდა კავკასიიდან ერმოლოვის უკან გაწევის შესახებ. 1820 წლის მარტში ქ. გეორგიევსკიდან ერმოლოვი გრაფ ნესელროდეს ამასთან დაკავშირებით შემდეგს სწერდა: „Г. Мазарович официально уведомляет меня, что Аббас-Мирза весьма доволен разнесшимся слухом, что я отозван из Грузии к другому назначению“[3]. აბას-მირზას სურდა, ასეთი ჭორის გავრცელებით ირანის მტრული ძალები კავკასიის ტერიტორიების დასაპყრობად წაექეზებინა. გენერალი ერმოლოვი მისთვის საშიში ძალა იყო და იგი უდავოდ ნასიამოვნები დარჩებოდა კავკასიიდან მისი გაწვევით. შაჰმა, როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთთან დაკავშირებული საკითხები თავის მემკვიდრეს მიანდო, რომელიც ურთიერთობის გამწვავებას უფრო ცდილობდა, ვიდრე სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარებას. აბას-მირზამ მაზაროვიჩს თალიშის სახანო მოსთხოვა, სამაგიეროდ მიგრის პროვინციას

---

[1] Акты, т. VI. ч. II, д. № 511, стр. 275.
[2] ЦГАДА СССР, ф. Ермоловых, д. № 256, л. 23.
[3] იქვე.

სთავაზობდა. როგორც ერმოლოვი 1820 წლის 5 ივნისს გრაფ ნესელროდეს სწერდა, თალიშის სახანოს თავისი სტრატეგიული მდებარეობით რუსეთისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თალიშის სახანოს გადაცემით კუნძული სარა, რომელიც ამ სახანოს სანაპიროსთან მდებარეობდა, რუსეთისათვის ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავდა. მიგრის პროვინცია, სადაც სულ 3—4 ათასამდე კომლი ცხოვრობდა, გიულისტანის საზავო ხელშეკრულებამდე ყარაბაღის სახანოს ეკუთვნოდა, მაგრამ არაქსზე საზღვრის დაწესების გამო ის ირანს გადაეცა. მიგრის აბულ-ფეტი-ხანი ყარაბაღის მეხტი-ხანის ძმა იყო, ხოლო მათი და—შაჰის ცოლი. ისინი საიდუმლო არხებით იყვნენ დაკავშირებული შაჰთან. აბულ-ფეტი-ხანი სთხოვდა ერმოლოვს, ნება დაერთო მისთვის, ყარაბაღის სახანოში დაბრუნებულიყო, რათა იგი დაუფლებოდა უშვილო ძმის მეხტი-ხანის მემკვიდრეობას[1]. აბას-მირზასა და აბულ-ფეტი-ხანის თხოვნის დაკმაყოფილება საბოლოოდ არა მარტო თალიშის, არამედ ყარაბაღის სახანოს დაკარგვასაც ნიშნავდა, ამიტომ ერმოლოვმა ამაზე უარი განაცხადა.

ირანის პრეტენზიებს რუსეთისადმი ბოლო არ უჩანდა. სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო საზღვრის დემარკაცია, რომ ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოღებოდა. ერმოლოვი მოითხოვდა ეს საქმე დამთავრებულიყო 1821 წელს. ირან-ოსმალეთის 1821—1823 წლების ომმა აბას-მირზას დროებით უკან დაახევინა, მაგრამ, როგორც დავინახავთ, საზღვრის დემარკაცია მაინც არ მომხდარა. ამასობაში გარდაიცვალა აბას-მირზას მეტოქე და დაუძინებელი მტერი მამედ-ალი-მირზა. ამიერიდან შაჰის მემკვიდრეს უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა.

აბას-მირზა, სანამ მამედ-ალი-მირზა ცოცხალი იყო, რუსეთის მთავრობას სთხოვდა, ნება დაერთო მისთვის, თავისი ერთ-ერთი ვაჟი სასწავლებლად პეტერბურგს გაეგზავნა. ამით მას უნდოდა, მამედ-ალი-მირზას პარტიისათვის დაემტკიცებინა თავისი სიახლოვე იმპერატორთან, მაგრამ ძლიერი პრეტენდენტის გარდაცვალების შემდეგ მან შვილის რუსეთში გაგზავნაზე ხელი აიღო[2], რადგანაც ასეთი დიპლომატიური სვლა უკვე საჭიროდ აღარ მიაჩნდა.

ერმოლოვის 1823 წლის 11 მარტის ცნობით, აბას-მირზამ თბილისში გამოგზავნა თავისი კაცი თხოვნით, რომ რუსეთის იმპერატორს, ნიშნად პატივისცემისა და მეგობრობისა, შაჰისათვის საჩუქრად გადაეცა თალიშის სახანო. ირანს, როგორც ითქვა, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო თალიშის სახანო არ ეთმობოდა. ამასთან ერთად, ერმოლოვის თქმით, აბას-მირზას სხვა მოსაზრებაც ჰქონდა. თალიშის დაბრუნებით

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 422, стр. 229.

[2] იქვე, ს. 511, გვ. 275.

მას სურდა, ამიერკავკასიის სახანოებში შეექმნა აზრი იმის შესახებ, რომ ირანის შაჰი სულ მალე დაიბრუნებდა ყველა სახანოს[1].

ირანთან ტერიტორიული გამიჯვნისათვის გენერალ-ლეიტენანტმა ა. პ. ერმოლოვმა სპეციალური კომისია გამოყო გენერალ-მაიორ ერმოლოვის, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ“ მოგილევსკისა და პოლკოვნიკ აღა-ბეკი-სადიკოვის შემადგენლობით. გადაწყდა, საზღვრის გამიჯვნა დაეწყოთ ერევნის სახანოდან. აბას-მირზამ თავისი წარმომადგენლებიც კი გამოგზავნა. რუსეთისა და ირანის კომისიების მუშაობის ადგილად შეარჩიეს სოფელი კარაკლისი. დავა საზღვრების გამიჯვნის შესახებ თითქმის ხუთ თვეს უშედეგოდ გაგრძელდა. ამასობაში მათ ზამთარმაც მოუსწრო. ერმოლოვი დარწმუნდა, რომ ირანელებს დრო გაჰყავდათ და მან თავისი კომისრები უკანვე გამოიწვია. მოლაპარაკების ჩაშლას იგი სამართლიანად აბრალებდა აბას-მირზას, რომელიც ზღუდავდა მათ და მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. ერმოლოვი ამის გამო აბას-მირზას სწერდა: „В. выс., находясь лично на границе Карабагской, не только не изволили ускорить ход переговоров, но еще старались выставить пред всеми, что часть ханства Талышинскаго несправедливо занимается русскими“[2].

აბას-მირზამ თალიშის სახანოში საზღვარი დაარღვია და ზოგან 7 კმ-ით წინ წასწია, რამაც რუსეთის ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია. ერმოლოვი აბას-მირზასაგან განმარტებას ითხოვდა, შეესაბამებოდა თუ არა მის მიერ სახელმწიფო საზღვრის ასე უხეშად დარღვევა გიულისტანის ტრაქტატის პრინციპს ორი სახელმწიფოს მხრივ Status quo ad presentem-ის შესახებ[3]. ასე იქცეოდა ერევნის ხანიც. ერმოლოვის მოთხოვნას ირანის ხელისუფლება უყურადღებოდ ტოვებდა. ირანთან გართულებული იყო სავაჭრო ურთიერთობაც, ამიტომ ერმოლოვმა ენზელით თეირანს გაგზავნა „სტატსკი სოვეტნიკი“ ი. ვაცენკო, რომელიც მაზაროვიჩის მხარდაჭერით ირანს გენერალურ კონსულად უნდა ეცნო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დიპლომატიური მისიის მეთაური დიდ დაინტერესებას იჩენდა, ირანის ხელისუფლება ვაცენკოს რუსეთის გენერალურ კონსულად არ ცნობდა. ვაცენკო ერმოლოვს სწერდა: „Мазарович объявил мне однако, что здешнее Министерство затрудняется признать меня генеральным консулом“[4]. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც რუსეთი ურთიერთობის სტაბილურობისათვის იბრძოდა, ირანი კი ახალ-ახალ პრეტენზიებს უპირისპირებდა.

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 511, стр. 275.
[2] იქვე, ს. № 526, გვ. 283—284.
[3] იქვე, ს. № 527, გვ. 284.
[4] იქვე, ს. № 543, გვ. 297.

საინტერესოა გაირკვეს, თუ რატომ არ უნდოდა ირანის შაჰს, რუსეთს გენერალური კონსული ჰყოლოდა და საკონსულოები ჰქონოდა ირანში? ირანის ხელისუფალთა აღვირახსნილი მოქმედება რუსი ვაჭრების მიმართ, როგორც აღინიშნა, დღითიდღე აუტანელი ხდებოდა. საკონსულოების არსებობა კი, ბუნებრივია, გამოიწვევდა ირანის ხელისუფალთა ასეთი მოქმედების შეზღუდვას. ერმოლოვი ამის გამო სწერდა ნესელროდეს: „Шах, не заботясь о средствах, каковыми взимают доходы, ненасытен в требованиях денег. Утверждаемые в Гиляне начальники облагаются тяжкою данью, которую без утеснения торгующих нет возможности собрать и сии-то чиновники имеют все причины желать не иметь консула свидетелем их неистовств"[1].

მოყვანილი დოკუმენტი დამაჯერებელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ ირანის მთავრობა რატომ იბრძოდა ასე გაშმაგებით საკონსულოების დაარსების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ არ უნდოდათ ირანის მთავრობას და თვით შაჰს, რომ ვაცენკოს გენერალური კონსულის თანამდებობა დაეკავებინა.

ი. ვაცენკოს მდგომარეობა ირანში იმდენად აუტანელი შეიქმნა, რომ 1825 წლის აპრილში ერმოლოვი იძულებული გახდა, იგი უკანვე დაებრუნებინა თბილისში ან ბაქოში, სადაც მისი ცოლ-შვილი იმყოფებოდა[2].

აბას-მირზამ კვლავ დააყენა საკითხი რუსეთთან სასაზღვრო-სადემარკაციო ხაზის მოწესრიგების შესახებ. ამ მიზნით მან თბილისში 1825 წლის გაზაფხულს გამოგზანა კაცი, რომელსაც მისგან სათანადო რწმუნება ჰქონდა ნაბოძები. რუსეთის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ-ლეიტენანტი ველიამინოვი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საზღვრის გამიჯვნის შესახებ დავას ბოლო უნდა მოღებოდა. ირანის წარმომადგენელი კმაყოფილი დაბრუნდა უკან იმ დათმობების გამო, რაც რუსეთმა იკისრა. მაგრამ სადავო საკითხების მშვიდობიანი მოგვარება ხელს არ აძლევდა ინგლისის დიპლომატიას, რომელმაც შთამაგონებელი ზემოქმედება მოახდინა აბას-მირზაზე. მალე ეს უკანასკნელი თბილისში მიღწეული შეთანხმების წინააღმდეგ წავიდა. ერმოლოვი მომხდარი ფაქტის შესახებ იმპერატორს სწერდა: „Не трудно объяснить сие поведение Аббас-Мирзы: при способностях ума посредственного, он ни воли, ни твердости не имеет, и кто хочет взять на себя труд, может иметь на него влияние"[3].

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 547, стр. 299.

[2] იქვე, ს. № 566, გვ. 310.

[3] Записки А. П. Ермолова. Приложение, стр. 178.

ირანის დიდებულთა და მოხელეთა თათბირზე სიტყვით გამოსულებმა აბას-მირზა დაარწმუნეს, რომ ირანი ადვილად შეძლებდა ამიერკავკასიის დაპყრობასა და რუსეთის ჯარების განადგურებას. „В мудром совете сем, — წერდა ერმოლოვი, — не подверглось возражению мнение одного из прислужников Сардаря Эриванского, когда утверждал он, что, если позволено будет его господину, то в два месяца будут русские изгнаны из Грузии“[1].

ირანში მწიფდებოდა აზრი რუსეთთან ომის გარდაუვალობის შესახებ, რასაც, ინგლისელების მტკიცებით, ამიერკავკასიაში ირანის საბოლოო დამკვიდრება მოჰყვებოდა. ამ საკითხის რამდენიმეჯერ განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ ერმოლოვისათვის თბილისში მიღებული შეთანხმების საპირისპიროდ წაეყენებინათ საზღვრის დემარკაციის კონტრპროექტი, რომელიც რუსეთის განკარგულებაში მყოფი რიგი ტერიტორიების დათმობას ითვალისწინებდა, კერძოდ კი, თალიშის სახანოს მნიშვნელოვანი ნაწილი ირანს უნდა გადასცემოდა. თუ გენერალი ერმოლოვი ამ ახალ წინადადებას არ დათანხმდებოდა, მაშინ ის პირადად უნდა მოლაპარაკებოდა შაჰს. მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ შაჰი კიდევ უფრო გაართულებდა მდგომარეობას, რადგანაც მას შეეძლო, მოლაპარაკებაში ინგლისი, საფრანგეთი და ოსმალეთი ჩაერია და საქმე სულ სხვაგვარად წარემართა.[2] ინგლისელებმა თითქმის ყველა ირანელი მოხელე მოისყიდეს, რაც, ბუნებრივია, პოლიტიკურ მოვლენებს რუსეთისათვის არასასურველ მიმართულებას აძლევდა. ისტორიკოს ნ. დუბროვინის მართებული თქმით, „Влияние Англии в политическом поведении персидского правительства было слишком ясно и ни для кого не было тайною, что управляющий иностранными делами Абул-Хасан-хан, получавший от англичан жалование три тысячи туманов, день и ночь работал в их пользу. При помощи щедрой раздачи денег англичане ежедневно усиливали свою партию и самые влиятельные чиновники не стыдились заезжать в английское посольство, чтобы получить там в подарок чай, сукно, очки, перочинные ножи, ножницы и другия мелочи. Бывший при посольстве доктор Макнил лечил безденежно всех приходящих к нему больных и имел близкое знакомство с самыми влиятельными лицами“[3].

რუსეთის მთავრობა აღმოსავლეთის კრიზისის გამწვავების, კერძოდ, ოსმალეთთან დამოკიდებულების გართულების გამო ირანთან ნორმალუ-

---

[1] Записки А. П. Ермолова. Приложение, стр. 179.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 571, стр. 313.

[3] Н. Дубровин: История войны и владычества..., т. VI, стр. 566.

რი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. ირანის მიმართ რუსეთის ასეთი განწყობილებით სარგებლობდა აბას-მირზა. იგი საზღვართან მდებარე პროვინციებში ჯარს აგროვებდა, ციხე-სიმაგრეებში თავს უყრიდა რუსეთის მმართველობაზე განაწყენებულ ხანებსა და ფეოდალებს და რუსეთთან საომრად ემზადებოდა. ამის გამო 1825 წლის 12 ივლისს ერმოლოვი გრაფ ნესელროდეს სწერდა: „По всюду слух о войне с нами, и он тем правдоподобнее кажется многим, что приуготовления делаются необыкновенныя, собираются войска из отпусков и на некоторых пунктах на границе появились отряды, которых доселе не бывало“[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზღვრისპირა პროვინციები აბას-მირზამ თავის ერთგულ ხანებს გადასცა და მათზე დიდ იმედებს ამყარებდა მომავალ ომში.

ერმოლოვს ცნობები მოსდიოდა ირანში გაცხოველებული საომარი მზადების თაობაზე. მან ვითარების დაზუსტების მიზნით თავრიზიდან მოსალაპარაკებლად გამოიწვია მაზაროვიჩი, შაჰის მოხელეებმა კი ხმები გაავრცელეს ირანიდან მისი გაძევების შესახებ.

ირანის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ, რომ რუსეთთან ომი უკვე გარდაუვალი იყო. აბულ-ფეტი-ხანი ირანის ერთ-ერთ ვაზირს სწერდა: „Повелитель наш Аббас-Мирза Российского поверенного в делах на сих днях от себя выгнал, не желая более его пребывания в Тавризе. Война с русскими более не подвержена сомнению и е. выс. имеет нужду с вами переговорить о приуготовлениях к военным действиям“.[2]

აქედან ჩანს, თუ როგორ დაიძაბა ირანში სიტუაცია რუსეთის წინააღმდეგ. დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო ირანის მხრივ ომის დაწყება. ერმოლოვი ცდილობდა, სასაზღვრო პროვინციებში განლაგებული ჯარის ნაწილები საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა. მან მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესა იმ ხანებს, რომლებიც პროირანულ ორიენტაციას ამჟღავნებდნენ.

ერმოლოვმა მაზაროვიჩთან საუბარში უფრო დეტალურად გაარკვია ირანში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობა და გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ დათმო ირანისათვის საზღვრის დემარკაციის საკითხში. მან შაჰს ახალი ვარიანტი შესთავაზა საზღვრების გასამიჯნავად. იგი გარკვეულ ტერიტორიულ დათმობაზე მიდიოდა თალიშის სახანოს ზოგიერთი ტერიტორიის ხარჯზე.

---

[1] Записки А. П. Ермолова, Приложение, стр. 184.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 574, стр. 316.

1825 წლის ივლისის ბოლოს მაზაროვიჩი თეირანს დაბრუნდა. იგი შაჰს შეხვდა სადავო საკითხებზე მოსალაპარაკებლად. შაჰი გადამჭრელი პასუხისაგან თავს იკავებდა იმ მოტივით, რომ რუსეთთან სადავო საქმეების მოწესრიგება აბას-მირზას ჰქონდა მინდობილი[1]. შაჰი მხოლოდ სიტყვით იყო მომხრე რუსეთთან მეგობრული ურთიერთობისა და გიულისტანის ხელშეკრულების პირობების შენარჩუნებისა, სინამდვილეში კი აბას-მირზას სრულ თავისუფლებას აძლევდა რუსეთისადმი მტრული მოქმედებისათვის.

ირანსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობის შექმნისა და ომის საფრთხის არსებობის შესახებ ერმოლოვის ცნობებს პეტერბურგში უნდობლად ეკიდებოდნენ. იმპერატორ ალექსანდრე I-ს მთავარმართებლის საგანგაშო წერილები, მისი თხოვნა ამიერკავკასიაში დამატებითი ჯარის გამოგზავნის შესახებ მდგომარეობის გაზვიადებად მიაჩნდა. მას ეგონა, რომ ირანთან ომი არ მოხდებოდა, რის გამოც 1825 წ. 31 აგვისტოს ერმოლოვს მისწერა: „... Я не могу однако-же разделить опасении ваших насчет военных замыслов персиян против России... Чтобы они решительно готовились к нападению и хотели силою овладеть уступленными и присоединенными к Грузии областями... Я не могу предполагать в шахе намерения действовать наступательно против России и ожидаю от Персии если не искренней дружбы, по крайней мере, соблюдения мира“[2]. აქედან ჩანს, რომ პეტერბურგში ირანთან ომის საფრთხისა არ სჯეროდათ, სინამდვილეში კი ირანთან ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებული იყო. გართულებულ სიტუაციაში ერმოლოვი იმპერატორისაგან ითხოვდა, გამოეგზავნათ რომელიმე სანდო პირი, რომელიც მასთან ერთად დაათვალიერებდა ირანის საზღვრებს და პეტერბურგში სწორ ინფორმაციას წარადგენდა.

ასეთ პირობებში ირანის ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავისი ელჩი გაეგზავნა პეტერბურგში ერმოლოვზე დაწერილი საჩივრით და იმ იმედით, რომ იმპერატორი შაჰის ყველა პრეტენზიას დააკმაყოფილებდა— ირანს დაუბრუნებდა გამზაჩემანს, გოქჩას, კოპანს, მულანსა და თალიშს. გრაფ ნესელროდეს 1825 წლის 28 აგვისტოს ერმოლოვი აუწყებდა: „Я должен повторить, что предложения Аббас-Мирзы дерзки, и я нарушил бы обязанности мои, если бы только сказал, что они не выгодны для нас: его предложения не соответствуют достоинству империи, а исполнение оных уничтожит нас во мнении покорству-

---

[1] Записки А. П. Ермолова. Приложение, стр. 188.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 580, стр. 321. შდრ. Записки А. П. Ермолова. Приложение, стр. 191.

ющих нам в сей стране народов, которых все внимание обращено на предмет сей... и успех их в теперешнем случае будет иметь вредное влияние на мусульманския наши провинции (с которыми имеют персияне тайныя сношения)....“[1].

მართლაც, ამ შემთხვევაში ირანის ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილება ბიძგს მისცემდა ამიერკავკასიის ხალხების რეაქციული ზედაფენის მოძრაობას რუსეთის წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ირანი ამიერკავკასიის ხანებსა და ფეოდალურ ზედაფენას საიდუმლოდ უკავშირდებოდა და მათ დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა.

ირანელები, განსაკუთრებით კი ერევნის ხანი, საზღვრისპირა რაიონებში ახალ-ახალ ტერიტორიებს იკავებდნენ, რითაც ირღვეოდა ელემენტარული წესი თანამეზობლობისა, მიუხედავად იმისა, რომ ერმოლოვი Status quo-ს შენარჩუნებას მოითხოვდა. ირანს ასე გართულებულ სიტუაციაში ინტენსიურ დახმარებას უწევდა ინგლისი. გენერალი მადათოვი 1825 წ. 11 სექტემბერს გენერალ ველიამინოვს სწერდა, რომ „В Испаган привезли до 200 выюков английского оружия для войск Аббас-Мирзы и чрез Испаган-же проехал Касим-хан, зять шаха, к англичанам в виде посланника“[2].

ირანთან ომის თავიდან ასაცილებლად ერმოლოვს აუცილებელ პირობად მიაჩნდა კავკასიის კორპუსის გაძლიერება, რაც, მისი აზრით, მორიდებისა და შიშის გრძნობას დანერგავდა ირანის მმართველ წრეებში. ერმოლოვის წერილებიდან ჩანს, რომ მას პეტერბურგში რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობის გამწვავებას აბრალებდნენ, ამიტომ მან ჩეჩნეთის საქმეებით დაკავება მოიმიზეზა და თბილისში გამოგზავნილი ირანის ელჩის მირზა-მამედ-სადიკის მიღება კორპუსის შტაბის უფროსს ველიამინოვს დაავალა.

აბას-მირზა თავისი წარმომადგენლის თბილისში გამოგზავნით ცდილობდა რუსეთის სამხედრო ხელისუფალთა ყურადღების მოდუნებას. სწორედ მაშინ, როცა მისი ელჩი თბილისში ჩავიდა, თვითონ აბას-მირზა მივიდა ყარადაღის სახანოში, რომელიც რუსეთის მფლობელობაში მყოფ ყარაბაღის პროვინციას ესაზღვრებოდა. იგი, ვითომცდა სანადიროდ მიმავალი, გაჰყვა რუსეთის საზღვრებს და ნახიჩევანის სახანოდან ერევნის სახანოში შეიჭრა. მას თან ახლდა დიდძალი ჯარი. როგორც ერმოლოვი ნესელროდეს ატყობინებდა, საზღვრის დარღვევისაკენ აბას-მირზას ინგლისელებთან ერთად ერევნის ხანიც უბიძგებდა. ერმოლოვის თქმით, ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ „Все народы Кавказской Линии в

---

[1] Записки А. П. Ермолова. Приложение, стр. 189.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 585,стр. 324.

возмущении, войска наши разбиты и генералы вырезаны; что почти все войска удалены из Грузии и внутрь оной безпокойства; что в мусульманских провинциях наших имеет он связи и недовольные возстанут при первом появлении персидских войск на границах наших"[1].

ერმოლოვი ირწმუნებოდა, რომ ახლა (1825 წ. 13 დეკემბერს) ომს ირანი ვერ დაიწყებდა, რადგანაც ზამთარი იყო, მაგრამ გამოთქვამდა მტკიცე რწმენას, რომ მომავალი ზაფხულისათვის ომი გარდაუვალი იქნებოდა.

ასეთი დაძაბული მდგომარეობა იყო ირანთან, როცა გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე I. ერმოლოვის უნარის, ნიჭისა და დამსახურების თაყვანისმცემელი. მისი გარდაცვალებით გენერალ ერმოლოვის სამხედრო და პოლიტიკურ კარიერას საფუძველი ეცლებოდა. ამას თვითონაც კარგად გრძნობდა, რადგანაც მას ბევრი მოშურნე და მტერი ჰყავდა. პეტერბურგში 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების შედეგებმა გააუარესა ერმოლოვის მდგომარეობა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ს დიდძალი მასალა ჰქონდა საიდუმლო საზოგადოების საქმიანობაზე. არსებობდა ეჭვი, რომ კავკასიის ჯარის ნაწილშიც იყვნენ აჯანყებულთა მომხრეები. დაპატიმრებულთა დაკითხვის შემდეგ იმპერატორის სასახლეში შეიქმნა აზრი, რომ ერმოლოვს, თუ იგი აქტიურად არ მონაწილეობდა ფარულ საზოგადოებაში, ყველაფერი უნდა სცოდნოდა მისი არსებობის შესახებ.

ნიკოლოზ I ანტიპათიურად იყო განწყობილი ერმოლოვის მიმართ და მის მთელ მოღვაწეობას ეჭვის ქვეშ აყენებდა. მთავარი შტაბის უფროსი ბარონი დიბიჩი არწმუნებდა ნიკოლოზ I-ს, რომ კავკასიის ცალკეულ კორპუსში იყო „пагубный дух вольномыслия и либерализма разлит между войсками"[2]. ერმოლოვის მიმართ ძალიან დიდ უნდობლობას იჩენდა ნიკოლოზ I დეკაბრისტების გამოსვლამდეც. 1825 წლის 12 დეკემბერს ტაგანროგში მყოფ ბარონ დიბიჩს ნიკოლოზ I სწერდა: „Послезавтра, поутру, я — или государь, или — без дыхания... Я вам послезавтра, если ж и в б у д у, пришлю сам еще не знаю кого, с удовлетворением, как все сошло. Вы также не оставите меня уведомить обо всем, что у вас или вокруг вас происходить будет, особливо у Ермолова. К нему надо будет под каким-нибудь предлогом и от вас кого выслать. Я, виноват, ему (Ермолову) менее всех верю"[3].

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 588, стр. 326.

[2] М. П. П о г о д и н. Историко-политические письма и записки в продолжение Крымской войны, М., 1874, стр. 443.

[3] „Русская старина", 1882, г., т. III, стр. 195.

ცხადია, იმპერატორის ასეთ დამოკიდებულებას ერმოლოვის მიმართ თავისი შედეგები უნდა მოჰყოლოდა. ადრე თუ გვიან მას უნდა დაეკარგა თავისი კარიერა. ნიკოლოზ I-ის ასეთ უნდობლობას სხვებიც იზიარებდნენ პეტერბურგში. სენატის მოედანზე მომხდარი აჯანყების შემდეგ გავრცელდა ხმა, კავკასიის კორპუსი ფიცის მიცემაზე უარს აცხადებს დამოსკოვზე ილაშქრებსო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთმა უცხოელმა ელჩმა მეფის ძმას, მიხეილს, კითხვით მიმართა: „Далеко ли Ермолов со своими дивизиями и когда его ожидают"[1].

მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ყალბი აღმოჩნდა, ახალი იმპერატორი ერმოლოვს არ ენდობოდა. დეკაბრისტების საქმის ძიებამ დაადასტურა მისი სიახლოვე მათთან. ერმოლოვთან ახლოს იყვნენ პ. კახოვსკი (დედით მისი ძმა), ა. იაკუბოვიჩი, ვ. კიუხელბეკერი, ა. ს. გრიბოედოვი და სხვ., რომლებიც ან უშუალოდ მონაწილეობდნენ აჯანყებაში, ანდა აჯანყებულებს თანაუგრძნობდნენ.

* * *

აღმოსავლეთის საკითხი, კერძოდ, თურქეთთან დამოკიდებულების საკითხი, მეტისმეტად დაიძაბა; ინგლისის დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მარტო რუსეთი არ ჩაბმულიყო ოსმალეთის წინააღმდეგ ომში და მასთან სადავო საკითხები თავის სასარგებლოდ არ გადაეჭრა. ირან-რუსეთის ურთიერთობის განვითარებაზე დიდად იყო დამოკიდებული ოსმალეთის ბედი. ირანთან ნეიტრალიტეტის გარეშე რუსეთი ომს ვერ დაიწყებდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ამიტომ დაიწყო ინგლისის დიპლომატიამ ირან-რუსეთის ომის ახალი პროვოცირება. ინგლისის ინტერესებს შეესაბამებოდა, რომ რუსეთს თავი შეეკავებინა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისაგან.

ერმოლოვი ნიკოლოზ I-ს ატყობინებდა, რომ ირანი ახალ-ახალ ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდა რუსეთს, ხოლო ნიკოლოზ I ირანთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებასა და ყოველგვარი უთანხმოების სასწრაფოდ ლიკვიდაციას მოითხოვდა, რისი საშუალებაც ერმოლოვს არ გააჩნდა. იგი წერდა: „Ныне, когда почти все горские народы в явном против нас возмущении, когда дела в Европе, а особливо дела с Турциею, по важности своей, заслуживают внимательнейшее наблюдение, неблагоразумно было бы помышлять о разрыве с персиянами, или умножать взаимныя неудовольствия"[2].

---

[1] „Русская старина", 1872, г., т. X, Записки Д. Давыдова.

[2] Записки А. П. Ермолова. Приложение..., стр. 202, Щдр. Акты, т. VI, ч.II, д. № 593.

ერმოლოვს მძიმე პირობები შეექმნა. იმპერატორი, ცხადია ამიერკავკასიაში ირანის ტერიტორიულ პრეტენზიებს არ ცნობდა. ამასთან ერთად იგი ავალებდა ერმოლოვს, რომ მას ოსმალეთთან გამწვავებული დამოკიდებულების პირობებში ირანთან ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობა აღედგინა.

ამ დროს პეტერბურგში ერმოლოვის მტრები მეფის სასახლიდან ხმას ავრცელებდნენ, პატივმოყვარე „პროკონსული კავკასიისა" კარიერისტული მოსაზრებით ხელმძღვანელობს, ცდილობს ირანთან ომის ატეხას და სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის სულაც არ ზრუნავსო.

ცნობამ დეკაბრისტების აჯანყების შესახებ თეირანში 1826 წლის თებერვლის დასაწყისში დამახინჯებული სახით ჩააღწია. მომხდარი ფაქტი აქ ისე გავრცელდა, თითქოს ძმებს—კონსტანტინესა და ნიკოლოზს შორის ტახტისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა[1].

პეტერბურგში მომხდარი მოვლენები აბას-მირზას თავის სასარგებლოდ მიაჩნდა. მისი აზრით, დადგა ხელსაყრელი მომენტი ირანის მიერ რუსეთთან წინა ომში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის. ამიტომ მან შაჰს რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყების ნებართვა სთხოვა. სასწრაფოდ მოუყარეს თავი ყარადაღის, არდებილის, თავრიზის, ხოის, ერევნისა და სხვა პროვინციებში დიდძალ ჯარს, უპირატესად რეგულარულ ნაწილებსა და არტილერიას[2]. ირანში ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ გაზაფხულზე ომი დაიწყებოდა რუსეთის წინააღმდეგ.

შაჰი ოფიციალურად თავს იკავებდა ომის დაწყებისაგან. იგი დაყოვნებას ამჯობინებდა მანამდე, სანამ პეტერბურგში ვითარება გაირკვეოდა, ამასთანავე აბას-მირზას ჰპირდებოდა, რომ ომის დაწყებისთანაავე 200 ათას თუმანს გამოუყოფდა საგანგებო ლაშქრის მოსამზადებლად[3].

შაჰმა შეიტყო, რომ ირანში რუსეთის ახალი დიპლომატიური მისია უნდა ჩასულიყო თავად მენშიკოვის მეთაურობით და ომის დაწყებას უფრო ამიტომ აყოვნებდა.

ნიკოლოზ I-მა, რომელიც ერმოლოვს სხვა მიზეზებთან ერთად არაკჩეევის რეჟიმის კრიტიკის გამო ცუდად ეპყრობოდა, ახლა სრული უნდობლობა გამოუცხადა მას. მან 1826 წლის გაზაფხულზე ერმოლოვი დიპლომატიურ საქმეებს ჩამოაცილა და თეირანში საგანგებო და სრულუფლებიან წარმომადგენლად გაგზავნა ერთ-ერთი თავისი ფავორიტი თავადი ა. ს. მენშიკოვი, რომელიც საგანგებო უფლებებით აღჭურა. ამას-

---

[1] Акты, т. VI ч. II, д. № 608, стр. 337.

[2] იქვე, ს. № 595, გვ. 332—333.

[3] იქვე, ს. № 611, გვ. 338.

თან. მაზარევიჩის მისიას რწმუნება ჩამოერთვა და უკანვე იქნა გაწვეული.

მენშიკოვს ირანთან ურთიერთობის გართულების ძირითადი მიზეზები უნდა შეესწავლა. პეტერბურგში ხომ ირანთან ურთიერთობის გამწვავებას ერმოლოვს უკავშირებდნენ. იგი თითქოს ცდილობდა, საქმე ომამდე მიეყვანა იმ მიზნით, რომ ომში სახელი და დიდება მოეხვეჭა. თუ ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა, მაშინ მენშიკოვს უნდა დაეზუსტებინა, აბასმირზას მიმართ ერმოლოვის პირადი სიძულვილით ხომ არ იყო გამოწვეული მდგომარეობის გართულება, ან იქნებ ირანის მიერ სასაზღვრო საკითხებზე მოლაპარაკების შეწყვეტამ შელახა ერმოლოვის პრესტიჟი და პატივმოყვარე გენერალი ამიტომ უკიდურესად ამწვავებდა ირანთან დამოკიდებულების საკითხს[1].

ამასთან ერთად, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მენშიკოვს უნდა შეესწავლა კავკასიის განცალკევებული კორპუსის ჯარისკაცთა და ოფიცერთა პოლიტიკური განწყობილება, რადგანაც, საერთოდ, ცუდი ხმები დადიოდა პეტერბურგში კავკასიის კორპუსისა და გენერალ ა. პ. ერმოლოვის შესახებ.

აღნიშნული დიპლომატიური მისია სამ ჯგუფად დაიყო. ერთი ჯგუფი ასტრახანიდან კასპიის ზღვით პირდაპირ ირანს გაემგზავრა. მას ირანის შაჰისათვის ძვირფასი საჩუქრები მიჰქონდა. მისიის ეს ნაწილი უნდა ჩასულიყო ასტრაბადში, ხოლო იქიდან — თეირანში. ძვირფას საჩუქრებს შორის შაჰისათვის მიჰქონდათ ოქროთი გაწყობილი ბროლის საწოლი. პოლკოვნიკი ბარტოლომეი, რომელმაც აღწერა თავ. მენშიკოვის 1826 წლის ელჩობა ირანში, ამის შესახებ იუწყება: „Подарки, назначенные шаху, — между ними и прекрасная хрустальная кровать, коею жители Петербурга любовались в Таврическом дворце, — отправлены были водою чрез Астрахань, по Каспийскому морю, в Тегеран“[2].

მისიის ამ ნაწილში იმყოფებოდა პორუჩიკი ნოსკოვი, რომელმაც შესანიშნავად აღწერა მაშინდელი ირანის საშინაო მდგომარეობა. მეორე ნაწილი თავად მენშიკოვთან ერთად დარიალის ხეობით მიდიოდა თბილისში, ხოლო მესამე შავი ზღვით (სამეგრელოსა და იმერეთის გავლით) მიემგზავრებოდა ასევე თბილისში, საიდანაც ორივე ნაწილი ერთად გაემგზავრებოდა ირანში. შავი ზღვით მიმავალ ჯგუფს ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ბარტოლომეი, რომელსაც ევალებოდა სამეგრელოსა და იმე-

---

[1] Н. Дубровин. История войны...., т. VI, стр. 594—595.

[2] Посольство князя Меньшикова в Персию в 1826 году. „Русская старина“ т. 118, СПБ, 1904, апрель, стр. 66. შდრ. ЦГАДА СССР. ф. XI, д. № 1173, ч. I (2), л. 51—52.

რეთში მყოფი ჯარის ნაწილების საბრძოლო მდგომარეობისა და განწყობილების შესწავლა.

თავადი მენშიკოვი 1826 წლის 7 მარტს ჩრდილოეთ კავკასიაში, სტანიცა ჩერვლენნაიაში, შეხვდა მთავარსარდალ ერმოლოვს, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ ჩეჩნეთიდან დაბრუნებულიყო. ერმოლოვი ამ შეხვედრამ დაარწმუნა, რომ სხვა მიზეზებთან ერთად მენშიკოვის გამოგზავნა გამოწვეული იყო მისდამი უნდობლობით, ამიტომ იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა.

თავის მხრივ თავადი მენშიკოვი დარწმუნდა, რომ კავკასიის კორპუსს საერთო არაფერი ჰქონდა დეკაბრისტებთან.

ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

თავადმა მენშიკოვმა საკმაო ხანს დაყო თბილისში. ირანის შაჰი და მისი მრჩევლები ფიქრობდნენ, რომ იმპერატორი უფრო დამთმობი აღმოჩნდებოდა ირანის მიმართ, ვიდრე მის მიერ გამოგზავნილი მენშიკოვი. ამიტომ აყოვნებდა შაჰი ირანში მენშიკოვის მიღებაზე თანხმობას. სასაზღვრო პრეტენზიების მოგვარების მიზნით აბას-მირზას განზრახული ჰქონდა, თავისი ერთ-ერთი ვაჟი პეტერბურგს მოციქულად გაეგზავნა. თავადი მენშიკოვი ირანის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს არწმუნებდა, რომ სახელმწიფო საქმეებით დაკავებული იმპერატორი ვერ მოიცლიდა მისთვის, სამაგიეროდ, თვითონ მოაგვარებდა ყველა საღავო საკითხს, რაც ირანისა და რუსეთის სახელმწიფო საზღვრებთან იქნებოდა დაკავშირებული.

რუსეთის დიპლომატიური მისია მენშიკოვის მეთაურობით 1826 წლის 2 მაისს თავრიზს ჩავიდა.

მენშიკოვის ცნობით, ირანში ჩასვლისთანავე მას რთული სიტუაცია დახვდა, რომელიც ხელს უშლიდა შაჰთან სადავო საკითხების გადაჭრას. დიდი გავლენა ჰქონდათ ინგლისელებს როგორც აბას-მირზაზე, ისე შაჰზედაც, რის გამოც მათთან მოლაპარაკება გართულდა. ირანში ინგლისის საქმეთა რწმუნებული ვილოკი მენშიკოვს წინადადებას აძლევდა, რომ რუსეთს ირანისათვის გადაეცა სადავო ტერიტორია, კერძოდ, თალიშისა და ყარაბაღის სახანოები და გოქჩის რაიონი. ვილოკი რუსეთის დიპლომატიური მისიისაგან ნებართვას მოითხოვდა, რომ მას სადავო საკითხებთან დაკავშირებით შაჰთან მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღო[1]. მაგრამ მენშიკოვმა ამაზე ინგლისის წარმომადგენელს უარი განუცხადა. ხანგრძლივი დავის შემდეგ ინგლისელმა ვილოკმა მენშიკოვს შესთავაზა, ირანის დიპლომატიური წარმომადგენელი თბილისში წაეყვანა და ერმო-

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4294, л. 24 и об.

ლოვს შეთანხმებოდა ირანისათვის გოქჩის რაიონის გადაცემის საქმეში, რითაც, მისი აზრით, ბოლო მოეღებოდა ყოველგვარ სასაზღვრო დავას[1].

მენშიკოვი დაეთანხმა ამ წინადადებას, შაჰმა კიდევაც შეარჩია თბილისს გასაგზავნი პიროვნება, რომელსაც ერმოლოვთან უნდა გადაეწყვიტა სადავო სასაზღვრო საკითხი, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო.

აბას-მირზას რუსეთთან ომის დაწყება საბოლოოდ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. იგი ვერ ისვენებდა, ბობოქრობდა. მისი მიზანი იყო არა მარტო დაკარგული სახანოების დაბრუნება, არამედ თბილისის დაპყრობაც, ამიერკავკასიის საზღვრებიდან რუსეთის განდევნა და აქ საბოლოოდ დამკვიდრება. მენშიკოვის თქმით, „Он мечтает, что овладел уже Тифлисом и подписывает мир с Россией. В упоении высокомерными надеждами он предается ребяческому тщеславию и уже сравнивает себя с Тамерланом и Надир-шахом“[2]. თავის დღიურში მისიის ერთ-ერთი წევრი პოლკოვნიკი ფ. ფ. ბარტოლომეი საგანგებოდ აღწერს ინგლისის სამხედრო სპეციალისტების მეთაურობით ირანის არმიის საბრძოლო მზადების მიმდინარეობას. იგი წერს: „Вчера смотрел я ученье здешняго гвардейского баталиона. Между ротными командирами отличались двое сыновей Аббаса-мирзы и его племянник. У каждой роты находился английский фельдфебель, замечавший и поправляющий ошибки. Капитан Гантон, в красном его изобретения сюртуке..., находился повсюду, где присутствие его было нужно, и с палкою в руке распоряжался учением. Власть его обширна. Он имеет право наказать палками по пятам полковников и офицеров, что он иногда и делает...

Ученье продолжалось два часа и, признаюсь, превзошло мое ожидание. Все делалось по английскому уставу. Ловкость ружейных приемов, плавность движений, чистота и правильность построений, полнота шага... все было соблюдено в точности“[3].

ამ დოკუმენტის მიხედვით ნათლად ჩანს, თუ როგორ ამაღლდა ირანის არმიის ბრძოლისუნარიანობა ინგლისელი სპეციალისტების უშუალო ხელმძღვანელობით. ფ. ფ. ბარტოლომეი ხაზს უსვამს, რომ ირანის არმიაში ყველაფერი სრულდებოდა ინგლისის არმიის წესდების მიხედვით. სა-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4294, л. 24 и об.

[2] იქვე.

[3] Посольство князя Меншикова в Персию в 1826 г. „Русская старина“, т. 118, СПБ, 1904, г., апрель, стр. 83.

ჭიროდ თუ ჩათვლიდა, ინგლისელი მეთაური ფიზიკურადაც კი სჯიდა ირანის არმიის ოფიცრებს. ამას იმიტომ აკეთებდნენ ინგლისელები, რომ სათანადოდ მოემზადებინათ ირანის არმია რუსეთის წინააღმდეგ მომავალი ომისათვის.

როგორც აღინიშნა, ირანში რუსეთთან ომის დაწყების განწყობილება სუფევდა. ამას კარგად ხედავდა მენშიკოვის მისია, რომელსაც სადავო საკითხების მოწესრიგება დაევალა. ფ. ფ. ბარტოლომეის ცნობით, მთელ ირანში საზოგადოებრივი აზრი ომის დაწყებისათვის იყო შემზადებული. შაჰი თითქოს თავს იკავებდა, მაგრამ ომის მომხრე პარტიას, რომელიც მუსლიმანური რელიგიის ხალხს საომრად განაწყობდა, იგი ვერ უმკლავდებოდა. ამიერკავკასიის შიიტური სარწმუნოების მოსახლეობის ზედა ფენა რუსეთის მთავრობისაგან შევიწროებას უჩიოდა და ირანს დახმარებას სთხოვდა. დარუბანდიდან, შემახიდან, ყარაბაღიდან და თალიშიდან ჩასული რელიგიის მსახურნი ირანის არმიის მიერ ომის დაწყებასა და რუსების განადგურებას თხოულობდნენ[1].

რუსეთის წინააღმდეგ ომის მომზადებას ირანში ინგლისის დიპლომატიური სამსახური წარმართავდა, მაგრამ პრაქტიკულად მას მაჰმადიანური რელიგიის თავისუფლებისათვის ბრძოლის სახე ეძლეოდა.

ირანის მმართველი წრეები და მაჰმადიანური რელიგიის მესვეურები მოხერხებულად იყენებდნენ დაპყრობითი ინტერესებისათვის „საღვთო ომის“ პროპაგანდას „გიაური“ რუსებისა და ქართველების წინააღმდეგ.

თავრიზში რუსეთის მისიის ჩასვლისთანავე გაიმართა დიპლომატიური მოლაპარაკება მენშიკოვსა და აბას-მირზას შორის. გადაწყდა, რომ სადავო საკითხებთან დაკავშირებით მენშიკოვი შაჰს შეხვდებოდა სულთანიეში. შაჰთან ერთად ელოდებოდნენ სეიდ-მუჰამედს, ირანის რელიგიის მეთაურს, რომელიც შაჰს არწმუნებდა კავკასიაში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის რუსეთთან ომის დაწყების აუცილებლობაში. იგი მუსლიმანური რელიგიის იდეების პროპაგანდით მორწმუნეთა შორის ფანატიზმს აძლიერებდა და ხალხს ომის დაწყებისაკენ მოუწოდებდა.

შაჰს გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსეთთან ომის გამოუცხადებლად თავს ღასხმოდა ამიერკავკასიას. ამიტომ მას საჭიროდ არ მიაჩნდა, რუსეთის დიპლომატიურ მისიას საპატიოდ შეხვედროდა. თუმცა არც თავისი მტრული ზრახვის გამხელა სურდა. გარდა ამისა, ფ. ბარტოლომეის თქმით, „Вместе с тем, он боялся упустить подарки, посланные ему государем императором. Особенно хрустальная кровать, отправленная водою через Каспийское море прямо в Тегеран, о которой

---

[1] Посольство князя Меншикова в Персию в 1826 г. „Русская старина“, т. 118, СПБ, 1904 г., стр. 299, май.

он уже слышал, сильно волновала его душу и тревожила врожденную в нем жадность к деньгам и богатству"[1].

შაჰთან აუდიენცია მოეწყო სულთანიეში 1826 წლის 1 ივლისს. წესისამებრ, იმპერატორის წერილი, ხავერდის ბალიშზე დადებული, შაჰისათვის პირადად უნდა მიერთმია მისიის მეთაურს. მაგრამ აუდიენციის დროს შაჰმა, რომელსაც მენშიკოვმა შესთავაზა იმპერატორის წერილი, ხელი არ წაავლო მას. ამით დიდი უხერხულობა შეიქმნა, მაგრამ ერთ-ერთმა მინისტრმა უხერხულობის გაფანტვის მიზნით, მენშიკოვს თვითონ გამოართვა წერილი. მომხდარი, ერთი შეხედვით უბრალო ფაქტი რუსეთის მიმართ შაჰის განწყობილებას გამოხატავდა. შაჰმა მოიკითხა ახალი იმპერატორი, სინანული გამოთქვა ალექსანდრე I-ის, თითქოსდა თავისი მეგობრის, გარდაცვალების გამო და თან დასძინა, ჰგავს თუ არა ახალი იმპერატორი მის წინამორბედსო. თავადმა მენშიკოვმა, რომელიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, შაჰს მისახვედრად უთხრა, რომ იმპერატორი ჰგავს თავის გარდაცვლილ ძმას, მას შეუძლია მეზლობლებთან მშვიდობის დაცვა და იცის მისი ფასი, მაგრამ ამასთან ერთად „Он нрава более гордаго и не позволит никому забывать то уважение, которое имеет право требовать, как повелитель могущественнейшей державы света"[2].

რუსეთის დიპლომატიური მისია შაჰთან აუდიენციით დარწმუნდა, რომ ომის დაწყება შაჰის სასახლის საბჭოზე უკვე გადაწყვეტილი და დღედღეზე მოსალოდნელი იყო. მართლაც, ომისათვის საჭირო სამზადისი უკვე დამთავრდა. არა მარტო ირანში, არამედ კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაშიც ინტენსიურად ხორციელდებოდა „საღვთო ომის" გაჩაღების პროპაგანდა. მენშიკოვი რუსეთზე ირანის თავდასხმის წინ, 1826 წლის 2 ივლისს იტყობინებოდა: „На военные способы свои персияне не полагаются, но вся надежда их состоит в народной войне за веру и основывается на возмущениях издавна ими приготовляемых"[3].

მენშიკოვის სიტყვების სისწორე ირანის მუხანათური თავდასხმის პირველსავე დღეებში დადასტურდა.

აბას-მირზამ ომის წინ თავრიზში გამოიძახა რუსეთის იმპერიიდან გაქცეული ამიერკავკასიის ხანები, რომლებსაც იგი საიმედო ძალად მიიჩ-

---

[1] Посольстзо князя Меншикова в Персию в 1826 г. „Русская старина" т. 118, СПБ, 1904 г., стр. 301.

[2] იქვე, გვ. 303.

[3] ЦГАДА СССР, ф. XI, д. 1173, ч. 1 (2), л. 58

ნევდა, და მათთან საიდუმლო თათბირი გამართა. ასევე ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი ალექსანდრე ბატონიშვილიც საგანგებოდ მიიწვია თავრიზში და მასთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა[1]. ალექსანდრე თავის მხრივ დაკავშირებული იყო იმერეთის ტახტის პრეტენდენტთან ვახტანგ ბატონიშვილთან, რომელიც ოსმალეთში იმყოფებოდა. იქმნებოდა კავკასიის დაპყრობისათვის ანტირუსული ძალების ბრძოლის გეგმა, რომლის განხორციელებას აბას-მირზა და მისი მფარველი ინგლისი კისრულობდნენ.

რუსეთის მისიის თვალწინ შაჰი სულთანიედან ჯარს საზღვარზე გზავნიდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ირანი რუსეთთან ომს იწყებდა. შაჰი რუსეთის დიპლომატიურ მისიას უსირცხვილოდ არწმუნებდა, რომ მშვიდობა ირანის მხრივ გარანტირებული იქნებოდა, მაგრამ ეს იყო ლიტონი სიტყვა, რომლისაც უკვე არავის სჯეროდა.

იმ შემთხვევაში, თუ საომარი მოქმედება დაიწყებოდა, შაჰის აზრით, მასში არ უნდა ჩარეულიყვნენ არც ფეტხ-ალი-შაჰი და არც რუსეთის იმპერატორი, თითქოს ეს უნდა ყოფილიყო მარტო აბას-მირზასა და გენერალ ერმოლოვის საქმე. „...А что, если военныя действия и откроются, то это ссора между Аббас-Мирзою и генералом Ермоловым, в которую вмешиваться ни нашему государю, ни Фетх-Али-шаху не прилично и которую пусть они между собою решают, как хотят“[2].

შაჰი ისე სჯიდა, თითქოს აბას-მირზას მიერ ამიერკავკასიაზე თავდასხმას საერთო არაფერი ექნებოდა ირანისა და რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, თითქოს აბას-მირზასა და ერმოლოვის მეთაურობით ორი სახელმწიფოს არმიების შეჯახება მხოლოდ ამ სარდლების პირად საქმედ უნდა ჩათვლილიყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ირანი გიულისტანის საზაფო ხელშეკრულების დადების დღიდანვე იბრძოდა მისი პირობების დარღვევისათვის. მაგრამ რაკი დიპლომატიური გზით ამიერკავკასიაში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება არ მოხერხდა, აბას-მირზასთან ერთად ირანის მმართველი წრეები ინგლისელების მხარდაჭერითა და დახმარებით ომის დაწყების გზას დაადგნენ და მას ამიერკავკასიაში დაკარგული ბატონობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდნენ.

აბას-მირზა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ერმოლოვი მოეტყუებინა. თავის მხრივ, ისიც ვალში არ რჩებოდა ცბიერ ირანელ მოხელეებს, რის გამოც იმედგაცრუებული ირანელები ერმოლოვს ასე ახასიათებდნენ: „Змея, таящаяся в розовых кустах“[3].

---

[1] ЦГАДА СССР, ф. XI, д. № 1173, ч. 1 (2), л. 58.

[2] Записки А. П. Ермолова, ч. II, Приложение, стр. 241.

[3] ЦГАДА СССР, ф. Ермоловых, д. № 965, Александр Ермолов, А. П. Ермолов в Персии, СПБ, 1909, стр. 8.

აბას-მირზას მიაჩნდა, რომ გენერალი ერმოლოვი ყველაზე მეტად უშლიდა ხელს მისი ჩანაფიქრის განხორციელებას. ამიტომ მზად იყო, ომის დაწყების წინ იგი თავიდან მოეცილებინა. ირანში ყოფნისას თავადმა მენშიკოვმა საიდუმლო არხებით გაიგო, რომ აბას-მირზამ მოისყიდა სურხაი-ხანის ერთ-ერთი ნუკერი, გაგზავნა დაღესტანს და დაჰპირდა 5000 თუმანს, ოღონდ მოეკლა გენერალი ერმოლოვი[1]. მართალია, ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა მან ვერ შეძლო, მაგრამ თვით ეს ფაქტი მიგვითითებს იმაზე, რომ ირანის მმართველი წრე არაფერს ერიდებოდა, რათა თავისი დაპყრობითი გეგმა სისრულეში მოეყვანა. რაკი ეს შეუძლებელი გახდა, აბას-მირზამ გადაწყვიტა, მოულოდნელი თავდასხმით აღედგინა თავისი ადრინდელი ბატონობა ამიერკავკასიაში. ამიტომ შაჰი სულთანიეში მენშიკოვთან მოლაპარაკების დამთავრებას ჩქარობდა. აჩქარებდნენ რუსეთის მისიასაც, რომლის გასვლის დღედ დაინიშნა 12 ივლისი. სულთანიეში ყოფნის უკანასკნელი დღეები მძიმე იყო მისიისათვის. ათასგვარი ჭორი დადიოდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ შაჰი ვერაგულად იწყებდა ომს, ხოლო მისიას საფრთხე ემუქრებოდა ირანში. მენშიკოვის მისიამ სულთანიე დატოვა და თავრიზს გაემგზავრა. ეს იყო ევროპული სახელმწიფოების ელჩობის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა შაჰმა დიპლომატიური მისია ლომისა და მზის ორდენებით დაჯილდოების გარეშე გაისტუმრა, რაც რუსეთის მიმართ ირანის მტრულ დამოკიდებულებას ააშკარავებდა. თავრიზში მიმავალ მისიას გზადაგზა შეურაცხყოფდნენ, თავს ესხმოდნენ და კიდევაც ძარცვავდნენ.

თავრიზში ჩასვლისთანავე რუსეთის მისიამ შეიტყო ამიერკავკასიაზე ირანის თავდასხმის ამბავი. იქ ყოველდღე აძლევდნენ სალუტს რუსებზე გამარჯვების აღსანიშნავად[2].

ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როცა ირანში დიპლომატიური მიზნით ჩასული მისია სინამდვილეში დატყვევებული აღმოჩნდა. ხანგრძლივი მიმოწერისა და პროტესტის შემდეგ ირანის ხელისუფლებამ მას ნება დართო, უკან დაბრუნებულიყო. თბილისში მიმავალ მისიას გარს ეხვეოდნენ საქართველოში დაბრუნების მსურველი რუსი და ქართველი ვაჭრები, რომლებსაც ომმა მოულოდნელად მოუსწრო ირანში.

მაგრამ მენშიკოვის მისიას არავის მფარველობის თავი არ ჰქონდა, რადგან თვითონ იყო განსაცდელში ჩავარდნილი. თბილისისაკენ მიმავალმა მისიამ გზად დიდი ხიფათი გამოიარა. მას არაერთხელ დაესხა თავს ირანელ ავაზაკთა ბრბო, არაერთხელ აღმოჩნდა ის დატყვევების საფრთხის წი-

---

[1] ЦГАДА СССР, ф. XI, д. 1173, ч. I (2), л. 36, შდრ. Записки А. П. Ермолова, ч. II, приложение, стр. 241.

[2] Записки А. П. Ермолова, ч. II, приложение, стр. 308.

ნაშე. მისიის წევრებს ხშირად სიკვდილიც კი ემუქრებოდათ, მაგრამ ყოველგვარ განსაცდელს გადაურჩნენ და დიდი ტანჯვა-წამებით დაბრუნდნენ თბილისში.

ამ ომის მომზადებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადამწყვეტი როლი ინგლისელებმა შეასრულეს. ისინი ასევე ამზადებდნენ რუსეთ-ოსმალეთის ახალ ომს, რასაც უნდა გამოეაშკარავებინა ინგლისური დიპლომატიის უპირატესობა და განემტკიცებინა ინგლისის ძლიერება მთელ აღმოსავლეთში. ამასთან დაკავშირებით ერმოლოვი 1826 წლის 30 ივლისს იმპერატორს სწერდა: „Англичане уверяли, что без согласия Европейских кабинетов не может Россия объявить войны против Персии. И так приуготовлялась начатая ныне война персиянами! Позволительно угадывать, что война сия есть предверие войны с Портою, ибо без надежды на то не решились бы персияне с такою наглостию“[1].

ამგვარად, ინგლისის დიპლომატიის აქტიურმა მოქმედებამ არა მარტო ხელი შეუშალა რუსეთს, რომ ოსმალეთთან მოსალოდნელ ომში ირანი თავის მოკავშირედ ექცია, არამედ ირანსა და რუსეთს შორის ომიც კი გარდაუვალი გახადა. ინგლისმა რუსეთის ყურადღება დროებით ჩამოაცილა ოსმალეთს. ახლა მისი მთავარი მიზანი იყო, რომ მოეხდინა ირან-ოსმალეთის სამხედრო ძალების გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ და ხელი შეეწყო ამიერკავკასიაში მათი დაპყრობითი გეგმების განხორციელებისათვის.

---

[1] Записки А. П. Ермолова, ч. II, приложение, стр. 259.

თავი V

მოულოდნელი თავდასხმის პირველი შედეგები. რუსეთის პოზიციების შესუსტების საფრთხე ამიერკავკასიაში

ირანის მთავრობასთან რუსეთის მისიის წარუმატებელი მოლაპარაკების დამთავრება და ამიერკავკასიაში აბას-მირზას შეჭრა ერთდროულად მოხდა. მან დიდძალი არმიით 1826 წლის 16 ივლისს დაარღვია საზღვარი და საომარი მოქმედება დაიწყო. როგორც ზემოთ ითქვა, ირანი რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისიდან ემზადებოდა. ის გიულისტანის საზავო ხელშეკრულებას რუსეთის მიმართ დროებით დათმობად თვლიდა და დაკარგული სახანოების დასაბრუნებლად ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა. სერიოზული ყურადღება ექცეოდა ირანის არმიის რეორგანიზაციას, მის საბრძოლო მზადყოფნას. როგორც აღინიშნა, ირანის არმიის საერთო ხელმძღვანელობა აბას-მირზას დაეკისრა, რომელიც ინგლისელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ინგლისის ფინანსური საშუალებანი, სამხედრო სპეციალისტები და ტექნიკა სტიმულს აძლევდნენ ირანის ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის[1]. შაჰი ცდილობდა, მოხერხებულად გამოეყენებინა აღმოსავლეთის კრიზისი, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა XIX ს. 20-იან წლებში.

ირანს ომისაკენ, თავის მხრივ, ოსმალეთის მმართველი წრეებიც უბიძგებდნენ იმ მიზნით, რომ რუსეთის ყურადღება ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოვლენებისაგან ჩამოეცილებინათ. როგორც აღინიშნა, ირანს ინგლისის მთავრობაც აიძულებდა, გადაესინჯა გიულისტანის საზავო ხელშეკრულება. ინგლისს უნდოდა, ამიერკავკასია და კავკასიის მთიანეთის დიდი ნაწილი ირანისა და ოსმალეთის ხელში გადასულიყო, და ამით თავისი გავლენის სფეროში მოექცია ისინი. კ. მარქსის მოხდენილი თქმით, ინგლისელები ცდილობდნენ, „наступать на внутреннюю Азию одновременно с двух сторон: с Инда и Черного моря“[2].

ინგლისს არ მოსწონდა ირანის შედარებით გაუბედავი ნაბიჯი რუსეთ-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 572, стр. 314.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 9, стр. 13.

თან დამოკიდებულების საქმეში. მან 1826 წლის დასაწყისში მკაცრად დასვა საკითხი ირანის მთავრობის წინაშე რუსეთის წინააღმდეგ უმოკლეს ვადაში ომის დაწყების აუცილებლობის შესახებ. ელიზავეტოპოლის ხანის მემკვიდრემ უგურლუ-ხანმა, რომელიც რუსებს ტყვედ ჩაუვარდა, ინგლისელების წამქეზებლური საქმიანობის შესახებ შემდეგი ჩვენება მისცა: „Ост-Индская компания, платившая персидскому двору в год 800.000 рублей серебром, через посла своего в нынешнем году требовала от персиян непременную войну с Россиею, в противном случае отказывалась продолжать плату и просила возврат уплоченной суммы“[1].

ამიტომ ირანის მთავრობა, მიუხედავად რუსეთის არაერთი ცდისა, უარს აცხადებდა რუსეთ-ირანის საზღვრის დემარკაციაზე და კატეგორიულად მოითხოვდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის, კერძოდ, თალიშის, ყარაბაღის, შორაგალისა და სხვა სახანოების დაბრუნებას[2]. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდა ირანი შორაგალის პროვინციას საქართველოზე შეტევისათვის. ამიტომ იყო, რომ ის დაჟინებით მოითხოვდა, თუ არა სხვა, ამ პროვინციის დაბრუნებას მაინც. 1817—1826 წწ. ირანსა და რუსეთს შორის ამ საკითხზე მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. თავის მხრივ ერმოლოვიც არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, იგი ირანის სხვა პროვინციების დაპყრობაზე ოცნებობდა, რათა რუსეთი საბოლოოდ მტკიცედ დამკვიდრებულიყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ერმოლოვი ხაზს უსვამდა სომხეთის შემოერთების ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას. არარატის მთისძირა ტერიტორია რუსეთს უხვად მისცემდა ბამბეულს, მარცვლეულს და ქვამარილს. გარდა ამისა, ამ ტერიტორიის შემოერთება, ერმოლოვის აზრით, განამტკიცებდა რუსეთის პოზიციას ამიერკავკასიაში — „Даст совершенное спокойствие Грузии и утвердит в повиновении многия из мусульманских земель, прекратив им средства к побегу“[3]. მაგრამ ერმოლოვს თან ის გარემოება აფიქრებდა, რომ რუსეთის ასეთ ნაბიჯს წინ აღუდგებოდნენ ევროპის სახელმწიფოები და, კერძოდ, ინგლისი, რომელიც ამას ინდოეთში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ აქციად ჩათვლიდა. 1826 წლის 29 აგვისტოს ერმოლოვი ინგლისის ანტირუსული საქმიანობის შესახებ წერდა: „Издавна смотрящия с завистью на могущество России Европейския державы неравнодушно увидят столь значительное приобре-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4290, л. 154 и об.

[2] Л. С. Семенов, Россия и международные отношения на Среднем Востоке в 20-е годы XIX в., стр. 107, Л., 1963 г.

[3] Акты, т. VI, ч. II, д. № 664, стр. 365.

тение новых земель. Англичане, опасаясь, чтобы персияне не подпали господствующему влиянию нашему и тем не поколебалось счастливое их обладание в Индии, будут препятствовать тому всеми усилиями и стараться возбудить войну в Европе"[1].

ინგლისი არა მარტო ირანს განაწყობდა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაც გაემწვავებინა და ამით ახლო და შუა აღმოსავლეთში თავისი ინტერესები განეხორციელებინა.

ირანის მიერ ომის დაწყებამ გაართულა რუსეთის მდგომარეობა. რუსეთის სარდლობისათვის არც თუ ისე მოულოდნელი უნდა ყოფილიყო აბას-მირზას თავდასხმა, რადგანაც მის დაზვერვას საკმაო მასალები გააჩნდა ირანის მხრივ საომარი მზადების შესახებ. იმჟამად ყარაბაღის პროვინციის სარდალი გენერალ-მაიორი მადათოვი ჩრდილოეთ კავკასიის მინერალურ წყლებზე ისვენებდა, მას ცვლიდა 42-ე ეგერთა პოლკის მეთაური პოლკოვნიკი რეუტი, რომელსაც ირანელების პროვოკაციისა და ავანტიურის შესახებ არა ერთი საბუთი ჰქონდა. 1826 წლის 17 ივნისს პოლკოვნიკი რეუტი კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ველიამინოვს აუწყებდა, რომ ირანის მრავალრიცხოვანმა ჯარმა თავი მოიყარა საზღვრის გასწვრივ მდებარე რაიონებში და მზად იყო ყარაბაღის პროვინციაზე თავდასასხმელად როგორც კი ხორბლის ყანები დამწიფდებოდა, რომლის მოსავალს აბას-მირზა თავისი ჯარისათვის ვარაუდობდა[2].

თუ ამ ერთ ცნობას სარდლობა საყურადღებოდ არ ჩათვლიდა, სხვა საგულისხმო სიგნალიც არსებობდა იმის შესახებ, რომ ირანელები ომის გამოუცხადებლად თავდასხმისათვის ემზადებოდნენ. ომის დაწყებამდე 11 დღით ადრე შუშის ციხის კომენდანტმა ჭილაევმა (ჭილაძემ) საარწმუნო წყაროებით იცოდა, რომ ნახიჩევანში ჩავიდა მუსლიმანური რელიგიის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც დიდძალ ხალხს მოუყარა თავი მეჩეთში. ჭილაევის თქმით, იგი „ убеждал их к скорейшему поднятию мятежа против Россиян и истреблению их во всех занимаемых нами мусульманских пределах. Причем внушил, что в России существует теперь всеобщий мятеж и несогласие между правительствами"[3].

ირანის საერთო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები ომის დაწყებას ეშურებოდნენ. მათ არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 664, стр. 365.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4291, л. 14.

[3] იქვე.

პეტერბურგში მომხდარი მოვლენების შესახებ. ისინი ჩქარობდნენ, რომ ესარგებლათ დეკაბრისტთა აჯანყების გამო პეტერბურგში შექმნილი გართულებული პოლიტიკური ვითარებით. თუმცა ირანის მიერ ომის დაწყების მომენტისათვის უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. იმპერატორმა სენატის მოედანზე გამოსულ ყველა მოჯანყეს თავთავისი მიუზღო. ირანის სასულიერო ხელისუფლების მესვეურნი როგორც ბარის, ისე მთის მუსლიმანურ მოსახლეობას „საღვთო ომისაკენ" მოუწოდებდნენ, ხალხს არწმუნებდნენ, რუსეთში პოლიტიკური კრიზისია (ხელისუფლებისათვის ბრძოლა ძმებს შორის) და მისი დამარცხება ადვილად შეიძლებაო.

პოლკოვნიკი რეუტი, გარდა იმისა, რომ გენერალ ველიამინოვს ირანელების საომარ მზადყოფნას ატყობინებდა, საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად დამატებითი ჯარის გამოგზავნას ითხოვდა, რადგანაც სასაზღვრო პროვინციებში მყოფი მცირერიცხოვანი ჯარით იგი ვერ გაუმკლავდებოდა აბას-მირზას აურაცხელ არმიას. იგი სწერდა: „Пограничный здесь край требует более сил для удержания мест и отражения особенно при первом покушении буйственного неприятеля"[1].

რეუტმა იცოდა, რომ რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ხანები, რომლებიც წინა ომის დროს ირანში გაიქცნენ, ახლა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული აბას-მირზას ჯარში იყვნენ თავიანთი რაზმებით გაერთიანებული, ამიტომ ითხოვდა იგი დამხმარე ძალებს.

აბას-მირზამ სცადა, მთელი მუსლიმანური სამყარო რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა. დარუბანდის ყოფილი ხანი შიხ-ალი-ხანი დიდძალი ფულით ჩაჩნეთში გაგზავნა მიურიდიზმის მოქადაგეებთან, რათა ანტირუსული გამოსვლისათვის მასობრივი ხასიათი მიეცა[2].

ალექსანდრე ბატონიშვილი შაჰის დავალებით არაერთხელ იმყოფებოდა დაღესტანში, რათა ხანებთან და შეიხებთან მტკიცე კონტაქტი დაემყარებინა. გარდა ამისა, არა ერთი აგენტი და ხანი გაიგზავნა დაღესტანში დიდძალი ფულითა და ოქროთი, რომ ანტირუსულ აჯანყებას ხელი შეეწყო ირანის არმიის წარმატებისათვის. ერმოლოვი 1825 წლის შემოდგომაზე წერდა: „Аббас-Мирза для взбунтования против нас лезгин и прочих дагестанских народов прислал через Гасан-хана, брата Сардаря Эриванского, самому Сардарю, значительную сумму и разные подарки"[3].

რუსეთის წინააღმდეგ ომს რომ იწყებდნენ, აბას-მირზას და მის ინგ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4291, л. 14 об.

[2] Акты, т. VIII, стр. 404.

[3] А. П. Ермолов. Краткий очерк истории наших военных действий на Кавказе. იხ. ჟურნალი „Чтения в обществе истории и древностей Российских", кн. 2, стр. 106.

ლისელ მრჩევლებს ამიერკავკასიის პროირანული ორიენტაციის ფეოდალებისა და ხანების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, რადგან ეს უკანასკნელნი, კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შედეგად დაკარგული ადრინდელი სამფლობელოებისა და პრივილეგიების აღდგენაზე ოცნებობდნენ.

ყველაფერი ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როდესაც თავად მენშიკოვის მისია სულთანიეში მოლაპარაკებას აწარმოებდა ირანის ფეტხ-ალი-შაჰთან ირანისა და რუსეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. შუშის კომენდანტი ჰილაევი პოლკოვნიკ რეუტს, ეს უკანასკნელი კი—კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ველიამინოვს ირანის საზღვარზე შექმნილი დაძაბულობის შესახებ ყოველდღე ახალ-ახალ ცნობებს აწვდიდა. მიუხედავად ამისა, კავკასიის კორპუსის სარდლობა ხმას არ იღებდა. ეტყობა, თავად მენშიკოვის ელჩობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ როგორც იმპერატორი, ისე კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდლობა.

პოლკოვნიკი რეუტი მძიმე პირობებში ჩავარდა შექმნილი სახიფათო მდგომარეობის გამო, რომლის აღსაკვეთად სარდლობა არავითარ ზომებს არ ღებულობდა. რეუტი დამატებით უგზავნიდა არაერთ პატაკს (14 ივლისს 2 პატაკი, 16 ივლისს—2) გენერალ ერმოლოვს და აცნობებდა, რომ ირანის დიდძალი ქვეითი რეგულარული ჯარი („სარბაზი"), კავალერია და არტილერია არაქსზე გადასასვლელი ხუდოფერინის ხიდის მიდამოებში იყო განლაგებული. აბას-მირზას თან ახლდნენ შაჰის სიძე ამირ-ხანსარდარი, ყარაბაღის ყოფილი ხანი მეხტი-ყული-ხანი, მამედ-ბაქირ ხანი და რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი სხვა ხანები. ირანიდან შემოგზავნილი ჯაშუშები ენერგიულად მოქმედებდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას და ბეგებს რუსეთის წინააღმდეგ განაწყობდნენ. რეუტი ერმოლოვს სწერდა: „Все беки здешние получили письма от Мехти-Кули-хана, коими он объявляет себя попрежнему ханом Карабахским и обещает предающимся к нему большия свои и персидского правительства милости. Шах-Заде (აბას-მირზა ნ. ქ.) обвестил также всем: что он, имея дело с одним только русскими, не будет нарушать спокойствие народа и предлагает оному ласки"[1].

აბას-მირზა ცდილობდა, ერთგული ხანები კვლავ დაებრუნებინა თავთავის ადგილზე, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა ტკბილი სიტყვებითა და მოსყიდვის გზით თავის სასარგებლოდ განეწყო. ერმოლოვი დუმდა; დუმდა იმიტომაც, რომ მას იმპერატორი არ ენდობოდა. მთავრობა სახიფათოდ მიიჩნევდა კავკასიის კორპუსის გაძლიერებას ერმოლოვის ხელში. ამიტომაც, უნდა ვიფარაუდოთ, რომ მიუხედავად ერმოლოვის არაერთგზის თხოვნისა, დამატებითი ჯარის ნაწილები მანამ არ გამოგზავნეს, სანამ ირანმა ომი არ დაიწყო.

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4291, л. 22.

ომის წინ შექმნილი რთული სიტუაცია მოითხოვდა კორპუსის რიცხობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვნად გაზრდას, საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებას, საომარი საშუალებებით, ფურაჟითა და სურსათით მომარაგებას და სასაზღვრო ტერიტორიების გამაგრებას.

სამწუხაროდ, რუსეთის ჯარი ომისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა-ნაწილობრივ ამის მიზეზი ერმოლოვის მიმართ იმპერატორის ანტიპათიური განწყობილება უნდა ყოფილიყო, ამასთან, სამხედრო სამინისტრო თითქოს შიშობდა, რომ გენერალ ერმოლოვს თვითნებურად არ დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ.

შესაძლოა, რუსეთის სამხედრო ხელისუფალნი იმპერატორთან შეთანხმებით ამიერკავკასიაში ჯარის გადასხმისაგან თავს იმიტომ იკავებდნენ, რომ ევროპის სახელმწიფოებთან ოსმალეთის გამო ისედაც გართულებული ურთიერთობა უფრო მეტად არ გამწვავებულიყო. გენერალი ა. ერმოლოვი თვითონ აღნიშნავდა, ამ ძალებით მტრის იერიშის მოგერიება შეუძლებელი იქნებაო. იგი წერდა: „Какия меры не принимай, с ничтожными моими силами не могу я прикрыть все непомерное протяжение границы. Предупредить набега персиян невозможно, а между тем, если узнают, что я собираю на границе отряд, то в Европе скажут, что русские начали войну, что русские зачинщики. Пусть персияне первые откроют действия, пусть они вторгнуться к нам, — я только того и желаю“[1].

ეს დოკუმენტი ნათლად გვიჩვენებს, რომ კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდალი ევროპის სახელმწიფოებს, კერძოდ, ახლო და შუა აღმოსავლეთის საქმეებით დაინტერესებულ ინგლისს, დიდ ანგარიშს უწევდა. მას არ უნდოდა, რომ ირანთან ომის წამომწყებად რუსეთი გამოეცხადებინათ. ცნობილია, რომ ცარიზმი ყოველთვის შენიღბულად მოქმედებდა და დაპყრობით ომებს „კაცთმოყვარეობითა“ და „ბოროტების წინააღმდეგ“ ბრძოლის აუცილებლობით ასაბუთებდა. ერმოლოვი ცარიზმის ამ პოლიტიკას მთლიანად და სავსებით იზიარებდა. მისი სურვილი, რომ ომი ირანელებს დაეწყოთ, აღსრულდა, მაგრამ ირანელების პირველი წარმატებანი ამძიმებდა რუსეთის მდგომარეობას კავკასიაში და საფრთხის წინაშე აყენებდა კავკასიის ხალხებს.

1826 წლის ივნისის დასასრულსა და ივლისის პირველ რიცხვებში უკ-

---

[1] Н. Дубровин. История войны..., т. VI, стр. 613.

ვე შესამჩნევი გახდა ანტირუსული გამოსვლები მუსლიმანურ პროვინციებში. გარდა ამისა, ხმა დაირხა, რომ სულ მალე ირანი თავს დაესხმოდა რუსეთის საზღვრებს.

აქამდე რუსეთის მომხრედ ცნობილი ხანების ნაწილი ირანში გაიქცა. ასე მოიქცა, მაგალითად, თალიშის მირ-ჰასან-ხანი. ხანების ასეთი მოქმედება აძლიერებდა ადგილობრივი მოსახლეობის მტრულ განწყობილებას რუსეთის მიმართ. მაიორ ილინსკის დიდად გაუჭირდა ლენქორანისა და ლენქორანის სახანოს დაცვა, რადგანაც მას ჰყავდა კასპიის ზღვის მხოლოდ ერთი საზღვაო ბატალიონი 660 კაცის შემადგენლობით. ირანელები იერიშზე მოდიოდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის საკმაო ნაწილი მათ მხარს უჭერდა. მირ-ჰასან-ხანი მეამბოხეებს სათავეში ჩაუდგა. მან დაიკავა ბაქოსა და შემახასაკენ მიმავალი გზები. იგი დაუკავშირდა შირვანისა და ბაქოს ყოფილ ხანებს და მათ გადაწყვიტეს, როგორც კი ირანის ჯარი საზღვარს გადმოლახავდა, თავიანთ ყოფილ სახანოებში ერთდროულად დაეწყოთ აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ.

16 ივლისს ერევნის ხანის რაზმებმა სროლა აუტეხეს რუსეთის ჯარის ნაწილს, რომელიც სოფ. მირაქში იყო დაბანაკებული. პოლკის მეთაურის სავარსამიძის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად ერევნის ხანთან კონფლიქტის მოგვარება ვერ მოხერხდა. ირანის კავალერია იერიშზე გადმოვიდა, სავარსამიძე იძულებული გახდა, დაეტოვებინა სოფ. მირაქი და უკან დაეხია. არაერთხელ მოუხდა მას ხელჩართული ბრძოლა ირანელებთან. სავარსამიძემ უკან დაიხია და გუმრის ციხესთან შეჩერდა.

ერევნის ხანმა, ყაზახის დისტანცია რომ აეჯანყებინა, აღალარებს გაუგზავნა სპეციალური წერილი, სადაც სწერდა: „...По просьбам вашим и по моему ходатайству шах решился истребить неверных и из-под ига их освободить правоверных. Войско арахское, фарское, хорасанское и весь народ иранский двинулись из своих жилищ, и мы, основываясь на обещаниях ваших, разрушили мир, доселе существовавший между нами и русскими, побили их солдат, разорили всю Шурагельскую область и тем исполнили желание ваше. Шах-заде с многочисленными азербайджанскими войсками пошел к стороне Карабага; ханы же дагестанский (казыкумухский) и ширванский, которые находились при шахе, пошли с войсками к собственным их владениям. Собственное шахское войско также двинулось и следует в сии страны. Мы обязываемся пригласить вас к сему делу, дабы сказать вам, что если вы к оному хотите приступить с чистосердечием, то уже настал к тому случай и к исполнению онаго вы должны сделать первый шаг и тем исполнить данное вами обещание. Следовательно, всех

русских, находящихся среди вас, должны вы убить и будете во избавлении себя нам сотрудниками. В противном случае, если не исполните сего, мы причиним вам возможное зло, ибо тогда, вы устранитесь от собрания правоверных и удалитесь в общество неверных; тогда имущество ваше, семейство и кровь ваша будут безгрешною жертвою, и вы погибнете как на этом, та́к и на будущем свете"[1].

მან აზერბაიჯანისა და დაღესტნის ხანებიც მიიხმო საღვთო ომში რუსი „გიაურების" წინააღმდეგ. სწორედ ერევნის ხანის ამ წერილში შაჰის ნება-სურვილი — „ურწმუნოთა" განადგურების აუცილებლობა — აღიარებული იყო, როგორც სისხლხორცეული ვალი ყოველი მაჰმადიანისა. ის, ვინც რუსების წინააღმდეგ გაჩაღებულ საღვთო ომს განუდგებოდა, თავისი ოჯახით, ქონებითა და საკუთარი სისხლით აგებდა პასუხს. ირანმა იდეოლოგიურად შეამზადა მუსლიმანური მოსახლეობა ომისათვის.

1826 წლის 18 ივლისს ირანის ჯარებმა ემირ-ხანის მეთაურობით დაიკავეს რუსეთის სასაზღვრო სოფელი პარნაუთი, ხოლო 19 ივლისს მტერმა დიდძალი არტილერიითა და მრავალრიცხოვანი კავალერიით (სულ 30.000 მეომრით) გადმოლახა მდ. არაქსი ხუდოფერინის ხიდთან და შეიჭრა ყარაბაღში. ირანი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა რუსეთს. ირანელები აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ მას.

ირანელების თავდასხმის შეტყობინებისთანავე გენერალმა ერმოლოვმა პოლკოვნიკ სავარსამიძეს უბრძანა, ბამბაკისა და გოქჩისაკენ მიმავალი გზა მოეჭრა, მაგრამ სავარსამიძემ ბრძანება რომ მიიღო, გუმრისა და კარაკლისის ციხე-სიმაგრეები უკვე ირანის ჯარს ეკავა და კავშირი ყველა მიმართულებით მოშლილი იყო. ირანელები ჩქარობდნენ, ისინი ესწრაფოდნენ თბილისის დაპყრობას. ერევნის ხანი ჰუსეინ-ხანი იმუქრებოდა, რომ... „из числа моих нукеров одного сделаю губернатором в Тифлисе, другого—комендантом, третьего —полицмейстером"[2].

ირანის ჯარისა და გაქცეული ხანების გამოჩენამ მტრული ძალები წაახალისა და რუსეთის წინააღმდეგ განაწყო. ხანები აჯანყებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ყარაბაღზე აბას-მირზას თავდასხმისთანავე შირვანში გამოჩნდა ყოფილი ხანი მუსტაფა, რასაც მოჰყვა მოსახლეობის ამ-

---

[1] Н. Дубровин, История войны..., т. VI, стр. 618, 619.
[2] იქვე, გვ. 621.

ბოხება. ყუბის სახანოში მყოფი გენერალი კრაბე აფშერონის პოლკის სამი ასეულით შირვანისაკენ დაიძრა. როგორც თვითონ იტყობინებოდა, მთელი მხარე აჯანყებული დაუხვდა, მუსტაფა-ხანი „სარბაზებითა“ და ირანელთა კავალერიით მოქმედებდა[1]. სურსათის ნაკლებობამ, შირვანის პროვინციაში აჯანყებულთა შეუპოვრობამ და აჯანყების გავრცელებამ შაქისა და ბაქოს პროვინციებში, ასევე ყუბის გარეუბნებში დარუბანდის ყოფილი ხანის შიხ-ალის ვაჟის გამოჩენამ გენერალი კრაბე აიძულა, 25 აგვისტოს ბაქოს პროვინცია დაეტოვებინა და უკანვე დაეხია ახალი ყუბისაკენ. ამ უკან დახევას დიდი დანაკარგი მოჰყვა.

რუსეთის მიერ შეერთებულ ყველა სახანოში თითქმის ერთდროულად მოხდა ამბოხება. ყარაბაღში მომხდარი ამბოხების შესახებ პოლკოვნიკი რეუტი იუწყებოდა: „Провинция Карабахская вся в возмущении: татары без изъятия предались все к Мехти-Кули-хану... делают безпрестанныя шалости, грабежи и разбой“[2].

ირანელების თავდასხმის შედეგად რუსეთის ჯარის ნაწილები, რომლებიც საზღვარზე იდგნენ, სრულიად დემორალიზებული აღმოჩნდნენ. ნისი დიდი ნაწილი მტერმა სწრაფად გაანადგურა.

პროფ. ა. გ. ბესკროვნის მტკიცებით, ომის დასაწყისში ირანმა რუსეთის წინააღმდეგ გამოიყვანა 60-ათასიანი არმია, მის შემადგენლობაში შედიოდნენ: აბას-მირზას რეგულარული ჯარი, რომელშიც შედიოდა 7 ათასი ქვეითი და 12.500 კავალერისტი 24 ქვემეხით. შაჰის სიძის ალაიარ-ხანის 10-ათასიანი ქვეითი ჯარი, 4 ათასი კავალერისტი 10 ქვემეხით და ჰუსეინ-ხანის 4-ათასიანი ქვეითი და 8 ათასი კავალერისტი. გარდა ამისა, აბას-მირზას ჰყავდა 25-ათასიანი ცხენოსანი ლაშქარი (მილიცია)[3].

პროფ. ა. ვ. ფადეევის მონაცემებით, ირანის რეგულარული ჯარი, რომელიც „სარბაზის“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ითვლიდა 29 ბატალიონს 22 ათასი სარბაზით. გარდა ამისა, შაჰის ვასალები ომთან დაკავშირებით აგროვებდნენ 40 ათას ქვეით მებრძოლსა და 14 ათას ცხენოსან მეომარს.[4] ამას ემატებოდა აბას-მირზას მიერ მოსყიდული ლეკებისა და სხვა მუსლიმანური ხალხებისაგან შედგენილი აჯიალთა რაზმები, რომლებიც ზურგში უტევდნენ რუსეთის ჯარებს.

სხვა წყაროები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, თითქმის ემთხ-

---

[1] Н. Дубровин, История войны...., т. VI, стр. 626.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4291, л. 22 об.

[3] А. Г. Бескровный. Русское военное искусство XIX века, стр. 166, М., 1974 г.

[4] А. В. Фадеев. Россия и Восточный кризис 20-х годов XIX в., стр 149, М., 1958 г.

ვევა ა. ფადეევის მონაცემებს ირანის არმიის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ[1].

აბას-მირზას პირადი მრჩეველი იყო ინგლისელი პოლკოვნიკი სტოდორტი[2]. არმიის ასეთი შემადგენლობა, როგორი საბრძოლო მომზადებაც უნდა ჰქონოდა მას, ომის შემთხვევაში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიის ხალხებს.

ისტორიკოს ნ. დუბროვინის ცნობით, რუსეთს კავკასიაში ჰყავდა ერთი კორპუსი, რომელშიც შედიოდა მე-19 და მე-20 ქვეითი დივიზია, სარეზერვო გრენადერთა ბრიგადა, ერთი დრაგუნთა და 16 კაზაკთა პოლკი. სამი საგარნიზონო პოლკი, 6 საგარნიზონო ბატალიონი, 6 საარტილერიო ასეული და ერთი საარტილერიო ცხენოსან კაზაკთა რაზმი. შტატის მიხედვით კორპუსს უნდა ჰყოლოდა 45 ათასი ქვეითი და 7 ათასამდე ცხენოსანი ჯარი, 131 ქვემეხით[3]. ამ ცნობას ეყრდნობა სამხედრო ისტორიკოსი ა. გ. ბესკროვნიც[4], რაც მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. ჩვენ მიერ მიგნებული საარქივო მასალა, რომელიც იმავე ომის პერიოდშია შექმნილი და წარმოადგენს დაზუსტებულ ანგარიშს რუსეთის კორპუსის შემადგენლობის შესახებ, შემდეგ სურათს იძლევა: ქვეითი ჯარი შეადგენდა 38.477, არტილერისტები—2.988 და კაზაკთა კავალერია 5.391; სულ—46.856. მალე ამას მიემატა ის ბატალიონები და ასეულები, რომლებიც კავკასიის კორპუსში ირიცხებოდნენ და სხვაგან იყვნენ განლაგებული. საბოლოოდ კავკასიის ცალკეული კორპუსის რიცხობრივი შემადგენლობა შეადგენდა 48.489 მებრძოლს, რომელთა განკარგულებაში იყო 12.480 ცხენი და 131 ქვემეხი[5].

ზემოაღნიშნული ძალა თუ დაუპირისპირდებოდა ირანის ჯარს, ცხადია, მტერი მაშინვე წელში გატყდებოდა, მაგრამ მისი ერთბაშად გამოყვანა ირანის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო. რუსეთის ჯარის ნაწილები განლაგდნენ იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სადაც ყოველდღე ელოდნენ ოსმალეთის თავდასხმას. რუსეთის ჯარი იდგა აგრეთვე საქართველოს სამხრეთ რაიონებში, სადაც ხშირი იყო თავდასხმა ოსმალეთის მხრივ. ასევე ჯარი იდგა ქართლისა და კახეთის მთავარ პუნქტებზე, რუსეთის გარნიზონები იდგნენ ირანთან წინა ომის შედეგად შე-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4295, л. 92.

[2] М. А. Игамбердыев. Русско-иранская война 1826—1828 гг. „Труды Таджикского учительского института им. Айны, т. III, стр. 69, 1955 г.

[3] Н. Дубровин. История войны..., т. VI, стр. 215—216.

[4] А. Г. Бескровный. Русское военное искусство..., стр. 167.

[5] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4295, л. 64 об. 65; Описание вторжения персиян в Грузию в 1826 году, сочинение из военных журналов, оберквартермейстером Отдельного Кавказского корпуса полковником Коцебу I.

მოერთებულ აზერბაიჯანის სახანოებში და ქალაქებში. ჯარი იცავდა საქართველოს სამხედრო გზას, ჭარ-ბელაქნის საზღვრებს და სხვ.

პოლკოვნიკ კოცებუ I-ის აზრით, კორპუსის ასეთმა განლაგებამ დაღუპა საქმე. ძირითადად ჯარი საზღვარზე როდი იდგა, საიდანაც მოსალოდნელი იყო ირანელების თავდასხმა, ჯარის ქვეგანაყოფები ებრძოდნენ ჭარ-ბელაქანს, ჩეჩნებს და სხვ. კოცებუ სწორად სჯიდა. ჯარის სიმცირე უდავოდ უარყოფით შედეგებს იძლეოდა ირანელებისაგან თავდაცვის საქმეში. ერმოლოვს, თვითონ კოცებუ I-ის მტკიცებით, „Из бригады, расположенной в Имеретии, Мингрелии и Абхазии, не мог взять более одного батальона: ибо меры осторожности необходимы против Ахалцыхского пашалыка, где Турецкое правительство сверх удобно собираемой народной конницы, формирует 10 т. человек пехоты"[1].

ერმოლოვს სამართლიანად აფიქრებდა ის გარემოება, რომ ირანის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყება თურქეთთან ურთიერთობას კიდევ უფრო გამწვავებდა. იქმნებოდა იმის საფრთხე, რომ მსგავსად სპარსეთისა, ინგლისის წაქეზებით რუსეთთან ომს თურქეთიც დაიწყებდა. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთსა და თურქეთს შორის წარმოებდა აკერმანის გაჭიანურებული მოლაპარაკება, რომლის წარმატებით დამთავრებას ხელს უშლიდნენ ინგლისელები. ერმოლოვი თურქეთთან მოსალოდნელი გართულების შესახებ ნიკოლოზ I-ს სწერდა: „Начатая против нас персиянами война может обострить Оттоманскую порту к такому же предприятию. Найдутся у нас союзники, которые внушат ей, что обстоятельствами сими должно пользоваться, что война персидская отвлечет часть войск наших и тем облегчит действия против нас турецких армий"[2].

ერმოლოვის ეს მოლოდინი მართლდებოდა. დასავლეთ საქართველოში გართულებული მდგომარეობა იყო. თურქეთი მოიწევდა გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო რუსეთის დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკიც კი იყო იმის შესახებ, რომ დაეკმაყოფილებინათ მისი პრეტენზია და სოხუმი და ანაკლია დაებრუნებინათ. თუ სოხუმი და ანაკლია — ეს ორი ნავსადგური და საზღვაო სიმაგრე აფხაზეთსა და სამეგრელოში, თურქეთის ხელში გადავიდოდა, ცხადია, ამით სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს. ერმოლოვი ხელისუფლების წინაშე საკითხს აყენებდა,

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 7, Журнал военных действий персидской войны, 1826 и 1827 гг.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4299, л. 47 и об.

რომ აღნიშნული ნავსადგურები არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო თურ-ქეთისათვის. სოხუმის გადაცემა, ერმოლოვის აზრით, გამოიწვევდა ქრისტიანობის ამოგდებას აფხაზეთში და იქ მაჰმადიანური სარწმუნოების გაბატონებას. სოხუმის დაკარგვით რუსეთს ხელიდან გამოეცლებოდა ერთადერთი საიმედო ნავთსაყუდელი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე[1]. აფხაზეთის დაკარგვა, მისი აზრით, სახიფათო პირობებს შექმნიდა სამეგრელოში. ამის შემდეგ აფხაზეთიდან მოსალოდნელი იქნებოდა ოსმალთა გამუდმებული თავდასხმები, რაც გამოიწვევდა ერთმორწმუნე ქართველებში რუსეთისადმი რწმენის დაკარგვას. უფრო ქვემოთ იგი იმპერატორს სწერს: „Сухум-кале и Анаклию обещано было отдать Оттоманской Порте в таком только случае, есть ли она в втечение пятнадцати лет будет в точности выполнять обязанности, налагаемыя на нее мирным трактатом. Вашему императорскому величеству известно исполняет-ли она сие обязанности“[2].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს თურქეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, ერმოლოვი ამ ნავსადგურების დათმობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. იგი დაბეჯითებით აყენებდა საკითხს სოხუმის გამაგრების აუცილებლობის შესახებ და ამისათვის საჭირო თანხების გამოყოფას მოითხოვდა. უფრო ქვემოთ კი ერმოლოვი იმპერატორს სწერს: „По изложенным мною причинам, ваше величество, изволите сохранение Сухума признать нужным, то необходимо будет отправить туда из Крыма по крайней мере один комплектный полк пехоты и нужных для производства работ мастеровых и инженера“[3].

ერმოლოვის აზრით, თუ მთავრობა დარჩენილ დროს გამოიყენებდა, უზრუნველყოფდა სოხუმის სათანადოდ გამაგრებას, მისი თავდაცვითი მდგომარეობის გაძლიერებას.

აი როგორი დაძაბული ურთიერთობა იყო თურქეთთან ირანის მიერ რუსეთთან ომის დაწყების წინ და რაოდენ რთული პირობები შეიქმნა დასავლეთ საქართველოში. ამის გამო ერმოლოვს შეუძლებლად მიაჩნდა აქედან ჯარების წაყვანა აბას-მირზას წინააღმდეგ.

იმერეთის ყოფილი მეფის დავით გიორგის ძის უკანონო შვილის როსტომის მემკვიდრე ვახტანგი თურქეთს აფარებდა თავს. იგი იმერეთის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა და ალექსანდრე ბატონიშვილს თანაუგ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4290, л. 48 и об.

[2] იქვე, ფ. 49.

[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4290, л. 49 об и 50.

რძნობდა საქართველოში დამკვიდრებისათვის ბრძოლაში[1]. თურქეთში მყოფი ვახტანგ როსტომის ძე საკმაოდ ინფორმირებული ჩანს ირანსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავების საკითხში. იგი, როგორც ირკვევა, 1820 წლის იმერეთის აჯანყებასთან იყო დაკავშირებული და სამეფო ტახტისათვის იბრძოდა, თუმცა უშედეგოდ. ახლა კი, როდესაც თურქეთში ხმა გავრცელდა, ირანი რუსეთის წინააღმდეგ ომს ამზადებსო, იგი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან დასტურს ითხოვს ამ ომის სისწორის შესახებ, და თუ ეს მართალია, მადლობას უთვლის ღმერთს, თან სწერს: „Если бог даст, вы отселе поедете в Грузию, а я в свое отечество и скоро успеем возмутить; а если там нет силы, о том также уведомите нас, дабы по напрасну не потерять свою голову и народ"[2].

ირანის სარდლობის ძირითადი გეგმა ამიერკავკასიის დაპყრობასა და რუსეთის ჯარის თერგს გაღმა გაძევებას ითვალისწინებდა. ამიტომ უნდოდა ირანის მთავრობას, მოულოდნელი დარტყმებით ესარგებლა და სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა. ომის დაწყების წინ შაჰმა კავკასიის მთის ხალხებს მიმართა, რომ მათ „საღვთო ომი" გაეჩაღებინათ რუსეთის წინააღმდეგ. იგი ვარაუდობდა, რომ მთის მაჰმადიანებისაგან რუსეთის წინააღმდეგ შეადგენდა 180 ათასიან მილიციას[3], რაც უდავოდ გაზვიადებული უნდა იყოს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რუსეთის მდგომარეობა კავკასიაში გართულებული იყო. ჯარის რაოდენობა არ იძლეოდა ამიერკავკასიის დაცვის სრულ გარანტიას.

საარქივო მონაცემებით დასტურდება, რომ ირანთან საზღვრის მარჯვენა ფლანგზე — ბამბაკისა და შორაგალის პროვინციაში—რუსეთის გარნიზონი ითვლიდა მხოლოდ 2.943 ქვეით მებრძოლს, 12 ქვემეხსა და 504 ცხენოსან კაზაკს. ცენტრში—ყარაბაღის პროვინციაში—იდგა 2.651 ქვეითი ჯარისკაცი 6 ქვემეხით და 316 ცხენოსანი კაზაკი, ხოლო მარცხენა ფრთაზე, თალიშის სახანოში, იდგა 694 ქვეითი ჯარისკაცი 6 ქვემეხით და 91 ცხენოსანი კაზაკი. სულ საზღვრის ხაზზე განლაგებული იყო 7.199 მებრძოლი[4] და ისიც არასაბრძოლო მდგომარეობაში, რითაც კარგად ისარგებლა მტერმა.

ივლისის შუა რიცხვებში ერევნის ხანის 16 ათასიანმა ჯარმა, რომელსაც მხარს უჭერდა ქურთების 12 ათასიანი კავალერია, დაარღვია საზღვა-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 755, стр. 427; გენ. ერმოლოვის წერილი ბარონ სტროგონოვს, 1820 წლის 20 სექტემბერი.

[2] იქვე, ს. № 633, გვ. 350.

[3] ЦГВИА СССР, ф. 36, д. 509, св. 27, л. 15.

[4] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4295, л. 64 об. и 65.

რი. უკუაგდო თბილისის პოლკის ბატალიონი და გეზი თბილისისაკენ აიღო. იმავე დროს აბას-მირზას ჯარმა გადმოლახა მდ. არაქსი და ალყა შემოარტყა შუშის ციხესიმაგრეს, რომელსაც იცავდა 42-ე ეგერთა პოლკის 6 ასეული და ერთი კაზაკთა პოლკი (1300 ჯარისკაცი და 6 ქვემეხი) პოლკოვნიკ რეუტის მეთაურობით.

| სპარსელები, მეამბოხე აზერბაიჯანელი ხანები და ბეგები, რომლებიც რელიგიის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ხოცავდნენ როგორც რუს მებრძოლებს, ისე რუსული ორიენტაციის მოსახლეობას, იტაცებდნენ მათს ქონებას და. საერთოდ, შიშის ზარს სცემდნენ ქრისტიანულ მოსახლეობას. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ადრე რუსეთის ერთგულებად აცხადებდნენ თავიანთ თავს, ახლა კი ღალატობდნენ მას და ირანის სამსახურში დგებოდნენ. გენერალ პასკევიჩის ცნობით: „Сверх того, бунтовщики сии употребляли страх и жестокие истязания для увеличения их сообщников и многие из людей нам приверженных, в особенности из христиан, не только были ограблены, но подвергались мучениям и даже были обезображены лишением членов за их к нам преданность“[1].

მოყვანილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, თუ რაოდენ ველურად და ბუხანათურად იქცეოდნენ ამიერკავკასიაში თავიანთი დაპყრობითი მიზნების განხორციელებისათვის სპარსელები „ცივილიზებული“ ინგლისის მხარდაჭერით.

ყარაბახში ყოფილი ხანის გამოჩენამ, რომელიც ადრე ირანში გაიქცა, აბას-მირზას მიერ მოსყიდული მოსახლეობის ერთი ნაწილის ამბოხება გამოიწვია რუსების წინააღმდეგ. იქ მალე თავისი ჯარებით შეიჭრა აბას-მირზა, რამაც ანტირუსულ აჯანყებას უფრო ფართო ხასიათი მისცა. ირანის შაჰი მოსახლეობის ასაჯანყებლად რუსეთის მიერ შეერთებულ პროვინციებში გზავნიდა ან ყოფილ ხანებს, რომლებმაც გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით თავიანთი სამფლობელო დაკარგეს და ირანს შეაფარეს თავი, ანდა თავის აგენტებს დიდძალი ფულით. მან შირვანის პროვინციაში გაგზავნა ირანში ადრე გაქცეული მუსტაფა-ხანი, რომლის განკარგულებაშიც იყო ირანის კავალერიის საკმაო ნაწილი. ერმოლოვის თქმით: „Старшины, радующиеся возвращению прежней их власти и способам обогащения себя на счет им подвластных, тот час присоединились к хану“[2].

რაც შეეხება შაქის პროვინციას, იქ აბას-მირზამ გაგზავნა უკანასკნელი ხანის შვილები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ირანში ცხოვ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. № 4337, л. 14 об. и 15.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 675, стр. 372.

რობდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ერთსულოვნად როდი უკერდა მხარს ირანის აგენტებს. ერმოლოვის ცნობით, „Жители разделены на партии и пришлецу хану многие повинуются принужденно“[1].

თალიშის სახანო, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი პირველი აღდგა რუსეთის წინააღმდეგ. ბაქოს პროვინციის მოსახლეობის დასარაზმავად აბას-მირზამ გენერალ ციციანოვის მკვლელი ბაქოს ყოფილი ხანი გაგზავნა.

ყუბის პროვინციაში გაგზავნეს რუსეთის მიმართ თავის დროზე მეხანათობით ცნობილი, სპარსეთში გაქცეული და იქ გარდაცვლილი შიხალი-ხანის შვილი, რომლის გარშემო თავი მოიყარეს პროირანული ორიენტაციის დიდებულებმა.

რუსეთის დაუძინებელი მტერი ყაზი-ყუმუხის ყოფილი ხანი სურხაი-ხანი ყაზი-ყუმუხსა და მთელ დაღესტანში გაგზავნეს, რათა იქ მოსახლეობა აემბოხებინა რუსეთის წინააღმდეგ. მას თან მიჰქონდა აბას-მირზას წერილი და დიდძალი თანხა მთის ხალხის მოსასყიდად.

რუსეთის მთავრობა თავის მხრივ სურხაი-ხანის მიმართ მტრულად განწყობილ მთის დიდებულებს ასაჩუქრებდა, ჩინ-მედლებს ურიგებდა და აწინაურებდა. მაგალითად, ყაზი-ყუმუხის ხანს ასლან-ხანს გენერლობა ებოძა, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. გენერალ-მაიორმა ასლან-ხანმა, ერმოლოვის ცნობით, სურხაი-ხანი არც კი შეუშვა მთაში, ხოლო მისი ვაჟი, რომელსაც საკმაოდ დიდი პარტია ჰყავდა, სასტიკად დაამარცხა და გააქცია. მიუხედავად ამ მარცხისა, სურხაი-ხანი ლეკებს კახეთზე თავდასხმისათვის მოუწოდებდა, სამაგიეროდ დიდძალ საჩუქარს ჰპირდებოდა.

დარგის თემმაც — აყუშინელებმაც მიიღეს აბას-მირზას ფირმანი, რომლითაც იგი მათ ურწმუნოთა წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისაკენ მოუწოდებდა. აყუშინელებმა ტარკის შამხალს გადასცეს ფირმანის ასლი, რომ მას, ნიშნად რუსეთისადმი ერთგულებისა. ის ერმოლოვისათვის მიერთმია. ერმოლოვი, თავის მხრივ, ტარკის შამხალს ახასიათებდა როგორც რუსეთის ერთგულ ნაცად პიროვნებას. ჭარის ლეკები, მისივე ცნობით, ძალებს აგროვებენენ, რომ თავს დასხმოდნენ კახეთს და გაენადგურებინათ შირვანისა და ნიეგეროდის დრაგუნთა პოლკები. გარდა ამისა, აბას-მირზამ შაკის ხანს უბრძანა, ჭარებს შეერთებოდა, რაც ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ შეასრულა.

მდგომარეობის გართულების მიზნით აბას-მირზამ კახეთში ტაბტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილი გაგზავნა.

თბილისთან ახლოს ბორჩალოს თათრები რუსების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რადგანაც აბას-მირზა საიდუმლოდ მოქმედებდა და ცდილობდა, ისინიც აეკანყებინა.

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. № 675. стр. 322.

ირანის ჯარის წარმატება ყველგან საგრძნობი იყო. ქურთების მზვერავი კავალერია, რომელიც ირანის ჯარს წინ მოუძღოდა, დილიჯანის ხეობის გავლით საქართველოს საზღვრებისაკენ მოიწევდა. მათს გამოჩენას შიში და პანიკა შეჰქონდა მოსახლეობაში. განსაკუთრებით დაზარალდა ბამბაკი და ბორჩალოს დისტანცია. 1826 წლის 14 აგვისტოს ქურთების ცხენოსანი ჯარის ათასიანი რაზმი შეიჭრა გერმანელთა კოლონიაში ეკატერინენფელდში და სულ ერთიანად გაანადგურა. ამის შესახებ საარქივო დოკუმენტებში ვკითხულობთ: „Партия неприятельская, имевшая направление на колонию Екатериненфельд, около Думаниса (დმანისი, ნ. ქ.) на реке Храме, точно разграбила ее совместно с борчалинцами; немцев не досчитаются до 300 душ“[1]. სპარსელებმა დახოცეს 70 კაცი, ხოლო 150, ძმთავრესად ქალები, ტყვედ წაიყვანეს.

ბორჩალოს დისტანციაში რუსეთის სარდლობამ კაზაკთა პოლკი და ორი ქვეითი ასეული გაგზავნა. ბორჩალოს დისტანციის ბოქაული თავადი ორბელიანი ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელებისაგან შედგენილი რაზმით გმირულად შეება ირანის კავალერიას. ეს იყო მრავალრიცხოვან მტერთან ეთანასწორო ბრძოლა, სადაც ორბელიანის რაზმმა გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითი უჩვენა. როგორც კოცებე I იუწყება, „Далеко от колонии князь Орбелианов был окружен множеством куртинцев, но, находясь на отдельной высоте и имея в тылу крутой обрыв, храбро защищался доколе не убили шестерых из его людей; положение его становилось весьма критическим, ибо куртинцы, спешившись, атаковали гору; но в сию минуту князь Орбелианов, к счастию, выстрелом убил на месте начальника оных“[2].

მეთაურის მოკვლამ არევ-დარევა შეიტანა მტრის ბანაკში, რითაც ისარგებლეს ორბელიანმა და მისმა მცირერიცხოვანმა რაზმმა და მტერს დიდი ზიანი მიაყენეს. ირანის კავალერიას მხარი დაეჭირა შაბშადილის თათრების ერთმა ნაწილმა, რომელიც მათს გამოჩენას ელოდა. მტრის შემოსევა საქართველოს საზღვრებში ეფაფერებელი იყო. ქართლში სასწრაფოდ შეიკრიბა ქართველთა მილიცია. 27 აგვისტოს სოფ. ტფილისთან იდგა 1800 კაციანი ცხენოსანთა რაზმი; საქართველოში ყალიბდებოდა სომხების რაზმებიც. ბოლოსდაბოლოს სვანსაბრძის ნაწილებმა ქართველებთან და სომხებთან ერთად მტერი ეცემინდვრის, შაშადილის მოჯანყე თათრები მკაცრად დასაჯეს, მაგრამ დიდი სიფრთხილე და მეთვალყურეობა სჭირ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА. д. 4297, л. 11, „Журнал военных действий в провинциях Баубак и Шурагель, против войск персидских в 1826 году“.

[2] ЦГВИА СССР. ф. ВУА, д. № 4295, л. 76—77, „Описание вторжения Персиян в Грузию в 1826 году“.

დებოდათ რუსეთის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ კვლავ თავი არ წამოეყოთ მათ.

ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. საჭირო გახდა ბრძოლის წარმოება არა მარტო ირანელების, არამედ მათ მიერ დარაზმულ მეამბოხეთა წინააღმდეგაც.

სპარსელები ზედიზედ იღებდნენ სოფლებსა და ქალაქებს. სულ მალე ამიერკავკასიის თითქმის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი მათი სისხლიანი ტეროორის ქვეშ აღმოჩნდა. მუსლიმანურმა მოსახლეობამ ელიზავეტოპოლში აჯანყება მოაწყო და ის, მიუხედავად რუსების სერიოზული წინააღმდეგობისა, სპარსელების ხელში გადავიდა. ელიზავეტოპოლისათვის ბრძოლაში სპარსელების წინააღმდეგ თავი გამოიჩინეს სომხებმა, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ კარზე მომდგარ მტერს. ერმოლოვი იმპერატორს სწერდა: „Все армяне, живущие в округе, на стороне нашей"[1]. ელიზავეტოპოლის, ისევე როგორც სხვა სოფლებისა და ქალაქების, მტრის მიერ აღებას მოსახლეობისათვის მხოლოდ სიკვდილი მოჰქონდა. „Одновременно с занятием Елизаветополя вернулись в свои бывшия столицы изгнанные ханы в сопровождении персидских отрядов и с мешками английского золота"[2].

ცხადია, ინგლისელები თავიანთი დიდძალი ფინანსური საშუალებებით სულს უდგამდნენ ირანელთა ყველა ამ სახიფათო საქმიანობას. სახელოვანი პოეტის ნ. ბარათაშვილის მამა, მელიტონ ბარათაშვილი, 1826 წელს ერმოლოვს განჯის ოლქის, ყოფილი განჯის სახანოს, მმართველად დაუნიშნავს, მაგრამ, როგორც თვითონ იტყობინება, ამ თანამდებობის შესრულება მალე ძნელი გახდა, რადგან სპარსეთის ჯარი ჩვენს საზღვრებში შემოიჭრა და საჭირო შეიქნა განსაკუთრებული ზომების მიღება, რომ მერყევი მცხოვრებნი ხსენებული ოლქისა მორჩილებაში გვყოლოდაო[3].

სპარსელები ფიქრობდნენ, რომ მათ მიერ მოპოვებული გამარჯვება საბოლოო იყო, მაგრამ ისინი დიდად მოტყუვდნენ, ბრძოლა მხოლოდ იწყებოდა. რუსეთის სარდლობა მოულოდნელობით გამოწვეულ დაბნეულობას თავს აღწევდა, ძალებს იკრებდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად მოუმზადებელი შეხვდა რუსეთის სარდლობა ირანის ჯარების თავდასხმას და რა მდგომარეობა შეიქმნა თავდასხმისთანავე ამიერკავკასიაში, საინტერესო ცნობას იძლევა ანონიმი ავტორი. იგი გვიხატავს რუსეთის ჯარის ნაწილების სრულ მოუმზა-

---

[1] Акты, т. VI, ч. II, № 675, стр. 372.

[2] История русской армии и флота., т. 6, стр. 61.

[3] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. თბ. 1968 წ. გვ. 20

დებლობას ომისათვის: „Судить о войне, о действиях и распоряжениях хотя не наше дело, но общему гласу большия упущения и немалые безпорядки были и есть, ибо при начале войны и при вторжении персиян... ни какой осторожности в Грузии и областях ея не было, нужных даже необходимых приготовлении не существовало. Российския войска нигде никаких запасов не имели, даже сухарей нисколько не было; артиллерия же без лошадей и без снарядов находилась в совершенной неисправности.

Солдаты были по малой части разсеяны в разных отдаленных селениях и деревнях, на полях занимались они уборкою хлеба и на лугах сенокосом. Многие из русских солдат на тех же лугах и полях, особенно около Ганджи, Ланкоран (ლენქორანი—ნ. ქ.) и других местах были перебиты мусульманами, персиянами, горцами, местами видны были целые ряды большого числа туловищ солдат, коих головы были отсечены и отправлены, яко трофей в Персию... Российские остальные отряды солдат, видя резанье и убийство, спасались бегством и собирались к одним местам, дабы собраться и отретироваться"[1].

პირველ ხანებში რუსეთის სარდლობამ ირანელების მიერ ომის დაწყება ურჩი ტომების ყაჩაღურ თავდასხმად მიიჩნია. იგივე ავტორი სხვაგან წერს: „Персияне и ханы с мятежными мусульманами везде встречали успех, во многих местах как в селениях, деревнях, так и на лугах находили немалое число русских солдат, коих убивая, головы их отправляли в большие города, яко трофей, выхвалялись сильно, что поразили врагов и завладели их землями"[2].

რუსი მებრძოლების ბარბაროსულ განადგურებას პანიკა შეჰქონდა არა მარტო ჯარის ნაწილებში, არამედ თვით მოსახლეობაშიც. პირველი წარმატებებით აღფრთოვანებული ირანელები სულ უფრო და უფრო მო-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 35 об. შდრ. იქვე ფ. 25—30.
[2] იქვე.

იწევდნენ ქვეყნის სიღრმეში. სწორედ ასეთ მომენტში უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საქართველოს მტკიცე პოზიციას ირანზე გამარჯვების საქმეში. ქართველები, როგორც ამას სათანადო მასალები ადასტურებენ, დადგნენ რუსეთის დროშის ქვეშ და ღირსეული წვლილი შეიტანეს ირანის დამარცხებაში. სრულიად მართებულად მიუთითებდა იგივე ავტორი ქართველებისა და სომხების გმირული შემართების შესახებ ამ ომში. იგი წერს: „Если бы не помощь и не оборона жителей из армян и грузин, тогда бы произошли большия упущения и самая гибель русским, кои в разных малых отрядах были разсеяны и даже не имели запасных патронов для защиты“[1].

აქ მოყვანილი სიტყვები ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მიუთითებს ქართველი და სომეხი ხალხების ერთგულებაზე რუსეთის მიმართ. მაგრამ ავტორი ცდება, როცა არაფერს ლაპარაკობს აზერბაიჯანელი ხალხის მოწინავე ადამიანების გმირული შემართების შესახებ ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. იგი დუმს, ალბათ, იმის გამო, რომ აზერბაიჯანელი ხანებისა და ფეოდალების საკმაო ნაწილი, რელიგიით ირანელებთან დაკავშირებული, მხარში ამოუდგა ვერაგ მტერს. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აზერბაიჯანელი პატრიოტები რუსებთან, ქართველებთან და სომხებთან ერთად, მიუხედავად თავიანთი რელიგიური რწმენისა, ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ იბრძოდნენ და გმირობისა და მამაცობის არაერთ მაგალითს უჩვენებდნენ.

ალბათ, ეს ხალხები უფრო მეტს გააკეთებდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ცარიზმის ანტიხალხური, კოლონიური პოლიტიკის სიმწვავე თავის უარყოფით კვალს ამჩნევდა მათ ცხოვრებას. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში, „ველიკოროსების ეროვნული სიამაყის შესახებ“, წერდა: „ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ“[2], ცარიზმი და მისი მოხელეები ერთიმეორისაგან თიშავდნენ ხალხებს და მათში ერთმანეთისადმი უნდობლობას თესავდნენ. ცარიზმი უდავოდ რუსი ხალხის უბოროტესი მტერი იყო. იგი კიდევ უფრო უარეს დღეში აგდებდა იმპერიის განაპირა რაიონებში მცხოვრებ დაპყრობილ ხალხებს. სწორედ ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკა იყო საფუძველი XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მომხდარი თითქმის ყველა აჯანყებისა. ბუნებრივია, ხალხისადმი ცარიზმის დაპირისპირება ამცირებდა ქართველებისა და კავკასიის სხვა ხალხების ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 35 об.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 21, გვ. 111.

სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ირანელთა თავდასხმის შესახებ, საჭიროა, გაირკვეს ამ პერიოდის საერთო სიტუაცია ამიერკავკასიაში და, კერძოდ. აქ მცხოვრები ხალხების პოზიცია ომის მიმართ.

როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა მალე იგემა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სისასტიკე, რასაც არა ერთი აჯანყება მოჰყვა. მათ შორის აღსანიშნავი იყო 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819—1820 წწ. აჯანყება იმერეთსა და გურიაში. ყველა ეს აჯანყება იყო ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ აჯანყებებით ქართველმა ხალხმა რუსეთის ცარიზმს უჩვენა თავისი დიდი სიყვარული ეროვნული თავისუფლებისადმი და დაუმტკიცა მას, რომ იგი ეროვნულ ჩაგვრას არასოდეს შეურიგდებოდა.

რუსეთის ისტორიული მტრები — ირანი და ოსმალეთი — კი ცდილობდნენ, რომ ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ თავიანთი დაპყრობითი მიზნების განხორციელებისათვის გამოეყენებინათ. ისინი ამ საქმეში აბამდნენ საქართველოდან გაქცეულ უფლისწულებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ სამეფო ტახტზე. მათ შორის, როგორც აღინიშნა, ყველაზე პოპულარული იყო ალექსანდრე ბატონიშვილი, დასავლეთ საქართველოში კი იმერეთის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ვახტანგ ბატონიშვილი, რომელიც თავს აფარებდა ოსმალეთს.

ვახტანგ ბატონიშვილი ოსმალეთის ჯაშუშების მეშვეობით დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან, ცდილობდა, ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკით ესარგებლა და ოსმალეთის ძალებზე დაყრდნობით დაემკვიდრებინა სამეფო ტახტი. თავის მხრივ ოსმალეთი ცდილობდა, იგი მოხერხებულად გამოეყენებინა თავისი დაპყრობითი პოლიტიკის განხორციელებისათვის. უფლისწული ვახტანგი ირანის თავდასხმის წინ გურიის მთავარს ატყობინებდა, რომ „С 50-ью тысячами человек Шах-заде и 23-мя тысячами лезгин Александр (ლაპარაკია ალექსანდრე ბატონიშვილზე, ნ. ქ.) в близком времени должны идти под Тифлис“.[1]

ვახტანგი მოუწოდებდა გურიის მთავარს, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად აღმდგარიყო რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო თვითონ კი აღუთქვამდა, რომ თურქეთის ჯარით დაეხმარებოდა რუსეთის სამხედრო ძალების განადგურებაში. მისი აზრით, რუსეთის წინააღმდეგ დარტყმას ერთდროული ხასიათი უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთიდან, ირანის მხრივ, და დასავლეთიდან—ოსმალეთის მიერ, რომელსაც მხარს დაუ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 15. „Журнал военных действий персидской войны“ 1826 и 1827 гг.

ჭერდა ადგილობრივი მოსახლეობა. ყოველივე ზემოაღნიშნული ყურადსაღები იყო რუსეთისათვის.

ირანისა და ოსმალეთის გაძლიერებული რელიგიური პროპაგანდა ასუსტებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიის მთიანეთში.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კავკასიის მთებში ვითარდება რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საღვთო ომს (ჰაზავათს) ქადაგებდა და არსებითად კავკასიაში რუსთა ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ოსმალეთის მიერ გამოგზავნილი აგენტები მთის მუსლიმანურ მოსახლეობას „გიაურების" მიმართ საომრად განაწყობდნენ. 1823 წელს ტაბასარანელი მოლა-მუჰამედი ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „От имени пророка я повелеваю вам, — соберите народ, прочтите мои наставления, вооружайтесь и идите на казават. Истребите русских, освободите мусульман, — братий наших. Если вы будете убиты в сражении, рай вам награда.—Если же вы убежите с поля сражения, или чрез деньги, или чрез ложные обещания, покарать вас, тогда ваши мечеты будут обращены в церкви. Вы будете навечно прокляты, для вас нет спасения и бойтесь гнева божия.

Вы храбрый народ! Один мусульманин должен идти против десяти неверных; не должен бояться и поворачиваться спиной к гяурам, ступайте лицом к лицу. Кто так будет поступать, тому рай награда. — будет святым".[1]

ამგვარად, ირანის და ოსმალეთის დაქირავებული აგენტები კავკასიის მუსლიმან მოსახლეობას უღვიძებდნენ ფანატიზმს, უნერგავდნენ ცხოველურ სიძულვილს ქრისტიანების, უპირველეს ყოვლისა, რუსების მიმართ. ისინი მოუწოდებდნენ მუსლიმანებს, ამოეხოცათ რუსები, სამაგიეროდ, თუ ბრძოლის ველზე დაეცემოდნენ, აღუთქვამდნენ, რომ მათი სული სამოთხეში მოხვდებოდა. ერთ მუსლიმანს ათი ქრისტიანი მაინც უნდა მოეკლა, ხოლო ის, ვინც არ შეასრულებდა ყოველივე ამას, დაწყევლილად ჩაითვლებოდა.

კავკასიიდან ერმოლოვის გაწვევამ, ირანთან და ოსმალეთთან ომებმა გენერალ პასკევიჩის ყურადღება ჩამოაცილა დაღესტნის საქმეებს, „что

[1] ЦГАДА СССР, ф. Ермоловых, д. 309, л. 8. Записка Штабс-капитана Веревкина,—о борьбе горцев с русскими на Кавказе, 1827, л. 6, 7.

дало возможность созреть учению муллы Магомеда и приготовиться продолжительной борьбе с русскими".[1]

კავკასიაში სახიფათო მოვლენათა კვანძი გაინასკვა, თურქეთი ომს ამზადებდა რუსეთის წინააღმდეგ. დასავლეთი საქართველო მზად იყო აჯანყებისათვის. ირანმა ომი დაიწყო, აზერბაიჯანისა და კავკასიის მთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი რელიგიურ პროპაგანდას აჰყვა, ირანი და ოსმალეთი მოხერხებულად იყენებდნენ კავკასიიდან ადრე გახიზნულ ხანებსა და დიდებულებს, რომლებიც მზად იყვნენ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ.

თვით საქართველოს მოსახლეობა, რომელმაც თავისი ისტორიული ბედ-იღბალი საბოლოოდ და სამუდამოდ დაუკავშირა რუსეთის სახელმწიფოს, კმაყოფილი არ იყო ქვეყნის შიგნით შექმნილი ვითარებით. ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკა მძიმე ასატანი გახდა იმ ხალხისათვის, რომელმაც მთელი თავისი არსებობა უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლას შეალია. სწორედ ამიტომ ხდებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აჯანყება, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. პოლკოვნიკი ბარტოლომეი, 1826 წელს საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას რომ გაეცნო, წერდა: „Народ имеретинский, а еще более мингрельский, честный, добрый, покорный и трудно возмутить его".[2] მაგრამ იგივე რუსი მოხელე, როდესაც 1820 წლის იმერეთის აჯანყების მიზეზებს ჩასწვდა, იძულებული გამხდარა, ეღიარებინა, რომ დასავლეთ საქართველოში აჯანყებები გამოწვეული იყო „ от совершенного неумения русских чиновников... обращаться как с князьями, так и с простым народом... От злоупотребления и корыстолюбия русских же чиновников. Так что, чем далее, тем более правительство теряет доверенность сих народов, требующих по недоверчивому и сомнительному праву своему, весьма осторожного с ними обращения".[3]

პოლკოვნიკი აქ არაფერს ამბობს ცარიზმის კაცთმოძულე პოლიტიკის შესახებ დაპყრობილი საქართველოს მიმართ, და, ცხადია, ვერც იტყოდა, მაგრამ იგი მაინც იძულებული გამხდარა, ეღიარებინა რუს მოხელეთა თავგასულობა და არაადამიანური დამოკიდებულება ქართველებისადმი. აქედან ჩანს, თუ რაოდენ დიდი უსამართლობა უნდა დაენახა პოლკოვნიკ ბარტოლომეის, რომ დაუფარავად მოეხსენებინა ყოველივე ეს იმპერატორისათვის.

---

[1] ЦГАДА СССР, ф. Ермоловых, д. 309, л. 8 об. и 9.
[2] ЦГАДА СССР, ф. Разряд XI, д. 1181—1183, л. 23.
[3] იქვე, ფ. 23.

ანალოგიურია უცნობი ავტორის შეხედულებაც. იგი აღიარებს, რომ რუსი მოხელეები შეურაცხყოფდნენ ქრისტიანი ქართველებისა და სომხების ეროვნულ ღირსებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მუსლიმანური სარწმუნოების მოსახლეობაზე. იგი წერს: „В продолжении десятилетняго управления, вместо ожидаемых благ от распоряжений, от разных новых постановлений, главных нынешних неблагонамеренных начальников, кроме вреда ничего почти полезного не введено. Все жители Грузии и области ея, от многих несправедливостей и притеснений, находят себя в теснении; разные горские народы и обитатели из мусульман и татар, видя насильства и неправду, против прежняго больше озлобились и всемерно ищут случаев к мятежу частному и общему. Грузины, даже и армянский народ, претерпевая наичувствительныя оскорбления в порицании их нации и даже религии, находятся в худом и жалостном состоянии...

Есть ли бы главные начальники, кои вообще по неблагонамеренности и гонению своему ненавидимы, были бы вовсе удалены из нашей страны, тогда бы жители Грузии от радости в доказательство усердия своего и для снискания благополучия своего употребили бы больше средств к значительным успехам Российского оружия“.[1]

სამწუხაროდ, ამ ავტორს ავიწყდება, რომ ახალი მოხელეებიც, რომლებსაც პეტერბურგიდან აგზავნიდნენ, იყვნენ არა დემოკრატიული რუსეთის, რადიშჩევისა და დეკაბრისტების რუსეთის, არამედ ნიკოლოზ I-ის რუსეთის, — ევროპისა და საკუთარი ქვეყნის ხალხების ჟანდარმის — წარმომადგენლები და მათ, ცხადია, არ შეეძლოთ კავკასიის ხალხების ინტერესების დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მეომარი ქვეყანა, როგორც ირანი, ისე რუსეთი, ომში დაპყრობით მიზნებს ისახავდა, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და კავკასიის სხვა ხალხები აქტიურად ჩაებნენ ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ომში ირანის, მათი უბოროტესი და ისტორიული მტრის, დამარცხება ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების გარანტიას იძლეო-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 36 и об.

და და ბოლო ეღებოდა ახალი გამანადგურებელი თავდასხმის საფრთხეს. ომის ყველა ობიექტური შედეგი პროგრესულ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

ირანის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით დაწყებულმა ომმა მოძრაობაში მოიყვანა თითქმის ყველა მტრული ძალა, რომლებსაც იერიში საქართველოზე მოჰქონდათ. ლეკთა შეიარაღებული რაზმები რუსეთის მოხარკე ჭარებს დაეკავშირდნენ და კახეთზე თავდასხმის სამზადისში იყვნენ. აზერბაიჯანის სახანოები უკვე მტრის ხელში იყო. აბას-მირზას გზი საქართველოსაკენ აეღო, თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით იგი თბილისისაკენ მოიწევდა. კახეთში დაძაბულობა სუფევდა. ყველას თვალწინ ედგა 1812 წლის აჯანყება, რომელიც ცარიზმმა სისხლში ჩაახშო. აჯანყების ბევრი მოთავე გააციმბირეს, ბევრიც დაიღუპა. ალექსანდრე ბატონიშვილს კახეთში თავის მხარდამჭერი ძალა ეგულებოდა. ყაზი-ყუმუხის ყოფილი ხანი სურხაი-ხანი ჭარში იდგა და კახეთზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. ჭარ-ბელაქანი რუსეთისათვის სახიფათო იყო, იგი ჯერ კიდევ არ დაეპყრო რუსეთს. პროფესორ მ. დუმბაძის მართებული თქმით, „ჭარი წარმოადგენდა დაღესტნიდან მომდინარე თავდასხმების საბუდარს, ნიადაგ მღელვარე მხარეს, რომელსაც რუსთა რაზმები მუდმივი მობილიზების მდგომარეობაში ჰყავდა“.[1]

ამჯერად ამიერკავკასიაში რუსეთის წარუმატებლობის გამო, კახეთის დაცვის საკითხი დღის წესრიგში მწვავედ დადგა. ქართული გრენადერთა პოლკის ერთი ბატალიონი 3 ქვემეხითა და შირვანის პოლკის მესამე ბატალიონის 400 მებრძოლითურთ, ერმოლოვის ბრძანებით, ალაზნის ნაპირებზე განლაგდა.[2]

ერმოლოვი 1826 წლის 13 აგვისტოს მთავრობას აუწყებდა: „Со стороны Кахетии собираются лезгины для нападения на оную в больших силах; с ними соединяется платившее нам дань Джарское общество, довольно многолюдное и воинственное, от коего уже появились конныя партии.“.[3]

ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ შეკრებილი ჭარებისა და ლეკების ჯარი სახიფათო ძალას წარმოადგენდა. რუსეთის დაზვერვა იუწყებოდა, რომ „Царевич Александр личным своим присутствием и влиянием успел уже собрать в Дагестане до 12 т. вооруженных воинов, старался число оных умножить и ожидал Аббас-мирза, дабы по извес-

---

[1] მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, გვ. 158, თბ. 1953 წ.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. № 681, стр. 375.

[3] იქვე, გვ. 362.

тию в одно время с ним и другими ханами действовать против Россиян в разных пунктах".[1]

ალექსანდრე ბატონიშვილს ლეკებისა და ჭარელების გარდა, აბასმირზას განკარგულებით, შაქის ხანის ჯარიც უნდა დახმარებოდა. იგი საიდუმლო კავშირს ამყარებდა კახეთში თავის მომხრეებთან, რათა ისინი ბატონიშვილის გამოჩენისთანავე გამოსულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ.

სურხაი-ხანი კახეთზე თავდასხმისათვის გამზადებულ შაქელებსა და შირვანელებს თავისკენ იხმობდა. ჭარელებზე დიდი გავლენა იქონია აბასმირზას პროკლამაციამ, რომლითაც იგი მათ კოლონიალური რაოდენობის საჩუქარს ჰპირდებოდა და რუსეთის ჯარის განადგურებისაკენ მოუწოდებდა.[2] ჭარელებმა სექტემბრის პირველ რიცხვებში უაჩაღური თავდასხმები დაიწყეს კახეთის საზღვრისპირა სოფლებზე. თავს დაესხნენ ყარაღაჯს და ააოხრეს.

კახეთში ახლოვდებოდა რელიგიური დღესასწაული ალავერდობა, რომელიც მაშინ სახალხო ზეიმის ხასიათს ატარებდა. ალავერდში კახეთის თითქმის ყველა კუთხიდან იკრიბებოდა მოზეიმე ხალხი. არ იყო გამორიცხული, რომ ბატონიშვილის მომხრეებს ალავერდობა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისა და ალექსანდრეს გამეფებისათვის გამოეყენებინათ. ამიტომ ხელისუფლების ორგანოებს აუკრძალავთ ალავერდობის აღსანიშნავი რელიგიური ზეიმის ჩატარება. ამასთან ერთად მოსალოდნელი თავდასხმის აღსაკვეთად სერიოზული ღონისძიება გაუტარებიათ.

ქართველებისაგან შეუკრებიათ მრავალრიცხოვანი რაზმი ჭარებისა და ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად. გენერალ-ლეიტენანტმა გ. ერისთავმა ბრძანა, თავი მოეყარათ კახეთში 1500-მდე მებრძოლისათვის, უპირატესად თუშებისათვის, რომელთა 400 კაცისაგან შემდგარი რაზმი სოფ. ჭიკაანში (ყვარლის რაიონში) იდგა.[3]

ამგვარად, როგორც ირკვევა, რეგულარული ჯარის ნაწილს სარდლობა ამჯერად საკმაო რაოდენობით ვერ აგზავნიდა. ლეკებისა და ჭარების თავდასხმისაგან კახეთის დაცვა თვითონ კახელების რაზმებს ეკისრებოდათ. რაზმს უპირატესად თუშებისაგან აკომპლექტებდნენ, რადგანაც მათთან ალექსანდრე ბატონიშვილის კავშირი მთავრობას ნაკლებად საეჭვოდ მიაჩნდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი აჯანყებისაკენ მოუწოდებდა ქართლისა და კახეთის თავადებს, მთიანეთს — ყაბარდოს, დაღესტანს, ჩეჩნეთსა და

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 4.

[2] Кавказский сборник, т. XI, стр. 23.

[3] Акты, т. VI, ч. II, д. № 682, стр. 376.

სხვებს. რუსეთთან წინა ომში დამარცხების შემდეგ ირანის ხელისუფლება ცდილობდა, უფრო ინტენსიური გაეხადა მომავალ ომში ამიერკავკასიის ფეოდალებისა და ხანების მოქმედება. ცნობილია, რომ ქართველი თავადებისა და აზნაურების ერთი ნაწილი შეურაცხყოფილი იყო რუსული მმართველობის დამკვიდრებით, ალექსანდრე ბატონიშვილი კი მათ დაკარგული დიდებისა და პატივის აღდგენას აღუთქვამდა.

რუსეთის სარდლობას ზუსტი ცნობა ჰქონდა იმის შესახებ, რომ „Царевич Александр раздавал горцам деньги для поощрения к войне. Царевич с собранными лезгинами переправился уже через реку Алазани и замышлял действовать против русских в одно время с Аббас-Мирзою. Таким образом, чтобы Россияне находились окружены с одной передовой стороны персиянами, а с другой — задней стороны, или в тылу царевичем с лезгинами, с дагестанскими другими жителями и с ополчениями, из возмутителей мусульман составленными.“ [1]

შემთხვევითი როდი იყო, რომ აბას-მირზა დიდ იმედებს ამყარებდა ალექსანდრე ბატონიშვილსა და მის მოკავშირეებზე, განსაკუთრებით კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაზე, რომლის რეაქციული ნაწილი ბატონიშვილს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში იმედის თვალით შეჰყურებდა და ყველაზე უფრო ენერგიულ და დიდი გავლენის მქონე ფიგურად აღიარებდა. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, „ალექსანდრე ბატონიშვილს სუბიექტურად სპარსეთის არაფერი სწამდა: შაჰ-აბაზი, ნადირ-შაჰი თუ აღა-მაჰმად-ხანი სწორედ ის „სპარსელები“ იყენენ. საქართველოს ამოგდებისათვის რომ ძალღონეს არ ზოგავდნენ, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის ტრაგედიაც იმაში იყო, რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა და იმავე სპარსელებით ცდილობდა საქართველოს გამოხსნას უფლებისაგან უცხოსათა“, ესე იგი რუსული მმართველობისაგან განთავისუფლებას. ასე რომ, ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველი თავადის (შინაური უბოროტესი მტერი საქართველოსი) ძალით ცდილობდა სამშობლოს გამოხსნასა და აღდგომას. რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, ა ს ე თ ი ა რ ი ყ ო ე რ ე კ ლ ე ს ა ნ დ ე რ ძ ი. თავადობა (სათავადოები) იყო ის, რასთან ბრძოლასაც შეელია ერეკლე მეორის მეფობა საქართველოს აღდგომისათვის, ხოლო ირან-ოსმალეთი იყო ის, რასაც შეელია ერეკლე მეორის მეფობა, როცა ის საქართველოს გამოხსნისათვის იბრძოდა. ასე რომ, ეს იყო არა ერეკლეს, არა პროგრესის გზა, არამედ გზა უკან იმავე ვითარე-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 7 об.

ბისაკენ (ჩიხისაკენ), რომელმაც ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობაც კი საფრთხის წინაშე დააყენა“.[1]

სამეფო ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილი თავგამოდებით იბრძოდა, მისი და აბას-მირზას აგენტები საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში მოქმედებდნენ. აბას-მირზას მიერ ალექსანდრეს ხელით გამოგზავნილი დიდძალი განძი და ფული ეძლეოდა ყველას, ვინც რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა.[2] ალექსანდრე ბატონიშვილის საქმიანობის ობიექტური შედეგები საქართველოსა და ამიერკავკასიაში ირანის გაბატონების ინტერესებს ემსახურებოდა. საქართველოში მომხდარი აჯანყებანი „იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ყიზილბაშები სურდათ მოეწვიათ, არამედ იმიტომ, რომ რუსული მმართველობის უსამართლობას ებრძოდნენ. ყიზილბაშობა კი, დიდი ხანია, ქართველებს უარეს უსამართლობა-ველურობად მიაჩნდათ.“[3] სწორედ ამიტომ ისტორიამ თავისი მკაცრი განაჩენი გამოუტანა საქართველოში ირანელთა და ოსმალთა ბატონობას. ქართველების ბრძოლა ცარიზმის მმართველობის უკულმართობის წინააღმდეგ სრულებით არ ნიშნავდა საერთოდ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას, პირიქით, ირანელებისა და ოსმალების ბატონობისაგან თავის დახსნას ქართველები და აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ხალხები რუსეთს უკავშირებდნენ. მხოლოდ რუსეთთან კავშირს შეეძლო, კავკასიის ხალხების სამეურნეო და კულტურული პროგრესისათვის გზა გაეხსნა და იმ ჩიხიდან გამოეყვანა ისინი, რომელშიც მოექცნენ ირანისა და ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად.

ალექსანდრე ბატონიშვილმა და მისმა პარტიამ შამქორთან და ელიზავეტპოლთან ირანის ჯარის დიდი დამარცხების შემდეგ უკან დაიხიეს, დროებით ხელი აიღეს კახეთზე თავდასხმისაგან და თავი დაღესტანს შეაფარეს.[4]

* * *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისელები განსაკუთრებული აქტიურობით ეხმარებოდნენ ირანელებს და რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ.

რუსეთ-ირანის ურთიერთობის გამწვავების გზით ინგლისი ცდილობდა, რუსეთი ახლო აღმოსავლეთის პრობლემებისაგან ჩამოეცილებინა. ლაწყებულმა ომმა კიდევ უფრო გაამწვავა აღმოსავლეთის კრიზისი, რასაც შეეა აღმოსავლეთის პრობლემებმაც შეუწყო ხელი. ერთგვარად შენელდა რუსეთის დიპლომატიური შეტევა ახლო აღმოსავლეთში, გაჭიანურდა

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ. 1965 წ. გვ. 369.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 7 и об.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965 წ. გვ. 335.

[4] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 4 и об.

აკერმანის მოლაპარაკებაც. ინგლისის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა მოლაპარაკება ირანსა და ოსმალეთს შორის. ეს ხდებოდა თურქეთსა და რუსეთს შორის აკერმანში შეხვედრების წინ.

გაურკვეველია, როგორი გადაწყვეტილება მიიღეს მათ, მაგრამ ცნობილია, რომ ოსმალეთი ირანს დახმარებას იმ შემთხვევაში ჰპირდებოდა, თუ ის რუსეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა. ამავე მიზნით კი ინგლისი ორივეს აღუთქვამდა მხარდაჭერას.

§ 1. შუშის ციხის თავდაცვა

შუშის ციხე ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრე იყო ირანის წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის ჯარებისათვის არა მარტო ყარაბაღის სახანოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ამ ციტადელის აღება თავის ღროზე აბას-მირზას ბიძამ აღა-მაჰმად-ხანმა სცადა, მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ახლა კი მას 30-ათასიანი ჯარითა და ძლიერი არტილერიით დაემუქრა აბას-მირზა. მდგომარეობა მეტად დაძაბული აღმოჩნდა. ირანის ჯარი ისე სწრაფად შემოიჭრა ყარაბაღში, რომ პოლკოვნიკმა რეუტმა, რომელიც ყარაბაღის პროვინციაში განლაგებულ ჯარის ნაწილებს მეთაურობდა, ვერ მოასწრო მათი თავმოყრა. მან გადაწყვიტა, მცირე რაზმით თავი შეეფარებინა შუშის ციხისათვის, თან ქვეგანაყოფის მეთაურს პოდპოლკოვნიკ ნაზიმკოს უბრძანა, გიურიესიდან შუშის ციხეში წამოსულიყო. ნაზიმკოს განკარგულებაში იყო 42-ე ეგერთა პოლკის 874 ჯარისკაცი და 18 ოფიცერი, აგრეთვე დონის მოლჩანოვის პოლკის სამი ოფიცერი და 94 კაზაკი ორი მსუბუქი ქვემეხით. 20—21 ივლისს ღამის სიბნელეში ნაზიმკოს ქვეგანაყოფი ნელა მიდიოდა შუშის ციხისაკენ. 21 ივლისს ადგილობრივმა მეამბოხეებმა და სპარსელებმა მას ალყა შემოარტყეს. ბრძოლაში ნახევარზე მეტი დაიღუპა, ხოლო დანარჩენები პოდპოლკოვნიკ ნაზიმკოსთან ერთად მტერს ტყვედ ჩაუვარდნენ.

პოლკოვნიკმა რეუტმა განადგურების საფრთხეს თავი დააღწია, თავისი რაზმით შუშის ციხეს შეეფარა და მისი დაცვა იკისრა. შუშის ციხესიმაგრე აშენებული იყო მაღალ კლდეზე და იგი მტრისათვის მიუდგომლად ითვლებოდა. გარნიზონის შემადგენლობაში იყო 2 შტაბს-ოფიცერი, 16 ობერ-ოფიცერი, უნტერ-ოფიცრები და 1300 ჯარისკაცი, 20 არტილერისტი, 4 საველე და ორი მსუბუქი ქვემეხი.[1] ციხის გალავნის სიგრძე 7 კმ-ს უტოლდა. აქ ცხოვრობდა 3 ათასი მამაკაცი, რომელთა უმეტესობას სომხები შეადგენდნენ. ციხის კომენდანტი იყო პოლკოვნიკი ჭილაევი (ჭილაძე). შუშის ციხე სრულიად მოუშზადებელი აღმოჩნდა თავდაცვისათვის. ია-

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 96 и об.

ნამედროვის ცნობით, „Полковник Реут нашел оборону крепости в самом дурном положении. С двух сторон стены были во многих местах совершенно разрушены; готовых орудий к действию вовсе не имелось, а нашлись две старыя азиатския пушки большого калибра и одно меньшаго, валявшихся без употребления, без лафетов, снарядов и забитых каменьями. Запасного артиллерийского парка не имелось, также в магазейне провианта не оказалось.“[1]

ბრძოლისათვის სრულიად მოუმზადებელი ციხე-სიმაგრე ჩაიბარა რეუტმა. სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა, გარნიზონი თავდასაცავად მოემზადებინა. შემცირდა ჯარისკაცთა ულუფა, მკაცრ აღრიცხვაზე აიყვანეს ადგილობრივი მოსახლეობის პირუტყვი, ამოქოლეს ციხის ღია ადგილები და ჩამონგეული ნაწილი, შეაკეთეს და ციხის კედლებზე დააყენეს ქვემეხები. მოკლე დროში რამდენადმე წესრიგში მოიყვანეს შუშის ციხე. შეაიარაღეს სომხები და მათგან ჩამოყალიბდა რაზმი, რომელიც ციხის დამცველთა რიგებში ჩააყენეს. მუსლიმანური მოსახლეობის ზედა ფენის ერთი ნაწილი, კერძოდ, ბეგები, რომლებმაც თავიანთი შვილები აბას-მირზასთან შესახვედრად გაგზავნეს, რეუტის ბრძანებით განაიარაღეს და დააპატიმრეს.[2] ამით მან მუსლიმანური მოსახლეობის ზედა ფენის გარკვეულ ნაწილს ხელი ააღებინა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლაზე,[3] თუმცა აბას-მირზას გამოჩენისთანავე ზოგიერთები მაინც გადავიდნენ სპარსელების მხარეზე. აბას-მირზა დიდ მოწყალებას ჰპირდებოდა ყველას, ვინც რუსების წინააღმდეგ იბრძოლებდა.

26 ივლისს სპარსეთის არმიამ შუშის ციხეს ალყა შემოარტყა, იმავე დღეს აბას-მირზამ კატეგორიულად მოითხოვა რეუტისაგან ციხის გადაცემა.[4] რეუტმა შეუთვალა აბას-მირზას, რომ სანამ გენერალ ერმოლოვისაგან არ მიიღებდა განკარგულებას, იგი ცოცხალი თავით არ დათმობდა შუშის ციხეს. პარლამენტიორთა გაცვლა-გამოცვლა აბას-მირზასა და რეუტს შორის რამდენიმეჯერ მოხდა. ბოლოს შაჰის მემკვიდრემ რეუტს ნება დართო, თავისი წარმომადგენელი თბილისში მყოფ ერმოლოვთან გაეგზავნა ციხის გადაცემის შესახებ ბრძანების ჩამოსატანად. იგი რეუტს არწმუნებდა, თურქებმა რუსეთს უკვე ომი გამოუცხადეს, ერთდროულად რუსეთის წინააღმდეგ სახალხო აჯანყებამ იფეთქა და ერმოლოვისაგან ვერავითარ პასუხს ვერ მიიღებთო; აბას-მირზა ირწმუნებოდა: „ ...Из всех провинций Грузии русские войска уже выступили, что по слу-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 96—97.

[2] იქვე, ფ. 96—97.

[3] Русская старина, 1874 г., № 9, стр. 139.

[4] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4225, л. 97 об., Вторжение персиян в Грузию в 1826 г.

чаю войны с турками и всеобщаго возмущения Грузин никакого секурса ему ожидать не следует... что персияне мир заключат не иначе, как на Терек, куда ныне все русские войска уже отступают".[1]

აბას-მირზა ცდილობდა, ათასგვარი მაქინაციებისა და მაცდურობის გზით ზემოქმედება მოეხდინა შუშის ციხის დამცველებზე, რათა ისინი კაპიტულაციაზე დათანხმებულიყვნენ, მაგრამ გარნიზონი პოზიციებს არ თმობდა.

ერმოლოვისაგან პასუხის მიღებამდე შუშის ციხის გარნიზონსა და აბას-მირზას შორის დროებითი ზავი დაიდო. ეს დრო, ათი დღე, მეციხოვნეებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ციხესიმაგრის თავდაცვის სრულყოფისათვის.

დროებითი ზავის ვადა ამოიწურა, თბილისიდან კი პასუხი არ ისმოდა. აბას-მირზა რეუტისაგან დაპატიმრებული ბეგების განთავისუფლებას მოითხოვდა, რეუტი კი — აბას-მირზას მიერ მძევლებად წაყვანილი მაიორ ჭილაევისა (ჭილაძის) და კაპიტან შეველიევის დაბრუნებას. უშედეგო მოლაპარაკება კარგა ხანს გაგრძელდა.

26 აგვისტოს აბას-მირზამ გახსნა არტილერიის ცეცხლი, რომელიც მეორე დღეს კიდევ უფრო გააძლიერა.

აბას-მირზა შუშის ციხის მცირერიცხოვან გარნიზონზე გამარჯვებას დღე-დღეზე მოელოდა. მას თან ახლდნენ ფრანგი, იტალიელი და ინგლისელი ინჟინრები, რომელთა სამხედრო-საინჟინრო ცოდნას იგი ციხის ასაღებად იყენებდა. აბას-მირზას ძალები 30-ჯერ აღემატებოდნენ მეციხოვნე გარნიზონს, რომელსაც საკმაო რაოდენობით საკვები და ტყვია—-წამალიც კი არ გააჩნდა. შუშის ციხე იყო ერთადერთი საზღვისპირა სიმაგრე, რომლის აღების შემდეგ აბას-მირზას საშუალება მიეცემოდა, მთელი თავისი ძალები სუსტად დაცული თბილისის ასაღებად წარემართა. შუშის ციხის ბედი ბეწვზე ეკიდა. 27—28 აგვისტოს აბას-მირზას დიდძალი დამატებითი დამხმარე ჯარი მოუვიდა შეუპოვარი ალა-იარ-ხანის მეთაურობით. ციხის კედლების საძირკვლების დანაღმვის სამუშაოები დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც აბას-მირზამ ცნობა მიიღო შამქორთან ირანის ჯარების დამარცხების შესახებ. იგი 5 აგვისტოს, ღამით, მოულოდნელად შუშის ციხის ალყას ხსნის და მრავალათასიანი ჯარით ელიზავეტოპოლისაკენ მიემართება გენერალ მადათოვზე შურის საძიებლად.

კავკასიის ომების ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, აბას-მირზამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, რომ ვერ გაბედა თავის ზურგში რუსეთის მცირერიცხოვანი შუშის ციხის გარნიზონის დატოვება. მას რომ რისკი გაეწია

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, л. 97 об., Вторжение персиян в Грузию в 1826 г.

და თავისი ფანატიზმით აღსავსე არმია პირდაპირ თბილისზე წაეყვანა, რუსეთს საშინელ დარტყმას მიაყენებდა.[1]

ეს მოსაზრება მართლაც ანგარიშგასაწევია. შესაძლოა, ირანელთა სწრაფ წინსვლას ისეთივე ტრაგედია მოჰყოლოდა თბილისში, რაც მას 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა მოუტანა. შუშის ციხის თავდაცვა 48 დღეს გაგრძელდა. ამ ციხესთან სპარსეთის არმიის ძირითადი ნაწილების თავმოყრამ რუსეთის სარდლობას საშუალება მისცა, შემტევი ჯარის ავანგარდი საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა, ბრძოლის ინიციატივა აეღო და ვამანადგურებელი დარტყმები ეგემებინა მტრისათვის.

შუშის ციხესთან აბას-მირზამ დატოვა საკმაო რაოდენობის ჯარი, რომელსაც ციხე უნდა აეღო. შუშის ციხისათვის ბრძოლაში გმირობა, თავდადება და რუსეთისადმი დიდი ერთგულება გამოიჩინეს სომხებმა. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა ციხის დაცვა. საარქივო დოკუმენტში ზემოაღნიშნულის შესახებ ვკითხულობთ: „Надлежит отдать полную справедливость похвальному поведению и верности всех армян, находившихся во время осады в кр. Шуше; они, невзирая на разныя соблазны и подучения со стороны Аббас-Мирзы через неблагонамеренных к нам людей разсеиваемых, быв часто вооружены заручными солдатскими ружьями, храбро и единодушно с солдатами защищали крепость, и сверх сего охотно уделяли свой хлеб и скот для продовольствия гарнизона, претерпывая самый крайный недостаток и питаясь различными кореньями и овощами“ [2].

ასე ამოუდგა მხარში მეციხოვნე გარნიზონს სომხური მოსახლეობა, რომელმაც ძმობისა და მეგობრობის ხელი გაუწოდა განსაცდელში ჩავარდნილ რუს მებრძოლებს. საერთო ძალ-ღონით შესაძლებელი გახდა მტერზე გამარჯვების მოპოვება.

მიუხედავად ირანის რელიგიის მესვეურთა მიერ ჰაზავათის ქადაგებისა, შუშის ციხის დამცველებს მხარში ამოუდგნენ აგრეთვე აზერბაიჯანის, კერძოდ, ყარაბაღის სოფლებიდან ჩასული გლეხები. ისინი თავდადებით იბრძოდნენ სპარსელების წინააღმდეგ. თუ აზერბაიჯანელი ხანებისა და ბეგების ერთი ნაწილი ღალატობდა ეროვნულ ინტერესებს და აბას-მირზას ემსახურებოდა, ყარაბაღის სოფლებიდან მოსული აზერბაიჯანელი გლეხები „остались верными русским. Бросив дома и все свое имущество, они вошли в крепость Шушу, и, взяв оружие, защища-

---

[1] В. Потто. Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, ч. I, стр. 106.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 104 и об.

ли онную вместе русскими".[1] ამგვარად, სომეხი და აზერბაიჯანელი პატრიოტები თავგამოდებით იბრძოდნენ რუს ჯარისკაცებთან ერთად შუშის ციხის დასაცავად, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხების მომავალი ბედისათვის. შუშის ციხესთან გამარჯვებამ გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა რუსეთს და არსებითად ირანელთა შემდგომი სრული დამარცხება განაპირობა.

კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალი ერმოლოვი და შტაბის უფროსი გენერალი ველიამინოვი პოლკოვნიკ რეუტს აუწყებდნენ, რომ ისინი საქართველოში იმყოფებოდნენ, ხოლო მეციხოვნეთა დასახმარებლად ჯარი უკვე გაიგზავნა. ამასთან აფრთხილებდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში შუშის ციხე არ ჩაებარებინათ ირანელებისათვის.[2] მაგრამ წერილის მოსვლის დღისათვის გარნიზონის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, აბას-მირზამ ის დატოვა.

პირველ ხანებში, მიუხედავად შუშის ციხის გარნიზონის გმირობისა, ირანის ჯარების მოულოდნელი თავდასხმის შედეგად რუსეთის პოზიციები ამიერკავკასიაში საკმაოდ შესუსტდა. ირანმა უკვე დაიკავა რუსეთის მიერ ადრე დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილი და ახლა თავისი მდგომარეობის განმტკიცებისა და საქართველოს დაპყრობისათვის იბრძოდა.

ნიკოლოზ I-მა ომის შესახებ ცნობა მოსკოვში მეფედ კურთხევის მზადების პერიოდში მიიღო. ერმოლოვი იმპერატორს აუწყებდა, რომ აბას-მირზა თავს დაესხა რუსეთის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში, უკვე მტრის ხელში იყო მისი დიდი ნაწილი და საფრთხე ემუქრებოდა ელიზავეტოპოლს.

სანამ ამ წერილს იმპერატორი მიიღებდა, როგორც ითქვა, სპარსეთის მრავალრიცხოვანმა ჯარმა, რომელიც თბილისისაკენ მიიწევდა, 1826 წლის 28 ივლისს ელიზავეტოპოლიც აიღო.

ირანელებთან ბრძოლაში ერმოლოვის წარუმატებლობამ ხელი შეუწყო მთავარსარდლის პოსტიდან მისი გადაყენების დაჩქარებას.

ნიკოლოზ I კავკასიაში აგზავნიდა თავის უახლოეს მეგობარსა და საიმედო პიროვნებას გენერალ პასკევიჩს, რომელსაც დიდი სამხედრო სკოლა ჰქონდა გავლილი. იგი იყო 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომისა და 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე, 1813—1815 წწ. ევროპის კომპანიაშიც მონაწილეობდა. ქვეითთა გვარდიის დივიზიის სარდალი გენერალი პასკევიჩი იმდენად საიმედო იყო იმპერატორისათვის, რომ 1826 წელს იგი დეკაბრისტების აჯანყების საქმესთან დაკავშირებით შექმნილი უმაღლესი სასამართლოს წევრად დანიშნა.

---

[1] Жизнь генерал—лейтенанта князя Мадатова, стр. 127.

[2] Н. Дубровин. История войны..., т. VI, стр. 641.

პასკევიჩთან ერთად კავკასიაში გამოგზავნეს 1812 წლის სამამულო ომის პერიოდის პარტიზანული მოძრაობის ლეგენდარული გმირი გენერალი დენის დავიდოვი.

იმპერატორმა ფორმალურად პასკევიჩი ერმოლოვის მოადგილედ დანიშნა, მაგრამ ჩანდა, რომ ამ უკანასკნელს სულ მალე შეცვლიდა. იმპერატორი ნიკოლოზ I ერმოლოვს სწერდა: „Я посылаю вам двух известных генералов: генерал-адъютанта Паскевича и генерал-майора Дениса Давыдова. Первый, мой бывший начальник, пользуется всею моею доверенностью; он лично может вам объяснить все, что, по краткости времени и по безызвестности, не могу я вам письменно приказать. Назначив его командующим под вами войсками, дал я вам отличнейшаго сотрудника, который выполнит всегда все ему делаемыя поручения с должным усердием и понятливостью. Я желаю, чтобы он, с вашего разрешения, сообщал мне все, что от вас поручено будет давать знать, что и прощу делать как наичаще".[1]

აქ თითქმის ყველაფერია ნათქვამი. იმპერატორი არ მალავდა თავის დიდ ნდობას პასკევიჩისადმი, რომლის ხელქვეითიც თვითონ ყოფილა ერთ დროს. პასკევიჩს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საიდუმლო დავალება ჰქონდა მიცემული. მას ერმოლოვის საწინააღმდეგო მასალები უნდა მოეგროვებინა და წარედგინა იმპერატორისათვის. ერმოლოვს მდგომარეობა გაურთულდა, იგი მუდმივად მოხსნის მოლოდინში იმყოფებოდა. იმპერატორის ბრძანებაში მოხსენიებული დენის დავიდოვის სახელიც დიდად პოპულარული იყო. აღნიშნული გენერლების გამოგზავნა სწორედ რომ კრიტიკულ მომენტში მოხდა, მაშინ, როდესაც რუსეთის ჯარმა ელიზავეტოპოლის ოლქი დატოვა. 1826 წლის 29 აგვისტოს პასკევიჩი თბილისში ჩავიდა და ერმოლოვთან გამოცხადდა. პასკევიჩის ცნობით, ერმოლოვმა გულგრილად მიიღო იგი. მართლაც, ერმოლოვი უკვე გრძნობდა, რომ დღეს თუ არა, ახლო მომავალში მათ შორის შეჯახება მოხდებოდა, რასაც მოჰყვებოდა კორპუსის სარდლობიდან მისი გადაყენება.

---

[1] Н. Дубровин. История войны..., т. VI, стр. 654.

თ ა ვ ი VI

ბრძოლები შამქორთან და ელიზავეტოპოლთან და მათი ისტორიული მნიშვნელობა

ირანის პირველმა წარმატებებმა ამიერკავკასიაში რუსეთის ბატონობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ელიზავეტოპოლის აღებით ირანი დაემუქრა საქართველოს დედაქალაქს. სწორედ ასეთ მძიმე მომენტში ერმოლოვმა თბილისში გაჭირვებით მოუყარა თავი მხოლოდ 8.000 მებრძოლს და მათგან შეადგინა 4.300-კაციანი რაზმი, რომლის უფროსად გენერალი მადათოვი დანიშნა, ხოლო მებრძოლთა ნაწილი რეზერვში დატოვა.

მადათოვი ჩრდილოეთ კავკასიიდან სასწრაფოდ გამოიწვია ერმოლოვმა. იგი 2 დღეში დაბრუნდა თბილისში და მთავარსარდლის ბრძანებით ჩაიბარა ყაზახს მიმავალი 9 ქვეითი ასეული 6 ქვემეხითურთ. იგი უნდა დასწეოდა აგრეთვე პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის რაზმებს, რომლებიც ერმოლოვს მტრის შესახვედრად გაეგზავნა და თავისი სარდლობის ქვეშ მიეღო.

თბილისში ცნობილი გახდა მტრის პირველი წარმატებები. ქალაქი პანიკამ მოიცვა. 1812 წლის სამამულო ომსა და კავკასიის მთიანეთის ბრძოლებში სახელმოხვეჭილი მადათოვის სარდლობით ირანელების წინააღმდეგ გალაშქრებას, ერმოლოვის აზრით, ქალაქის მცხოვრებთა შერყეული რწმენა უნდა აღედგინა.

ყაზახში მადათოვის გამოჩენამ რუსეთისათვის სასარგებლო განწყობილება შეიტანა მოსახლეობაში. ყველას სურდა, რუსებისადმი თავისი ერთგულება დაემტკიცებინა. წარჩინებული აღალარები ადგილობრივი მოსახლეობისაგან შედგენილი მილიციის რაზმებითურთ რუსეთის ჯარს შეუერთდნენ.

მადათოვმა 20 აგვისტოს ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა ირანელების 2000-იანი ჯარითა და თავისი რაზმებით შამქორის მთები დაიკავა. ალექსანდრე ადგილობრივ მოსახლეობას ამხედრებდა. მას განზრახული ჰქონდა, ღამით თავს დასხმოდა რუსეთის ჯარს, მოესპო იგი და გზა გაეკაფა ნუხისაკენ. მადათოვმა იმავე ღამეს მიიღო გადაწყვეტილება, 2 ბატალიონი ქვეითი ჯარითა და 4 ქვემეხით ია-

რიში მიეტანა ალექსანდრე ბატონიშვილზე. 21 აგვისტოს, დილით, დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ბრძოლაში რუსეთის ჯარის ნაწილებთან ერთად ქართველ მხედართა 500-კაციანი ლაშქარიც მონაწილეობდა. ბრძოლა ალექსანდრე ბატონიშვილისა და ირანელების დამარცხებით დამთავრდა. გენერალ ვ. გ. მადათოვის ბიოგრაფები წერენ, რომ „Отряд его (ლაპარაკია ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმზე, ნ. ჭ.) — взобрался на ближайшия горы, с вершины которых приближенные царевича начали кричать и увещевать находившихся при князе Мадатове грузинских князей — не стрелять в них и признать своего бывшаго царевича. Но все грузины единодушно отвечали: „Мы не хотим больше ничего, как за русского императора положить головы“.[1]

ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველებს ალექსანდრე ბატონიშვილს ნიკოლოზ I ერჩიათ. ცხადია, ისინი თავს სწირავდნენ იმისათვის, რომ დაეცვათ თავიანთი ოჯახები, დაეცვათ საქართველო ირანის ამაოხრებელი შემოსევისაგან. ქართველები რუსეთის ჯარს იმ ღრმა რწმენით ედგნენ გვერდით, რომ მხოლოდ მას შეეძლო საქართველოსათვის გარანტირებული მშვიდობა მოეტანა. დამარცხებული ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი რაზმებით უწესრიგოდ გაიქცა ელიზავეტოპოლისაკენ. აქ იგი ჭარელებს დაუკავშირდა და კახეთზე თავდასხმას ამზადებდა.

მადათოვმა მიიღო ერმოლოვის ბრძანება ელიზავეტოპოლიდან ირანელების განდევნის შესახებ, მაგრამ მისი შესრულება არც ისე ადვილი ჩანდა. მდგომარეობა ამიერკავკასიაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეტისმეტად დაძაბული იყო. პოლკოვნიკმა რეუტმა 42-ე ეგერთა პოლკის 6 ასეულით თავი ძლივს შეაფარა შუშის ციხეს. იგი გარშემორტყმული იყო აბას-მირზას მრავალრიცხოვანი ჯარით. ელიზავეტოპოლის ოლქი სპარსელებმა დაიპყრეს. ყველა გზა, რომელიც საქართველოდან აზერბაიჯანის სახანოებისაკენ მიდიოდა, მტერს ეკავა. გერმანელთა კოლონია გაძარცული იყო, ადგილობრივი მცხოვრებნი ტყვედ წაასხეს ირანელებმა. ერევნის სარდარი 5 ბატალიონი ქვეითი ჯარითა და 8.000-იანი კავალერიით მომენტს ელოდა, რომ აბას-მირზას ჯარებს შეერთებოდა და მასთან ერთად საქართველო დაელაშქრა. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ირანის ხელისუფლება, აბას-მირზა და აზერბაიჯანის ხანები ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მოსყიდვა-მოქრთამვის, მუქარისა და დაშინების გზით გადაებირებინათ ადგილობრივი მოსახლეობა. აემხედრებინათ იგი საქართველოს წინააღმდეგ, მოესპოთ რუსეთის ჯარი ამიერკავკასიაში.

ირანის ჯაშუშები და ჰაზავათის მქადაგებელნი იგზავნებოდნენ არა მარტო რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ამიერკავკასიის მუსლიმანურ

[1] Жизнь генерал-лейтенанта князя Мадатова, стр. 101, СПБ, 1868 г.

პროვინციებში, არამედ საქართველოშიც. თბილისში მათი შემოგზავნის მიზანი ის იყო, რომ მუსლიმანური მოსახლეობის დახმარებით ქალაქში შიში და პანიკა დაეთესათ, რაც აბას-მირზას საქართველოს დედაქალაქის აღებას გაუადვილებდა. გარდა ამისა, ისინი აბას-მირზას საჭირო ცნობებს აწვდიდნენ ქალაქის თავდაცვის, რუსეთის ჯარების განლაგებისა და მათი რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ. შამქორთან და ელიზავეტოპოლთან ბრძოლების წინ, 1826 წლის ზაფხულში, თბილისში დაუჭერიათ და ჩამოუხრჩვიათ ირანის ორი ჯაშუში. ადგილობრივ ხელისუფლებას დაუდგენია, რომ „Куртинский мулла был послан от Аббас-Мирзы в подвластныя России провинции и к горским народам с возмутительным фирманом; другой способствовал ему в том или был шпионом. Они содержались в Метехском замке,... Мулла был повешен прежде за ноги, потом за шею“.[1]

რუსეთის მცირერიცხოვან ჯარს გაუჭირდებოდა ამ სიტუაციაში გამარჯვების მოპოვება და ელიზავეტოპოლის განთავისუფლება. ასეთ დროს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ამიერკავკასიის მოსახლეობის პოზიციებს, რუსი მხედართმთავრების გონივრულ სამხედრო ოპერაციებს და ჯარისკაცთა გმირობა-მამაცობას.

გენერალი მადათოვი 1 სექტემბერს მდ. აღსტაფის სანაპიროებიდან შამშადილის დისტანციისაკენ გაემართა მტერთან შესახვედრად. სპარსელებმა მადათოვის გადაწყვეტილება გაიგეს, მაგრამ რუსების ჯარის რაოდენობრივი შემადგენლობა არ იცოდნენ. ამ მიზნით გამოიგზავნა შამქორის მიდამოებში კავალერისტთა რაზმები. 3 სექტემბერს სპარსელ მზვერავებთან არაერთი შეტაკება ჰქონდათ რუსებსა და ყაზახის აზერბაიჯანელი მოსახლეობისაგან შედგენილ მილიციას. ამ შეჯახების დროს ირანის ჯარმა მოკლულთა სახით 60-მდე მებრძოლი დაკარგა და უკან დაიხია შამქორისაკენ. პირველი წარემატებლობის შემდეგ მტერმა გადმოლახა მდ. შამქორი და მის მარჯვენა სანაპიროზე განლაგდა. არტილერიამ და ქვეითმა ჯარმა ცენტრი დაიკავეს, ხოლო კავალერიამ — ფლანგები. ამგვარად, ირანელებმა ორი ვერსის სიგანეზე ცოცხალი კედელი აღმართეს. მტერს გადაწყვეტილი ჰქონდა, საბოლოოდ გაენადგურებინა მადათოვის ჯარის ნაწილები და გზა გაეხსნა თბილისისაკენ. კოცებუს ცნობით, შამქორთან ირანის ჯარს სარდლობდნენ აბას-მირზას უფროსი ვაჟი მაჰმედ-მირზა და შაჰის ერთ-ერთი სიძე ამირ-ხან-სარდარი. ირანელებს აქ

[1] Акты, т. VII, д. 925, стр. 955. Сведения, доставленныя полицмейстером Филиповым от 7 февраля 1830 года.

ჰყავდათ 2.000 სარბაზი, 8.000-იანი კავალერია, 4 ქვემეხი და აქლემებზე დამაგრებული 20 ზამბურაკი.[1] ასევე მტერს მხარს უმაგრებდნენ შამშადილის დისტანციის მეამბოხეთა რაზმები. სხვა ცნობით, მტრის ჯარი 18.000 მებრძოლს ითვლიდა.[2] ეს ცნობა გაზვიადებული ჩანს, მაგრამ მაინც დამაფიქრებელი უნდა ყოფილიყო. მადათოვმა ჯარი მოხერხებულად განალაგა მდ. შამქორის მარცხენა სანაპიროზე, რომლის გეოგრაფიული მდებარეობაც ხელსაყრელი იყო ბრძოლისათვის. ბრძოლა ირანელების ერთგვარი უპირატესობით დაიწყო. პირველმა წარმატებებმა მტრის ბანაკი გაამხნევა, ირანელებმა თავი უძლეველ მეომრებად წარმოიდგინეს, მაგრამ მათი იმედები მალე ჩაიფუშა. რუსული არტილერიის ძლიერი ცეცხლის ნაკადმა თავზარი დასცა ირანის ჯარს. რუსებმა გადალახეს მდ. შამქორი და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. მტრის ბანაკი პანიკამ მოიცვა. ამასობაში ირანელებმა მოწინააღმდეგის ზურგში მტვრის ბუღი შეამჩნიეს. რაც სათადარიგო ნაწილების მოახლოებად ჩათვალეს. სინამდვილეში მადათოვის ბრძანებით საბარგულები მოდიოდნენ („обозы") ორ რიგად და მოჰქონდათ ჯარისათვის საჭირო საომარი მასალა. ამანაც დააჩქარა ბრძოლის ველიდან მტრის გაქცევა.

აი, როგორ აღწერს კოცებუ ბრძოლის ველიდან ირანელთა გაქცევას: „Кавалерия персидская ускакала и в самое короткое время скрылась из виду. Пехота персидская совершенно разбежалась в разных направлениях и искала спасение бегством".[3]

ბრძოლის ველიდან პირველი გაიქცა აბას-მირზას უფროსი ვაჟი მაჰმედ-მირზა და ქვეითი ჯარი („სარბაზი") მსხვერპლად დაუტოვა კაზაკებს და ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა მილიციას.[4] შაჰის გვარდია განადგურდა, კავალერია გაიფანტა, ზოგი სად აფარებდა თავს და ზოგი სად, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინა. გზა მოფენილი იყო მოკლულთა გვამებით. მადათოვმა სელთ იგდო სურსათის დიდძალი აღალი, ერთი ინგლისური ქვემეხი, 12 ზამბურაკი, 2000 თოფი, ჭურვით სავსე ყუთები და სხვ. მოკლულთა შორის იყვნენ შაჰის სიძე ამირ-ხან-სარდარი, აგრეთვე ირანის სხვა სარდლები — ირზა-ხანი და მირზა-ხანი. ბრძოლის ველზე დარჩა 2 000-მდე სარბაზი და ირანელი კავალერისტი, ტყვედ ჩავარდა 100-მდე სარბაზი და ბევრი არტილერისტი.[5]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4395, л. 106.

[2] იქვე, № 4302, ფ. 1, 2.

[3] იქვე, ფ. 106—107.

[4] Жизнь генерал-лейтенанта князя Мадатова, стр. 109—110.

[5] იქვე, გვ. 234—235. Представление генерал—майора кн. Мадатова к корпусному командиру о разбитии персиян 3 сентября 1826 г.

შამქორის ბრძოლაში მტრის დანაკარგის შესახებ სხვა ცნობე იც არსებობს, მაგრამ აქ მოყვანილი ცნობა უტყუარი უნდა იყოს, რადგანაც ის უშუალოდ გენერალ მადათოვს ეკუთვნის.

მოულოდნელმა მარცხმა ისე დააბნია აბას-მირზას უფროსი შვილი მაჰმედ-მირზა, რომ მან ვერ გაბედა ელიზავეტოპოლში შეჩერება და ქალაქის მომზადება თავდაცვისათვის, მან ქალაქს სწრაფად ჩაუარა და გაიქცა.

შამქორის ბრძოლაში წარუმატებლობა ეს იყო ომის დაწყების დღიდან ირანელთა პირველი მარცხი. აქ წააწყდნენ ისინი პირველ სერიოზულ წინააღმდეგობას. შამქორთან რუსეთის ჯარისა და ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ლაშქრის გამარჯვებამ ომის ბედი გადაწყვიტა, ინიციატივა რუსების ხელში გადავიდა.

მადათოვი ამ გამარჯვების შემდეგ ელიზავეტოპოლის ასაღებად ემზადებოდა. ელიზავეტოპოლში მომხდარი ანტირესული ამბოხებისა და ირანის ჯარის შესვლის შედეგად აღდგა ირანის ბატონობა. იქ ხანაც დასდგა განჯის ყოფილი ხანის ჯევად-ხანის მემკვიდრე უგურლუ-ხანი, რომელმაც სულ ორმოციოდე დღე იბატონა და სახელი გაითქვა თავისი მძარცველური და ტერორისტული საქმიანობით. მიუხედავად იმისა, რომ მისი მმართველობა უდღეური აღმოჩნდა, მძიმე და სისხლიანი კვალი დატოვა ხალხის მეხსიერებაში. ელიზავეტოპოლის ციხესიმაგრისა და გარნიზონის მეთაურად აბას-მირზამ თავის დროზე დანიშნა ნაზარ-ალი-ხანი, რომელიც აღვირახსნილ მოქმედებას ეწეოდა. სარბაზები ძარცვავდნენ მოსახლეობას, ნამუსს ხდიდნენ ქალებს და ა. შ.

შამქორთან ირანის ჯარის დამარცხებამ და ბრძოლის ველიდან მაჰმედ-მირზას გაქცევამ პანიკა შეიტანა ელიზავეტოპოლის გარნიზონში, რომლის მებრძოლებმა საკუთარი თვალით ნახეს გაქცეული ირანელები. გარნიზონმა უარი განაცხადა ქალაქის დაცვაზე. ნაზარ-ალი-ხანი გაიქცა 1500 სარბაზითურთ. მან ვერც კი მოასწრო სურსათის მარაგის განადგურება და ქრისტიანი მოსახლეობის აწიოკება. ციხესიმაგრე უბრძოლველად დაუტოვა რუსებს.

აბას-მირზას თავზარი დასცა ამ დამარცხების შესახებ ცნობის მიღებამ. როგორც აღინიშნა, რეუტისათვის სრულიად მოულოდნელად მან დატოვა შუშის ციხე და სწრაფად წავიდა ელიზავეტოპოლისაკენ, რომ მკაცრად დაესაჯა ყველა, ვინც ხელი შეუწყო ელიზავეტოპოლის დაცემას. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ირანის არმიის ავანგარდის უნუგეშო მდგომარეობა გამოესწორებინა. აი, როგორ აღწერს კოცებუ ელიზავეტოპოლის დაცემას: „Бегущие войска Шамхорского отряда до того были напуганы и опасались преследования, что не отважились даже пройти чрез г. Елизаветополь, отстоящий от Шамхора в 28 верстах;

баталион пехоты, расположенный в Елизаветополе под командою Назар-Али-хана, равномерно увлечен был сим паническим страхом и бежал из крепости вслед за ретирующимися, за что несчастный хан сей претерпел последнейшее в Персии наказание: ему выбрили бороду и возили на осле по всему лагерю Аббас-Мирзы".[1]

შამქორთან დამარცხებამ და ელიზავეტოპოლის ციხე-სიმაგრის დატოვებამ არეულობა შეიტანა აბას-მირზას ბანაკში. შიშმა და პანიკამ თავისი გაიტანა, აბას-მირზას ნაქები ჯარი უკან გარბოდა. ირანის ტახტის მემკვიდრე ერთბაშად კარგავდა ყველა იმ წარმატებას, რაც მან სრულიად მოკლე ხანში მოიპოვა ამიერკავკასიაში. ამიტომ „Аббас-мирза в страх другим... приказал четырех военноначальников ханов повесить за то, что они будучи оставлены с 3.000 человек персидского гарнизона в крепости Гандже, не оказали должного сопротивления и не защищались, но вопреки ему, Аббас-мирзы, поведению оные ханы оставили крепость и бежали, как скоро Россияне подступили".[2]

აბას-მირზა სასტიკად სჯიდა თავის მხედართმთავრებს, რომ მომავალ ბრძოლებში სხვებს არ გაემეორებინათ მსგავსი საქციელი, არ დაეტოვებინათ ბრძოლის ველი მისი ბრძანების გარეშე.

1826 წლის 4 სექტემბერს დილით რუსეთის ჯარი ელიზავეტოპოლში შევიდა და ქალაქში რუსული მმართველობა აღადგინა.

ქალაქის მოსახლეობა სიხარულით შეხვდა რუსეთის ჯარს, როგორც თავის მხსნელს. შამქორთან მოპოვებულმა დიდმა გამარჯვებამ რუსეთს დაუბრუნა ელიზავეტოპოლი და გატეხა მტრის ქედმაღლობა. ამ ბრძოლის შემდეგ ერთგვარად დამშვიდდა თბილისის მოსახლეობა. მოპოვებულ გამარჯვებას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მას მაღალ შეფასებას აძლევდა ერმოლოვი. ამასთან ერთად მან იცოდა, რომ აბას-მირზა შეეცდებოდა, ბრძოლის ინიციატივა კვლავ ხელთ ეგდო, დაემარცხებინა მადათოვი და გზა გაეკაფა თბილისისაკენ. 1826 წლის 7 სექტემბერს ერმოლოვი მადათოვს სწერდა: „Ожидать можно, что Аббас-мирза, приняв к сердцу нанесенное поражение, вышлет в подкрепление конницу, не имея нужды в оной при блокаде Шуши".[3]

ერმოლოვის ვარაუდი გამართლდა. აბას-მირზამ არა მარტო კავალერია გამოგზავნა ირანის დამარცხებული ჯარის დასახმარებლად, არამედ

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 107 об.

[2] იქვე, ს. 894, ფ. 4.

[3] Жизнь генерал-лейтенанта князя Мадатова, стр. 239.

მთელი თავისი არმია დაძრა, რათა საბოლოოდ გასწორებოდა მადათოვის ჯარს და თბილისი აეღო. ელიზავეტოპოლისაკენ მიმავალ აბას-მირზას გზად მიემატა შამქორთან დამარცხებული ჯარის გადარჩენილი რაზმები და შაჰის სიძის ალაიარ-ხანის 8-ათასიანი „სარბაზი“ და 6 ქვემეხი.

აბას-მირზა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჯარში აღეკვეთა პანიკა, რომელიც დამარცხებას მოჰყვა. იგი თავისი ჯარით ელიზავეტოპოლიდან 60 კმ-ის დაშორებით დაბანაკდა და გადამწყვეტი ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

მადათოვი გრძნობდა, რომ წინ ელოდა გენერალური ბრძოლა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა არა მარტო თბილისის, არამედ მთელი ამიერკავკასიის ბედიც. ამიტომ მან ერმოლოვს ჯარის დამხმარე ნაწილების გაშოგზავნა სთხოვა.

ერმოლოვმა სოფ. მუღანლოსთან საკმაო რაოდენობის ჯარს მოუყარა თავი. სარდლად გენერალი პასკევიჩი დაინიშნა, მადათოვი კი მის მოადგილედ ცხადდებოდა. მადათოვმა მიიღო პასკევიჩის ბრძანება, რომ ელიზავეტოპოლში მის ჩასვლამდე თავი შეეკავებინა აბას-მირზასთან პირისპირ შეხვედრისაგან. მართლაც, 1826 წლის 11 სექტემბერს ელიზავეტოპოლში ჩავიდა გენერალი პასკევიჩი და ჩაიბარა მოქმედი ჯარების სარდლის პოსტი. პასკევიჩს დაევალა ყარაბაღის პროვინციის განთავისუფლება ირანელებისაგან. ერმოლოვმა პასკევიჩს დამხმარედ გაუგზავნა აგრეთვე კორპუსის შტაბის უფროსი გენერალი ველიამინოვი, რომელიც კარგად იცნობდა იმ მხარეს, სადაც ირანელებთან შერკინება უნდა მომხდარიყო. პასკევიჩმა მუღანლოში დაბანაკებული ჯარი ჩაიბარა და მასვე მიუმატა აგრეთვე მდ. ჰასან-სუსა და აღსტაფის სანაპიროებზე განლაგებული რაზმები. პასკევიჩის ჯარი შედგებოდა ხერსონესის გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონისაგან, რომელიც ითვლიდა 2.270 კაცს, ქართული გრენადერთა პოლკის 6 ასეულისაგან — 1580 კაცით, მეშვიდე ყარაბინერთა პოლკის 6 ასეულისაგან — 1780 კაცით, 41-ე ეგერთა პოლკის ერთი ბატალიონისაგან — 1.094 კაცით, შირვანის პოლკის ერთი ბატალიონისაგან — 1.275 კაცით, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკისაგან — 800 კაცით, დონის კაზაკთა პოლკისაგან — 1020 კაცით, ამას ემატებოდა 700-კაციანი ქართველთა ლაშქარი და აზერბაიჯანელებისა და სომხებისაგან შემდგარი მილიცია. სულ პასკევიჩის განკარგულებაში იყო 10.319 მებრძოლი და 24 ქვემეხი.[1] ა. ბესკროვნის დაანგარიშებით პასკევიჩს ამ დროს ჰყავდა 8.500 მებრძოლი, რაც არ უნდა იყოს სწორი.[2]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 119.

[2] ა. ბ ე ს კ რ ო ვ ნ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

პასკევიჩმა შეიტყო, რომ აბას-მირზა ელიზავეტოპოლისაკენ მიიწევდა. 11 სექტემბერს, დღის 10 საათზე, ელიზავეტოპოლიდან 6 კმ მანძილზე, ყარაბაღის გზაზე კაზაკებმა შენიშნეს ირანის კავალერია, რომელსაც სროლა აუტეხეს; 12 სექტემბერს მტერი ელიზავეტოპოლიდან 2 კმ მანძილზე გამოჩნდა. აბას-მირზა მზად იყო დიდი ბრძოლისათვის. მის ჯარში ითვლებოდა 15 ათასი ქვეითი ჯარისკაცი და 20 ათასი ცხენოსანი, რომელთა განკარგულებაში იყო 26 ქვემეხი და ბევრი ზამბურაკი.[1]

ირანის ჯარი ნახევარმთვარისებურად იყო განლაგებული. მარცხენა მხარეს სარდლობდა შაჰის სიძე ალა-იარ-ხანი, მარჯვენა ფრთას — აბას-მირზას უფროსი ვაჟი, შამქორთან დამარცხებული მაჰმედ-მირზა, ცენტრს — თვითონ აბას-მირზა, ხოლო სარეზერვო ჯარს — აბას-მირზას მეორე ვაჟი ისმაილ-მირზა.

რუსეთის ჯარი ოთხ ჯგუფად განლაგდა. პირველში იდგა ოთხ-ნახევარი ბატალიონი და ბატარეის 12 ქვემეხი, მეორეში — ექვსნახევარი ბატალიონი, მათგან ორი — ფლანგებზე, რომელთა განკარგულებაში იყო 2 ქვემეხი, მესამე ადგილი ნიეგოროდის დრაგუნთა პოლკს ეჭირა, ხოლო მეოთხეში განლაგებული იყო სარეზერვო ნაწილები, რომლებიც სამნახევარი ბატალიონისა და 6 ქვემეხისაგან შედგებოდა.[2] ქართველთა 700-კაციან ცხენოსან რაზმსა და აზერბაიჯანელ და სომეხ ცხენოსნებს ეკავათ მეორე განლაგების მარცხენა ფრთა.[3]

ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა არა მარტო ელიზავეტოპოლის, არამედ თბილისის ბედიც. აქ გამარჯვების შემთხვევაში მტერი თბილისამდე არსებით წინააღმდეგობას არც კი შეხვდებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ გზადაგზა მას დამხმარე ძალაც კი შეემატებოდა შამშადილის, ყაზახისა და ბორჩალოს მეამბოხეების სახით.

აბას-მირზასა და პასკევიჩის ჯარებმა 13 სექტემბერს საბრძოლო პოზიციები დაიკავეს ყარაბაღის გზაზე ელიზავეტოპოლიდან 7 კმ დაშორებით. ელიზავეტოპოლთან ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. რუსმა ჯარისკაცებმა აქაც დაამტკიცეს, რომ ისინი ნამდვილად ღირსი იყვნენ შამქორთან გამარჯვებისა.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მტერი წელში გაწყდა. პასკევიჩმა ირანის ჯარი ახლოს მიუშვა და პირდაპირი ცეცხლით სასტიკად გაანადგურა. ელიზავეტოპოლთან ბრძოლაში თავი ისახელა ქართველთა მილიციამ, აბას-მირზა იძულებული გახდა, ბრძოლის ველიდან გაქცეულიყო. მტერმა დაკარგა მოკლულთა სახით 1000-ზე მეტი მებრძოლი, რუსე-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 110 об и 111.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4302, л. 4

[3] ი ქ ვ ე, ს. 4290, ф. 121.

ბმა ტყვედ ჩაიგდეს 1100 ირანელი, მათვე დარჩათ ერთი ქვემეხი, 4 დროშა, 80 ყუთი ვაზნა და ჭურვი, დიდი რაოდენობით სურსათის მარაგი და სხვ. რუსეთის მხრივ დანაკლისი უმნიშვნელო იყო, სულ მოკლულთა სახით 240, ხოლო დაჭრილთა სახით — 40. აბას-მირზას არმია ყარაბაღის გზით გაიქცა. მადათოვი ფეხდაფეხ მისდევდა აბას-მირზას და მის ჯარს. მან ასე სდია 23 კმ მანძილზე გაქცეულ მტერს. მადათოვის ბიოგრაფები, ამ ბრძოლის მონაწილენი, შემდეგნაირად გვიხატავენ აბას-მირზას გაქცევის ეპიზოდს: „Аббас-Мирза, узнав о сем преследовании, до того ускорил свое бегство, что приказал пехоте сесть на лошадей вместе с кавалеристами. Так что на одной лошади были по два всадника, и 15 сентября сам, а 17-го разбитая его армия переправилась за Аракс".[1] დამარცხებული სპარსელები თავის გადარჩენის მიზნით ჯორებსა და ვირებზეც კი ამხედრებულან და თავქუდმოგლეჯილი გაქცეულან.[2]

ამგვარად, აბას-მირზას ელიზავეტოპოლის აღების ცდა სამარცხვინოდ ჩაეფუშა. იგი გადავიდა მდ. არაქსს გაღმა და იქ დაბანაკდა დამხარე ძალების მოლოდინში.

ირანის რეგულარული არმიის დამარცხება ინგლისელი სამხედრო სპეციალისტების პრესტიჟის დაცემის მომასწავებელიც იყო. ამიტომ ინგლისელები ყველა საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი ავტორიტეტის აღდგენას.

უშედეგო გამოდგა ახალი არმიის შექმნის ცდაც. ირანის გავლენიანი ხანების დიდ უმრავლესობასა და შაჰის სხვა შვილებს უკვე აღარ სურდათ, რომ უამორჩილებოდნენ სახელგატეხილ აბას-მირზას.

ახალი რეგულარული არმიის შექმნა შეუძლებელი გახდა იმიტომ, რომ აბას-მირზას სამხედრო რეფორმებს სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი არ გააჩნდა. ირანის ჩამორჩენილი ფეოდალური წყობილება ევროპის სამხედრო სისტემისადმი მიბაძვის საშუალებას არ იძლეოდა. ირანში სუსტი იყო ის ძალები, რომლებიც გავლენიანი ხანებისა და შაჰის შვილების სეპარატისტულ მისწრაფებას უპირისპირდებოდნენ.

ელიზავეტოპოლთან მოპოვებულ გამარჯვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში რუსეთის პრესტიჟის აღდგენისა და მისი პოზიციების გამაგრებისათვის. მან ლახვარი ჩასცა ანტირუსული ამბოხების მოთაველებს აზერბაიჯანის სახანოებში. ყველა რეაქციული ძალა, რომელიც ამიერკავკასიაში ირანის ბატონობის აღდგენისათვის იბრძოდა, მიიჩნევდა, რომ ელიზავეტოპოლის ბრძოლას ირანისათვის გადამწყვეტი

---

[1] Жизнь генерал-лейтенанта кн. Мадатова, стр. 125.

[2] იქვე.

გამარჯვება უნდა მოეტანა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ამ ბრძოლამ მხოლოდ რუსეთს მოუტანა გამარჯვება და ავტორიტეტი. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ელიზავეტოპოლთან ბრძოლას აბას-მირზა, ჩანს ერმოლოვის შემდეგი სიტყვებიდან: „В Елизаветопольском сражении находились депутаты со всех провинций Адербиджана и владения Чарцев, дабы в случае проигранного нами сражения возвратились с известием сим к своим народам, и возмущение сделать всеобщим".[1]

აბას-მირზა ვარაუდობდა, რომ ელიზავეტოპოლთან ტრიუმფალური გამარჯვების წყალობით ყველა ანტირუსულ ძალას თავის გარშემო დარაზმავდა და რუსეთს საბოლოოდ გააძევებდა ამიერკავკასიიდან. მოხდა კი პირიქით: შამქორთან და ელიზავეტოპოლთან ორმა დიდმა დამარცხებამ საკუთარი ძალებისადმი რწმენა დაუკარგა ირანის არმიას. გარდა ამისა, მან ავტორიტეტი დაუკარგა თვითონ აბას-მირზასაც.

ამ ამბავმა დიდად აღაშფოთა ერევნის ხანი; იგი, თანახმად აბას-მირზას დავალებისა, თავისი მრავალრიცხოვანი კავალერიით დილიჟნის ხეობაში უნდა შეჭრილიყო და იქიდან დამუქრებოდა თბილისს. 12 სექტემბერს თვითონ ერმოლოვი ერევნის ხანის შესახვედრად თბილისიდან დაიძრა ნაკრები გვარდიული პოლკითა[2] და სხვა სამხედრო ნაწილებით, რათა უკუეგდო იგი.

15 სექტემბერს ერმოლოვი თავისი ჯარით მდ. ჰასან-სუს სანაპიროზე დაბანაკდა, სადაც მას დაუხვდა პასკევიჩის ცნობა ელიზავეტოპოლთან აბას-მირზას დამარცხების შესახებ. ცხადია, ამ დამარცხებით მტრული ძალების პარალიზება დაიწყო, ერევნის ხანმა ვერ გაბედა დილიჟნის ხეობაზე გამოვლით თბილისზე თავდასხმა. ბრძოლის სურვილი გაუქრათ სხვა ხანებსაც.

შირვანის უოფილმა ხანმა მუსტაფა-ხანმა, რომელიც აბას-მირზას დავალებით სარბაზთა ბატალიონს შემოუძღვა, შეძლო ამბოხების მოწყობა. მაგრამ საბოლოოდ ხალხის მხარდაჭერა ვერ პოვა; პირიქით, მას მოსახლეობა აუმხედრდა და დამარცხებულმა გაქცევით უშველა თავს, გადალახა მდ. არაქსი და იქ ერთ-ერთ სოფელს შეეხიზნა. მიუხედავად დიდი მარცხისა, იგი ცდილობდა, ძალით გაერეკა ირანში შირვანის მოსახლეობის ნაწილი მაინც, განსაკუთრებით კი მეჯოგე-მომთაბარენი. ერმოლოვის თქმით, „Они, узнав заранее о его намерении, разбежались. Не-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 113.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 116. „Сводный гвардейский полк"—ეს დეკაბრისტებით დაკომპლექტებული პოლკია, რომლის შესახებ ცალკე იქნება ლაპარაკი, ნ. ქ.

большая часть увлеченного народа немедленно была освобождена братом Мустафа-хана, Газим-ханом, который вместе с другими беками, находившимися при генерал-майоре фон. Крабе, преследовал с частию Ширванской конницы Мустафу до самого Джавата".[1]

მოყვანილი საბუთი აშკარად მიუთითებს, რომ აზერბაიჯანის ხანებისა და ბეგების ერთი ნაწილი რუსეთის მხარეზე იდგა, ებრძოდა აბას-მირზას და მის აგენტებს. გაზიმ-ხანი სხვა ბეგებთან ერთად რუსეთის მხარეზე იბრძოდა საკუთარი ძმის — მუსტაფა-ხანისა და მისი მფარველის აბას-მირზას წინააღმდეგ.

ირანის მთავრობის პროპაგანდა რელიგიური ომის გასაჩაღებლად მარცხს განიცდიდა; მის წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო ფართოდ ებმებოდა მუსლიმანური მოსახლეობა. მალე ფონ-კრაბემ აზერბაიჯანული მილიციის მხარდაჭერით ძველი შემახა აიღო. გაერთიანებული რუსი და აზერბაიჯანელი მეომრების მოახლოებით დამფრთხალმა მუსტაფა-ხანმა სხვა ირანელ წარჩინებულებთან ერთად მუღანის სტეპებს შეაფარა თავი. ნუხიდან გაიქცა აგრეთვე აბას-მირზას მიერ შემოგზავნილი სელიმ-ხანი. ასევე სხვა სახანოებიდანაც გარბოდნენ ირანელები, რომლებმაც ფეხი ვერ მოიკიდეს თავიანთ ძველ სამფლობელოებში, რადგან აზერბაიჯანის მოსახლეობამ მათ მხარი არ დაუჭირა.

უკანდახეულმა აბას-მირზამ ვერსად პოვა მშვიდი ადგილი ყარაბაღის ტერიტორიაზე, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც ირანელთა შემოსევის სიმწარე განიცადა, განუდგა მას. ამიტომ იგი ვერ ბედავდა ყარაბაღში დარჩენას. ამასთან დაკავშირებით ერმოლოვი 17 სექტემბერს იმპერატორს აუწყებდა: „Ибо ожидаю я, что жители онаго, паче-же армяне, постоянно нам верны, не только не дадут ему (აბას-მირზას ნ. ქ.) никакого средства продовольствия, но будут даже истреблять рассеянныя его войска, между коими ужас умножает беспорядок".[2]

რუსეთის ჯარი ფეხდაფეხ მისდევდა გაფანტულ ირანის არმიას და დიდ ზიანს აყენებდა მას. ადგილობრივი სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა კი მტერს აუტანელ პირობებს უქმნიდა, თავს ესხმოდა და ანადგურებდა მას.

მადათოვი შუშის ციხეს მიადგა. გმირი დამცველების წყალობით ციხე ირანელებისაგან აოხრებას გადაურჩა.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 36 об.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. 686, стр. 378.

ყაზახისა და შამშადილის ბეგები გამოცხადდნენ ერმოლოვთან, რომელიც თავისი რაზმებით მდ. ჰასან-სუს სანაპიროზე იდგა, და პატიება ითხოვეს იმ ღალატის გამო, მათ რომ ჩაიდინეს.

შამქორთან და ელიზავეტოპოლთან გამარჯვებამ დიდი გამოძახილი პოვა მთელს ამიერკავკასიაში. მართალია, ირანის დროებითმა წარმატებებმა მუსლიმანური მოსახლეობის ერთი ნაწილის დაბნეულობა გამოიწვია, მაგრამ რუსეთის წარმატებებმა და ბრძოლის პირველმა შედეგებმა სულ მალე თავისი ნაყოფი გამოიღეს. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ აბას-მირზას გამარჯვებას მისთვის სიკეთე არ მოჰქონდა. ამის გამო ერმოლოვი პეტერბურგის ხელისუფლებას სწერდა: „Из Карабага начинают являться мусульмане и армяне подтверждающие, что при появлении войск наших, жители, чувствующие гнусность измены, будут стараться загладить ее“.[1]

რუსეთის ამ გამარჯვებამ თავისი გამოძახილი პოვა თურქეთშიც. ცნობილია, რომ ახალციხის ფაშა ხშირად აწყობდა პროვოკაციულ თავდასხმებს საზღვრისპირა სოფლებზე და გამომწვევად იქცეოდა. თურქეთის მთავრობა ომს ამზადებდა რუსეთის წინააღმდეგ. როგორც ზემოთ ითქვა, აბას-მირზა შემთხვევით როდი სწერდა რეუტს, თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და საქართველოში რუსეთის ჯარი განადგურებულიაო. ირანთან მოლაპარაკების თანახმად ოსმალეთის მთავრობა ყოველდღე მზად იყო ომის დასაწყებად. სწორედ ასეთ მომენტში ირანის მრავალათასიანი არმიის დამარცხებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის. ერმოლოვი ამ ორ დიდ გამარჯვებას წერილით აუწყებდა ახალციხის ფაშას: „Разбили персияне, взяли пушку, 3 знамя, 80 зарядных ящиков, 2 — лагеря и 1.000 пленных. в числе которых и Угурлухана Елизаветопольского. Потеря персиян убитыми чрезвычайна“.[2]

ერმოლოვი თავის წერილში ხაზს ესვამდა რუსეთის არმიის ძლიერებას. იგი უყელას, ვინც ირანის მსგავსად დაიწყებდა ომს რუსეთის წინააღმდეგ, სამარცხვინო დამარცხებას უწინასწარმეტყველებდა. ისე, როგორც ეს თავგასულ აბას-მირზას მოუვიდა. წერილის დასასრულს ნათქვამი იყო: „Так карает бог поднявших неправое оружие и обременяет стыдом вероломного их предводителя“.[3]

ოსეთის ძლევამოსილმა წარმატებებმა თურქეთის მხრივ ომის დაწყება დროებით შეაჩერა. ამან კი უარყოფითი გავლენა მოახდინა ირანის

---

[1] Акты, т. VI, ч. II, д. 677. стр. 374.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. 691, стр. 381—382.

[3] იქვე.

მდგომარეობაზე. ირანში შეიცვალა მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილება, რომელიც აბას-მირზას სასარგებლოდ არაფერს ლაპარაკობდა, სიტუაცია დღითი დღე სულ უფრო და უფრო რთულდებოდა.

ირანის მძიმე დამარცხებას ინგლისის დიპლომატიური და სამხედრო მისიის ხელმძღვანელობაც განიცდიდა. ირანის ელჩი ვილოკი შეცვალა პოლკოვნიკმა მაკდონალდმა, რომელსაც დიდად აინტერესებდა ირანის ჯარის ასეთი მოულოდნელი დამარცხების მიზეზები, რადგანაც ინგლისელი სამხედრო სპეციალისტები აბსოლუტურად დაჯერებულნი იყვნენ აბას-მირზას გამარჯვების აუცილებლობაში. რუსეთის ჯარის პირველი გამარჯვებების შემდეგ ინგლისელებსა და ირანელებს, ცხადია, არ ჰქონდათ იმის გარანტია, რომ რუსეთი არ განავითარებდა ძლიერ შეტევას და არ დაემუქრებოდა თვით არაქსს გაღმა მდებარე ირანის ტერიტორიას. თეირანიდან ერევნის ხანთან სპეციალური დავალებით გაგზავნეს სამხედრო ინსტრუქტორები ინგლისელი მაიორის მონტეიტის ხელმძღვანელობით.[1] ცნობილია, რომ ერევნის ხანის სამხედრო ძლიერება ანგარიშგასაწევი იყო. მასზე საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებდნენ როგორც ირანის შაჰი, ისე ინგლისის სამხედრო მისია. ერევნის უძლიერესი ციხე-სიმაგრე ირანის ბატონობის დასაყრდენი იყო ამიერკავკასიაში. მონტეიტის მისიაც სწორედ იმიტომ გაგზავნეს ერევანში, რომ შეემოწმებინა მისი საბრძოლო მზადყოფნა, რათა კვლავ არ გამეორებულიყო მოულოდნელი მარცხი რუსებთან ბრძოლაში. ერევანში სამხედრო მისიის ჩასვლის ნამდვილი მიზანი მაკდონალდმა დაფარა და აღნიშნა, თითქოს ინგლისელი მაიორი თეირანიდან იმისათვის გამოიგზავნა, რომ დახმარებოდა თბილისში მიმავალ მენშიკოვის მისიას, მაგრამ, როგორც თვითონ მენშიკოვი წერს: „...Я уже находился в Тифлисе, когда сей офицер прибыл в лагерь Сардаря Эриванского“.[2]

ერმოლოვმა უბრძანა პასკევიჩს, რომ მდ. არაქსს გაღმა არ გადასულიყო და ირანელებისაგან მხოლოდ ის ტერიტორია გაეწმინდა, რომელიც გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა დაიმკვიდრა. მართალია, აბას-მირზა სასტიკად დამარცხდა ელიზავეტოპოლთან, მაგრამ უკან გაქცეული მისი ჯარი ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაიქსაქსა. ირანელები ტრადიციისამებრ ძარცვავდნენ მოსახლეობას, აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც კი მოისურვებდნენ. საჭირო იყო აზერბაიჯანში მიმოფანტული ირანის ჯარის ნაწილების განდევნა. რუსეთის ჯარი სურსათის ნაკლებობას განიცდიდა. უნდა დაჩქარებულიყო საკვებისა და ფურაჟის მარაგის შექმნა, ჯარის შევსება და მომზადება საბოლოო ბრძოლებისათვის.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 29 об.

[2] იქვე.

1826 წლის 30 სექტემბერს ერმოლოვი, ჯარის შეტევის დროებითი შეჩერების აუცილებლობას რომ ასაბუთებდა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო იმპერატორს სწერდა: „Удобно было бы войти в Ериванское ханство, но я не позволю себе этого, опасаясь недостатка в продовольствии, паче же для лошадей по причине приближающегося зимняго времени и особенно в том случае, когда неприятель укроется в крепости Эриванской и Сардар-Абаде, где могут поместиться сильные гарнизоны, для наблюдения за коими необходимо довольно значительное количество войск, за чем не останется у меня уже ничего для занятия провинции и снабжения себя продовольствием или же отражения помощи, которая может быть прислана крепостям".[1]

ერმოლოვის მოსაზრება სრულიად დასაბუთებული ჩანს. მართლაც, რუსეთის მცირერიცხოვან ჯარს, რომელსაც არ გააჩნდა სურსათი, ფურაჟი და სხვა საომარი საშუალება, ძალა არ შესწევდა, რომ ომი განეგრძო. ნიკოლოზ I პირველ ხანებში ერმოლოვს თანაუგრძნობდა. 24 ოქტომბრის თარიღით იგი ერმოლოვს სწერდა: „Я весьма согласен прежде нежели перейти Аракс, лучше очистить наши провинции совершенно от неприятеля, упрочить спокойствие оных и обеспечить продовольствие войск на дальнейшее действие, внести тогда уже войну в пределы Персии и действовать решительно".[2]

ამასთან ერთად ნიკოლოზ I უბრძანებდა ერმოლოვს, ხელიდან არ გაეშვა, თუ ამას მომენტი მოიტანდა, ერევნის აღების შესაძლებლობა, ეს იქნებოდა იარაღის ძალით, ფულით თუ ერევნის სარდართან საიდუმლო დიპლომატიური ქსელის გაბმის გზით. იმპერატორმა კარგად იცოდა, რომ ერევნის ციხე წარმოადგენდა ირანის ძლიერების დასაყრდენს ამიერკავკასიაში და მისი აღების შესაძლებლობა რუსეთის სარდლობას ხელიდან არ უნდა გაეშვა.

ჩრდილო აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მტრის განდევნისას რუს ჯარისკაცებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები. მათი მხარდაჭერა აძლიერებდა რუსების საბრძოლო მოქმედებას და მას უფრო ეფექტურ ხასიათს აძლევდა, აადვილებდა ირანელებზე გამარჯვებას.

ცნობილია, რომ 1812 წლის სამამულო ომის გმირი გენერალ-მაიორი დენის დავიდოვი დაინიშნა იმ რაზმების მეთაურად, რომელთაც უნდა გაეთავისუფლებინათ ლორის, ბამბაკის და სხვა ტერიტორია ერევ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4290, л. 126—127.

[2] Акты, т. VI, ч. II, д. 695, стр. 384.

ნის ხანის ძმის ჰასან-ხანის ჯარებისაგან. ასევე მას დაევალა სევანის ტბის ჩრდილოეთ ტერიტორიის ერევნის ხანის—ჰუსეინ-ყული-ხანის ჯარისაგან განთავისუფლება.

ქართველები ფრონტის თითქმის ყველა უბანზე რუსების გვერდით იბრძოდნენ. ისინი იბრძოდნენ აგრეთვე, როგორც ირკვევა, დენის დავიდოვის ჯარის ქვეგანაყოფებთან ერთად და გმირობისა და მამაცობის მაგალითებს იძლეოდნენ. ერთ-ერთ საარქივო საბუთში ქართველთა მონაწილეობის შესახებ ვკითხულობთ: „15 сентября состоящий по кавалерии генерал-майор Давыдов прибыл в Джалал-оглу для принятия командования над отрядом войск правого фланга; с ним прибыло тысяча человек грузинской конницы, состоящей большею частью из князей и дворян добровольно вызвавшихся к защите их отечества“.[1]

19 სექტემბერს დენის დავიდოვი თავისი რაზმებითა და ქართველთა ლაშქრითურთ ბამბაკში შევიდა. მან აქტიურად შეუტია ჰასან-ხანს და სოფელი ამამლი დაატოვებინა. შემდეგ დენის დავიდოვის რაზმებმა სოფ. მირაქთან სასტიკად დაამარცხეს ჰასან-ხანის ოთხათასიანი კავალერია. ჰასან-ხანის ჯარის დამარცხებამ და გაქცევამ დეზორგანიზაცია შეიტანა ერევნის ხანის ჯარშიც, ჰუსეინ-ყული-ხანი მაშინვე იძულებული გახდა, ერევნის ციხისაკენ დაეხია. რუსებთან ერთად ქართველებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ მტერს. 1826 წლის 20 სექტემბერს უკანგაქცეული მტერი მიადგა სოფ. ამამლის. „где находилось несколько тысяч персидской конницы под предводительством Гасан-хана. Грузинская конница и казаки быстро преследовали отступавшего неприятеля... и при приближении артиллерии нашей и пехоты грузинская конница и казаки быстро повели атаку на неприятеля, который отступал по дороге к Абаране“.[2]

ბრძოლის ველზე რუს ჯარისკაცებთან ერთად პირველად როდი გამოდიოდნენ ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები. მათ ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის ეფექტური შედეგები იხილეს რუსეთ-ირანისა (1804—1813 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1806—1812 წწ.) ომებში, როცა მტერი იძულებული გახდა, თავისი ადრინდელი პოზიციები დაეთმო რუსეთისათვის. ამიერკავკასიის ხალხებს ახლაც სწამდათ, რომ მტრის სამხედრო ძლიერებას გატეხდნენ და რუსი ჯარის-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 79 и об.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4295, л. 80 и об. Описание вторжения персиян в Грузию в .1826 г. сост. Коцебу I.

კაცების მხარდამხარ ბრძოლით თავიანთ ოჯახებს მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნებდნენ.

მტრისაგან მთლიანად გაწმინდეს ჩრდილოეთი აზერბაიჯანი, რომელიც ომამდე რუსეთს ეკუთვნოდა. პასკევიჩის სარდლობით რუსეთის ჯარები მიადგნენ საზღვარს, საიდანაც არაერთხელ მოიგერიეს ირანის კავალერია, რომელიც კვლავ ცდილობდა შემოჭრას.

მადათოვის მეთაურობით ბრძოლა წარმოებდა შაჰის მიერ მოსყიდული რეაქციული ძალების წინააღმდეგ შაქისა და შირვანის პროვინციებში. ყარაბახსა და შირვანის მოსახლეობისაგან ყალიბდებოდა მოხალისეთა რაზმები, რომელთაც სომხებისაგან შედგენილი მილიცია ემატებოდა. ისინი გაერთიანებული ძალით ებრძოდნენ ირანელთა მძარცველურ ბანდებს, რომლებიც აზერბაიჯანელებისა და სომხების ნაამაგარს უაჩაღურად ეზიდებოდნენ. აზერბაიჯანელებისა და სომხების რაზმებმა ირანელთა ბანდებს ერთ-ერთი ბრძოლის დროს წაართვეს გატაცებული 2 000 აქლემი, 10 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 60 ათასი ცხვარი.[1]

1827 წლის იანვარში რუსეთის ჯარის რაზმები დაზვერვის შიზნით მდ. არაქსს გაღმა გავიდნენ. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მტრის ზურგში პანიკისა და დეზორგანიზაციის შეტანისათვის. მაგალითად, აგარის ახლო მდებარე სოფლებში ირანელებმა აბას-მირზას ბრძანებით დაწვეს ფურაჟის, სურსათისა და ქსოვილების მაღაზიები, რათა რუსებს ხელში არ ჩავარდნოდათ. აბას-მირზა უკვე თავრიზიდან თავისი ოჯახის გაყვანისა და სიმდიდრის გატანის თადარიგს იქერდა.[2]

დასახელებული ფაქტი იმას ადასტურებს, რომ აბას-მირზას აშინებდა რუსეთის ჯარების ახალი შეტევა. იგი თავს ძველებურად ვეღარ გრძნობდა, რადგან ირანის სამხედრო ძლიერება აშკარად დაეცა.

შამქორისა და ელიზავეტპოლის ბრძოლებმა ფიზიკურად და მორალურად გატეხა ირანის ჯარი, გამარჯვების იმედი დაუკარგა მას. 1826 წლის შემოდგომის ბრძოლებმა დაადასტურა, რომ რუსეთის ჯარების პირველ წარუმატებლობას ბოლო მოეღო. იწყებოდა ახალი ეტაპი ომის მსვლელობაში, რომელიც ირანის სამხედრო კატასტროფის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, ირანის პირველი წარმატებანი დამაჯერებელი არ გამოდგა. შამქორისა და ელიზავეტპოლის ბრძოლებმა დაადასტურეს რუსეთის სამხედრო უპირატესობა. ამიერკავკასიის მოსახლეობა ამ ომში რუსეთის მხარეზე გამოვიდა.

---

[1] Жизнь генерал-лейтенанта князя Мадатова, стр. 133.

[2] იქვე, გვ. 135.

ცხადია, მომავალ სამხედრო ოპერაციებს რუსეთის ჯარი კიდევ უფრო მობილიზებული შეხვდებოდა, უფრო მასობრივი და ქმედითი იქნებოდა ამიერკავკასიის ხალხების დარაზმულობა ირანის წინააღმდეგ.

საშინაო მდგომარეობის გამწვავება ირანში პირველი სამხედრო მარცხის შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ინტენსიურ სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევდა ირანს, ომმა მას ცოცხალი ძალის დანაკარგებთან ერთად დიდძალი მატერიალური ზარალი მიაყენა.

ომის პირველი შედეგები საგრძნობი გახდა ირანის მოსახლეობისათვის. მან გაზრდილი გადასახადი მოითხოვა მშრომელი მასებისაგან, გააუარესა ცხოვრების ისედაც ცუდი პირობები, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. თავად მენშიკოვის მისიაში ნამყოფი პორუჩიკი ნოსკოვი, რომელსაც ამ მისიის რუსეთში დაბრუნების შემდეგ ირანში დაჭერნა მოუხდა, აღწერს მოსახლეობის მძიმე პირობებს და მშრომელთა დამოკიდებულებას ომისადმი. ისინი უარს აცხადებდნენ სახელმწიფო გადასახადების გადახდაზე. ნოსკოვის 1827 წლის ცნობით, „Гилянская провинция, бывшая до начатия войны не довольна правителями своими, обременявшими ее непомерными налогами и оказывая нерсдко дух возмущенно, пользуясь настоящим случаем, отказалась от платежа податей за прошлый год".[1]

შამქორთან და ელიზავეტოპოლთან ირანის არმიის დამარცხებამ გამარჯვების რწმენა შეარყია. არმია დემორალიზების გზას ადგა, უარს აცხადებდა ბრძოლაზე, რაც გავლენას ახდენდა თვით მოსახლეობის განწყობილებაზე. ომის წინ არსებული ენთუზიაზმი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა უკვე გაქრა. იმავე ნოსკოვის ცნობით, „Дело при Шамхоре и второе при Елизаветополе дали почувствовать всем заблуждение их. Разбитые и прогнанные в шесть раз меньшею силою персидские войска, толпами бежали с своими предводителями и влекомые до того энтузиазмом победы разбежались и отказались от повиновения. В Тегеран сотнями возвращались оставлявшие лагерь, так что из всей армии, простиравшейся при начале неприязненных действий до 60 тысяч, в непродолжительное время уменьшилось до 10 тысяч".[2]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 28 и об. Взгляд на нынешнее состояние Персии относительно политического и военного ея положения, сост. Гвардейского генерального штаба поручик Носков, от 8 апреля 1827 г.

[2] იქვე.

დიდძალი დანაკარგი ჰქონდა კავალერიას და რეგულარულ ჯარს. ამ საბუთით ვიგებთ, თუ რაოდენ დიდი ზარალი ნახა ირანის არმიამ რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში. იგი ამავე დროს აღწერს დამარცხების შედეგად დემორალიზებული ხალხისა და არმიის საწინააღმდეგო განწყობილებას: „Народ и разбежавшееся войско кричали против войны, а правительство ничего не мог делать против этого".[1]

ირანის მოსახლეობას და არმიას რუსეთთან ომი წაგებულად მიაჩნდა. მთავრობა, სანამ შესაძლებელი იყო, ხალხს უმალავდა არმიის დამარცხებას. მაგრამ ის სულ მალე გამჟღავნდა. ირანის მოსახლეობა რუსეთთან ომის წინააღმდეგი იყო: „Жители Тегерана от коих правительство старалось скрывать неблагоприятныя обстоятельства, узнав об оных и исполнившись неудовольствия, приняли было намерение писать Шаху, чтобы он искал средства к прекращению войны с русскими".[2]

ირანის მთავრობა ამაოდ ელოდა, რომ თურქეთი ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთსა და თურქეთს შორის 1826 წლის იელისს დაწყებული მოლაპარაკება 26 სექტემბერს აკერმანის კონვენციის გაფორმებით დამთავრდა. აღნიშნული კონვენციით თურქეთი რუსეთს აღუთქვამდა ბუქარესტის 1812 წლის საზავო ხელშეკრულების ყველა მუხლის შესრულებას, აგრეთვე 1791 წლის იასის საზავო ხელშეკრულებისა და 1783 წლის სავაჭრო ხელშეკრულების დაცვას. აკერმანის კონვენცია რუსეთს ანიჭებდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე ზღვაოსნობისა და ვაჭრობის თავისუფლებას. გარდა ამისა, მტკიცედ იქნა რეგლამენტირებული თურქეთის უფლებები მოლდავეთსა და ვალახეთში, განმტკიცდა სერბიის შინაგანი ავტონომია.

აკერმანის კონვენცია რუსეთის დიპლომატიის დიდ გამარჯვებას მოასწავებდა. თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისაგან დროებით თავს იკავებდა.

შაჰი პარალიზებული იყო არმიის წარუმატებლობით და ცდილობდა, მძიმე მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი ეპოვა. იგი 1826 წლის 1 ნოემბერს თავრიზიდან თეირანს დაბრუნდა და გართულებული ვითარებისაგან თავის დაღწევის საშუალებას ეძებდა. ფეტხ-ალი-შაჰს სურდა, რუ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 28 и об. Взгляд на нынешнее состояние Персии относительно политического и военного ея положения, сост. Гвардейского генерального штаба поручик Носков, от 8 апреля 1827 г.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 29.

სეთთან დიპლომატიური მოლაპარაკების გზით, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, ყველა სადავო საკითხი გადაეჭრა. თავის მხრივ, ინგლისის დიპლომატიას სწამდა, რომ ომის გაჭიანურება კიდევ უფრო გაართულებდა ირანის მდგომარეობას, თუ საომარი მოქმედება ირანის ტერიტორიაზე გადავიდოდა, რაც მოსალოდნელი იყო, შაჰი ქვეყნის დიდ ნაწილს დაკარგავდა; ყოველივე ეს გამოიწვევდა შუა აღმოსავლეთში ინგლისის პოზიციების დასუსტებას, რაც თავის მხრივ, ინდოეთზე მის ბატონობას შეასუსტებდა. ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაურმა მაკდონალდმა აკერმანის კონვენციის გაფორმება უბედურების მომასწავებელ აქტად ჩათვალა. იგი შაჰს ურჩევდა, რომ სასწრაფოდ დაედო რუსეთთან ზავი. პორუჩიკი ნოსკოვი თეირანიდან იუწყებოდა: „Желанием шаха немало содействовал прибывший вслед за ним из Тавриза английский посланник Макдональд, который представя полученное им из Константинополя известие об окончившихся, **против ожидания** Тегеранского двора, в нашу пользу в переговорах с Оттоманскою Портою в Акермане, легко убедил его поспешить отправлением в Тифлис персидского чиновника к тамошнему начальству для предворения о желании его отправить ко двору императорского полномочного посланника“.[1]

ირანის შაჰი გრძნობდა შექმნილ მძიმე მდგომარეობას და ამიტომ ეძებდა რუსეთთან დაზავების გზებსა და საშუალებებს. მაგრამ აბას-მირზა ომის გაგრძელების მომხრე იყო, ვერ ურიგდებოდა პირველი წარმატებების შემდეგ სამარცხვინო დამარცხებას. შაჰი გვიან მიხვდა თავის დანაშაულს, განდიდების მანიით შეპყრობილი აბას-მირზა კი ხელს არ იღებდა ომის გაგრძელებაზე. იგი ანგარიშს არ უწევდა ომისათვის საჭირო რეზერვებს, განსაკუთრებით კი არმიისა და მოსახლეობის მორალურ მდგომარეობას.

თეირანში ასეთი ხმები გავრცელდა: აკერმანის კონვენციის გაფორმების შემდეგ რუსეთის ჯარი, რომელიც კონსტანტინოპოლთან ახლოს იდგა, შავი ზღვით დასავლეთ საქართველოში შევიდა ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად; ასტრახანში ძლიერი სამხედრო ფლოტი შეიქმნა, აშენდა ახალი საბრძოლო გემები, კასპიის ზღვის ყველა სავაჭრო გემი გადააკეთეს სამხედრო გემებად და ისინი გამოჩნდნენ გილიანისა და მაზანდერანის სანაპიროებზე. ეს ხმები ჭეშმარიტებასთან ახლოს იყო. რუსეთს მართლაც მოჰყავდა დამხმარე ძალა შავი ზღვით დასავლეთ საქართველოში. იგი აძლიერებდა თავის პოზიციებს საქართველოში თურქეთის მოსალოდნელი ლაშქრობის წინ, ამასთან ერთად ჯარის ნაწილები და დიდძალი არტი-

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 29.

ლერია იგზავნებოდა ირანის წინააღმდეგ სხვა სამომარ საშუალებებთან ერთად. რაც შეეხება კასპიის ზღვის ფლოტს, იგი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამაღლდა მისი ბრძოლისუნარიანობა და მას მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეეძლო ირანისათვის. ირანი პანიკამ მოიცვა: დაიწყო ლაპარაკი თეირანიდან შაჰის განძეულობის გატანის შესახებ.

თეირანში ინტენსიურად მუშაობდნენ ქალაქის გასამაგრებლად: დაიწყო ციხის გალავნის შეკეთება, შაჰის სასახლის გარშემო რუსხმულთა გაწმენდა, ქალაქის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა. ზემოაღნიშნულის მოწმე შემდეგს იუწყება: „Все находившиеся в городе полевыя орудия, числом до 32-х разного калибра, начиная с 3-х до 12 фунтового, включая и 8 прибывших с шахом из Агара, вывезены были на дворцовую площадь. Сверх сего, на оной с давняго времени стоят двадцать восемь пушек огромного калибра, в царствование еще шаха-Надира от голандцев полученныя".[1]

შაჰს არავითარი იმედი არ ჰქონდა, რომ რუსეთს ხელსაყრელ პირობებში დაუზავდებოდა. თანაბმად გავრცელებული ხმებისა, შაჰი თითქოს მზად იყო, ყველა სადავო ტერიტორია, რაც მდ. არაქსამდე მდებარეობდა, რუსეთისათვის გადაეცა, თუკი ის ამაზე დათანხმდებოდა. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა ირანში 1827 წლის დასაწყისში.

შაჰი თავის მხრივ მომავალი ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა. მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა, ხორასნის მმართველმა, ჰერატის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ჰასან-ალი-მირზამ, შაჰს აღუთქვა, რომ 20-ათასიანი ჯარით მონაწილეობას მიიღებდა რუსეთის წინააღმდეგ ომში; შაჰმა იგი აბას-მირზას აახლა. შაჰს სამხედრო ძალის იმედი აღარ ჰქონდა. ამიტომ მან სპეციალური დავალებით ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მირზა-აბულ-ჰასან-ხანის ძმისწული მირზა-მაჰმედ-ალი თბილისში გაგზავნა და ერმოლოვთან წერილი გაატანა საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

ხმებმა არაქსის გადალახვისა და ყარადაღში მადათოვის მეთაურობით რუსეთის ჯარის შევრის შესახებ 2 იანვარს თავრიზს ჩააღწია. შიში და პანიკა მოსახლეობაში სულ უფრო მატულობდა, თავრიზში მყოფი ირანის ჯარი უარს აცხადებდა რუსებთან ბრძოლაზე: „Собранные баталионы решительно отказались идти навстречу русским, говоря, что это на явную гибель; в случае же понуждения, грозили бросить оружие при первой встрече с неприятелем".[2]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 30.

[2] იქვე, л. 31 об.

აბას-მირზა ისწრაფოდა, წესრიგი დაემყარებინა თავრიზში, სიკვდილით სჯიდა საეკვო პირებს და ტერორის დამკვიდრების გზით ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას. იგი უნდობლობით ეკიდებოდა ქალაქის სომხურ მოსახლეობას, რომელიც რუსეთის ჯარს მხარს უჭერდა, მით უფრო, რომ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში უკვე იწვნია სომხური მოსახლეობის იარაღის ძალა. ამიტომ მან მათ მიმართ საგანგებო რეჟიმი შემოიღო. პორუჩიკ ნოსკოვის ცნობით: „У всех армян, живущих в городе, отобрано всякого рода оружие и запрещено выходить из своих домов; улицы, ведущия к ним, были завалены. Пищу подавали им через стены".[1] იგი ასევე სასტიკად ეექცეოდა აზერბაიჯანული მოსახლეობის იმ ნაწილსაც, რომელიც მისი დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა. აბას-მირზამ თავისი ტერორისტული მოქმედებით არაერთი აზერბაიჯანელის სიცოცხლე შეიწირა.

თავრიზის ყველა მცხოვრები, ქრისტიანი თუ მაჰმადიანი, ომის წინააღმდეგი იყო და აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას. გაუჭირდა აბას-მირზას, რადგანაც ხალხის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა. იგი რამდენიმე დღეს არც კი გამოდიოდა თავისი სასახლიდან, რომელსაც ჯარი იცავდა. კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა, თავის მამას — ირანის შაჰს — წერილი გაუგზავნა და დახმარება სთხოვა. შაჰმა კი მას შემდეგი შინაარსის პასუხი შემოუთვალა: „Сын мой! Ты не хотел послушать меня; не хотел следовать советам опытного отца твоего: ввел меня и себя в бедственное положение. Теперь чего требуешь от меня, не ожидай ни советов, ни помощи. Я не в состоянии уже их подавать; делай, что хочешь".[2]

ეს იყო პასუხი ახლა განსაცდელში ჩავარდნილი, ერთ დროს კი გამედიდურებული შაჰისა, რომელსაც უნდოდა, რუსეთ-ირანის საზღვარი მდ. თერგზე დაედო. როგორც ჩანს, შაჰი ყველა უბედურების მიზეზად აბას-მირზას მიიჩნევდა, მაგრამ არაფერს ლაპარაკობდა ამ საქმეში თავისი დანაშაულის შესახებ.

ნერვიულობის ატმოსფერო იყო შექმნილი შაჰის გარშემო. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა აგრეთვე ინგლისის სამხედრო მისია, რომელმაც ესოდენ დიდი დახმარება გაუწია შაჰს ირანის არმიის რეორგანიზაციის, სამხედრო ტექნიკით მომარაგებისა და საბრძოლო მომზადების საქმეში. მაგრამ რაკი რუსეთმა ირანს სძლია, ამიტომ როგორც აბას-მირზა, ისე თვითონ შაჰიც ინგლისელებს გაუნაწყენდნენ. ინგლისის მისია ჰპირდებოდა მათ ინდოეთიდან დამატებით ოფიცრების გამოგზავნას, რომლებიც შეძლებდნენ არმიის ბრძოლისუნარიანობის აღდგენას.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 32 об.

[2] იქვე.

ნოსკოვის ცნობით: „Английская миссия находилась в сие время не менее в затруднительном положении, быв вынужденною к категорическому объяснению с Аббас-Мирзою в Диване, куда все офицеры миссии сей приглашены были для совещания, как поступить в настоящих трудных обстоятельствах. Аббас-Мирза требовал определить решительно время, в которое присланы будут офицеры Индейской компании, пред сим ему обещанные".[1]

აბას-მირზა დამარცხებას, ეტყობა, ინგლისელებს აბრალებდა. შექმნილი სიტუაცია დივანის მსჯელობის საკითხი გამხდარა, სადაც მიწვეული ყოფილა ინგლისის მისიის ყველა ოფიცერი იმის გასარკვევად, თუ რა გამოსავალი ეპოვათ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. აქვე გადაჭრით უნდა განესაზღვრათ, თანახმად დაპირებისა, როდის გამოგზავნიდნენ ინგლისელები ირანში ინდოეთის კომპანიის ოფიცრებს. ინგლისის მისია შეიარაღებული ძალებით რუსეთის დამარცხებას უიმედო საქმედ მიიჩნევდა, ამიტომ არ ჩქარობდა ინდოეთიდან ოფიცრების გამოგზავნას, მაგრამ ბედის ანაბარად ირანის დატოვებას მაინც არ ფიქრობდა. ინგლისელებს უნდოდათ, ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკებით ირანისათვის რაიმე სარგებლობა მოეტანათ.

აბას-მირზა აკოწიწებდა ჯარს. იგი ძმას ჰასან-ალი-მირზას ვერ იტანდა, მაგრამ ახლა, ამ განსაცდელის ჟამს, მზად იყო, მისგან სამხედრო დახმარება მიეღო. ალექსანდრე ბატონიშვილმა 2 ათასამდე ქვეით ჯარისკაცს ძლივს მოუყარა თავი. ყაზვინის მმართველს ალაგა-მირზას 7 ათასამდე ცხენოსანი მებრძოლი გამზადებული ჰყავდა, აბდულა-მირზა კი 3 ათასიანი ჯარით არდებილისაკენ დაიძრა. ამასობაში ხმა დაირხა, რომ რუსეთის ჯარი თავრიზისაკენ მიიწევდა, რამაც შაჰი კიდევ უფრო დააფრთხო. მან შიკრიკი აფრინა ისპაჰანს ხოსროვ-ხანთან, რათა იგი თავისი ჯარებით დახმარებოდა. ირანის ჯარები თავს იყრიდნენ თავრიზში და რუსებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. სასწრაფოდ გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის: „Приведение в устройство артиллерии и присмотр за литьем новых пушек поручено было италианцу Бернарди, находившемуся некогда во французской службе. В лаборатории заготовляли военные снаряды. Начали запасать провиант и устраивать в Тавризе магазейн, до того времени не существовавший. К Нахичеванскому хану послано от Аббас-Мирзы пове-

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 33.

.ление заняться бдительным надзором за производимою починкою крепости Аббас-Абада, лежащей при реке Араксе".[1]

გენერალური შტაბის გვარდიის პორუჩიკს ნოსკოვს 1827 წლის 1 თებერვალს რთული მდგომარეობა დაუტოვებია თავრიზში. ომის ციებცხელებაში კეთდებოდა ყველაფერი. პორუჩიკი ნოსკოვი წამოსვლის წინ შეხვედრია აბას-მირზას. საუბარში გამოირკვა, რომ იგი მიმდინარე ომის დაწყებისათვის ადანაშაულებდა რუსეთსა და რუს მოხელეებს. აბას-მირზას კრინტი არ დაუძრავს თავის პრეტენზიებზე რუსეთის მიმართ, პირიქით, იძულებული გამხდარა, ეღიარებინა რუსეთის ძლიერება. აბას-მირზას საუბრიდან აღსანიშნავია შემდეგი: „Есть ли государю императору угодно иметь в виду покорить Персию, так как англичане поступили с Индиею, то мы, зная могущество и силу его державы, не сомневаемся в возможности исполнения такового намерения; но спрашиваем, согласно ли будет со справедливостью".[2]

ჯერ კიდევ წინ იყო გადამწყვეტი ბრძოლები, მაგრამ აბას-მირზას ადრინდელი სიამაყე დაკარგული ჰქონდა. ინგლისელებმა წააქეზეს იგი რუსეთის წინააღმდეგ, მან მუხანათურად დაიწყო ომი, მაგრამ ვერ გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგები.

ინგლისელები არა მარტო შაჰს და აბას-მირზას, არამედ ირანის თითქმის ყველა მინისტრს თავიანთი პოლიტიკის იარაღად იყენებდნენ. პორუჩიკი ნოსკოვი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა ირანის პოლიტიკურ მდგომარეობას, საგარეო საქმეთა მინისტრის საქმიანობას რომ ეხებოდა, წერდა: „Мирза-Абдул-Гасан-хан, бывший неоднократно посланником в России и других Европейских державах, он управляет министерством иностранных дел и кажется располагает действиями своими сообразно политики Английского правительства, от коего получает ежегодно по две тысячи туманов".[3]

ინგლისის წაქეზებით დაწყებული ომი ახალ ფაზაში შედიოდა. იწყებოდა 1827 წლის კომპანია. ირანის საშინაო მდგომარეობა კარგს არაფერს უქადიდა აბას-მირზასა და ქვეყნის მმართველ წრეებს. ქვეყანას სამხედრო კატასტროფა ემუქრებოდა და გამარჯვების იმედები თანდათან ქრებოდა.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 34 об.

[2] იქვე, ფურც. 35.

[3] იქვე, ფურც. 39.

შამქორთან და ელიზავეტოპოლთან დამარცხებით დაიწყო ირანის არმიის დაცემა და მთავრობის კრიზისი. ინგლისელები, რომლებიც ომის დაწყების საქმეში პირველი დამნაშავენი იყვნენ, მაინც ანუგეშებდნენ აბას-მირზას და მდგომარეობის გამოსწორების იმედს აძლევდნენ.

მართალია, რუსეთთან სერიოზული დამარცხების შემდეგ ირანი პანიკამ მოიცვა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ჰყავდა საკმაო ძალები რუსეთთან ომის გაგრძელებისათვის. ირანის თითქმის ყველა ციხე-სიმაგრეში იდგა მრავალრიცხოვანი ძლიერი გარნიზონი, რომელთაც სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარი შესწევდათ. აბას-მირზას ჯერ კიდევ შეეძლო, რომ შაჰის გვარდიასთან ერთად ცალკეულ სახანოებში მყოფი მრავალრიცხოვანი ჯარები გამოეყვანა რუსეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, რეგულარული ჯარის ის ნაწილები, რომლებიც რუსებთან ბრძოლაში დამარცხდნენ, კვლავ გამოდგებოდნენ ახალი ბრძოლისათვის. აბას-მირზას მთლიანად შერჩა არტილერია. მან მხოლოდ ერთი ქვემეხი დაკარგა ელიზავეტოპოლთან ბრძოლაში. ასე რომ, ირანის არმიის წინააღმდეგობა არც ისე ადვილი დასაძლევი იყო.

რუსეთ-ირანის ამ ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა იმ ფაქტს, რომ ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთმანეთის მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ რუსი ჯარისკაცები, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოლაშქრენი, რომლებმაც სამარადისოდ შეადუღაბეს და უკვდავ ტრადიციად აქციეს რუსი და ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა.

თავი VII

1827 წლის საომარი მოქმედება

ირანის შაჰი, რომელმაც 1826 წლის შემოდგომაზე დიდი მარცხი განიცადა, ახალი საომარი ოპერაციებისათვის ემზადებოდა. იგი მაქსიმალურად ახდენდა ცოცხალი ძალისა და საომარ საშუალებათა მობილიზაციას, ამასთანავე დიდ იმედებს ამყარებდა კავკასიის მთიანეთის მუსლიმანურ მოსახლეობაზე, რომელსაც დიდძალ ფულსა და განძეულობას უგზავნიდა, გამარჯვების შემთხვევაში კი დიდ წყალობას აღუთქვამდა.

ერთ-ერთ მოწოდებაში, რომელიც შაჰს ჩაჩნეთში სურხაი-ხანის შვილის ხელით გაუგზავნია, ნათქვამი იყო: „Ныне божиею милостию я шах Персии, Грузии и Дагестана, по окончанию нашего Рамазана Урозы буду с войском в городе Тифлисе и очищу вас от русского порабощения, буде же сего не учиню, то не буду в свете шах Персии. К вам... пришлю с войском Нуху-хана, которого снабжу немалочисленною казною и награжу вас по заслугам примерно, в чем уверяю вас святым алькораном".[1]

მსგავს მოწოდებებს შაჰი და აბას-მირზა თითქმის ყველგან გზავნიდნენ, რათა მუსლიმანური სამყარო ერთდროულად აემხედრებინათ რუსეთის წინააღმდეგ.

შაჰი და აბას-მირზა ინგლისელების ინტენსიური დახმარების წყალობით ცდილობდნენ ირანის არმიის ბრძოლისუნარიანობისა და შელახული რეპუტაციის აღდგენას. გარდა იმისა, რომ ირანის შაჰს ჰყავდა თავისი 10.000-იანი გვარდია, რომელსაც საბრძოლო ნათლობა ჯერ არ მიეღო, ირანის ციხე-სიმაგრეებში თავმოყრილი იყო მრავალრიცხოვანი გამოწრთობილი არმია. შაჰის შვილების ერთი ნაწილი თავს უყრიდა 30.000 მოლაშქრეს ირანის მოსახლეობიდან, ხოლო ჰასან-ალი მირზას ხორასნის პროვინციიდან მოჰყავდა 25.000-იანი კავალერია, მამედ-ალი-მირზას მემკვიდრეს — ალი-შაჰს ჰყავდა 30.000-იანი ჯარი.[2]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4317, л. 18 и об.

[2] იქვე, ფურც. 22.

აბას-მირზას მიმართ მტრულად განწყობილ ძმებს ამ განსაცდელის ჟამს შაჰის ბრძანებით თავიანთი ჯარი მაქსიმალურად უნდა გამოეყვანათ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თავის მხრივ აბას-მირზაც ცდილობდა, ინგლისელების დახმარებით კვლავ აღედგინა რეგულარული ჯარი, მაგრამ სარბაზთა ბატალიონების მებრძოლთა ერთი ნაწილი, რომელმაც რუსეთის ჯართან წარუმატებელი შეჯახების სიმწარე იწვნია, უკვე გარბოდა ჯარიდან. მათი მოგზაურობა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ჯარისკაცები გრძნობდნენ მოსალოდნელ კატასტროფას და ამიტომ თავს არიდებდნენ ჯარში სამსახურს. ერევნის ერთ-ერთი მცხოვრები კალანტარ ბარსიგი 1827 წ. 1 მარტს სომხეთის ეპისკოპოსს ნერსესს აუწყებდა: „В сборе распущенных сарбазов встречается большое затруднение по той причине, что каждый старается от того избегнуть, скрываясь в неизвестных местах“.[1]

ირანში იქმნებოდა აზრი იმის შესახებ, რომ აბას-მირზა გადაეყენებინათ მთავარსარდლის პოსტიდან და მის ადგილზე დაენიშნათ შაჰის სხვა ვაჟი — ჰასან-ალი-მირზა — ხორასნის მმართველი, რომელსაც თვალი შაჰის მემკვიდრეობაზე ეჭირა.

სპარსელები საგანგებოდ ამაგრებდნენ თეირანს, თავრიზს, ერევანს, ნახიჩევანს და სხვა ციხე-სიმაგრეებს. შაჰის ბრძანებით ციხე-სიმაგრეებში ერეკებოდნენ მოსახლეობის ერთ ნაწილს, რომელიც საიმედოდ მიაჩნდათ, ხოლო დიდ ნაწილს ქვეყნის ღრმა ზურგში უშვებდნენ, რადგანაც ვარაუდობდნენ, რომ ის მხარს დაუჭერდა რუსეთის ჯარს და ამით კიდევ უფრო გაართულებდა ქვეყნის მდგომარეობას. თავრიზში მცხოვრები სომხები ხელისუფლების ბრძანებით მთლიანად განაიარაღეს.[2]

ირანელები უნდობლობის თვალით უყურებდნენ არა მარტო ქრისტიან სომხებს, არამედ ერთმორწმუნე აზერბაიჯანელებსაც, რომლებიც ირანის ბარბაროსულ პოლიტიკას ებრძოდნენ.

იგივე კალანტარ ბარსიგი სომხეთის ეპისკოპოსს ნერსესს აუწყებდა, რომ „Если русские теперь подвинутся в Ериван, то всех армян вообще и кочующих татар погонят во внутрь Персии.“[3] მაგრამ ირანის ხელისუფლების ამ ღონისძიებას მისთვის სასურველი შედეგები არ მოუტანია. ეს უფრო სიძულვილსა და შურისგებას იწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში და აძლიერებდა მის სიმპათიას რუსეთისადმი.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4314, л. 23.

[2] იქვე.

[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4317, л. 21 об и 22. Журнал генерал-адъютанта Паскевича с 17 по 20 числа марта месяца 1827 года.

აბას-მირზას განკარგულებით ირანის ციხე-სიმაგრეებში და სასაზღვრო ოლქებში შეიცვალნენ მოხელეები, ყველგან ჩააყენეს შაჰის უერთგულესი ხანები, რომლებმაც ფიცი დადეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ რუსების წინააღმდეგ. ნახიჩევანის მმართველი მამედ-ბაქირ-ხანი შეცვალა ქერიმ-ხანმა, რადგანაც, ირანის სამხედრო ხელისუფალთა აზრით, რუსეთი შეეცდებოდა ნახიჩევანის აღებას და მისი დაცვის საქმე უფრო საიმედო პიროვნებისათვის უნდა მიენდოთ. 1826—1827 წწ. ზამთარი ირანის ციხე-სიმაგრეების გაძლიერების, არმიის რეორგანიზაციის, მისი სურსათითა და ფურაჟით მომარაგებისა და თავდაცვითი დანიშნულების ღონისძიებათა გატარებას მოხმარდა.

გარდა ამისა, შაჰმა სცადა სერიოზული ნაბიჯი გადაედგა თურქეთთან დაახლოებისათვის. ინგლისის დიპლომატია ამ ორი ქვეყნის დაკავშირებას დიდ ენერგიას ახმარდა. ირანის არმიის სამხედრო წვრთნას ძველებურად ინგლისელები ატარებდნენ. პასკევიჩის სამხედრო ჟურნალში, რომელიც 1827 წლის 17 აპრილითაა დათარიღებული, ზემოაღნიშნულის შესახებ ვკითხულობთ: „Аббас-Мирза собирает много провианта в Тавризе: он разглашает, что турецкий султан дает ему помощь в войске и деньгах, и что русския войска заняты усмирением бунта в Чечне и потому он прямо пойдет к Тифлису. Англичане в Тавризе обучают Сарвазов. В селении Мигры находится 500 сарвазов, а в Кюрдашском магале 1000 человек. Старший сын Аббас-Мирзы по сие время стоит с Карадахскими сарвазами в селении Кейлебаре. Из Хои отправлено к Ериванскому сардарю 2000 сарвазов и 4000 конницы“.[1]

დასახელებული დოკუმენტი მრავალმხრივ საყურადღებო ჩანს. ის გვიჩვენებს, რომ ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობა უმჯობესდება. ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ სულთანის დახმარების იმედი აბას-მირზას თბილისის აღების პრეტენზიას გაუძლიერებდა.

1827 წლის იანვრის ბოლოს თავრიზიდან თურქეთში ფარულად გაიგზავნა დელეგაცია, რომელმაც სულთანს სთხოვა, რომ მალულად მაინც გაეგზავნა აბას-მირზასათვის ფული და საომარი მასალა.[2]

მართლაც, თურქეთმა ირანს 1827 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე თვალსაჩინო დახმარება გაუწია.

რუსეთის მზვერავი იტყობინებოდა, ერევნის ციხის დამცველებს ნახევარი წლის სურსათი გადაეცათ და ციხე-სიმაგრე სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანესო.[3]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4317, л. 42.

[2] იქვე, ს. 4294, ფ. 162.

[3] იქვე, ს. 4317, ფ. 42.

ირანი ახალ სომარ ოპერაციებს ამზადებდა და ცდილობდა, რუსეთის ჯარებისათვის ხელი შეეშალა სურსათის მომარაგებაში, რაც მას, თავის მხრივ, სამხედრო ოპერაციების განხორციელებას გაუძნელებდა. სურსათისა და ფურაჟის განადგურების მიზნით, ინგლისელების წაქეზებით იქმნებოდა სადივერსიო რაზმები. კალანტარ ბარსიგის ცნობით, „По совету англичан предположено выжигать хлеб и фураж, как здесь, так и в Грузии и для исполнения сего назначаются особыя небольшия партии“[1] მართლაც, ირანელები ყანების გადაწვასაც არ ერიდებოდნენ. დასახელებული და სხვა ფაქტები იმაზე მეტყველებდნენ, რომ ირანში თითქმის ყველა ანტირუსული საქმიანობის სულისჩამდგმელი ინგლისელები იყვნენ. ინგლისი საგანგებო ღონისძიებებს ატარებდა, რომ ირანის არმიას თავისი მძიმე მდგომარეობა გამოესწორებინა და წინა აზიაში რუსეთის წარმატება შეეზღუდა.

* * *

1827 წლის დასაწყისში კავკასიის კორპუსის სარდლობა მომავალი შეტევისათვის ემზადებოდა. ჯერ კიდევ ადრე, ომის დაწყებისთანავე, ერმოლოვმა საიმპერატორო არმიის მთავარი შტაბის წინაშე საკითხი დააყენა საალყო არტილერიით კავკასიის კორპუსის მომარაგების შესახებ, რადგანაც ერევნის ძლიერი ციხე-სიმაგრის აღება ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ერმოლოვი მოითხოვდა, რომ არტილერიის გამოგზავნა უმეტესად მომხდარიყო გეორგიევსკიდან კავკასიის სამხედრო გზით ან კასპიის ზღვით, რადგანაც რედუტ-კალედან უგზოობის გამო ძნელი იქნებოდა მისი დანიშნულების ადგილას ჩატანა. მაგრამ იგი ამასთანავე შესაძლებლად მიიჩნევდა რედუტ-კალეში გამოეგზავნათ არტილერიისათვის საჭირო ჭურვი, რომლის ჩამოტანა სამეგრელო-იმერეთის გზით მოსახერხებელი იქნებოდა, მსგავსად სურსათისა და ფურაჟის გადმოზიდვისა. ირანის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისათვის საჭირო ტვირთის გადაზიდვაში თავისი ღირსეული წვლილი შეჰქონდა იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობას.[2]

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთის მთავრობამ ნაწილობრივ მოახერხა ადრინდელი ძალმომრეობისა და განუკითხაობის ალაგმვა. შემცირდა სავალდებულო სატრანსპორტო ბეგარა, შემოიღეს ტრანსპორტის თავისუფლად დაქირავების წესი,[3] რამაც ხელი შეუწყო ჯარისათვის საჭირო ტვირთის დროულად მიწოდებას.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4317, л. 21 об. 22.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4305, л. 11—28.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 880, თბ. 1973 წ.

როგორც ირკვევა, არტილერიის ერთი ნაწილი — ორი საარტილერიო ასეული — ბენდერიდან გამოიგზავნა ოდესაში, ხოლო ოდესიდან — რედუტ-კალეში. ალბათ, შავი ზღვით გამოგზავნა შედარებით ნაკლებ ხარჯებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მეორე ნაწილი გამოიგზავნა კრემენჩუგიდან ეკატერინოგრადში, ხოლო იქიდან კავკასიის მთებში მიმავალი სამხედრო გზით.[1]

1826 წლის დასასრულს კავკასიის კორპუსი ღებულობს გარკვეულ შევსებას. ჯერ კიდევ შემოდგომის დასაწყისში გამოიგზავნა დეკაბრისტებისაგან დაკომპლექტებული ერთი პოლკი, მე-20 ქვეითი დივიზია, დონის კაზაკთა რამდენიმე პოლკი და მეორე ულანის დივიზია არტილერიითურთ. 1827 წლის კამპანიის დასაწყისში რუსეთის სარდლობას ირანის წინააღმდეგ საომრად 24-ათასიანი ჯარი ჰყავდა.

1826—1827 წწ. ზამთარში მუშავდებოდა მომავალი საბრძოლო ოპერაციის გეგმა. ნიკოლოზ I-ს წარუდგინეს გეგმის ორი პროექტი, ერთი ერმოლოვის, მეორე კი პასკევიჩის მიერ შედგენილი. ერმოლოვს ირანის ტერიტორიაზე სწრაფი შეტევის განვითარების ვარაუდი ჰქონდა. ეს უნდა მომხდარიყო იმგვარად, რომ ირანის არმია საველე ბრძოლებში დაემარცხებინა, ხოლო გზაზე შემხვედრი ციხესიმაგრეებისათვის გვერდი აევლო ისეთნაირად, რომ იქ დაეტოვებინა შედარებით მცირერიცხოვანი ნაწილები მათი ბლოკადისათვის. ერმოლოვის გეგმის მიხედვით ზაფხულის სიცხეების დაწყებამდე რუსეთის ჯარებს უნდა დაეკავებინათ ნახიჩევანის სახანო. მისი აღების შემდეგ რუსეთის მთავარ სამხედრო ძალას უნდა შეერთებოდნენ ყარაბაღში მყოფი რაზმები. ამგვარად, რუსეთის ჯარს ერევნისათვის უნდა გადაეჭრა ერთადერთი გზა, რომლითაც იგი ირანს უკავშირდებოდა. ამასთან ერთად რუსეთის ჯარი უნდა დამუქრებოდა თავრიზს. ეს კი, ერმოლოვის აზრით, აბას-მირზას აიძულებდა, მთელი ყურადღების ცენტრი თავრიზისაკენ გადაეტანა, რაც რუსეთის სარდლობას საშუალებას მისცემდა, ერევნის ციხესიმაგრე ალყაში მოექცია და ძლიერი საარტილერიო დარტყმით აეღო.[2]

ერმოლოვის გეგმა შეესაბამებოდა შექმნილ ვითარებას. მასში გათვალისწინებული იყო კავკასიის საგარეო მდგომარეობაც; კერძოდ, ანგარიში ეწეოდა თურქეთთან გართულებულ ურთიერთობას.

იმპერატორი ნიკოლოზ I და მთავარი შტაბის უფროსი გენერალი ი. დიბიჩი ერმოლოვის პროექტზე შეჩერდნენ, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება არ ერგო ერმოლოვს. იგი მალე გაიწვიეს კავკასიიდან.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4305. л. 73, 74, 93, 101.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4326, л. 102—106.

რამდენადაც მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე ერმოლოვის გაწვევამ გარკვეული გავლენა მოახდინა, ინტერესმოკლებული როდი იქნება, თუ მოკლედ შეეხებით კავკასიაში პასკევიჩის გამოგზავნის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას და ამ ორი გენერლის ურთიერთობას.

როგორც ცნობილია, ნიკოლოზ I დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ ერმოლოვს არ ენდობოდა. ამის საფუძველი მას ალბათ ჰქონდა. კავკასიის კორპუსის სარდლის თითქოს მოადგილედ, მაგრამ სინამდვილეში კი მის შემცვლელად იმპერატორმა გენერალი პასკევიჩი გამოგზავნა. პასკევიჩს საიდუმლო დავალება ჰქონდა. პირველ ხანებში იგი ამას არ ამჟღავნებდა. მას დეტალურად უნდა შეესწავლა კავკასიის კორპუსის საბრძოლო მდგომარეობა და ამ საკითხზე მის მოხსენებას ერმოლოვის განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. კარიერისტი გენერალი, იმპერატორის ფავორიტი პასკევიჩი, ცდილობდა, დავალება პირნათლად შეესრულებინა და ამით თავისი მომავალი კარიერის საქმეც წინ წაეწია.

ამ ორ გენერალს შორის უთანხმოება ფორმალურად 1826 წლის შემოდგომაზე საომარი ოპერაციის შემდგომ გაგრძელებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. იმპერატორი, რომელიც ემყარებოდა პასკევიჩის წერილებს, ერმოლოვს ადანაშაულებდა, რომ მან პასკევიჩის მიერ ელიზავეტოპოლთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ არ გააგრძელა შეტევა სპარსეთის წინააღმდეგ.

პასკევიჩი ნიკოლოზ I-ს საიდუმლო წერილებს უგზავნიდა. იგი ერმოლოვს იმპერატორთან აბეზღებდა და მის მთელ საქმიანობას ეჭვის ქვეშ აყენებდა. პასკევიჩი სამხედრო მოსამსახურეთა (კერძოდ ჯარისკაცთა) აუტანელ მდგომარეობას, მათი კვების, ჩაცმა-დახურვის უვარგისობას (ბევრ მათგანს 1821—22 წლებში გაცემული, დაკონკილი მუნდირი ეცვა) ერმოლოვს მიაწერდა.[1] ის, რასაც პასკევიჩი იმპერატორს სწერდა, მართალი გახლდათ, მაგრამ ეს განა მარტო კავკასიის კორპუსში ხდებოდა? ასეთი იყო ჯარისკაცის ცხოვრების პირობები მთელ რუსეთის იმპერიაში. ჯარისკაცები არმიაში წარმოადგენდნენ ქვეყნის მრავალმილიონიან ექსპლუატირებულ გლეხურ მასას, რომელიც ჯარში რეკრუტის წესით მიჰყავდათ. ცხოვრების პირობები არაადამიანური იყო. პასკევიჩი იმიტომ აღწერდა მოჩვენებითი გულისტკივილით ჯარისკაცთა ცხოვრების მძიმე პირობებს, რომ ეს მისთვის ამჯერად ხელსაყრელი იყო. მისი მიზანი გახლდათ ერმოლოვის კომპრომეტირება, თორემ ჯარისკაცის ცხოვრების ისედაც არაადამიანური პირობები ხშირ შემთხვევაში რუსეთის მთელს იმპერიაში კიდევ უფრო დამძიმებული იყო საინტენდანტო სამსახურის მოხელეთა უყაირათო და ანგარებიანი საქმიანობით. პასკევიჩი შავ ფერებში

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4291, л. 29—32.

ხატავდა კავკასიის კორპუსში საარტილერიო საქმის სწავლების, ჯარისკაცთა და ოფიცერთა დისციპლინის დაბალ დონეს, ლაზარეთების მოუწყობლობას, მედიკამენტებით მოუმარაგებლობას, ავადმყოფთა საწოლების ნაკლებობას და ა. შ.

პასკევიჩი იმპერატორს საგანგებოდ უხსნის 1826 წლის სამხედრო ოპერაციის შედეგებს. წერილის ამ ნაწილს იგი იწყებს შემდეგი სიტყვებით: „Компания кончена, компания испорчена".[1] პასკევიჩი აზვიადებს ელიზავეტოპოლთან მოპოვებულ გამარჯვებაში პირად როლს, წინ აყენებს თავის პიროვნებას. მან ისე წარმოადგინა მდგომარეობა, თითქოს ელიზავეტოპოლთან დამარცხების შემდეგ ირანს 1000 ცხენოსანი-ღა შემორჩენოდეს და ადვილი შესაძლებელი ყოფილიყოს რუსეთის 12.000-იანი ჯარით თავრიზის აღება. იგი ერმოლოვს ადანაშაულებდა, რომ მან არ შეიძინა 6.000 „ჩეტვერტი" სურსათი და 1000 ურმით არ გაუგზავნა პასკევიჩს.[2] ასე ზერელედ მსჯელობდა პასკევიჩი ირანის დამარცხებაზე. იგი ანგარიშს არ უწევდა ერევნისა და ნახიჩევანის, აგრეთვე სხვა ციხესიმაგრეებში მყოფ ირანის გარნიზონებს და შაჰისა და მის მემკვიდრეთა ჯარებს.

მართალია, ირანის ჯარი საბოლოოდ დამარცხდა შამქორისა და ელიზავეტოპოლის ბრძოლებში, მაგრამ აბას-მირზას არმია არ განადგურებულა, მას ჰყავდა დიდი რეზერვი, რომელიც საკმაოდ ბრძოლისუნარიანი იყო.

წერილის მესამე განყოფილება ისევე ერმოლოვის ლანძღვას ეთმობა. პასკევიჩი ამტკიცებს, რომ გენერალ ციციანოვის პატივმოყვარეობა თავის დროზე ძვირად დაუჯდა რუსეთს, რომელმაც 10 წელიწადს იბრძოლა ირანის 4 სახანოსათვის, ხოლო ახალი მთავარმართებლის, ესე იგი ერმოლოვის პატივმოყვარეობამ ირანთან ომი გამოიწვია. ამის დასამტკიცებლად ის იშველიებს აბას-მირზას, ელიზავეტოპოლის უგურლუ-ხანის, აგრეთვე ერმოლოვის მიერ გაფლანგვისათვის დასჯილი ყორღანოვისა და სხვათა წერილებსა და ჩვენებებს.

პასკევიჩი ერმოლოვს ადანაშაულებდა აგრეთვე იმაში, რომ მან თითქოს ვერ აწონ-დაწონა მტრის ძალები, გადაჭარბებულად შეაფასა როგორც ირანის არმიის შესაძლებლობა, ისე მთის მუსლიმანური მოსახლეობის მტრული მოქმედების საფრთხე.[3]

ირანის შაჰი და აბას-მირზა ომის დაწყებას რუსეთსა და მის მოხელეებს აბრალებდნენ. პასკევიჩიც ომის გაჩაღებას ერმოლოვს მიაწერდა. ამით იგი

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4291, л. 33.

[2] იქვე.

[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4326, л. 56.

ამართლებდა ირანის შაჰის მუხანათურ თავდასხმას და ჩქმალავდა ინგლისელების დანაშაულებრივ როლს ომის მომზადებისა და დაწყების საქმეში.

ერმოლოვსა და პასკევიჩს შორის უთანხმოებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ პეტერბურგიდან იმპერატორის განკარგულებით, თითქოს საქმის შესწავლის მიზნით, გამოიგზავნა მთავარი შტაბის უფროსი გენერალი დიბიჩი, რომელიც 1827 წლის 20 თებერვალს თბილისში ჩავიდა.

დიბიჩთან საუბარში ერმოლოვი იცავდა თავისი განკარგულების სისწორეს, იგი ამტკიცებდა, რომ რუსეთის ჯარი არაქსს გაღმა არ უნდა გასულიყო მანამ, სანამ დამატებით არ მიიღებდა სურსათსა და დამხმარე ძალას.

ერმოლოვის ეს მოსაზრება უთუოდ სწორი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ესოდენ ძლიერი ცხესიმაგრეებით აღჭურვილ სომხეთის ტერიტორიაზე ირანის დამარცხება ოღლი როდი იქნებოდა.

საარქივო მასალების გაცნობამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ ძლიერი საალყო, საველე და სხვა სახის არტილერიის, არმიის რაოდენობრივი გაზრდის, საომარი მასალისა და სურსათის საჭირო მარაგის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ირანის დამარცხება. სურსათისა და ცხენების ფურაჟის შოვნა განსაკუთრებით შეუძლებელი იყო ყარაბაღსა და შირვანში, რომლებიც ირანელებმა პირწმინდად გაძარცვეს.

მოვლენათა მსვლელობაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა იმან, რომ იმპერატორი ემხრობოდა პასკევიჩის მოსაზრებას. ერმოლოვს თავისი პოზიციები უნდა დაეთმო.

პასკევიჩი მოითხოვდა არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო ხაზით მოსული საქმიანი ქაღალდებისა და განკარგულებების გაცნობას და მათზე რეაგირებისას გადამწყვეტი ხმის უფლებას, რასაც ერმოლოვი მართებულად არ მიიჩნევდა. ერმოლოვის აზრით, ეს იქნებოდა მთავარმართებლის უფლებებში უხეში ჩარევა, რის შესახებაც იმპერატორის განკარგულება მას არ მიუღია.[1].

ამასთან, ერმოლოვის პირადი მტრები ხმებს ავრცელებდნენ, რომ იგი დაბერდა და ძველებურად ვერ უძღვებაო საომარ ოპერაციებს. გენერალ დიბიჩთან საუბარში ერმოლოვმა გამოამჟღავნა თავისი გულისტკივილი. მან აღნიშნა, რომ იგი „Чувствует себя еще при прежних своих силах и способностях, но мысль, что он лишился высочайшей доверенности — приводит его иногда в нерешимость и чувствует, что присутствие генерала Паскевича, унижая его в глазах подчиненных,

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4326, л. 30, 39—40.

ослабевает дух и способности его".[1] ამით თითქმის ყველაფერი იყო ნათქვამი. ერმოლოვი კარგა ხანია გრძნობდა, რომ მას იმპერატორი არ ენდობოდა, რაც ყველაფრის ხალისსა და ყოველგვარ სითამამეს უკარგავდა. მის წინააღმდეგ წამოწყებული ინტრიგის სათავე იმპერატორის სასახლე იყო და, ბუნებრივია, ბრძოლა პირწავარდნილი კარიერისტისა და პატივმოყვარე გენერლის პასკევიჩის წინააღმდეგ უიმედო ჩანდა.

ერმოლოვი დიბიჩთან საუბარში პასკევიჩს ახასიათებდა, როგორც კარიერისტსა და სუსტი ნებისყოფის მქონეს, რომელიც ხშირად ექცეოდა შემთხვევითი ადამიანების გავლენის ქვეშ, რაც ძვირად უჯდებოდა მის ხელქვეით გენერლებსა და ოფიცრებს.

ცნობილი გენერალი დენის დავიდოვი, რომელიც კავკასიის კორპუსში პასკევიჩთან ერთად გამოიგზავნა და ირანის წინააღმდეგ იბრძოდა, ახასიათებდა რა პასკევიჩის პიროვნებას, წერდა, რომ იგი არ გამოირჩეოდა "Ни прозорливостью. ни решительностью, ни самостоятельностью..., ни особенной твердостью духа, ни даром слова".[2]

აი როგორი იყო დენის დავიდოვის დახასიათებით პასკევიჩი, რომელიც იმპერატორის უზომო მხარდაჭერის გამო ხშირად წონასწორობას კარგავდა და თავგამოდებით იბრძოდა ერმოლოვის წინააღმდეგ.

დიბიჩთან საუბარში პასკევიჩმა განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო ერმოლოვთან ერთად მისი სამსახური კორპუსში. პასკევიჩის მოსაზრება დაადასტურეს მასთან ახლო მყოფმა გენერალ-ადიუტანტმა ბენკენდორფ II-მ, ფლიგელ-ადიუტანტმა პოლკოვნიკმა დოლგორუკმა და სხვ.[3]

დიბიჩი, გარდა იმისა, რომ სწავლობდა პასკევიჩისა და ერმოლოვის ურთიერთობას, ეცნობოდა კავკასიის კორპუსის რიგითსა და ოფიცერთა შემადგენლობას, აზუსტებდა საინტენდანტო სამსახურის საქმიანობას, სურსათითა და ფურაჟით კორპუსის მომარაგებას, საომარი ტექნიკით ჯარის უზრუნველყოფასა და სხვა საკითხებს. მას თავისი გამოკვლევის მასალები დეტალურად უნდა მოეხსენებინა იმპერატორისათვის. როგორც აღინიშნა, პასკევიჩი ერმოლოვს აბრალებდა ჯარში დისციპლინის მოშლას. დიბიჩი, რომელიც გაეცნო კავკასიის კორპუსს, ნიკოლოზ I-ს სწერდა: „Упущение же дисциплины я нигде не заметил. Объяснив обо всем оном генералу Ермолову во всею откровенностию, я не мог заметить ни в чем с его стороны упорства или нежелания выполнить в точности волю вашего императорского величества".[3] პასკე-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4326, л. 60.

[2] Денис Давыдов, Всенные записки, стр. 396, М., 1940 г.

[3] ЦГВИА СССР. ф. ВУА, д. 4326, л. 31 об.

[4] იქვე, ფ. 56, 57.

ვიჩი გაზვიადებულ ცნობებს აწვდიდა კავკასიის კორპუსის მოშლის შესახებ იმპერატორს, რაც სინამდვილეში არ დადასტურდა. იგი ებრძოდა არა მარტო ერმოლოვს, არამედ ყველას, ვინც მასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. იგი ალმაცერად უცქეროდა გენერლებს ვ. მადათოვს, გ. ერისთავს, ველიამინოვს და სხვებს. უნდოდა, ისინი გაეთავისუფლებინა კორპუსიდან და სამაგიეროდ თავისი ერთგული მოხელეები დაენიშნა. ადრინდელ დამსახურებას ოდნავაც არ უწევდა ანგარიშს.

პასკევიჩი ხელქვეითებში ლანძღავდა ერმოლოვს. მისი უტიფარი მოქმედება მეტისმეტად გამომწვევი იყო. თვითონ გენერალი დიბიჩი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ერმოლოვს იგი არ თვლიდა იმ ხელქვეითების მეთაურად, ვისთანაც ლანძღავდა.[1]

დიბიჩი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი ერთად სამსახური შეუძლებელი იქნებოდა, მით უმეტეს, ირანთან საომარი მდგომარეობის პირობებში. იგი იმპერატორს აუწყებდა: „При нынешнем положении он (ერმოლოვი, ნ. ქ.) уверен, что совместное служение их может быть только вредно, коль скоро выеду я и из Грузии; что он повинуется высочайшей воли, будет служить с генералом Паскевичем и даже под начальством его, когда указано будет, но щитает долгом объяснить, что сие отнимает у него дух и способности, что он предвидит самыя вредныя последствия, когда я отлучусь отсюда, и что он не смеет просить увольнения во время войны, но полагает таковое полезнейшим“.[2]

ერმოლოვი. ეტყობა, სულგრძელობას იჩენდა. თუ უბრძანებდნენ, თანახმა იყო, პასკევიჩის ხელქვეითადაც კი ემსახურა ქვეყნის საკეთილდღეოდ. მაგრამ წინასწარ გრძნობდა ურთიერთობის გამწვავების მავნე შედეგებს და ამიტომ მას ჯარიდან განთავისუფლება ერჩია. როგორც ირკვევა, დიბიჩს რწმუნება ჰქონდა, რომ დაკავებული თანამდებობიდან გადაეყენებინა ერმოლოვი და კავკასიის კორპუსის სარდლის პოსტზე პასკევიჩი დაენიშნა. ერმოლოვის განთავისუფლება სათანადოდ უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. მართლაც, დიბიჩმა 1827 წლის 28 მარტს ერმოლოვს გამოუცხადა, რომ იგი თავისუფლდებოდა უხეშობის, სამსახურებრივი დაუდევრობისა და ხელმძღვანელობის საქმეში შეზღუდულობის გამო, აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის დარგში დაშვებული შეცდომებისათვის. მის ადგილზე ინიშნებოდა გენერალი პასკევიჩი.

დიბიჩმა ერთგვარი ტრაგიკომედია გაითამაშა, თითქოს პეტერბურგი-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4328, л.6 и об.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4326, л. 61.

დან იმიტომ ჩამოვიდა, რომ ობიექტურად გამოეკვლია ერმოლოვისა და პასკევიჩის უთანხმოების მიზეზები. სინამდვილეში ნიკოლოზ I-ის სურვილით ყველაფერი თავიდანვე იყო გადაწყვეტილი პასკევიჩის სასარგებლოდ. ამგვარად, პასკევიჩმა დაისაკუთრა კორპუსის სარდლისა და მთავარმართებლის სავარძელი.

ირანის წინააღმდეგ 1827 წლის საომარი ოპერაციების ჩატარებას სათავეში ჩაუდგა პასკევიჩი, მოქმედი კორპუსის ავანგარდის მეთაურად ბენკენდორფი დაინიშნა. მადათოვი ყარაბახის რაზმების უფროსად დარჩა, ხოლო სხვა დანარჩენი რაზმების მეთაურობა დენის დავიდოვს დაეკისრა. მთავარსარდლის შეხედულებისამებრ, მასვე უნდა ემოქმედა ირანელების წინააღმდეგ.

საომარი მოქმედების განახლებამდე აბას-მირზას მიერ გამოგზავნილმა მისიამ დაიწყო რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობასთან მოლაპარაკება დაზავების შესახებ. ირანი თანახმა იყო, რუსეთისათვის დაეთმო მხოლოდ ის მიწები, რომლებიც გიულისტანის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ისედაც რუსეთს ეკუთვნოდა. რუსეთის წარმომადგენლებმა წამოაყენეს წინადადება სახელმწიფო საზღვარი ყოფილიყო მდ. არაქსი და ამავე დროს ირანის მთავრობას რუსეთისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გადაეხადა 40 მილიონი მანეთი კონტრიბუცია.[1] მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა, საომარი მოქმედების გაგრძელება გარდაუვალი გახდა.

1827 წლის აპრილის პირველ რიცხვებში რუსეთის ჯარის ავანგარდი ბენკენდორფის მეთაურობით თბილისიდან ერევნის მიმართულებით დაიძრა. სომხეთის მოსახლეობას იმედი მიეცა. უკვე დგებოდა დრო, როცა მის ოცნებას ფრთები ესხმებოდა, როცა სომეხ ხალხს ეძლეოდა თავისუფალი ამოსუნთქვის საშუალება. ამიტომ იყო, რომ მასობრივად იქმნებოდა მოხალისეთა რაზმები, სომეხი ხალხის საუკეთესო შვილები მხარში ამოუდგნენ რუსეთის ჯარს ქართველებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად. ეს იყო საერთო მტრის წინააღმდეგ გამარჯვების მომტანი შეკავშირება. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ირანელები სასტიკად ექცეოდნენ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც რუსეთის მიმართ სიმპათიურად იყო განწყობილი. ასეთებს ფიზიკურადაც კი უსწორდებოდნენ და ოჯახებიანად ასახლებდნენ ირანის ღრმა ზურგში, რათა მხარი არ დაეჭირათ რუსეთის ჯარისათვის.

სომხეთის მოსახლეობა რუსეთის ჯარის ერთგული მეგობარი და მოკავშირე იყო ირანის წინააღმდეგ ომში. თავისი გმირული თავდადებითა და გამტანობით მან დიდად შეუწყო ხელი რუსეთის გამარჯვებას. სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების აქტიური მონაწილეობა ომში

[1] История русской армии и флота, стр. 65, М., 1911 г.

ნაკარნახევი იყო იმ რწმენით, რომ ირანელი და თურქი დამპყრობლების ბატონობის პირობებში მათ ემუქრებოდათ ფიზიკური განადგურების საფრთხე. ერთადერთი ხსნა იმ კრიტიკულ ისტორიულ ვითარებაში რუსეთთან შეერთება იყო. მართალია, ცარიზმს ამიერკავკასიაში თავისი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა, მაგრამ ობიექტური შედეგები ირანთან და თურქეთთან ომებისა განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა. თუმცა ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთებას მაშინ არ მოჰყოლია სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება, მაგრამ ამით კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ეროვნების ხალხების ბრძოლა ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებით კიდევ უფრო ფართოვდებოდა სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი, რაც საბოლოოდ ყოველგვარი ჩაგვრისაგან მათ განთავისუფლებას აახლოებდა.

სომხები წერილებს უგზავნიდნენ რუსეთის სარდლობას და ადასტურებდნენ თავიანთ მზადყოფნას, რომ სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოლებდნენ რუსეთან ერთად ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „По многим примерам прежних времен персияне знают и удовлетворены, что без содействия и без пособия армянского народа, обитающаго в сих странах Россияне успеть много не могут, а потому предполагают употребить против оного разные средства насильства“.[1]

საომარი მოქმედების დაწყებისთანავე ირანმა ათეულათასობით სომხური ოჯახი აყარა არარატის დაბლობიდან და მდ. არაქსს გაღმა გარეკა. მიუხედავად ამისა, ირანელმა დამპყრობლებმა სომხეთის მოსახლეობაში ვერ ჩაკლეს თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდი წყურვილი. ისინი მამაცურად ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

1827 წლის 15 აპრილს ბენკენდორფის მეთაურობით რუსეთის ჯარმა არსებითი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა ეჩმიაძინი. რითაც გაიჩინა დასაყრდენი ბაზა რუსეთის ჯარის ავანგარდისათვის. აქვე მოეწყო ლაზარეთი. ამის შემდეგ ბენკენდორფი ერევნისაკენ დაიძრა და 27 აპრილს ციხესიმაგრის ბლოკირება მოახდინა. ირანელებმა, სანამ რუსები მივიდოდნენ, ციხესიმაგრეში 18 ათასი სომეხი შერეკეს, რათა ისინი რუსი მებრძოლებისაგან განერიდებინათ. ბენკენდორფი იერიშზე გადასვლას აყოვნებდა და მთავარ ძალას ელოდებოდა. დამხმარე ძალა კი არ ჩანდა, რადგანაც გზა თბილისსა და ერევანს შორის დაზიანებული იყო და საალყო არტილერიის გაგზავნა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეზის მშენებლობა 15

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4338, л. 26—28.

ივნისს დამთავრდა. ამასობაში პასკევიჩის სარდლობით ძირითადი ძალა მოვიდა, რომელიც 15.000 კაცს შეადგენდა. საალყო არტილერიას მხოლოდ 15 აგვისტოს თუ მიიღებდნენ, ამიტომ პასკევიჩმა გადაწყვიტა ძირითადი საომარი მოქმედება ნახიჩევანის სახანოში გადაეტანა. გენერალი ბენკენდორფი შეცვალა გენერალმა კრასოვსკიმ, რომელიც მე-20 ქვეით დივიზიას მეთაურობდა. კრასოვსკი პასკევიჩმა ერევნის მისადგომებთან დატოვა, ხოლო დანარჩენი ჯარი ნახიჩევანისაკენ დაძრა. შეტევითი ოპერაციების გეგმის მიხედვით რუსეთის ჯარი უნდა დაუფლებოდა ნახიჩევანისა და აბას-აბადის ციხესიმაგრეებს, ამით ერევნის ციხესიმაგრე მოეწყვიტა ირანისაგან, შეტევა გაეგრძელებინა, აეღო თავრიზი, ერევანი და ამის შემდეგ, თუ შაჰი კაპიტულაციაზე არ წავიდოდა, დამუქრებოდა თეირანს.

კრასოვსკიმ ვერ შეძლო ერევნის აღება, აუტანელმა სიცხემ, აგრეთვე სასმელი წყლისა და სურსათის სიმცირემ ჯარში ავადმყოფობა გააჩინა. კრასოვსკიმ დამოუკიდებლად გადაწყვიტა, ერევნის ალყა ღროებით მოეხსნა და დივიზია დასასვენებლად წაეყვანა აპარანის ფერდობზე, ვიდრე თბილისიდან საალყო არტილერიას არ მიიღებდა.

რაც შეეხება კორპუსის ძირითად ნაწილს, რომელთანაც პასკევიჩი იმყოფებოდა, მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია — 1827 წლის 26 ივნისს ბრძოლის გარეშე აიღო ნახიჩევანი. მტერმა სრული დაბნეულობა გამოიჩინა, ის გაიქცა და ნახიჩევანიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდ. არაქსის სანაპიროზე მდებარე აბას-აბადის ციხეში გამაგრდა. ეს ციხესიმაგრე ინგლისელი სპეციალისტების რჩევითა და უშუალო მონაწილეობით ააშენა აბას-მირზამ და მას რუსებისათვის მიუვალ ციტადელად თვლიდა. აქ იყო თავმოყრილი ირანის დიდძალი არტილერია, საომარი მასალა, სურსათი და სარბაზთა ბატალიონები.[1] აბას-აბადის ციხესიმაგრე წარმოადგენდა ნახიჩევანის სახანოში ირანის ჯარების დასაყრდენს.[2]

აი როგორ აღწერს აბას-აბადის ციხესიმაგრეს ამ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, არტილერიის პორუჩიკი გ. პ. ჩერნიეევეცკი: „Аббас-Абат есть новейшая крепость, выстроенная по правилам Европейской фортификации, с 6-ю баталионами, имеет ров глубиною в две сажени, а шириной в $2^1/_2$, ров сей хорошо обстреливается боковою обороною,... и гласись чудесный“.[3]

მოპოვებული წარმატების განსამტკიცებლად აუცილებელი იყო ამ

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4338, л. 69—70.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4316, л. 3 об и 4.

[3] Тифлисские ведомости, №№ 27, 28, 29, июль 1829 г.

ციხის აღება. რუსეთის ჯარმა 1 ივლისს დაიწყო აბას-აბადის ციხის ბლოკადა. ამასობაში პასკევიჩს ცნობა მოუვიდა, რომ აბას-მირზა 40-ათასიანი ჯარით მოიწევდა ალყაში მყოფი ციხის გარნიზონის დასახმარებლად.[1] სხვა ცნობის მიხედვით, განრისხებული აბას-მირზა რუსების წინააღმდეგ მიდიოდა 17-ათასიანი კავალერიით, ამასთან ერთად რუსეთის ჯარების ზურგში დასარტყმელად გაგზავნა 8-ათასიანი რაზმი.[2] შაჰის რჩეულ კავალერიას ალაიარ-ხანი მეთაურობდა. მას ეკავა მარჯვენა ფრთა. ცენტრში იყვნენ აბას-მირზა და მისი ძმები — მელიქ-კასუმ-მირზა და ალი-ნაგი-მირზა — უაზვინის მფლობელი, ხოლო მარცხენა ფრთას სარდლობდნენ იბრაჰიმ-ხანი და ერევნის ხანის ძმა ჰასან-ხანი.[3]

პასკევიჩმა აბას-აბადის ციხესთან რამდენიმე ბატალიონი დატოვა, ხოლო ძირითადი ძალა დაძრა მტერთან შესაბმელად.

5 ივლისს ჯევან-ბულაღთან მოხდა ძლიერი შეჯახება, რომელშიც ქვეით ჯარებთან ერთად მონაწილეობდა კორპუსის მთელი კავალერია და არტილერია ბენკენდორფის მეთაურობით. ბრძოლაში თავი ისახელეს კავალერისტებმა, რომლებსაც თავადი ანდრონიკაშვილი და პოლკოვნიკი რაევსკი მეთაურობდნენ. მათ საშუალება არ მისცეს აბას-მირზას, სადმე გაემაგრებინა თავისი პოზიცია. მტერი იძულებული გახდა, ბრძოლის ველიდან გაქცეულიყო.

აბას-მირზას დამარცხებამ ყოველგვარი იმედი დაუკარგა აბას-აბადის ციხის გარნიზონს და 7 ივლისს, დილით, უბრძოლველად დანებდა. რუსებს ირეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად ტყვედ ჩაბარდა აგრეთვე სარბაზთა ორი ბატალიონი, მესამემ კი ღამით გაქცევა მოახერხა. მან გადალახა მდ. არაქსის ფონი და გაღმა მდებარე მთებს შეაფარა თავი. გამარჯვების ნიშნად პასკევიჩის ბრძანებით მისცეს საარტილერიო სალუტი.[4] აბას-აბადის ციხის დაცემამ, როგორც პასკევიჩი იმპერატორს სწერდა, მტკიცედ დაამკვიდრა რუსეთი ნახიჩევანის ოლქში. აღნიშნული ციხესიმაგრის აღების შემდეგ პასკევიჩმა სოფ. ყარაბაბაში დაასვენა ჯარი.

აბას-მირზამ პასკევიჩს დროებითი ზავი შესთავაზა. აბას-მირზასთან მოსალაპარაკებლად 20 ივლისს გაიგზავნა ა. გრიბოედოვი. აბას-მირზამ მოულოდნელად ჩაშალა მოლაპარაკება და გადაწყვიტა საკმაოდ რთული გეგმის განხორციელება. მას განზრახული ჰქონდა, მოესპო ერევნის მოალყე ჯარი, რომელსაც კრასოვსკი სარდლობდა და გეზი თბილისისაკენ აეღო.

---

[1] История русской армии и флота, стр. 65.
[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4317, л. 20—34.
[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 72 об—76 об.
[4] Тифлисские ведомости, № 27, 28, 29. июль, 1829 г.

მან გადაწყვიტა, რუსეთის ჯარს ზურგში მოქცეოდა და პასკევიჩი აეძულებინა, ხელი აეღო თავრიზის აღების განზრახვაზე.

მართლაც, იმ მიზნით, რომ პასკევიჩის მდგომარეობა გაერთულებინა, არ მიეცა მისთვის სამხრეთ აზერბაიჯანში შეტევის საშუალება, აბას-მირზამ გადაწყვიტა, რუსეთის ჯარებისათვის ეჩმიაძინთან დაერტყა. იგი 25-ათასიანი (ზოგიერთი ცნობით 30-ათასიანი) ჯარითა და 22 ქვემეხით 4 აგვისტოს სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ეჩმიაძინთან, ალყა შემოარტყა მას და 6 აგვისტოს ძლიერი პოზიცია დაიკავა აშტარაკთან.

პასკევიჩმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. კრასოვსკის თავისი 4.000-იანი რაზმით, აგრეთვე ქართველებისა და სომხების ლაშქრით[1] უთანასწორო ბრძოლა უნდა გაემართა რიცხობრივად ჭარბი მტრის ძალებთან. 17 აგვისტოს სოფ. აშტარაკთან გაიმართა მძიმე ბრძოლა, ირანელებმა 3. 000 მებრძოლი დაკარგეს, რუსებმა კი— 1.150. ამის შემდეგ აბას-მირზამ უკან დაიხია, ერევნის მიმართულებით. პასკევიჩმა როგორც კი ამ ბრძოლისა და აბას-მირზას უკან დახევის ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ აიღო გეზი ერევნისაკენ. აბას-მირზამ გარნიზონი საგანგებოდ გააძლიერა. 23 აგვისტოს (3 სექტემბერს) პასკევიჩმა ალყა შემოარტყა ერევანს. ციხესიმაგრის აღება კრასოვსკის ებრძანა, მაგრამ მას ბრძანების სისრულეში მოყვანა გაუძნელდა. პასკევიჩი იტყობინება, რომ კრასოვსკის აბსოლუტურად არ გააჩნდა სურსათის მარაგი და თვითონ, რაც კი ჰქონდა, ჯელალოღლიდან გადმოიტანა და მას გადასცა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი კვირის მარაგი იყო. გენერალი სიპიაგინი დაჰპირდა პასკევიჩს თბილისიდან სურსათის გამოგზავნას, მაგრამ ეს შედარებით შორეული მომავლის საქმე ჩანდა.

პასკევიჩმა ზუსტად იცოდა, რომ სარდარ-აბადის ციხეში ირანელებს სურსათის საკმაო მარაგი ჰქონდათ, ხოლო მეციხოვნე გარნიზონი სუსტი იყო და ვერ გაუძლებდა რუსეთის ჯართან შერკინებას. სურსათის დიდი ნაკლებობის პირობებში აღნიშნული ციხის აღებას უაღრესად არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთისათვის. გარდა ამისა, სარდარ-აბადის ციხე სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო. მისი აღების შემდეგ პასკევიჩს შეეძლო ამიერკავკასიაში ირანის ძლიერების დასაყრდენის — ერევნის ციხის — აღება. საამისოდ საჭირო არტილერია უკვე პასკევიჩის განკარგულებაში იყო. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო აღნიშნული ციხესიმაგრეების აღება ირანის კრახის მომასწავებელი გახდებოდა, ხოლო ამ ციხეებში თავმოყრილი სურსათის მარაგი დიდად შეუმსუბუქებდა მდგომარეობას რუსეთის ჯარს თბილისიდან სურსათისა და ფურაჟის მარაგის მიღებამდე. ამ ციხესიმაგრეთა ირანელების ხელში დარჩენა გა-

---

[1] ЦГВИА СССР. ф. ВУА. д. 4318, л. 1—4.

ართულებდა რუსეთის ჯარის მდგომარეობას, გააჭიანურებდა ომს. ამიტომ პასკევიჩმა მტკიცედ გადაწყვიტა, 1827 წლის შემოდგომაზე აეღო ეს ციხესიმაგრეები. იგი იმპერატორს სწერდა: „Каким нещастием должны мы подвергнуться. если прежде зимы Сардар-Абад и Эриван не будут взяты.—Без продовольствия нельзя быть! Осадную артиллерию невозможно обратно тащить зимою через горы. Оставить ее опасно без сильнаго охранения, а и малое число войск с трудностию можно прокормить".[1]

1827 წლის 14—15 სექტემბრის ღამეს რუსეთის ჯარი შეუდგა სარდარ-აბადის ციხესიმაგრისათვის ალყის შემორტყმას. ჰასან-ხანი, ერევნის ხანისა და სარდლის ძმა, ღამით ციხეში შეიპარა და გარნიზონის მეთაურობა იკისრა. მან ჯარის გასამხნევებლად გაიხსენა 1808 წელს ირანელთა მიერ ერევნის ციხის გმირული დაცვის ეპიზოდები. სარდარ-აბადის გარშემო სრულ საბრძოლო მდგომარეობაში იყო რუსეთის საალყო არტილერია. 16, 17, 18 სექტემბერს საარტილერიო ბრძოლამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღო. 19 სექტემბერს, საღამოს, ჰასან-ხანმა პასკევიჩს პარლამენტიორი გაუგზავნა და სთხოვა სამი დღით სამარი მოქმედების შეწყვეტა, მაგრამ მას უარი ეთქვა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა საარტილერიო ცეცხლი.

რაკი სარდარ-აბადის ციხესიმაგრის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, ღამის სიბნელეში ჰასან-ხანი თავისი ორი მხლებლითურთ ციხიდან გაიპარა. ირანელები პანიკამ მოიცვა: ისინი გარბოდნენ ზოგი — ერევნისა და ალაგიოზის მიმართულებით, ზოგიც — თურქეთის საზღვრებისაკენ. რუსეთის ქვეითი ჯარი ფეხდაფეხ გამოუდგა მათ, ხოლო კავალერიამ გასაქცევი გზა გადაუღობა ირანელებს. დაიწყო ცხარე ბრძოლა, დახოცეს 500-ზე მეტი სარბაზი, ხოლო 200 ტყვედ ჩაიგდეს. რუსებმა ხელთ იგდეს დიდძალი სურსათი, თოფის წამალი. საარტილერიო ჭურვის მარაგი და 13 ქვემეხი. სარდარ-აბადის სწრაფმა დაცემამ მტრის ბანაკში დიდი განგაში გამოიწვია. მოპოვებული გამარჯვებით გამხნევებული პასკევიჩი იმპერატორს სწერდა: „Внезапное покорение Сардар-Абада ужаснуло шаха. Он Аббас-мирзе велел заключить мир без замедления с уступкою областей Эриванской и Нахичеванской".[2]

აბას-მირზა შაჰის ფირმანს რუსეთთან დაზავების შესახებ თავის ჯარს უმალავდა. იგი იმედოვნებდა, რომ ერევნის ციხე მიუწვდომელი იქნებოდა რუსებისათვის და შეძლებდა რუსეთთან დაზავებას გაცილებით უკეთეს პირობებში, ვიდრე ამას შაჰი სთავაზობდა.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4317, л. 51.

[2] იქვე, ფურც. 52 и об.

მოპოვებულმა გამარჯვებამ პასკევიჩს საშუალება მისცა, მოეხდინა ძალების კონცენტრაცია და მომზადებულიყო ერევნის ექსპედიციისათვის. მართლაც, რუსეთის ჯარი 23 სექტემბერს პასკევიჩის სარდლობით ზანგას მიადგა. 24 სექტემბერს ერევნის ციხის მისადგომებთან მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი გახსნა. დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა ერევნისათვის. ერევანი ერთ-ერთი უძლიერესი ციხესიმაგრე იყო. ირანთან რუსეთის პირველ ომში (1804—1813 წწ.) შეუძლებელი გახდა მისი აღება, რადგანაც ერევანი ნაპოლეონის მიერ გამოგზავნილმა ფრანგმა სპეციალისტებმა სათანადოდ გაამაგრეს. ცნობილია, რომ ნაპოლეონი დიდ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევდა ირანს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფრანგებმა განსაკუთრებული დახმარება ირანს გენერალ გარდანის აქ ყოფნის პერიოდში გაუწიეს.

საფრანგეთის სამხედრო სპეციალისტების მიერ ერევნისა და ეჩმიაძინის ციხესიმაგრეების გამაგრების შესახებ გენერალი გუდოვიჩი ჯერ კიდევ 1808 წლის 30 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რუმიანცევს სწერდა: „При движении моем с войсками к Бамбакам и прежде, нежели я вступил в Ериванские границы, прислали одного инженерного офицера Вердье и других в Ериванскую крепость и в Ечмядзинский монастырь для осмотрения и укрепления оных“.[1]

იმავე წლის 17 ნოემბერს გუდოვიჩმა ამაოდ სცადა ერევნის აღება, რადგანაც ციხე გაცილებით უფრო გამაგრებული იყო, ვიდრე ამას გუდოვიჩი მოელოდა. ამის გამო გუდოვიჩი იტყობინებოდა: „Крепость Ериванская укреплена по всем Европейским военным правилам, имея две стены и впереди их ров и гласись. Во рву поставлены были пушки и действовали картечью, чего прежде персияне никогда не делали, также были фугасы и бомбы с подведенными штапинами. Почему и нельзя больше сомневаться о причине нарочной присылки в Ериван и Ечмядзинский монастырь французскаго инженерного капитана, который был в сих местах до приходу моего с войсками в Ериванскую область“.[2]

ნაპოლეონის მოღვაწეობის პერიოდში საფრანგეთის მთელი სამხედრო ტექნიკა და დიპლომატია რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, რაც ხელს უშლიდა რუსების წინსვლას ირანში. ამჯერად კი აბას-მირზას ერევნის გამაგრებისა და თავდაცვის საქმეში ინგლისელები ეხმარებოდნენ.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4265, л. 17.

[2] იქვე, ფურც. 49.

1827 წლის 29 სექტემბერს საარტილერიო ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. მეციხოვნეთა შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ზოგს ბრძოლის გაგრძელება უიმედო საქმედ მიაჩნდა და ტყვედ ჩაბარებას ითხოვდა.

ჰასან-ხანი, რომელიც სარდარ-აბადის ციხიდან გაიქცა, შეეცადა, ერევნის ციტადელი მიუვალი გაეხადა რუსებისათვის. იგი არწმუნებდა ერევნის მცხოვრებლებს და გარნიზონს, რომ რუსებს სულ მალე განდევნიდნენ აბას-მირზას უძლეველი მეომრები. პასკევიჩი წინადადებას აძლევდა ჰასან-ხანს, ციხესიმაგრე მისთვის ჩაებარებინა, გარნიზონს კი უფლებას აძლევდა, თავისუფლად გასულიყო ციხიდან, მას მოფიქრებისათვის 6 საათი მიეცა, მაგრამ შეთავაზებულ წინადადებას ჰასან-ხანმა საარტილერიო ცეცხლის გაჩაღებით უპასუხა.

30 სექტემბერს ჰასან-ხანმა თავისი პარლამენტიორი გაუგზავნა პასკევიჩს და შეუთვალა, რომ იგი პირადად თანახმა იყო, ციხესიმაგრე ჩაებარებინა მისთვის, მხოლოდ აბას-მირზას ნებართვა სჭირდებოდა. პასკევიჩმა საპასუხოდ ჰასან-ხანს კატეგორიულად მოსთხოვა ერევნის ციხესიმაგრის ჩაბარება.

მთელ ღამეს გაგრძელდა ბრძოლა. 1 ოქტომბერს ერევნის მოსახლეობის ერთი ნაწილი რუსების ბანაკში გამოჩნდა. მათთან პასკევიჩმა ორჯერ გაგზავნა პროკლამაცია რუსების მხარეზე გადმოსვლის თხოვნით. სარდალი მათ ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. პროკლამაციაში ნათქვამი იყო „Мы воюем против войск персидских, а народу страшиться нас не должно“.[1]

ასეთი შინაარსის მიმართვა მშვიდობიან მოსახლეობაზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა და რუსების მიმართ კეთილი დამოკიდებულების სურვილს აღვივებდა. პასკევიჩის ცნობით, „Жители, сошедшие по приглашению некоторых наших офицеров... объявили, что все они и некоторая часть сарбазов решились нам передаться, но что прочие батальоны хотели защищаться до самой крайности“.[2]

მტერი არ ნებდებოდა. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები ციხესიმაგრეში შეიჭრნენ. ჰასან-ხანი და ირანის სხვა სამხედრო მეთაურები, აბას-მირზას გვარდიის ბატალიონები (3.000-იანი გარნიზონი) რუსებმა დაატყვევეს. გარდა ამისა, ხელთ იგდეს 4 დროშა, 37 ქვემეხი, 2 ჰაუბიცი, 9 მორტირა, 50-მდე ზამბურაკი, სურსათის დიდძალი მარაგი და სხვ.[3] ირანის ეს უძლიერესი ციტადელი, საი-

---

[1] Акты, т. VII, д. 528, стр. 570.

[2] Акты. т. VII, д. 523. стр. 566.

[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА. д. 4294, л. 95 об.

დანაც ის ფინანსებითა და საომარი იარაღებით ამარაგებდა კავკასიის მთის ხალხების რეაქციულ ძალებს რუსეთის წინააღმდეგ, საბოლოოდ დაეცა. ამიერიდან ის კავკასიაში რუსეთის ძლიერების სიმბოლოდ იქცა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ.

ამგვარად, ირანელთა სისხლიანი ტირანიის სიმბოლო — ერევნის ციხესიმაგრე — 1827 წლის 1 ოქტომბერს დაეცა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წარმატებამ მოვლენათა შემდგომი განვითარება მთელი კავკასიის მასშტაბით რუსეთის სასარგებლოდ შეცვალა და მას ამ ომში გამარჯვებაც არგუნა.

აღფრთოვანებული პასკევიჩი 1827 წლის 3 ოქტომბერს იმპერატორს სწერდა, რომ ერევნის ცნობილი ციხე აღებულ იქნა დიდი დანაკარგის გარეშე, ჩვენ კი გვეგონა, სისხლის ღვარი დაგვჭირდებოდაო. იგი ვარაუდობდა, რომ „Теперь лезгины, дагестанцы и все мятежники в Кавказских горах приведены будут в трепет покорением города, вечнаго их убежища, где они находили помощь деньгами, оружием и всем коварством персидской политики. Слава ея в Турции и Персии неимоверна, но еще неимовернее покажется овладение ею по шестидневной осаде. 3000 чел. военнопленного гарнизона уже мною отправятся в Грузию“.[1]

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კავკასიის კორპუსში გადმოგზავნილი დეკაბრისტები აქტიურად მონაწილეობდნენ ერევნის აღებისათვის გამართულ ბრძოლაში. თვითონ პასკევიჩის ცნობით, თითქმის ყველა დეკაბრისტი გმირულად იბრძოდა: „При том же дисциплина прикрывавшаго работы Лейб-гвардии сводного полка была столь велика, что стрелки, расположенные пред рабочими в 60 саженях от крепости, не отвечали ни одним выстрелом на оную пальбу, от чего неприятель, не видя расположения нас и рабочих, стрелял неверно, выстрелы его перелетали и у нас во всю ночь убит был один человек и один ранен“.[2] დეკაბრისტებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. ამ საკითხს ქვემოთ ცალკე შევეხებით.

ერევნის ციხესიმაგრის დაცემამ ხელი შეუწყო ირანის არმიის მორალურ გახრწნას. ბრძოლის ველიდან აბას-მირზას ჯარი მასობრივად გარბოდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანის მოსახლეობაზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა ირანის სისხლიანი ტირანიის წინააღმდეგ. ახლა კი დღის წესრიგში თავრიზის აღების საკითხი დაისვა.

---

[1] Акты,т. VII, д. 523, стр. 567.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 91 об.

პასკევიჩის 1827 წ. 16 ოქტომბრის ცნობით, თავრიზელები რუსებს გულთბილად შეხვდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ მშვიდობიან მოსახლეობას რუსეთის ჯარისაგან არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

თავრიზის ციხესიმაგრეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ თავმოყრილი იყო სამხედრო ქარხნები, საომარი მასალა და არმიისათვის საჭირო სურსათი, აგრეთვე აბას-მირზას დიდძალი განძეულობა.

აბას-მირზამ გადაწყვიტა ან ადგილზე მოესპო ყველაფერი ის, რასაც სამხედრო მნიშვნელობა ენიჭებოდა, ანდა გაეტანა ქალაქიდან, რუსებს რომ არ დარჩენოდათ. მაგრამ სანამ აბას-მირზა თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, გენერალმა გ. ერისთავმა თავრიზი უკვე აიღო.

თავრიზის აღების უშუალო მონაწილე ნ. ნ. მურავიოვ-კარსკი 1827 წლის 25 ნოემბერს თავის მამას წერილში ხატოვნად აღუწერს თავრიზის დაცემას. მართალია, ზოგჯერ იგი თავის დამსახურებას აზვიადებს და არაფერს ლაპარაკობს გ. ერისთავზე, მაგრამ ეს წერილი საინტერესო დოკუმენტია მკვლევარისათვის. ის ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ირანის არმიის დემორალიზებული მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე გვაუწყებს თავრიზის მოსახლეობის ანტიპათიურ განწყობილებას საკუთარი მთავრობის მიმართ.

ნახიჩევანის აღების შემდეგ რუსეთის ჯარის ნაწილებმა გ. ერისთავის მეთაურობით მდ. არაქსი გადალახეს და გეზი თავრიზისაკენ აიღეს. ირანის ჯარს ომი წაგებულად მიაჩნდა და ბრძოლის გაგრძელება არც კი სურდა. მათ შორის გახშირდა მეთაურებისადმი დაუმორჩილებლობისა და აჯანყების შემთხვევები. მურავიოვი ამის შესახებ შემდეგს იტყობინება: „Я был встречен с одним сарбазом, который бежал ко мне и объявил, что сарбазы взбунтовались против своих начальников, что часть их всбежала на горы, а другая оставила свое место“.[1] დასახელებული ფაქტი, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს. ჯარი დემორალიზებული იყო: მებრძოლები მეთაურებს აღარ ემორჩილებოდნენ და ხშირად ხოცავდნენ კიდევაც. ეს უკვე იმაზე მეტყველებდა, რომ ირანის ბედი გადაწყვეტილი იყო. შაჰს დღეს თუ ხვალ თავი დამარცხებულად უნდა ეცნო.

სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობა წინააღმდეგობის გაწევას არც კი ფიქრობდა.

რუსეთის სარდლობა მარანდის მცხოვრებლებს სიცოცხლისა და ქონების სრულ გარანტიას აძლევდა, თუ ისინი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდებოდნენ. მართლაც, რუსეთის ჯარი უბრძოლველად შეეიდა მარანდაში. მურავიოვის თქმით, „Жители, успокоемые моими проклама-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4377, л. 9 об.

циями, встречали нас толпами; чиновники персидского правительства оставались на своих местах. Хан к нам передался и мы получали по делаемым раскладкам весьма исправно провиант свой".[1] მოსახლეობა საკუთარი მთავრობის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავდა და რუსეთის ჯარისადმი კი სრულ ლოიალობას იჩენდა. ირანის ხანების ერთი ნაწილი შაჰის ქვეშევრდომობაზე ხელს იღებდა და რუსების მხარეზე გადადიოდა.

რუსი სარდლების წინაშე თავრიზის აღების ამოცანა იდგა. ქალაქს დიდი ხანია საგანგებოდ ამაგრებდა აბას-მირზა. თავრიზის დაცვის საქმე ალაიარ-ხანს დაეკისრა. იგი ერთი პირველთაგანი იყო ირანის იმ მოხელეთა შორის, რომელთაც შაჰი უსაზღვროდ ენდობოდა. რუსეთთან ომის დაწყებაში მან აბას-მირზასთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულა. ახლა იგი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ თავრიზის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ქალაქის დასაცავად განეწყო, მაგრამ ყველა ცდა უშედეგო გამოდგა. ხალხს არ უნდოდა ომი. ალაიარ-ხანის მდგომარეობა უიმედო ჩანდა. ნ. მურავიოვის ცნობით „Присланная к Аллаяр-хану пехота стала разбегаться. Жители вооружились было, но после объявили, что пока войска не выйдут в поле для защиты их, они ничего не предпримут и защищать крепость не намерены".[2]

როგორც კი რუსეთის ჯარი ქ. თავრიზს მიუახლოვდა, ალაიარ-ხანმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სასტიკ ზომებს მიმართა; მურავიოვის თქმით, „Резал уши, носы, делал казны, но никто ему не повиновался и также не решался выйти к нам на встречу".[3]

ქალაქი ღელავდა მომავალი განსაცდელის მოლოდინში. რუსები შეადგენდნენ 4 ათას ქვეითსა და 2 ათას ცხენოსან მებრძოლს, რომლებზეც 22 ქვემეხი მოდიოდა.[4] მათ წინაშე იდგა უზარმაზარი თავრიზის ციხესიმაგრე, რომელსაც მრავალრიცხოვანი ჯარი და დიდი რაოდენობით არტილერია იცავდა. მაგრამ 31 ოქტომბერს ციხის მისადგომებს ისე დაეუფლნენ რუსები, რომ მტრის მხრიდან სროლა თითქმის არ ყოფილა. ალაიარ-ხანი მიხვდა, რომ ჯარმა ზურგი შეაქცია. იგი ხალხის მღელვარებამ შეაშინა და ჩუმად გაიპარა. თავრიზი უბრძოლველად დანებდა. აი, როგორ აღწერს ამას ნ. მურავიოვი მამისადმი გაგზავნილ წერილში:

„Ворота отперлись и толпы народа с знатнейшими из старейшин выехали ко мне на встречу с восклицаниями. Я с музыкою

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4377, л. 9 об.
[2] იქვე, ფ. 10.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფ. 8.

и барабанным боем вступил в город, занял крепость, бросился в цитадель и захватил все запасы и заведения: литейный завод, пороховой завод. 50 орудий, 13.000 четвертей провианта, арсенал, 3000 ружей, 200 т. патронов, артиллерийские снаряды во множестве и словом все, что служило основанием образующагося персидс. войска, лишив царство сие главнейшего и единственного средства продолжению войны".[1]

იმავე დღეს შეიტყვეს, რომ ალაიარ-ხანი ციხის ახლოს ერთ პატარა სახლში იმალებოდა და ღამით გაპარვას აპირებდა. ნ. მურავიოვის ბრძანებით ალაიარ-ხანის დასაპატიმრებლად 25 კაზაკი გაიგზავნა. სახლს ალყა შემოარტყეს. ალაიარ-ხანმა გაქცევა სცადა, მაგრამ იგი დააატყვევეს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავრიზელმა მირ-ფეტე-აღა მუშტეიდმა გარკვეული როლი შეასრულა სისხლის ღვრის გარეშე თავრიზის აღებაში. მან მოსახლეობას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „Если войска персидския не могут стать противу русских ни в поле, ни за стенами укреплении, как это было в Сардар-Абаде и в Эривине, то мирным жителям не следует браться за оружие".[2]

მუშტეიდი თავისი საქმიანობით დიდ სამსახურს უწევდა რუსეთის სარდლობას. იგი ირანში შექმნილ ვითარებას სისტემატურად აუწყებდა პასკევიჩს და ხელს უწყობდა რუსეთის პოზიციების გამაგრებას სამხრეთ აზერბაიჯანში. თავრიზის ციხესიმაგრის დაცემისთანავე შაჰის აგენტებმა სცადეს მოსახლეობის აჯანყების მოწყობა, მაგრამ ეს სისხლისმღვრელი ავანტიურა მუშტეიდმა ჩაშალა, ხოლო მისი მოთავენი პასკევიჩმა დააპატიმრა.[3] როგორც ქვემოთ დავინახავთ, მუშტეიდი დიდ ერთგულებას იჩენდა რუსეთის მიმართ. იგი ოპოზიციაში ედგა აბას-მირზასა და შაჰის სასახლეს. მისი ასეთი მოქმედება, უპირველეს ყოვლისა, სხვა პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებთან ერთად რელიგიური მოტივითაც უნდა აიხსნას. მირ-ფეტე-აღა-სეიდი — მუშტეიდი ირანში ალის სექტას მეთაურობდა. მართლმადიდებელ შიიტებს შაჰი-ყაჯარი უკანონო ხელმწიფედ მიაჩნდათ, რადგანაც იგი ალის მემდევარი არ იყო, ხოლო შიიტების თეოკრატიული თეორიის საფუძველზე მხოლოდ ალის მემკვიდრეებს ჰქონდათ კანონიერი უფლება ირანის შაჰის ტახტზე. ყაჯართა დინასტიას მოითმენდა მართლმადიდებელი შიიტი — როგორც ღვთის მიერ მოვლენილ სას-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4377, л. 11.

[2] Генерал-фельдмаршал князь Паскевич, его жизнь и деятельность, т. 3, стр. 10—11, СПБ, 1891 г.

[3] იქვე, გვ. 20.

ჯელს და მის ძლიერებას ირანის განდიდებისათვის გამოიყენებდა; მაგრამ თუ შაჰი ირანს გარეშე მტრებისაგან ვერ დაიცავდა, მართლმადიდებელი შიიტი მას არავითარ შემთხვევაში მხარს არ დაუჭერდა. ამას ემატებოდა აბას-მირზასა და სხვა მოხელეების გამდიდრების სურვილით გამოწვეული საგადასახადო სისტემის სიმწვავე. მუშტეიდი, როგორც ალის სექტის მეთაური, ანტიპათიურად იყო განწყობილი შაჰისა და მისი ოჯახის მიმართ.[1]

მუშტეიდი წინააღმდეგი იყო, რომ აბას-მირზა ირანის შაჰის მემკვიდრე ყოფილიყო. იგი სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობას უჭერდა მხარს და შაჰს ამიტომ არ ემხრობოდა.

პასკევიჩის თქმით, ჯერ კიდევ ადრე „Перед вступлением еще войск наших в Тавриз Мир-Фетте-Ага заявил преданность свою к русским, увещевая жителей Тавризских, дабы они не оказывали нам никакого сопротивления и его влиянию отчасти приписать должно занятие сего города без всякого кровопролития".[2]

თავრიზის აღების შემდეგ რუსეთის სარდლობის ხელში აღმოჩნდა ირანის მიერ ადრე დაპყრობილი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. იმისათვის, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე სრული წესრიგი დამყარებულიყო, რუსეთის ჯარს სურსათი და სალომარი საშუალებები არ მოჰკლებოდა და ადგილობრივ მოსახლეობას მშვიდობიანი ცხოვრების გარანტია ჰქონოდა, შეიქმნა დაპყრობილი რაიონების მმართველობის ერთგვარი ორგანო, რომელსაც „აზერბაიჯანის ოლქისა და ქალაქ თავრიზის მთავარი მმართველობა" ეწოდა. ამ მმართველობის უფროსად გენერალ-მაიორი ბარონი ოსტენ-საკენი დაინიშნა, ხოლო მის შემადგენლობაში შევიდნენ გენერალი ალ. ჭავჭავაძე, ინტენდანტი ეუკოვსკი, პოლკოვნიკები — ბარონი რენე და შებეკო. მასში შევიდნენ აგრეთვე ადგილობრივი სასულიერო ხელისუფლების მეთაური მირ-ფეტე-აღა-მუშტეიდი და თავრიზის ყოფილი გუბერნატორი ფეტალი-ხანი.[3]

დაპყრობილი ტერიტორიის მმართველობის ორგანოში მოხვედრით მუშტეიდი კიდევ უფრო დაუახლოვდა პასკევიჩს. ამ უკანასკნელმა მიაღწია იმას, რომ მუშტეიდი რუსეთის სასარგებლოდ განეწყო და ზედმიწევ-

---

[1] Генерал-фельдмаршал князь Паскевич, его жизнь и деятельность, т. 3, стр. 21. СПБ, 1891 г.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4331, л. 1—2.

[3] Генерал-фельдмаршал князь Паскевич, его жизнь и деятельность, т. 3, стр. 28, СПБ, 1891 г.

ნით გამოეყენებინა თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. მუშტეიდმა რუსეთის სარდლობას ხელი შეუწყო ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვისა და ნორმალური ურთიერთობის დამყარების საქმეში. იგი მრავალ საიდუმლო ცნობას აწვდიდა პასკევიჩს ირანის მმართველი წრისა და ინგლისელების მტრული საქმიანობის შესახებ საზავო მოლაპარაკების პერიოდში, რითაც მოიხვეჭა მთავარსარდლის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული. უფრო დაწვრილებით მუშტეიდის საქმიანობის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

პასკევიჩის ცნობით, მირ-ფეტე-აღა-მუშტეიდი „член временного правления Адзербиджанского, оставался несмотря на убеждения Аббас-мирзы, преданным нам во все время переговоров. пожертвовал в казну 1000 четвертей ячменя".[1]

რუსეთის სარდლობამ 1827 წლის 29 ოქტომბერს აზერბაიჯანისა და რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებთ უბრძანა, რომ ყველა ტყვე, ნაყიდი თუ ამიერკავკასიიდან გატაცებული, აზერბაიჯანის დროებითი მმართველობისათვის გადაეცათ. ტყვეები თავისუფლდებოდნენ, ხოლო ის, ვინც მათ გადამალავდა, კანონით ისჯებოდა. საბუთში ამის შესახებ ვკითხულობთ: Объявляется всем пленным, что они свободны и могут с обнародования сего явиться в означенное Правление для получения билетов на следование в свои места.

Если-же после сего объявления кто либо утаит пленнаго и будет о том дознано, с тем будет поступлено по законам".[2]

რუსეთის ეს ღონისძიება მუდმივი მონობისათვის განწირულ ტყვეებს თავისუფლებას ანიჭებდა და ქმნიდა იმის პირობებს, რომ ისინი დაბრუნებოდნენ მშობლიურ ქვეყანას, საკუთარ ოჯახებს და განეგრძოთ დიდი ხნის წინათ დაკარგული თავისუფალი ცხოვრება. ტყვეებს შორის ბევრი იყო რუსი, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი, რომელთა განთავისუფლების საკითხი მტკიცედ დაისვა ირანის მთავრობის წინაშე. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ირანის დიდებულები უხალისოდ შეხვდნენ ამ წინადადებას და ამას მთელი რიგი ინციდენტები მოჰყვა.

ომის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა. ირანის არმია ვერ უწევდა არსებით წინააღმდეგობას რუსეთის ჯარს, რომელსაც გზა ხსნილი ჰქონდა ცენტრალური ირანისაკენ. რუსეთის არმიის დიდმა წარმატებამ დააფრთხო

---

[1] АВПР, ф. Главный архив, 1—9, 1827, д. 13, ч. V, л. 23 об.

[2] Акты, т. VII, д. № 527, стр. 569.

შაჰი და ირანის მმართველი წრეები, შეძრწუნდნენ ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენლებიც.

თავრიზის აღებისთანავე პასკევიჩს ეახლნენ ინგლისის საელჩოს მდივანი კემპბელი და აბას-მირზას რწმუნებული ბეჟან-ხანი. აბას-მირზა პასკევიჩს წერილობით სთხოვდა საზავო მოლაპარაკებისათვის ადგილის შერჩევას. პასკევიჩმა აბას-მირზას მისივე წარმომადგენლების საშუალებით შეუთვალა, რომ ახლა არ ეცალა და სამ დღეში შეატყობინებდა მოლაპარაკების ადგილს.[1]

რუსეთის ჯარების წარმატებით შეშინებული აბას-მირზა უკვე თანახმა გახდა, რუსეთთან საზავო მოლაპარაკება დაეწყო, მაგრამ ინგლისის მისიის მონაწილეობის გარეშე.

---

[1] Акты, т. VII, д. № 526, стр. 569.

თავი VIII

ქართველები ომში

ომში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვის მხარეზე დადგებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა, რა დამოკიდებულებას გამოიჩენდნენ ისინი ამ ომის მიმართ. ცნობილია, რომ ჟამთა სიავის გამო სომხეთმა და აზერბაიჯანმა ადრე დაკარგეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა და ირანელთა ბატონობის ქვეშ სულს ღაფავდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-ირანის 1804—1813 წწ. ომისა და გიულისტანის საზავო ხელშეკრულების შედეგად აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ნაწილი განთავისუფლდა ირანელთა ბატონობისაგან და რუსეთმა შეიერთა, აღმოსავლეთი სომხეთი კი ირანელთა ბატონობის ქვეშ დარჩა.

რაც შეეხება საქართველოს, ის 1801 წელს რუსეთს შეურთდა. ბრძოლებში დაღლილმა და დაქანცულმა ქვეყანამ თავშესაფარი რუსეთთან პოვა. „საქართველო მაშინ ისეთს მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, რომელსაც ძლივსღა შეუძლია, მკურნალს თავისი სისუსტე ამცნოს; და განა შეეძლო მას ამ დროს რაიმე წინააღმდეგობა?“,— რამდენადმე გადაჭარბებით წერდა პოეტი ალ. ჭავჭავაძე.[1]

წინა ომმა დაადასტურა საქართველოს მტკიცე პოზიცია ირანის წინააღმდეგ. ახლაც, მიმდინარე ომში, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს, როგორც რუსეთის საიმედო პლაცდარმს და მის მოსახლეობას თავისი ეკონომიკური საშუალებებით, როგორც რუსეთის პოტენციურ დამხმარე ძალას.

რუსეთის სარდლობას და პირადად ერმოლოვს საეჭვოდ არ მიაჩნდათ, რომ ქართველები თავდადებით იბრძოლებდნენ ირანის წინააღმდეგ. ეს მოლოდინი გამართლდა. საქართველოში კარგად ახსოვდათ ის სისხლიანი ტრაგედია, რაც თავს დაატეხეს სპარსეთის შაჰებმა და, კერძოდ, აღა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც 1795 წელს ულმობლად დაარბია საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

[1] ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., თბ. 1940, გვ. 245, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მ. დუმბაძის რედაქციით, თბ. 1974 წ., გვ. 805.

როგორც ზემოთ ითქვა, სპარსელებმა ისარგებლეს კავკასიაში რუსეთის არმიის დაქსაქსულობითა და მოუმზადებლობით, დაიპყრეს რუსეთის მიერ ადრე შემოერთებული სახანოები და თბილისს საფრთხე შეუქმნეს. საარქივო ცნობაში, რომელიც რუსეთის მზვერავს ეკუთვნის, აღწერილია ქვეყნის სახიფათო მდგომარეობა: „В 50-ти верстах от Тифлиса полчища неприятельския учинили большия опустошения в новых селениях колонистов, разорили их совершенно, многих пленили и отправили в Персию, а других убили на месте, весьма мало из тех колонистов спаслось бегством".[1]

ასეთ მძიმე ჟამს, როცა განსაცდელი მოელოდა საქართველოს დედაქალაქს, ერმოლოვმა მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს, აღმდგარიყო სახელისა და დიდების მოსახვეჭად ყიზილბაშების წინააღმდეგ. იგი მოაგონებდა მას აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის სავალალო შედეგებს და იმედს გამოთქვამდა, რომ ქართველი თავადაზნაურობა მაგალითს მისცემდა გლეხობას ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში.[2]

ომის მონაწილის ალ. ორბელიანის ცნობით, აღნიშნული მოწოდება ქართულ ენაზე ნ. ფალავანდიშვილს შეუდგენია. ოფიციალური დოკუმენტები, გასაგები მიზეზების გამო, თავადაზნაურთა გმირობასა და მამაცობაზე მოგვითხრობენ, ქებათა ქებას ასხამენ მათ; რაც შეეხება მოსახლეობის დაბალ ფენას — გლეხობას, მის საბრძოლო გმირობაზე ძალიან ძუნწი მასალებია შემონახული. მაგრამ უდავოა, რომ გლეხობიდან გამოსულმა მრავალმა უსახელო გმირმა სამშობლოს საკეთილდღეოდ არაერთი ვაჟკაცური საქმე ჩაიდინა. რუს, სომეხ და აზერბაიჯანელ მებრძოლთა გვერდით ქართველი მეომრებიც სპობდნენ კარზე მომდგარ მტერს.

მტრის თავდასხმის შესახებ ცნობასა და ერმოლოვის მოწოდებას პატრიოტული მგზნებარებით გამოეხმაურა ქართველი ხალხი. იგი მამა-პაპათა ტრადიციისამებრ აღდგა ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ქართველთა მონაწილეობის შესახებ, მოვიყვანთ ამ ომის მონაწილის თავად ა. ორბელიანის მოგონების ერთ ადგილს: „1826-სა წელსა უეცრათ დიდი სპარსეთისა ჯარით წამოვიდა აბაზმირზა საქართუელოზე, აქედგან რუსეთისა ჯარი გაიყვანოს საქართუელოს დასაპყრობლად. ასე უეცრათ წამოსული სპარსეთისა წინა ჯარი ყაზახში ამოვიდა და აქ ტფილისში დიდი შიში მოხდა ხალხში. ამ დროს ღენერალმა ერმოლოვმა პრაკლამაცია გამოსცა ქართუელებზე, ქართუელებსა აგონებდა ძველსა მამა-პაპის ვაჟკაცობასა. ამასთან მოი-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 7 об. и 8.

[2] И. Дубровин. История войны.... стр. 631—633.

თხოვა ქართველთ ჯარი, იმ ჩვენს დამხობელსა სპარსელებზედ... იმ დროს მეც არ ვიცი როგორ იყო, ერთს კვირაზედ, ექვსი ათასი მეტი ქართველი კარგი ცხენიანი ჯარი გამოვედით კარგის თოფიარაღით, ჩვენი საკუთარი ხარჯითა დასხუა ქვევითი ხალხი სოფლებში შეიარაღდნენ: თუ საჭირო იქნება ჩუენ ერთიან გავალთ, უიზილბაშს კი აქ აღარ შემოუშვებთო საქართველოში. ასეთი ენტუზიაზმი მოხდა საქართველოში, რომ ერთმანეთს წინ ასწრობდნენ ძმები: არა მე უნდა ჯარში წავიდე, შენ შინ იყავიო. მე ამას მოვსწრებივარ, თვით საქართველოს ჯარში მეც იქ ვიყავ, ერთად რუსეთისა ჯართან, სადაც მაშინ ბევრი არ იყო რუსეთისა ჯარი საქართველოში, მაგრამ იმისთანა ქართველების თავშეწირულებამ, ის მცირედი რუსეთის ჯარი ასე განაძლიერა, რომ უეჭველი იყო, ის დიდი სპარსეთისა ჯარი უთუოდ დამარცხდებოდა და ყოველს მხარეს დამარცხდნენ კიდეც".[1]

დასახელებული დოკუმენტი მრავლის მთქმელია, ის მოგვითხრობს ქართველთა პირველ შემართებაზე სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ. თელავის, სიღნაღის და გორის მარშლებს პირველსავე კვირას მოხალისე ცხენოსანთა ლაშქარი საბრძოლო დროშებით თბილისში ჩაუყვანიათ. ისტორიკოსების ვ. პოტოს[2] და ნ. დუბროვინის[3] ცნობით, ქართველებს 1500 მებრძოლისაგან შემდგარი რაზმი გამოუყვანიათ სპარსელების წინააღმდეგ ომში, რაც, ცხადია, არ არის სწორი. ა. ორბელიანი, როგორც აღინიშნა, თვითონ იყო მონაწილე ამ ბრძოლებისა და ამიტომაც მისი ცნობა უფრო სარწმუნო უნდა იყოს. გარდა ამისა, სხვა წყაროებიც ადასტურებენ ქართველთა ლაშქრის სიმრავლეს. რუსეთის ჯარების სიმცირის დროს ქართველთა აქტიურ მონაწილეობას სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო გასაგები რომ გახდეს ქართველთა გმირული მონაწილეობა ომში, რამდენიმე ფაქტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

როგორც ცნობილია, სურხაი-ხანს თვალი კახეთზე ეჭირა, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილი მხარდამჭერ ძალას მოელოდა. შექმნილი

---

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 1656-ა. ა. ორბელიანის მოგონებანი, გვ. 1, 2.

[2] В. Потто. Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, ч. I, стр. 150, Тифлис, 1906 г.

[3] Н. Дубровин. История войны..., т. VI, стр. 633.

მძიმე მდგომარეობის გამო რუსეთის სამხედრო რაზმები, რომლებსაც გენერალი გ. ერისთავი მეთაურობდა, სასწრაფოდ გაიწვიეს ყაზახის დისტანციაში. იქ მას უნდა გადაეკეტა ყარაბაღიდან მომავალი გზა, საიდანაც მოსალოდნელი იყო დიდძალი მტრის ჯარის შემოჭრა. კახეთიდან ჯარის წასვლამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მის დაცვაზე. ამით მტერმა ისარგებლა და მისი წაქეზებით ლეკთა რაზმებმა 1826 წლის 10 აგვისტოს ყარაგაჩზე თავდასხმა მოაწყვეს.

მდგომარეობა კახეთში კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ბრძანება მოვიდა დედოფლის წყაროდან ნიჟეგოროდის პოლკის გაწვევის შესახებ. სინამდვილეში კახეთის დაცვის საქმე თვითონ კახელებს მიენდოთ.

დაიწყო ლაშქრის შედგენა კახეთში. მის ერთ ნაწილს კახეთი უნდა დაეცვა მტრის თავდასხმისაგან, ხოლო მეორე საქართველოს წინააღმდეგ მომავალ აბას-მირზას ლაშქარს უნდა დახვედროდა. პირველები ლაშქრის შედგენაში ქიზიყელები იყვნენ. პირველსავე დღეებში გამოიყვანეს 2313 ქვეითი და 400 ცხენოსანი მოლაშქრე.[1] იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელი იყო მტრის თავდასხმა, იქმნებოდა ქართველთა შეიარაღებული რაზმები. მარტო სიღნაღის მაზრაში ასეთ რაზმებში ითვლებოდა 3545 ქვეითი და 530 ცხენოსანი მებრძოლი. მაგალითად, სოფელ ანაგიდან 180 კაცი გასულა რაზმში. ასეთივე რაზმები იქმნებოდა თელავის მაზრაში. აბას-მირზას წინააღმდეგ საბრძოლველად ომის დაწყების პირველსავე დღეებში სიღნაღის მაზრიდან წასულა 200 კაცი ზურაბ ანდრონიკაშვილის მეთაურობით, ხოლო თელავის მაზრიდან — 250 კაცი პოდპოლკოვნიკ ივანე ერისთავის მეთაურობით. ეს ორივე რაზმი 15 აგვისტოს თბილისიდან გაიგზავნა გენერალ მადათოვის განკარგულებაში. კახელ მოლაშქრეებს უერთდებოდნენ თუშები და ფშავ-ხევსურები. აბას-მირზას წინააღმდეგ გაიგზავნა აგრეთვე სამხედრო გზის რაიონში მცხოვრები მთიულებისაგან შედგენილი რაზმი 593 კაცის რაოდენობით.[2]

ლაშქარში მოხალისეებად მიდიოდნენ გორის, თბილისისა და დუშეთის მაზრის მცხოვრებლები. ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო გორელების ლაშქარი, რომელიც 2000 მებრძოლს ითვლიდა. მას სათავეში ედგა მაიორი დავით თარხნიშვილი. მათ პირველ ხანებში ევალებოდათ ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა მტრის რაზმებისაგან და ადგილზე მოსავლის აღება. როგორც ირკვევა, ლაშქარი ამით უკმაყოფილო იყო, მას უნდოდა თბილისზე მომავალ მტერს პირისპირ შებმოდა. ამიტომ იყო, რომ 1826 წლის 28 აგვისტოს თარხნიშვილი ერმოლოვს სწერდა: „П р о ш у в а ш е п р е в о с х о д и т е л ь с т в о н е о с т а в и т ь

---

[1] И. К. Е н и к о л о п о в, Грибоедов в Грузии, стр. 42—43, Тб., 1954 г.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 43.

нас в праздности и приказать следовать к своему назначению, т. к. желание общества нашего есть достигнуть до настоящего неприятеля и лично сражаться с оным"[1].

სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში საერთო-სახალხო ხასიათს იღებდა.

ომში მონაწილეობის სურვილი ბევრს ჰქონდა. მაგრამ მთავრობა ყველას ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მკაცრი განკარგულება მისცეს თელავისა და სიღნაღის აზნაურთა წინამძღოლებს. „Не высылать сюда больше желание изъявляющих присоединиться к отряду".[2] ამ განკარგულების საფუძველზე უკან, თბილისიდან თელავშივე გაუბრუნებიათ თავიანთი რაზმებით ჩასული სოლომონ ჭავჭავაძე, ჯანდიერი და სხვები.

ქართველები, როგორც ა. ორბელიანი აღნიშნავს, საკუთარი ხარჯით მიდიოდნენ ომში, ე. ი. ქართველთა ლაშქარი წარმოადგენდა მოხალისეთა მილიციას, რომელიც რუსეთის რეგულარული ჯარის მხარდამხარ იბრძოდა. ქართველების ბრძოლა ირანელების წინააღმდეგ 1827 წელსაც გრძელდებოდა, როდესაც რუსეთის არმიის რიცხობრივი შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა. ქართველები იბრძოდნენ გენერალ-მაიორ დენის დავიდოვის. გენერალ-მაიორ რომან ბაგრატიონისა და სხვათა მეთაურობით. იმავე ა. ორბელიანის ცნობით, „შემდგომ გაზაფხულზედ 1827 წელსა მოვიდა რუსეთისა დიდი ჯარები საქართველოში, ქვეითნი და ცხენიანი. საიდგანაც გაილაშქრეს სპარსეთზედა და ჩუენ ქართუელები კიდევ გულმოდგინეთ გავყევით მათ, იმ ჩუენ ქართუელების დამქცევლებზედ, ახლა იმათ დასაქცევათ. ვიყავით ჩუენ სამასი მეტი ცხენიანი კაცი თავადაზნაურობა (მეტი აღარ მოგვითხოვა პასკევიჩმა) ჩუენის კაცებითა და ჩუენის სრულის ხარჯითა. ამ ჩუენს ქართუელების ჯარსა, ნაჩალნიკად მოგვცა პასკევიჩმა, ღენერალ-მაიორი კნიაზ რამან ბაგრატიონი, ძმა გამოჩენილის პეტრე ბაგრატიონისა და პასკევიჩი გვერდიდგან აღარ გვიშორებდა ქართუელებსა, ასე ყურადღებით იყო ჩუენზე".[3] აქ ა. ორბელიანი ეხება 1827 წლის ზაფხულის სამხედრო ოპერაციას, იმ რაზმს, რომელშიც თვითონ იბრძოდა.

ა. ორბელიანი მოგვითხრობს იმის შესახებაც. თუ სად უბრძოლიათ რუსებთან და სომხებთან ერთად ქართველთა რაზმებს და როგორ დაუ-

---

[1] И. К. Еникопов. Грибоедов в Грузии, стр. 44, Тб., 1954 г.

[2] იქ ვე. გვ. 44.

[3] საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 1656-ა. ა. ორბელიანის მოგონებანი, გვ. 2—3.

მარცხებიათ ირანელები. იგი წერს: „აი სადა და სად დავესწარით ქართველები ერთად რუსეთის ჯართან: ჯავან-ბულახზე, აბას-მირზა რომ დამარცხდა თავის სპარსელებით, ჩუენც იქ კარგი ხელი გამოვიღეთ ქართველებმა სპარსელებზედ და ჯერ ამით მიეგოთ მათ, ჩუენი ქართველების მაგიერი. მას უკან აბაზაბათის ციხე აიღეს, ჩვენი მაგიერის კიდევ მისაგებათ. მერეთ ურდობათის ომში ოთხი ათასი სარუაზი (სარბაზი, ნ. ქ.) და სამი ათასი კარგი ცხენიანი სპარსელები შემოგვერტყნენ, შ ვ ი დ ა ს რ უ ს ი ს ს ა ლ დ ა თ ს, ქ ა რ თ უ ე ლ ს და ს ო მ ხ ე ბ ი ს მ ი ლ ი ც ი ა ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც ა დ ი ლ ი დ გ ა ნ მ ზ ი ს ჩ ა ს უ ლ ა მ დ ი ს, ე რ თ ი ს პ ა ტ ა რ ა ზ ა რ ბ ა ზ ნ ი თ ა გ ა რ ს ა გ ვ ე რ ტ ყ ნ ე ნ ე რ თ ს მ ა ღ ლ ო ბ ზ ე დ გ ა მ ა გ რ ე ბ უ ლ ე ბ ს ა, ჩ უ ე ნ უ ზ ა რ ბ ა ზ ნ ო ს, მ ა გ რ ა მ ვ ე რ ა ფ რ ი თ ვ ე რ წ ა გ ვ ა ხ დ ი ნ ე ს, ვ ე რ ც ი ე რ ი შ ე ბ ი თ და ს ა ღ ა მ ო ზ ე დ ა ყ რ ი ლ ე ბ ი ჩ ქ ა რ ი ს ს ი ა რ უ ლ ი თ წ ა ვ ი დ ნ ე ნ თ ა ვ ი ს გ ზ ა ზ ე დ უ კ ა ნ. ამაზედ ჩუენ ქართველებმა კიდეც დავყიჟინეთ ზევიდგან, ძუელებურათ: ოლოლო, ოლოლო... ეს იყო კიდევ ომის გამოთხოვა, მაგრამ გაიქცნენ ის შერცხვენილნი. რ ო გ ო რ ც შ ე მ დ გ ო მ შ ე ვ ი ტ ყ ე უ ფ რ ო მ ი ს თ ვ ი ს, რომ მეორე დილაზედ ეშინოდათ: სხუა დიდი რუსის ჯარი დაგვეცემა და სულ ერთიან წაგვახდენენო.

შემდგომ სარდარაბათის ციხე აიღო ღენერალმა პასკევიჩმა დიდრონის ბომბებითა; ეს იყო კიდევ ჩ უ ე ნ ი მ ა გ ი ე რ ი ს მ ი გ ე ბ ა ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ზ ე დ. მ ა გ თ ე ნ ი ხ ა ნ ი ა ღ ა რ ა გ ა მ ო ვ ი დ ა რ ა, ე რ ე ვ ნ ი ს ც ი ხ ე ც დ ა ა მ ს ხ ვ რ ი ე ს და ა რ ც ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ს ა შ ე რ ჩ ა თ ჩ უ ე ნ ი უ მ ა ნ კ ო ე ბ ი ს ა ს ი ს ხ ლ ი, მაგრამ რა გახდება ესა, რაცა ჩუენ იმათ გვიყვეს ქართველებსა. ერევნის ციხე აიღეს. ქართველებსაც აღარა შეგვრჩა სასმელ-საჭმელი, აღარც ფული, სულ დავასრულეთ“.[1]

ქართველებსა და კავკასიის სხვა ხალხებს მხნეობას მატებდა და ახალ-ახალი გმირობისაკენ უბიძგებდა რუსეთის ჯარის სიძლიერე. თითქმის არც ერთი ბრძოლა არ ყოფილა სპარსელების წინააღმდეგ და არც ერთი ციხესიმაგრე არ აღებულა ისე, რომ აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ რუსებთან ერთად ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს. ისინი გმირულად იბრძოდნენ აბას-მირზას წინააღმდეგ შუშის ციხესთან, შამქორთან და ელიზავეტოპოლთან, სადაც რუსებთან ერთად გატეხეს მტრის ფიზიკური და მორალური ძალები.

პასკევიჩს, ა. ორბელიანის ცნობით, ერევნის აღების შემდეგ დაუბარებია ქართველი მოლაშქრეები და მათი საბრძოლო საქმიანობით კმა-

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. ა. 1656–ა. ა. ორბელიანის მოგონებანი, გვ. 3.

ყოფილს განუცხადებია: „ეგ თქუენი ერთგული ხელმწიფისა სამსახური, ეხლა თქუენთვის კმარა, მე მაგ თქუენსა სამსახურსა ჩუენს მოწყალეს ხელმწიფესა მოვახსენებ, იმედი მაქუს ყუელანი კარგათ დაჯილდოვდეთ. ამასთან ნაჩალნიკშტაბს სუხტილინსა უბრძანა: ეგ ქაღალდი წაუკითხეო, სადაც ჩუენი კარგი სამსახური იყო გამოცხადებული, თავის დიდის მადლობითა, საიდგანაც ერთობ ესე ქართუელები წამოვედით ტფილისისა ქალაქისაკენ და გზაზედა სულ სპარსელებს ვაგინებდით და ვწყევლიდით“.[1]

მართლაც, რომ მრავალმა ქართველმა ისახელა თავი ამ ომში, რაც აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

სხვა ისტორიული წყაროებიც ერთხმად ადასტურებენ ქართველთა გმირულ ბრძოლას ირანის წინააღმდეგ.

1826 წლის სამხედრო ოპერაციების ჟურნალში გაკეთებულია მოკლე ჩანაწერი, სადაც მითითებულია ის სამხედრო ქვედანაყოფები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. 29 აგვისტოს ჩანაწერში ვკითხულობთ: „Недостаток в кавалерии понудил генерала Ермолова составить ополчение, пригласив к тому грузинских князей и дворянство, как то бывало прежде в военное время. Дворянство показало себя усердным и в самое короткое время явилось... не менее 1800 человек, в числе коих много князей и дворян самых лучших фамилий“.[2] იქვე ცოტა ქვემოთ: „Часть грузинской милиции употреблена при отряде генерала князя Мадатова, большее число находится в Борчалинской дистанции, как для удержания жителей в покорности, так и для наблюдения к стороне Ахалцыхского пашалыка, откуда делают набеги многочисленные толпы разбойников и производят беспорядок и ужас между христианскими селениями. Милиция сия, конечно, не составляет отличной конницы, но выше изъясненном отношении приносит немалую пользу.

Кахетия, всегда прежде к возмущению наклонная, показывает теперь готовность противустать беглому царевичу Александру, когда придет он подкрепленный лезгинами, как то вскоре подлежит ожидать“[3].

---

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. ა. 1656-ა. ა. ორბელიანის მოგონებანი, გვ. 4.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 22.

[3] იქვე, გვ. 23.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიძლებოდა კიდევ ბევრი ისეთი ფაქტის მოყვანა, რომლებიც მეტყველებენ ქართველთა ერთსულოვან მონაწილეობაზე ირანელების წინააღმდეგ ომში. იმავე 1826 წლის 2—3 სექტემბერს ირანიდან მომავალ მენშიკოვის დიპლომატიურ მისიის გზაზე შეხვედრია ქართველთა ლაშქარი, რომელიც ირანელებთან საბრძოლველად მიდიოდა. დიპლომატიურ მისიაში მყოფი ფ. ფ. ბარტოლომეი ამის შესახებ წერდა: „Мы встречали 3.000 грузинской конницы, набранной неимоверную скоростию и шедший отражать персиян".[1]

საქართველოდან გამოყვანილი მოლაშქრეები გამოიყენეს პირველსავე დღეებში ბორჩალოს დისტანციაში მოჯანყეთა წინააღმდეგ და განალაგეს ახალციხის საფაშოს საზღვარზე. საიდანაც მოსალოდნელი იყო ოსმალების თავდასხმა. ამასთან ერთად კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით მომავალ ლეკების რაზმებს უპირისპირდებოდა. დასახელებული ფაქტებით დასტურდება, რომ რუსი ისტორიკოსების ზემოაღნიშნული ცნობა მოლაშქრე ქართველთა რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ არასწორია. ქართველთა ლაშქრის რიცხობრივი შემადგენლობა, თუ გავითვალისწინებთ ლაშქარში გაწვევის ტრადიციულ წესს, გაცილებით უფრო მეტი იყო.

ოფიციალურ დოკუმენტებში უხვად აისახა თავადაზნაურთა საგმირო საქმეები, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა საბრძოლო დიდების შესახებ კი ცნობები ნაკლებადაა შემონახული, მაგრამ ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს ქართული ხალხური პოეზია. ქართველ მებრძოლთა შორის ყველაზე მეტად კოლორიტული ჩანს პატარძეულელი სოლომონ ბუტულაშვილის (ბილანიშვილის) პიროვნება[2], რომელსაც ხოტბა-დიდებას ასხამს ქართული ხალხური პოეზია. მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ:

„ეგრე ხოცა ყიზილბაში, როგორც შავარდენი მწყერსა"
. . . . . .
„ფეხმარდი იყო სოლომონ, მაგრა ედგა ზარბაზნესა
გაქცევაში ქორსა გვანდა, სროვარდენი შავარდენსა,
— ასოცი მოკლა სოლომონ, დაწერეს და გაგზავნესა.
ქალაქში გამოაცხადეს, მოახსენეს მართებელსა.
ოჯრის თავსა, გამოატანს, მიარომევდა მედათვესა."

(იგულიხსმება გენერალი მადათოვი, ნ. ქ.).

ხალხურ ლექსებში სოლომონ ბუტულაშვილის ბრძოლის ადგილებად დასახელებულია განჯა, ფირაზი, ფირანი, მინარა, ზაროვანი, შაქაროვა-

[1] „Русская старина", т. 118, апрель, стр. 317. Посольство князя Меньшикова в Персию в 1826 году.

[2] ქართული ფოლკლორი I—II, გვ. 129—144, თბ. 1964, ვ. მაცაბერიძის სტატია —სოლომონ ბუტულაშვილის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში.

ნი, ირემბოლო, სამუხი და სხვ.[1] სოლომონ ბუტულაშვილთან ერთად ხალხურ ლექსებში მოხსენიებული არიან პატარძეულელი სოსია ცხვარიაშვილი, ლაზარე მარმარაშვილი, გიგო ელერდაშვილი, ბეღუა ქაფიაშვილი და სხვ. იქვე ნახსენებია აგრეთვე ნაცვალი ილაშვილი და ბიძა ტატუა[2] არ დარჩენილა სოფელი, საიდანაც მოლაშქრენი არ წასულიყვნენ. სოლომონის გვერდით პატარძეულელებთან ერთად იბრძოდნენ საგარეჯოელებიც. იქვე ნათქვამია: „ადგა წავიდა სოლომონ თან გარეჯელი გაყვესა, სოლომონ ბუტულაშვილი გარეჯელებში ჩადგესა“[3] და სხვ.

ამ ომის მონაწილე პოეტი ა. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ საქართველო სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული მტრის დამარცხებით და შესაძლებლობის მაქსიმუმს ახმარდა მტერზე გამარჯვებას. იგი წერს: „საქართველო უკვე შეეთვისა (сроднилась) რუსეთს. ამის ნათელ საბუთს იძლევა სპარსელთა მუხანათური თავდასხმა 1826 წელს. მათმა გამარჯვებამ (ლაპარაკია პირველ წარმატებაზე, ნ. ქ.) რამდენისამე თვის განმავლობაში ფრიად მნიშვნელოვანმა, მრავალმა ხრიკმა ვერ გასჭრა და ვერც ერთს ქართველს გული ვერ შეუცვალა რუსეთის მეფისადმი მომხრეობაზე. პირველი დაძახებისთანავე თავადაზნაურნი და სხვა მცხოვრებნი ხელად გამოცხადდნენ და მზად იყვნენ რუსეთის დროშის ქვეშ საბრძოლველად“.[4]

სპარსელების წინააღმდეგ პირველ, ყველაზე პოპულარულ შამქორის ბრძოლაში ქართველებმა თავი გამოიჩინეს, რის გამოც რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსი გენერალი დიბიჩი ერმოლოვს ავალებდა: „Застоль похвальный подвиг объявить грузинскому дворянству Монаршее благоволение“.[5]

გენერალი პასკევიჩი, რომელიც თავისი თვალით ხედავდა ქართველთა გმირულ შემართებას ირანის წინააღმდეგ ბრძოლებში, სამხედრო ჟურნალში 1827 წლის 20 აპრილს აღფროვანებული წერდა: „...Вообще Грузины оказали примерную храбрость“.[6]

ქართველები ომში გამოდიოდნენ თავიანთი ცხენებით, საომარი იარაღითა და სურსათით, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ გავლენას ახდენდა

---

[1] ქართული ფოლკლორი I—II, გვ. 137. თბ. 1964. ვ. მაცაბერიძის სტატია — სოლომონ ბუტულაშვილის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 134.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ა. ჭ ა ვ ჭ ვ ა ძ ე, თხზ. გვ. 253, თბ. 1940, საქართველოს მოკლე ისტ. ნარკვევი...

[5] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4309, л. 3. Дело о похвальном подвиге грузинского дворянства составившаго добровольно ополчение до 1800 человек, 1826 года.

[6] ЦГВИА СССР, Ф. ВУА, д. 4328, л. 53 об.

ქართული მილიციის ბრძოლისუნარიანობაზე. ბრძოლის ველზე ლაშქრის ყოფნა დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო. ლაშქარი ახალს უნდა შეეცვალა. ირკვევა, რომ ქართული ლაშქრის ორგანიზაციის ამ წესით კმაყოფილი არ ყოფილა რუსეთის არმიის მთავარი შტაბი. გენერალი დიბიჩი ერმოლოვისადმი 1826 წლის 20 ნოემბრის ბრძანებაში აღნიშნავდა, რომ იმპერატორს აინტერესებდა იმის გაგება, თუ რით იყო გამოწვეული ირანელების განდევნის შემდეგ ქართველებისა და სომხების ლაშქრის დათხოვნა ჯარიდან. მართალია, თავადაზნაურობა ძველებურად ჯარში დარჩა, მაგრამ სახალხო ლაშქრის დროებით წასვლამ თურმე იმპერატორის წყენა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ირანელები განდევნეს, რითაც დამთავრდა კიდეც 1826 წლის საომარი კამპანია, დიბიჩი ერმოლოვისაგან მოითხოვდა ამ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემას.[1] თანაც დიბიჩი ავალებდა ერმოლოვს, ქართული მილიცია რეგულარული არმიის მომარაგებასა და საწესდებო მოთხოვნებზე გადაეყვანა, რასაც ერმოლოვი არ ეთანხმებოდა. იგი დიბიჩისადმი 1827 წლის 12 იანვარს გაგზავნილ პატაკში მთავარი შტაბის უფროსის ყურადღებას მიაპყრობდა ევროპაში სენიორისა და ვასალის ურთიერთდამოკიდებულების სისტემას. სენიორი ვასალს მიწას რომ უბოძებდა, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, მას ომში თავისი შეიარაღებული რაზმით დახმარებოდა მიღებული მიწის რაოდენობის შესაბამისად. მაგრამ ამასთან ერთად ერმოლოვი დიბიჩის ყურადღებას მიაქცევდა შემდეგ გარემოებას: „Время, в продолжении которого вассал должен был нести военную службу, поменялось от разных причин, но никогда не простиралось далее шестидесяти дней в год. Срок сей согласован был с бедностью мелкого дворянства, которое не было в состоянии нести продолжительную службу на собственном своем содержании. От того феодальныя ополчения были достаточны для кратковременных предпринятий или в случае частных раздоров соседних владельцев; но оказались совершенно недостаточными, когда начались войны государственныя, продолжительныя“.[2]

სენიორიის სისტემის ევროპულ მაგალითზე ერმოლოვი ადასტურებდა, რომ ვასალის სამსახური ბრძოლის ველზე აზნაურთა სიღარიბის გამო ორ თვეზე მეტხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. ამიტომ აზნაურთა.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, д. 9.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4309, л. 7—8

ლაშქარი სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა სახელმწიფოთა შორის ხანგრძლივი ომების დროს.

ეობოლოვი, ზემოაღნიშნული ექსკურსის შემდეგ საქართველოს ლაშქრის საკითხს უბრუნდება და წერს: „Теперь обращаясь к здешним ополчениям должен я прежде всего объяснить..., что здешний край издавна управляется обычаями подобными феодальному правлению средних веков в Европе. Обычаи сии не имели того постепенного хода, того распространения и усовершенствования, кои имела феодальная система в Европе; но обычай соответствующий тому, который служил главным основанием сей системы, который налагал на васала обязанность в случае войны служить лично при своем владельце за уступленные ему поместье соответствующий сему обычай существует и теперь в здешних странах в полной силе...

В Грузии князя получали от царей земли и крестьян в управление. пользовались от них доходами, и за то обязаны были в случае войны служить лично с некоторым числом подвластных им людей. В Имеретии при царях было точно то же; в Гурии и Мингрелии князя находятся и теперь в том же отношении к владетельным князьям своим... Здесь также как в Европе поместья, которые сначала давались васалам по жизнь впоследствии времени сделались наследственными и обязанность военной службы от того не изменилась.

Из всего сказанного мною видно, что собирание здешних ополчении основывается на древнем обычае, который на всякого имеющаго землю и крестьян налагает обязанность служить на войне. Подобно феодальным ополчениям, не имеют они возможности продолжать службу сию долго на своем иждевении. Их можно собирать два три раза и более в год для предприятий непродолжительных; но служить целую компанию без содержания и платы от казны они никак не в состоянии“.[1]

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4309, л. 7, 8, 9, 10.

აი, როგორ მართებულად ასაბუთებდა ერმოლოვი ქართული მილიციის გაწვევას ომში ძველი ტრადიციის მიხედვით. როგორც ირკვევა, 1826 წლის შემოდგომის წარმატების, კერძოდ, შამქორსა და ელიზავეტოპოლში გამარჯვების შემდეგ ქართული ლაშქარი ერმოლოვს საომარი კამპანიის განახლებამდე დროებით დაუთხოვია, რისთვისაც მას საყვედური დაუმსახურებია. მაგრამ, როგორც ზემოაღნიშნული წერილით დასტურდება, ერმოლოვი გონივრულად იმართლებს თავს და საქართველოში არსებულ ტრადიციას სამართლიანად აღიარებს. ახალი კამპანიის დაწყებისას ქართველთა მილიცია, ერმოლოვის მტკიცებით, კვლავ მიიღებდა მონაწილეობას ომში, მაგრამ თვე-ნახევარი-ორი თვის ბრძოლის შემდეგ ის ახალ მოლაშქრეებს უნდა შეეცვალა. ერმოლოვი სახელმწიფო ხარჯზე ქართული ლაშქრის შენახვას კატეგორიულად უარყოფდა, რადგანაც მისი აზრით: „Найдуться люди неблагонамеренные, которые будут выдумать, что это есть только приступ к введению здесь рекрутских наборов. Это неминуемо произведет не выгодное на народ впечатление, и может быть, причиною некоторых безпокойств".[1]

ერმოლოვს სრულიად მართებულად მიაჩნდა ლაშქრობის ძველი წესის შენარჩუნება, რომელიც რუსეთის მმართველობის სისტემას სულაც არ ეწინააღმდეგებოდა. ერმოლოვის სისწორე ამ საქმეში მოვლენათა შემდგომმა განვითარებამაც დაადასტურა. უფრო გვიან, რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში, პასკევიჩის მიერ შემოღებულმა გაწვევის ახალმა წესმა მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყება გამოიწვია.[2]

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა პირობებს ითვალისწინებდა სახალხო ლაშქრის ახალი წესი, რომელიც საქართველოდან ერმოლოვის გაწვევის შემდეგ შემოიღეს. ჩვენ მიერ მიგნებული დოკუმენტი შეეხება ქართველთა და სომეხთა ბატალიონების ფორმირების ახალ წესს, რომელიც შემდეგ აზერბაიჯანელების რაზმების ჩამოყალიბებაზეც გავრცელდა. აქ ნათქვამია, რომ ბატალიონში სურვილისამებრ ეწერებოდნენ 18-დან 30 წლამდე ასაკის მებრძოლები, მაგრამ ასაკი ზუსტად არ ყოფილა განსაზღვრული. უფროსი ასაკის მოქალაქეები იმ შემთხვევაში ჩაირიცხებოდნენ ლაშქარში, თუ ისინი ომისათვის საჭირო ძალასა და ენერგიას გრძნობდნენ.[3] ლაშქრობის მთელ პერიოდში მოლაშქრე ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფლდებოდა, მაგრამ ძველი წესისაგან განსხვავებით

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4309, л. 7—10.

[2] იხ. ა. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, 1829 წლის მღელვარება აღმოსავლეთ საქართველოში; თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 113, გვ. 297—307.

[3] ЦГВИА СССР. ф. ВУА, д. 4336, л. 2 „Предложение для сформирования армянских баталионов, 1827 г.

„Они (მოლაშქრენი, ნ. ქ.) должны обязаться только служить на то время, пока продлится война с Персиею. после чего они будут свободны возвратиться в домы свои или поступить на службу в земское войско“.[1] მოლაშქრეს ომის მთელ პერიოდში რეგულარული არმიის ჯარისკაცებთან ერთად უნდა ებრძოლა სპარსელების წინააღმდეგ. მას მოეთხოვებოდა ისეთივე სამხედრო დისციპლინა, როგორიც რუს ჯარისკაცს. ზემოაღნიშნული საბუთის V მუხლში ამის შესახებ ვკითხულობთ: „Им читают при определении артикулы устава Петра Великого, касающиеся до наказаний положенных за преступления, коим они подвергаются наравне с воинскими чинами“.[2]

VI მუხლის საფუძველზე ისინი იღებდნენ ფიცს სამსახურის ერთგულების შესახებ. ყოველ მებრძოლს სახელმწიფო აძლევდა საომარ იარაღს. ბატალიონებს სახელმწიფო ინახავდა იმ ბიუჯეტიდან, რაც დაშვებული იყო ომისათვის. რიგითი მოლაშქრე წელიწადში 10 მანეთს ღებულობდა, ხოლო უნტერ-ოფიცერი — 15 მანეთს. ცხენებით სახელმწიფო უზრუნველყოფდა მოლაშქრეებს.

როგორც ჩანს, მოლაშქრე ბატალიონი თავისი მდგომარეობით თითქმის დაახლოებული იყო რეგულარულ ჯართან. მოლაშქრე იღებს ფიცს, მას იარაღს და სურსათს აძლევს სახელმწიფო, იგი ომის მთელ პერიოდში იბრძვის მტრის წინააღმდეგ, ხოლო, თუ ფიცი გატეხა, სახელმწიფოს მიერ რუსი ჯარისკაცების თანაბრად ისჯება. ეს პირობები არაფრით არ ჰგავდა ლაშქარში გაწვევის იმ წესს, რაც საქართველოში არსებობდა.

ირკვევა, რომ პასკევიჩს ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად დაუწყია 1827 წელს სომხების რაზმების ფორმირება. რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსს გენერალ დიბიჩს თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი სიპიაგინი 1827 წლის 15 მაისს შემდეგს აუწყებდა: „Первая дружина в числе 117 человек уже сформирована, вооружена надлежащему и по снабжении всем потребным походу, согласно приказанию Его Г. Корпусного командира сего числа отправлены из Тифлиса к Эчмядзину для присоединения к действующим войскам“.[3]

მგავსი შინაარსისაა სიპიაგინის მიერ 1827 წლის 2 ივნისსა და 21 აგვისტოს დიბიჩისადმი გაგზავნილი პატაკები, სადაც მითითებულია, რომ სომეხთა მეორე რაზმი 100 კაცის შემადგენლობით პირადად ჩამოაყალი-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4336, л. 2.
„Предложение для сформирования армянских батальонов, 1827.

[2] იქვე.

[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4336, л. 6—8.

ბა და გაგზავნა ერევანში, ხოლო მესამე რაზმი 67 კაცის შემადგენლობით ერევანში გაიგზავნა კაპიტან ბებუროვის მეთაურობით.[1]

იგივე სიპიაგინი 1827 წლის 29 ივნისს დიბიჩს ქართველთა პირველი რაზმის ფორმირების შესახებ შემდეგს ატყობინებდა: „I грузинская дружина, сформированная здесь из 100 человек грузин, оснабженная всем нужным как аммуницией, так и прочим... выступает маршруту к Ериван".[2]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრადიციისამებრ შექმნილი ქართველთა და სომეხთა სახალხო ლაშქარი ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ, მაგრამ დასახელებული დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ 1827 წლის მაის-ივნისში სამხედრო ხელისუფალთა ინიციატივით ყალიბდებოდა მოხალისეთა ახალი რაზმები, რომლებიც მთავრობის მიერ შემოღებულ წესებს ემორჩილებოდნენ. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ომის ბოლო პერიოდში ირანის წინააღმდეგ მოქმედებდა ქართველებისაგან ჩამოყალიბებული ორი სახის ჯარი: 1) ტრადიციული სახალხო ლაშქარი და 2) მთავრობის ჩარევით ფორმირებული ახალი ტიპის რაზმები.

ქართველთა ლაშქარი გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მთავრობის ინიციატივით ჩამოყალიბებული რაზმები, რომელთა შექმნა ხელისუფლების წახალისებითა და მხარდაჭერით ხდებოდა იმ ვარაუდით, რომ ისინი საბოლოოდ სახალხო ლაშქრის ადგილს დაიჭერდნენ. მაგრამ, ეტყობა, ხელისუფლების იმედი მან ვერ გაამართლა. ქართველები უხალისოდ ეწერებოდნენ მთავრობის რაზმში, რადგანაც მასში, რაღაც რეკრუტში გაწვევის მსგავსს ხედავდნენ და სპარსელების წინააღმდეგ მამაპაპური ლაშქრით ბრძოლას ამჯობინებდნენ. საფიქრებელია, რომ ისტორიკოსები ნ. დუბროვინი და ვ. პოტო, როდესაც ომში 1800 ქართველი მოლაშქრის მონაწილეობის შესახებ მიუთითებენ, გულისხმობენ მთავრობის ინიციატივით შექმნილ ახალი ტიპის რაზმებში მონაწილე ქართველებს და არა ტრადიციულ ქართულ ლაშქარს, რომლის მონაწილეთა რიცხობრივი შემადგენლობა იმ დროისათვის კოლოსალური იყო. ქართველებმა სპარსეთის წინააღმდეგ ომში ღირსეული წვლილი შეიტანეს. ისინი მატერიალურადაც ეხმარებოდნენ რუს მებრძოლებს.

კავკასიის კორპუსის მეთაურის გენერალ პასკევიჩის 1827 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებაში დაჯამებულია ირანთან ომში ქართველთა გმირული

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4336, л. 9—14.

[2] იქვე, ფ. 12.

მონაწილეობის შედეგები, მათი დიდი დამსახურება მტრის განადგურების საქმეში. ამიტომ, მიუხედავად მისი სიდიდისა, მთლიანად ვახდენთ ამ საბუთის ციტირებას. ბრძანებაში ნათქვამია: „...Ратные труды ваши кончены: отправляю вас в вашу родину, с полной моей благодарностью и с славным именем доблестных сотрудников победоносного российского войска; в Персидской кампании 1827 года под моей командой вы себя отличили, и я свидетель ваших подвигов. На походе из Тифлиса в Нахичевань и после того, вы несли труды тяжкие в самую знойную пору здешнего лета. 5-го июля в сражении при Джеван-Булаке два раза удержали стремление на нас отборной Куртинской конницы, и когда неприятель был опрокинут с жаром его преследовали. В экспедиции Урдобатской вы незабвенно себя отличили, когда горсть наших храбрых, сопротивлялись с многочисленными толпами неприятельскими, и они отступили, видя невозможность одалеть всех, которые смерть предпочитают поражению и рабству. 19 сентября по покорении Сардар-Аббада, в ту ночь, когда гарнизон и малодушный его начальник, думали воспользоваться темнотой, дабы спастись от рук победителей, вы с прочей Российской конницей настигли, рубили и брали в плен бегущих. Наконец, во время знаменитой Эривани, вы были мной посланы для занятия путей, по которым неприятель мог вторично укрыться бегством, и 1-го октября при овладении сей крепостью, из первых ворвались в нее, когда еще не совсем пальба умолкла. Буду уметь свидетельствовать великому государю о вашей службе на поле чести и сим моим приказом хочу ознаменовать имена ваши и оказать вам мое уважение пред всеми вашими единоземцами, достойные князья и дворяне грузинские, служившие под моим начальством: Горийского уезда князья: подполковник Михаил Мачабелов, майор Торник Эристов, Захарий Цицианов, Теймураз Амилахваров, Евстафий Тарханов; Тифлисского уезда князья: капитан Георгий Баратов, отставной подпорутчик Александр Орбелианов, Кайхосро Орбелианов, Яков Орбелианов, Иван Меликов, княжеские дворяне: Зураб Хмаладзе, Кайхосро Пурцеладзе; Душетского уезда князья: губернский секретарь Давид Эристов Ксанский, Ростом Эристов Ксанский; Имеретинский князь: подпорутчик Ростом Эристов Рачский и дворянин Кация Бакрадзе; Телавского уезда князья: отставной подполковник Иван Эристов, Индо, Мясе и Атанасе Накоявы, Да-

вид, Нашрыван, Соломон и Александр Чавчавадзе, Заал Вахвахов, Дмитрий Бабулов, Иван Русиев; Сигнахского уезда князья: поручик Зураб и Иосиф Андрониковы, Оман Вачнадзе, Кайхосро Гарсеванов Вачнадзе, Кайхосро Захаров Вачнадзе, Иосиф, Николоз и Бесарион Вачнадзе; Борчалинской дистанции Агалар Паша-Ага Вали-Бек-Оглы.

При сем случае вменяю себе в приятнейшую обязанность изъявить мою особенную благодарность начальнику Грузинского конного ополчения, господину генерал-майору князю Багратиону, за неусыпные попечения его о благоустройстве сего ополчения и сохранения во всех случаях надлежащего порядка..."[1]

პასკევიჩის ამ ბრძანებაში თითქმის ყველა ქალაქია დასახელებული, სადაც რუსებთან ერთად ქართველებსაც უბრძოლიათ. ქართველთა რაზმები მოხსენიებული არიან როგორც რუსეთის ძლევამოსილი არმიის ღირსეული თანამებრძოლები, რომელთაც გამოიარეს ომის მთელი ქარცეცხლი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტში მხოლოდ თავადები და აზნაურები არიან მოხსენიებული, მაგრამ არაფერია ნათქვამი ქართველ მშრომელებზე — გლეხებზე, რომელთა ზურგზეც გადადიოდა ომის მთელი სიმძიმე. ქართველი გლეხი იყო ის ძალა, რომელიც ინახავდა არა მარტო ქართველ მოლაშქრეებს, არამედ ზურგს უმაგრებდა რუსეთის ჯარს და ხელს უწყობდა მას ირანზე გამარჯვების საქმეში. ბრძოლის ველზე გმირულად ეცემოდნენ რუსი ჯარისკაცები და სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი გლეხი მოლაშქრეები, ხოლო სახელსა და დიდებას რუს მოხელეებთან ერთად აღნიშნული ხალხების გაბატონებული კლასის წარმომადგენლები იხვეჭდნენ.

ა. ს. პუშკინმა XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს იმოგზაურა საქართველოში, სადაც 1829 წელს იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების დაუკითხავად გამოემგზავრა. მას სურდა, დროებით მაინც გასცლოდა ჟანდარმერიის III განყოფილების სულისშემხუთავ ატმოსფეროს. გარდა ამისა, უნდოდა, ენახა თავისი მეგობარი დეკაბრისტები, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც რუსეთ-ირანის 1826—1828, ისე რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომებში. მან იმოგზაურა ფრონტზე, ნახა თავისი ძმა და მეგობრები. პუშკინმა დაბრუნებისას თბილისში რამდენიმე დღეს დაყო, რასაც იგი სიყვარულით და სიამოვნებით იგონებს: „დავრჩი იქ რამდენსამე დღეს თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში. რამდე-

---

[1] ЦГИА Грузии ф. 16, д. 3546, л. 20. Документ дается по книге И. К. Ешколопова „Грибоедов в Грузии", стр. 100—101, Тбилиси, 1954 г.

ნიმე საღამო ბაღებში გავატარე მუსიკისა და ქართული სიმღერების მოსმენაში.“.[1]

ა. ს. პუშკინმა ჯეროვანი დახასიათება მისცა ქართველი ხალხის გმირობასა და მამაცობას, მის ნიჭსა და ტალანტს. იგი წერს: „ქართველები მეომარი ხალხია, მათ დაამტკიცეს თავიანთი მამაცობა ჩვენი დროშის ქვეშ, მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი განათლება მოელის“.[2]

შემთხვევითი არ იყო, რომ ერმოლოვი ირანის წინააღმდეგ ომში საქართველოს მიიჩნევდა როგორც საიმედო დასაყრდენ ძალას, ამიტომ იგი უფრთხილდებოდა მის რესურსებს, ინახავდა მას კრიტიკული მომენტისათვის. იმპერატორისადმი 1826 წლის 29 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ერმოლოვი აღნიშნავდა, ირანის წინააღმდეგ საომრად გამოგზავნილ ჯარს საქართველოს სასურსათო მდგომარეობა რომ არ დაემძიმებინა, მას განზრახული ჰქონდა, ჩამოსვლისთანავე მოეხდინა მისი განლაგება საქართველოს იმ მოსაზღვრე რაიონებში, რომლებიც აჯანყებული მუსლიმანური მოსახლეობით იყო დასახლებული. ერმოლოვის აზრით, ეს ხელს შეუწყობდა ირანელების წაქეზებით აჯანყებული პროვინციების დამშვიდებას. გარდა ამისა, ჯარისათვის საჭირო სურსათის მაქსიმალური ამოქაჩვის გზით ღირსეულად დაისჯებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული რაიონები, რაც გამოიწვევდა მათს დაუძლურებას, ხოლო საქართველოში არსებული სურსათის მარაგს იგი მიიჩნევდა საიმედო რეზერვად, რომლის გამოყენება ნებისმიერ დროს შეეძლებოდა.[3]

საქართველოს სურსათი, ტრანსპორტი და ცოცხალი ძალა მაქსიმალურად გამოიყენა რუსეთმა ირანთან და ოსმალეთთან ომების პერიოდში. ა. ს. გრიბოედოვი, რომელიც ომამდე და ომის წლებშიც საქართველოს ცხოვრების უშუალო მოწმე იყო, ღირსეულ შეფასებას აძლევდა საქართველოს როლს ამ ომში. იგი წერდა: „ბოლოს სპარსელთა უკანასკნელი შემოჭრა, რომლისთვისაც გრაფმა პასკევიჩ-ერევნელმა სამაგიერო მიუზღო მათ ასეთი დიდებით რუსეთისათვის, და ეხლანდელი მისი წარმატებანი თურქთა საფაშოებში ამიერკავკასიის პროვინციებს მეტისმეტად ძვირად დაუჯდათ და ყველაზე მეტად საქართველოს, რომელმაც განსაკუთრებით ზიდა ომის ტვირთი. გაბედულად უნდა ითქვას, რომ 1826 წ ლ ი დ ა ნ დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ დ რ ო მ დ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ პ ურ ი თ, ს ა ს ა პ ა ლ ნ ე და გ ა მ წ ე ვ ი პ ი რ უ ტ ყ ვ ი თ, გ ა დ ა მ რ ე კ ე ბ ი თ და ს ხ ვ. ს ა ე რ თ ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ

---

[1] რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. I, გვ. 161, თბ. 1949 წ. გამოსცა ვ. შადურმა.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 156.

[3] Акты, т. VI, ч. II, № 664, стр. 365.

მეტი დახარჯა თავისი ქონებიდან, ვიდრე ამის გაკეთებას შეძლებდა რუსეთის ყველაზე უფრო აყვავებული ოლქთაგანი, მაშინ, როცა მოსახლეობით და სიდიდით ველიკორუსული გუბერნიების მხოლოდ სამ მაზრას უდრის".[1]

ქართველები მზად იყვნენ ყველაფერი გაეღოთ ომისათვის, სიცოცხლესაც სწირავდნენ მხოლოდ იმ პირობით, რომ არ აღდგენილიყო ირანელების ბატონობა. გარეშე მტრების წინააღმდეგ ომში მხოლოდ რუსეთი იყო ერთადერთი საიმედო ძალა, რომელსაც შეეძლო, საქართველოსათვის მშვიდობა და სამეურნეო და კულტურული განვითარების პერსპექტივა მიეცა.

ირანის ვერაგული თავდასხმის შედეგად რუსეთის მიერ ადრე შემოერთებულ აზერბაიჯანის სახანოებში, მართალია, მოკლე დროით, მაგრამ კვლავ აღდგა ირანის შაჰის ბატონობა. ამიტომაც აზერბაიჯანის მშრომელ მოსახლეობას ბრძოლა უხდებოდა მძიმე პირობებში, სამშობლოსათვის მებრძოლ პატრიოტებს საიმედოდ ეხმარებოდა რუსეთის ჯარი, რომელიც მათს დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. აზერბაიჯანში იქმნებოდა სახალხო ლაშქარი, რომელიც საკადრის პასუხს სცემდა ირანელ დამპყრობლებს.

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ სომხებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი ქმნიდნენ რაზმებს ირანელების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა სომხების მონაწილეობა ამ ომში. ისინი ირანის მიერ დაპყრობილ სომხეთის ტერიტორიაზე, ყველგან, როგორც ამას საარქივო მასალები ადასტურებენ, და აქამდეც არაერთხელ აღგვინიშნავს, თავდაუზოგავად იბრძოდნენ სამშობლო ქვეყნის განთავისუფლებისათვის და თავიანთი ღირსეული წვლილი შეჰქონდათ საერთო მტრის დამარცხების საქმეში მოძმე რუსებთან, ქართველებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად. სომხეთის მოსახლეობა ირანელთა ბარბაროსული ბატონობისაგან თავის მხსნელად რუსეთის ჯარს მიიჩნევდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ომის შედეგად აღმოსავლეთ სომხეთი რუსეთს შეუერთდა, რასაც სომხეთისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

---

1 რუსი მწერლები საქართველოს შესახებ. ტ I, გვ. 76—77, თბ. 1949.

თავი IX

დეკაბრისტები კავკასიის ცალკეულ კორპუსში

განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში დეკაბრისტების აჯანყებას უაღრესად საპატიო ადგილი უჭირავს. დეკაბრისტები აღდგნენ ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა დეკაბრისტულ მოძრაობას. ცნობილ სტატიაში „ჰერცენის ხსოვნას“ ვ. ი. ლენინი წერდა: „თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, უამრავი „ლოთი ოფიცრები, შფოთისთავები, ბანქოს მოთამაშეები, ბაზრობათა გმირები, მეძაღლეები, მოჩხუბრები, მათრახისა და ჭარამხანის გმირები“ და ყოვლად კეთილი მანილოვები.“ და მათ შორის... განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა, რომლებიც რომულისა[1] და რემის მსგავსად, გამოზრდილი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რაღაც დეკგმირები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი. ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და „განწმინდა“ იგი“.[1]

დეკაბრისტული მოძრაობა წარმოიშვა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე და იყო იმ მძაფრი კრიზისის გამომხატველი, რასაც რუსეთის ხრწნადი ფეოდალური, ბატონყმური ურთიერთობა განიცდიდა. ქვეყანაში მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაციის ელემენტები, რაც გამოიხატა 1815—1825 წწ. საზოგადოებრივ მოძრაობაში. დეკაბრისტების პოლიტიკური შეხედულების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია XVIII და XIX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის საზოგადოებრივი აზრის უდიდესმა წარმომადგენელმა ა. ნ. რადიშჩევმა და მისმა ცნობილმა წიგნმა „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, სადაც მოცემულია ბატონყმური წყობილების მომაკვდინებელი კრიტი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 18, გვ. 11—12.

კა. რუსეთის თვითმპყრობელობას რადიშჩევი სამართლიანად უწოდებდა ტირანიას. რადიშჩევი იყო რესპუბლიკური წყობილების მომხრე და სახალხო რევოლუციას ქადაგებდა. მისი ეს პოლიტიკური შეხედულებანი გამოხატავდა ხალხის მასების ოცნებას და ამიტომ მას ღრმად ჩაეჭიდნენ თვითმპყრობელურ-მონარქისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი დეკაბრისტები, რომლებიც ბატონყმური წყობილების დაუყოვნებლივ მოსპობას მოითხოვდნენ. დეკაბრისტების პოლიტიკურ შეხედულებათა მომწიფებას ხელი შეუწყო ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის ლაშქრობამ. დეკაბრისტებმა საკუთარი თვალით ნახეს ბატონყმური მონობისაგან თავისუფალი ევროპა, რამაც დააჩქარა მათი რევოლუციური იდეოლოგიის ჩამოყალიბება.

1825 წლის 14 დეკემბერს, პეტერბურგში, იმპერიის გულში, სენატის მოედანზე დეკაბრისტ-რევოლუციონერთა შეიარაღებული გამოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცოტანი იყვნენ, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ისინი უტევდნენ ევროპის ქვეყნებში გამათავისუფლებელი მოძრაობის ჟანდარმს — ცარიზმს, რომელიც მონობაში ამყოფებდა რუსეთის იმპერიის მილიონიან მასებს.

თვითმპყრობელობა სასტიკად გაუსწორდა დეკაბრისტებს. სენატის მოედნიდან 14 დეკემბერს მთელ ღამეს გაჰქონდათ დახოცილთა გვამები და გაჰყავდათ დაჭრილები. შეთქმულთა წინააღმდეგ ნიკოლოზ I-მ ამიიღო სასტიკი ზომები. დამნაშავეთა ბედი თვითონ იმპერატორმა გადაწყვიტა. სასამართლომ სასჯელი „დანაშაულის“ სიმძიმის მიხედვით 11 თანრიგად დაყო. დეკაბრისტული მოძრაობის ბელადები პავლე პესტელი, კონდრატ რილეევი, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი, მიხეილ ბესტუჟევ-რიუმინი და პეტრე კახოვსკი 1826 წლის 13 ივლისს ჩამოახრჩვეს. დეკაბრისტების ერთი ნაწილი გააციმბირეს. მიუხედავად იმისა, რომ დეკაბრისტების აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მას მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი, იგი წერდა: „ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან, მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი“.[1]

დეკაბრისტებს თავი ვაჟკაცურად ეჭირათ. ისინი შრომობდნენ ციმბირში, გმირულად იტანდნენ კატორღის მძიმე პირობებს და მათი გონება თავისუფალ რუსეთზე ფიქრით იყო დაკავებული. ნიკოლოზ I-ის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე II-მ 1856 წელს მანიფესტი გამოსცა დეკაბრისტთა შეწყალების შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გადასახლებული 121 კაციდან ცოცხალი იყო მხოლოდ 19.

---

[1] ვ ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 18, გვ. 18—19.

დეკაბრისტთა ერთი ნაწილი გაიგზავნა კავკასიის ცალკეულ კორპუსში მთის ხალხების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ სანამ ისინი კავკასიაში ჩამოვიდნენ, სპარსეთმა ომი დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ მათ შეუცვალეს მიმართულება, ისინი ჩაებნენ ირანის წინააღმდეგ ომში, ირანთან ომის დამთავრების შემდეგ კი თურქეთთან იბრძოდნენ და რუსეთის იარაღის დიდებას ემსახურებოდნენ. ბევრი მათგანი, დიდი უმრავლესობა, ირანთან და ოსმალეთთან ბრძოლებში დაიღუპა, ისე რომ ველარ იხილა მშობლიური ქვეყანა.

გვარდიის კორპუსისადმი ბრძანებაში იმპერატორის განკარგულებით დეკაბრისტთა კავკასიაში გამოგზავნა კვალიფიცირებული იყო, როგორც დიდი ჰუმანური აქტი, რომელსაც ნიკოლოზ I-ის სულგრძელობასა და კეთილშობილებას მიაწერდნენ. ყველა, ვინც კავკასიაში გამოიგზავნა, მეფის მიერ „შეწყნარებულად“ იყო აღიარებული, ეს შეწყალება კი, როგორც ითქვა, ბევრ მათგანს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. გვარდიის კორპუსისადმი დაშვებული 1826 წლის 17 თებერვლის № 022 ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს კორპუსის მეთაური კავალერიის გენერალი ვიონოვი, ავალებდა თითოეულ „შეწყალებულს“ საკუთარი სისხლით გამოესყიდა სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაული ჩაჩნების წინააღმდეგ ბრძოლით. მათ უნდა აღედგინათ დაკარგული პრესტიჟი და დაემტკიცებინათ არა მარტო ამხანაგებისათვის, არამედ მთელი რუსეთისათვის, რომ 14 დეკემბრის „დანაშაული“ ჩადენილი იყო ბოროტგანმზრახველთა მიერ მათი მოტყუებისა და გადაბირების გზით. კავკასიაში გამოგზავნილებს უნდა შეეგნოთ თავიანთი „დანაშაულის“ სიმძიმე და დაედასტურებინათ სამუდამო ერთგულება იმპერატორისადმი. კავკასიის მთიანეთის „დამშვიდების“ შემდეგ კი მათ უკან — პეტერბურგში— დაბრუნებას ჰპირდებოდნენ, რაც აშკარა სიყალბე იყო.[1] ამაზე ნიკოლოზ I-ის მთავრობას არც უფიქრია.

---

[1] მოგვყავს სრული ტექსტი ზემოაღნიშნული ბრძანებისა, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა დეკაბრისტთა ერთი ნაწილის კავკასიაში გამოგზავნის შესახებ.

„Приказ

по гвардейскому корпусу. 17 февраля 1826 г. № 022.

В. С. Петербурге.

Государь император, даровав всемилостивейшее прошение участвовавшим в происшествии 14 прошедшего декабря нижним чинам некоторых рот Л. Г. Московского и Гренадерского полков, в уважении что они были увлечены в сие преступление злоумышленниками по ложному понятию о присяге, — изволил решить, предоставить сим нижним чинам первый удобный случай, изгладить и самое пятно минувшего своего заблуждения и запечатлить верность свою к законной власти, при первом военном действии. Случай сей теперь предоставить. От командира Отдельного Кавказского корпуса

დეკაბრისტული აჯანყების მონაწილე ოფიცერთა ჯგუფისა და რიგითი ჯარისკაცებისაგან, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ვიბორგისა და კექსჰოლმის ციხეებში, იმპერატორის განკარგულებით შედგა ე. წ. „ნაკრები გვარდიული პოლკი", რომელიც 1826 წლის 27 თებერვალს გაიგზავნა კავკასიაში. აღნიშნულ პოლკში იყვნენ: 2 შტაბსოფიცერი, 31 ოფიცერი, 70 უნტეროფიცერი, 28 მუსიკოსი, 1107 რიგითი ჯარისკაცი, 49 არასამწყობრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცი. სულ — 1287.[1] ნაკრები გვარდიული პოლკი 1826 წლის 17 აგვისტოს ჩამოვიდა თბილისში.[2] აღნიშნული პოლკის კავკასიაში გამოგზავნამდე აქ დასჯის მიზნით გამოიგზავნა 36 დეკაბრისტი ოფიცერი (ჯერ 11, ხოლო შემდეგ 25 ოფიცერი).[3] 1827 წლის სექტემბერში კავკასიის კორპუსმა დამატებით მიიღო ჩერნიგოვის ქვეითი პოლკის ჯარისკაცთა პირველი პარტია, რომელიც 827 ჯარისკაცს ითვლიდა, უფრო გვიან კი — 700 ჯარისკაცი.[4] ესენი იყვნენ უკრაინაში მომხდარი დეკაბრისტული აჯანყების მონაწილენი.

получен Его императорским величеством рапорт, что продолжающийся в Чечне бунт принуждает генерала Ермолова, с наступлением весны, приступить к решительным мерам для наказания возмутившихся горцев. Вследствие сего Государь Император высочайше повелеть соизволил, сформировать два гвардейских баталиона, один из Л. Г. Московского, а другой из Л. Г. Гренадерского полка — из тех самых низших, которые во время происшествия 14 сдекабря увлечены были ложным истолкованием и понятием присяги; по сформировании же отправитьсии два баталиона под командою Л. Г. Преображенского полка полковника Шитова на Кавказскую Линию, с тем, что по наказании и усмирении горцев, они должны возвратиться в С. Петербург к прежним своим командам.

Его Императорское Величество остается при том в полной надежде, что командируемые в Кавказский корпус нижние чины, возчувствовав оказанную им монаршую милость, постараются своею усердною и ревностною службою доказать не только пред своими сотоварищами, но и перед лицом всей России, что мгновенное их заблуждение и уклонение от своих обязанностей, были только последствие злобы, и обмана злоумышленников и что они, познав сей обман, остаются навсегда верными Всемилостливейшему своему государю.

Объявляю о таковом высочайшем соизволении по введенному мне Гвардейскому корпусу, предписываю, прочесть сей приказ для сведения во всех полках, пред собранием рот и эскадронов и во всех артиллерийских ротах и прочих командах" (ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 888, л. 17, 17 об и 18).

[1] ЦГВИА ф. ВУА СССР, д. 888, л. 16.

[2] იქვე ვვ. 22

[3] Вопросы истории № 1, 1951, стр. 100, А. Фадеев. Декабристы в отдельном Кавказском корпусе.

[4] იქვე.

დეკაბრისტი ოფიცრების ერთი ჯგუფი სამხედრო ხარისხისა და წოდების ჩამორთმევის შემდეგ მშობლების თხოვნით ციმბირის გარნიზონებიდან ჯარისკაცებად გადმოიყვანეს კავკასიაში. მათ შორის იყვნენ მიხეილ ივანეს ძე პუშჩინი, პეტრე პეტრეს ძე კონოვნიცინი, პეტრე ალექსანდრეს ძე ბესტუჟევი IV, ნიკოლოზ ორჟიცკი, ნიკოლოზ კოქევნიკოვი, თევდორე ვიშნევსკი და სხვები.[1] აკად. მ. ვ. ნეჩკინას გამოთვლით, დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში მისცეს 3.000-ზე მეტი კაცი, მათ შორის 500-მდე ოფიცერი და 2 500-ზე მეტი ჯარისკაცი.[2]

დეკაბრისტთა დიდი ნაწილი ამიერკავკასიაში გამოიგზავნა, ამიტომ კავკასიის კორპუსის კონტინგენტი აშკარად განსხვავდებოდა რუსეთის არმიის სხვა ნაწილებისაგან. აქ თავმოყრილი იყვნენ მთავრობისათვის არასაიმედო პირნი, რომლებიც თითქოსდა „შეიწყალა“ იმპერატორმა, მაგრამ სინამდვილეში მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ამგვარად, კავკასიის კორპუსის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ პროგრესულად მოაზროვნე ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ 1812 წლის სამამულო ომის შემდეგ რუსეთში გაბატონებულ ტირანიას, ბატონყმური ურთიერთობის სიმწვავესა და არაჩეევის დესპოტურ რეჟიმს.

კავკასიის მოსახლეობა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეჭცეოდა დეკაბრისტებს, რომლებშიც ხედავდა პროგრესისა და თავისუფლებისათვის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალას. ა. ზისერმანის ცნობით, „На Кавказе вообще искони был вскоренившийся уже обычай относиться самым снисходительным, даже предупредительно внимательным образом ко всяким разжалованным.“[3]

სწორედ ამიტომ იყო, რომ კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს, მოსახლეობა, რომელიც ცარიზმის კოლონიური უღლის ქვეშ სულს ღაფავდა, ცარიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლს თაყვანს სცემდა და იმედის თვალით უყურებდა.

დეკაბრისტებთან ურთიერთობაში თავშეუკავებელ სითბოსა და კეთილ განწყობილებას ამჟღავნებდა თვითონ გენერალი ერმოლოვი. დეკაბრისტი მ. ი. პუშჩინი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ, როცა იგი თავის მეგობართან პ. პ. კონოვნიცინთან ერთად ჩავიდა კავკასიაში და გამოცხადდა ერმოლოვთან, მან ისინი გადაკოცნა და მიულოცა ციმბირი-

---

[1] А. Е. Розен, Декабристы на Кавказе, 1826 по 1850 гг.

[2] М. В. Нечкина Движение декабристов, т. 2, стр. 394.

[3] А. Зисерман, 25 лет на Кавказе, ч. II, стр. 56, СПБ, 1879.

დან მშვიდობით დაბრუნება. ამის შემდეგ, როგორც პუშჩინი იგონებს: „Он просил нас сесть, предложил чаю, расспрашивал о пребывании нашем в Сибири, обнадеживал, что и Кавказ оставит в нас хорошее воспоминание. Продержав нас с час времени, он отпустил нас с благословением на новое поприще...

...Час этот, проведенный у Ермолова, поднял меня в собственных глазах моих, и выходя от него, я уже с некоторой гордостью смотрел на свою солдатскую шинель".[1]

როგორც ჩანს, ერმოლოვის ასეთი გულითადი დამოკიდებულება დეკაბრისტ ჯარისკაცებსა და სამხედრო წოდებააყრილ ოფიცრებზე შთამაგონებლად და წამახალისებლად მოქმედებდა. კავკასიის კორპუსში მომსახურე ოფიცერთა და მაღალი სამხედრო ჩინის მოხელეთა შორის ბევრი იყო დარწმუნებული, რომ მეფის მთავრობა იმაზე სასტიკად გაუსწორდა დეკაბრისტებს, ვიდრე ისინი ამას იმსახურებდნენ.[2]

ზემოხსენებული მიხეილ ივანეს ძე პუშჩინი იყო ა. ს. პუშკინის ლიცეუმის ამხანაგი, ივანე ივანეს ძე პუშჩინის ძმა, ლეიბ-გვარდიის ცხენოსანი პოლკის მეთაური. მას 14 დეკემბრის აჯანყებაში მონაწილეობისათვის მიესაჯა მე-10 თანრიგი. ჩამოართვეს აზნაურის წოდება, ჯარისკაცად გაამწესეს ციმბირში, კრასნოიარსკის საგარნიზონო ბატალიონში. მალე იგი სხვებთან ერთად გადმოიყვანეს კავკასიაში, სადაც თავი გამოიჩინა სამხედრო ცოდნითა და მამაცობით. ერევნის ალყის დროს გულადობისათვის 1827 წლის 27 ნოემბერს მას უნტერ-ოფიცრობა ებოძა, ხოლო შემდეგ— პროპორშიკობა და პოდპორუჩიკობა. ოსმალეთთან ომში გამოჩენილი გმირობისათვის მიენიჭა პორუჩიკის წოდება. ახალციხის აღების დროს იგი მკერდში დაიჭრა. მხოლოდ ნიკოლოზ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1857 წლის 27 ივლისს, დაუბრუნეს მას პირვანდელი, ლეიბ-გვარდიის კაპიტნის წოდება.

ნიკოლოზ I-ის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ერმოლოვი ემხილებინა დეკაბრისტებთან კავშირში, ეპოვა ფაქტობრივი მასალა, რომელიც მისდამი მთავრობის უნდობლობას გაამართლებდა. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი დეკაბრისტებთან კავშირზე ეჭვის გამო ა. ს. გრიბოედოვისა და ერმოლოვის ადიუტანტის, შტაბის კაპიტნის, ვოეიკოვის დაპატიმრება.

რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრმა 1826 წლის 2 იანვარს კავკასიის ცალკეული კორპუსის მეთაურს ერმოლოვს ასეთი ბრძანება გაუგზავნა: „По воле государя императора покорнейше прошу ваше

---

[1] „Русская старина". февраль 1884 г., стр. 307, Записки М. И. Пущина.

[2] „Русский архив", № 2, 1886 г., стр. 236, Воспоминания А. С. Гангеблова

высокопревосходительство приказать немедленно взять под арест служащего при вас чиновника Грибоедова со всеми принадлежащими ему бумагами, употребив осторожность, чтобы он не имел времени к истреблению их, и прислать как оныя, так и его самого под благонадежным присмотром прямо к его императорскому величеству".[1]

როგორც ირკვევა, ერმოლოვმა მოახერხა გრიბოედოვის ნაწერების განადგურება მანამ, სანამ მის ბინას პეტერბურგიდან გამოგზავნილი ოფიციალური პირი გაჩხრეკდა. ამიტომ ა. ს. გრიბოედოვს მთავრობის საწინააღმდეგო არავითარი ნაწერი არ აღმოაჩნდა. დაპატიმრებული გრიბოედოვი პეტერბურგში ჩაიყვანეს. იგი არმიის მთავარი შტაბის ჰაუპტვახტში იჯდა, რამდენიმეჯერ გაიყვანეს დაკითხვაზე. იმპერატორი საბოლოოდ დაარწმუნეს, რომ გრიბოედოვი არ იყო დაკავშირებული დეკაბრისტებთან. ამის გამო 1826 წლის 2 ივნისს სამხედრო მინისტრი მთავარი შტაბის მორიგე გენერალ პოტაპოვს სწერდა: „Государь император высочайше повелеть соизволил освободить с аттестатом содержащегося при главном штабе под арестом коллежскаго ассесора Грибоедова, который был взят по подозрению в принадлежности к тайному обществу, но по изследованию оказался к тому неприкосновенным".[2]

ა. ს. გრიბოედოვი გაათავისუფლეს. ამასთან მას მისცეს გამართლების ატესტატი და უბოძეს 250 ჩერვონეცი.[3]

ჰქონდა თუ არა ა. ს. გრიბოედოვს ურთიერთობა დეკაბრისტებთან?

პეტერბურგში ყოფნისას გრიბოედოვი მოხვდა დეკაბრისტების წრეში. იგი ხშირად ხვდებოდა ტრუბეცკოის, რილეევს, ობოლენსკის, კახოვსკის და ჩრდილოეთის საზოგადოების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს. 1825 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ჩადის კუხელბეკერი, რომელსაც გრიბოედოვი ჯერ კიდევ კავკასიაში ყოფნისას დაუკავშირდა.

ა. ს. გრიბოედოვი, მსგავსად დეკაბრისტებისა, აუცილებლად მიიჩნევდა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობასა და თვითმპყრობელობის დამხობას რუსეთში. მაგრამ იგი სკეპტიკურად უყურებდა სამხედრო შეთქმულების გზით ამის მიღწევას. გრიბოედოვს მიაწერენ ირონიულ ფრაზას, რომელსაც თურმე ხშირად იმეორებდა იგი: „Сто прапорщиков хотят изменить весь государственный быт в России".[4] ა. გრიბოედო-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. 36, оп. 4/847, св. 16, д. 112, л. 3.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე, ფურც. 12.

[4] История русской литературы XIX в. (первая половина), под редакцией С. М. Петрова. изд. четвертое, стр. 153, М., 1973 г.

ვი ეჭვს გამოთქვამდა ასეთი შეთქმულების გზით გამარჯვების შესაძლებლობაზე. მართლაც, იყო თუ არა ა. ს. გრიბოედოვი დეკაბრისტული საზოგადოების ფორმალური წევრი? ამის შესახებ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში, რომელიც დეკაბრისტებსა და გრიბოედოვს მიეძღვნა, აკად. მ. ვ. ნეჩკინა წერს: „Можно смело утверждать, Грибоедов знал о замыслах декабристов и готовящемся выступлении. „Северная дума" имела суждение о Грибоедове и вынесла решение о принятии его в члены тайного общества. Нет сомнения, что Грибоедов был связан с ним организационно, только Рылеев сознательно оставил принятие Грибоедова не оформленным, „ не совершенным", потому что „жалел подвергнуть опасности такой талант".[1]

კომისია, რომელიც ა. ს. გრიბოედოვის საქმეს იკვლევდა, დარწმუნებული იყო, რომ იგი დეკაბრისტების თანამონაწილე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამის დამამტკიცებელი უშუალო საბუთი არ აღმოჩნდა. ნიკოლოზ I, რომელიც პასკევიჩს თაყვანს სცემდა, თანახმა იყო, არ გაენაწყენებინა ის და მისი მეუღლის ბიძაშვილი ა. ს. გრიბოედოვი გაეთავისუფლებინა პატიმრობიდან სპეციალური ატესტატით, მაგრამ ამასთან ერთად მის მიმართ დაეწესებინა პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობა.

მთავარი შტაბის ჰაუპტვახტში თავისი პატიმრობის შესახებ ა. ს. გრიბოედოვი წერდა:

„По духу времени и вкусу,
Он ненавидел слово „раб"...
За то попался в Главный штаб
И был притянут к Иисусу".[2]

გარდა ა. ს. გრიბოედოვისა, იმპერატორის 1826 წლის 8 იანვრის ბრძანებით დააპატიმრეს ერმოლოვის ადიუტანტი შტაბსკაპიტანი ვოეიკოვი, რომელიც შვებულებით იმყოფებოდა პეტერბურგში. ნიკოლოზ I-ს სურდა, შეემოწმებინა თავისი ეჭვები კავკასიაში დეკაბრისტთა საიდუმლო საზოგადოების არსებობის შესახებ. მას საამისოდ ზოგიერთი უსაფუძვლო ცნობა გააჩნდა, კერძოდ, ყოფილი გენერლის თავად ვოლკონსკის ჩვენება, რომელიც ყოფილი კაპიტნის იაკუბოვიჩის სიტყვებს ემყარებოდა. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დეკაბრისტების საქმეს იკვლევდა, დაადგინა, რომ კავკასიაში საიდუმლო საზოგადოება არ არსებობდა. სამხედრო მინისტრის წერილში, რომელიც 1826 წლის

---

1 М. В. Нечкина. А. С. Грибоедов и декабристы, М., 1951, стр. 470.

2 „А. С. Грибоедов и воспоминания современников" М. 1929, стр. 18.

2 ნოემბრითაა დათარიღებული და გენერალური შტაბის მორიგე გენერალს პოტაპოვს გაეგზავნა, ნათქვამია: Адъютант генерала от инфантерии Ермолова Лейб-гвардии Измайловского полка штабс-капитан Воейков, был взят по подозрению о принадлежности к тайному обществу в Кавказском корпусе, о существовании коего сделано было показание бывшим генерал-майором князем Волконским со слов бывшего капитана Якубовича... По исследовании оказалось, что в Кавказском корпусе тайного общества не существовало... Почему вследствие представления комиссии для изыскания о злоумышленном обществе Воейков по высочайшему повелению освобожден из под ареста с аттестатом 20 февраля сего года".[1]

როგორც მოყვანილი ფაქტები მეტყველებენ, რუსეთის ხელისუფლებას ოფიციალური კვლევა-ძიების შედეგები არავითარ საფუძველს არ აძლევდა, ერმოლოვის კორპუსში ფარული საზოგადოების არსებობა დაემტკიცებინა.

ერმოლოვს აყვედრიდნენ დეკაბრისტ ვ. კ. კუხელბეკერთან მეგობრობას. კუხელბეკერი თბილისში 1821 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. იგი უახლოესი მეგობარი იყო ა. ს. გრიბოედოვისა, ერმოლოვს კი ორივესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. კუხელბეკერმა ცოტა ხანს დაყო კავკასიაში, შემდეგ კი იგი პეტერბურგში დაბრუნდა და მთელ წელიწადს ცხოვრობდა თავისი დის მამულში. 1823—1824 წლებში მოსკოვში იმყოფებოდა, ხოლო 1825 წლის აპრილში პეტერბურგში გადასახლდა და დეკაბრისტების გამოსვლის წინა დღეს ჩაება ფარულ ორგანიზაციაში.

14 დეკემბერს ვ. კუხელბეკერი მონაწილეობდა გამოსვლაში სენატის მოედანზე. მას ბრალი ედებოდა მიხეილ რომანოვის მოკვლის განზრახვაში. პირველად კუხელბეკერის სახელი, როგორც დეკაბრისტთა აჯანყების მონაწილისა, ნიკოლოზ I-ს დაუსახელა სუტჰოფმა 14 დეკემბრის საღამოს, ხოლო ეს ცნობა 16 დეკემბერს დაადასტურა რილეევმა. კუხელბეკერი გაიქცა პეტერბურგიდან. მას დაეძებდნენ მეფის ჯაშუშები. ხმა დაირხა, რომ „Кюхельбекер скрывается в Петербурге между обществами армян и грузин, прибывших из Грузии, где он служил"[2] მეძებართა ერთი ნაწილი, მართლაც, პეტერბურგელ ქართველებსა და სომხებში ეძებდა კუხელბეკერს, თუმცა ამაოდ. კუხელბეკერმა სცადა საზღვარგარეთ გაქცევა, მაგრამ ვერ მოახერხა. 1826 წლის 19 იანვარს ის ვარშავაში დააპატიმრეს. მთავრობის სასტიკი განაჩენით დეკაბრის-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. 36, оп. 4/847, св. 12, д. 13, л. 6 и об.

[2] ი ბ ი დ ე, д. 25, л. 5.

ტული მოძრაობის ბელადები, როგორც ცნობილია, ჩამოახრჩვეს. კუხელბეკერს ჯერ სიკვდილით დასჯა მიესჯა, რაც მონარქის „წყალობით“ 20 წლის კატორღით შეეცვალა, ხოლო შემდეგ კატორღის ვადა 5 წლით შეუმცირეს და სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში, სადაც ის 1846 წლის 11 აგვისტოს ჭლექით გარდაიცვალა.

აი ვისთან კავშირსა და მეგობრობას აყვედრიდნენ ერმოლოვს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მის მიმართ უნდობლობას. ნიკოლოზ I მას მეტისმეტად არასაიმედო პიროვნებად მიიჩნევდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კოლეგიის ასესორი ა. ს. გრიბოედოვი და ერმოლოვის ადიუტანტი შტაბსკაპიტანი ვოეიკოვი სპეციალურმა კომისიამ გაამართლა, მაგრამ ნიკოლოზ I-ს მაინც ღრმად სწამდა, რომ კავკასიაში საიდუმლო საზოგადოება არსებობდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მან საიდუმლო დავალება მისცა ირანში გამგზავრების წინ თავად მენშიკოვსა და თავად ბარტოლომეის, რათა მათ შეესწავლათ კავკასიის კორპუსში ოფიცერთა და ჯარისკაცთა სულიერი განწყობილება. მენშიკოვს ცხარე საუბარი ჰქონდა ერმოლოვთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ერმოლოვი კატეგორიულად უარყოფდა მთავრობის საწინააღმდეგო რაიმე საიდუმლო საზოგადოების არსებობას კავკასიაში. ჯერ კიდევ 1826 წლის 12 მარტს მენშიკოვი მოზდოკიდან ნიკოლოზ I-ს სწერდა: „Тайныя общества в Кавказском корпусе генерал Ермолов полагает решительно не существующим, и в особенности утверждает свое мнение на физической невозможности часто собираться и на беспрерывное занятие войск и удаление от праздности деятельною службою“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ დეკაბრისტებს მრავალი თანამგრძნობი ჰყავდათ კავკასიის კორპუსში, საიდუმლო საზოგადოება ნამდვილად არ არსებობდა. მენშიკოვი იმავე წერილში იმპერატორს სწერდა: „В местах — на пути моем, лежавших духа вольнодумства и неповиновения, я не заметил, как в войсках, так и в обывателях и по доходящим до меня сведениям не предполагаю оного на Кавказской линии“.[2]

დასახელებული საბუთი მაინც არ იძლევა ნათელ წარმოდგენას ამიერკავკასიაში დისლოცირებული ჯარის პოლიტიკური განწყობილების შესახებ. მოზდოკიდან გენერალი მენშიკოვი თბილისს გაემგზავრა. როგორც ცნობილია, იგი ირანს მიემგზავრებოდა შაჰთან მოსალაპარაკებლად საღავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მიზნით.

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4288, л. 6 и об., 7, 8.

[2] იქვე.

თბილისში ჩამოსული მენშიკოვი დეტალურად გაეცნო რუსეთის კორპუსის ცალკეულ ნაწილებს, საბრძოლო მომზადებას, პოლიტიკურ განწყობილებას, ჯარის მომარაგებას. იგი ცდილობდა, ზუსტად შეესრულებინა იმპერატორის დავალება და მიეცა სრული ინფორმაცია. მენშიკოვი 1826 წლის 30 აპრილს თბილისიდან იმპერატორს სწერდა: „Нравственное расположение войск по всем сведениям до меня дошедшим и по-видимому мною весьма хорошее и буде есть люди зараженные духом неповиновения и вольнодумства, то число их должно быть весьма ничтожно. Деятельное употребление войск обращает их стремление на предметы служебные и вообще разговоры офицеров между собою, равно как и нижних чинов ограничиваются местным кругом их бытия и действия.

Статских чиновников, занимающихся политическими суждениями, не встречал в Тифлисе. Грузинское дворянство по необразованности своей еще меньшею имеет к тому склонность".[1]

მენშიკოვის ცნობით, იყვნენ ჯარში ისეთებიც, რომლებსაც დაუმორჩილებლობის სულისკვეთება ამოძრავებდათ და რომლებიც თავისუფლად აზროვნებდნენ. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. დეკაბრისტების აჯანყებამ იმდენად დიდი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ ის უთუოდ გავლენას მოახდენდა კავკასიის კორპუსის ოფიცერთა და ჯარისკაცთა ერთ ნაწილზე, ამასთან, კავკასიაში დეკაბრისტების გადმოსახლება თავისთავად ახალი ეტაპი უნდა ყოფილიყო კავკასიის კორპუსის ისტორიაში.

როგორც ცნობილია, ირანს მიმავალ მენშიკოვის მისიას იმპერატორმა დაავალა კავკასიის კორპუსის ჯარისკაცთა და ოფიცერთა განწყობილებისა და საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის შესწავლა, მას დეტალურად უნდა მოეხსენებინა იმპერატორისათვის „Дух войск и их начальников".[2] ამავე მიზნით პოლკოვნიკი ბარტოლომეი შავი ზღვით ჩავიდა დასავლეთ საქართველოში და გაეცნო სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში დაბანაკებული ჯარის ნაწილებს. იგი უკმაყოფილო დარჩენილა ოფიცერთა კადრის ერთი ნაწილით, რომელიც მას მთავრობისათვის საიმედოდ არ მიუჩნევია. ბარტოლომეის პატაკში ამის შესახებ ვკითხულობთ: „Большая половина офицеров выписана за дурное поведение или выпущена из кадетских корпусов, как худшие против прочих, и потому или буйного и неспокойнаго нрава,... или пьяницы".[3]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4288, л. 9 и об.

[2] ЦГАДА СССР, ф. Разряд XI, д. 1181—1183, л. 13.

[3] იქვე, ფურც. 14.

ჯერ კიდევ ადრე, დეკაბრისტების გამოგზავნამდე, მსახურ ოფიცერთა და ჯარისკაცთა ერთი ნაწილი მთავრობის მიმართ ოპოზიციური განწყობილების გამო გამოიგზავნა შორეულ კავკასიაში. ისინი ან თავიანთი პოლიტიკური შეხედულებით იყვნენ უცხონი მთავრობისათვის, ანდა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა და ჯარისკაცთა მღელვარებაში მონაწილეობდნენ. ამიტომაც არ მოსწონებია შორეულ კავკასიაში გადმოხვეწილთა საქციელი იმპერატორის ერთგულ პოლკოვნიკს მომავალ გენერალს ბარტოლომეის.

კავკასიაში იგზავნებოდნენ პოლიტიკურად ოდნავ ეჭვმიტანილებიც. მიუხედავად იმისა, რომ საგამომძიებლო ორგანოებს ოფიციალურად დამნაშავედ არ უცნიათ, 1826 წელს კავკასიაში გადმოასახლეს კაპიტანი ვ. დ. ვულხოვსკი და პოლკოვნიკი ნ. ნ. რაევსკი. არაკჩეევშინა ოდნავაც ვერ ითმენდა თავისუფალ აზრს.

კავკასიაში დეკაბრისტების გამოგზავნას მოჰყვა მათ მიმართ ზედამხედველობისა და კონტროლის მეტისმეტად გაძლიერება. ცარიზმს ჯარში თავისი ჯაშუშები ჰყავდა, რომლებიც სისტემატურ დაზვერვას ახდენდნენ და საჭირო მასალებს აწვდიდნენ მთავრობას. ცნობილია, რომ დეკაბრისტების შესახებ ალექსანდრე I-ს აუწყა უნტეროფიცერმა შერვუდმა. ფარული საზოგადოების გამცემი იყო აგრეთვე კაპიტანი მაიბოროდა. მათ კავშირი ჰქონდათ არაკჩეევთან.

როგორც ცნობილია, 1829 წელს კავკასიაში იმოგზაურა დიდმა რუსმა პოეტმა ა. ს. პუშკინმა. მის მოგზაურობას მთავრობა საგანგებო მეთვალყურეობას უწევდა. 1828 წლის 12 მაისს ბარონი ოსტენ-საკენი სამხედრო გუბერნატორს გენერალ სტრეკალოვს შემდეგს სწერდა: „Известный стихотворец, отставной чиновник X класса, Александр Пушкин отправился в марте месяце из С.-Петербурга в Тифлис, а как по Высочайшему Е. И. В. повелению состоит он под секретным надзором, то приказание е. с. (гр. Паскевича), имея честь донести о том В. пр., покорнейше прошу не оставить распоряжением вашим о надлежащем надзоре за ним по прибытии его в Грузию“.[1]

ამის საფუძველზე სტრეკალოვმა 1829 წ. 14 მაისს დაავალა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს, რომ პუშკინის ჩამოსვლისთანავე დაეწესებინა მის მოგზაურობაზე მკაცრი მეთვალყურეობა და საიდუმლოდ შეესწავლა მისი მოქმედების ყოველი დეტალი. მართლაც, პუშკინი ადგილობრივ ხელისუფლებას მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლია. ჟანდარმთა შეფი ბენკენდორფი დიდად შეუწუხებია ცნობას იმის შესახებ, რომ თავისუფლების მომღერალი პოეტი თბილისიდან ერზერუმს გაემგზავრა

[1] Акты, т. VII, д. 922, стр. 954—955.

და მკაცრად ითხოვდა სტრეკალოვისაგან, ეცნობებინა მისთვის, თუ ვისი ნებართვით წავიდა პუშკინი ერზერუმს.

პოეტი ერზერუმს მიდიოდა თავისი ძმის ლევ პუშკინის სანახავად, მაგრამ ბენკენდორფი ვარაუდობდა, რომ ის იქ შეხვდებოდა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ დეკაბრისტებსაც, რომელთა შორის ბევრი იყო პოეტის პირადი მეგობარი ან ახლო ნაცნობი. ბენკენდორფმა კარგად იცოდა ა. ს. პუშკინის სიმპათია დეკაბრისტებისადმი, მისი თავისუფალი აზრი და მხატვრული სიტყვის ძალა.

სტრეკალოვს ბენკენდორფის დავალებით გაურკვევია, თუ ვისი ნებართვით გაემგზავრა ერზერუმს ა. ს. პუშკინი და მისთვის შემდეგი პასუხი გაუცია: „Имея в виду Высочайшее Е. И. В. повеление о состоянии Александра Пушкина под надзором правительства, я кроме предписания Тифлисскому гражданскому губернатору наблюдать за его поведением, лично обращал на образ его жизни надлежащее внимание. Путешествие же из Тифлиса в Эрзерум произведено им по дозволению гр. Паскевича, изъясненному в предписании его ко мне от 8 июня, № 194“.[1]

ერზერუმიდან პუშკინი თბილისში აგვისტოს დასასრულს დაბრუნდა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა. თბილისიდან ა. ს. პუშკინის გამგზავრების წინ სტრეკალოვს მოსკოვის სამხედრო გენერალ-გუბერნატორისათვის უცნობებია, რომ იმპერატორის ბრძანებით პოეტის მიმართ დაწესებული იყო საიდუმლო ზედამხედველობა და მას, როგორც მოსკოვის სამხედრო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს, არ უნდა გამორჩენოდა მასზე ზედამხედველობის გაგრძელება.

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ შეხვდნენ დეკაბრისტები ა. ს. პუშკინს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი შეხვედრა გულთბილი იქნებოდა.

ზედამხედველობის არაკეთილი სისტემა იმას მეტყველებს, თუ როგორ იდევნებოდა რუსეთში თავისუფალი აზრი, როგორ ავიწროებდნენ მოწინავე ადამიანებს ცარიზმის მოხელეები. ა. ს. პუშკინის მიმართ ასეთი მკაცრი მეთვალყურეობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზეც, თუ რა მძიმე პირობებში უნდა ყოფილიყვნენ ის დეკაბრისტები, რომლებიც კავკასიის კორპუსში მსახურობდნენ.

მართალია, მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს, მაგრამ მან ვერ შეძლო თავისუფალი აზრის ჩახშობა. პირიქით, არაკეთილისა და ბენკენდორფის მიერ დამკვიდრებულმა სისხლიანმა ტერორმა არა თუ ვერ მოსპო, არამედ გააძლიერა კიდევაც სიძულვი-

---

[1] Акты, т. VII , д. 923, стр. 955.

ლი თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის მიმართ. დეკაბრისტთა იდეები იპყრობდა მოწინავე ადამიანთა გონებას. მთავრობა შიშობდა, რომ კავკასიაში დიდი რაოდენობით დეკაბრისტთა გაგზავნას არასასურველი შედეგები მოჰყვებოდა. კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდლობას პეტერბურგიდან აფრთხილებდნენ, დაეწესებინა მკაცრი ზედამხედველობა დეკაბრისტებზე, რომ მათ ერთმანეთთან კავშირი არ დაემყარებინათ ან რაიმე ზეგავლენა არ მოეხდინათ კორპუსის სხვა მებრძოლებზე.

მიუხედავად ამისა, ისინი, როგორც ირკვევა, ახერხებდნენ საღამოებზე ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან შეხვედრას. მთავრობა კრძალავდა ოფიცერთა სადილებზე დეკაბრისტების მიწვევას, რადგანაც შეხვედრებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით ნათელი მოეფინებოდა შეთქმულთა მიზნებსა და ამოცანებს, რაც, ბუნებრივია, გაზრდიდა მათ თანამგრძნობთა რიცხვს კავკასიის კორპუსში, სადაც ისედაც დიდი რაოდენობით იყვნენ დეკაბრისტები. დეკაბრისტების პროგრამის პოპულარიზაცია ჯარში და ისიც მაშინ, როცა ირანთან ომი მიმდინარეობდა, მთავრობას მავნე საქმედ მიაჩნდა. ამიტომ, ცხადია, შემთხვევითი როდია, რომ რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსი ბარონი დიბიჩი 1827 წლის 19 მარტს ნიკოლოზ I-ს თბილისიდან უგზავნის წერილს, რომელიც საყურადღებო ცნობას იძლევა სამხედრო წოდებააყრილი დეკაბრისტი ოფიცრებისა და კავკასიის კორპუსში მომსახურე ოფიცერთა ერთი ჯგუფის ერთობლივი სადილობის შესახებ. ამ წერილში ვკითხულობთ: „Я узнал, что здесь на некоторых обедах офицерских были званы Оржицкий, Пущин и Коновницын. Первый уже отправлен в полк, и мною дано на щет его полковнику Раевскому должное наставление; последние два находятся по просьбе подполковника Еврейного в 8-м пионерном баталионе, где служба их точно может быть полезна; однако я со всею строгостью заметил подполк. Еврейному, что одна сия польза ни мало не должна выводить их из того состояния, в которое они, единственно милостью В. В. для того поставлены, чтобы кровью могли заслужить монаршее снисхождение. Я равномерно нашел приличным назначить порутчика Де-Прерадовича адъютантом к Г. В. Бенкендорфу, ибо полагаю, что таковое назначение могло бы вести к подобным же представлениям. Об участвовавших в означенных обедах, как в прочем по собранным по ним сведениям, не имели ни

малейшей непозволительной цели, я узнаю подробнее и донесу В. И. В.“[1]

საარქივო მასალების გაცნობა გვარწმუნებს, რომ კავკასიის კორპუსის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა იცოდნენ პეტერბურგში მომხდარი აჯანყების ამბავი და ისინი ხშირად ცნობისმოყვარეობით ხვდებოდნენ გადმოსახლებულ დეკაბრისტებს.

ბარონი დიბიჩი განსაკუთრებული ყურადღებით ცდილობდა, დეტალურად შეესწავლა კორპუსის ოფიცრებთან დეკაბრისტების ურთიერთობა, ზემოაღნიშნული სადილის მონაწილეთა ვინაობა და მათი საუბრის თემა. მთავრობის მიერ დაწესებული იყო „строгое и неусыпное наблюдение за тем, чтобы сосланные на Кавказ не могли распространять между товарищами каких-либо вредных толков“.[2]

მართლაც, სულ მალე დიბიჩი გაეცნო ვითარებას და 1827 წლის 23 მარტს დაპირებისამებრ იმპერატორს უგზავნის მოხსენებას, სადაც ვკითხულობთ: „На щет обеда, о котором я доносил вашему императорскому величеству и на котором находились: из разжалованных по происшествию 14 декабря один только Оржицкий и выписанный из Лейб-гвардии Преображенского полка Шереметьев, по всем собранным сведениям на оном совершенно ничего дурного не происходило. На сем обеде, кроме их были: Лейб-гвардии Московского полка офицеры: Веригин и Бутурлин, корнет князь Суворов и адъютант генерала Паскевича Фелкерзам. Обед сей был в трактире и Оржицкий в особенности ни кем зван не был. Адъютант Г. М. Давыдова Ломоносов и числившийся по армии полковник Брюнь пришли сами без приглашения.

Я приказал всем оным офицерам заметить неприличие обедать с разжалованным рядовым, еще более адъютанту моему Бухольцу, который хотя и не был на сем обеде, но имел непростительную легкомыслие принять Оржицкого в свою квартиру. Затем Оржицкий, не подавший однако никакого повода к попреканию начальства, отправлен, как я уже пред сим доносил, в свой полк и полковнику Раевскому дано мною настав-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4323, л. 45 об.

[2] Е. В. Вейдебаум. Декабристы на Кавказе. Русская старина, № 6, стр. 484, 1903 г. Отношение Дибича от 27 октября 1827 года.

ление вообще об образе обхождения со всеми подобными, коих во вверенном ему полку достаточное число".[1]

ბარონი დიბიჩი იმპერატორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ 14 დეკემბრის „შემთხვევის" მონაწილეთაგან სადილზე იყო მხოლოდ და მხოლოდ ორჟიცკი და ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკიდან გარიცხული შერემეტიევი, რომელიც არასაიმედო პირთა შორის ირიცხებოდა. სადილზე, როგორც თვითონ დიბიჩი იუწყება, მთავრობის საწინააღმდეგო თემაზე ლაპარაკი არ ყოფილა. იქ მყოფთა შორის დასახელებული არიან ლეიბ-გვარდიის მოსკოვის პოლკის ოფიცრები, ვერიგინი და ბუტურლინი და აგრეთვე თვითონ პასკევიჩის ადიუტანტი ფელკერზამი, პოლკოვნიკი ბრიუნი, დავიდოვის ადიუტანტი ლომონოსოვი და სხვ.

თვით ბარონ დიბიჩის ადიუტანტი ბუხჰოლცი, მართალია, არ ყოფილა ამ სადილზე, მაგრამ მას თავის ბინაზე მიუღია ორჟიცკი. ბარონი დიბიჩი იძულებული გამხდარა, თავისი ადიუტანტის ასეთი მოქმედების გამო თავი ემართლებინა იმპერატორის წინაშე. იქნებ ამითაც უნდა აიხსნას მტკიცება, რომ სადილზე პოლიტიკურ თემაზე ლაპარაკს ადგილი არ ჰქონდაო. დასტურდება, რომ დეკაბრისტების ბედით დაინტერესებული იყვნენ არმიის როგორც რიგითი ჯარისკაცები, ასევე ზედაფენის წარმომადგენლები.

ერმოლოვი დეკაბრისტებს თანაუგრძნობდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, იგი დეკაბრისტების საქმიანობის აქტიური მონაწილე არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მას დიბიჩთან საუბარში თავის მართლება დასჭირდა, რომ იგი არ ყოფილა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაბმული. დიბიჩი ერმოლოვთან საუბრის შედეგებს იმპერატორს მოახსენებდა და აღნიშნავდა: „Он, как я уверен, с полною откровенностью жаловался на несчастие свое, что некоторыя ошибки молодых его лет, никогда против правительства, но против начальников, как ему казались несправедливыми, а более всего, как он полагает, вражденное ему снисходительное обращение, особливо с молодыми людьми, в коих он замечает особенныя дарования, вели к оскорбительному заключению, что он может быть причастен подобным мыслям".[2]

ერმოლოვი თავის დიდ დამსახურებად თვლიდა, რომ კავკასიის კორპუსში ადგილი არ ჰქონია მთავრობის საწინააღმდეგო არც ერთ გამოსვ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4323, л. 63 и 63 об. Ср. там же, д. 4326, л. 138, 138 об.

[2] იქვე, ფურც. 45 об и 46.

ლას. დიბიჩი იმპერატორს სწერდა ერმოლოვის შესახებ: „Он считает себя оправданным. То, что ни один из его окружающих в столь отдаленном краю, и даже ни один из его корпуса не был замешан в гнусных замыслах, ибо Якубович был уговорен Волконским, тот час удалился из корпуса, а Кюхельбекер он же сам, по весьма коротком здесь нахождении, выслан, отрекомендовав князю Волконскому, как вольнодумца и весьма порочного молодого человека".[1]

ახალგაზრდობისას პავლე I-ის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში კომპრომეტირებულმა ერმოლოვმა, როგორც ირკვევა, საბოლოოდ უარი თქვა აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაზე მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა მას თავის ლიბერალურ შეხედულებებზე ხელი არ აუღია. იგი ცდილობდა, თავისი ლოიალური საქმიანობა ისე შეეხამებინა არსებულ სინამდვილესთან, რომ ზიანი არ მოეტანა თავისი მაღალი მდგომარეობისათვის. ერმოლოვი მეტისმეტად ფრთხილად მოქმედებდა; მიუხედავად იმისა, რომ თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს, როცა პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა 1825 წლის 30 დეკემბერს ყველგან დაგზავნა ბრძანება პეტერბურგიდან გაქცეული კუხელბეკერის დაპატიმრების შესახებ, ერმოლოვმა კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ველიამინოვს უბრძანა, თუ კუხელბეკერი კავკასიაში სადმე გამოჩნდებოდა, ზომები მიეღო მისი დაპატიმრებისათვის.

ერმოლოვი დეკაბრისტებს შორის ცნობილი იყო, როგორც ლიბერალური მოაზროვნე, მამაცი და ჯარისკაცებთან ახლო მდგომი გენერალი. საგულისხმოა, რომ ცარიზმის დამხობის შემთხვევაში დროებითი მთავრობის შემადგენლობაში დეკაბრისტები ვარაუდობდნენ ა. პ. ერმოლოვის შეყვანასაც.

კავკასიაში ყოფნისას ბარონი დიბიჩი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ერმოლოვს არავითარი კავშირი არ ჰქონდა დეკაბრისტებთან და მის მიმართ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლო იყო. დიბიჩი იმპერატორს სწერდა: „Во все время моего здесь пребывания я удостоверился более, что обвинение ген. Ермолова в сем отношении есть совершенно не основательно".[2]

იმპერატორს, ცხადია, თავისი მოსაზრებანი ჰქონდა ერმოლოვის მიმართ.

ბარონმა დიბიჩმა მიიღო იმპერატორის მტკიცე დავალება, ერთხელ კიდევ საბოლოოდ შეემოწმებინა ლეიბ-გვარდიის ნაკრები პოლკი („Сво-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4323, л. 45 об и 46.

[2] ibid.

дный полк"), რომელიც დეკაბრისტებისაგან იყო დაკომპლექტებული, და შედეგი პირადად მისთვის მოეხსენებინა. დადასტურდა, რომ პოლკი თავისი სამწყობრო მომზადების, ჩაცმა-დახურვის, საყარაულო სამსახურის, საბრძოლო მომზადებისა და სხვა მხრივ საუკეთესო იყო.

დიბიჩი 1827 წ. 9 მარტს იმპერატორს აუწყებდა: „При отличном командовании полковника Шитова, везде и во всех отношениях существует в полной мере желаемый порядок".[1]

მიუხედავად იმისა, რომ დეკაბრისტებს აყრილი ჰქონდათ სამხედრო წოდება, ზოგიერთ მათგანს კავკასიის კორპუსში მაღალი თანამდებობა ეჭირა. მაგალითად, პოლკის მეთაურები იყვნენ ყოფილი პოლკოვნიკები ბურცოვი და ლემანი, ყოფილი პოდპოლკოვნიკი მიკლაშევსკი, ხოლო ვოლხოვსკის ობერ-კვარტირმაისტერის თანამდებობა ეჭირა.[2] მათი ფართო განათლებისა და დიდი ნიჭის გამო კავკასიის კორპუსის სარდლობა იძულებული იყო, ასეთ დათმობაზე წასულიყო. კავკასიაში გადასახლებულთა შორის თავისი სამხედრო-თეორიული მომზადებით გამოირჩეოდა ბურცოვი, რომელიც არაერთი მნიშვნელოვანი და აღიარებული შრომის ავტორი იყო. აღსანიშნავია აგრეთვე ისკრიცკი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა თურქეთთან ომში. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყარსისათვის ბრძოლაში. მისი პიროვნებით დაინტერესდა პასკევიჩი, რომელმაც ის სასაუბროდ თავის ბინაზე დაიბარა. პასკევიჩი გააოცა ისკრიცკის ფართო სამხედრო განათლებამ.[3]

ირანთან ომში არაერთმა დეკაბრისტმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა ისახელა თავი. ისინი ამჟღავნებდნენ ღრმა სამხედრო ცოდნას და აგრეთვე დიდ ორგანიზატორულ ნიჭს. ერევნის ოპერაციის დროს საინჟინრო საქმეს განაგებდა მ. ი. პუშჩინი, ლეიბ-გვარდიის ცხენოსან-მესანგრეთა ესკადრონის ყოფილი მეთაური. მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა ერევნის აღებაში. დეკაბრისტ ა. ს. განგებლოვის თქმით, იგი ხელმძღვანელობდა „и мелкими, и крупными работами, от вязания фашин и туров, от работ киркой и лопатой до устройства переправ и мостов, до трасировки и возведения укреплений, до ведения апрошей и кроме того, исполнял множество важных поручений. Он же в той же солдатской шинели присутствовал на военных советах

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4326, л. 113.

[2] Воспоминания декабриста Александра Семеновича Гангеблова. М. 1888 г, стр. 196—197.

[3] იქვე, გვ. 198.

у главнокомандующего, где его мнения почти всегда одерживали верх".[1]

ირანთან ომის დამთავრების შემდეგ პუშჩინი იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ და მძიმედ დაიჭრა. იმავე განგებლოვის თქმით, „Штурм Ахалциха положил конец его деятельности: там (как и на других штурмах, впереди штурмовой колоны) Пущин был ранен пулею в грудь на вылет".[2] მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, პუშჩინი ცოცხალი გადარჩა.

მ. ი. პუშჩინთან ერთად ირანის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ ჯარისკაცებად განწესებული დეკაბრისტები: პ. კონოვნიცინი, ნ. ორეიცკი, პ. ბესტუჟევი, ფ. ვიშნევსკი, მუსინ-პუშკინი, ნ. კოჟევნიკოვი და სხვ.

ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობისა და მამაცობის დიდ მაგალითს იძლეოდნენ დეკაბრისტი ჯარისკაცები და თეიცრები.

ომის გაგრძელებამ, ოსმალეთთან ატეხილმა ახალმა ომმა მებრძოლთა დიდი ოოდენობა მოითხოვა. ნიკოლოზ I-ის განკარგულებით ციმბირიდან კავკასიაში მოჰყავდათ დეკაბრისტთა რაზმები. საგულისხმოა ამის შესახებ დეკაბრისტ ა. განგებლოვის მოგონება, რომელიც ეხება ერზერუმის აღების მომენტში ციმბირიდან დეკაბრისტთა ახალი ჯგუფის ჩამოსვლას. იგი იუწყება: „К этому времени вновь прибыли из Сибири Зах. Григ. Чернышев, Александр Бестужев и Вал. Голицын, с которым в Пажском корпусе мы вместе проходили все классы и в один год были выпущены".[3]

ა. განგებლოვი საგანგებოდ ეხება ბრძოლის ველზე დეკაბრისტთა გმირობას, რის გამოც, ისინი მიუხედავად ჩადენილი დანაშაულისა, მთავრობის ჯილდოებს იმსახურებდნენ: „Все декабристы в обе войны, как персидскую так и турецкую, служили одинаково ревностно и были награждаемы".[4] თუმცა მეფის მთავრობა, ბუნებრივია, ყოველთვის როდი აჯილდოებდა მათ დამსახურების მიხედვით. დეკაბრისტი ა. ფოკი ახალციხის ბრძოლაში განსაკუთრებული მამაცობისათვის გიორგის ვერცხლის ჯვრით დააჯილდოვეს. ბევრი იყო მსგავსი შემთხვევა კავკასიის ფრონტებზე. დეკაბრისტების დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

---

[1] Воспоминания декабриста Александра Семеновича Гангеблова, М., 1883 г., стр. 258, შდრ. ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 91—99.

[2] იქვე, ფურც. 199—200.

[3] იქვე, ფურც. 188—189.

[4] იქვე, ფურც. 196—197.

იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ განუზომლად დიდი უნდა ყოფილიყო მათი საბრძოლო დამსახურება ქვეყნის წინაშე.

დეკაბრისტების გმირული შემართება ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ირანელებსა და თურქებთან ომების ობიექტურად პროგრესული ხასიათით. ცნობილია, რომ მათ წინააღმდეგ მებრძოლი ცარიზმი ცდილობდა საკუთარი იმპერიის საზღვრების გაფართოებას, სხვათა ტერიტორიების დაპყრობას და ხალხების დამორჩილებას; ეს ომები ორივე მხრივ ყაჩაღური, დამპყრობლური ხასიათის მატარებელი იყო, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ ომებში რუსეთი ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდა. ის შუასაუკუნეობრივი, ბარბაროსული ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან კავკასიის ხალხების გამათავისუფლებლის როლს ასრულებდა. ამით კავკასიის ხალხების ფიზიკური განადგურების საფრთხე ისპობოდა და რუს ხალხთან მათს მეგობრობას მყარი საფუძველი ეყრებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ დეკაბრისტები, რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ეს საუკეთესო წარმომადგენლები, თავდაუზოგავად იბრძოდნენ კავკასიის ხალხების ისტორიული მტრების — ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. მეფის თვითმპყრობელობის მიერ შერისხული დეკაბრისტები კიდევ უფრო მეტ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ კავკასიის ხალხებისაგან.

სამამულო ომში გამარჯვებული ახალგაზრდობა პეტერბურგში რომ დაბრუნდა, აშკარად გამოიკვეთა „ორი ბანაკის", ორი თაობის დაპირისპირება. ძველი თაობა, ანუ „მოხუცთა" ბანაკი, ეკატერინე II-ის ტრადიციებზე იყო აღზრდილი და მას სრულებითაც არ ეთაკილებოდა რუსეთის მომაკვდინებელი ჩამორჩენილობა, უცხოურისადმი მონური ქედის მოხრა. თავის თავს ეს პატივმოყვარე არისტოკრატია პატრიოტად ასაღებდა.

სწორედ ამ ბანაკს დაუპირისპირდა სამამულო ომში დავაჟკაცებული მოწინავე ახალგაზრდობა, რომელიც ვეღარ იტანდა მეფის რუსეთის არაადამიანურ და სულისშემხუთველ რეჟიმს.[1]

პეტერბურგში სასტიკი და უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა ამ ორ ბანაკს შორის. ძველსა და ახალს შორის ეს დაპირისპირება და კონფლიქტი შესანიშნავად ასახა დიდმა რუსმა პოეტმა ა. ს. გრიბოედოვმა თავის გენიალურ პოემაში „ვაი ჭკუისაგან". კავკასიაში მყოფი დეკაბრისტები ჩაცკის სახით ხედავდნენ ახალი რუსეთის წარმომადგენელს, იქნებ თავიანთ ორეულსაც. ისინი ლიტერატურულ საღამოებზე, რომელთაც თვითონ მართავდნენ, ა. ს. გრიბოედოვის ამ უკვდავ ნაწარმოებს ფართო პროპაგანდას უწევდნენ. ა. ს. განგებლოვი იგონებს ერევანში გამართულ ლიტერატურულ საღამოებს და აღნიშნავს: „Так однажды вечером,

---

[1] ა. სერგულაძე. რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გვ. 309—310.

по общему желанию нашего кружка, мною и Философовым прочтено было „Горе от ума“, по копии, снятой мною еще в Петербурге, в скоре после того, как сам Грибоедов читал... это свое творение у Феодора Петровича Львова“.[1] განგებლოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საღამოებს მართავდნენ ლიტერატურის მოყვარულები. მათი საქმიანობა განმანათლებლურ როლს ასრულებდა და ადგილობრივ მოსახლეობას პროგრესულ იდეებს უღვიძებდა. კავკასიაში მყოფ დეკაბრისტებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ა. ს. გრიბოედოვთან, რომელიც 1826—1827 წლებში ერმოლოვთან მსახურობდა და „დიპლომატიურ ნაწილს“ განაგებდა. გრიბოედოვი ცდილობდა, თავისი კეთილი დამოკიდებულებით შეეკმსუბუქებინა მათთვის მძიმე ხვედრი. ისინი ა. ს. გრიბოედოვს თავის საერთო მეგობარსა და კეთილისმდომს უწოდებდნენ.[2] კავკასიაში დეკაბრისტები, მიუხედავად ბედის უკეთესმართობისა, არ ყოფილან გულგატეხილნი, მათ იტაცებდა კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს, თვალწარმტაცი ბუნება, მისი მოსახლეობა, ქვეყნის ისტორია. თბილისს მიმავალი დეკაბრისტი ბელიაევი, რომელიც გაეცნო მცხეთასა და მის ისტორიულ ძეგლებს, წერდა: „Как сильно интересует мыслящего человека судьба прошедших поколений! Особенно в Грузии, где так много памятников глубокой древности, этот интерес особенно силен... Грузинский народ занимает то место в нашем старом свете, где как в ворота проходили бесчисленные народы из Азии в Европу. Что должен был испытывать в разное время этот народ, чтобы удержаться в своей прекрасной стране. Сколько событий проходило перед ним, сколько кровавых битв он должен был выдержать!... Опасности и битвы должны были питать любовь к Родине, святыне, воспитывать войнскую доблесть и мужество“.[3]

მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ მისმა ავტორმა ჩინებულად იცოდა საქართველოს ძველი და ტრაგიკული ისტორია, მისი უძველესი კულტურის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში, ის დიდი ფიზიკური და სულიერი ტრავმა, რაც უცხოელმა დამპყრობლებმა მიაყენეს ქართველ ხალხს, რომელიც მამულის დაცვის ინტერესით ანთებული ხმლითა და მახვილით იცავდა მამა-პაპათა ნაამაგარს, მათს ნაფუძარს. ასე ყალიბდებოდა ქართველი კაცის პატრიოტიზმი, რომელიც მას სამშობლო-

---

[1] Воспоминания декабриста Александра Семеновича Гангеблова, стр. 172.
[2] М. Нечкина. Грибоедов и декабристы, стр. 525. М., 1947 г.
[3] П. Беляев. Воспоминания декабриста, СПБ, 1882 г., стр. 399.

სათვის სიკვდილს უადვილებდა. საქმის როგორი ცოდნითაა დაწერილი აქ მოყვანილი სიტყვები, რა დიდი პატივისცემა იგრძნობა მასში ქართველი ხალხისა და მისი ისტორიის მიმართ! ეს კი მაშინ ხდებოდა, როცა მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო, როცა ცარიზმი ნერგავდა დაპყრობილი ხალხებისადმი ზიზღსა და უპატივცემლობას, დიდმპყრობელურ შოვინიზმს. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლით დეკაბრისტები რუსეთის იმპერიის კოლონიურ მონობაში მყოფ ხალხებსაც ექომაგებოდნენ. ისინი დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ კავკასიის ხალხების ეროვნულ ტრადიციებს, ინტერესით ეცნობოდნენ მათს წარსულს, პატივს სცემდნენ მათს კულტურასა და ენას, მაშინ როდესაც მეფის მოხელეები მათ „ველურებს“ უწოდებდნენ. დეკაბრისტები სასტიკად აკრიტიკებდნენ ცარიზმის დაპყრობით პოლიტიკას, პატარა ერების უუფლებობისა და ჩაგვრის პოლიტიკას.

თბილისში მყოფი დეკაბრისტები ეცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქის ისტორიულ წარსულს, მის აწმყოს, კულტურულ ცხოვრებას. შოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს. დეკაბრისტებს შორის იყო ა. ს. განგებლოვი, წარმოშობით ქართველი; მისი პაპა, იგორ ქრისტეფორეს ძე განმგებლიშვილი, თავისი ოჯახით გადასულა რუსეთში და ჩარიცხულა ქართველ ჰუსართა პოლკში. პაპა 1772 წელს დაღუპულა თურქეთთან ომში მაიორის სამხედრო ჩინით. მამაც სამხედრო პიროვნება იყო, რომელსაც საკმაო დამსახურება ჰქონდა იმპერიის წინაშე. ა. ს. განგებლოვი ადგილობრივ მოსახლეობას აცნობდა დეკაბრისტებს.

მაშინდელი საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი და სხვ. ახლო ურთიერთობაში იყვნენ დეკაბრისტებთან. ირანისა და ოსმალეთის ომების დამთავრების შემდეგ თბილისში ცხოვრობდა დეკაბრისტთა ერთი ნაწილი, მათ შორის აღსანიშნავია პუშჩინი, ა. ს. ბესტუჟევი და მისი ძმები პეტრე და პავლე ბესტუჟევები, ორჟიცკი, მუსინ-პუშკინი (მეზღვაური), გრაფი მუსინ-პუშკინი, ნ. პ. კოჟევნიკოვი, ვიშნევსკი და სხვ. ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ახლო უკავშირდებოდნენ დეკაბრისტებს, ისინი მათში ხედავდნენ ცარიზმის წინააღმდეგ უშიშარ მებრძოლებს. დეკაბრისტები ალ. ჭავჭავაძის ხშირი სტუმრები იყვნენ. ერთ-ერთი თანამედროვის ცნობით, „Каждый день с утра собирались родственники и родственницы грузинские, потом начинали приходить русские. один за другим, как кто освобождался только от службы“.[1] ა. ჭავჭავაძის სახლში დეკაბრისტებს საშუალება ეძლეოდათ,

[1] Русский вестник. Воспоминания Н. Торнау, 1869 г., стр. 698.

თავისუფლად ემსჯელათ როგორც ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ისე პოლიტიკურ საკითხებზეც, რაც ესოდენ იტაცებდა მათ.

ა. ჭავჭავაძის სახლში იმართებოდა ლიტერატურული სალონები. განსაკუთრებით წინანდლის სასახლეში თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობა. ხშირი სტუმრები იყვნენ ყარაღაჯში მდგომი ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცრებიც. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია წინანდალს ა. ს. პუშკინის ძმაზე ლევ პუშკინზე, რომლის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა პუშკინის მამის, სერგეი ლევის ძე პუშკინის ერთ-ერთი წერილი, 1835 წლის 9 ივლისით დათარიღებული: „Лев... попрежнему восторгается Тифлисом и Кавказом, называя этот край земным раем. Объехав Леон всю Грузию и провел 15 дней в деревне у вдовы несчастного Грибоедова, да, смешно сказать, железное сердце храброго капитана не осталось чуждо поэзии: Леон нам пишет, что считает эти 15 дней самыми счастливыми днями своей жизни, очарован умом и любезностью жены своего покойного друга; и опять туда поедет, во ожидании Розена“.[1]

ლევ პუშკინი ერთეული როდი იყო. დასახელებული ფაქტი ადასტურებს იმას, თუ როგორ იყვნენ დაახლოებული ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან მაშინდელი რუსეთის მოწინავე ადამიანები, როგორ პოულობდნენ ისინი აქ სიმშვიდესა და მყუდროებას. ქართველთა ასეთ დაახლოებას რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან უდავოდ კეთილისმყოფელი გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოში თავისუფალი აზროვნების განვითარებაზე.

ა. განგებლოვის ცნობით, თბილისში მყოფ დეკაბრისტთა ერთი ნაწილი საღამოობით კვირაში ორჯერ და უფრო ხშირადაც იკრიბებოდა ხან ერთთან და ხან მეორესთან, უფრო მეტად კი განგებლოვთან. ამ საღამოებს, მისივე ცნობით, ყოველთვის ესწრებოდნენ სამნი ძმანი ბესტუჟევები და პეტერბურგიდან გამოგზავნილი გვარდიის ოფიცრები. ისინი უმეტესად ჭადრაკის თამაშითა და პოლიტიკური ანეკდოტებით ერთობოდნენ.[2]

როგორც ირკვევა, ასეთ საღამოებზე თავმოყრა და ანეკდოტების მოყოლა მთავრობის მოხელეებს, რომლებიც საგანგებო მეთვალყურეობას უწევდნენ დეკაბრისტებს, ყურადღებიდან არ გამოჰპარვიათ. უდავოა, რომ დეკაბრისტთა ეს საღამოები პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობასაც არ გამორიცხავდა. ამიტომ შეიქმნა მთავრობაში აზრი თბილისიდან მა-

---

[1] Л. Павлищев. Воспоминания об А. С. Пушкине, М., 1890 г., стр. 389—390.

[2] Воспоминания декабриста Александра Семеновича Гангеблова, стр. 173, М., 1888 г.

თი გასახლების შესახებ. ა. განგებლოვის ცნობით, მათ თბილისში ახლო ნაცნობები გაიჩინეს ქართველთა შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა მთავრობამ საეჭვოდ მიიჩნია. მართალია, დეკაბრისტებმა კავკასიის ომებში თავი გამოიჩინეს და ჯილდოებიც დაიმსახურეს, მაგრამ მთავრობის ნდობა მაინც ვერ აღიდგინეს. ისინი თბილისიდან სწრაფად გაასახლეს, რათა განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას ბოლო მოღებოდა.

დეკაბრისტები თბილისში ყოფნის პერიოდში ადგილობრივ მოსახლეობას რომ უახლოვდებოდნენ, ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ქვეშ მყოფი ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანები მოწიწებით ეპყრობოდნენ პირველი რევოლუციური მოძრაობის რაინდებს, რომლებმაც იარაღი აღმართეს იმპერიის წინააღმდეგ.

მკვლევარი ლ. ბარამია აღნიშნულის შესახებ სრულიად მართებულად მიუთითებდა: „როგორც თანამედროვენი მოგვითხრობენ, სამოქალაქო მოსახლეობას ურთიერთობა ჰქონია დეკაბრისტებთან. ამ ურთიერთობის შესახებ ჩვენამდე მოაღწიეს ძლიერ მცირე, მაგრამ საინტერესო მასალებმა, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ მიუხედავად მეფის ფხიზელი მეთვალყურეობისა, რუსეთის მოწინავე ადამიანები მაინც ახერხებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან იდეური ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის დამყარებას“.[1]

1830 წლის ერთ-ერთ საღამოს, როცა დეკაბრისტები ტრადიციისამებრ შეიკრიბნენ და ერთობოდნენ, სრულიად მოულოდნელად მათთან გამოცხადდა უცნობი პიროვნება პლაც-ადიუტანტის ფორმაში, იკითხა ალექსანდრე ბესტუჟევი და ოთახიდან გაიხმო იგი. უცნობს თან ახლდა ორი ჟანდარმი. ალექსანდრე ბესტუჟევი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მეორე დღეს ჟანდარმთა ზედამხედველობის ქვეშ მას ნება დართეს, პირადი ნივთები ძმისათვის, პავლე ბესტუჟევისათვის გადაეცა, ხოლო თვითონ დარუბანდში გაამგზავრეს. იმავე დღეს დეკაბრისტთა აბსოლუტური უმრავლესობა, ა. განგებლოვის ცნობით, თბილისიდან გაასახლეს და სხვადასხვა მიმართულებით გააგზავნეს, რამაც თბილისელთა გარკვეული აღშფოთება გამოიწვია.[2] დეკაბრისტთაგან თბილისში ერთხანს მხოლოდ პუშჩინი, განგებლოვი და კონოვნიცინი დარჩნენ, რადგანაც მესანგრეთა ბატალიონი, სადაც ისინი ირიცხებოდნენ, იქ იდგა. გასახლებას შემთხვევით გადაურჩა აგრეთვე კოქევნიკოვი, რომელიც შუშაში იყო გაგზავნილი. თბილისიდან გაასახლეს ა. ბესტუჟევის ძმა — პეტრე ბესტუჟევიც. სულ მალე მესანგრეთა ბატალიონთან ერთად ა. განგებლოვი ზაქათალაში გაიგზავნა. დეკაბრისტ კრივცოვთან ერთად განგებლოვის მე-

---

[1] ლ. ბ ა რ ა მ ი ა, დეკაბრისტები საქართველოში, გვ. 141, თბ., 1955 წ.

[2] А. Г а н г е б л о в. Воспоминания ..., стр. 206—207.

გოპარი დეკაბრისტი ფოკი გაგზავნეს აფხაზეთის სოფელ ბომბორაში, საარტილერიო ნაწილში. საბოლოოდ თბილისში დეკაბრისტთაგან არავინ დატოვეს.

ამგვარად, დეკაბრისტები გაფანტეს მთელ კავკასიაში — აზერბაიჯანში, სომხეთში, კავკასიის მთიანეთსა და დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. ფელდმარშალმა პასკევიჩმა საჭიროდ ჩათვალა დეკაბრისტების ერთიმეორისაგან იზოლირება.

დეკაბრისტები განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული პერიოდის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ. ამიტომაც მთავრობა მათ ბოლომდე უნდობლობის თვალით უყურებდა და ყველაზე უფრო სახიფათო პირობებს უქმნიდა, რათა მათგან მალე განთავისუფლებულიყო.

თავი X

კასპიის ზღვის ფლოტილია ომში

გიულისტანის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთმა იურიდიულად დააკანონა თავისი უცილობელი ბატონობა კასპიის ზღვის აუზში. მხოლოდ მან მოიპოვა უფლება, სამხედრო გემები ჰყოლოდა ზღვაზე. მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლებას სათანადო მზრუნველობა არ გამოუჩენია სამხედრო ფლოტის მშენებლობისათვის. კასპიის ზღვის ფლოტილია სრულიად ახალგაზრდა იყო, ის დიდ ყურადღებას საჭიროებდა.

1826 წლის დასაწყისში, ირანთან ომის წინ, კასპიის ზღვის ფლოტილიას სამხედრო ნავებთან ერთად სულ 7 სამხედრო ხომალდი ჰყავდა. ესენი იყო: „ულკანი", „ჰერკულესი", „ყაზანი", „ბაქი", ორიოლი", „ტენდენ-მურავეი" და იახტა „მართა".[1] კასპიის ზღვის აუზში რუსეთს საკმაო რაოდენობით სავაჭრო ხომალდებიც მოეპოვებოდა. ირანთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ინტერესები თხოულობდა საზღვაო ტრანსპორტის გაძლიერებულ მშენებლობას[2].

საზღვაო ტრანსპორტს ირანთან ვაჭრობაში გარკვეული ადგილი ეკავა. ირანის მიერ ომის დაწყებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ რუსი ვაჭრები, რომლებიც ირანის სხვადასხვა ქალაქში იმყოფებოდნენ. ერმოლოვი ასტრახანის გუბერნატორს 1826 წლის 23 სექტემბერს სწერდა, რომ „Все торгующие Российские поданные, теперь в Персии находящиеся, лишились собственности своей и подверглись ограблению чего, конечно, не избегнут и те из торгующих, которые пожелали бы теперь отправиться в Персию".[3] რუსეთის ქვეშევრდომ ვაჭრებს სპარსელებმა დიდძალი ქონება წაართვეს და ბევრ მათგანს ფიზი-

---

[1] ЦГАДА СССР, ф. XI, д. 1183, л. 2. „Сведения, извлеченния из дел архива Морского Министерства относительно Каспийской флотилии во время войны с Персиею".

[2] იქვე, ფ. 3, 4.

[3] Акты, т. VI, ч. II, д. № 688, стр. 379.

კური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. ამის გამო ერმოლოვი მოითხოვდა ასტრახანის გუბერნატორისაგან, რათა მას გაეცა განკარგულება, რომ ადგილზე, ასტრახანშივე დაეკავებინათ სავაჭრო გემები აზერბაიჯანის იმ სახანოებისა, რომლებიც ომის დაწყებამდე რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ და ირანის თავდასხმისთანავე მის მხარეზე გადავიდნენ; კერძოდ, ეს შეეხებოდა ბაქოს, შირვანის, შაქის, ყარაბაღისა და თალიშის სახანოების ვაჭრებს. რაც შეეხება დარუბანდელ ვაჭრებს, მათ უფლება ენიჭებოდათ, განეგრძოთ ვაჭრობა. გარდა ამისა, იგი ავალებდა ასტრახანის სამოქალაქო გუბერნატორს, გაეჩხრიკა ნავსადგურში დაკავებული ირანის გემები და დაედგინა, ომის დაწყებამდე ასტრახანში ირანის შაჰის აბრეშუმი ხომ არ იყო გასასყიდად ჩატანილი, ანდა შაჰისათვის ასტრახანიდან ხომ არ მიჰქონდათ რუსეთში შეძენილი საქონელი? თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, მათ ყოველივე სასწრაფოდ უნდა ჩამორთმეოდათ. ასევე უნდა დაეკავებინათ შაჰის საჭურისის — აღა-მანუჩარ-ხანისა და გილიანის პროვინციის მმართველის — ხოსროვ-ხანის ვაჭრების საქონელი, ფული და ფასიანი ქაღალდი. ყველაფერი ეს ირანში დაზარალებულ რუს ვაჭრებს უნდა გადასცემოდათ, იმის საკომპენსაციოდ, რაც მათ ირანის ხელისუფლების მუხანათობის შედეგად დაკარგეს. მართლაც, სულ მალე მოვიდა ასტრახანიდან ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო: „По предписанию генерала Ермолова, все товары и все имущества персиян, торгующих в Российских портах ныне, описаны и запечатаны местным начальством, дабы оныя все имущества служили залогом в замену и в вознаграждении тех значительных имуществ, кой в Персии в разных областях и местах насильственно задержаны и отняты у подданных Российских из армян, из грузин и других азиатцев“.[1]

ირანის სავაჭრო ტრანსპორტი, რომელსაც ემბარგო დაადვეს, კასპიის ზღვის ფლოტილიის განკარგულებაში გადავიდა. რუსეთის სარდლობამ ის ირანის წინააღმდეგ გამოიყენა, ისევე როგორც ირანელები იყენებდნენ დატყვევებულ რუსულ გემებს რუსეთის წინააღმდეგ.

ირანი თავს დაესხა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროებს, ბომბავდა ბაქოს, ლენქორანს და სხვა ქალაქებს. თავს ესხმოდა თევზის სარეწაო გემებს, ატყვევებდა მათ და სხვ. ირანს სათანადო დახმარებას უწევდა საზღვაო საქმეებში ნაცადი ინგლისი.

რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსმა გენერალმა დიბიჩმა კასპიის ფლოტილიის მეთაურს ასტრახანის ნავსადგურის უფროსს გენერალ-მაიორ ორლოვსკისა და ფლოტილიის სარდალს კაპიტან-ლეიტენანტ

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 894, л. 5 и об.

ლაზარევს უბრძანა, გადამჭრელი ზომები მიეღოთ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროებზე მტრის გემებისა და ნიჩბიანი ნავების მოქმედების აღსაკვეთად, რადგანაც ირანი ხელს უშლიდა საომარი მასალითა და საჭირო სურსათით რუსეთის მოქმედი ჯარის მომარაგებას. დიბიჩის 1826 წლის 28 სექტემბრის ბრძანებაში ვკითხულობთ: „... крейсировать к Баку и от сего места к югу, дабы не только воспрепятствовать неприятелю вредить нашим промышленникам, но и содействовать возможными способами военным действиям наших сухопутных войск“.[1]

გარდა ამისა, ორლოვსკისა და ლაზარევს ებრძანათ, შეემოწმებინათ და სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანათ კასპიის ზღვის ფლოტილია, ყოველივე ეღონათ, რომ ის ახალი გემებით შეევსოთ: „Осмотрев подробно состояние Каспийской флотилии, немедленно употребить все средства и способы для приведения оной в возможно лучшее состояние, прибавив к ней судов сколько нужда того востребует и средств к тому представится“.[2]

ამ ბრძანებიდან ჩანს, რომ კასპიის ზღვის ფლოტილიის მშენებლობასა და მის გაძლიერებას ომის დაწყების შემდეგ მიექცა მთავრობის საგანგებო ყურადღება, როდესაც საჭირო გახდა ირანის საზღვაო მოქმედების აღკვეთა.

კასპიის ზღვის ფლოტილიის სარდალი ლაზარევი უშუალოდ კავკასიის კორპუსის სარდალს ერმოლოვს, ხოლო შემდეგ პასკევიჩს ემორჩილებოდა. მას უნდა ეწარმოებინა საზღვაო ბრძოლები ბაქოს მიმართულებით, უნდა უზრუნველეყო რუსი მრეწველების უსაფრთხოება ზღვაში და ხელი შეეწყო ქვეითი ჯარის წარმატებით მოქმედებისათვის. გარდა ამისა, ლაზარევს ებრძანა ფლოტილიის სრულყოფა და იარაღით უზრუნველყოფა.

ასტრახანში გემთმშენებლობას რუსეთი საგანგებოდ აჩქარებდა. გენერალ-მაიორი ორლოვსკი 1826 წლის 9 ოქტომბერს დიბიჩს აუწყებდა, რომ საზღვაო ესკადრა 6 სამხედრო გემისა და სამი ტრანსპორტისაგან უკვე დაკომპლექტდა და გამზადებული იყო საომარი მოქმედებისათვის. გარდა ამისა, იგი არმიის მთავარი შტაბის უფროსის ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ ასტრახანში დამატებით 5 გემი შენდებოდა. ამასთან, ორლოვსკი დიბიჩს სწერდა, რომ უკვე საგრძნობი გახდა ფლოტილიის საბრძოლო მოქმედების შედეგი, რომ მან პირველი დახმარება უკვე აღმოუჩინა ლენქორანში ირანელთა ალყაში მომწყვდეულ

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА. д. 4325, ч. I, л. 3 об.

[2] იქვე, ფურც. 4.

რუსეთის ჯარს, რომელმაც არაფერი იცოდა ვერაგული თავდასხმის შესახებ.

კუნძულ სარას სამხედრო ხომალდები და შეიარაღებული ბარკასები იცავდნენ. უსაფრთხოების მიზნით კუნძულ სარაზე გადაიყვანეს ლენქორანის ლაზარეთი და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები. ლენქორანის კომენდანტმა ფლოტილიას ჩააბარა ირანს გაქცეული მირ-ჰასან-ხანის საოჯახო ქონება და აგრეთვე მისი ნათესავები და მსახურნი.[1] რუსეთის სამხედრო გემები საიმედოდ უჭერდნენ მხარს სახიფათო მდგომარეობაში მყოფ გარნიზონს. ლენქორანის ციხის კომენდანტმა განკარგულება გასცა, სპარსეთში გაქცეულ მოღალატე დიდებულთა სახლ-კარი გადაეწვათ, ხოლო თვითონ ლენქორანის ციხეში გამაგრდა. გემ „ჰერკულესიდან" ციხის კომენდანტის ბრძანებით მოიხსნა ერთი ქვემეხი და ლენქორანის დამცველებს გადაეცა. ირანელები ყველგან აწყობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებას, ყოველი მოკლული რუსი ჯარისკაცის თავში 20 ჩერვონეცს იძლეოდნენ. 12-ათასიანმა ირანის ჯარმა ძლიერ შეუტია ლენქორანის ციხეს, რომლის გარნიზონიც მცირერიცხოვანი იყო. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. კასპიის ფლოტილიამ არტილერიის მხარდაჭერით საშუალება მისცა გარნიზონს, უპანიკოდ დაეტოვებინა ლენქორანის ციხე და თვითონ შეიფარა.[2] 1826 წლის აგვისტოს დასაწყისში ირანელები დაეუფლნენ ციხესიმაგრეს. ლენქორანის გარნიზონი სამხედრო გემებმა კუნძულ სარაზე გადაიყვანეს. ორლოვსკი საზღვაო შტაბის უფროსს აუწყებდა, რომ ერთი ნაწილი ქვემეხებისა ციხიდან გემზე გადაიტანეს, ხოლო დანარჩენი (სულ ექვსი ქვემეხი) მტერმა ჩაიგდო ხელში.[3] ლენქორანის გარნიზონი ამ კუნძულიდან სამხედრო გემებით ბაქოში გადაიყვანეს. ბაქოს მისადგომებთან ფლოტილიამ დაამარცხა აგრეთვე ირანელთა რაზმები. ამის შესახებ ორლოვსკი წერს: „Флотилия защищала Ленкоранский вытесняемый баталион в Сенгерах, дала ему время убраться с берега на суда и отвезла его в Баку 25-го прошлого августа, а 9 и 10 числа сентября слышна была пушечная пальба с брига „Орла", в Апшеронском проливе, где он теснил засевших персиян, которыя в самом начале, когда еще неизвестно было о войне с ними, схватили нескольких человек, вышедших беззаботно на берег, но немогших овладеть и безоружным купеческим судном".[4]

1826 წლის სექტემბრის დასაწყისში ირანელთა 3-ათასიანი რაზმი მიადგა ბაქოს ციხეს, რომელსაც ათასკაციანი გარნიზონი იცავდა. მალე

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4325, ч. I, л. 14.
[2] იქვე, ფ. 17.
[3] П. О. (Орловский, Маяк, 1841, стр. 111—112.
[4] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4325, ч. I, л. 10 об. и 11.

ამ გარნიზონს რუსეთის სამხედრო ხომალდები მიეშველნენ. ირანის ხომალდებმა და ქვეითმა ნაწილებმა ალყა მოხსნეს და უკან დაიხიეს.

კასპიის ზღვის ფლოტილიამ, მიუხედავად თავისი სიმცირისა, გარკვეული წვლილი შეიტანა ირანელების დამარცხების საქმეში. ის დიდ დახმარებას უწევდა ომის პირველსავე დღეებში ირანელების მოულოდნელი თავდასხმით განსაცდელში ჩავარდნილ რუსეთის ჯარს, შემდეგ კი ფლოტილია გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა ირანის ჯარს და მხარს უჭერდა კავკასიის მებრძოლ კორპუსს.

ბაქოს ყოფილმა ხანმა, რომელიც ირანის სარბაზთა ბატალიონებით შემოიჭრა თავის ყოფილ სახანოში, აჯანყება მოაწყო; ყუბასა და ბაქოს შორის კავშირი შეწყდა, გზა მეამბოხეებს ეკირათ. ხალხს აბას-მირზას მოწოდებას აცნობდნენ. აბას-მირზა რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ აჯანყების შემთხვევაში თავის მხრივ მუსლიმანურ მოსახლეობას „გიაურების“ განადგურებასა და ამიერკავკასიიდან რუსეთის ჯარის განდევნას ჰპირდებოდა.[1] ამ მძიმე მომენტში კასპიის ზღვის ფლოტილიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ბაქოს დაცვაში.

საარქივო მასალა, რომელიც ჩვენს ხელთაა, აშკარად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი როლი შეასრულა ამ ომში ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა კასპიის ფლოტილიამ. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავჯერდებით. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „Из рапорта за июль 1826 года, командира эскадры капитан-лейтенанта барона Левендоля видно, транспорт „Кура“ в июне и по 20 июля находился на рейде у Сары, а потом отправился в Ленкоран для защищения сей крепости от нападения персидских войск...

...Бриг „Орел“ в июне был у Баки, а 18 июля прибыл с Бакинского рейда к Саре, с 20 по 24 был с эскадрою при Ленкоране, а потом отправился для защищения Саринского поста...

...Транспорт „Волга“ 17 числа прибыл с Бакинского рейда к эскадре: с 20 по 24 был у Сары, потом у Ленкорана противу Сенгер, для преграждения пути в Ленкоран неприятельским войскам.

Суда Каспийской флотилии вообще состояли в полном распоряжении главнокомандующего тамошним краем“.[2]

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4325, ч. I, л. 41—42.

[2] ЦГАДА СССР. ф. XI, д. 1183, л. 6—7. Из ведомости о бывших компаний 1826 года на Каспийском море.

კასპიის ფლოტილია სულ უფრო აქტიურად მოქმედებდა 1827 წელს და შემდგომ პერიოდშიც. ვიდრე ირანთან საზავო ხელშეკრულება გაფორმდებოდა. ის გარდა იმისა, რომ მტერს საზღვაო ბრძოლებს უმართავდა. ზვერავდა აგრეთვე მტრის ძალებს, დეზორგანიზაცია შეჰქონდა მის ზურგში, რითაც რუსეთის ქვეით ჯარს ხელს უწყობდა საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარებაში. 1827 წლის 6 იანვარს ტრანსპორტი „ვოლგა" სარდლობას ლენქორანის რეიდზე გაუგზავნია „Для нанесения вреда персиянам, истребления всего, что может попасться неприятельское и для пресечения неприятелью сообщения водою, в случае подвоза чего в крепость Ленкорань, или вывоза оной: 26 числа оттуда прибыл на Сарийнский рейд для налития пресной воды, а 30 числа возвратился к исполнению сделанного поручения".[1]

ეს საბუთი იმაზე მეტყველებს, რომ საბრძოლო ოპერაციებს რუსეთის სამხედრო გემებთან ერთად ასრულებდნენ სხვა სახის გემებიც, კერძოდ, სავაჭრო ტრანსპორტის ხომალდები, რომლებიც სამხედრო ფლოტილიის განკარგულებაში იმყოფებოდნენ.

კასპიის ზღვის ფლოტილიის მეზღვაურთა რიცხობრივი შემადგენლობა ჩვენთვის უცნობი დარჩა სათანადო მასალების უქონლობის გამო. ისიც უცნობია, თუ რამდენი დაკარგა მან ირანთან ომის წლებში მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მაგრამ ის ძუნწი ცნობა, რომელიც ჩვენს ხელთ არის, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საზღვაო ფლოტილიის მიერ წარმოებული მძიმე ბრძოლებისა და გაღებული მსხვერპლის შესახებ. ერთ-ერთ საარქივო საბუთში მოცემულია არასრული ცნობა ომის დაწყებიდან 1828 წლის 10 თებერვლამდე № 1, 2, 5 ბრიგის (ორანძიანი ხომალდის) ეკიპაჟის დანაკარგის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ № 1 ბრიგმა დაკარგა ოფიცერი—4, უნტეროფიცერი და რიგითი მეზღვაური—62, სულ—66; № 2-მა ოფიცერი—7, უნტეროფიცერი და რიგითი მეზღვაური—69, სულ—76; № 5-მა—ოფიცერი—4, უნტეროფიცერი და რიგითი მეზღვაური—52, სულ—56; სამივე „ბრიგზე„ დანაკარგმა შეადგინა 198[2]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრძოლაში კასპიის ზღვის ყველა სავაჭრო გემი მონაწილეობდა ემბარგოდადებულ ირანის სავაჭრო გემებთან ერთად, ზემოაღნიშნული დანაკარგის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ კასპიის ფლოტილიამ გარკვეული მსხვერპლი გაიღო ამ ომში.

1827 წელს ასტრახანში ჩამოყალიბდა „განსაკუთრებული კომიტეტი", რომელსაც ევალებოდა მოქმედი არმიისათვის სურსათისა და საომარი ტექნიკის გადაზიდვის პასუხისმგებლობა[3].

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4325, ч. 2, л. 9 об.
[2] ЦГАДА СССР, ф. XI, д. 1183, л. 13.
[3] იქვე, ფ. 6.

ირანელების პირველი იერიშების მოგერიების შემდეგ 1826 წლის შემოდგომაზე მოვიდა იმპერატორის ბრძანება ასტრახანში 8 ახალი სამხედრო გემის აშენების შესახებ. ომში ფლოტილიის მონაწილეობის პირველი შედეგებით სარდლობა დარწმუნდა, თუ რაოდენ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო მას რუსეთისათვის. ომის მსვლელობის პერიოდში აშენდა 12-ქვემეხიანი ოთხი ხომალდი: „ერევანი", „აბას-აბადი", „სარდარ-აბადი", „თავრიზი" და 8-ქვემეხიანი ერთი ხომალდი „მიანა". დანარჩენი სამი ხომალდი: „თურქმენჩაი", „არდობილი" და „ჯევან-ბულაკი" " ზღვაში ჩაუშვეს ირანთან საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ[1].

1826 წლის ნოემბერში მშენებარე გემებისათვის კრონშტადტიდან ასტრახანში გამოიგზავნა სხვადასხვა ყალიბის 76 ქვემეხი და 16 ფალკონეტი. უფრო ადრე, 1826 წლის აგვისტოში, ს.-პეტერბურგიდან გამოგზავნეს გემთმშენებლობისათვის საჭირო ტექნიკური ნაწილები და სხვა მასალა[2].

კასპიის ზღვის ფლოტილიის გაძლიერების მიზნით კრონშტატიდან ასტრახანში კაპიტან-ლეიტენანტ ბუხვოსტოვის მეთაურობით გაიგზავნა აგრეთვე ბალტიის ზღვის XI ფლოტის ოთხი ასეული, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 14 უფროსი ოფიცერი და დაბალი ჩინის 552 მებრძოლი[3].

გარდა ამისა, 1826 წლის 21 ნოემბერს კრონშტატიდან ასტრახანში კასპიის ფლოტილიის საარტილერიო ასეულის გასაძლიერებლად გაემგზავრა პირველი საზღვაო საარტილერიო ბრიგადის 63 დაბალი ჩინის არტილერისტი არტილერიის ლეიტენანტ კანინის მეთაურობით, რომელიც ასტრახანში 1827 წლის აპრილში ჩავიდა, აქვე გაგზავნეს შტურმანის პროფესიით 2 უფროსი ოფიცერი და 3 უნტერ-ოფიცერი, რომლებიც ასტრახანში გამოცხადდნენ 1826 წლის 2 დეკემბერს. ასევე ყაზანიდან ასტრახანში ჩავიდა გემთმშენებლობის მცოდნე 48 სპეციალისტი[4].

რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა კასპიის ზღვის ფლოტილიის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, სისტემატურად უმატებდა მას საბრძოლო ხომალდებსა და ეკიპაჟს.

არასრული ცნობების მიხედვით, კასპიის ზღვის ახალგაზრდა ფლოტილიას ირანთან ომის პერიოდში გადაუზიდავს 11.133 ტონა ტვირთი, რაც მაშინდელ პირობებში მნიშვნელოვანი დახმარება უნდა ყოფილიყო მოქ-

---

[1] ЦГАДА СССР, ф. XI, д. 1183, л. 8.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფ. 10.
[4] იქვე

მედი ჯარისათვის სურსათის, სასმელი წყლისა და საბრძოლო საშუალებების ადგილზე მიტანის საქმეში[1].

კასპიის ზღვის ფლოტილიის საბრძოლო მოქმედებაზე რომ ვლაპარაკობთ, საჭიროა, მოკლედ შევეხოთ თურქმენების მონაწილეობას ირანის წინააღმდეგ ომში.

თურქმენებს ირანელებთან ჰქონდათ საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. ირანელები, ერთ-ერთი თანამედროვის ცნობით, სავაჭროდ მიდიოდნენ თურქმენეთში, აქედან ეზიდებოდნენ ნავთს, მარილს და სხვა საჭირო საგნებს. მისივე ცნობით, „В сих местах (ლაპარაკია თურქმენეთზე, ნ. ქ.) большие нефтяные колодцы, превосходящие даже Бакинские, куда приезжают на судах безпрерывно из Гиляна персияне за покупкою нефти и отправляют оную во внутрь Персии. Здесь же ломают отличную белую вкусную соль на берегу моря, которою продовольствуются во всей Туркмении и даже возят оную в Мазандеран, Астрабад, Гилян и далее в Персидския владения"[2].

თურქმენებს თავის მხრივ დიდად ესაჭიროებოდათ რკინისა და თუჯის ნაწარმი, მაუდისა და ტილოს ქსოვილები, რასაც ისინი ირანის ბაზრებზე ყიდულობდნენ[3]. ამგვარად, როგორც ჩანს, თურქმენებსა და ირანელებს შორის იყო სავაჭრო ურთიერთობა. ისინი გაცვლისა თუ ვაჭრობის გზით ერთმანეთთან შოულობდნენ საჭირო საქონელს და იკმაყოფილებდნენ თავიანთ მოთხოვნილებას.

მიუხედავად ამისა, თურქმენებსა და ირანელებს შორის ხშირად წარმოიშობდა გაუგებრობა, რომელიც დაკავშირებული იყო მომთაბარეობასთან და მეტწილად ბრძოლით მთავრდებოდა.

ნ. მ. მასალსკი, რომელმაც დეტალურად აღწერა XIX ს. 30-იანი წლების ირანის მდგომარეობა, აღნიშნავს, რომ თურქმენებსა და ირანელებს შორის მტრულ დამოკიდებულებას ბოლო არ უჩანდა. თურქმენები გამოირჩეოდნენ თავიანთი სისასტიკით ირანელებთან ბძოლაში. ისინი თავს ესხმოდნენ სასაზღვრო პროვინციებს და დიდ ზიანს აყენებდნენ მათ. ნ. მ. მასალსკი წერს: „Туркменцы часто нападают невзначай на города пограничной персидской провинции — Хорасана, производят там ужасные грабежи и увозят в плен множество семейств, — которых продают потом в Хиву, откуда они уже никогда не возвращаются на родину и умирают в тяжкой неволе. Несколь-

---

[1] ЦГАДА СССР, ф. XI, д. 1183, л. 10.

[2] Акты, т. VII, д. 840, стр. 859. Замечения о Туркмении Есаула Лалаева.

[3] იქვე, გვ. 861.

ко раз персидский шах пытался наказать хищных соседей, но это никогда не удавалось ему"[1].

ირანსა და თურქმენებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს. თურქმენთა თავდასხმები საზღვრისპირა სახანოებზე მასობრივი ხასიათისა იყო და მათ ირანისათვის დიდი ზარალი მოჰქონდათ.

ამას ადასტურებს საარქივო დოკუმენტი, რომელიც ჩვენს ხელთაა, კერძოდ, აბას-მირზასადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში შაჰი თურქმენების თავდასხმების გამანადგურებელ შედეგებს ეხება და წერს: „Алчные грабители туркменцы ищут только случаев наносить нам вред: собственностъ отнята, святой закон поруган, жены и дети посрамлены и проданы бездушным на поругание„.[2]

სამაგიეროდ თურქმენებს კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. ისინი მეზობლებს შორის დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ მას და ამჯობინებდნენ რუსეთთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას. ერთ-ერთ საისტორიო საბუთში, რომელიც შეეხება რუსეთისა და თურქმენეთის ურთიერთობას, აღნიშნულია, რომ თურქმენები მეზობლებს შორის უპირატესობას ანიჭებდნენ რუსეთს, მასთან იყვნენ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში და მის მფარველობაში შესვლაზეც კი ფიქრობდნენ.[3] ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. მართლაც, რუსეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდა აღმოსავლეთის ხალხების ისტორიულ ცხოვრებაში, უცხოელ მოძალადეთაგან მათი განთავისუფლების საქმეში.

ირანის წინააღმდეგ საზღვაო ბრძოლებში რუსეთის სარდლობა მოხერხებულად სარგებლობდა ირანელებსა და თურქმენებს შორის არსებული მტრული ურთიერთობით. რუსეთის სარდლობას თურქმენები სთხოვდნენ გემებსა და სურსათს, სამაგიეროდ ირანელების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ჰპირდებოდნენ. საზღვაო ფლოტილიის სარდლობას თურქმენები საბრძოლო იარაღებით, ნავებითა და გემებით უნდა უზრუნველეყო და გადაეყვანა მათი რაზმები კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე სანაპირო რაიონებში დივერსიული მოქმედების გასაჩაღებლად. ამ საკითხზე რუსეთის წარმომადგენლებსა და თურქმენთა ბელადს ხიატბეკს შორის მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა, ორივე მხარე 1827 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში შეთანხმდა, რომ ერთად ებრძოლათ ირა-

---

[1] Н. М. Масальский. Письма русского из Персии, ч. II, стр. 300, СПБ, 1844 г.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 26 об. и 27.

[3] Акты, т. VII, д. 840, стр. 860. Замечания о Туркмении...

ნელების წინააღმდეგ[1]. თურქმენები განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ასტრაბადის უბესთან. ისინი შიშის ზარს სცემდნენ სპარსელებს, რომლებიც თურქმენთა დანახვაზე გარბოდნენ და მთებს აფარებდნენ თავს.

1827 წლის 15 თებერვალს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში ირანელების წინააღმდეგ თურქმენთა მოქმედების შესახებ ვკითხულობთ: „Туркоманы, посетившие бриг, казались довольными и уверяли, что одно присутствие оного наведет страх персиянам и поощрит туркоманов большим предприятиям; ибо прежде бывшаго там судна заставило персиян укрыться в горы: присовокупляя, что недавно отряд туркоманов делал нападение на соседственныя деревни персиян и что Хиат-бек, глава туркоманов и приязненный к нам человек, находится внутренности Астрабадского залива“[2].

ასტრაბადის მიდამოებიდან თურქმენებმა გაიტაცეს სურსათის დიდი მარაგი, რის წამოღებაც ვერ შეძლეს, ადგილზე გაანადგურეს. ასევე წამოასხეს საკმაო რაოდენობით საქონელი. ასეთი დივერსიული მოქმედებისათვის ქმნიდნენ თურქმენთა სპეციალურ რაზმებს, რომლებიც რუსეთის საზღვაო ტრანსპორტს მიჰყავდა და უკან ხშირად მდიდარი ნადავლით ბრუნდებოდნენ. ამ ლაშქრობებში აქტიურად მონაწილეობდა თურქმენთა წინამძღოლი ხიატ-ბეკი. ერთ-ერთი რაზმი, რომელიც 80 ცხენოსანი და 150 ქვეითი თურქმენისაგან შედგებოდა, დიდი გამარჯვებით დაბრუნებულა, მათ გაუტაცებიათ შაჰის დიდძალი ჯოგი, ცხენების რემა და გარკვეული ზიანი მიუყენებიათ მტრისათვის, რის შესახებაც იმავე დოკუმენტში შემდეგს ვკითხულობთ: „Туркоманский отряд возвратился в полдень, кончив свое дело отбитием у персиян 1000 кобылиц, 700 рогатого скота и 300 овец. При нападении захвачено ими 14 человек персиян, из них два ранены, 1 убит. Табун лошадей принадлежал шаху“.[3]

თურქმენთა დივერსიულ მოქმედებას, გარდა იმისა, რომ ის ეკონომიკურ ზიანს აყენებდა ირანს, დიდი პანიკა შეჰქონდა მტრის ზურგში, და, საერთოდ, ხელს უწყობდა მოსახლეობის დემორალიზაციას.

როგორც ითქვა, თურქმენთა დივერსიულ მოქმედებას მხარს უჭერდა კასპიის ფლოტილია, რაც უფრო ეფექტურს ხდიდა მათს ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ. 1827 წლის 23 მარტის ერთი დოკუმენტი იუწყე-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4325, ч. I, л. 41—42.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА д. 4294, л. 144. „Журнал военных действий персидской войны 1826 и 1827 гг.“.

[3] ი ბ ე ვ, ფ. 147.

ბა, რომ „ბრიგ ბაქი“ აქტიურად მოქმედებდა „в Астрабадском заливе для вспомоществования туркменами при начатой ими войне против персиян“.[1]

აქ ლაპარაკია რუსებისა და თურქმენების საბრძოლო თანამოქმედებაზე ირანელების წინააღმდეგ ომში. საბუთში მითითებულია, რომ აღნიშნული ხომალდი ეხმარებოდა თურქმენებს, რომლებმაც ომი დაიწყეს ირანელების წინააღმდეგ. თურქმენების მიერ ომის დაწყებაში იგულისხმება ირანის წინააღმდეგ მებრძოლ თურქმენთა რაზმების მოქმედების ფართო მასშტაბურობა.

თურქმენთა ლაშქრობანი და დივერსიული მოქმედებანი ხელს უწყობდა რუსეთის საზღვაო ფლოტისა და ქვეითი ჯარის წარმატებებს და რუსი და თურქმენი ხალხების შემდგომ დაახლოებას. თურქმენები რუსებს დამატებით სთხოვდნენ ხომალდებსა და ნავებს, რათა თურქმენების დიდი ნაწილი აღმდგარიყო ირანელთა წინააღმდეგ.[2]

ირკვევა, რომ თურქმენთა თავდასხმები ირანის ტერიტორიაზე ეპიზოდური ხასიათის მატარებელი არ ყოფილა, პირიქით, საარქივო მასალები ადასტურებენ, რომ თურქმენთა რაზმები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ირანს და დიდ ზიანს აყენებდნენ არა მარტო მის მოსახლეობას, არამედ თვით შაჰის ქონებასაც კი. ცალკეულ თურქმენთა რაზმი 250—300 კაცისაგან შედგებოდა, მათი მუდმივი რბევისა და ძარცვის ობიექტი უმთავრესად ასტრაბადისა და ლენქორანის შემოგარენი იყო.[3] რუსეთის სახმელეთო ჯარებისა და საზღვაო ფლოტილიის წარმატება უფრო აქტიურ ხასიათს აძლევდა თურქმენთა მოქმედებას, ზრდიდა მათს ინტერესს ირანის დამარცხების მიმართ.

ირანის წინააღმდეგ ომში რუსეთის მხარეზე თურქმენთა მონაწილეობისა და რუსეთისადმი მათი კეთილი განწყობილების შესახებ ერთ-ერთ საისტორიო დოკუმენტში, რომელიც 1830 წლითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: „В доказательство любви своей к русскому народу они представляют, что в то время, когда в 1826 году разгорелась война с Персиею, они с своей стороны делали безпрерывныя нападения на персиян, дабы тем разорять их. Чрез сие самое, как известно, потеряли самого главного, издавна известного хана своего, знаменитой фамилии, Бута-хана, именуемого у них г р о з н ы м, управляющаго всею Туркменнею. Он убит по возращении с

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4325, ч. 2, л. 9.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4294, л. 148.

[3] ი ქ ვ ე, ფ. 145—146.

поля брани в отечество одним же туркменцем, подкупленным персиянами"[1].

დასახელებული დოკუმენტი სრულ და ნათელ წარმოდგენას იძლევა ომში თურქმენთა მონაწილეობაზე და იმაზე, თუ რა დიდი მსხვერპლის ფასად შეჰქონდათ მათ თავიანთი წვლილი რუსეთის გამარჯვების საქმეში. ირანელების წინააღმდეგ მრისხანე მებრძოლის ბუტა-ხანის ვერაგული მკვლელობა ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს.

საგულისხმოა ისიც, რომ, როგორც კი რუსეთის ჯარმა წარმატებით გადალახა ირანის ძველი საზღვარი და გეზი თავრიზისაკენ აიღო, თურქმენები უფრო გააქტიურდნენ. მათი რაზმები პირისპირ ებრძოდნენ ირანელებს მათსავე ტერიტორიაზე. ამ ომში თურქმენთა რაზმების აქტიური მონაწილეობით ისტორიული საფუძველი ჩაეყარა რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქმენი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

[1] Акты, т. VII, д. 840, стр. 861. Замечания о Туркмении есаула Лалаева, 1830 года.

თავი XI

რუსეთის დიპლომატიური და სამხედრო ბრძოლა ზავისათვის

§ 1. რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავება

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს რუსეთსა და ირანს შორის საზავო ხელშეკრულების გაფორმებისათვის ბრძოლის არსი და ხელშეკრულების მნიშვნელობა, საჭიროა, მოკლედ მაინც შევეხოთ თურქეთის იმპერიის წინააღმდეგ საბერძნეთის აჯანყების (1821—1830 წწ.) შედეგად შექმნილ სიტუაციას ახლო აღმოსავლეთში და ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებას ამ აჯანყების მიმართ. ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა დაპირისპირება ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის რაიონებში. ევროპის დიდ სახელმწიფოებს მეტისმეტად აფიქრებდათ, თუ როგორი რეჟიმი დამყარდებოდა საბერძნეთში, რომელსაც უაღრესად სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია ეკავა.

რუსეთი, რომელიც დაინტერესებული იყო აღნიშნულ რაიონში თავისი გავლენის გაძლიერებით, ცდილობდა, მხარი დაეჭირა ბერძნების განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, თუმცა ეს ერთგვარ უკანდახევასაც კი ნიშნავდა ვენის კონგრესისა და საღვთო კავშირის პრინციპებიდან. რუსეთი აჯანყებულ ბერძნებს მატერიალურ და დიპლომატიურ დახმარებას უწევდა, ხოლო როცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ის იარაღით დაეხმარა საბერძნეთს, ჯერ ნავარინთან ბრძოლაში (1827 წ. 20 ოქტომბერი), ხოლო შემდეგ 1828—1829 წლებში თურქეთის წინააღმდეგ გაჩაღებული ომით.

ევროპის სახელმწიფოებიდან მრავალეროვან ავსტრიის იმპერიას საბერძნეთის აჯანყების მიმართ აშკარად მტრული პოზიცია ეჭირა. მას ეშინოდა, რომ ბერძნების აჯანყება მაგალითს მისცემდა ავსტრიის იმპერიაში შემავალ ხალხებს, კერძოდ, უნგრელებს, იტალიელებსა და სლავურ მიწებზე მცხოვრებ ხალხებს. გარდა ამისა, ავსტრიის იმპერიის მმართველ წრეს აშინებდა, რომ რუსეთი შეძლებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას. ავსტრია თურქეთის მთლიანობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. ჩამორჩენილი

და სუსტი თურქეთის იმპერიის მთლიანობას მხარს უჭერდნენ აგრეთვე ინგლისი და საფრანგეთი. მათგან თურქეთის სულთანი ეკონომიკურ, ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ღებულობდა.

ჯერ კიდევ ადრე, 1826 წლის 4 აპრილს პეტერბურგში ინგლისისა და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით ხელი მოაწერეს ოქმს ერთობლივი მოქმედების შესახებ, ხოლო 1827 წელს ლონდონში დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის ერთობლივი შეთანხმების გაფორმებისათვის. ინგლისისა და საფრანგეთის მისიები ცდილობდნენ, გაეჭიანურებინათ მოლაპარაკება და თურქეთისათვის ბერძნების აჯანყების ჩახშობის საშუალება მიეცათ. ამით განაწყენებულმა რუსეთმა განაცხადა, რომ „ერთპიროვნულად“ გადაწყვეტდა საბერძნეთის საკითხს და დაიწყო ჯარის მობილიზაცია. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლები დააფრთხო რუსეთის კატეგორიულმა წინადადებამ და იძულებული გახდნენ, დაეჩქარებინათ შეთანხმების გაფორმება. 1827 წლის 6 ივლისს ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის დიპლომატებმა ხელი მოაწერეს ე. წ. „ლონდონის კონვენციას“. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ვალდებულებას კისრულობდნენ, ოსმალეთისათვის შეეთავაზებინათ თავიანთი შუამავლობა ბერძნებთან დაზავების შესახებ. თურქეთსა და ბერძნებს შორის დაზავება შემდეგ პირობებში უნდა მომხდარიყო: 1. ბერძნები ოსმალეთის მიმართ დამოკიდებულ მდგომარეობაში რჩებოდნენ და მისთვის ყოველწლიურად ხარკი უნდა გადაეხადათ; 2. ბერძნებს ექმნებოდათ საკუთარი ხელისუფლება, მაგრამ ხელისუფალთა დანიშვნაში ოსმალეთს გარკვეული მონაწილეობა უნდა მიეღო; 3. იმ მიზნით, რომ ბერძნები გამოყოფოდნენ ოსმალეთს და ბოლო მოღებოდა ოსმალეთსა და ბერძნებს შორის გაუთავებელ შეჯახებებს, ბერძნებს უფლება ეძლეოდათ, გამოესყიდათ თავიანთ ტერიტორიაზე მყოფი თურქების საკუთრება. კონვენციის დამდებ მხარეებს მისი ძალით ეკრძალებოდათ თავიანთი გავლენის გაზრდა ახლო აღმოსავლეთში ან სავაჭრო უპირატესობის მოპოვება.

რუსეთის დაბეჯითებითი მოთხოვნის შედეგად კონვენციაში შეიტანეს საიდუმლო მუხლი: იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი უარს განაცხადებდა ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა შუამავლობაზე საბერძნეთთან ურთიერთობის მოგვარების საქმეში, მაშინ ოსმალეთის მიმართ გამოყენებული იქნებოდა იძულებითი ზომა. ხელშეკრულების დამდები მხარეები დაუახლოვდებოდნენ ბერძნებს, საბერძნეთში გაგზავნიდნენ თავიანთ კონსულებს, კონსტანტინოპოლიდან კი გამოიწვევდნენ საკუთარ ელჩებს; თუ ეს ღონისძიებაც არ იმოქმედებდა ოსმალეთის სულთანზე, მაშინ კონვენციის დამდები მხარეები ვალდებული იყვნენ, თავიანთი სამხედრო-საზღ-

ვაო ესკადრებისათვის თავი მოეყარათ ხმელთაშუა ზღვის აუზში და იძულებული გაეხადათ ოსმალეთი, ხელი აეღო ბერძნებთან ომზე.

თურქეთის მთავრობამ უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე, მაშინ რუსეთის მკაცრი მოთხოვნით სამივე სახელმწიფომ ბერძნების დასახმარებლად გაგზავნა საზღვაო ძალები. 1827 წლის 20 ოქტომბერს, მოკავშირეთა საზღვაო ძალებმა სულ მოკლე ხანში, სამსაათიანი ბრძოლის შედეგად, ნავარინის უყურესთან გაანადგურეს თურქეთ-ეგვიპტის საზღვაო ფლოტი, რომელიც ბერძნების წინააღმდეგ საბრძოლველად იყო გაგზავნილი.

ნავარინის უყურესთან დამარცხებამ ოსმალეთის სულთნის გაბოროტება გამოიწვია. სულთანმა გაუქმა რუსეთთან დადებული ყველა ტრაქტატი, მათ შორის აკერმანის კონვენცია, ჩაკეტა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, ემბარგო დაადო კონსტანტინოპოლში რუსულ საქონელს. ოსმალეთის სულთანი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თავისი პოზიციების შესუსტებას რუსეთს აბრალებდა. იგი შეუდგა გამალებულ მზადებას რუსეთთან ომისათვის[1].

რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყება ყოველდღე იყო მოსალოდნელი. ოსმალეთი შეუდგა ამიერკავკასიაში საზღვრისპირა ციხესიმაგრეების გაძლიერებას. იგი საზღვრებზე დიდძალ არტილერიასა და ჯარს უყრიდა თავს. 1827 წლის 31 ოქტომბრის ცნობით, კონსტანტინოპოლიდან ანაპაში თურქებმა ხომალდებით გადასხეს დიდძალი ჯარი, ჩაიტანეს 1053 კასრი დენთი, დიდი რაოდენობით არტილერია[2]. სულთანი ცდილობდა, ანაპის ციხიდან დაკავშირებოდა მთის მუსლიმანური მოსახლეობის ზედაფენას და მოსყიდვითა და გადმობირების გზით ფეხზე დაეყენებინა რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის სარდლობას ცნობა ჰქონდა იმის შესახებაც, რომ „Анапский паша посредством Чеченского Бей-Булата старается склонить некоторых лезгин к поднятию против нас оружия и что уже собираются партии с намерением напасть на ближайшия Кахетинския селения"[3].

რუსეთი იძულებული გახდა, კონტრლონისძიებებისათვის მიემართა. შავი ზღვის ფლოტის სარდალს ებრძანა, დაეცვა აფხაზეთისა და ანაპის სანაპიროები თურქეთის მტრული მოქმედებისაგან[4]. ოსმალეთს გაღაწყ-

---

[1] ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т. XI, стр. 345—362, СПБ, 1895 г.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 137. შდრ. АВПР, ф. Главный архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. V, л. 23—24.

[3] იქვე, ფურც. 139, შდრ. АВПР, ф. Главный архив, 1—9, 1827. д. 13 ч. 5, л. 24—25, Журнал Паскевича от 12 января 1828 г.

[4] АВПР, ф Главный архив, 1—9, 1827, д. 13, ч. 5, л. 4—5.

ვეტილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში თავისი ადრინდელი ბატონობის აღდგენა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ კრიტიკულ მომენტში დიდოელებმა თავიანთი ბელადები გაუგზავნეს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და შეჰფიცეს მათ, რომ ამიერიდან თავს არ დაესხმოდნენ კახეთს, ხელს აიღებდნენ მის ძარცვაზე. ამასთან ერთად, თუკი დაღესტნიდან აბრაგები გამოჩნდებოდნენ, მათ არ შეიფარებდნენ და მტრული ძალების გამოჩენას მაშინვე აცნობებდნენ რუსებს[1].

რუსეთის იმპერიის საზღვრებზე ოსმალეთმა ჯარის დისლოკაცია დაიწყო. რუსეთის მზვერავის მარტიროსოვის ცნობით, ყარსში თურქებს 100 ქვემეხი ჩაუტანიათ, გარდა ამისა „в Карс приехал иностранец, который учит войско европейской тактике"[2]. იგივე მარტიროსოვი 1827 წლის 23 დეკემბერს ერზერუმიდან იტყობინებოდა, რომ თურქეთმა ერზერუმის ციხესიმაგრეში 10-ათასიანი ჯარი ჩააყენა, ამასთან ერთად 17-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებს ებრძანათ, მზად ყოფილიყვნენ ომისათვის.

ასევე ბაიაზეთში მარტო ერთ დღეს გაიგზავნა 6 ქვემეხი, 2-ათასიანი ჯარი, ტყვია-წამალი 32 აქლემის ჩალვადარით და სხვა საბრძოლო საშუალებანი. დიდი რაოდენობით სამხედრო სპეციალისტი იყრიდა თავს ერზერუმში, ყარსში, ბაიაზეთში, ახალქალაქში, ახალციხეში, ფოთსა და ანაპაში[3].

რუსეთის მზვერავს ყარსის ფაშასთან საუბრისას უკითხავს, თუ რატომ უყრიდა თავს თურქეთი რუსეთის საზღვარზე ესოდენ დიდძალ ჯარსა და არტილერიას, მას კი შემდეგი პასუხი გაუცია: „Англичане сожгли у нас флот, мы думали, что и русские с ними участвовали, в почем послано в Константинополь нарочный для получения о том верительных сведений"[4]. აქ ლაპარაკია ნავარინის ყურესთან თურქეთის ფლოტის განადგურებაზე, რაშიც რუსეთის საზღვაო ფლოტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ეს კარგად უნდა სცოდნოდა ფაშას. აშკარა იყო, რომ თურქეთი ომისათვის ემზადებოდა. თურქეთი გამომწვევად იწყებდა სასაზღვრო ინციდენტებს. იგი ომის პროვოკაციაზე მიდიოდა. 1827 წლის ოქტომბრის დასაწყისში ერევნის ციხესიმაგრის დაცემამ გარკვეული გავლენა იქონია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაზე, თუმცა ეს იყო დროებითი მოვლენა. პასკევიჩის ჟურნალში ამის შესახებ შემდეგს ვკი-

---

[1] АВПР, ф. Главный архив, 1—9, 1827, д. 13, ч. 5, л. 33—34.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 137. შდრ. АВПР, ф. Главный архив 1—9, 1827 г., д. 13, ч. V, л. 23—24.

[3] АВПР, ф. Главный архив, 1—9, д. 13, ч. V, л. 33 и 34.

[4] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 137. შდრ. АВПР, ф. Главный архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. V, л. 139.

თხულობთ: „Успехи оружия нашего против персиян имели большое влияние на турок; по получении известия о взятии Эривани Арзрумский Сераскир послал в тот же час нарочнаго курьера с донесением в Константинополь и с тех пор они весьма учтивы в сношениях с нами“[1].

მაგრამ ასეთი მდგომარეობა სტაბილური არ ყოფილა. ოსმალეთის სარდლობა უკვე გამომწვევად იქცეოდა.

ირანის შაჰმა უთუოდ შეიტყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავება. იგი ცდილობდა, გაეჭიანურებინა რუსეთ-ირანის საზავო მოლაპარაკება და ხელშეკრულების გაფორმება. თუ თურქეთი ომს დაუწყებდა რუსეთს, შაჰი ვარაუდობდა, რომ გაცილებით ხელსაყრელ პირობებში მოახერხებდა რუსეთთან დაზავებას, ან თურქეთისა და ირანის გაერთიანებულ ძალებთან ბრძოლა რუსეთს აიძულებდა, ხელი აეღო თავის პრეტენზიებზე ირანის მიმართ. პასკევიჩის ჟურნალში 1828 წლის 16 იანვარს ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „Шах непременно ожидает из Турции подтверждение известий о решительной войне против нас“[2]. ირკვევა, რომ სწორედ ამიტომ აყოვნებდა შაჰი რუსეთთან დაზავებას. იგი სულთანს ელჩებს უგზავნიდა იმ მიზნით, რომ მოესინჯა ნიადაგი, ნამდვილად დაიწყებდა თუ არა ომს თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ. რუსი მზვერავი მარტიროსოვი 1827 წლის 8 დეკემბერს რუსეთის სარდლობას აუწყებდა ერზერუმში ირანის ელჩის ჩასვლის შესახებ. იგი წერდა: „8-го числа прибыл сюда посланец от персидского шаха, который был принят весьма ласково. Сераскир о прибытии его послал немедленно донесение султану и посланец остается в Арзрюме (так, Н. К.) до получения ответа“[3].

თურქეთის მმართველი წრეები აიმედებდნენ შაჰსა და აბას-მირზას, რომ სულ მალე დაიწყებოდა ომი რუსეთის წინააღმდეგ. ზოგჯერ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შესახებ ხმებიც კი ვრცელდებოდა ირანში. 1827 წლის 12 დეკემბერს პასკევიჩმა შეიტყო, რომ ვანის ფაშამ აბას-მირზას აცნობა ოსმალეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ახლო მომავალში ომის გამოცხადების გარდუვალობის შესახებ და რომ სულთანი მას სამხედრო ფინანსურ დახმარებას ჰპირდებოდა. თვითონ ინგლისის ელჩი მაგდონალდიც კი უწყობდა ხელს ირანში ასეთი ხმების გავრცელებას. ინგლისელები აჩქარებდნენ თურქეთის მხრივ რუსეთის წინააღმდეგ ომის და-

---

[1] АВПР, ф. Главный архив, 1—9, д. 13, ч. II, л. 161.
[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 138 об.
[3] იქვე, ფ. 139.

წყებას, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა რუსეთის გავლენის შეზღუდვას ირანში[1].

შაჰი თურქეთში გაგზავნილი ელჩის დაბრუნებას ელოდა. იგი ვარაუდობდა, რომ სულთნისაგან საგანგებო პასუხს მიიღებდა. პასკევიჩის ჟურნალში ვკითხულობთ, რომ „Сераскир Эрзерумский каждый день посылает курьера в Константинополь; в Эрзеруме живет две недели персидский посланец, персияне дружны с турками. В Карсе и Баязете полагают выставить против нас до 40.000 войск"[2]. ირანის ელჩს აგვიანდებოდა უკან მობრუნება, მაგრამ იგი ერზერუმში სულ უფრო ღრმად რწმუნდებოდა, რომ თურქეთი ნამდვილად ემზადებოდა რუსეთთან ომისათვის. იმ მიზნით, რომ ოსმალეთს სერიოზული წარმატება მოეპოვებინა საქართველოსათვის ბრძოლაში, სულთნის განკარგულებით გადაყენებულ იქნენ ყარსის, ახალციხის, ვანისა და ბაიაზეთის ფაშები, რომლებიც ოსმალეთის მთავრობას ბოლომდე საიმედოდ არ მიაჩნდა. ერზერუმის სერასკირი ყოველდღე მოელოდა სულთნის ბრძანებას ომის დაწყების შესახებ[3].

1828 წლის თებერვალში სიპიაგინმა პასკევიჩს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ოსმალეთის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ: „В Арзруме ежедневно занимаются учением солдат, для чего присланы из Константинополя офицеры и унтерофицеры. Набор продолжается еще до сего времени с тою только разницею, что теперь записывают в службу всякого состояния людей против их воли, даже и агаларских детей. На сих днях прибыло туда до 2 т. конницы и Здели-паша, еще вскором времени ожидают прибытия 12 т. конницы. В Арзрюме приготовляют артиллерию и снаряды. Во всех пашалыках отдан строжайший приказ Сераскиром пашам и бекам, чтобы состоящие в команде их войска, были совершенно к походу готовы и имели бы исправное оружие, достаточное число патронов и продовольствия"[4].

ოსმალეთის სარდლობა ჯარს ამზადებდა და ომის დაწყებისათვის სულთნის ბრძანებასღა ელოდა.

საგულისხმოა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელმაც თავისი ბედი აბას-მირზას დაუკავშირა, ირანის დახმარებით სამეფო ტახტის დაუფლებას უკვე უიმედო საქმედ თვლიდა. იგი ირანიდან თურქეთში გადაიხვეწა, დაუკავშირდა ერზერუმის სერასკირს, იმერეთის ტახტის პრეტენ-

---

[1] АВПР, ф. Главный архив, д. 13, ч. II, л. 178.

[2] იქვე, საქმე 13. ნაწ. 5, ფურც. 29, 3 თებერვალი, 1828 წ.

[3] АВПР, ф. Главный архив, д. 13, ч. II, л. 43.

[4] АВПР, 1—9, 1827, д. 13, ч. V, л. 42 об. и 43.

დენტს ვახტანგ ბატონიშვილს და ახლა ოსმალეთის დახმარებით ეძიებდა ბედს. ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობდა, ორივე პრეტენდენტი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „Царевич Александр находится в Арзруме и какой-то князь Имеретинский, которого турки также называют царевичем. Они получают там весьма хорошее содержание от турецкого правительства“[1]. ალექსანდრე და ვახტანგ ბატონიშვილები ერთხელ კიდევ შეეცადნენ, გარეშე ძალების გამოყენებით დამკვიდრებულიყვნენ საქართველოში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ისტორიამ მათ მკაცრი განაჩენი გამოუტანა.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გართულება მარტო ნავარინის ყურესთან მომხდარი საზღვაო ბრძოლისა და თურქეთის ფლოტის განადგურების შედეგი არ ყოფილა. თურქეთი ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1806—1812 წლების ომის დამთავრებისა და ბუქარესტის ზავის გაფორმებისთანავე შეუდგა საზავო ხელშეკრულების დარღვევას, აწყობდა ახალ-ახალ პროვოკაციებს. მან არაერთხელ სცადა დასავლეთ საქართველოს დაპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ საზავო ხელშეკრულება ამის უფლებას არ იძლეოდა[2].

1826 წლის 26 სექტემბერს დადებული აკერმანის კონვენცია რუსეთის დიპლომატიის გარკვეული მიღწევა იყო. ამით თურქეთმა რუსეთთან დადებული ყველა ხელშეკრულების შესრულების გარანტია იკისრა, თუმცა სულ მალე სულთანმა ისინი და თვით აკერმანის კონვენციაც გაუქმებულად გამოაცხადა.

ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარი დიდი მანძილით იყო დაცილებული მარცვლეულის რაიონებს, ამიტომ რუსეთის სარდლობა ცდილობდა, სურსათსა და ფურაჟზე მოთხოვნილება ადგილობრივი რესურსებითა და აგრეთვე თურქეთის საზღვრისპირა პროვინციებში შესყიდული მარცვლეულით შეევსო. ოფიციალურად რუსეთსა და თურქეთს შორის საომარი მდგომარეობა არ ყოფილა. პასკევიჩი თურქეთის საფაშოებში აგზავნიდა წარმომადგენლებს პურის შესაძენად. ერზერუმის სერასკირი მათ თითქოს ნებას რთავდა პური შეესყიდათ, მაგრამ ფაშებს საიდუმლო ბრძანებას აძლევდა, არც ერთი მარცვალი არ მიეცათ რუსებისათვის... და, მართლაც, ისინი საბოლოოდ უარით ისტუმრებდნენ რუსებს. ფაშები ამ მოქმედებას იმით ასაბუთებდნენ, თითქოსდა თურქეთი ირანისა და რუსეთის მიმართ ნეიტრალიტეტს იცავდა ისევე რო-

---

[1] АВПР, 1—9, 1827, д. 13. ч. V, л. 43.

[2] ნ. ქ ო რ თ უ ა, საქართველო 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 459—461, თბ. 1964 წ.

გორც მაშინ, როცა მან ირანს განსაცდელის ჟამს არ მიჰყიდა ტყვია-წამალი, რათა არ გაენაწყენებინა რუსეთის სარდლობა. ამასთან დაკავშირებით პასკევიჩი სამხედრო ჟურნალში წერს: „В официальном ответе ко мне Сераскир пишет, что Турция будучи в дружественной связи с Персиею и с Россиею, почитает противным правом народным дозволить нам покупку хлеба в турецких владениях“ [1].

სინამდვილეში თურქეთი ნეიტრალიტეტს კი არ იცავდა, სურსათისა და საომარი საშუალებების საგრძნობ რაოდენობას ირანს აძლევდა[2].

პასკევიჩმა ჯერ კიდევ 1827 წლის აგვისტოში შეიტყო, რომ ირანს დიდი გასაჭირის დროს ახალციხის ფაშამ არტილერია მიაშველა. საარქივო საბუთში ამის შესახებ ვკითხულობთ: „По донесению полковника князя Бебутова у Ахалцыхского паши собран был совет и в ночь на 27 августа вывезено из Ахалцыхской крепости 50 орудий в подкрепление персидского войска“ [3].

თურქეთის მთავრობის ეს მოქმედება აშკარად მიგვითითებს რუსეთის მიმართ მეტისმეტად მტრული დამოკიდებულების შესახებ. თავისი დანაშაულებრივი მოქმედებით თურქები უფრო შორს მიდიოდნენ. 1827 წლის მაისში პოლკოვნიკმა სავარსამიძემ, რომელიც ყარსის საფაშოში იყო წასული პურის შესაძენად, გაიგო, რომ მაგეზბერდის შერიფ-აღას თავისმა ქვეშევრდომებმა მიართვეს მოკლულ კაზაკთა ხუთი თავი, რომლებიც მან ნიშნად ერთგულებისა ერევნის ხანს გაუგზავნა. თურქებმა გაიტაცეს რუსების 14 ცხენი[4]. ყოველივე ეს კი ომის გამოცხადებამდე ხდებოდა.

თურქეთში ირანის დიპლომატიური მისიის გაგზავნას თავისი შედეგები მოჰყვა. თურქეთი დახმარებას აღუთქვამდა ირანს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. აბას-მირზა არ მალავდა, რომ ერზერუმის სერასკირი წერილებს უგზავნიდა, მზადყოფნას ჰპირდებოდა და მოუწოდებდა მას „соединиться с турками и действовать с ними совокупно противу русских по сю сторону Кавказа, предлагал денежное вспомоществование в случае согласия“ [5].

მოყვანილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ურთიერთობა რუსეთსა და თურქეთს შორის მეტისმეტად გართულებული იყო. ირანი და თურქეთი ერთმანეთთან დაახლოების გზებსა და საშუალებებს ეძებდნენ, ხოლო მათი სამხედრო ძალების გაერთიანება უდავოდ სახიფათო იქნე-

---

[1] АВПР, ф. гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. V, л. 74 и об.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д 4294, л. 329.

[3] იქვე, ფ. 407.

[4] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. VII, л. 83 об.

[5] იქვე, ს. 13, ნაწ. II, ფ. 6.

ბოდა რუსეთისათვის. ამიტომ აჩქარებდნენ პასკევიჩს პეტერბურგიდან, რომ სასწრაფოდ გაეფორმებინა საზავო ხელშეკრულება ირანთან და მოემზადებინა ჯარი ოსმალეთთან მომავალი ომისათვის.

იმპერატორს, დიბიჩის თქმით, სჯეროდა, რომ „предстоящее окончание войны с Персией дозволит в случае нужды употребить противу Турции часть вверенных вам войск“[1]. დიბიჩი არწმუნებდა პასკევიჩს, რომ საზავო ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარება საშუალებას მისცემდა მას, დაეწყო სომარი მოქმედება ანატოლიაში. კავკასიის ფრონტს უნდა მიეზიდა თურქეთის ჯარის გარკვეული ნაწილი. ეს ხელს შეუწყობდა დუნაის მთავარ ფრონტს, რომელიც ძლიერ დარტყმებს აგემებდა თურქებს.

დიბიჩის აზრით, თურქეთთან რუსეთის ომს უნდა მოჰყოლოდა საქართველოს უშიშროების განმტკიცება, კერძოდ, ახალქალაქის, ახალციხისა და ფოთის შემოერთება. რუსეთს აგრეთვე გადაწყვეტილი ჰქონდა, თურქების ბატონობისაგან გაეთავისუფლებინა ანაპა და საბოლოოდ განემტკიცებინა თავისი პოზიციები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე[2].

ირანთან ზავის დადებას რუსეთისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

§ 2. საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვა დეიკარგანში. სომარი მოქმედების განახლება და თურქმენჩაის ხელშეკრულება

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო ირანთან დაზავებას აჩქარებდა. იმპერატორმა პასკევიჩს ჯერ კიდევ 1827 წლის 19 აპრილს ირანთან საზავო ხელშეკრულების გაფორმების რწმუნებით გამოუგზავნა დიპლომატიური სტატსკი სოვეტნიკი ობრესკოვი. მას საიდუმლოდ მისცეს საზავო ხელშეკრულების პროექტი და მტკიცე დავალება, რომ დაეჩქარებინა ზავის დადება, რადგანაც ახლო აღმოსავლეთში გამწვავებული მდგომარეობა ირანთან ურთიერთობის გადაუდებელ მოწესრიგებას მოითხოვდა. ინგლისის დიპლომატია თავის მხრივ ცდილობდა, გაერთულებინა მდგომარეობა და რუსეთ-ირანის დაზავების საქმე ჩიხში მოექცია. საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტში, რომელიც დიბიჩის ხელმოწერით გაეგზავნა პასკევიჩს, ვკითხულობთ: „Ибо чем далее ведена будет война, тем значительней-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 30.

[2] ქ ვ ე, ფ. 30—31.

шия понесем мы издержки и тем более желающие видеть нас в заботах — найдут времени и способов, происками своими усугубить затруднения к миру".[1] მართლაც, იყო ასეთი ძალა—ინგლისი, რომელიც მთელ თავის ინტრიგებს ახლო და შუა აღმოსავლეთში რუსეთის წინააღმდეგ წარმართავდა.

როგორი იყო პასკევიჩის მოსაზრება ირანთან დაზავების პირობების შესახებ და რას ითვალისწინებდა საზავო ხელშეკრულების ის პროექტი, რომლითაც ირანთან მოსალაპარაკებლად დიპლომატი ობრესკოვი იგზავნებოდა?

როგორც ირკვევა, თბილისში დიბიჩის ყოფნის დროს პასკევიჩი მოლაპარაკებია მას ირანთან დაზავების პირობების შესახებ. მათ ამ საკითხზე საერთო მოსაზრება შეუმუშავებიათ და 1827 წის 23 მარტს იმპერატორისათვის ოფიციალურად შეუტყობინებიათ. ეს მოსაზრებანი ითვალისწინებდა რუსეთის ჯარების მიერ თავრიზის, მარაგის, ურმიის, გილიანისა და მაზანდერანის სახანოების ოკუპაციას და ამ ვრცელ ტერიტორიაზე ვასალური სახანოების შექმნას[2]. გათვალისწინებული იყო, რომ სახანოებში ხანებად დაესვათ რუსული ორიენტაციის ირანელი დიდებულები, რომლებიც წინამორბედი ხანების სისხლით მემკვიდრენი იქნებოდნენ, მაგრამ სავსებით მინდობილნი რუსეთისადმი. ამ მოსაზრებას ცოტა უფრო გვიან, თავრიზის აღების შემდეგ, კვლავ იმეორებდა პასკევიჩი და უგზავნიდა იმპერატორს წერილებს, რომლებშიც მოითხოვდა, აღნიშნული სახანოების პოლიტიკური მმართველობის მოწესრიგების მიზნით თავრიზში დაესვათ რუსეთის რეზიდენტი (მთავარმმართებელი) ან „ვალი", რომელსაც დაემორჩილებოდნენ მმართველი ხანები. იგი არწმუნებდა იმპერატორს, რომ აღნიშნული ვრცელი ტერიტორიის დასაცავად რუსეთს დიდი ხარჯების გაღება არ დასჭირდებოდა, რადგანაც ადგილზე შესაძლებელი იქნებოდა რუსი ოფიცრების მეთაურობით აზერბაიჯანელებისა და ირანელებისაგან ჯარის ფორმირება, იმის მსგავსად როგორც ამას ირანში ინგლისელები აკეთებდნენ. გარდა ამისა, მაქსიმუმი 8 რუსული ბატალიონი თავისუფლად დაიცავდა ამ მხარეს, ხოლო ადგილობრივი შემოსავალი, რაც 8 მილიონი მანეთის ასიგნაციას შეადგენდა, პასკევიჩის აზრით, სრულიად საკმარისი იქნებოდა მისი შენახვისათვის. ამ ღონისძიების გატარება სამუდამოდ დააზღვევდა რუსეთის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში ყოველგვარი მოულოდნელი თავდასხმისაგან. ამიერიდან, პასკევიჩის თქმით, „Дух мятежа, тайные подкупы, возбуждения фанатиков не проникнут в Закавказские русские владения"[3].

---

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9, 1827, д. 13, ч. I, л. 5.

[2] იქვე. ფ. 17—19.

[3] იქვე, ნაწ. II, ფ. 134—141.

ეს იყო შორს გამიზნული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის სამფლობელოებსა და ირანს შორის რუსეთის ვასალური სახანოებისაგან თავისებური ბუფერული სახელმწიფოს შექმნას. მისი ვრცელი ტერიტორია რუსეთის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში ირანელთა მოულოდნელი თავდასხმის საფრთხეს ააცდენდა. გარდა ამისა, დიბიჩისა და პასკევიჩის აზრით, ეს სამხედრო აქცია განამტკიცებდა აგრეთვე რუსეთის საზღვრების უშიშროებას თურქეთის მხრიდანაც[1]. თურქეთთან ომის შემთხვევაში რუსეთს საშუალება მიეცემოდა, აქტიური საომარი ოპერაციები განევითარებინა ყარსის, ახალციხის, ახალქალაქისა და ბაიაზეთის წინააღმდეგ[2]. აქვე კატეგორიულად ისმებოდა თურქეთთან ომის შემთხვევაში ფოთისა და ანაპის შემოერთების საკითხი, რაც ხელს შეუწყობდა კავკასიის მთიანეთში მტრული ძალების მოქმედების შეწყვეტას და იქ სრულიად მოკლე დროში მშვიდობის აღდგენას.

ამგვარად, რუსეთის საიმპერიო არმიის მთავარი შტაბის უფროსი და პასკევიჩი აზერბაიჯანის ტერიტორიის მთლიანად შემოერთებას მოითხოვდნენ. ისინი თურქეთის მიერ ადრე მიტაცებული ტერიტორიების მიმართ პრეტენზიას აცხადებდნენ და ამას ამიერკავკასიაში ირანელთა და ოსმალთა ვერაგული თავდასხმების საფრთხის ლიკვიდაციისა და კავკასიის ხალხთა შორის მშვიდობის დამყარების აუცილებლობის მოტივით ასაბუთებდნენ. ირანის აღნიშნული სახანოების შემომტკიცება „მფარველობის“ ქვეშ მათი მიღების მოტივით უნდა მომხდარიყო. რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, გართულებული სიტუაციის გამო ვერ ახერხებდა აღნიშნული გეგმის განხორციელებას, რადგანაც ირანში ფეხმოკიდებული ინგლისი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამის საშუალებას არ აძლევდა მას. ამასთან, მოსალოდნელი იყო, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავებას საომარი მოქმედება მოჰყვებოდა.

დიბიჩისა და პასკევიჩის მოსაზრებანი ირანის დიდი ნაწილის დაპყრობასაც ითვალისწინებდა, რაც გამოიწვევდა ომის გაჭიანურებას და აგრეთვე ინგლისთან ურთიერთობის სერიოზულად გართულებას. იმპერატორმა, ამ შეხედულებებს რომ გაეცნო, პრინციპულად უარყო ირანის მიმართ ასეთი პრეტენზიების წაყენება. მისი აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით ომის გაჭიანურება რუსეთისათვის საზარალო იქნებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ნესელროდე 1827 წლის 24 აპრილს დიბიჩს სწერდა: „Его величество усматривал тут одну неоспоримую истину, то-есть, что издержки, коих потребует продолжение войны, скоро превзойдут сумму, которую мы домогаемся получить от Персии, в то время, когда сия держава, ослабленная войною,

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4377, л. II.

[2] იქვე, საქ. 4326, ფურც. 135.

будет постепенно удаляема от возможности удовлетворить нашему требованию"[1].

ე. წ. „სამემკვიდრეო სახანოების" შექმნისაგან იმპერატორი თავს იკავებდა, იგი ირანის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების დროს გარკვეულ „ზომიერებას" მოითხოვდა. ნიკოლოზ I-ის ასეთი თავშეკავება გამოწვეული იყო არა იმით, რომ მას არ სურდა ირანის ვრცელი ტერიტორიების მიტაცება, არამედ იმ მიზეზით, რომ ამას აუცილებლად მოჰყვებოდა კონფლიქტი ინგლისთან. ინგლისი ირანს 1812 და 1814 წლების ხელშეკრულებების საფუძველზე სხვა სახელმწიფოსაგან ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. ასე რომ, გაუფრთხილებლობა უთუოდ გამოიწვევდა ინგლისთან შეიარაღებულ შეტაკებას, და ეს კიდევ უფრო გაართულებდა რუსეთის მდგომარეობას ახლო და შუა აღმოსავლეთში, ამის გამო ბარონი ნესელროდე დიბიჩს სწერდა: „Чтобы привести в исполнение предстоящую систему, должно бы отторгнуть от Персии пять из ея богатейших и плодороднейших провинций для учреждения независимых ханств, введя оные под покровительство и влияние России, сие в сущности своей действительное раздробление персидской монархии, таковое возродило бы неминуемо живейшия опасения в державе, имеющей причины желать, чтоб между ея владениями в Азии и нашими существовали правительства довольно сильныя, дабы не допустить до взаимнаго прикосновения. Шах не преминет просить ея помощи, и мы увидим себя вовлеченными в положительную распрю с Англиею, а такое время, в которое быв соединены с сею державою важным актом. Мы имеем существеннейшую надобность в ея содействии для приведения к удовлетворительному окончанию дела, относящагося равномерно к славе государя, императора и к важнейшим пользам государства. Наше положение было бы тем неприятнее, что трактаты, заключенные в 1812 и 1814 годах между Персиею и Англиею, гласят в точных словах (статья 12 и 13) „что правительство Английское всегда будет воодушевляемое желанием искренним, усиливать и утверждать персидскую державу и что цель сих

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9, 1827, д. 13, ч. I, л. 28.

договоров есть та, чтобы найти во взаимном пособии залог их могущества и самостоятельности". Таким образом Англия может основать свое сопротивление на разуме и почти на буквальном смысле трактатов, и мы не в праве отозваться неведением обязанностей, которыя побуждают ее действовать; ибо означенный трактат был нам откровенно и дружески сообщен самим Лондонским кабинетом в 1820 году"[1].

მოყვანილი დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას იძლევა, ერთი მხრივ, ინგლისსა და ირანს შორის არსებულ ურთიერთობაზე, მეორე მხრივ კი, რუსეთსა და ინგლისს შორის შუა აღმოსავლეთში ინტერესთა დაპირისპირების შესახებ. ეს დაპირისპირება ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს ყურადღებას იქცევდა, მაგრამ „Англия более всех по обширным своим владениям в Азии принимает участие в движениях наших в Персии. Не может держава сия поверить, что учреждаются нами наследственныя ханства единственно для обеспечения пределов наших, она видела, что подобные ханства, учрежденные для обеспечения Грузии, присоединены после к Российским областям. Учреждение ханств за Араксом, она большим вероподобием примет за твердую систему России приуготовлять постепенно средства к ниспроверженню владычества англичан в Индии".[2]

ნესელროდეს ეს სიტყვები კომენტარს თითქოს არ საჭიროებს. ცხადია, იგი როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ღრმად ერკვეოდა ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში. მან ჩინებულად იცოდა ეს დიპლომატიური გზები, რომელთა საშუალებითაც შეძლო რუსეთმა თავისი ბატონობის დამკვიდრება ამიერკავკასიაში. აქ იგი ეხება საქართველოს ტერიტორიის უსაფრთხოების მოტივით ადრე ამიერკავკასიის სახანოების ერთი ნაწილის რუსეთის მფარველობის ქვეშ ჯერ მიღებას, ხოლო შემდეგ მათი დაპყრობის საკითხს. მართლაც, რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოს შეერთებით დაიწყო დიდი პლაცდარმის შექმნა კავკასიაში. ცნობილია, რომ პირველ ხანებში ცარიზმი იფარგლებოდა კავკასიის კასპიის ზღვისპი-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. I, л. 28 и 29.

[2] იქვე, ფ. 35—36.

რა სახანოებისა და შავი ზღვისპირა სამეფო-სამთავროების რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებით.

ბარონი ნესელროდე ხატოვნად აღწერს ინგლისისა და რუსეთის ინტერესების დაპირისპირებას ირანში. იგი დიბიჩს იმავე წერილში აუწყებს: „Англия и Россия суть две могущественнейшие державы в Азии, но с тем различием, что первая имеет голову свою, отделенную от тела пространными морями, а вторая тесно связана с другими онаго частями... Вся цель одной и другой состоит в том, чтобы увеличить потребителей своих произведений и во взаимство получать нужное за самую дешевую цену. Англия по географическому своему положению принуждена была для той цели делать завоевания, чтобы не иметь соперников. Россия по тому же географическому положению пользовалась со стороны Персии теми же выгодами с некоторыми действительно ограничениями... Из всего выше изложенного кажется безошибочно можно согласиться, что выгоднее для России иметь в Персии мирнаго, необразованного и слабаго соседа подобно Турции и употребить все возможныя старания соделать обе сие державы в Азии потребителями наших произведений, получая чрез их посредство, как их произведения, так и самой Индии за весьма выгодную цену“.[1]

ირანის სახით რუსეთს უნდა ჰყოლოდა თურქეთივით ჩამორჩენილი, სუსტი და გაუნათლებელი მეზობელი, ორივე ეს სახელმწიფო თავისი ჩამორჩენილობის გამო მხოლოდ რუსეთის საქონლის მომხმარებელი უნდა ყოფილიყო.

სამაგიეროდ რუსეთის მრეწველობას მათგან უნდა მიეღო იაფფასიანი, უხვი ნედლეული თავისი მზარდი მრეწველობისათვის. ცხადია, რუსეთის ასეთი მისწრაფება ეჯახებოდა ინგლისის ინტერესებს, რომელიც ირანის ბაზრებზე მონოპოლიური ბატონობისათვის იბრძოდა; ამასთან, ინგ-

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9, 1827, д. 13, ч. I, л. 35 об., 36 об. и 37.

ლისის მთავარი მიზანი იყო, რომ ირანის სახით მძლავრი ბარიერი შეექმნა ინდოეთის მიმართულებით, რათა იქ არ შეეღწია რუსეთის ჯარს, ინგლისს კი თავისი უშიშარი ბატონობა ბოლომდე შეენარჩუნებინა.

* * *

როგორც ზემოთ ითქვა, იმპერატორმა დიპლომატიური „სტატსკი სოვეტნიკის" ობრესკოვის ხელით 1827 წლის 19 აპრილს პასკევიჩს გაუგზავნა რესკრიპტი და ირანთან გასაფორმებელი საზავო ხელშეკრულების პროექტი. ეს პროექტი წარმოადგენდა რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენლების სამოქმედო პროგრამას. პროექტში ნათქვამი იყო: 1) რუსეთის მთავრობა შაჰის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრედ ცნობდა აბას-მირზას. ამ ფაქტს კეთილად უნდა განეწყო იგი და დაეჩქარებინა ზავის დადება. აღნიშნული მუხლი ისე უნდა ყოფილიყო ფორმირებული საზავო ხელშეკრულებაში, რომ მას რაიმე ვალდებულებით არ დაემძიმებინა რუსეთი. თუ შაჰის გარდაცვალების შემდეგ დინასტიური ბრძოლა ატყდებოდა ტახტისათვის, რუსეთი მასში არ უნდა ჩარეულიყო. 2) მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა სახელმწიფო საზღვრის გამიჯვნის საკითხს. იმპერატორის წინადადებით საზღვარს მდ. არაქსზე უნდა გაევლო. მტკიცედ რომ დამკვიდრებულიყო საზღვარი და ამიერიდან ადგილი არ ჰქონოდა სასაზღვრო ინციდენტებს, რუსეთს უნდა შემოეერთებინა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები. აქვე მითითებული იყო, რომ მცირე ნაწილი ერევნის სახანოს ტერიტორიისა, რომელიც მდ. არაქსს გაღმა მდებარეობდა, საქართველოსა და მის მეზობელ ხალხებს მარილით ამარაგებდა. ამიტომ, თუკი ირანის ხელისუფლება წინააღმდეგი იქნებოდა, ეს ტერიტორია რუსეთისათვის გადაეცა, მაშინ მას უნდა ეკისრა ვალდებულება, რომ რუსეთის ქვეშევრდომებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მისცემდა მარილის მოპოვების უფლებას. 3) ლაპარაკი იყო რუსეთსა და ირანს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ. ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს უფლება უნდა ჰქონოდა, თავისი საკონსულოები დაეწესებინა ყველა ქალაქში, სადაც კი მოისურვებდა. აქვე მითითებული იყო, რომ ირანმა თვითნებურად დაარღვია გიულისტანის საზავო ხელშეკრულების ის პუნქტი, სადაც ლაპარაკი იყო საკონსულოების დაწესების შესახებ. ამის გამო რუსეთის გენერალური კონსული ვერც კი ჩავიდა მომდინარე ომის დაწყებამდე გილიანის პროვინციაში. რუსეთ-ირანის სავაჭრო პირობები ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც რუსეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობაში დამკვიდრდა. 4) ირანის მიერ რუსეთისათვის მიყენებული ზარალის საფასურად შაჰს უნდა გადაეხადა კონტრიბუცია 40 მილიონი მანეთის რაოდენობით. თუკი ამის გადახდას ირანი ვერ შეძლებდა ნაწილ-ნაწილ, დაწე-

სებულ ვადებში და ირანის მხრივ ეს გამოიწვევდა ომის გაგრძელებას, რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას უფლება ეძლეოდა, თანხა 35 მილიონ მანეთამდე შეემცირებინა.[1]

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა საზავო ხელშეკრულების ჩონჩხს, რომლის გაუმჯობესების უფლება ჰქონდათ რუს დიპლომატებს.

ჯერ კიდევ ადრე, რუსების მიერ სარდარ აბადის, აბას-აბადის და სხვა ციხესიმაგრეთა აღებამ ირანის შაჰი შეაშინა და აბას-მირზას უბრძანა, დაუყოვნებლივ დაედო საზავო ხელშეკრულება რუსეთთან, შაჰ-ზადე ფაქრობდა, რომ საქმე არც ისე უიმედო იყო. იგი ვარაუდობდა, რომ რუსეთის ჯარები არათუ ვერ შეძლებდნენ ერევნის აღებას, პირიქით, იქ განადგურდებოდა მისი დიდი ნაწილი. ეს მოლოდინი არ გამართლდა. მალე რუსებმა ერევნის ციხესიმაგრეც აიღეს. ნახიჩევანში მყოფ პასკევიჩთან გამოცხადდნენ ინგლისის მისიის მდივანი კემპბელი და თავრიზის ბეგლარ-ბეგი ფატალი-ხანი, რომლებმაც მას მოახსენეს ირანის სურვილი საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.[2] ინგლისელი კემპბელი პასკევიჩს შუამავლობას სთავაზობდა საზავო მოლაპარაკებაში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ინგლისელ დიპლომატს, როგორც უცხო ქვეყნის წარმომადგენელს, უარი განუცხადა ასეთი სამსახურისათვის. პასკევიჩს განზრახული ჰქონდა, ინგლისის მონაწილეობის გარეშე დაედო საზავო ხელშეკრულება, რადგანაც ინგლისელებისაგან, როგორც იგი დიბიჩს სწერდა 1827 წლის 26 მაისს, არავითარ სიკეთეს არ ელოდა. იგი მიუთითებდა: „Всемерно буду стараться отклонить такое притязание английских дипломатических чиновников, сохраняя в одно время тон уважения и дружества и даже признательности за их участие в делах наших".[3]

თავრიზის დაცემის შემდეგ, მარანდის მისადგომებთან პასკევიჩს კვლავ გამოეცხადნენ აბას-მირზას მიერ გამოგზავნილი ბაჯი-ხანი და ინგლისის მისიის მდივანი კემპბელი. აბას-მირზა პასკევიჩთან შეხვედრას ითხოვდა, მაგრამ ირანის მოციქულები არაფერს ამბობდნენ კონტრიბუციის გადახდაზე, ამიტომაც პასკევიჩმა შეხვედრაზე უარი განაცხადა.[4] აბას-მირზა ახალ-ახალ მისიას გზავნიდა, მაგრამ პრაქტიკულად დაზავების საქმისათვის არაფერი კეთდებოდა.

1827 წლის 20 ოქტომბერს თავრიზის დაცემისთანავე პასკევიჩთან აბას-მირზას რწმუნებით გამოცხადდა კაიმაკამი — აბას-მირზას თანაშემწე აზერბაიჯანის ოლქის მართვა-გამგეობის საქმეში. მას სურვილი

---

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9, 1827, д. 13, ч. I, л. 101—111.

[2] იქვე, ნაწ. II, ფურც. 134.

[3] АВПР, ф. Гл. архив. 1—9, 1827, д. 13, ч. II, л. 134.

[4] იქვე.

ჰქონდა, თავრიზში რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება ინგლისელების მონაწილეობით დაეწყო. პასკევიჩმა წინადადება მისცა ობრესკოვს, მოლაპარაკება დაწყებულიყო არა თავრიზში, არამედ თავრიზიდან 7 კმ დაშორებით სოფ. კარამელიქში ინგლისელების მონაწილეობის გარეშე. მოლაპარაკების ძირითადი საკითხები უნდა ყოფილიყო:

1. ირანს რუსეთისათვის უნდა გადაეცა ერევნის სახანო, რომელიც მდ. არაქსის ორივე სანაპიროზე მდებარეობდა, და ნახიჩევანის სახანო. ამ უკანასკნელიდან დაწყებული არაქსი ედიბულულის ფონამდე უნდა ყოფილიყო სახელმწიფო საზღვარი.

2. რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებოდა ირანელების მიერ ომის დასაწყისში ოკუპირებული თალიშის სახანო, რომელიც გიულისტანის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთს ეკუთვნოდა.

3. რუსეთისადმი მიყენებული ზარალის საფასურად ირანს უნდა გადაეხადა 15 ყურური თუმანი, ანუ 30 მილიონი მანეთი ვერცხლით, მათ შორის 5 ყურური, ანუ 10 მილიონი მანეთი ირანს უნდა გადაეხადა დროებითი საზავო ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის ვადაში. დანარჩენი 10 ყურურის გადასახდელად ირანს ეძლეოდა ორი თვის ვადა, დაწყებული პირველი 5 ყურურის გადახდის დღიდან. მანამდე, სანამ ირანი დარჩენილ 10 ყურურს გადაიხდიდა, დაკავებულ ტერიტორიაზე რჩებოდა რუსეთის ჯარი. დანიშნულ დროზე მითითებული თანხის გადახდისთანავე რუსეთის ჯარი ტოვებდა ირანის ტერიტორიას, ზემოთ აღნიშნული სახანოების გამოკლებით. იმ შემთხვევაში, თუ ირანი 5 ყურურის შემდეგ არ გადაიხდიდა დათქმული 2 თვის ვადაში დარჩენილ 10 ყურურს, მაშინ მთელი აზერბაიჯანის ოლქი გამოეყოფოდა ირანის სახელმწიფოს და რუსეთის მფარველობაში შევიდოდა თავისი სახანოებით, ხოლო რუსეთის მიერ მიღებული პირველი ნაწილი კონტრიბუციისა — 5 ყურური ირანს არ დაუბრუნდებოდა.[1]

რუსეთი თავისი მფარველობის ქვეშ აზერბაიჯანის სახანოების მიღების წინადადებით აშინებდა ირანს და ამით ზემოქმედებას ახდენდა ინგლისის მისიაზე, რათა შაჰს დროულად გადაეხადა კონტრიბუცია. სინამდვილეში მისი სისრულეში მოყვანა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თუ ირანი მიიღებდა შეთავაზებულ პირობებს, პასკევიჩი თანახმა იყო, რომ აბას-მირზას დეიკარხანში შეხვედროდა.

კაიმაკამმა ყველა წაყენებული პირობა მიიღო. იქვე მტკიცედ შეთანხმდნენ, რომ საზავო ხელშეკრულება ირანთან იმ შემთხვევაში გაფორმდებოდა, თუ აბას-მირზა წინასწარ გამოგზავნიდა 5 ყურურს.

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1827 г., д. 13, ч. II, л. 136 и об. 137. შდრ. Генерал-фельдмаршал князь Паскевич, его жизнь и деятельность, т. III, стр. 28—30. СПБ, 1891 г.

კიმაკამი კარამელიქში მოლაპარაკებისას დათანხმდა ირანის მიმართ წაყენებულ ყველა მოთხოვნაზე, მაგრამ მათი შესრულება გაუძნელდა. კარკვეული დროის გასვლის შემდეგ მან პასკევიჩს შემოუთვალა, რომ ინგლისის ელჩის ჩარევის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა შაჰის დათანხმება წაყენებული მილიონების კონტრიბუციის ანგარიშში გადახდის შესახებ.[1] ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, თუ ირანის მმართველი წრეები რამდენად იყვნენ მინდობილი ინგლისის მთავრობას და მაკდონალდის ავტორიტეტული სიტყვა რაოდენ დამაჯერებელი იყო შაჰისათვის ამ განსაცდელის ჟამს. ამასთან დაკავშირებით პასკევიჩი იმპერატორს სწერდა, რომ „Англичане гораздо более персиян соболезнуют об участи Аббас-мирзы; они не скрывают своего спасения, что Адзербейджан по всей справедливости может за нами остаться, и тогда могущество их истинного союзника в Персии рушится. здесь в Тебризе корень их настоящаго влияния".[2]

პასკევიჩი დასაშვებად მიიჩნევდა, პოლკოვნიკი მაკდონალდი ჩარეულიყო კონტრიბუციასთან დაკავშირებით შაჰის მიერ გამართულ დიდებულთა თათბირში და დაემტკიცებინა მისთვის, რომ საქმის გაჭიანურება ირანს მოუტანდა საბედისწერო შედეგებს, რომელთა გამოსწორებაც შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა. მაკდონალდის აზრით, ირანის ბედი წყდებოდა არა თეირანში, არამედ თავრიზში. ამიტომ იგი თვითონ კი არ გაემგზავრა თეირანს, არამედ წერილი გაუგზავნა ინგლისის მისიის ერთ-ერთ წევრს და მოუწოდა, დაეყოლიებინა შაჰი და მისი მინისტრები, რომ გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ რუსეთის მიმართ.[3] პასკევიჩი თვითონ გრძნობდა, რომ ირანისადმი წაყენებული კონტრიბუციის რაოდენობა შესაძლოზე მეტი იყო, მაგრამ ამ ხერხით ცდილობდა, უფრო მეტი თანხა წაერთმია ირანისათვის. შაჰის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, რუსეთის მხარეზე გადავიდნენ მარანდის, მარაგის, მეშქის, ხოისა და სხვა ხანები. ახლა ისინი აბას-მირზას უპირისპირდებოდნენ.

28 ოქტომბერს პასკევიჩმა მიიღო ცნობა, რომ აბას-მირზა დათანხმდა რუსეთის მიერ შეთავაზებულ წინასწარ პირობებზე და საზავო მოლაპარაკება 6 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო. მაგრამ პასკევიჩს არ სჯეროდა, რომ აბას-მირზა გულწრფელად შეასრულებდა შეთავაზებულ პირობებს.

ნოემბრის პირველ რიცხვებში, მართლაც, დაიწყო საზავო მოლაპარაკება დეიკარხანში. აბას-მირზა მტკიცედ მოითხოვდა კონტრიბუციის თანხის შემცირებას და გადახდისათვის დაწესებული ვადის გადიდებას.

---

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1827 г., д. 13, ч. II, л. 137.

[2] იქვე, ფ. 137—138.

[3] Генерал-фельдмаршал князь Паскевич..., стр. 31.

დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ 21 ნოემბერს გაფორმდა დროებითი ზავი 20 დღის ვადით.

აბას-მირზამ დროებითი ზავის დადების წინა დღეს რუსი გენერლები და ოფიცრები სადილზე მიიპატიჟა. მან იმპერატორის სადღეგრძელოც კი წარმოთქვა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ხელშეკრულება წარმატებით უნდა დადებულიყო. სინამდვილეში ირანის მთავრობა ომის განახლებისათვის ემზადებოდა. შაჰის შვილები — აბდულა-მირზა, ალინაგი-მირზა, შეიხ-ალი-მირზა და ჰასან-ალი-მირზა დიდძალ ჯარს აგროვებდნენ.

ირანელებს უმძიმდათ საზავო ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული პირობების შესრულება. შაჰი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მის გაფორმებას და ყოველნაირად ცდილობდა დეიკარხანში დაწყებული მოლაპარაკების ჩაშლას. ირანის მთავრობა ამისათვის, როგორც ირკვევა, ვერაგული მეთოდების გამოყენებასაც კი არ ერიდებოდა. აბას-მირზას პასკევიჩზე თავდასხმის მოწყობისა და მისი მოკვლის ან მოწამვლის გზით საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვაც კი ჰქონია დაგეგმილი.[1] ამის თაობაზე პასკევიჩი სამხედრო ჟურნალში წერდა: „Здесь от персиян надобно всего ожидать; такие слухи доходят до меня уже не первый раз; несколько человек приходили мне сказать, что Аббас-мирза готов отравить меня".[2] ირკვევა, რომ გრიბოედოვის მკვლელობის აქტი ირანელებისათვის პირველი ჩანაფიქრი არ ყოფილა. (როგორც ზემოთ აღინიშნა, აბას-მირზამ ერმოლოვსაც მიუგზავნა მოსყიდული მკვლელი).

აბას-მირზა საომარი მოქმედების განახლებისათვის ემზადებოდა. იგი დროის გაყვანის გზას ადგა. ირანის სამხედრო და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩახედული მირ-ფეტი-აღა მუშტეიდი პასკევიჩს სწერდა: „По обстоятельствам мне известным, персияне не желают мира, цель их состоит в проволочках, они хотят только выиграть время и собрать войско, боюсь, чтобы они и теперь не учинили того же, что в прошлых годах; как говорят, со всех сторон собираются войска в Зангане, куда и разные шахские сыновья прибудут, Ших-Али-Мирза уже прибыл в оное место. Гасан-Али-Мирза Хорасанский также теперь уже прибыл в Тегеран. В Ардебиль послано войско, с другой же стороны в Карс и Ван приходят турецкие войска и артиллерия. В сундуках и в вьюках под видом де-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 17.

[2] იქვე.

нег привозят военные снаряды и всякого, кто приезжает сюда, шах научает говорить, что он видел деньги, когда их не бывало".[1] ეს დოკუმენტი ადასტურებს, ერთი მხრივ, ირანის გამალებულ მზადებას საომარი მოქმედების განახლებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მიგვითითებს, თუ როგორ ეხმარებოდა ამ საქმეში თურქეთი ირანს. თურქეთის სარდლობა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ირანსა და რუსეთს შორის დაზავება არ მომხდარიყო, რადგანაც თურქეთის ჯარი რუსეთთან ომისათვის უკვე მზად იყო და სიგნალსღა ელოდებოდა. სულთანი ირანთან დაახლოებასა და გაერთიანებული ძალებით რუსეთის წინააღმდეგ ომზე ოცნებობდა, მით უფრო, რომ ერზერუმის 1823 წლის ხელშეკრულებით თურქეთი ირანის მოკავშირედ ითვლებოდა.

ამ კრიტიკულ მომენტში რუსეთის სარდლობას დიდ სამსახურს უწევდა ირანის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო მუშტეიდი. პასკევიჩს იგი ყოველთვის ზუსტ ცნობებს აწვდიდა. მუშტეიდი იყო პასკევიჩის თავისებური დამრიგებელი და კეთილი მრჩეველი.

ინგლისის მისიის ექიმი მაკნილი 1828 წლის 9 იანვარს თავრიზში მყოფ ინგლისის მისიის მეთაურს მაკდონალდს სწერდა თეირანში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. იგი აუწყებდა ხორასნიდან შაჰის ვაჟის პრინც ჰასან-ალი მირზას თეირანში ჩასვლასა და შაჰთან მის შეხვედრას. წერილიდან ირკვევა, რომ ჰასან-ალი-მირზას თეირანში გამოჩენას დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია როგორც შაჰის სასახლეში, ისე სხვა დიდებულთა ოჯახებში. მას ისე შეხვედრიან თეირანის წარჩინებულნი, როგორც მძიმე განსაცდელისაგან ირანის მხსნელს. შაჰმა იგი აღიარა როგორც სასახლის იმედი და სიბერის ჟამს თავისი დასაყრდენი. ჰასან-ალი-მირზას გარშემო თავს იყრიდნენ სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები და ჯარის მეთაურები. ისინი ერთხმად ეფიცებოდნენ მას, რომ ერთგულად იბრძოლებდნენ მისი მეთაურობით, ოღონდ რუსებს არ გაემარჯვათ. თეირანის სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლებმა სპეციალური თათბირი ჩაატარეს, გადაწყვიტეს მეჩეთიდან გამოეტანათ დროშა და მოსახლეობა დაეფიცებინათ: „Кто присоветует Шаху платить деньги неверным, да объявлен будет врагом православия".[2] მთელი თეირანი ხმას უერთებდა ამ გადაწყვეტილებას და უარს აცხადებდა კონტრიბუციის სახით ფულის გაგზავნაზე, ხოლო ჰასან-ალი-მირზამ „публично сказал, что умрет скорее, чем допустить отправления денег из столицы".[3]

---

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9, 1827, д. 13, ч. II, л. 214 и об. и 215.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 122 и об.

[3] იქვე.

ჰასან-ალი-მირზა მოხუც მამას ამიერკავკასიის ტერიტორიების დაბრუნებას და რუსებისაგან თბილისის „განთავისუფლებას“ ჰპირდებოდა.მან ინგლისელ მაკნილთან საუბარში განაცხადა: „Как же мне не воевать, когда я везде говорил, что умру или возвращусь победителем“.[1]

შაჰმა ჰასან-ალი-მირზას, შვილებს შორის ყველაზე საიმედოდ მიჩნეულს, მთავარსარდლის პოსტი უბოძა. ინგლისელი ექიმის მაკნილის ცნობით, „Шах поручил его высочеству, — (ლაპარაკია ჰასან-ალი-მირზას შესახებ, ნ. ქ.), командование всеми своими войсками и ключи от своего сокровища и публично говорит о назначении его в наследники престола и о поручении ему в управление Адербиджанской области“.[2] მოყვანილი ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ შაჰმა გული აიცრუა აბას-მირზაზე, რომელმაც რუსეთთან ომი გამარჯვებით ვერ დაამთავრა. უფრო მეტიც, ახლა იგი მამისაგან ითხოვდა რუსეთისათვის გადასახდელ საკონტრიბუციო თანხას. ჰასან-ალი-მირზა, რომელიც რუსეთის დამარცხების საქმეს დაუფიქრებლად იღებდა თავის თავზე, მამას სიბერის ჟამს თავის იმედად ესახებოდა. მას ირანის ჯარების სარდლის პოსტი და თავის განძეულობათა სალაროს გასაღები უბოძა. შაჰს განზრახული ჰქონდა, რომ იგი აზერბაიჯანის მმართველად და ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ასე რომ, ირანის არმიას კვლავ უნდა ეცადა ბედი რუსეთთან ბრძოლაში ჰასან-ალი-მირზას სარდლობით.

დაზავების საქმეს კარგი პირი არ უჩანდა. მოსალოდნელი იყო, რომ აბას-მირზას დღეს თუ ხვალ მოუწევდა პრეტენდენტ ძმასთან ანგარიშის გასწორება. შაჰს არ უყვარდა აბას-მირზა, მაგრამ მისი ეშინოდა. ამიტომ ვერ ბედავდა თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. მართალია, აბას-მირზა ირანის ჯარების სარდალი აღარ იყო, ეს თანამდებობა ჰასან-ალი-მირზას უბოძა, მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალურად შაჰის მემკვიდრედ და აზერბაიჯანის მმართველად მაინც აბას-მირზა რჩებოდა. სიბერისაგან მიხრწნილი და ძუნწი შაჰი ცდილობდა, კონტრიბუციის თანხა რომელიმე შვილისათვის გადაეხდევინებინა, თვითონ კი შეენარჩუნებინა თავისი ხაზინა.

დეიკარხანში მოლაპარაკებისას აბას-მირზა ძირითადად დათანხმდა ყველა იმ პირობას, რომლებიც პასკევიჩმა წაუყენა, მაგრამ შაჰი ფულს არ უგზავნიდა.

აბას-მირზა ცდილობდა, საზავო ხელშეკრულების დადება ისეთ პირობებში მოეხერხებინა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ტახტის მოცილე ჩამოეშორებინა, გარდა ამისა, მას სურდა, არ დაემძიმებინა ირანის მდგომარეობა საზავო ხელშეკრულების არახელსაყრელი პირობებით და პას-

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 143 и об.

[2] ი ქ ვ ე, ფურც. 129.

კევიჩიც კმაყოფილი დარჩენოდა. მაგრამ ეს ყველაფერი ერთად შეუძლებელი იყო. ამიტომ აბას-მირზასა და პასკევიჩს შორის საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი გახდა. 10 დეკემბერს, დროებითი ზავის უკანასკნელ დღეს, პასკევიჩმა წინადადება მისცა აბას-მირზას, ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოლაპარაკებას წყვეტდა იმ პირობით, რომ „Каждый в свою очередь возьмется за оружие".[1]

აბას-მირზამ პასკევიჩს წინადადება შესთავაზა დროებითი ზავის ვადის გაგრძელების შესახებ, მაგრამ კორპუსის მეთაურისაგან კატეგორიული უარი მიიღო. ამის თაობაზე პასკევიჩი წერს: „Я не согласился ни на какой срок, перемирие продолжается по моему произволу, но как скоро я не получу ожидаемых известий из Тегерана или замечу какой-нибудь неискренний поступок, бесполезное желание продлить время, то военныя действия вновь начинаются с объявлением о том с моей стороны за 24 часа прежде разрыва".[2]

დეკემბრის დასასრულს შაჰმა და მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აბულ-ჰასან-ხანმა წერილები გაუგზავნეს პასკევიჩს. შაჰი საგარეო საქმეთა მინისტრს ხელახლა მოსალაპარაკებლად გზავნიდა. უქმდებოდა ყველა ის შეთანხმება, რომლებიც აბას-მირზას მონაწილეობით გაფორმდა. ამის გამო 1828 წლის 2 იანვარს აბას-მირზას გამოეცხადა, რომ დროებითი ზავი ირანთან კარგავდა თავის ძალას და რუსეთის ჯარები ახლო მომავალში დაიკავებდნენ მარაგის სახანოსა და მთელ ურმიას. ირანი კატასტროფის წინაშე იდგა. იქ ხშირად ხდებოდა აჯანყებები, უმთავრესად შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ. თვით თეირანშიც არ იყო სიმშვიდე „В Тегеране народ волновался и почти ежедневно узнавалась измена то одного, то другого хана".[3] ერთადერთი გამოსავალი ირანისათვის რუსეთთან სასწრაფო დაზავება იყო.

6 იანვარს დეიკარხანში აბულ-ჰასან-ხანი შეხვდა რუსეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს ობრეს კოვსა და ა. ს. გრიბოედოვს. მან, ნაცვლად ფულისა, აქ საზავო ხელშეკრულების ახალი რედაქცია ჩამოიტანა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ჩამოსვლით განახლდებოდა რუსეთთან საზავო მოლაპარაკება.

აბულ-ჰასან-ხანზე ირანის შაჰი დიდ იმედებს ამყარებდა. იგი გამოცდილი დიპლომატი იყო, არაერთხელ ყოფილა ინგლისში და ევროპის

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, д. 13, ч. II, л. 176.

[2] იქვე.

[3] Щербатов, Генерал-фельдмаршал Паскевич. его жизнь и деятельность, т. 3, стр. 64, СПБ, 1891 г.

სხვა ქვეყნებში როგორც ირანის დიპლომატიური წარმომადგენელი, ნამყოფი იყო პეტერბურგშიც. ადრე იგი მონაწილეობას იღებდა გიულისტანის საზავო ხელშეკრულების დადებაში. მას ახლა შაჰი იმ მიზნით გზავნიდა, რომ გაეთვალისწინებინა ირანის ადრინდელი შეცდომები და საზავო ხელშეკრულება ირანისათვის ხელსაყრელ პირობებში დაედო. პასკევიჩმა მიიღო შაჰის დიპლომატი, უჩვენა მას აბას-მირზას ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების ტექსტი და განუცხადა, რომ იქ არც ერთი სიტყვა არ შეიცვლებოდა. პასკევიჩმა 7 იანვარს აბულ-ჰასან-ხანს დეკლარაცია გადასცა დროებითი ზავის შეწყვეტის შესახებ და იმავე საღამოს თავრიზში გაემგზავრა. რუსეთის სარდლობამ განიზრახა, დამუქრებოდა ირანის სატახტო ქალაქს და იძულებული გაეხადა შაჰი, დათანხმებოდა მისთვის შეთავაზებულ პირობებზე.

ის, რაც დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ ვერ შეძლო, იარაღის ძალას უნდა გადაეწყვიტა.

15 იანვარს რუსეთის ჯარმა ლაპტევის მეთაურობით დაიკავა ურმია, რომელიც ძირითადად ქრისტიანებით იყო დასახლებული. ისინი სიხარულით ხვდებოდნენ და მხარს უჭერდნენ რუსეთის ჯარს. გენერალ პანკრატიევის რაზმებმა დაიკავეს ქალაქი მარაგი და მისი სახანო. 25 იანვარს პოლკოვნიკ სუხტელენის რაზმებმა აიღეს არდებილი. პასკევიჩს აჩქარებდნენ პეტერბურგიდან და თვითონაც დიდ დაინტერესებას იჩენდა, რომ უფრო მალე მომხდარიყო დაზავება. 19 იანვარს იგი დიბიჩს სწერდა: „Дай бог, чтобы турецкая война еще не началась до заключения мира, а то мне весьма трудно будет. Вспомните, что здесь затрудняет одно только все-таки продовольствие“.[1]

მკაცრი ზამთარი, დიდი თოვლი, სურსათის ნაკლებობა და გაუმართავი გზები მეტისმეტად უშლიდა ხელს რუსეთის ჯარის მოქმედებას. მიუხედავად ამისა, ჯარი მოთმინებით ძლევდა ყველა წინააღმდეგობას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა. პასკევიჩს გადაწყვეტილი ჰქონდა თეირანის აღება. ინგლისელები აქ დიდ აქტივობას იჩენდნენ, რომ შაჰი გონს მოეყვანათ და აბას-მირზა დაღუპვისაგან ეხსნათ. ხორასნის ხანი ჰასან-ალი-მირზა რუსეთის ჯარის წარმატებებით პარალიზებული აღმოჩნდა.

ინგლისის მისია შექმნილ მდგომარეობას საბედისწეროდ მიიჩნევდა. მისიის წევრი მაკნილი აქტიურად ჩაება ირანის მიერ კონტრიბუციის ანგარიშზე წინასწარ 5 ყურურის გადახდის საქმეში. სასახლის დიდებულები, თვითონ ჰასან-ალი-ხანი და სხვა მოხელეები კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ, რომ პასკევიჩისათვის ფული გაეგზავნათ. ამავე დროს თურ-

---

[1] Генерал-фельдмаршал князь Паскевич, его жизнь и деятельность, т. III, стр. 71, СПБ, 1891 г.

ქვეიც აიმედებდა ირანს, რომ დღე-დღეზე დაიწყებდა ომს რუსეთთან და არ დათანხმდებოდა რუსეთის წინადადებას კონტრიბუციის გადახდის შესახებ. პასკევიჩის თქმით, „Прибыли к персиянам ободрительныя уведомления из Турции, где народная молва по всюду провозглашает войну с нами".[1]

როგორც სამხედრო ჟურნალიდან ჩანს, პასკევიჩს დაზვერვის მრავალი მასალა ჰქონდა მიღებული, „где упоминается о внушении, зделанном Аббас-Мирзе турецким пограничным начальством не заключать мира с Россиею, ибо в скорости оной будет объявлена война с Портою".[2]

თურქეთის მტრული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, ცხადია, ხელს უშლიდა რუსეთ-ირანის დაზავების საქმეს.

თეირანში მდგომარეობა დაიძაბა. შაჰის სასახლე შიშმა მოიცვა. სიმდიდრისა და განძეულობის დაკარგვის საფრთხე სულ უფრო დიდ განგაშს იწვევდა. ქალაქის მოსახლეობა ღელავდა. შაჰს ყოველდღე მოსდიოდა ცნობა ხან ერთი და ხან მეორე ხანის რუსეთის მხარეზე გადასვლის შესახებ. მიუხედავად ამისა, შაჰი ჯიუტობდა და კონტრიბუციის ანგარიშზე ფულს არ გზავნიდა.

მაკნილი დარწმუნებული იყო, რომ თეირანისაკენ რუსეთის ჯარების წინსვლა მათ დიდ უბედურებას მოუტანდა. ამიტომ, განაცხადა, რომ თუ შაჰი 5 ყურურს წინასწარ არ გადაიხდიდა, ინგლისის მისია პროტესტის ნიშნად ირანს დატოვებდა. ამ დიპლომატიურმა ჟესტმა თავისი შედეგი მოიტანა. პასკევიჩის თქმით, „Макнил, грозя оставить Тегеран, принудил шаха дать торжественный отзыв: что 5 первых курур он считает уже не своею, но английскою собственностью; что сверх того заплатить от себя одну куруру, а последния две должен заплатить Аббас-Мирза; если же он того не сделает, то найдет он, Шах и другого плательщика, которому отдаст Адербижан".[3]

ირანის შაჰი განაწყენდა მაკნილზე, რადგანაც იგი პასკევიჩისათვის 5 ყურურის გაგზავნას სასწრაფოდ მოითხოვდა. შაჰმა მაკნილს განუცხადა: „Даю вам царское слово мое, что сии пять курур я уже считаю не своею, но английскою собственностию, и что он условленное время будут сдан в Казвине. Вы можете их везти куда угодно, в Индию или Тавриз — мне все равно".[4]

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827 д. 13, ч. II, л. 209—213.
[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 72.
[3] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. II, л. 208.
[4] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 108.

შაჰმა 5 ყურური გადასცა მაკლინს, რომელმაც ეს თანხა ინგლისის მისიის მეთაურს მაკდონალდს გაუგზავნა. აღნიშნული თანხა ირანის ხელისუფლებამ ყაზვინში დააკავეს. ირანის მთავრობა თავს იკავებდა რუსეთის სარდლობისათვის მის გადაცემაზე მანამ, სანამ ის ირანიდან თავის ჯარს არ გაიყვანდა.

რუსეთის ჯარი მიანაში იდგა და თეირანზე შეტევისათვის სარდლობის ბრძანებას ელოდა. სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტში, 1828 წლის 1 თებერვალს, დილაადრიან, რუსეთის ბანაკს მოადგა ტრანსპორტი, რომელმაც სამი ყურული ოქროს მანეთი ჩამოიტანა. გარდა ამისა, პასკევიჩმა იცოდა, რომ დანარჩენი 2 ყურური თეირანიდან ყაზვინს იყო გაგზავნილი. იმავე დროს აბას-მირზამ პასკევიჩს აუწყა, რომ შაჰისაგან მას ნაბრძანები ჰქონდა, დეიკარხანის მოლაპარაკების საფუძველზე ზავი დაედო რუსეთთან. პასკევიჩმა აბას-მირზას შესთავაზა, რომ საზავო მოლაპარაკება თურქმენჩაიში განეახლებინათ. პასკევიჩი გრძნობდა, რომ შაჰი, აბას-მირზა და ირანის მინისტრები სინამდვილეში ინგლისის ნება-სურვილით მოქმედებდნენ, ისინი უშუალოდ ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, პასკევიჩი სამხედრო ჟურნალში წერდა: „Мы здесь никак не можем иметь влияния, которым пользуются англичане, издерживающие для того миллионы".[1] ამიტომ, ბუნებრივია, ინგლისელები შეეცდებოდნენ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ თავიანთი დირიჟორობით წარემართათ საზავო მოლაპარაკება. მაგრამ რუსეთის დიპლომატიურმა მისიამ მოლაპარაკება წარმატებით წარმართა.

აბას-მირზამ პასკევიჩს შესთავაზა, მოლაპარაკება თავრიზში ან მის გარეუბანში განეგრძოთ, მაგრამ ის ამაზე არ დათანხმდა. საზავო მოლაპარაკებისათვის სოფელი თურქმენჩაი პასკევიჩს შემთხვევითად არ აურჩევია.

თურქმენჩაი მიანიდან 43 ვერსის დაშორებით მდებარეობდა. ის იყო პროდუქტებით მდიდარი და ამავე დროს მჭიდროდ დასახლებული დიდი სოფელი. მას შეეძლო თავრიზიდან მიანასაკენ მიმავალი რუსეთის ჯარის ძირითადი ნაწილების სურსათით მომარაგება. ამასთან ერთად ის თეირანის გზაზე მდებარეობდა და მოლაპარაკებისას უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში პასკევიჩს საშუალება ექნებოდა, დაუყოვნებლივ აეღო თეირანი.

1828 წლის 7 თებერვალს თურქმენჩაიში ჩავიდნენ აბას-მირზა, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი აბულ-ჰასან-ხანი, შაჰის მთავარი საჭურისი მანუჩარ-ხანი და შაჰის შვილებისა და შვილიშვილების ერთი ნაწილი.

რუსეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ პასკევიჩი, ობრესკოვი და ა. გრიბოედოვი. თურქმენჩაის ეს მოლაპარაკება არაფრით არ

[1] Генерал-фельдмаршал князь Паскевич, его жизнь и деятельность, т. 3, стр. 77.

ჰგავდა დეიკარხანის შეხვედრას. საზავო მოლაპარაკებას ტონს აძლევდა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა.

1828 წლის 9 თებერვალს, ღამის 12 საათზე, მხარეებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომელიც 16 მუხლისაგან შედგებოდა. საზავო ხელშეკრულების III მუხლით რუსეთმა შეიერთა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები. ირანი ვალდებულებას კისრულობდა, რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაეცა ყველა საარქივო თუ ნაბეჭდი დოკუმენტი, რომლებიც აღნიშნული სახანოების მმართველობას ეხებოდა. IV მუხლით ზუსტად იყო განსაზღვრული რუსეთისა და ირანის სახელმწიფო საზღვარი. VI მუხლის საფუძველზე შაჰი ვალდებულებას კისრულობდა, რუსეთისათვის კონტრიბუციის სახით გადაეხადა 10 ყურური, ანუ 20 მილიონი მანეთი. გადახდის ვადა და წესი ცალკე ხელშეკრულებით იყო დადგენილი. საზავო ხელშეკრულების VII მუხლით რუსეთის იმპერატორი აბასმირზას სცნობდა ირანის შაჰის მემკვიდრედ. VIII მუხლი შეეხებოდა რუსეთისა და ირანის სავაჭრო გემების თავისუფალ ნაოსნობას კასპიის ზღვის აუზში. საზღვაო შემთხვევისას ორივე მხარე ვალდებული იყო დაზარალებულისათვის დახმარება გაეწია. რაც შეეხება კასპიის ზღვის აუზში სამხედრო გემების ყოლის საკითხს, ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო: „Под одним Российским военным флагом могли иметь плавание на Каспийском море... Кроме России никакая другая держава не может иметь на Каспийском море военных судов".[1]

თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების X მუხლი აკანონებდა რუსეთის საკონსულოების არსებობას ირანში, რის წინაალმდეგიც იყვნენ ადრე ირანის მთავრობა და პირადად შაჰი. ხელშეკრულებაში ნათქვამია: „Право определять консулов или торговых агентов, повсюду, где польза торговли сего востребует и обязуется оказывать покровительство сим консулам и агентам, из которых каждый будет иметь в свите своей не более десяти человек".[2]

რუსეთი თავის მხრივ ვალდებულებას კისრულობდა, ირანის საკონსულოები დაეწესებინა და მისთვის სათანადო მფარველობაც გაეწია.

XIII მუხლის შესაბამისად ორივე მხარე ვალდებული იყო, ყველა სამხედრო ტყვე და აგრეთვე უკანასკნელი ომების დროს დატყვევებული მოქალაქეები გაეთავისუფლებინათ და თავიანთ სამშობლოში დაებრუნებინათ, ხელშეკრულებაში ამის შესახებ ვკითხულობთ: „Обе державы

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827 г.,д. 13, ч. I, лл. 112—120. შდრ. Т. Юзефович. Договоры России с Востоком, политические и торговые, стр. 213—222, СПБ; 1869 г.

[2] იქვე.

предоставляют себе именно неограниченное право требовать таковых во всякое время и обязуются возвращать их взаимно по мере того, как они будут оказываться или когда поступят о них требования".[1]

ცნობილია, რომ ირანში ყოფნის დროს რუსეთის ჯარს მრავალმა ირანელმა დაუჭირა მხარი, რუსეთის სარდლობას სხვადასხვა სახის სამსახური გაუწია და ხელი შეუწყო მის გამარჯვებას. საზავო ხელშეკრულების XV მუხლი ავალდებულებდა ირანის ხელისუფლებას, შეეწყალებინა ის მოქალაქეები, რომლებმაც რუსეთისადმი თავიანთი სამსახურით შეურაცხყვეს შაჰის უდიდებულესობა. გარდა ამისა, ირანის იმ მცხოვრებლებს, რომლებიც მოისურვებდნენ რუსეთში გადასახლებას, უფლება ეძლეოდათ, გაეყიდათ თავიანთი უძრავი ქონება და თავისუფლად მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა.

თურქმენჩაის ზავი სცნობდა გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით შემოერთებულ სახანოებზე რუსეთის უფლებებს. ამით ბოლო უნდა მოღებოდა ამიერიდან გაუთავებელ სასაზღვრო ინციდენტებს.

გარდა საზავო ხელშეკრულებისა, რუსეთსა და ირანს შორის გაფორმდა სავაჭრო კონვენცია, რომელსაც უნდა გამოეწვია სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოება. კონვენცია იცავდა ორივე ქვეყნის ვაჭართა ინტერესებს; სავაჭრო ბაჟის ტარიფი განსაზღვრული იყო 5%-ით. კონვენციის 9 მუხლში განხილული იყო ვაჭრობასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი.

ირანის ასტროლოგების რჩევით, 1828 წლის 9 თებერვალს, ზუსტად ღამის 12 საათზე, მხარეებმა ხელი მოაწერეს თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებას. ეს ბედნიერი წუთი ირანის მოსახლეობას ამცნო 101 საარტილერიო ზალპმა.[2]

ამგვარად, ომი რომელიც ირანმა წამოიწყო, რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. საზავო ხელშეკრულებამ განამტკიცა რუსეთის მდგომარეობა მთელ ამიერკავკასიაში და აამაღლა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ირანის მმართველ წრეებსა და ინგლისის დიპლომატიას აზრადაც არ ჰქონიათ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება. ისინი მაშინვე შეუდგნენ საზავო ხელშეკრულების დარღვევის თადარიგს, დაუკავშირდნენ თურქეთს და კვლავ სცადეს რუსეთის წინააღმდეგ ახალი ომის წამოწყება. ირანმა ინგლისის შთაგონებით არა ერთი პროვოკაცია მოაწყო, რაც ძვირად დაუჯდა რუსეთს.

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. I, лл. 112—120. შდრ. Т. Юзефович. Договоры России с Востоком, политические и торговые, стр. 214—222. СПБ, 186 г.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 201.

თავი XII

პოლიტიკური მოვლენების განვითარება დაზავების შემდეგ ამიერკავკასიასა და ირანში

§ 1. კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობასთან რუსეთის დაახლოების ცდა და მისი შედეგები

XIX საუკუნის 20-იან წლებში კავკასიის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს მუსლიმანები შეადგენდნენ. ირანის შაჰი და თურქეთის სულთანი ცდილობდნენ, მუსლიმანური რელიგიაც რუსეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. მართლაც, ისინი ამ გზით დიდ ზიანს აყენებდნენ კავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობას და რუსეთის ჯარს. მუსლიმანური რელიგიის მსახურთა რეაქციულმა მოქმედებამ მკვეთრად იჩინა თავი რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში. ამიტომ რუსეთს სჭირდებოდა გარკვეული დამოკიდებულების დადგენა მუსლიმანურ მოსახლეობასთან. მათი დამორჩილება მარტო იარაღით არ შეიძლებოდა. მართალია, მუსლიმანური მოსახლეობის ერთი ნაწილი რუსეთს მხარს უჭერდა, მაგრამ საჭირო იყო გარკვეულ იდეოლოგიურ კალაპოტში მისი ჩაყენება, რითაც, ცარიზმის აზრით, ბოლო მოეღებოდა რელიგიური ხასიათის ომებს რუსეთის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკა მიმართული იყო როგორც მუსლიმანი, ისე არამუსლიმანი ხალხების წინააღმდეგ, მუსლიმანური რელიგიის ხაზით კავკასიაში უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების შექმნას და რუსეთის საერო ხელისუფლების სამსახურში მის ჩაყენებას, რაც გარკვეულ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. უნდა გამოძებნილიყო უმაღლესი ტიტულისათვის შესაფერისი კანდიდატურა, რომელიც რუსეთის ერთგული იქნებოდა და რელიგიურ პროპაგანდას მის სასარგებლოდ წარმართავდა. ირანთან ომის პერიოდში, სწორედ თავრიზში შესვლამდე, პასკევიჩმა ა. ს. გრიბოედოვის დიდი მცდელობის შედეგად გამონახა შესაფერისი კანდიდატურა — მირ-აღა-ფეტი-მუშტეიდი, შიიტთა სექტის მეთაური, რომელმაც არაერთგზის გამოამჟღავნა რუსეთისადმი კეთილი დამოკიდებულება. ცნობილია, მაგა-

ლითად, რომ თავრიზში რუსეთის ჯარის შესვლისას, მისი მცდელობით სისხლი თითქმის არ დაღვრილა. მუშტეიდმა რეალურად შეაფასა ირანის სამხედრო შესაძლებლობა და მისი საშინაო მდგომარეობა. მან მუსლიმანთა შორის თავისი დიდი ავტორიტეტი გამოიყენა. თავრიზის მეციხოვნეებსა და მოსახლეობას მოწოდებით მიმართა, რომ წინააღმდეგობა არ გაეწიათ რუსეთის ჯარისათვის, რასაც რეალურად დადებითი შედეგები მოჰყვა. რუსეთის სასარგებლოდ მირ-აღა-ფეტი მუშტეიდის განწყობა და მისი მიმხრობა, როგორც დასტურდება, ა. ს. გრიბოედოვის დამსახურება იყო. გრიბოედოვის ცხოვრებისა და დიპლომატიური მოღვაწეობის მკვლევარის ი. ენიკოლოპოვის მტკიცებით, „Инициатива по переводу Ага-Мир-Фета в Тбилиси и использование его авторитета в государственных целях тогда приписывались Грибоедову, что подтверждается рядом „дел“ дипломатической канцелярии“.[1]

მუშტეიდის გამოსვლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ჯარის შემდგომი წარმატებისათვის. პასკევიჩის თქმით, „перед вступлением еще войск наших в Тавриз Мир-Фете-Ага заявил преданность свою к русским, увещевая жителей Тавризских, дабы они не оказывали нам никакого сопротивления, и его влиянию отчасти приписать должно занятие сего города без всякого кровопролития“[2].

მუშტეიდის ასეთი მოქმედება, ცხადია, ირანის ხელისუფლებას არ მოსწონდა, ამის გამო მას საფრთხე ელოდა. ერთ-ერთ საუბარში მას პასკევიჩისათვის განუცხადებია: „После заключения мира, он не согласится никак остаться в Персии и немедленно переселиться во владения наши, жертвуя даже всем недвижимым своим имуществом здесь оставляемым, которое стоит до 27 т. туманов, т. е. около 400 т. рублей на наши деньги“[3].

პასკევიჩმა აღუთქვა მუშტეიდს, რომ ნებას დართავდა, გადასახლებულიყო რუსეთის მფარველობაში. დანაკარგის საზღაურად იგი დაჰპირდა ყოველწლიურად 2.000 ჩერვონეცს პენსიას და აგრეთვე, თუ საშუალება ექნებოდა, მამულს ამიერკავკასიის ერთ-ერთ პროვინციაში[4].

თავის მხრივ, პასკევიჩი რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას სთხოვდა, ნება დაერთო მისთვის ზემოაღნიშნულ პირობებში სასულიერო პირის—

---

[1] И. Е н и к о л о п о в. Грибоедов и восток, стр. 190, Ереван, 1954 год.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4331, л. 1 об. Рапорт генерала Паскевича начальнику главного штаба генералу графу дибичу от 12 февраля, 1828 года.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე.

მუშტეიდის ირანიდან გადმოსახლებაზე. იმპერატორმა შეისწავლა ეს საკითხი და პასკევიჩს თანხმობა მისცა, განზრახვა სისრულეში მოეყვანა. ამასთან დაკავშირებით საიმპერატორო არმიის მთავარი შტაბიდან დიბიჩი პასკევიჩს სწერდა: „Государь император, Высочайше соизволяя на производство предназначенного от Вас сей духовной особе пансиона сверх особенного вознаграждения за оставляемое им в Персии значительного недвижимого имущества, изволил с тем вместе одобрить и мысль Вашу о назначении помянутого Муштеида верховным начальником Мусульманского духовенства в наших татарских по Каспийскому морю и Закавказом провинциях"[1].

თავის მხრივ, ირანის ხელისუფლება რუსეთის მფარველობაში მუშტეიდის გადასვლას სახიფათოდ მიიჩნევდა და ყოველნაირად უშლიდა ხელს თავრიზიდან მის წასვლას. ინგლისის დიპლომატიური მისიაც კი ჩაერია ამ საქმეში და მუშტეიდს ურჩევდა, არ დაეთმო ირანი. ყველაფერი ეს იმიტომ ხდებოდა, რომ როგორც აბას-მირზამ, ისე მაკდონალდმა კარგად იცოდნენ მუშტეიდის დიდი ავტორიტეტის მნიშვნელობა. ამ პიროვნების გადაბირებით რუსეთის მთავრობა მუსლიმანურ მოსახლეობას მიიმხრობდა, რითაც ბოლო მოეღებოდა ირანის გავლენას ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. ამიტომ იყო, რომ გენერალი ოსტენ-საკენი 1828 წლის 7 მარტს პასკევიჩს აუწყებდა: „Правительство персидское видело, что отъезд в Россию сего достопочтенного мужа столь пагубное оставить в Азербанджане впечатление, столько же принесет пользы России для утверждения в наших мусульманских провинциях, оно тщилось всеми мерами отклонить его от таковой решимости. Пригласительныя письма самого Аббас-Мирзы и его Министров, уговоры английского посланника... ясно показывали, что правительство страшилось его удаления"[2].

მიუხედავად ამისა, მუშტეიდმა 1828 წლის 7 მარტს დატოვა თავრიზი, თავისი სახლ-კარი, ახლობლები და მეგობრები. მან ძლივს დააღწია თავი ხალხს და გაუდგა კავკასიის გზას. პასკევიჩმა იმპერატორს სთხოვა, რომ დიდი დამსახურებისათვის, რაც მუშტეიდს მიუძღოდა ომის წლებში რუსეთის წინაშე, იგი ოქროს მედლით დაჯილდოებინათ[3].

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4331, л. 8. Рапорт генерала Паскевича начальнику главного штаба генералу графу Дибичу от 12 февраля 1828 года.

[2] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4331, л. 10 и об.

[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 12.

იმპერატორმა დააკმაყოფილა პასკევიჩის შუამდგომლობა და მუშტეიდი დააჯილდოვეს ბრილიანტით გაწყობილი ოქროს მედლით[1].

პასკევიჩი დიდ გულუხვობას იჩენდა მუშტეიდის მიმართ, მან მთავრობას სთხოვა, მუშტეიდი დაეჯილდოებინათ აგრეთვე ოქროს საიმპერატორო გერბით, რაც იშვიათი შემთხვევა იყო. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ამაზეც თანხმობა განაცხადა და შუამდგომლობას ასეთი შინაარსის რეზოლუცია დაადო: „Во уважение важных заслуг, им оказанных, согласен, но не в пример другим“[2].

ამგვარად, მუშტეიდ-აღა-მირ-ფეტი-სეიდ თავრიზელს რუსეთის ხელისუფლებისაგან ებოძა ყოველწლიური პენსია 2.000 ჩერვონეცი[3], შირვანის პროვინციაში მიეცა მამული, 1820 წელს ირანში გაქცეული კასიმბეგის ყოფილი სამფლობელო 15 სოფლის რაოდენობით, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 5360 მანეთს ვერცხლით[4], აგრეთვე ებოძა ოქროს მედალი და საიმპერატორო გერბი.

ბუნებრივია, რომ მუშტეიდ-აღა-მირ-ფეტი სეიდს დიდი დამსახურება უნდა ჰქონოდა რუსეთის მთავრობის წინაშე, რომ ესოდენ დიდი საჩუქრებითა და ჯილდოებით შეამკო იგი ნიკოლოზ I-მა.

მირ-აღა-ფეტი მუშტეიდის რუსეთის მხარეზე გადასვლა ირანის მთავრობის დიდი პოლიტიკური მარცხი იყო. იგი არა მარტო თავრიზისა და აზერბაიჯანის, არამედ მთელი კავკასიის მუსლიმანთა წინამძღოლად აღიარეს. რუსეთის სამსახურში მუშტეიდის ჩადგომა კავკასიაში ცარიზმის საბოლოოდ დამკვიდრების საქმეს ემსახურებოდა. მალე რუსეთის საერო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუშტეიდს წინადადება შესთავაზეს, რეზიდენცია თბილისში ჰქონოდა და იქიდან ეხელმძღვანელა თავისი სამწყოსოსათვის რუსეთის სასარგებლოდ.

მართლაც, მუშტეიდი თბილისში გადმოვიდა, მთავრობა მას ერთგული სამსახურისათვის კვლავ უხვად ასაჩუქრებდა. მან შეძლო კავკასიის მუსლიმანთა ერთი ნაწილის განწყობილების შეცვლა რუსეთის სასარგებლოდ. მუშტეიდმა ირანისა და ოსმალეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ „საღვთო ომის“ წარმოების ქადაგებას რუსებთან მუსლიმანთა მეგობრობის ლოზუნგი დაუპირისპირა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, რუსეთ-ირანის ომი დამთავრდა, მაგრამ რუსეთთან ზავის პირობებშიც კი ირანთან ურთიერთობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაძაბული იყო. გარდა ამისა, რუსეთი საომარ მდგომარეობაში

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4311, л. 26—27.
[2] იქვე, ფ. 22.
[3] იქვე, ფ. 26.
[4] იქვე, ფ. 28.

იმყოფებოდა თურქეთთან და ამიტომ კავკასიის მუსლიმანთა დამოკიდებულებას ამ ომის მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძუშტეიდმა მოწოდებით მიმართა მუსლიმანებს, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ რუსეთის მხარეზე თურქეთის წინააღმდეგ ომში. მან გარკვეული წვლილი შეიტანა აზერბაიჯანელ ცხენოსანთა ექვსი პოლკის ფორმირებაში, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ თურქებს.

აქ უნდა მოვიყვანოთ ცნობა იმის შესახებ, თუ რუსეთის ჯარებმა ირანთან ომის დამთავრების შემდეგ სულ მოკლე დროში როგორ მოიყარეს თავი თურქეთის წინააღმდეგ საომრად გუმრის ციხესთან და როგორ შეუერთდნენ მათ აზერბაიჯანელთა პოლკები. 1828 წლის 14 ივნისის „თბილისის უწყებანი“ ამასთან დაკავშირებით შემდეგ ცნობას ათავსებს:

„დაწყებისათვის სამხედროთა მოქმედებათა პირისპირ აზიის ოსმალიისა, შესაკრებელს ადგილად იყო დანიშნული გუმრი, მდებარე შარაგალს არფაჩაის მდინარეზედ. აქ. იქმნენ შეკრებილ მხედრობანი მოქმედებაში მყოფის კორპუსისანი, ყოველნი სამზადისნი აქავ მოგროვდნენ, გაკეთდა ტრანსპორტები, და მომზადდა შემოსადგომი არტელლერია. ადგილი ესე შემადგენელი სამხედროთა მოქმედებათა საფუძვლისა, სადაცა დაწესდების საავადმყოფო და მესამზღვრე კარანტინი, განგრძელებასა შინა სპარსეთისა ბრძოლისასა სრულიად აოხრებული, აწ ორს კვირაზე უწყებასა ქვეშე ღენერალ-ლეიტენანტის თავადის ვადბელსკისასა გამაგრებულ იქმნა ქვითკირის გალავნითა და ბურჯებითა და არა აქვს შიში მტრის დაცემისა...

... განწყობილება პოლკებისა, რომელთაცა ამ ახლოს ჟამს გარდიხადეს დამამძიმებელი ბრძოლა სპარსეთისა იყო ჩინებული...

რიცხვსა შორის შეკრებილთა მხედრობათასა აღმოჩდნენ ორნი ახალნი ნაწილში მომქცე

მელიც რუსების წინააღმდეგ ამხედრებდა ჩეჩნებს, დაღესტნელებს, ყაბარდოელებსა და მთის სხვა ხალხებს. იგი იყო კავკასიის მთებში ანტირუსულ აჯანყებათა ბელადი. მის სახელს დიდად უფრთხილდებოდნენ ირანი და ოსმალეთი. მაგრამ, ერთი მხრივ, ირანთან და თურქეთთან ომებში რუსეთის წარმატებებმა, მეორე მხრივ კი, მუშტეიდის საქმიანობამ ერთგვარი გარდატეხა მოახდინა მთიელთა შეხედულებებშიც. ახლო წარსულში რუსეთის მტრები ახლა მის მხარეზე გადადიოდნენ. ასე გააკეთა ბეიბულატმაც. იგი დაღესტნისა და ჩეჩნეთის სოფლების თავკაცებით ერზერუმში პასკევიჩს ეახლა და პირობა მისცა, რომ რუსეთისადმი პატიოსანი სამსახურით გამოისყიდდა თავის ადრინდელ დანაშაულს. ხმამ რუსეთის მიერ მოპოვებული გამარჯვებების შესახებ კავკასიის მთების ყრუ ხეობებშიც შეაღწია და იქაურ მცხოვრებლებს რუსეთთან მეგობრობის აზრი გაუღვიძა[1].

საყურადღებოა, რომ კავკასიის ხალხთა და მათ შორის მუსლიმანური მოსახლეობის მილიციის მონაწილეობა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში თანამედროვეთა ყურადღებას არ გამორჩენია. ამაში ხედავდნენ ისინი რუსეთის არმიის ძლიერების ერთ-ერთ წყაროს. ერთი ანონიმი ავტორი (ვინმე „У") „Тифлисские Ведомости"-ის რედაქციას 1829 წლის 21 აგვისტოს უგზავნის კორესპონდენციას, რომელიც დაბეჭდილია 20 სექტემბრის № 38-ში. ეს წერილი ფრიად საყურადღებოა და იძლევა რუსეთის ჯარის მხარდამხარ კავკასიელთა ორგანიზებული ირეგულარული ნაწილების საბრძოლო მოქმედებათა ხატოვან აღწერას; ავტორი სინანულს გამოთქვამს, რომ მას არ შეუძლია, დაასურათხატოს თავის მიერ აღწერილი მოვლენა, რათა ის მკითხველისათვის უფრო დამაჯარებელი გახადოს. იგი წერს: „...Жалею очень, что я не живописец и не могу дополнить рисунком, сделанного уже Вам описания. В самом деле, для наблюдателя — война не может быть зрелища любопытнее нашего лагеря. Надобно только представить это чудное соединение благоустроенных европейских войск с дружинами грузинских и армянских князей и дворян, полками мусульман, образованных в некоторую форму регулярства, конницею Гайти, добровольно составившеюся из прежде бывших турецких подданных, и партиею различных горских всадников, притекших с своими владельцами и князями доказывать, под знаменами графа Эриванского,

[1] Тифлисские ведомости, № 36, 1829 г.

усердие и преданность к правительству русскому. Согласитесь, что подобная картина послужила бы художнику наилучшим предметом для самой привлекательной панорамы, особенно если вообразить лагерь, или бивуак наш, раскинутый в горах, посреди доступных ущелий. Самый поход такой рати, при разнообразии костюмов и вооружения, представляют редкое, удивительное зрелище"[1].

წერილის ავტორი, ჩანს, სამხედრო პირია, რომელსაც უბრძოლია როგორც ირანელების, ისე თურქების წინააღმდეგ. დასტურდება, რომ რუსეთის ჯარი გრძნობდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის დიდ სიკეთეს მტერთან ბრძოლაში. საყურადღებოა, რომ ერზერუმის პროვინციაში რუსეთის მხარეზე უბრძოლია მაჰმადიანთა კავალერიას გაიტის მეთაურობით, რომელიც ადრე თურქეთის სამსახურში იმყოფებოდა. დაღესტნელთა ცხენოსანი რაზმი ასევე გმირულად იბრძოდა ტაბასარანის მფლობელის იბრაჰიმ-ბეგის მეთაურობით როგორც ირანელთა, ასევე თურქთა წინააღმდეგ. ირანელებთან ომში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის იბრაჰიმ-ბეგი წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ.

სარწმუნოებრივი განსხვავების მიუხედავად, მუსლიმანების ერთი ნაწილი რუსებთან ერთად იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ. ირანელთა და თურქთა ბატონობის სიმძიმე ისევ ახსოვდათ ამიერკავკასიელ მუსლიმანებს. როგორ დაავიწყდებოდათ მათ ნადირ-შაჰის ლაშქრობა დაღესტანში და მისი სისხლიანი შედეგები, დაღესტნელთა გმირული ბრძოლა შაჰის წინააღმდეგ.

დაღესტნის ერთ-ერთი უწარჩინებულესი — ყაზი ყუმუხის ყურინის მიწების მფლობელი ასლან-ხანი ერთ დროს თურქეთის პოლკის მეთაური იყო, მაგრამ შემდეგ რუსეთის სამსახურში ჩადგა, მალე მას რუსეთის სამხედრო ხელისუფლებამ ირანელებისა და თურქების წინააღმდეგ ომში დამსახურებისათვის გენერალ-მაიორის ჩინი, წმ. ანას მესამე ხარისხისა და წმ. გიორგის მე-4 კლასის ორდენები უბოძა[2].

მუსლიმანური მოსახლეობის ზედაფენის ერთი ნაწილის რუსეთთან დაახლოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის.

რუსეთის სამსახურში მუსლიმანთა რაზმების ჩაყენებას მეფის მთავრობა მეშტეიდის დამსახურებად თვლიდა. მთავრობა მეშტეიდს მზრუნველობას არ აკლებდა. გარდა იმისა, რომ მას შირვანში მამული უბოძეს,

---

[1] Тифлисские ведомости. № 38. 1829 г.

[2] იქვე.

უწყალობეს აგრეთვე თბილისში 50 დესეტინა მიწა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც მან გააშენა შესანიშნავი ბაღი, რომელიც ქალაქს დღემდე შემორჩა.

მუშტეიდის ავტორიტეტის გამოყენება სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რამაც შეარყია ირანში მუშტეიდთა ინსტიტუტის პრესტიჟი. ირანის შაჰისა და საერო ხელისუფლების წინაშე სახელი გაუტყდათ მუსლიმანური რელიგიის მესვეურებს.

მუშტეიდმა მთელი თავისი საქმიანობა—რელიგიური პროპაგანდა—რუსეთის სასარგებლოდ წარმართა, რასაც თვალსაჩინო შედეგები მოჰყვა. როგორც ცნობილია, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომები ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდნენ ირანელ და თურქ დამპყრობთა მონობისაგან კავკასიის ხალხების, მათ შორის, მუსლიმანური ხალხების განთავისუფლების საქმეში.

ირანთან ომის განახლების შემთხვევაში, რომლის დიდი საფრთხეც არსებობდა, აზერბაიჯანის მუსლიმანური მოსახლეობა ისეთი სათადარიგო ძალა უკვე აღარ იყო ირანისათვის, როგორსაც იგი ომის დასაწყისში წარმოადგენდა. მუსლიმანთა შორის რუსეთის მომხრეთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა, რაშიც თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა მუშტეიდს.

§ 2. ირანთან ურთიერთობის გამწვავება საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ა. ს. გრიბოედოვი — რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ირანში. თეირანის შეთქმულება

ირანის რეაქციული ძალები განაწყენებული იყვნენ რუსეთთან არახელსაყრელ პირობებში დაზავების გამო. ისინი სხვადასხვა სახის პროვოკაციებს აწყობდნენ, რომ დაერღვიათ საზავო ხელშეკრულება და კვლავ განეახლებინათ ის. ირანელები გამომწვევად მოქმედებდნენ. თავრიზის ერთ-ერთ ქუჩაზე ხანჯლით დაჭრეს რუსი პორუჩიკი ზინგლერი, ბოროტმოქმედნი კი მიიმალნენ. თავრიზსა და სხვა ქალაქებში გახშირდა მსგავსი პროვოკაციული მოქმედებანი. ამიტომ იყო, რომ გენერალი ოსტენ-საკენი 1828 წლის 12 თებერვალს თავრიზიდან პასკევიჩს სწერდა: „Известие о заключении мира произвело там (ლაპარაკია თავრიზზე, ნ. ქ.) неудовольствие, коею следствием могут быть подобныя происшествия“ [1]. გენერალური კონსული ამბურგერი იძულებული გამხდარა, 1828 წლის 28 მარტს ოფიციალურად მიემართა ირანის მთავრობისათვის,

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА. д. 4329, л. 201.

რომ პოლო მოღებოდა ირანის ქვეშევრდომთა მტრულ მოქმედებას რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ. იგი ირანის ხელისუფალთა ყურადღებას მიაქცევდა საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ მომხდარ ყოვლად შეუწყნარებელ ფაქტებს, განსაკუთრებით თავრიზის ბაზარზე ადგილობრივი მცხოვრებლების თავდასხმას კაზაკებზე. ბოროტმოქმედთა ბრბომ კაზაკებს წაართვა ორი ხმალი, ერთი თოფი და ცხენი[1]. მიუხედავად იმისა, რომ ირანის მთავრობისათვის აღნიშნული ფაქტი თავის დროზე ცნობილი გახდა, მან წაყრუება ამჯობინა და ბოროტმოქმედნი დაუსჯელი დატოვა. გენერალური კონსული ირანის მთავრობის წინაშე საკითხს აყენებდა, რომ ბოლო მოღებოდა ყოვლად უპრეცედენტო ფაქტებს რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, იგი მოითხოვდა დამნაშავეთა მკაცრ დასჯას.

ირანელების ყაჩაღურ მოქმედებას ბოლო არ უჩანდა. ისინი სარგებლობდნენ მთავრობის მხარდაჭერითა და წაყრუებით, რაც რუსეთის ჯარების მდგომარეობას ართულებდა.

განსაკუთრებით მძიმე პირობებში ჩავარდნენ რუსი ვაჭრები. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ბაზრებზე მათ ხელიდან სტაცებდნენ საქონელს, ფულსა და სხვა სიმდიდრეს. ირანის მთავრობა კი ასეთ ფაქტებზე რეაგირებას არ ახდენდა, რაც ხელს უწყობდა დანაშაულობათა ზრდას. პასკევიჩს თავრიზში რუსი ვაჭრების მძიმე მდგომარეობის შესახებ ჰქონდა ცნობა, რომ „большая часть из них оставила уже сей город, не окончив дел своих“[2]. ეს აშკარად მეტყველებდა, რომ ირღვეოდა საზავო ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ირანელი და რუსი ვაჭრების გარანტირებულ ურთიერთმფარველობას ითვალისწინებდა. რუსეთის გენერალურმა კონსულმა ამბურგერმა კაიმაკამს ოფიციალურად დაუსვა საკითხი იმაზე, რომ მთავრობა დაუსჯელად ტოვებდა ქურდებს მაშინაც კი, როცა მისთვის ცნობილი იყვნენ დამნაშავე პირები. გენერალური კონსული ამბურგერი 1828 წლის 28 მარტს კაიმაკამს სწერდა: „Собственность трех ограбленных армянских семейств около Гег-Гумбета еще не возвращена хозяевам, хотя я сам и представил к вам разбойника, учинившаго сие воровство“[3]. აღნიშნული ფაქტი აშკარად მეტყველებს, რომ, მიუხედავად საზავო ხელშეკრულებისა, რუსეთ-ირანის ურთიერთობა დღითი დღე უფრო და უფრო უარესდებოდა.

ირღვეოდა საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლი სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ და ამასთან ერ-

---

[1] АВПР, ф. Главный архив, 1—9, 1827 г. д. 13, ч. XI, л. 32.

[2] იქვე, ფ. 127 и об.

[3] იქვე, ნაწ. XI, ფ. 32.

თად ირანის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ჯარისადმი ირანელთა დამოკიდებულება წარმოუდგენლად მახინჯ სახეს იღებდა. ამიტომ ამბურგერი თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „Я признаюсь, что если таким образом представления мои останутся без внимания и персидское правительство будет упрямиться поступать вопреки трактата, то я принужден буду о сем донести моему правительству, о чем долгом почел ваше высокостепенство уведомить“[1].

ირანი საზავო ხელშეკრულების სხვა პირობებსაც უგულებელყოფდა. ის უხეშად არღვევდა XV მუხლს, რომელიც ხელშეუხებლობის უფლებას ანიჭებდა ყველას, ვინც სამხრეთ ირანის ტერიტორიის ოკუპაციის პერიოდში სხვადასხვა სახის სამსახური გაუწია რუსეთის სარდლობას.

რუსეთის გენერალურმა კონსულმა ამბურგერმა შეიტყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ირანის ხელისუფლებამ სასტიკად დასაჯა ყველა, ვინც სამსახური გაუწია რუსეთის სარდლობას. ამბურგერს მოჰყავს აღმაშფოთებელი საბუთი იმისა, რომ „баглемешинского Аджи-ризу закидали камнями за то, что дочь, жена и сын его ходили к русским чиновникам“[2].

ირანის ხელისუფლება არც მალავდა ანტირუსულ განწყობილებას. რუსული ორიენტაციის მოქალაქენი ბარბაროსული მეთოდებით ისჯებოდნენ. აჯი-რიზა ჩაუქოლიათ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ოჯახი რუს მოხელეებთან ყოფილა დაკავშირებული. აღნიშნული ფაქტი ერთეული როდი იყო. ამბურგერი კიმაკამს იმავე ოფიციალურ წერილში ატყობინებდა: „Довели до сведения моего, что на днях наказывали и наказывают несколько человек обоего пола, которые во время пребывания здесь наших войск разным образом прислуживали русским; по вновь заключенному трактату воспоследствовало совершенное прошение со стороны персидского правительства всем из его подданных. провинившихся во время занятия Адзербейджана нашими войсками, теперешнее-же их наказание совершенно противно условиям, в трактате Туркменчайском начертании, к сему же ни одно из дел, о которых писал я к вашему высокостепенству, не приведено к окончанию“[3].

რუსული ორიენტაციის მოქალაქეთა სიკვდილით დასჯა უშუალოდ შაჰის განკარგულებით ხდებოდა. მას უნდოდა შური ეძია ყველაზე, ვინც რუსებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც ომში ირანის დამარცხების

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13 ч. XI, л. 32.

[2] იქვე, ნაწ. IX. ფ. 33.

[3] იქვე, ფ. 32.

ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მას ღალატი მიაჩნდა. თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებით აბას-მირზამ გაინაღდა შაჰის ტახტის მემკვიდრეობა. იგი თავს გარეგნულად რუსეთის ჭეშმარიტ მეგობრად აღიარებდა, სინამდვილეში კი რუსეთის მტრად რჩებოდა და შაჰთან ერთად სანიმუშოდ უსწორდებოდა რუსეთის ერთგულებაში ეჭვმიტანილ მოქალაქეებს. ამბურგერი 1828 წლის 12 აპრილს იტყობინებოდა: „Аббас-Мирза, несмотря на собственные свой выгоды и на условия с ним заключенные, начинает уже месть свою на людей бывших нам приверженными, и что в сем отношении допускается народ до своевольства и даже убийства"[1]. გახშირდა სასაზღვრო ინციდენტებიც, რომელთაც შესაძლო იყო, საომარი მოქმედების განახლება მოჰყოლოდა.

ირანის შაჰი საზავო ხელშეკრულების თითქმის ყველა პუნქტს არღვევდა. ირანის დიდებულები უარს აცხადებდნენ ტყვეების დაბრუნებაზე, რასაც ითვალისწინებდა საზავო ხელშეკრულების XIII მუხლი. 1828 წლის 20 აპრილს მე-2 ულანის დივიზიის მეთაური ბარონი როზენი პასკევიჩს სწერდა, რომ ირანის დიდებულები თავიანთი ჰარამხანებიდან ტყვე ქალების გათავისუფლების წინააღმდეგი იყვნენ. ირანის შაჰმა თვალის ახვევის მიზნით საკუთარი ჰარამხანიდან გათავისუფლა რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში მყოფი ქალები. მას მიბაძა შაჰის დედოფალმაც და გათავისუფლა თავისი ფარეშები. შაჰი მტკიცედ არ მოითხოვდა ირანის სხვა დიდებულებისაგან ტყვეების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, რის გამოც ტყვე ქალები ირანის დიდებულთა განკარგულებაში რჩებოდნენ[2]. ირანის სასულიერო მსახურნიც არღვევდნენ ტყვეების გათავისუფლების შესახებ საზავო ხელშეკრულებას. როზენის ცნობით, „Сейд Чжавад, Казбинский житель, не выдал по требованию моему пленных женщин: Мариану, которую он называл своею женою, девицу Катерину и армянку Хорум; я написал о сем в Тегеране Министру и просил приказать Сейду Чджевад выдать пленных"[3].

ცხადია, ირანის დიდებულებს და რელიგიის მსახურთ შაჰის მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდათ, ისინი ამას ვერ გაბედავდნენ.

პასკევიჩი 1828 წლის 27 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრს ნესელროდეს ამის თაობაზე სწერდა: „Персияне отступают весьма часто от выполнения условии нашет возвращения захваченных ими в плен жителей здешних наших провинции ... писал я уже к его величеству шаху, дабы он своею властию содействовал к исполнению

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1827, д. 13, ч. XI, л. 22.

[2] იქვე, ფ. 41 об.

[3] იქვე, ფ. 43.

13-ე статьи Туркменчайского трактата, но невзирая на то значительное число пленных наших и до сего времени страдает в неволе. Впрочем приезд нашего министра (речь идет о Грибоедове, Н. К.) в Персию и настояние его, конечно, будут много содействовать и в сем деле"[1].

დასახელებული და სხვა ფაქტები აშკარად მეტყველებენ, რომ რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენელს ა. ს. გრიბოედოვს ირანში დიდი საქმეები უნდა გადაეწყვიტა. მას ირანის ხელისუფლების წინაშე მტკიცედ უნდა დაესვა საკითხი თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების გარანტირებული დაცვის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნავარინის ყურესთან თურქეთის ფლოტის განადგურების შემდეგ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა მეტისმეტად გართულდა. გაუქმდა აკერმანის კონვენცია. სულთანი რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებდა აღმოსავლეთის მუსლიმანურ ხალხებს.

რუსეთსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობის დროს ინგლისმა და საფრანგეთმა თურქეთის სასარგებლო პოზიცია დაიჭირეს. დღე-დღეზე მოსალოდნელი იყო თავდასხმა თურქეთის მხრივ. ნიკოლოზ I-მა დაასწრო სულთანს და 1828 წლის 12 აპრილს ომი გამოუცხადა მას. ირანის შაჰი მზად იყო, დაახლოებოდა თურქეთს და თავი დაეღწია თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების დამამძიმებელი პირობებისაგან. სწორედ ამიტომ აყოვნებდა ირანი საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციას.

პასკევიჩი რუსეთის გენერალურ კონსულს ირანში ამბურგერს 1828 წლის 5 მაისს დავალებას აძლევდა, მკაცრად გაეფრთხილებინა აბას-მირზა, „чтобы со стороны персидского правительства во время войны между нами и турками, был соблюдаем строжайший неитралитет, и чтобы в особенности турецкие войска и даже малые партии не допускались к вторжению чрез персидские земли в пределы наши"[2].

ირანის მხრივ ნეიტრალიტეტის დაცვა საეჭვო საქმე ჩანდა, რადგანაც ის საზავო ხელშეკრულების თითქმის ყველა მუხლს არღვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულება ახალი გაფორმებული იყო, ირანთან ურთიერთობა უფრო და უფრო დაძაბულ ხასიათს იღებდა. შაჰმა განკარგულება გასცა, შეეჩერებინათ რუსი სამხედრო ტყვეების გათავისუფლება, რამაც რუსეთის ხელისუფლების აღშ-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1827, д.№ 13, ч. XI, л. 100.

[2] იქვე, ფ. 52—53.

ფოთება გამოიწვია. 1828 წლის 12 მაისს პასკევიჩმა წერილი გაუგზავნა ნესელროდეს. პასკევიჩი საგარეო საქმეთა მინისტრის ყურადღებას მიაპყრობდა აღნიშნულ საკითხს და შემდეგს სწერდა: „Я не осмелюсь отпустить знатнейших чиновников персидских у нас в плену находящихся, — надеюсь, что мера сия будет иметь свое действие, ибо родственники означенных чиновников будут лучшими ходатаями о выдачи пленных наших“[1]. ყოველივე ეს რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობის ახალ გართულებაზე მეტყველებდა.

რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობის გამწვავება მარტო შაჰის საქმე როდი იყო, რომელიც თურქეთთან დაახლოების გზით ცდილობდა ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. ამაში ინგლისელების ხელიც ერია. ინგლისელები თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებას ირანში ინგლისის წარუმატებლობად თვლიდნენ და რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში მათ შესაძლებლად მიაჩნდათ მისი გამოსწორება. ისინი ირანში ჭორს ავრცელებდნენ, რომ 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების სულისკვეთება რუსეთში კვლავ განაგრძობდა არსებობას და ახლა მისი გამოყენებაც შეიძლებოდა. ცნობილია, რომ საზავო მოლაპარაკების პერიოდშიც ინგლისის დიპლომატიური მისია ათასნაირ ხრიკებს მიმართავდა რუსეთის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს შენიღბულად წარმოებდა. რუსეთ-ირანის ურთიერთობის ახალი გართულება. პასკევიჩის თქმით, „происходило от внушения английских чиновников, старавшихся сколько можно ослабить влияние наше на дела персидские“[2].

პასკევიჩს გენერალური კონსულისაგან მრავალი ცნობა ჰქონდა მიღებული, რაც ადასტურებდა ინგლისის მტრული მოქმედების გაძლიერებას რუსეთის წინააღმდეგ[3].

ირანი ცდილობდა, რუსეთ-თურქეთის ომით ესარგებლა, ინგლისის დახმარებით საზავო ხელშეკრულება დაერღვია და რუსეთთან ახალი ომის დაწყებით თავისი ადრინდელი მდგომარეობა აღედგინა.

ირანის ხელისუფლებმა თავის დროზე ნაცვლად 7 ყურურისა (14 მილიონი მანეთისა) გადაიხადეს 6, 5 ყურური, ანუ 13 მილიონი მანეთი, ხოლო 0,5 ყურური, ანუ 1 მილიონი მანეთი, გადასახდელი რჩებოდა. ამ თანხის ნაწილი ინგლისმა ოსტ-ინდოეთის კომპანიიდან გადაიხადა. მალე რუსეთმა ირანიდან გაიყვანა საოკუპაციო ჯარის დიდი ნაწილი. 1828 წლის მარტში პასკევიჩმა დატოვა ირანი, 24 მარტს ის უკვე თბილისში იყო და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს შეუდგა. მაგრამ ხოისა და ურმიის ტერიტორიაზე რჩებოდა საოკუპაციო ჯარის ნაწილი გენერალ-

[1] АВПР. ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. № 13, ч. XI, л. 63—64.
[2] იქვე. ფ. 55.
[3] იქვე.

მაიორ კონდრატიევის სარდლობით, რის შესახებაც პასკევიჩი საგარეო საქმეთა მინისტრს დიბიჩს 1828 წლის 29 მარტს სწერდა: „Из числа войск, бывших в Адзербиджане шесть баталионов пехоты, два казачии полка и 1 $^1/_2$ роты артиллерии оставлены в Хое и Урмии для получения недоимок“[1]. პასკევიჩის თქმით, კონდრატიევს ევალებოდა „по получении от персиян 300.000 туманов, довершающих 7-ой курур, он должен очистить Урмию, а по уплате 8-го курура выйдти из Хой“[2]. 1828 წლის დეკემბერში ირანმა დაასრულა მერვე ყურურის გადახდა და კონდრატიევმა დატოვა ხოისა და ურმიის პროვინციები. ირანის მთავრობა აღნიშნულ კონტრიბუციას მხოლოდ იმიტომ იხდიდა, რომ საოკუპაციო ჯარი ირანში იდგა. კონტრიბუციის გადახდის სიძნელეებს ჩვენ ქვემოთაც შევეხებით.

ხელსაყრელ პირობებში საზავო ხელშეკრულების გაფორმებისათვის დიპლომატიურ ბრძოლებში, დეიკარხანსა და თურქმენჩაის დიპლომატიურ მოლაპარაკებებში დიდი ნიჭი გამოუმჟღავნებია ა. ს. გრიბოედოვს, ამაზე მეტყველებს პასკევიჩის წერილი, რომელიც მან გრაფ ნესელროდეს გაუგზავნა 1828 წლის 12 თებერვალს: „Посылаю я с состоящим при мне по дипломатической части коллежским советником Грибоедова, который во все продолжение сей компании, служа при мне с особенным усердием по отличным его способностям и современному знанию всех обстоятельств здешняго края, был мне весьма полезен в продолжению же мирных переговоров в Дей-Коргане и потом Туркменчае, оказал в дипломатических сношениях особенное искусство и я щитаю себя обязанным некоторым мыслям им представленным и основанным на познании характера Министра персидского, успешному окончанию сего важнейшего дела. Почему поручая сего отличного чиновника благосклонному влиянию Вашего сиятельства, я прошу покорнейше употребить представительство Ваше у Всемилостивейшаго государя об исходатайствовании ему во уважении весьма важных услуг им оказанных и по совершенно разстроенному его состоянию, единовременной выдачи 4 т. червонцев, каковую ему награду я буду почитать собственно для себя милостию Августейшаго монарха“[3].

დამოწმებული დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ა. ს. გრიბოედოვზე, როგორც დიპლომატზე, და იმ წინააღმდეგობებზე, რომელ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 263.

[2] იქვე.

[3] იქვე, 224 и об. შდრ. Русская страна, 1874 г., ноябрь, стр. 518.

თა გადალახვაც რუსეთის დიპლომატიურ მისიას მოუხდა. მალე ამ დოკუმენტის საფუძველზე ა. ს. გრიბოედოვმა ჯილდოდ მიიღო წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენი, ირანზე გამარჯვების მედალი და 4000 ჩერვონეცი.[1]

მთავრობამ ა. ს. გრიბოედოვს უაღრესად დიდი ნდობა გამოუცხადა. 15 აპრილს იგი დაინიშნა სრულუფლებიან წარმომადგენლად ირანში. გრაფი ნესელროდე 1828 წლის 1 მაისს პასკევიჩს აუწყებდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ირანში ყოფნის, ირანული ენისა და ზნე-ჩვეულებათა საუკეთესო ცოდნის გამო, აგრეთვე იმ თვალსაჩინო დამსახურებისათვის, რაც გრიბოედოვმა ირანთან საზავო მოლაპარაკების დროს გამოიჩინა, იმპერატორმა იგი დანიშნა რუსეთის იმპერიის სრულუფლებიან მინისტრად თეირანში[2].

1828 წლის 5 ივლისს ა. ს. გრიბოედოვი სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა[3]. იგი გაჩერდა პასკევიჩის ბინაში (როგორც აღინიშნა, პასკევიჩის მეუღლე გრიბოედოვის ბიძაშვილი იყო). გრიბოედოვს მთავარსარდალი თბილისში არ დაუხვდა. მან გადაწყვიტა ენახა პასკევიჩი, რომელიც ამ დროს თურქეთის წინააღმდეგ მოქმედ ჯარში იმყოფებოდა. გრიბოედოვი დიპლომატიური მისიის მდივანთან, მალცოვთან ერთად გაემგზავრა პასკევიჩის სანახავად, მაგრამ ცნობამ ეპიდემიის გავრცელების შესახებ იგი აიძულა, თბილისში გამობრუნებულიყო.

თავრიზში გამგზავრებამდე გრიბოედოვმა ახალციხის მისადგომებთან ნახა პასკევიჩი და მასთან საუბარი ჰქონდა ირანთან დაკავშირებულ საკითხებზე. აქედან იგი სულ მალე დაბრუნდა თბილისში, სადაც მას ციებცხელების ახალი შეტევა დაემართა. გამოჯანმრთელების შემდეგ, 1828 წლის 22 აგვისტოს, ა. ს. გრიბოედოვი დაქორწინდა ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ასულზე — ნინო ჭავჭავაძეზე. ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა.

9 სექტემბერს ა. ს. გრიბოედოვი მეუღლითურთ რუსეთის დიპლომატიურ მისიასთან ერთად თბილისიდან ირანს გაემგზავრა. თავრიზს მიმავალ ალექსანდრე გრიბოედოვსა და ნინო ჭავჭავაძეს ერევანში საპატიო მიღება მოუწყვეს. სიმამრს ა. გ. ჭავჭავაძეს ერევნის ოლქის მმართველის პოსტი ეჭირა. 19 სექტემბერს გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის პატივსაცემად ერევანში დიდი სადილი გაიმართა. მეორე დღეს ბაიაზეთიდან დაბრუნდა ა. ჭავჭავაძე, რომელმაც გულთბილი მიღება მოუწყო ახალ-

---

[1] Русская старина, 1874 г., стр. 518.

[2] Русская старина, 1874 г., стр. 519, შდრ. А. С. Грибоедов, его жизнь и гибель, в мемуарах современников, Л., 1929 г., стр. 22; Статья Ф. Булгарина—Воспоминания о незабвенном Грибоедове.

[3] Тифлисские Ведомости, № 2, 1828, г., 11 июля.

დაქორწინებულ ქალიშვილსა და სიძეს. 25 სექტემბერს გრიბოედოვის ოჯახი და რუსეთის დიპლომატიური მისია ერევნიდან თავრიზს გაემგზავრნენ, სადაც ისინი 18 ოქტომბერს ჩავიდნენ.

ჩასვლის მეორე დღეს ა. ს. გრიბოედოვს აუდიენცია ჰქონდა აბას-მირზასთან, რომელსაც მან, როგორც რუსეთის სრულუფლებიანმა მინისტრმა, საზავო ხელშეკრულების რატიფიცირებული ტექსტი გადასცა და თვითონ კი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ირანში გამგზავრების წინ რუსეთის მთავრობამ ა. ს. გრიბოედოვს მისცა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც მას ავალებდა საგანგებო ღონისძიებათა გატარების გზით რუსეთსა და ირანს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას, რაც ესოდენ საჭირო იყო მაშინ რუსეთისათვის[1].

ამავე ინსტრუქციით გრიბოედოვს რჩევა ეძლეოდა, კეთილი ნების ვიზიტით სწვეოდა თავრიზში აბას-მირზას და მასში განემტკიცებინა აზრი ირანისადმი რუსეთის კეთილი დამოკიდებულების შესახებ; ამასთან, გრიბოედოვს ევალებოდა სიფხიზლის გამოჩენა, რათა აბას-მირზა კვლავ არ მოქცეულიყო ინგლისელების გავლენაში. რუსეთის მთავრობამ პასკევიჩისაგან იცოდა, რომ აბას-მირზას სურდა, ომი დაეწყო თურქეთის წინააღმდეგ[2]. ეს ცნობა ძალიან საეჭვო იყო. გრიბოედოვს მაინც ევალებოდა, ყველა ღონე ეხმარა, რომ ირანი ამჯერად არ ჩაბმულიყო თურქეთის წინააღმდეგ ომში.

რუსეთის მთავრობა ითვალისწინებდა, რომ დასუსტებული ირანის მოკავშირეობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა მას, რადგანაც თურქეთთან ომის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ირანი გარკვეულ საზღაურს მოითხოვდა, რაც მის გაძლიერებას გამოიწვევდა.

სულ მალე რუსეთის მთავრობამ ზემოაღნიშნული მოსაზრება გადასინჯა და ირანში გართულებული სიტუაციის გამო შაჰს თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყება მოსთხოვა.

რუსეთის მთავრობა ა. გრიბოედოვს კატეგორიულად ავალებდა, რომ ირანისათვის გადაეხდევინებინა კონტრიბუციის ნარჩენი ორი ყურური (4 მილიონი მანეთი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, რუსეთის მთავრობა მოითხოვდა ირანის იმ ქვეშევრდომთა ხელშეუხებლობას, რომლებმაც სამსახური გაუწიეს რუსეთის ჯარს ირანთან ომის პერიოდში, და რუსი სამხედრო ტყვეების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

რუსეთის ხელისუფლება მკაცრად აყენებდა საკითხს სასაზღვრო ინ-

---

[1] Русская старина, 1874 г., ноябрь, стр. 522—525, შდრ. Акты, т. VII, д. 591, стр. 622—624. Инструкция, данная полномочному министру при Персидском дворе, А. С. Грибоедову, 1 мая, 1828 года, № 791.

[2] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. XI, л. 6.

ციდენტების შეწყვეტის შესახებ, რათა შემდეგში არ გამეორებულიყო ისეთი მუხანათური თავდასხმა, რასაც ადგილი ჰქონდა ირანის მხრივ ომის დაწყებისას.

როგორც ზემოთ ითქვა, საზავო ხელშეკრულების VII მუხლით რუსეთი აბას-მირზას ჰპირდებოდა შაჰის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრედ აღიარებას. ა. ს. გრიბოედოვს დაევალა, დაერწმუნებინა აბას-მირზა, რომ თუ შაჰის ტახტისათვის ბრძოლა ატყდებოდა, რუსეთი მას დაეხმარებოდა პრეტენდენტთა წინააღმდეგ. ასეთი დაპირება აბას-მირზას მიმართ რუსეთს სჭირდებოდა, რათა იგი თავის მხარეზე ჰყოლოდა.

ინგლისის მთავრობის აღიარებით, მისი დიპლომატიური მისია, რომელიც ირანში იყო აკრედიტებული, თითქოს ევროპის სახელმწიფოთა ხელყოფისაგან იცავდა ინგლისის სამფლობელოებს ინდოეთში, რომელიც სინამდვილეში დიდი მანძილით იყო დაცილებული ირანისაგან. ასე რომ, გრიბოედოვის ინსტრუქციაში სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტით იყო განპირობებული ირანში რუსეთის დიპლომატიური მისიის ყოფნა, რომელსაც ევალებოდა რუსეთის მიერ შეერთებული ამიერკავკასიის ტერიტორიის უშიშროების მეთვალყურეობა. ამასთან ერთად რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს წინადადება ეძლეოდა, რომ კეთილი ურთიერთობა ჰქონოდა ირანში აკრედიტებულ ინგლისის დიპლომატიურ მისიასთან.

გრიბოედოვს ეკისრებოდა ირანთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგებაც, ირანელთა დაინტერესება რუსული საქონლის შეძენით და მათგან შეკვეთების მიღება იმ პროდუქციაზე, რომელიც ფართო მოხმარების ბაზარს იპოვიდა ირანში. ამასთან, ირანელებს ზუსტად უნდა დაეცვათ თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების ის მუხლებიც, რომლებიც რუსეთთან ვაჭრობას შეეხებოდა. რუსეთის დიპლომატიურ მისიას ევალებოდა დაეჯერებინა ირანელები, რომ რუსეთთან ვაჭრობა იყო ერთადერთი წყარო მათი კეთილდღეობისა, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთსა და ირანს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს უნდა დაეზუსტებინა ცნობები კასპიის ზღვის სანაპიროებიდან ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო-საქარავნო გზების შესახებ. მას უნდა დაედგინა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ირანს მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხებთან, კერძოდ, ავღანეთთან, ბუხარასთან, ინდოეთთან, თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან. მას ზუსტი ცნობები უნდა ჰქონოდა თურქმენების, ხიველებისა და სხვა მომთაბარე ხალხების ირანთან ურთიერთობის შესახებ[1].

---

[1] Русская старина, 1874 г., ноябрь, стр. 522—525. შდრ. Акты, т. VII, д. 591, стр. 622—624. Инструкция, данная полномочному министру при Персидском дворе, А. С. Грибоедову, 1-мая, 1828 года, № 791.

ამგვარად, ა. ს. გრიბოედოვს საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება დაევალა, რაც სერიოზულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამას ემატებოდა ბევრი სხვა საკითხიც, რომლებიც ასევე თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და გულდასმით შესწავლას, დამუშავებასა და სისტემატურ მეთვალყურეობას მოითხოვდა.

ინგლისის დიპლომატიური მისია ირანში სულ უფრო აქტიურობდა. იგი ცდილობდა, გაემწვავებინა ურთიერთობა რუსეთსა და ირანს შორის კონტრიბუციის გადახდასთან დაკავშირებით. არსებობდა იმის საფრთხე, რომ მოსალოდნელ ომში ინგლისი თურქეთის მხარეზე აღმოჩნდებოდა. ნესელროდესადმი გაგზავნილ წერილში პასკევიჩი ავითარებდა აზრს, რომ ინგლისელების გავლენით ირანიც რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა. ასეთი რთული სიტუაციის დროს პასკევიჩმა უკვე საჭიროდ მიიჩნია, რომ აბას-მირზა თავიდანვე ჩაბმულიყო ომში თურქეთის წინააღმდეგ. იგი წერდა: „Но есть ли на приязнь Великобританского двора нам полагаться не можно, и в особенности есть ли должно предвидеть, что двор сей видам нашим насчет Турции захочет противиться вооруженную рукою, то вовлечь Аббас-Мирзу в войну с турками не только полезно, но даже необходимо, ибо тогда поневоле он должен уже быть нашим союзником и влияние англичан останется без действия, в противном же случае Министерство английское, которое, как Ваше сиятельсво изволите усмотреть из депешей Г. Статского советника Грибоедова, со времени посольства Малькольма употребило для поддержания своего влияния при персидском дворе 75 мил. р. на наши деньги, не пожелает еще нескольких десятков миллионов, дабы вооружить против нас Персию и дать ей средства действовать с успехом“[1]. იმ კოლოსალურ თანხას, რასაც ინგლისელები ირანში ხარჯავდნენ, შეუძლებელი იყო, თავისი შედეგები არ მოეტანა. ირანთან ომის შემდეგ რუსეთი შაჰს ედავებოდა 20 მილიონი მანეთი კონტრიბუციის გადახდაზე იმ დროს, როცა ინგლისელებს ირანის შაჰის სასახლეში გასაჩუქრებული ჰქონდათ 75 მილიონი მანეთი.

ინგლისი ვერ ურიგდებოდა რუსეთის პოზიციების გაძლიერებას შუა აღმოსავლეთში, რადგანაც ეს, გარდა პოლიტიკური ინტერესებისა, დიდ ფინანსურ ზარალთანაც იყო დაკავშირებული. ა. ს. გრიბოედოვი 1828 წლის 30 ნოემბერს გრაფ ნესელროდეს აუწყებდა, რომ ირანში ინგლი-

---

[1] АВПР, Гл. архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. IX, лл. 9—10 Щрх. Русская старина, 1876, декабрь, стр. 741.

სელებს ჯონი მალკოლმის მისიის ჩამოსვლიდან უკანასკნელ ხანებამდე დახარჯული ჰქონდათ სამი მილიონი ფუნტი სტერლინგი, რომლის ხელწერილიც ინგლისის მისიის მეთაურმა მაკდონალდმა გრიბოედოვს უჩვენა[1].

ინგლისელები, ცხადია, არც შემდეგში დაზოგავდნენ დიდძალ ფინანსებს. რომ გაერთულებინათ რუსეთის მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთში, და რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, შეეზღუდათ მისი სამხედრო წარმატებანი. ინგლისელები ურჩევდნენ აბას-მირზას, რომ იგი დაუფიქრებლად არ მინდობოდა რუსეთს.

1829 წლის 12 აპრილს „თბილისის უწყებანი“ აღნიშნავდა, რომ ერთი წლის უკან, 1928 წლის 11 აპრილს, ლეიბ-გვარდიის ნაკრები პოლკი, რომელიც დეკაბრისტებისაგან შედგებოდა, ჩამოვიდა თბილისში და კონტრიბუციის ანგარიშზე ჩამოიტანა 8.952.780 მანეთი ვერცხლით[2]. თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1828 წლის 16 აპრილს იმპერატორს აუწყებდა, რომ თბილისში ირანიდან კონტრიბუციის ანგარიშზე ჩამოიტანეს 587 შეკვრა, რომელიც იწონიდა 1476 ფუთსა და 30 გირვანქას[3]. ეს იყო იმ თანხის ერთი ნაწილი, რომელიც ირანმა რუსეთს კონტრიბუციის სახით გადაუხადა, მაგრამ ნაწილი კვლავ გადასახდელი რჩებოდა.

აღნიშნულ პოლკს თბილისში აგრეთვე ჩამოუტანია დიდძალი ნადავლი, მათ შორის: ოქრო, აბას-მირზას ტახტი—მოსკოვის საჭურვლის პალატისათვის, ირანის სამხედრო სპეციალისტების მიერ თავრიზში ჩამოსხმული 7 ქვემეხი, აბას-მირზას საზაფხულო აგარაკიდან—უჯანის ციხიდან — წამოღებული ორი ბატალური სურათი, რომლებზეც ასახული იყო მტერზე აბას-მირზას გამარჯვება, და სხვა განძეულობა.

ირანიდან წამოღებულ ნადავლთა შორის მეცნიერული სამყაროსათვის ყველაზე ძვირფასი განძი იყო მდიდარი არდებილის ბიბლიოთეკა, რომელიც შაჰ-აბას I-მა დააარსა[4].

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ყურადღება მიიპყრო არდებილის ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა და აგრეთვე აზიურმა ნუმიზმატიკურმა კოლექციამ, რომელიც ირანთან ომის პერიოდში მოიპოვეს. კოლექციის ერთი ნაწილი იმპერატორის განკარგულებით გადაეცა საიმპერატორო აკადემიას, მეორე—სა-

---

[1] Русская старина, 1876, декабрь, стр. 731, А. С. Грибоедов, деятльность его как дипломата.

[2] Тифлисские Ведомости, 1829, № 15, 12 апреля.

[3] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 4329, л. 282.

[4] „Тифлисские Ведомости“, 1828 г., № 2, 11 июля, გაზეთში ზემოაღნიშნულის შესახებ კითხულობთ: „Поход, совершенный в Персию полком Российской имперской гвардии, который прибывший из столицы севера вступал вместе с по-

იმპერატორო ერმიტაჟს, ხოლო მესამე — ვარშავის უნივერსიტეტს.[1] რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ აღნიშნული კოლექციისა და არდებილის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გადაცემისათვის იმპერატორის ფავორიტს პასკევიჩს სთხოვა, თანხმობა მიეცა აკადემიის საპატიო წევრად არჩევაზე. იგი მართლაც აირჩიეს აკადემიის საპატიო წევრად[2].

ა. ს. გრიბოედოვს აჩქარებდნენ, რომ კონტრიბუციის ნარჩენი აბასმირზას სასწრაფოდ დაეფარა. ანგარიში არ ეწეოდა ირანის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, რომლის შესახებ ა. ს. გრიბოედოვი იტყობინებოდა: „Мой категорический ответ произвел свое действие. 50 тысяч туманов золотом и серебром будут немедленно доставлены в Хой. Для пополнения суммы Аббас-Мирза велел расплавить в слитки превосходные золотые канделябры и разные вещи из гарема, одна работа, которых стоит столько же сколько самый металл; это распоряжение явно доказывает безденежье шаха“[3].

რუსეთი კონტრიბუციის დასაფარავად ირანიდან ეზიდებოდა ძვირფას ქვებსა და თვალ-მარგალიტებს, ოქროს ნივთებსა და სხვა ნაკეთობებს, ხელოვნების შედევრებს, რის გამოც ირანის მმართველი წრეები სულ

бедоносными войсками Кавказского корпуса в столицу Азербайджана, содержал почетный караул у наследника Иранского престола и доставил в столицу Грузии персидское золото, есть событие, достойное истории. Ныне полк сей провожает куруры и трофей, приобретенные Российским оружием во время последней войны, между коими находится трон Аббас-Мирзы, назначенный его императорским Величеством к помещению в Московскую оружейную палату, 7 пушек вылитых персидскими мастерами в Тавризском дворе во время управления русскими Аддербиджанскою областию и две картины, взятыя в Уджанском замке (Летний дворец Аббас-Мирзы. верстах в 50 от Тавриза, по Тегеранской дороге), изображая победы Аббас-Мирзы, но драгоценнее всех сокровищ для ученого мира есть Ардебильская библиотека, приобретенная при взятии генерал-адъютантом графом Сухтеленным города Ардебиля. — Библиотека сия получила свое основание в 1013 году по летоисчислению Егиры. Царствовавший в то время шах Аббас I, собранные им рукописи, положил в Мечеть, сооруженную в память деда его Шейха Сафи в том самом месте, где погребен сей родоначальник Софийской (так, Н. К.) династии. — Персидские шахи Коронуются в Ардебиле“.

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827 г., д. IX, ч. X, л. 31 и об.

[2] Акты, т. VII, № 929, стр. 957. Отношение императорской Академии наук к гр. Паскевичу от 30 сентября 1830 г. № 762.

[3] Русская старина. СПБ, 1874, т. XII, стр. 755.

უფრო და უფრო ოპოზიციურად განეწყვნენ რუსეთის მიმართ. რუსეთის ვიცე-კანცლერი, რომელიც პასკევიჩისაგან მიღებულ ცნობებს ემყარებოდა, 1828 წლის 15 დეკემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროს აუწყებდა: „Восьмой курур совершенно очищен персиянами как серебром и золотом так и драгоценностями в залог еще состоящими. Между сими есть трон Ага-Мамед-хана, в коем однаго золота на 9 т. туманов, но обеспечивающий только 7 т., граф Паскевич-Ериванский полагал бы трон сей за ту цену, то есть за 7 т. туманов, или даже за высшую, оставить у нас в память, яко трофей“ [1].

პასკევიჩს აღა-მაჰმად-ხანის ძვირფასი ტახტიც კი წამოუღია კონტრიბუციის ანგარიშში, რასაც დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია ირანელებში. ვირტუოზ ოსტატთა ხელოვნება გაცილებით მეტი ღირდა, ვიდრე ის ოქრო, რომელიც მასში იყო განივთებული. ა. ს. გრიბოედოვი შექმნილ რთულ სიტუაციას ღრმად სწვდებოდა, მას გონების თვალით უყურებდა და რუსეთის მთავრობისაგან გარკვეულ დათმობას მოითხოვდა.

კონტრიბუციასთან დაკავშირებით ირანში შემოღებულ იქნა საგანგებო გადასახადები. შაჰის მოხელეები არაკეთილსინდისიერად იქცეოდნენ, ბოროტად იყენებდნენ თავიანთ მდგომარეობას და აკრეფილი თანხის ნაწილს თვითონვე იჯიბავდნენ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ხალხის უკმაყოფილებას. ომის მთელმა სიმძიმემ ისედაც ირანის მშრომელი მოსახლეობის ზურგზე გადაიარა. მოსახლეობის უკმაყოფილება ძირითადად მიმართული იყო ირანის შაჰისა და სასახლის მოხელეთა წინააღმდეგ, რომლებმაც წამოიწყეს ეს ომი და ქვეყანა მათხოვრულ მდგომარეობამდე მიიყვანეს. ირანში გახშირდა აჯანყებები. ომისაგან ღონემიხდილი და გადასახადებისაგან გაღატაკებული მოსახლეობა ვერ იტანდა კონტრიბუციით კიდევ უფრო დამძიმებულ ცხოვრებას. 1828 წლის მარტში გენერალი როზენი თეირანიდან იუწყებოდა: „Недавно получено известие, что жители города Уезд взбунтовались, выгнали управляющаго провинцией принца, отобрали у него имущество и деньги“ [2]. ასეთი აჯანყება მასობრივ ხასიათს იღებდა. ირანის საერო და სასულიერო ხელისუფლების მესვეურნი ცდილობდნენ, ხალხის რისხვა შაჰისა და მისი სასახლისათვის აეცდინათ და ის რუსეთისა და მისი დიპლომატიური მისიის წინააღმდეგ წარემართათ. განსაკუთრებით მუხანათურად იქცეოდა სასახლის მოხელეთა ერთი ჯგუფი, რომელსაც შაჰის სიძე ალაიარ-ხანი მეთაურობდა. ალაიარ-ხანს სადრაზამის (უმაღლესი, ანუ მთავარი ვეზირის) პოსტი ეჭირა, მაგრამ რუსეთთან წარუმატებელი ომის გამო ავტო-

---

[1] АВПР. ф. Гл. архив. 1—9, 1827 г., д. 13, ч. X, л. 37.

[2] ი ბ ი დ ე, ч. XI, л. 20.

რიტეტი შეელახა და იგი თანამდებობიდან გადააყენეს. ამით გაბოროტებული ალაიარ-ხანი მზად იყო, ახალი ომი დაეწყო. ალაიარ-ხანის მომხრეები ანტირუსულ პროპაგანდას ეწეოდნენ მეჩეთებსა და ბაზრებში, ამტკიცებდნენ, რომ ირანის უბედურების ერთადერთი მიზეზი იყო რუსეთი და მისი დიპლომატიური მისია ირანში.

ა. ს. გრიბოედოვი თავის მხრივ გრძნობდა, რომ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ირანელები შეეცდებოდნენ, ეპოვათ საერთო ენა თავიანთ ტრადიციულ მფარველ ინგლისელებთან, რასაც უთუოდ რუსეთ-ირანის ურთიერთობის სერიოზული გართულება მოჰყვებოდა.

როგორც ირკვევა, ერთხანს აბას-მირზას განზრახული ჰქონდა. გამგზავრებულიყო პეტერბურგს, რუსეთის იმპერატორი ჩაეყენებინა საქმის კურსში და მისთვის კონტრიბუციის ნარჩენის პატიება ეთხოვა. აბას-მირზა ალტერნატივის წინაშე იდგა: ან ინგლისთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ, ანდა რუსეთთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ. გრიბოედოვის აზრით, პეტერბურგში აბას-მირზას ყოფნის მთელ პერიოდში რუსეთი გარანტირებული იქნებოდა ირანის მხრივ ომის საფრთხისაგან. შექმნილი სიტუაციის შესახებ, ირანის საშინაო მდგომარეობაში ღრმად ჩახედული ა. ს. გრიბოედოვი იწერებოდა: „Англичане могут, снабдив того принца (т. е. Аббас-Мирзы, Н. К.) всем нужным ему, и вооружить противу нас, тогда с удобностию он зделает вторжение в Закавказские области наши и взволнует всех обытателей Кавказа; для предупреждения сего. должно или вовлечь Аббас-Мирзу в войну с турками, дав ему к тому средства, или пригласить в Петербург, ибо во все время его пребывания в столице, не должно опасаться каких-либо предприятий со стороны Персии“[1].

გრიბოედოვი წინასწარ გრძნობდა, რომ ირანში მოვლენების განვითარება სიკეთეს არ მოიტანდა. იგი მიზანშეწონილად თვლიდა, რუსეთის მთავრობას ეპატიებინა ირანისათვის დარჩენილი 2 უურური, რასაც ურთიერთობის გაჯანსაღება მოჰყვებოდა. ა. ს. გრიბოედოვი ამიტომ შუამდგომლობდა აბას-მირზას პასკევიჩის წინაშე პეტერბურგს გამგზავრების შესახებ, მაგრამ იგი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. პასკევიჩი 1828 წლის 15 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ ნესელროდეს სწერდა: „В рассуждении поездки Аббас-Мирзы в С. Петербург я не разделяю мнения г. Статского Советника Грибоедова и не нахожу неудобства в исполнении нижепредлагаемой от сей поездки г. Министром пользы“.[2]

---

[1] АВПР. ф. Гл. архив, 1—9, 1827, г., д. 13, ч. IX, л. 2 и об., 3.

[2] იქვე, ფ. 4 и об.

პასკევიჩი თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ საქართველოს სამხედრო გზით ზამთრის პირობებში ძნელი იქნებოდა აბას-მირზას მისიის გაგზავნა რუსეთში. პასკევიჩის თქმით, „Трудно будет на каждой станции прийскать для него со всею свитою удобныя помещения для предохранения от холода“.[1] გარდა ამისა, მისი აზრით, აბას-მირზა მოგზაურობის დროს უთუოდ შეამჩნევდა ჯარის სიმცირეს და დარწმუნდებოდა კავკასიაში რუსეთის სამხედრო ძალების სისუსტეში. პასკევიჩი წინადადებას იძლეოდა, აბას-მირზა პეტერბურგში გამგზავრებულიყო 1829 წლის ივლისში იმ პირობით, თუ იქ მას იმპერატორი დახვდებოდა. მაგრამ თუ ნიკოლოზი დედაქალაქში არ იქნებოდა, მაშინ აბას-მირზას მოუწევდა ლოდინი, რაც, პასკევიჩის თქმით, გაზრდიდა აბას-მირზას მოგზაურობასთან დაკავშირებულ ისედაც დიდ ხარჯებს.

პასკევიჩის ამ გადაწყვეტილებას საბედისწერო შედეგები მოჰყვა. ვფიქრობთ, მან ერთგვარი ბიძგი მისცა ანტირუსულ შეთქმულებას, რომლის მსხვერპლიც გახდა ა. ს. გრიბოედოვი.

დასტურდება, რომ რუსეთის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ანგარიში არ გაუწიეს ირანში შექმნილ რთულ სიტუაციას. მათ საქმის ცოდნის გარეშე მიიღეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება და უსაფუძვლოდ უთხრეს უარი ირანის ტახტის მემკვიდრეს პეტერბურგს გამგზავრების შესახებ.

როგორც აღინიშნა, აბას-მირზა, გარდა კონტრიბუციის შემცირებისა, იმპერატორისაგან თავისი ძმების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას და თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყების ნებართვას ითხოვდა. ეს საკითხი კი სერიოზულ რეაგირებას საჭიროებდა.

საერთაშორისო ურთიერთობის ამ პირობებში ირანის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყება უდავოდ დიდ სარგებლობას მოუტანდა რუსეთს. ოსმალეთი იძულებული გახდებოდა, ჯარის ერთი ნაწილი ირანის წინააღმდეგ გაეგზავნა, რაც საშუალებას მისცემდა რუსეთის არმიას, წარმატებით განეგრძო შეტევა ანატოლიაში, ესარგებლა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში და დაეუძლურებინა ოსმალეთის იმპერია. პასკევიჩი 1828 წ. 5 დეკემბერს გრიბოედოვისაგან მოითხოვდა, რომ ირანის შაჰი და აბას-მირზა, როგორც მომავალში რუსეთის მოკავშირე ქვეყნის მესვეურები, დაეჯერებინა ოსმალეთთან ომის დაწყების აუცილებლობაში.[2]

რუსეთის დიპლომატიური მისია ამ საკითხის მოგვარებით დააჩქარებდა თურქეთთან ომის დამთავრებას და ხელს შეუწყობდა რუსეთის პოზი-

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9. 1827 г., д. 13, ч. IX, л. 4 об и 5 об.

[2] Русская старина, 1876. декабрь. стр. 737—739.

ციების განმტკიცებას ირანში. ირანის საგარეო პოლიტიკის ამგვარად შემობრუნება ძნელი საქმე ჩანდა. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაიჭერდა ინგლისი. რუსეთის სამხედრო წრეებს აფიქრებდათ: ოსმალეთთან ომში რუსეთის წარმატება ხომ არ გამოიწვევდა ინგლისის საგარეო პოლიტიკის შეცვლას რუსეთის წინააღმდეგ. თუ რუსეთის წარმატებანი ოსმალეთთან ომში მისდამი ინგლისის მტრულ მოქმედებას არ გააძლიერებდა, მაშინ პასკევიჩს საჭიროდ არ მიაჩნდა ოსმალეთთან ომში ირანის ჩაბმა. იგი 1828 წლის 15 დეკემბერს გრაფ ნესელროდეს სწერდა: „Если мы можем твердо быть уверены, что успехи наши противу турок не возбудят зависти Лондонского кабинета, и что Англия не приступит к явному с нами разрыву во все продолжение войны с турками, то нет никакой нужды завлекать в войну сию Аббас-Мирзу, не имевшего ныне никаких или весьма мало средств для успешного продолжения оной и которому в таковом случае с нашей стороны необходимы будут по крайней мере материальная пособия".[1] უფრო მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის წარმატებებს მოჰყვებოდა ინგლისელთა ანტირუსული საქმიანობის გაძლიერება. ინგლისი არ დაუშვებდა, რომ ამ ომში ირანი რუსეთს დახმარებოდა. ეს იქნებოდა ინგლისის პოლიტიკის საერთო კრახი ახლო და შუა აღმოსავლეთში. პირიქით, ინგლისი შეეცდებოდა, ირანი რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა. ამიტომ პასკევიჩი იმავე წერილში გრაფ ნესელროდეს სწერდა: „Без сомнения, в последствии времени держава сия будет наказана вновь за нарушение мира, но на первый случай, если персияне решатся начать войну внезапно в то время, когда войска наши отдалятся во внутрь турецких владений, край сей подвергается опасности величайшей...

Ежели персияне, собрав значительныя силы и в особенности многочисленную конницу, ворвутся в наши пределы, то они легко проникнуть могут во внутрь Грузии".[2]

პასკევიჩს აფიქრებდა, რომ ამიერკავკასიაზე ახალი თავდასხმის შემთხვევაში ირანელები შეძლებდნენ ანტირუსული ძალების გამოყენებას და მათი დახმარებით ზურგიდან დარტყმას, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის სარდლობას და საეჭვოს გახდიდა ოსმალეთზე გამარჯვებას. პასკევიჩი საჭიროდ მიიჩნევდა, ასტრახანში საბრძოლოდ გამზადებული ჯარი ჰყოლოდა, რათა ის ნებისმიერ მომენტში გამოეყენებინა.

---

[1] Русская старина, 1876, стр. 741.

[2] იქვე, გვ. 742.

ოუსეთის დიპლომატიურ მისიას, პასკევიჩის აზრით, აბას-მირზა უნდა აემხედრებინა თურქეთის წინააღმდეგ, ხოლო თავის მხრივ დაპირებოდა: ა) თურქეთთან დაზავების შემთხვევაში ირანს გადაეცემოდა ბაღდადის ან ვანის და მუშქის საფაშოები, ბ) რუსეთი დაეხმარებოდა ირანს კავკასიიდან იარაღითა და სხვა საომარი საშუალებებით, აგრეთვე ფულით, გ) საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონტრიბუციის ნაწილის გადახდის (ორი ყურურის) ვადას დაემატებოდა ორი-სამი წელი.

იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი ირანს მიიმხრობდა და რუსეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა, ასტრახანიდან უნდა გამოეგზავნათ 10-ათასიანი ჯარი, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის საზღვრებს დაიცავდა.[1]

რუსეთი შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა, მაგრამ მაინც მოსალოდნელი იყო ომის დაწყება.

1828 წლის 21 დეკემბერს ა. გრიბოედოვი მისიის შემადგენლობის დიდ ნაწილთან ერთად თავრიზიდან თეირანს გაემგზავრა, რომ შაჰისათვის რწმუნების სიგელი გადაეცა. 1829 წლის იანვრის დასაწყისში გრიბოედოვი დანიშნულების ადგილას ჩავიდა. შაჰმა თუმცა არაგულწრფელად, მაგრამ დიდი პატივისცემით მიიღო იგი. თეირანში გრიბოედოვის მისიას საგანგებო რეზიდენცია მიუჩინეს. ა. ს. გრიბოედოვი რუსეთის მთავრობისაგან მიღებული ინსტრუქციით მოქმედებდა.

თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების XIII მუხლის საფუძველზე ა. ს. გრიბოედოვი ირანის ხელისუფლებისაგან სასწრაფოდ მოითხოვდა ტყვეების განთავისუფლებას. მას იმ ტყვეთა საქმეების განხილვაც კი უხდებოდა. რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევისა და თბილისის აოხრების დროს იყვნენ დატყვევებულნი. ტყვეების განთავისუფლება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც ირანელები ცდილობდნენ ტყვეთა გადამალვას, მიმართავდნენ დაშინებისა და ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებას.

გრიბოედოვმა შაჰთან შეხვედრის მეოხებით მთელი რიგი საკითხები მოაგვარა. მას შაჰთან გამომშვიდობების აუდიენციაც კი ჰქონდა და თავრიზს დასაბრუნებლად ემზადებოდა, სადაც ნინო ჭავჭავაძე ელოდებოდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მდგომარეობა საბედისწეროდ შეტრიალდა.

ირანის ტყვეობაში მყოფ მოქალაქეთა განთავისუფლება ყველაზე უფრო რთული აღმოჩნდა. გრიბოედოვს მოსვენება არ ჰქონდა ტყვეებისა და მათი ნათესავებისაგან, მიუხედავად დროის ხანდაზმულობისა, ტყვე-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. IX, л. 10—11. შდრ. Русская старина. 1876, декабрь, стр. 741.

ები კატეგორიულად მოითხოვდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ამან კი სხვა საკითხებთან ერთად ის გამოიწვია, რომ მტრული ძალები გაერთიანდნენ და დაუპირისპირდნენ რუსეთის დიპლომატიურ მისიას.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ მოხდა რუსეთის დიპლომატიური მისიის წინააღმდეგ შეთქმულება თეირანში და რა ძალები ღებულობდნენ მასში მონაწილეობას.

შაჰის სასახლის ხაზინას განაგებდა ვინმე მირზა-იაკუბ-მარქარიანი, ერევანში დაბადებული, რომელიც თავის მეგობართან მანუჩარ-ხანთან ერთად ტყვედ ჩავარდნილა 1804 წელს, რუსეთ-ირანის პირველ ომში ერევნის ალყის დროს. მირზა-იაკუბი მანუჩართან ერთად დაწინაურდა სასახლის კარზე. იგი დიდძალი სიმდიდრის მფლობელი გახდა, მაგრამ სამშობლოში, ახლო ნათესავებთან დაბრუნებაზე ოცნებობდა.

მირზა-იაკუბმა დახმარებისათვის ა. ს.გრიბოედოვს მიმართა, გრიბოედოვმა მას თანხმობა განუცხადა, რამაც შაჰის განრისხება გამოიწვია. რუსეთის მისიის მდივნის მალცოვის ცნობით, „Шах разгневался, весь двор возопил, как будто бы случилось величайшее бедствие. В день двадцать раз приходили посланцы от шаха с самыми нелепыми представлениями. Они говорили, что ходжа (евнух) — то же, что жена шахская, и что, следовательно, посланник отнял жену у шаха из его андеруна. Грибоедов отвечал, что Мирза-Якуб на основании трактата — теперь русский подданный и что посланник русский не имеет права ни выдать его, ни отказать ему в своем покровительстве. Для приведения в ясность сего дела Грибоедов отправил Якуба с переводчиком Шахназаровым к Манучар-хану. Комната была наполнена ходжами, которые ругали Мирзу-Якуба и плевали ему в лицо".[1]

გრიბოედოვმა მფარველობა გაუწია აგრეთვე ალაიარ-ხანის ორ სომეხ ხასას, რომელთა ტყვეობიდან დახსნას მშობლები თხოულობდნენ. ალაიარ-ხანი ამტკიცებდა, რომ ისინი მისი ცოლები იყვნენ. ერთი მათგანი ორსულადაც კი იყო. ა. ს. გრიბოედოვმა იცოდა, რომ მფარველობაში მათს აყვანას სახიფათო შედეგები მოჰყვებოდა, მაგრამ მან, თავისი მოვალეობისა და საზავო ხელშეკრულების პირობების ერთგულმა შემსრულებელმა, მაინც შეიფარა ისინი რუსეთის მისიის შენობაში. ეს ფაქტი მოხერხებულად გამოიყენეს რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილმა ძალებმა. გრიბოედოვის ამ მოქმედებამ გააბოროტა შაჰი და მასთან დაახლოებული პირები, რომლებმაც ტყვეების განთავისუფლების საკითხთან დაკავ-

[1] Акты, т. VII, д. 672, стр. 688, Донесение тит. с. Мальцова гр. Паскевичу, от 18 марта 1829 г. შდრ. А. С. Грибоедов в воспоминаниях современников, стр. 216, М., 1929 г.

შირებით უფრო მტკივნეულად განიცადეს თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულება. შაჰმა ირანის უკმაყოფილო ძალები აამოქმედა და რუსეთის დიპლომატიურ მისიას დაუპირისპირა. შაჰი, რომელსაც მხარს უჭერდა ინგლისის დიპლომატიური მისია, ვარაუდობდა, რომ დადგა რუსეთთან დადებული მძიმე საზავო ხელშეკრულების ანულირების დრო. ის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეუთანხმდა თურქეთის სულთანს და მზად იყო ომი დაეწყო რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისი შექმნილ ვითარებაში შაჰს დახმარებას ჰპირდებოდა და წარმატებას უწინასწარმეტყველებდა.

რუსეთთან ომის განახლების მომხრენი ცდილობდნენ, შექმნილი მძიმე მდგომარეობა თურქმენჩაის მძიმე პირობებისაგან თავის დასაღწევად გამოეყენებინათ. შეთქმულების აქტიური მონაწილე იყო შაჰის სიძე ალაიარ-ხანი, რომელსაც განზრახული ჰქონდა, შური ეძია თავისი სომეხი ხასების გამო გრიბოედოვზე. ალაიარ-ხანთან ერთად აქტიურად მოქმედებდა თეირანის მუშტეიდი მოლა-მესიხი. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო იყო, რომ რუსეთმა ა. გრიბოედოვის წყალობით შეძლო თავრიზის აღა-მირ-ფეტი მუშტეიდის გადაბირება და რუსეთის სამსახურში ჩაყენება, რამაც დასცა მუშტეიდთა ინსტიტუტის პრესტიჟი ირანში. თეირანის მუშტეიდმა მოლა-მესიხმა რუსეთის მიმართ უკმაყოფილო ხალხის გამოსვლას ირანში რელიგიური ხასიათი მისცა და იგი დაუპირისპირა გრიბოედოვის მეთაურობით თეირანში მყოფ რუსეთის მისიას. რუსეთის მისიის მდივანი მალცოვი იუწყება, რომ თეირანის მუშტეიდს ცნობა ჰქონდა, რომ მირზა-იაკუბი მუსლიმანურ სარწმუნოებას აგინებდა, „Как, говорил Муштенд, этот человек 20 лет был в нашей вере, читал наши книги и теперь поедет в Россию, наругается над нашею верою? Он изменник, неверный и повинен смерти“.[1] მაჰმადიანური სარწმუნოების ღირსებათა ფეხქვეშ გათელვის, ქვეყნის კანონებისა და ზნე-ჩვეულებების შეურაცხყოფის ბრალდებას უყენებდა გრიბოედოვს თეირანის სასულიერო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი.

თეირანის მუშტეიდი რუსეთის წინააღმდეგ განაწყობდა ყველას, ვინც განაწყენებული იყო თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების მძიმე პირობებით. იგი ერთ-ერთ წერილში, რომელიც შაჰის ვაჟს გაუგზავნა, წერდა: „Мы не писали мирный договор с Россиею и не потерпим, чтобы Русские разрушили нашу веру; доложите шаху, чтобы нам непременно возвратили пленных“.[2] რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების დარღვევისათვის იღვწოდა თეირანის მუშტეიდი. იგი შაჰის

---

[1] Акты, т. VII, д. 672, стр. 689. Донесение тит. с. Мальцова гр. Паскевичу от 18 марта 1829 г.

[2] იქვე.

საგანგებო დავალებით ანტირუსულ საქმიანობას რელიგიურ ხასიათს აძლევდა. 29 იანვარს მუშტეიდთან დაახლოებულმა სასულიერო პირებმა ხალხს მიმართეს, რომ 30 იანვრისათვის დაეკეტათ ბაზარი და თავი მოეყარათ მეჩეთში. მართლაც, მეორე დღეს, 30 იანვარს, ხალხი დილიდანვე გამოცხადდა მეჩეთში, სადაც მას მიმართეს შემდეგი მოწოდებით: „Идите в дом русского посланника, отбирайте пленных, убейте Мирза-Якуба и Рустама, грузина, находившегося в услужении у посланника".[1] ამ მოწოდებისთანავე ხალხის ბრბომ იერიში მიიტანა რუსეთის დიპლომატიურ მისიაზე.

აშკარად ჩანს, რომ ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თეირანის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელმა მუშტეიდმა. რუსეთის გენერალური კონსულის ამბურგერის 1829 წლის 6 მარტის ცნობით: „Один конюх, служивший при Грибоедове, прибыл из Тегерана в Тавриз. Он рассказывает, что Муштеид Мирге Моси ... созвал народ и повел его к дому посольства ... Рано по утру народ собрался к Молла Баше и что в двенадцать часов в полдень уже совершилось ужасное убийство. По словам его, Молла Баши прежде советовался с Шахом и после получения разрешения его только решился на сие злодейство. Множество людей в Тегеране схватили, но Молла Баши свободен".[2]

აქედან ცხადია, რომ თეირანის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება ირანის შაჰთან შეთანხმებით მოქმედებდა. ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობის სანქცია უშუალოდ შაჰმა გასცა, ხოლო ჩადენილი ბოროტმოქმედება ირანის ხელისუფლებმა თეირანის ფანატიკოსთა ბრბოს მიაწერეს.

1829 წლის 30 იანვარს (11 თებერვალს) ბრბო, რომელსაც ალაიარ-ხანი და თეირანის მუშტეიდი მეთაურობდნენ, თავს დაესხა რუსეთის მისიის შენობას და დახოცა თითქმის მთელი მისია 54 კაცის შემადგენლობით. ბარბაროსულად მოკლეს ა. ს. გრიბოედოვი. მხოლოდ 6 კაცი გადარჩა ცოცხალი, მათ შორის მდივანი მალცოვი. გრიბოედოვმა, რომელმაც ადრევე შენიშნა მოსალოდნელი საფრთხე, სპეციალური ნოტით აუწყა შაჰს, რომ სათანადო ზომები მიეღო მისიის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გრიბოედოვის ეს ნოტა უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ირანის ხელისუფლება ინგლისელებთან ერთად ცდილობდა, სრულიად საიდუმლოდ შეენახა გრიბოედოვის მკვლელობა და ამით თავიდან აეცდინა პასუხისმგებლობა. ირანელები ყოველგვარ ფანდებს მიმართავ-

[1] Акты, т. VII, д. 672. стр. 689. Донесение тит. С. Мальцова гр. Паскевичу от 18 марта 1829 г.

[2] АВПР. ф. Гл. архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. IX, л. 105 и об.

დნენ, რომ მკვლელობის ნამდვილი მიზეზები მიეჩქმალათ. პასკევიჩმა 1829 წლის 9 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ ნესელროდეს გაუგზავნა წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ მას ამ საკითხზე საუბარი ჰქონია თბილისში აბას-მირზას მთავარ თარჯიმანთან მირზა-მასუდთან, ეს უკანასკნელი მალავდა მომხდარი ტრაგედიის ნამდვილ მიზეზებს, მაგრამ იძულებული გამხდარა, ზოგი რამ ეღიარებინა. პასკევიჩი წერს: „Мирза-Масуди в личных со мною сношениях на счет смерти Грибоедова... в откровенном разговоре сознался, что Алаяр-хан участвовал в злоумышлении против Грибоедова“.[1]

განა მარტო ალაიარ-ხანი მონაწილეობდა ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობაში? შაჰის სასახლეში ალაიარ-ხანი ყველაზე უფრო გავლენიანი პიროვნება იყო. ის ერთგულად ემსახურებოდა სასახლის ინტერესებსა და შაჰის საწინააღმდეგოს არაფერს ჩაიდენდა. ალაიარ-ხანმა მხოლოდ ჯალათის როლი შეასრულა გრიბოედოვის მკვლელობაში.

არც რევოლუციამდელ და არც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საკითხი ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობის შესახებ მეცნიერული სიღრმით არ გაშუქებულა. სათანადო საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ, ეს ხარვეზი შეგვევსო და მესაძლებლობის ფარგლებში ნათელი მოგვეფინა საკითხისათვის, თუ როგორ ძოხდა ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობა და რა ძალები ღებულობდნენ მასში მონაწილეობას, რა ამოძრავებდა ალაიარ-ხანს და თეირანის მუშტეიდს და ვის ინტერესებს ემსახურებოდნენ ისინი.

ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობის ფესვები შორს მიდიოდა. ამ საქმეში ჩაბმული აღმოჩნდნენ ირანის შაჰი, თურქეთის სულთანი და მათი დიპლომატიური მისიები ინგლისელებთან ერთად. რუსეთის დაზვერვას აღმოაჩნდა ზუსტი მასალები, რომლებიც ნათელს ჰფენს გრიბოედოვის ვერაგული მკვლელობის შემზარავ ფაქტს.

დოკუმენტებით დასტურდება, რომ ამ პერიოდში თურქეთსა და ირანს შორის დამთავრდა ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკება და დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ საომარ მოქმედებას. ერთ-ერთ დოკუმენტში მოთხრობილია, თუ როგორ ივალდებულა ირანის შაჰმა ა. ს. გრიბოედოვისა და მისი მისიის ამოხოცვა, სამაგიეროდ, თურქეთი ირანს ჰპირდებოდა რუსეთისათვის გაცემული კონტრიბუციის კომპენსირებას, დამატებით 10 ყურურის (20 მილიონი მანეთი) რაოდენობის თანხას და ომში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. საარქივო დოკუმენტში, რომელიც რუსეთის დაზვერვის უფროსმა თავადმა აფხაზმა მიაწოდა ხელისუფლებას, ვკი-

---

[1] Акты, т. VII, д. № 661, стр. 679.

თხულობთ: „Турецкое правительство прислало посланника, склонившаго шаха ничего не предпринимать против Турции, которая обязуется уплатить ему ту сумму, какую внес России при заключении мира, сверх оной еще десять куруров и возвратить все земли, в последнюю войну нами завоеванныя; при сем случае в особенности содействовал турецкому посланнику уговорить шаха, сын его Гасан-Али-Мирза, и когда турецкий посол требовал несомнительного доказательства, то шах приказал умертвить полномочнаго нашего министра со всею свитою".[1]

მოყვანილი დოკუმენტი აშკარად ადასტურებს ირანის შაჰისა და მისი ვაჟის ჰასან-ალი-მირზას ავანტიურისტულ ლტოლვას რუსეთთან ახალი ომის გაჩაღებისაკენ. მოხდა ის, რისიც ა. ს. გრიბოედოვს ეშინოდა. თურქეთმა და ინგლისმა შეძლეს ირანის გადაბირება და რუსეთთან მისი ხელახლა დაპირისპირება. ჰასკევიჩმა შეცდომა დაუშვა, როცა არ მიიღო ა. ს. გრიბოედოვის რჩევა — აბას-მირზას პეტერბურგში გაგზავნის შესახებ. შაჰი და მისი ვაჟი თეირანის გენერალ-გუბერნატორი ზილი სულთანი ყოვლად უსინდისოდ ამტკიცებდნენ თავიანთ წერილებში, ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობის შესახებ ირანის მთავრობამ არაფერი იცოდაო, მაშინ როდესაც თვითონ შაჰი იყო ამ საქმის არა მარტო თანამონაწილე, არამედ ორგანიზატორიც. შაჰი და ზილი სულთანი აბას-მირზასადმი გაგზავნილ წერილებში თვითონ ა. ს. გრიბოედოვს ადანაშაულებდნენ რუსეთის მისიის ამოწყვეტაში, ვითარებას ისე წარმოადგენდნენ, თითქოსდა „Из почетных людей никто в том не участвовал".[2] იმავე თავად აფხაზის წერილში აშკარადაა ნათქვამი ვერაგულ შეთქმულებაში ინგლისელების აქტიური მონაწილეობის შესახებ. იქვე ვკითხულობთ: „Посланник турецкого султана многими обещаниями переменил расположение шаха к нам, но не столько имел успехи в своих предприятиях по начертанному плану турецким султаном, как англичане, которые были первые и главные виновники неслыханному злодейству персов и что внушениями их убить в Тегеране посол наш со свитою. Они обещали возвратить все убитки прошлой войны, дать военное оружие столько, сколько нужно будет для войны с нами и кроме того, дать из

[1] АВПР. ф. Гл. архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. IX, л. 132 об. Известия доставленные военно-окружным начальником в Карабахе князем Абхазовым".

[2] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 39—41.

Ост-Индии вспомогательное войско, с тем условием, чтобы по плану, ими начертанному, была начата война и производилось до ея окончания, для чего и просили поручение войска одному из достойнейших английских офицеров".[1]

მოყვანილი დოკუმენტი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ირანის შაჰმა ეს მძიმე და სისხლიანი ნაბიჯი უშუალოდ ინგლისის დიპლომატიური მისიის კარნახით გადადგა. ინგლისის ელჩი მაკდონალდი, ირანის შაჰი, ოსმალეთის სულთანი, შაჰის ვაჟი ჰასან-ალი-მირზა, შაჰის სიძე ალაიარ-ხანი და თეირანის მუშტეიდი ირანის სხვა რეაქციულ ძალებთან ერთად იყვნენ ა. ს. გრიბოედოვისა და მისი მისიის მკვლელობის მოთავენი. თეირანის ტრაგედია ორგანიზებული ტერორისტული აქტი იყო, რომელსაც უნდა გამოეწვია ირანის ახალი ომი რუსეთთან. ინგლისელები ვარაუდობდნენ, რომ მათივე დახმარებით ორი მოკავშირის (ირანისა და თურქეთის) შეიარაღებული ძალები ახალ გამანადგურებელ დარტყმებს მიაყენებდნენ რუსეთს და ბოლოს მოუღებდნენ მის ბატონობას ამიერკავკასიაში.

1829 წლის 23 თებერვალს პასკევიჩი ნესელროდეს საიდუმლო წერილით აუწყებდა:

„Можно предполагать, что англичане вовсе не были чужды участию в возмущении, вспыхнувшем в Тегеране, ..., ибо они неравнодушно смотрели на перевес нашего Министерства в Персии и на уничтожение собственного их влияния. Доказательство неискренности их к нам я нахожу в рапорте ко мне бывшего при разграничении комиссаром полк. Ренненкампфа, который, между прочим, меня уведомил, что после уже подписания акта о границах персидским комиссаром Мирза-Масудом, сей последний получил копию с Туркменчайского трактата за подписью английского министра Макдональда, в котором с умыслом границы показаны были неправильно и названия написаны неверно, но разграничение, как выше сказано, было тогда подписано и потому происки английского посланника остались тщетными... Я поручил Амбургеру иметь самое бдительное наблю-

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9. 1827, д. 13, ч. IX, л. 133.

дение за всеми поступками правительства и английской миссии и уведомлять меня, сколько можно чаще, о всех происшествиях, в Персии случающихся".[1]

ინგლისელები შენიღბულად მოქმედებდნენ რუსეთის წინააღმდეგ. როგორც ზემოთ ითქვა, თავის დროზე ისინი ხელს უშლიდნენ რუსეთსა და ირანს შორის თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ახალი საზღვრის გამიჯვნის საქმეს.

პოლკოვნიკი რენენკამპფი, რომელიც რუსეთის მხრიდან საზღვრის გამიჯვნას ხელმძღვანელობდა, პასკევიჩს აუწყებდა, რომ ირანის კომისიის მეთაურმა მირზა-მახმუდმა მაკდონალდის ხელმოწერით მიიღო თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების ასლი, სადაც არასწორად იყო აღნიშნული ირანსა და რუსეთს შორის ზავით დადგენილი საზღვარი და ადგილების დასახელება. ეს მაშინ მოხდა, როცა ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა სათანადო დოკუმენტს ხელი მოაწერეს.[2]

ეს ფაქტი იმას მეტყველებს, რომ ინგლისელები არ ერიდებოდნენ არაფერს, ოღონდ რუსეთსა და ირანს შორის კვლავ ატეხილიყო ომი. მაკდონალდი არ მოერიდა თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების ფაბრიკაციასაც კი. მან ყალბი დოკუმენტი გაუგზავნა მირზა-მახმუდს იმ მიზნით, რომ რუსეთსა და ირანს შორის უთანხმოება ჩამოეგდო და ამასობაში დრო გაეყვანა მანამ, სანამ ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა. ინგლისელების ვერაგული საქმიანობა ყველგან ართულებდა რუსეთის მდგომარეობას.

ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობის საქმეში ინგლისელებმა ჩააბეს შაჰის ის ვაჟიშვილები, რომლებიც აშკარად დაუპირისპირდნენ აბას-მირზას და ტახტის მემკვიდრეობისათვის იბრძოდნენ. მუშტეიდის ცნობით, შაჰის 17-მა ვაჟმა პირი შეკრა და ერთხმად განუცხადა შაჰს: „Всему с Персиею случившемуся несчастию причиною Аббас-Мирза и наконец он сам же подружился с русскими, потому они все готовы открыть войну с Россиею".[3] ირანის შაჰის ყველა ვაჟიშვილს თავისი სამფლობელო პროვინცია ჰქონდა, საიდანაც გამოჰყავდათ ჯარი რუსეთთან ახალი ომისათვის.

საინტერესო ცნობას იძლევა თავადი აფხაზი იმის შესახებ, თუ როგორ მოხიბლეს ინგლისელებმა შაჰის შვილები და როგორ განაწყვეს ისინი შაჰთან ერთად მომავალი ახალი ომისათვის. ა. ს. გრიბოედოვისა და რუ-

---

1 Акты, т. VII, д. 653, стр. 674.

2 АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 35 и об.

3 იქვე. ფ. 168, Донесение Паскевичу Муштеида Мусульманских провинций, Мир-Фетта-Сеида. от 30 марта, 1829 г.

სეთის მისიის ამოხოცვა ინგლისელებს სრულიად საკმარისად მიაჩნდათ ახალი ომის დაწყებისათვის. მათი აზრით, ამის შემდეგ თუ ირანი არ დაიწყებდა აქტიურ საომარ მოქმედებას რუსეთის წინააღმდეგ, თვითონ ესოდენ შეურაცხყოფილი რუსეთი წამოიწყებდა ომს. ინგლისის მისიის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფებოდა რუსეთთან ომის განახლების მომხრეთა პარტია, რომელშიც შაჰის უახლოესი პირები იყრიდნენ თავს. თავადი აფხაზი ამასთან დაკავშირებით წერს: „Англичане увлекли Гасан-Али-Мирзу, Али, Алаяр-хана и других вельмож, ревностных защитников партии войны, требующих и что сии последние употребили орудием своим народ тегеранский для совершения злодейства и посоль наш умерщвлен не без ведома Шаха, склонившагося с убийцами на войну против нас".[1] ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ინგლისელები აბას-მირზას ძველებურად უკვე აღარ ენდობოდნენ, იგი რუსეთთან დაახლოებულ პირად მიაჩნდათ. ამიტომ ახალი ომის გამჩაღებელთა შორის ინგლისელებისათვის საიმედო პირთაგან პირველ რიგში მოხსენიებული არიან შაჰის შვილები ჰასან-ალი-მირზა, ალი და სიძე ალაიარ-ხანი. მათ, ინგლისელების მხარდაჭერითა და ფინანსებით გადიდგულებულებმა, თეირანის მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ განაწყვეს და საფუძველი ჩაუყარეს რუსეთის დიპლომატიური მისიის ტრაგედიას.

რუსეთის სახელმწიფოს მოქნილი დიპლომატიური ღონისძიებების გატარება დასჭირდა, რომ თავიდან აეცდინა ახალი ომის საფრთხე. რუსეთის დიპლომატია ცდილობდა, ირანის სახელმწიფოს მესვეურები დაერწმუნებინა ახალი ომის პროვოკაციის უგუნურებაში, რასაც ადვილი შესაძლებელი იყო, ირანის სახელმწიფოს საბოლოო განადგურებაც კი მოჰყოლოდა. რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენლები უმტკიცებდნენ ირანის ხელისუფლებას, რომ ირანთან საბოლოო ანგარიშის გასწორება რუსეთისათვის გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე თურქეთის წამოჩოქება, რადგანაც თურქეთის ბედი მთელ ევროპას აინტერესებდა. მაშინ, როდესაც ირანის ბედის გულგრილი მაყურებელი იყო დიდი ნაწილი ევროპის სახელმწიფოებისა. პასკევიჩს ამასთან დაკავშირებით სპეციალური წერილი გაუგზავნია აბას-მირზასათვის. წერილში ვკითხულობთ: „С Турциею Россия не может делать все, чего желает, ибо держава сия нужна необходима для поддержания равновесия политической системы Европы. Персия нужна только для выгод Ост-Индской компании и Европе равнодушно, кто управляет сим краем. Все ваше политическое существование

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 133. Донесение Паскевичу Муштеида Мусульманских провинций, Мир-Фетта-Сеида, от 30 марта, 1829 г.

в руках ваших. Вся надежда ваша в России: она одна может вас свергнуть, она одна может вас поддержать".[1]

ამიტომ პასკევიჩი ურჩევდა აბას-მირზას, გონს მოსულიყო და ხელი აეღო რუსეთთან ომის განახლების პოლიტიკაზე, თუ მას ირანის სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა ეწადა. იმავე წერილში პასკევიჩი აბას-მირზას სთავაზობდა ახალ წინადადებას: „Итак, склоните Шаха прислать ко мне одного из сыновей ваших с письмом к его императорскому величеству от родителя вашего; я беру на себя исходотайствовать у государя позволение ему приехать в С. Петербург".[2]

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, რუსეთის ხელისუფლება ეძებდა ახალი ომის თავიდან აცდენის გზას. ასეთ საშუალებად მას მიაჩნდა ირანის მთავრობის მიზეზით მომხდარი ტრაგედიის გამო შაჰის ერთ-ერთი შვილიშვილის პეტერბურგში გაგზავნა ბოდიშის მოსახდელად. აქ მთავარი როდი იყო, გულწრფელი იქნებოდა თუ არა ირანის მთავრობის ბოდიში რუსეთის ხელისუფლების მიმართ. როგორც აღინიშნა, შაჰი და ირანის გავლენიანი წრეები ამტკიცებდნენ, ა. გრიბოედოვისა და საელჩოს წარმომადგენელთა დახოცვის წინასწარგანზრახვის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდითო.

საქმის მთელი არსი ის იყო, რომ ზემოაღნიშნულ ვიზიტს უნდა მოჰყოლოდა რუსეთის წინააღმდეგ ომის საბოლოოდ ჩაშლა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი გარკვეული ხნით გადადება მაინც, ე. ი. თურქეთთან ომის პირობებში დროის მოგება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა რუსეთისათვის. ირანის მხრივ რუსეთის წინააღმდეგ ომის დაყოვნებას, შესაძლებელი იყო, ირან-თურქეთის სამხედრო კავშირის ჩაფუშვაც კი მოჰყოლოდა; ამიტომ რუსეთის დიპლომატია თავგამოდებით იბრძოდა, რომ შაჰს ბოდიშის მოხდის მიზნით პეტერბურგში სპეციალური მისია გაეგზავნა.

მიუხედავად პასკევიჩის მოთხოვნისა, ირანიდან ხმას არავინ იღებდა, დრო კი გადიოდა. საჭირო იყო აბას-მირზასთან საერთო ენის გამონახვა და რუსეთისაკენ ირანის შემობრუნება.

პასკევიჩმა მეტისმეტად დაძაბულ სიტუაციაში ამ რთული საქმის მოწესრიგების მიზნით თავრიზს აბას-მირზასთან თავისი ადიუტანტი თავადი კუდაშოვი გაგზავნა სპეციალური ინსტრუქციითურთ, აბას-მირზას კი პირადი წერილი გაუგზავნა. ინსტრუქციაში ნათქვამი იყო: „Цель отправления вашего есть склонить Аббас-Мирзу уверить шаха о не-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 154 об. 155.

[2] იქვე.

обходимости послать в Тифлис одного из сыновей наследника персидского престола".[1] კუდაშოვის დიპლომატიურ საქმიანობას უნდა გამოეწვია ირანის მისიის გაგზავნა პეტერბურგში.

რუსეთის მთავრობას, გარდა ზემოაღნიშნულისა, ეწადა ირანის საგარეო პოლიტიკის რადიკალურად შეტრიალება თურქეთის წინააღმდეგ. ამ საქმეში შედარებით ყველაზე უფრო გამოსადეგ ძალად პასკევიჩს აბას-მირზა მიაჩნდა. ირკვევა, რომ აბას-მირზა არ ერეოდა რუსეთთან ახალი ომის დაწყებისათვის მებრძოლი ჯგუფის ავანტურისტულ საქმიანობაში, პირიქით, მათი საქმიანობა აბას-მირზას წინააღმდეგაც კი ყოფილა მიმართული. ამიტომ რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენლობა აბას-მირზას ისეთი ღონისძიების გატარებას სთავაზობდა, რაც ირანს რუსეთთან ომს ააცდენდა და ხელს შეუწყობდა ორი ქვეყნის ურთიერთკავშირს. ეს კი, ცხადია, ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ინტერესებს და ირან-თურქეთის შეთანხმებას. ინსტრუქციაში, რომელიც პასკევიჩმა კუდაშოვს გაატანა, ნათქვამი იყო: „Если Шах-заде действительно предан России и желает доказать свое усердие, то пусть соберет войска и вторгнется в пределы Турецкие; коль скоро он сие учинит я вышлю ему на помощь войска, снабжу его пушками и ружьями и даже беру на себя помощь ему в завоевании Вана".[2]

თავრიზში კუდაშოვის გაგზავნას სხვა მიზანიც ჰქონდა, რასაც პასკევიჩი ვიცე-კანცლერისადმი გაგზავნილ წერილში 1829 წლის 3 ივნისს გულღიად ეხებოდა: „Цель сей посылки была выиграть время и помешать влиянию англичан на сего принца".[3]

პასკევიჩი აბას-მირზას თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის განაწყობდა. პასკევიჩის თქმით, „и сия мера была полезна для противудействия советам англичан, наклонявшим Аббас-Мирзу на Турецкую сторону".[4]

აბას-მირზასთან კუდაშოვის მოლაპარაკება ისე საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო, რომ ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა ინგლისის დიპლომატიურ მისიას, რადგანაც ის უდავოდ ჩაშლიდა რუსეთის ამ წამოწყებას. ამის შესახებ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო: „С англичанами быть весьма учтиво, говоря только, что вы присланы на встречу принца; стараться дабы все сношения ваши с Аббас-Мирзою были личныя; после первой аудиенции публичной, попросите секретной, где бы никого не было, сказав ему, что вы имеете к нему секрет-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 156, 157 и об., 158.

[2] იქვე, ფ. 157.

[3] იქვე, ფ. 211.

[4] იქვე.

ныя поручения и весьма секретное письмо. Разговоров о происшествиях, случившихся в Тегеране, стараться избегать и казаться более выпытывающим, нежели расказчиком".[1]

უკეთუ აბას-მირზა რუსეთის ელჩის სიტყვიერ განცხადებას გულთბილად შეხვდებოდა, ამ საქმით დაინტერესდებოდა და იკითხავდა, თუ რას ემყარებოდა ეს, მაშინ კუდაშოვს მისთვის უნდა გადაეცა პასკევიჩის საიდუმლო წერილი, რომელიც საკითხს ნათელს მოჰფენდა.

შექმნილ სიტუაციაში აბას-მირზა ორმაგ თამაშს ეწეოდა: ერთი მხრივ, ცდილობდა, რუსეთის ელჩისათვის თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს მისი ინტერესების გულწრფელი გამტარებელი იყო, მეორე მხრივ, ომისათვის ემზადებოდა, მაგრამ რუსეთის თუ თურქეთის წინააღმდეგ, ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა. აბას-მირზა კვლავ არ წყვეტდა კავშირს თურქეთთან. შაჰი, რომელიც ადრე დიდ სიძულწეს იჩენდა, ახლა ჯარის მოსამზადებლად დიდძალ ოქროს უგზავნიდა აბას-მირზას. შაჰის ტახტის მემკვიდრე ცბიერებას იჩენდა. აბას-მირზას გადაწყვეტილი ჰქონდა იმას მიმხრობოდა, ვის სასარგებლოდაც საომარი მოქმედება წარიმართებოდა. მას თავის მხრივ დიდი სურვილი ჰქონდა, გამარჯვება თურქეთს დარჩენოდა. რუსეთის გენერალური კონსული ამბურგერი 1829 წლის 4 აპრილს ირან-თურქეთის ურთიერთობის შესახებ პასკევიჩს აუწყებდა: „Последнее время не переставали посылать курьеров из Табриза в Эрзрум. Аббас-Мирза теперь намеревается обождать военныя события, в случае, если турки возьмут верх, то и со стороны Персии надобно ожидать неприязненного действия, если же турки будут везде разбиты, то, вероятно, Персия не двинет своих войск".[2]

ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა რუსეთ-თურქეთის ომი, ვის მხარეზე გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი.

სულ მალე მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ ომს თურქეთისათვის სანუგეშო არაფერი მოჰქონდა. 1828 წელს რუსეთის ჯარებმა კავკასიის ფრონტზე, ისე როგორც ბალკანეთის მიმართულებით, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს, აიღეს ყარსის ციხესიმაგრე, ფოთის ნავსადგური, ახალციხე, ახალქალაქი, არტაანი და ბაიაზეთის საფაშო.

1828 წლის ამ გამარჯვებებს ზედ დაერთო 1829 წლის მარტში ლიმანთან და კინტრიშთან ბრძოლებში მოპოვებული დიდი წარმატებანი. ირა-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 157.
[2] იქვე, ფ 162.

ნის მმართველი წრეებისათვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ რუსეთის გამარჯვება გარდაუვალი იყო. შაჰმა საბოლოოდ გადაწყვიტა, პეტერბურგში გაეგზავნა აბას-მირზას უფროსი ვაჟი ხოსრევან-მირზა. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთის დამარცხების გარდაუვალობაში დარწმუნებული ირანის მმართველი წრეები გარკვევით დაადგნენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზას.

შემთხვევითი არ იყო ის წერილი, რომელიც პასკევიჩმა 1829 წლის 9 აპრილს საიმპერატორო არმიის მთავარი შტაბიდან მიიღო. აქ ნათქვამია: „Первым долгом поставлю от всей души поздравить Вас с новою победою в окрестностях Батума, которою увенчалось наше оружие за Кавказом. Вероятно, она утвердит и персиян в миролюбимом их расположении к нам".[1] მართლაც, თურქეთთან ბრძოლებში რუსეთის გამარჯვებამ ირანის შაჰს გული აუცრუა მოკავშირეზე და იგი მალე კიდევაც ჩამოშორდა მას. ირკვევა, რომ ლიმანთან და კინტრიშთან რუსეთის გამარჯვების შესახებ ცნობამ საკმაოდ მოათვინიერა ირანის შაჰი და მოაბრუნა რუსეთისაკენ. პასკევიჩი 1829 წლის 25 აპრილს რუსეთის იმპერიის ვიცე-კანცლერის მისამართით გაგზავნილ წერილში წერდა: „Узнав о новых победах наших над турками, персияне перестали колебаться".[2] ამავე წერილში იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაურის პოლკოვნიკ მაკდონალდის მიმართ, რომელიც ხელს უშლიდა ირანის საგანგებო მისიის პეტერბურგში გაგზავნას, რითაც ცდილობდა რუსეთ-ირანის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებას და ირანის მიერ ახალი ომის დაწყებას.

პოლკოვნიკი მაკდონალდი პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილებში განგებ ლანძღავდა ირანელებს, მაშინ როცა თვითონ მათი უშუალო მრჩეველი და ჭკუის დამრიგებელი იყო. შაჰი მას დიდ ნდობას უცხადებდა და მთავრობისაგან მოითხოვდა, რომ მაკდონალდს კიდევ უფრო მეტი გავლენა ჰქონოდა ირანის საქმიან წრეებში. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მირზა-აბდულ-ჰასან-ხანი ამის გამო პირადად პოლკოვნიკ მაკდონალდისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „Шах сам объявил, что со времени прибытия этого английского министра в наше государство, он никогда не был изъят от трудов, — которыми обременяло его сие государство (ლაპარაკია რუსეთზე, ნ. ქ.) и можно сказать, тем оказал большие услуги своему государству. Его величество (ლაპარაკია შაჰზე, ნ. ქ.) приказал написать рагам (რაუამი, ნ. ქ.) на ваше имя, цель которого есть увеличить ваше влияние".[3]

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1829 г., д. 13, ч. VIII, л. 7.

[2] ი ქ ვ ე, ნაწ. IX, ფ. 167.

[3] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 172.

აშკარად ჩანს, რომ მაკდონალდის მთელი საქმიანობა მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, რითაც იგი დიდ სამსახურს უწევდა არა მარტო თავის სახელმწიფოს, არამედ ირანსაც. სწორედ ამიტომ მოითხოვდა შაჰი ინგლისის მისიის მეთაურის ისედაც დიდი უფლებებისა და გავლენის შემდგომ გაფართოებას.

ინგლისის დიპლომატიურმა მისიამ მაკდონალდის ხელით ბევრი რამ გაუკეთა ირანს, მაგრამ შაჰი დიდად კმაყოფილი მაინც არ დარჩენილა იმ შედეგით, რომელიც რუსეთთან მტრულ ურთიერთობას მოჰყვა. ამიტომ იგი იძულებული გამხდარა, უკან დაეხია, დაშვებული შეცდომებიდან გარკვეული დასკვნები გაეკეთებინა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გზები გამოეძებნა.

ინგლისელების მტრულ მოქმედებას ბოლო არ უჩანდა, ერთს მეორე მოსდევდა, მეორეს მესამე და ა. შ. ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობაში, როგორც აღინიშნა, მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს.

თეირანიდან თავრიზში ა. ს. გრიბოედოვის ნეშტის გადმოსვენების დროს ინგლისელების პოზიციამ უფრო გააძლიერა ეჭვი მათ მონაწილეობაზე რუსეთის დიპლომატიური მისიის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში.

ინგლისელებმა სრული უპატივცემლობა გამოიჩინეს გრიბოედოვის ცხედრის მიმართ, რომელიც თავრიზს წაასვენეს. საელჩოს მდივანი მალცოვი 1829 წლის 4 ივნისს თავრიზიდან პასკევიჩს ამის შესახებ სწერდა: „Я достоверно узнал, что, по прибытии сюда тела покойного нашего посланника, никто из англичан не выехал к нему на встречу. По их настоянию тело не ввезли в Табриз, а поставили в маленькой загородной армянской церкви, которой также никто из англичан не посетил. От Нейб-Султана не было оказано телу покойного Грибоедова никаких почестей, даже не был приставлен почетный караул. Аббас-Мирза так поступил в угодность Макдональду. Признаюсь, что я такой низости никогда не предполагал в английском посланнике. Неужели и в этом находит он пользу для Ост-Индской компании, чтобы мстить человеку даже после его смерти. Англичане присылают в подарок персиянам 5.000 ружей и 7 пушек, которые находу“.[1]

დამოწმებული დოკუმენტი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, ის მიგვანიშნებს, თუ როგორ მტრულად ექცეოდნენ ინგლისელები გრიბოედოვს, როგორც რუსეთის დიპლომატს, რომელმაც ხელი შეუწყო

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 229, Здр. Акты, т. VII, № 694, стр. 702.

ირანთან ინგლისისათვის არახელსაყრელ პირობებში საზავო ხელშეკრულების გაფორმებას და რუსეთისათვის რიგი სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტას. გარდა ამისა, ირკვევა, რომ გრიბოედოვის ნეშტი მათ ირანის ხელისუფალთ არც კი შეატანინეს თავრიზში და სადღაც, ქალაქგარეთ მოათავსებინეს პატარა სომხურ ეკლესიაში. თვითონ აბას-მირზაც უპატივცემლოდ მოექცა გრიბოედოვის ნეშტს, რათა არ გაენაწყენებინა ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაური მაკდონალდი. დასტურდება, რომ ინგლისელების გავლენა ირანში გრიბოედოვის მკვლელობის შემდეგ იმდენად გაზრდილა, რომ შაჰის მემკვიდრე ერიდებოდა რუსეთის გარდაცვლილი ელჩისადმი ოდნავი პატივისცემის გამოჩენასაც კი, რადგანაც ეს მაკდონალდის წყენას გამოიწვევდა. როგორც მალცოვის წერილიდან ირკვევა, ინგლისელები შურს იძიებდნენ გრიბოედოვზე გარდაცვალების შემდეგაც, რადგანაც ისინი დიდად განაწყენებული ყოფილან მასზე, როგორც დიპლომატზე, რომლის მოღვაწეობის შედეგებიც ოსტ-ინდოეთის კომპანიის საზიანოდ მიუჩნევიათ. როგორც დასტურდება, ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობისათვის ინგლისმა ირანის შაჰი დააჯილდოვა.

ა. ს. გრიბოედოვის მიმართ ინგლისელების მტრობას თავისი მიზეზები ჰქონდა. თავის დროზე რუსეთის რეზიდენტი ამხელდა არა მარტო ინგლისის პოლიტიკის ანტირუსულ ხასიათს, არამედ ნათელს ჰფენდა ინგლისის პოლიტიკის ანტიირანულ ხასიათსაც შუა აღმოსავლეთში, რითაც ცდილობდა, თვალი აეხილა ირანის მმართველი წრეებისათვის. ა. ს. გრიბოედოვის ეს საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ინგლისელებს. ი. პასკევიჩი ამის თაობაზე სწერდა თავად კუდაშოვს და შეახსენებდა: „Англии Персия нужна только для видов Ост-Индской компании: но сие уже не ново, ибо еще Грибоедов открыл персиянам глаза насчет английских происков“.[1]

ინგლისელებს გაუჭირდათ ა. ს. გრიბოედოვის მოტყუება. რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში იგი რუსეთისათვის დიდ ძალას წარმოადგენდა. თავის ნიჭს, უნარსა და დაუშრეტელ ენერგიას ა. ს. გრიბოედოვი ქვეყნის ინტერესებს ახმარდა.

ა. ს. გრიბოედოვის თანამედროვე და რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე ნ. ნ. მურავიოვ-კარსკი კარგად იცნობდა მის საქმიანობას. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ა. ს. გრიბოედოვს, როგორც მოქალაქესა და დიპლომატს. იგი წერდა: „Грибоедов в Персии был совершенно на своем месте, что он заменял нам там единым своим лицом двадцатитысячную армию и что не найдется,

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—2. 1827. д. 13, ч. IX, л. 212.

может быть, в России человек столь способнаго к занятию его места. Он был настойчив, знал обхождение, которое нужно было иметь с персиянами, дабы достичь своей цели, должен был вести себя и настойчиво относительно к англичанам, дабы обращать в нашу пользу персиян при доверенности, которую англичане имели в правлении персидском. Он был бескорыстен и умел порабощать умы, если не одним дарованиями и преимуществами своего ума, то твердостью. Едиными сими средствами Грибоедов мог поддержать то влияние, которое было произведено последними успехами оружия нашего между персиянами, которые на нас злобствовали и по легковерию своему готовы были сбросить с себя иго нашего влияния, по случаю открытия турецкой войны (а на нее были обращены почти все наши войска), сими средствами мог он одалеть соревнование и зависть англичан".[1] სწორედ ამიტომ იყო საჭირო ინგლისელებისა და შაჰისათვის ა. ს. გრიბოედოვის თავიდან მოცილება.

დეკაბრისტი ა. ს. განგებლოვი თავის მოგონებებში სხვათა შორის ეხება გრიბოედოვის მკვლელობის საკითხსაც. ქალაქ ურმიაში ოუსეთის ჯარის ყოფნის დროს განგებლოვი გასცნობია ირანის არმიის უცხოელ ინსტრუქტორებს ინგლისელ ვილოკსა და ფრანგ სემინოს. ერთი წლის შემდეგ, 1829 წელს, პეტერბურგიდან მობრუნებულმა ირანის დიპლომატიური მისიის წევრმა ფრანგმა ოფიცერმა ბინაზე მოინახულა განგებლოვი და მასთან საუბარში გაიხსენა თეირანის ტრაგედიის ამბავი. ა. ს. განგებლოვის თქმით, „На другой день, очень рано, он (Семино. Н. К.) меня навестил и рассказал любопытныя вещи о убиении Грибоедова. По его словам, катастрофа эта была устроена англичанами, которые Грибоедова не терпели... „Ваш государь" — сказал Семино, „удостоил меня особой аудиенцией: я рассказал ему подробно все махинации англичан"[2].

სასოგადოებრივი აზრიც ერთმად ადანაშაულებდა მაკდონალდს გრიბოედოვის მკვლელობაში და მას ბოროტმოქმედების თანამონაწილედ აღიარებდა. ა. ბერჟე თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში გრიბოედოვის მკვლელობაში ინგლისელთა მონაწილეობის შესახებ წერს: „Предположение Паскевича об участии англичан в событиях 30 января не лишено основания. С тех пор, как мы переступили за главный хребет Кавказа, английская политика, всемерно сохраняя в

---

[1] Русский архив, 1894. г., ч. I, стр. 43—44.

[2] Воспоминания декабриста А. С. Гангеблова, стр. 165—166, М., 1882.

интересах английской компании доброе согласие с Персией, из-под руки старались поддержать неприязненное настроение этой державы к России. В 20-х же годах быстро развивавшаяся транзитная европейская торговля через наши закавказские владения с Персиею до того встревожила сен-джемский кабинет, что он для окончательного уничтожения ее одним разом, вовлек Персию в открытую войну с нами. Вынужденное блистательными успехами нашего оружия на крайне невыгодный мир, персидское правительство видимо стало охладевать к своим коварным друзьям, которые в свою очередь не будучи в состоянии равнодушно глядеть на решительный перевес нашего влияния, должны были быть замещены, хотя косвенно и неприметно, в событиях 30 января"[1].

* * *

თეირანში მომხდარი ტრაგედიის შესახებ არაფერი იცოდა თავრიზში მყოფმა ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვამ, არც თბილისში იცოდნენ მისმა ახლო ნათესავებმა და მეგობრებმა, მათს განცვიფრებას იწვევდა გრიბოედოვისა და რუსეთის მისიის მსახურთაგან წერილების დაგვიანება.

მალე გავრცელდა ხმა თეირანში რუსეთის მისიის ამოწყვეტის შესახებ. კახეთის სასაზღვრო რაზმის უფროსი გენერალ-მაიორი რაევსკი პასკევიჩს აღნიშნულის შესახებ აუწყებდა: „Честь имею донести вашему сиятельству, что в Дагестане распространились слухи о разрыве Персии с Россией и об умерщвлении нашего посланника в Тегеран. Я еще не знаю, если сии известия нечаянно распространились, или с намерением распущены муллами и ходжами"[2].

დაღესტანში ამ ხმის გავრცელება გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ირანის შაჰი და ყველა რეაქციული ძალა, რომლებიც თეირანში რუსეთის მისიის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდნენ, რუსეთთან ახალი ომის გაჩაღების სამზადისში იყვნენ და აქეთკენ უბიძგებდნენ დაღესტანში მოქმედ ანტირუსულ ძალებსაც. ამ ფაქტით ამხნევებდნენ მათ და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობდნენ.

პასკევიჩი თეირანში მომხდარი შემთხვევის შესახებ უკვე ინფორმირებული იყო, მაგრამ ხმას არ იღებდა პოლიტიკური მოსაზრებების გამო. გაზეთი „თბილისის უწყებანი" მომხდარი ფაქტის შესახებ დუმდა.

პირველი ოფიციალური ცნობა გრიბოედოვისა და რუსეთის მისიის წევრთა დახოცვის შესახებ თავრიზიდან გამოგზავნა რუსეთის გენერალ-

[1] А. Бержe, Смерть Грибоедова, стр. 51.

[2] Русская старина, 1872, г., т. 3., стр. 170.

ლურმა კონსულმა ამბურგერმა. იგი 1829 წლის 8 თებერვალს პასკევიჩს ატყობინებდა: „Сегодня утром прибыл сюда человек Мирза-Муса-хана, который привез более подробные известия из Тегерана о случившемся там ужасном происшествии. Кажется, что духовенство тегеранское было главною причиною возмущения, соделавшего нашего министра жертвою ожесточенной черни, ибо в главной мечети провозглашали сбор правоверных. Злополучный Александр Сергеевич сделался жертвою своей храбрости. Услышав шум, выбежал с обнаженною саблею в руке и в то самое мгновение был поражен брошенным камнем. Он пал от удара; ворвавшаяся толпа совершила его ужасною участь. Покой душе его! Все люди тут бросились к нему и все пали жертвою остервенелой черни. Все имущество ограблено кровопийцами и дом, данный министру шахом, совершенно разрушен"[1].

ამბურგერი არასწორად იყო ინფორმირებული თეირანში მომხდარი ფაქტის შესახებ. გრიბოედოვის მკვლელობა მას მხოლოდ თეირანის სასულიერო ხელისუფლების მიზეზით მომხდარ ფაქტად მიაჩნდა.

მალე ნინო ჭავჭავაძის მშობლებმა და ახლო ნათესავებმაც შეიტყვეს თეირანში მომხდარი უბედური შემთხვევა. ალექსანდრე ჭავჭავაძემ პასკევიჩს სთხოვა თავრიზში წასვლისა და იქიდან ახალდაქვრივებული თავისი ქალიშვილის ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას ჩამოყვანის ნებართვა. პასკევიჩმა, მიუხედავად იმისა, რომ დაეთანხმა თხოვნის შესრულებაზე, ირანთან ურთიერთობის გართულებისა და პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის გამო შემდეგი შინაარსის პასუხი გასცა ა. ჭავჭავაძეს: „... Я дозволяю Вам доехать до Аракса и оттуда написать о своем прибытии к г. Амбургеру, которому вместе с сим поручено от меня по получении от Вас такого разрешения немедленно отвечать Вашему сиятельству, можете ли Вы по местному его политическому соображению ехать в Тавриз или ожидать дочери своей у Аракса[2]. პასკევიჩი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით თავს იკავებდა, რომ ა. ჭავჭავაძისათვის თავრიზს პირდაპირ გამგზავრების ნებართვა მიეცა.

ფეხმძიმე ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა თავრიზში იმყოფებოდა. მას უმალავდნენ მომხდარ უბედურებას. გენერალური კონსულის ამბურგერის დავალებით ა. ს. გრიბოედოვის მისიის ყოფილმა მდივანმა მალცოვმა ნინოს წერილი გაუგზავნა, იგი აუწყებდა, რომ მისი ქმარი ა. ს. გრი-

---

[1] Акты, т. VII, д. № 651, стр. 671.

[2] ЦГИА Грузии, ф. 2, оп. 1, д. 2019 მოყვანილია წიგნიდან: И. К. Ешколопов, Грибоедов в Грузии, Тб., 1954, стр. 159. приложение № 8.

ბოედოვი თეირანში მძიმედ გახდა ავად, თვითონ წერილის გამოგზავნა ვერ შეძლო და დაავალა მალცოვს, გადაეცა ნინოსათვის, რომ იგი თბილისს გამგზავრებულიყო[1]. ნინოს მიმართ თავრიზში „დიდ მზრუნველობას" იჩენდა ინგლისის მისიის მეთაურის ჯონი მაკდონალდის ოჯახი, იგი შეიფარეს კიდეც, მაგრამ, საფიქრებელია, ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. ბოლოს გადაწყდა ნინოს გამგზავრება თბილისში მშობლებთან. თბილისში მიმავალ ნინოს გზაზე ახლდნენ რუსეთის გენერალური კონსული ამბურგერი, ინგლისის მისიის ექიმი კორმიკი და თბილისელი აღალობეგ ენიკოლოფოვი. ნინომ მხოლოდ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შეიტყო მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა მის ცხოვრებაში.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ნინოს მადლობის ბარათი გაუგზავნია ჯონ მაკდონალდის მეუღლისათვის — ამალია მაკდონალდისათვის. ბარათი აღმოჩნდა ედინბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში, რომელიც ქართულად მკვლევარმა ი. ენიკოლოფოვმა გამოაქვეყნა. ის ფრიად საყურადღებო დოკუმენტია. აი რას წერს ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა:

„თბილისი, 22 აპრილი, 1829 წ.

ძვირფასო ქალბატონო მაკდონალდ,

მე სრულიადაც არ დამვიწყნია თქვენი უნაზესი თანაგრძნობა, რაიც ჩემდამი გამოიჩინეთ იმ მცირე ხანს, თქვენთან რომ დავყავ. თქვენი ფაქიზი ყურადღება იმ უბედურ გარემოში, ჩემის მდგომარეობის წყალობით უფრო რომ მიმძიმდა.

სწორედ თქვენი ზრუნვით დამთავრდა კეთილი გზა თბილისამდე. კეთილო მეგობარო, აქამდე არ დავაყოვნებდი თქვენდამი ჩემი გულწრფელი ნდობისა და მადლიერების გრძნობის გამოვლენას, — ის უმძიმესი ამბავი რომ არა... ჩემი ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ, დაღლილობამ ძლივს რომ გამიარა და უფრო და უფრო მომეკიდა მოუსვენრობა და ავი წინათგრძნობა, საჭიროდ ჩათვალეს ფარდა აეხადათ საშინელი სინამდვილისათვის.

ძალა არ მყოფნის აღვწერო ჩემი განცდანი. სწორედ თქვენს გულს, ნაზი მეუღლის გულს მივმართავ, რათა განსაჯოს გლოვა ჩემი. მწამს, თქვენ მიმიხვდებით. ჩემმა ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო ესოდენ დიდ მეხს: ჩემს არსებაში მომხდარი ძვრები გახდა მიზეზი ნაადრევი მშობიარობისა. დაღლილ-დაქანცულმა, მორალური წამებით უფრო, ვინემ ავადმყოფობით, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ განვიცადე ახალი, საშინელი ელდა, ბედმა რომ შემიმზადა. ჩემმა საცოდავმა ბავშვმა ერთი საათი იცოცხლა მხო-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив. 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 103 об. и 104.

ლოდ და თავის უბედურ მამას გაპყვა იმ ქვეყანაში, სადაც, ვიმედოვნებ, ადგილს ჰპოვებს მისი სიქველეც და უწყალო წამებანიც. ბავშვის მონათვლა მაინც მოვასწარით, ალექსანდრე დავარქვით- — მისი საცოდავი მამის სახელი.

ბოლოს და ბოლოს ეს მაინც დამრჩა ნუგეშად, რომ მშობლიურ ოჯახში ვიმყოფები. ჯერ არავინ ყოფილა მოცული ასეთი მხნე და ნაზი სიყვარულით აღსავსე ზრუნვით, მე რომ მევლებიან თავს. ჩემი ძვირფასი მშობლების წყალობითაა, რომ გამოვბრუნდი. მინდა ვიცოცხლო, რათა ეს სიცოცხლე მშობლებს შევწირო.

ძვირფასო ქალბატონო მაკდონალდ, მე ყველაფერი გავიგე. ყველაფერი. ყოველი წვრილმანიც კი. ვიცი, რომ ჩემი უბედური ქმრის ნეშტი თავრიზში გაგზავნეს, სადაც ალბათ ჩაიტანეს კიდეც. მაგრამ გამოგზავნეს კი ეს სევდიანი დანატოვარი თბილისში? აი, რა ვერ გავიგე. თუ თქვენ რაიმე იცით, გევედრებით, შემატყობინოთ. გარდა იმ კმაყოფილებისა, რომ თქვენ გამომეხმაურებით, — საშინლად მინდა გავიგო ბედი ჩემი საუნჯისა, რომლის დაბრუნებაც შემპირდნენ. მარწმუნებენ, რომ თქვენი თბილისში ჩამოსვლა გადადებულია. ვფიქრობ, თქვენი ჯანმრთელობისადმი საზრუნავი ცოტახანს კიდევ წამართმევს თქვენი ხილვის ბედნიერებას.

ჯერ კიდევ ვერ მოვღონივრდი იმდენად, რომ უფრო გრძელი წერილი გამოგიგზავნოთ. ნება მომეცით დავამთავრო ეს წერილიც, რათა მისმა ბნელმა ელფერმა გული არ შეგიღონოთ.

ნახვამდის, ძვირფასო და კეთილო ქალბატონო მაკდონალდ, ნუ შეწუვეტთ ჩემდამი თქვენს თანაგრძნობას, რასაც ესოდენ დიდად ვაფასებ. სამაგიეროდ, ყველაზე ცხოველმყოფელსა და ყველაზედ სრულყოფილ მადლობას მიიღებთ.

ნინო გრიბოედოვა“ [1].

მძიმე აღმოჩნდა ნინოს ცხოვრების გზა. მისი ბარათი გადმოგვცემს იმ დიდ სულიერ ტრავმას და დეპრესიას, რაც ნინომ ა. ს. გრიბოედოვის დაღუპვით განიცადა. ინგლისის დიპლომატიის პოლიტიკურ ხრიკებში გამოუცდელი, გულუბრყვილო და საბრალო ნინო მადლობას უთვლის ქ-ტონ ამალია მაკდონალდს. ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაურის, პოლკოვნიკ მაკდონალდის მეუღლეს იმ ყურადღების გამო, რაც მის მიმართ თავრიზში გამოიჩინეს.

---

[1] „საქართველოს ქალი“, 1975 წ. № 3, გვ. 24; ი. ენიკოლოფოვი, ნინო ჭავჭავაძე — გრიბოედოვას უცნობი წერილი.

რა იცოდა ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვამ, რომ მისი ახალგაზრდა ოჯახის დანგრევაში თავისი წვლილი ედო მაკდონალდების ოჯახს, რომელმაც ინგლისსა და რუსეთს შორის შუა აღმოსავლეთში პოლიტიკურ ჭიდილს — ირანში პირველობისათვის ბრძოლას შესწირა ა. ს. გრიბოედოვის სიცოცხლე.

§ 3. ანბირუსული ძალების ბრძოლა ირანში რუსეთთან ომის განახლებისათვის და მათი დამარცხება

ალაიარ-ხანი განაწყენებული იყო აბას-მირზაზე, რომელმაც პირადად მისი და ინგლისელების უშუალო ჩაგონებით დაიწყო რუსეთთან ომი, მაგრამ გამარჯვებით ვერ დაამთავრა. რუსეთთან ომში დამარცხებულმა აბას-მირზამ მძიმე საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რითაც ირანს დიდად შეელახა ავტორიტეტი. როგორც ირკვევა, ალაიარ-ხანი, რომელმაც სახელმწიფოში უმაღლესი მინისტრის პოსტი დაკარგა და რუსების ტყვეობაც კი გამოიარა, თავისი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დაუკავშირდა აბას-მირზას მოწინააღმდეგე პარტიას და მხარი დაუჭირა მის ძმას — ტახტის პრეტენდენტს ჰასან-ალი-მირზას, რომელსაც აბას-მირზაზე განაწყენებულმა შაჰმა ირანის ჯარების მთავარსარდლის პოსტი უბოძა. ალაიარ-ხანმაც მალე გამოასწორა თავისი მდგომარეობა. მართალია, მან პირველი მინისტრის პოსტი დაკარგა, მაგრამ შაჰმა მას ობერ-ცერემონმეისტრის პოსტი უბოძა, სწორედ ამ პოსტიდან დაწინაურდა იგი ადრე პირველი მინისტრის თანამდებობაზე[1]. განაწყენებული ალაიარ-ხანი რუსეთთან ომის განახლებისათვის იბრძოდა და ამ გზით ცდილობდა შაჰის ტახტიდან აბას-მირზას ჩამოცილებას და მემკვიდრედ სხვა პრეტენდენტის აღიარებას, რომელიც, მისი აზრით, საშუალებას მისცემდა მას, მოეხდინა თავისი ადრინდელი მდგომარეობის რეაბილიტაცია. ალაიარ-ხანი, რომლის თანამონაწილეობითაც მოეწყო შეთქმულება ა. ს. გრიბოედოვის წინააღმდეგ, იმედოვნებდა, რომ გრიბოედოვის მკვლელობას რუსეთთან ომის განახლება მოჰყვებოდა და ეს ხელს შეუწყობდა მას, ირანის პოლიტიკური და სამხედრო ასპარეზიდან ჩამოეცილებინა აბას-მირზა. ამასთან დაკავშირებით პასკევიჩი ნესელროდეს სწერდა: „Все сие происшествие было предуставлено прежде, и как начало самого возмущения, коего Грибоедов сделался жертвою, произошло от Алла-яр-хана, который был главною пружиною предшествовавшей вой-

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. XI, л. 103.

ны и признается всегда явным неприятелем Аббас-Мирзы и сильнейшею опорою враждующих к нему братьев"[1].

ამგვარად, ირანის დამარცხების შემდეგ ალაიარ-ხანი აბას-მირზას მოკავშირეობიდან მისი დაუძინებელი მტერი გახდა. იგი უახლოვდებოდა აბას-მირზას მოწინააღმდეგეებს და რუსეთთან ომის განახლებისათვის იბრძოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, რადგან რუსეთის ხელისუფლება თანამიმდევრულად ცდილობდა, რომ გრიბოედოვის მკვლელობას ირანთან ომის განახლება არ მოჰყოლოდა. თურქეთთან ომის პირობებში, პასკევიჩის თქმით, ამას უნდა მოეტანა „მთელი აზიის ჯარების რუსეთის მიმართ დაპირისპირება", ამიტომ იგი 1829 წ. 23 თებერვალს ამბურგერს სწერდა, რომ მას დიდი სიფრთხილე გამოეჩინა ასეთი დაძაბული ურთიერთობის პირობებში და მორიდებოდა ირანთან განხეთქილებას. პასკევიჩი ამბურგერს ავალებდა: 1) არავითარ შემთხვევაში არ დაეტოვებინა თავრიზი, რადგანაც ეს ხელს შეუწყობდა რუსეთის მტრული ძალების, კერძოდ, ინგლისელების თავისუფალ მოქმედებას. 2) ამბურგერს აბას-მირზა უნდა დაეყოლიებინა, რომ მას თავისი შვილი ან სასახლის რომელიმე წარჩინებული პიროვნება რუსეთში გაეგზავნა მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებისათვის. 3) მას უნდა შთაეგონებინა აბას-მირზა, რომ შაჰს იმპერატორისათვის აუცილებლად წერილობითი ბოდიში მოეხადა ირანის დედაქალაქში ა. გრიბოედოვის მკვლელობის გამო. 4) ამბურგერს საიდუმლოდ უნდა შეენახა პეტერბურგში პასკევიჩის მიერ გაგზავნილი წერილის შინაარსი აბას-მირზას დელეგაციის პეტერბურგში ჩასვლის ნებართვის შესახებ, რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ თუ ინგლისელები ამას გაიგებდნენ, საქმეს ჩაშლიდნენ, 5) მას ფხიზელი მეთვალყურეობა უნდა გაეწია ირანის მთავრობისა და ინგლისის დიპლომატიური მისიის საქმიანობისათვის და, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ხშირად მოეხსენებინა პასკევიჩისათვის ირანში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ[2].

რუსეთ-ირანის ურთიერთობის გართულებამ ანტირუსული ძალების გამოცოცხლება გამოიწვია.

გრიბოედოვის მისიის მდივნის მალცოვის ცნობით, ირანის შაჰი იმედოვნებდა, რომ ისარგებლებდა თურქეთთან რუსეთის ომით და დაიბრუნებდა ერევნისა და ნახიჩევანის პროვინციებს. შაჰი ვარაუდობდა, რომ თურქეთზე გამარჯვების შემთხვევაში რუსეთი დაიპყრობდა ირანის აზერბაიჯანს ან გრიბოედოვის მკვლელობისათვის მოითხოვდა დიდ ჯარიმას, რის

---

[1] Акты, т. VII, д. № 653, стр. 673, Щр. д. 661, стр. 679.

[2] Акты, т. VII, д. № 654, стр. 675.

გამოც იგი ფიქრობდა, რომ „Ему выгоднее теперь, соединившись с турками, дать два курура войскам и отнять у нас потерянныя провинции“[1]. ამიტომ იყო, რომ ირანი სამხრეთ აზერბაიჯანში დიდძალ ჯარს უყრიდა თავს რუსეთის წინააღმდეგ საომრად[2]. იმდენად გართულდა ურთიერთობა ირანსა და რუსეთს შორის, რომ რუსეთის გენერალური კონსული თავრიზში ამბურგერი იძულებული გამხდარა, დაეტოვებინა ირანი და ნახიჩევანში წასულიყო. ეს კი ხელს უწყობდა ინგლისელებს, კვლავ გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა ირანში. ამიტომ პასკევიჩი 1829 წ. 6 მარტს განაწყენებული ტონით სწერდა ამბურგერს: „Удалясь-же оттуда, вы потеряли всякое влияние на правительство Персидское и предоставили оное партии, которая желает войны с Россиею, и англичанам коим доверять не вовсе можно“[3].

ინგლისელებმა თეირანში რუსეთის მისიის ამოხოცვისთანავე გააქტიურეს თავიანთი მოქმედება, დიდი რაოდენობით გაგზავნეს თოფები და სხვა სახის იარაღი. შაჰს გაუგზავნეს 60 ქვემეხი და 2 ყურური (4 მილიონი მანეთი) ფული, ხოლო შაჰმა სულ მალე დიდძალ ჯარს მოუყარა თავი. ხოის ოლქში შეკრიბეს 10-ათასიანი ქურთების კავალერია, თავრიზში — 12-ათასიანი ქვეითი ჯარი. ჰასან-ალი-მირზამ თავის მხრივ შეაგროვა 15-ათასიანი ჯარი. თავად აფხაზის ცნობით, ირანში „Сарбазы же все в готовности, равно как и артиллеристы уже довольствуются жалованием“[4].

ირანის თითქმის ყველა სახანოში დაიწყეს ჯარის შეგროვება რუსეთის წინააღმდეგ[5].

ირანის შაჰმა რუსეთთან ომის გამჩაღებელთა პარტიის მეთაურებს ალაიარ-ხანსა და ჰასან-ალი-მირზას 4 ყურური (8 მილიონი მანეთი) გაუგზავნა, ხოლო ირანის მთავრობის მოხელეებმა თეირანიდან მათვე 2 ყურური გამოუგზავნეს. დიდძალი თანხა გროვდებოდა ომის გამჩაღებელთა ხელში, ოღონდაც მათ სასწრაფოდ დაეწყოთ საომარი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ[6].

ინგლისელების მიერ წაქეზებული ირანი აშკარა ომის პროვოკაციაზე მიდიოდა.

როგორც თალიშის მმართველი გენერალი რალი იუწყებოდა, 1829 წ. თებერვალში მირ-ჰასან-ხანმა გადმოლახა საზღვარი და შეიპრა სოფელ

---

[1] Акты, т. VII, д. 694, стр. 703.

[2] იქვე, д. № 661, вз. 681.

[3] Акты, т. VII, д. 657, стр. 676.

[4] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827 г., д. 13, ч. IX, л. 137.

[5] Акты, т. VII, д. 661, стр. 680.

[6] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. IX, л. 137 об.

ასტარაში, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა. მან იერიში მიიტანა რუსეთის ჯარის ნაწილებზე. ბრძოლაში ორივე მხრიდან იყო მსხვერპლი, რუსეთის რაზმებმა სძლიეს მტერს და უკუაგდეს. რალის ჰქონდა სარწმუნო ცნობა, რომ თალიშზე თავდასხმისათვის საზღვარზე გამზადებული იყვნენ სარბაზები. ამიტომ მან საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა ჯარი მოსალოდნელი შემთხვევის აღსაკვეთად.

გარდა ამისა, შირვანის ყოფილი ხანი მუსტაფა, რომელსაც საზავო ხელშეკრულებით აკრძალული ჰქონდა აზერბაიჯანში ყოფნა, ჩავიდა მუღანის სტეპებში და შეხვედრა მოუწყო პროირანული ორიენტაციის დიდებულებს, რათა ისინი ერთდროულად გამოსულიყვნენ რუსების წინააღმდეგ[1]. მოღალატე კასიმ-ხანის ვაჟი შეიპარა მუღანში და მოაწყო ერევნის მაღალის აჯანყება, რომლის ჩაქრობაც რალიმ მოახერხა აზერბაიჯანელ ცხენოსანთა რაზმის საშუალებით[2]. ყაჩაღთა არა ერთი ბრბო თავს დაესხა რუსეთის საზღვარს, მაგრამ ომის განახლების ყველა მათი ცდა მარცხით დამთავრდა.

მოყვანილი და სხვა ფაქტები აშკარად მეტყველებენ, რომ ირანში ანტირუსული ძალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობის შემდეგ და მზად იყვნენ, ახალი ომის პროვოკაციაზე წასულიყვნენ.

ირანი შეეცადა, გადაემოწმებინა რუსეთის წინააღდეგ მეომარი ოსმალეთის პოზიციები, მჭიდროდ დაკავშირებოდა მას და მასთან ერთად ებრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ 1829 წ. 19 თებერვალს გენერალი პანკრატიევი ბაიაზეთიდან იტყობინებოდა: „Доверенные люди Аббас-Мирзы. Худад-хан и Нагихан Карапапахский, вскоре один за другим отправлены из Тавриза в Эрзерум с тайными поручениями к сераскиру; что, вообще, сношения между турецким и персидским правительствами весьма часты и что посылаемые с обеих сторон люди проезжают чрез г. Ван“[3].

ინგლისელები ამჟამადაც ტრადიციულად ცდილობდნენ, ტონი მიეცათ ირანის საგარეო პოლიტიკისათვის. მალკოლი 1829 წლის 4 ივნისს თავრიზიდან პასკევიჩს სწერდა, რომ მათ გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა მთელს შუა აღმოსავლეთში. ისინი დამატებით შეპპირდნენ შაჰს საჩუქრად დიდი რაოდენობით ქვემეხსა და სხვა საომარ იარაღს. ინგლისელმა სამხედრო ინსტრუქტორებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ირანისა და თურქეთის სამხედრო ნაწილებში: „Два английских офи-

---

[1] Акты, т. VII, д. 656, стр. 676.
[2] Акты, т. VII, д. 659, стр. 677.
[3] Акты, т. VII, № 656, стр. 676.

цера, на жалованьи Ост-Индской компании, Берно и племянник доктора Кормика, находятся до сих пор при Махмуд-паше Сулейманском и обучают Куртинскую конницу. Таким образом, англичане имеют обсервационный кордон от Тавриза до Бендер-Бушира, вероятно чтобы держать весь Курдистан в готовности всегда служить их видам"[1].

აბას-მირზა რუსეთთან ომში დიდი დამარცხების შემდეგ აქტიურად ეეღარ მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ, რითაც ინგლისელების გულის-წყრომას იმსახურებდა.

რუსეთის დიპლომატია ცდილობდა, დაჩქარებულიყო შაჰის მიერ ბოდიშის მოსახდელად პეტერბურგში დელეგაციის გაგზავნა. ამას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთისათვის. ეს იქნებოდა წინ გადადგმული ნაბიჯი რუსეთ-ირანის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე. ირანი უნდა ჩამოსცილებოდა თურქეთისა და რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი სამხედრო მოქმედების საშუალებათა ძიებას.

ირანში გადაწყდა, რომ რუსეთის იმპერატორთან ბოდიშის მოსახდელად გაეგზავნათ სპეციალური დელეგაცია აბას-მირზას ვაჟის ხოსრევან-ხანის მეთაურობით.

ინგლისელები ყოველნაირად ცდილობდნენ აღნიშნული დელეგაციის გაგზავნის დაყოვნებას, რათა კიდევ უფრო დაძაბულიყო რუსეთ-ირანის ურთიერთობა. პასკევიჩს ჰქონდა სათანადო ცნობები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ინგლისელები უკვე განუდგნენ აბას-მირზას. მათი მიზეზით ჭიანურდებოდა პეტერბურგში დელეგაციის გაგზავნა, ავრცელებდნენ ხმებს, თითქოსდა ომში თურქეთი იმარჯვებდა და მთელი ევროპა რუსეთის წინააღმდეგ ახალ ომს ამზადებდა. მაკდონალდმა, როგორც კი გაიგო ხოსრევან-მირზა პეტერბურგს მიემგზავრებოდა, განაცხადა რომ იგი ქირმანშაჰში თავს მოუყრიდა ჯარს აბას-მირზას წინააღმდეგ.

დასტურდება, რომ ინგლისელები ხელს უშლიდნენ გრიბოედოვის მკვლელობის შემდეგ რუსეთ-ირანის ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეს, აქეზებდნენ ირანს თურქეთთან ერთად ჩაბმულიყო ომში რუსეთის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებით რუსეთი აბას-მირზას ცნობდა შაჰის მემკვიდრედ, ამიტომ ინგლისის მისიის მეთაური მაკდონალდი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მხარში ამოსდგომოდა აბას-მირზას მოწინააღმდეგე პარტიას, ტახტისათვის ბრძოლაში ჰასან-ალი-მირზას დახმარებოდა. ფრანგი სემინოს ცნობით, არ იყო გამორიცხული, რომ ინგლისელებს თავდასხმა მოეწყოთ აბას-მირზაზე,

---

[1] Акты, т. VII, д. № 694, стр. 702.

რადგან ამჯერად იგი ვერ გამოიყენეს თავიანთი პოლიტიკის იარაღად[1]. აბას-მირზა, რომელმაც გამოსცადა რუსეთთან ორი ომის სისასტიკე, დარწმუნდა, რომ ომის განახლებით კიდევ დაკარგავდა რამდენიმე სახანოს და მათ შორის თავის სატახტო ქალაქს — თავრიზსაც კი. სწორედ ეს აწუხებდა ერთ დროს რუსეთის მიმართ რევანშისტულად განწყობილ აბას-მირზას, რომელმაც არამც თუ ვერ დაიმკვიდრა რუსეთთან წინა ორი ომის შედეგად ამიერკავკასია და საქართველო, არამედ დაკარგა დიდძალი ტერიტორია. რუსეთთან ბრძოლებში „მოთვინიერებული" აბას-მირზას საღ ჰქონდა იმის გარანტია, რომ ახალი ომის შემთხვევაში სამხრეთ აზერბაიჯანსაც არ დაკარგავდა. ამიტომ ეძებდა იგი ბოდიშის მოხდის გზით რუსეთთან ურთიერთობის სტაბილიზაციის საშუალებებს.

თურქეთის ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ამაო იყო ინგლისის მისიისა და პირადად მაკდონალდის დიდი მოწადინება, აგრეთვე სულთნის მხრივ ფინანსური და სალმარი იარაღით დახმარების გაწევის დაპირება. ირანელები აგვიანებდნენ ომის დაწყებას რუსეთის წინააღმდეგ.

ოსმალეთმა ისიც შეიტყო, რომ აბას-მირზამ თავისი ვაჟი ხოსრევან-მირზა იმპერატორის წინაშე ბოდიშის მოსახდელად გაგზავნა პეტერბურგში. ამ ფაქტმა დიდად გაანაწყენა სულთანი. მან, ირანის შაჰზე გაბრაზებულმა, განკარგულება გასცა, კონსტანტინოპოლში მყოფი ირანელი ვაჭრები დაეპატიმრებინათ და საქონელი ჩამოერთვათ, რაც მალე სისრულეში მოიყვანეს.

ირანის მთავრობა თავს იმართლებდა თურქეთის წინაშე ხოსრევან-მირზას რუსეთში გაგზავნის გამო და სულთანს ჰპირდებოდა, რომ ირანის არმია უახლოეს დროში თურქებთან ერთად დაიწყებდა სამხედრო მოქმედებას რუსეთის წინააღმდეგ[2]. ეს დაპირება ირანელების მხრივ მხოლოდ დიპლომატიური ხრიკი იყო. პეტერბურგში ხოსრევან-მირზას მისიის გაგზავნის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ ირანის გამოსვლა რეალურ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა.

ინგლისსა და ოსმალეთს ჩაეფუშათ რუსეთ-ირანის ომის განახლების ცდა.

1829 წლის 7 მაისს თბილისში ჩამოვიდა პეტერბურგს მიმავალი ირანის ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას ვაჟი ხოსრევან-მირზა თავისი ამალით, რომელსაც იმპერატორთან მიჰქონდა შაჰისა და აბას-მირზას საბოდიშო წერილები. ხოსრევან-მირზას ამალაში შედიოდნენ ირანის უწარჩინებულესი პირნი: ამერ-ნიზამი (რეგულარული ჯარის სარდალი), პოეტი ფაზილ-ხანი (რომელმაც ოდა უძღვნა იმპერატორს), მირზა მასუდი (აბას-მირზას მთავარი თარჯიმანი და სტატს-სეკრეტარი) და სხვა ოფიცია-

[1] Акты, т. VII, д. 691, стр. 701.
[2] Акты, т. VII, д. 694, стр. 703.

ლური პირნი. ირანის მისია თბილისში ჩამოსვლისთანავე ეახლა მთავარსარდალს გრაფ პასკევიჩს, რომელმაც სტუმრები მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში დაბინავა. ირანელები საკმაო ხანს დარჩნენ თბილისში; 12 მაისს პასკევიჩმა მათ მოუწყო მიღება, ხოლო 14 მაისს—ბაღში სეირნობა[1].

რუსეთის ხელისუფლება, რომელიც ერიდებოდა ირანთან ურთიერთობის გართულებას, ლოიალობას იჩენდა მისიის მიმართ. პეტერბურგს მიმავალ ხოსრევან-მირზას და მის თანამგზავრებს ყველგან პატივისცემით ეპყრობოდნენ. თბილისიდან გამგზავრებული მისია დარიალის ხეობით 29 მაისს ვლადიკავკაზს ჩავიდა, სადაც დიდი ყურადღებითა და პატივით მიუღია გენერალ-მაიორ სკვორცოვს, ხოლო 2 ივნისს ვლადიკავკაზიდან მათ გეზი აიღეს მოსკოვისაკენ[2]. ხოსრევან-მირზა 17 ივლისს მოსკოვს ჩავიდა, სტუმრები მიიღეს სამოქალაქო გუბერნატორმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა; საგანგებო მიღება მოუწყვია ირანელი სტუმრებისათვის მოსკოვის სამხედრო გენერალ-გუბერნატორსაც, რომელსაც 100-კაციანი ბანკეტი გაუმართავს მათთვის[3]. პრინცს დაუთვალიერებია მოსკოვის ღირსშესანიშნავი ადგილები: საჟურვლის პალატა, წახნაგოვანი პალატა, კრემლში — რუსეთთან ომში დამარცხებული ნაპოლეონის საარტილერიო პარკი, მოსკოვის უნივერსიტეტი და სხვ. დასწრებია ოპერის თეატრს, მოსწონებია ბალეტი[4].

1829 წლის 2 აგვისტოს ხოსრევან-მირზა თავისი ამალით სანკტ-პეტერბურგში, ცარსკოე სელოში ჩავიდა, სადაც ორი დღე დაჰყო, ხოლო შემდეგ კი თავრიდის სასახლეში დაბინავდა.

10 აგვისტოს შედგა იმპერატორის მიერ ირანის მისიის მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ იმპერიის მაღალი რანგის მოხელენი, სასახლის დიდებულები და დიპლომატიური კორპუსი. ხოსრევან-მირზამ დიდებულთა კრებულის წინაშე საქვეყნოდ განაცხადა, რომ ირანის მთავრობას არავითარი ბრალი არ მიუძღოდა რუსეთის მინისტრის ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობის საქმეში. თან მან შაჰის სიგელი გადასცა იმპერატორს და წარმოთქვა საბოდიშო სიტყვა კრებულის წინაშე. თავის მხრივ იმპერატორმა ხოსრევან-მირზას განუცხადა: „Я предаю вечному забвению злополучное Тегеранское происшествие[5]". ეს იყო ჟესტი, რომელიც რუსეთს ხელს აძლევდა ახლო და შუა აღმოსავლეთში შექმნილი რთული სიტუაციიდან თავის დასაღწევად. იმპერატორი ნიკოლოზ I, რომელმაც ირანში გაგზავნა დეკაბრისტების მესაიდუმლე და თანამგრძნობი

[1] Тифлисские ведомости, № 19, от 10 мая, 1829 г.

[2] Тифлисские ведомости, № 23, от 7 июня, 1829 г.

[3] Тифлисские ведомоти, № 33, 16 августа, 1829 г.

[4] იქვე.

[5] Акты, т. VII, № 698, стр. 704.

ა. ს. გრიბოედოვი, მომხდარი ფაქტით იქნებ დიდად არც შეწუხებულა, გულში იქნებ კმაყოფილიც კი იყო.

ოფიციალური მიღების შემდეგ იმპერატორს ცალკე ოთახში ჰქონდა საგანგებო აუდიენცია ირანის მისიასთან და მის მეთაურთან ხოსრევან-მირზასთან. აქ მას გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება პოლიტიკურ საქმიანობაში ირანის ორპირობის გამო, რაც იმით გამოიხატა, რომ, ერთი მხრივ, ირანმა ხოსრევან-მირზა პეტერბურგს საგანგებო მისიით გამოგზავნა, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე დროს კონსტანტინოპოლში მოლაპარაკება დაიწყო რუსეთის მტრებთან[1].

ისიც ირკვევა, რომ ინგლისის დიპლომატია მაინც თავისას არ იშლიდა. იგი უკმაყოფილო იყო ხოსრევან-მირზას მისიის პეტერბურგში გაგზავნით, ამიტომ ცდილობდა, ზემოქმედება მოეხდინა შაჰზე, აეძულებინა იგი, რომ დაკავშირებოდა სულთანს, კვლავ გაეგზავნა მასთან დიპლომატები და ეწარმოებინა მოლაპარაკება გაერთიანებული ძალებით რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების დაწყების შესახებ. ინგლისის დიპლომატიის ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა. რუსეთის არმიის დიდმა წარმატებებმა ბალკანეთსა და კავკასიაში ანტირუსული ძალების გაერთიანების ყველა განზრახვა ჩაფუშა.

დიდ თაყვანისცემას იჩენდა ირანის მისია იმპერატორის მიმართ. განსაკუთრებით მოეწონათ სასახლის დიდებულებსა და იმპერატორს პოეტ ფაზილ-ხანის ოდა, რომელიც მან ნიკოლოზ I-ს მიუძღვნა. აღნიშნულ ლექსში პოეტმა განადიდა რუსეთი და მისი იმპერატორი და დაამცირა ყველა სხვა ქვეყანა, მათ შორის თავისი სამშობლო. საზეიმო აუდიენციის შემდეგ თავის სიტყვებს რომ ჩაუფიქრდა, ფაზილ-ხანს შეეშინდა, ირანში დაბრუნებისას სამაგიერო არ მომიზღონო და რუსეთში დარჩენის ნებართვა ითხოვა, მაგრამ მისი თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული[2].

იმპერატორმა ირანს კონტრიბუციის ანგარიშზე დარჩენილი ორი ყურურიდან ერთის გადახდა აპატია, ხოლო მეორე ყურურის გადახდის ვადა 5 წლამდე გაუდიდა[3]. გარდა ამისა, მან უხვად დააჯილდოვა ირანის მისიის წევრები ოქროს, ბროლის, ფაიფურის ძვირფასი ნივთებითა და ფულადი საჩუქრებით[4].

მალე ირანში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა. ამბურგერის წერილიდან ჩანს, რომ ომის გამჩაღებელთა პარტია გაკოტრდა. აბას-მირზამ მოახერხა, თავისი ადრინდელი მდგომარეობა აღედგინა. შაჰმა მას კვლავ

---

[1] Акты, т. VII, д. № 698, стр. 704.
[2] Акты, т. VII, д. 705, стр. 711.
[3] ი ქ ვ ე, საქ. 700, გვ. 707.
[4] იქვე, საქ. 704, გვ. 710.

გამოუცხადა ნდობა, „который дал ему значительное число брилиантов и бриллиантивое перо на шапку. В сношениях с иностранными державами ни один Министр не имеет право действовать мимо ведома наследника Персии“[1].

სულ მალე აბას-მირზას ტახტის მოცილე და ერთადერთი რეალური მოწინააღმდეგე ჰასან-ალი-მირზა ქერმანში დააპატიმრეს შაჰის განკარგულებით და ბადრაგით ჩაიყვანეს თეირანში[2]. ჩვენთვის უცნობია, თუ რა დანაშაული ჩაიდინა მან, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი აბას-მირზას მიმართ მტრობას განაგრძობდა და რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობის გამწვავებისა და ახალი ომის გაჩაღებისათვის იღვწოდა, რითაც ირანის მოსახლეობის ინტერესებს უპირისპირდებოდა. მალე ალაიარ-ხანის პოზიციებიც დასუსტდა.

ჰასან-ალი-მირზას ჩამოცილება პოლიტიკური და სამხედრო სარბიელიდან აბას-მირზას უდიდესი გამარჯვება იყო.

ომის მომხრე პარტიის დამარცხება ინგლისის გავლენის დასუსტებასაც მოასწავებდა ირანში და ხელს უწყობდა თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთსა და ირანს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

ირანსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ა. ს. გრიბოედოვის მკვლელობას რუსეთთან ომის განახლება არ მოჰყოლია. პირიქით, რუსეთის დიპლომატიამ, მიუხედავად ინგლისის დიდი მცდელობისა, გაერთულებინა რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობა, შეძლო ინგლისის ყველა მტრული საქმიანობის ჩაფუშვა და ირანთან Status quo-ს შენარჩუნება.

§ 4. ა. ს. გრიბოედოვის ნეშტის გადმოსვენება თბილისში

როგორც ზემოთ აღინიშნა, გრიბოედოვთან ერთად ამოხოცეს თითქმის მთელი მისია, დაღუპვას შემთხვევით გადაურჩა მხოლოდ მცირე ჯგუფი, მათ შორის საელჩოს მდივანი მალცოვი. სპარსელებმა მიცვალებულთა გვამები შეურაცხყვეს და ღრმა ორმოში ერთად ჩაყარეს. ერთი კვირის შემდეგ ირანის მთავრობამ განკარგულება გასცა, ამოეთხარათ ორმო, ამოერჩიათ ა. ს. გრიბოედოვის გვამი და სომხური ეკლესიის ეზოში დაესაფლავებინათ, ვიდრე მას რუსეთის მთავრობა მოიკითხავდა. მართ-

---

[1] АВПР, ф. Гл. архив, 1—9, 1827, д. 13, ч. XI, л. 103.

[2] იქვე, ფ. 48, 49, 94.

ლაც, ა. ს. გრიბოედოვის გვამი ძლივს იცნეს იმ ჭრილობით, რომელიც მას ხელზე ჰქონდა მიღებული იაკუბოვიჩთან დუელის დროს.

რუსეთის მთავრობა და გრიბოედოვის მეუღლის ნ. ა. ჭავჭავაძის ნათესავები კატეგორიულად მოითხოვდნენ მიცვალებულის ნეშტს. მკვლელობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, აპრილის დასაწყისში, ა. ს. გრიბოედოვის ნეშტი თავრიზში წაასვენეს, რუსეთის გენერალური კონსული ამბურგერი 1829 წლის 14 აპრილს დარალაგეზიდან იწერებოდა: „Тело несчастного Александра Сергеевича точно прибыло в Тавриз. О встрече не пишут ни слова. Гроб, содержащий в себе тело полномочного нашего министра, сколочен из простых досок и покрыт куском черного бархата; кажется, также не приняты никакие меры для сохранения тела его“[1].

აპრილის დასასრულს გრიბოედოვის ნეშტი რუსეთის იმპერიის საზღვრამდე მოასვენეს, სადაც 1 მაისს მას მიეგებნენ გენერალ-მაიორი მერლინი და რუსეთის სამხედრო მოხელენი, თბილისის ქვეითი პოლკის ერთი ბატალიონი და სხვ. მდ. არაქსზე გავლით მიცვალებული ნახიჩევანში წაასვენეს, სადაც გაიმართა სამგლოვიარო ცერემონიალი. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ მწუხარებას გამოხატავდა გრიბოედოვის ტრაგიკული მკვლელობის გამო[2].

გრიბოედოვის ნეშტის გადმოსვენებას შეესწრო ერზერუმს მიმავალი ა. ს. პუშკინი. 1829 წლის 17 ივლისს, საღამოს, მრავალწამებული გრიბოედოვის ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს. ჯერ კიდევ ადრე, 1829 წლის 21 მაისს, პასკევიჩი თბილისის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვს ახალქალაქიდან სწერდა: „Поручаю в. пр. сделать распоряжение, чтобы по привезении в Тифлис тела полномочного министра нашего в Персии, А. С. Грибоедова, при въезде было оное встречено со всею приличною сану покойного почестью и с равною почестью предано земле в Тифлисе же, в церкви св. Давида, так как покойный министр при жизни изъявил желание быть там погребенным.

На счет разрешения о погребении тела в церкви св. Давида в месте с сим пишу я к митрополиту Ионе, экзарху Грузии“[3].

ყველა ზომა მიიღეს, რომ საქართველოს დედაქალაქი ღირსეულად შეხვედროდა საპატიო მოღვაწისა და პოეტის ცხედარს, თაყვანი ეცა მის-

---

[1] ЦГИАГ, ф. II, д. № 102; მოყვანილია წიგნიდან. И. К. Ениколопов, Грибоедов в Грузии, стр. 86, Тб., 1954.

[2] Акты, т. VII, д. № 687, стр. 697—698.

[3] Акты, т. VII, д. 692. стр. 701—702.

თვის თბილისის მოსახლეობას, საერო, სასულიერო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებს და გრიბოედოვის ანდერძისამებრ დაესაფლავებინათ მთაწმინდაზე წმ. დავითის ეკლესიაში. 18 ივლისს ნეშტი სიონის ტაძარში დაასვენეს, მის საპატივცემოდ შეიკრიბნენ მთავრობის მოხელენი და ქალაქის წარჩინებული პირები: თბილისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალიტეტი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და სხვ. სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ეგზარხოსმა იონამ, რის შემდეგ დიდი პატივით დაასაფლავეს წმ. დავითის ეკლესიის ეზოში[1].

პასკევიჩს საქმე აღუძრავს რუსეთის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე ა. ს. გრიბოედოვის დედის და აგრეთვე მეუღლისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით 1830 წლის იანვარში რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ნესელროდემ პასკევიჩს წერილი გაუგზავნა. ამ წერილით ვიგებთ, რომ იმპერატორის განკარგულებით ა. ს. გრიბოედოვის დედას და ქვრივს — ნინო ჭავჭავაძეს მიეცათ ერთდროული დახმარება თითოეულს ოცდაათი ათასი მანეთი და დაენიშნათ წლიური პენსია თითოეულს 5 ათასი მანეთი ასიგნაციით მთელი სიცოცხლის მანძილზე[2].

ამგვარად, ინგლისისა და თურქეთის პროვოკაციულმა წამოწყებამ კრახი განიცადა. მართალია, ამ საქმეს შეეწირნენ ა. ს. გრიბოედოვი და თითქმის მთელი დიპლომატიური მისია, მაგრამ რუსეთის გონივრული დიპლომატიის წყალობით რეაქციულმა ძალებმა ვერ გაბედეს რუსეთთან ახალი ომის დაწყება. თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულება ძალაში დარჩა.

§ 5. ირანსა და თურქეთზე რუსეთის გამარჯვების პირველი შედეგები ამიერკავკასიის ხალხებისათვის

თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების მე-12 მუხლის საფუძველზე ირანისა და რუსეთის ქვეშევრდომებს უფლება ეძლეოდათ, სამი წლის განმავლობაში გაეყიდათ თავიანთი უძრავი ქონება და გადასულიყვნენ მეორე სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში. ამ მუხლის თანახმად ირანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს რუსეთის მიერ შემოერთებულ ტერიტორიაზე გადმოსახლების საშუალება ეძლეოდათ, ხოლო მუსლიმანებს, თუ ამის სურვილი ექნებოდათ, შეეძლოთ დაეტოვებინათ თავიანთი ადრინდელი სამყოფელი ადგილი, სადაც რუსეთის ხელისუფლება უკვე დამკვიდრდა.

[1] „Тифлисские ведомости", № 29, 19 июля 1829 г.

[2] Акты, т. VII, д. № 706, стр. 711.

აღმოსავლეთ სომხეთის რუსეთთან შეერთებას მოჰყვა სომხური მოსახლეობის მასიური ლტოლვა ირანელთა ბატონობისაგან გათავისუფლებულ სამშობლოში და ეს ბუნებრივიც იყო.

რუსეთის ხელისუფლება თავის მხრივ ცდილობდა, ქრისტიან სომეხთა გადმოსახლებას მასობრივი ხასიათი ჰქონოდა. მთავრობის დავალებით სომეხთა არქიეპისკოპოსმა ნერსესმა სპეციალური ემისრები მიავლინა რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, რათა ქრისტიანულ პროპაგანდას გარკვეული შედეგები მოეტანა. პასკევიჩი და სამხედრო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ყველანაირად უწყობდნენ ხელს ირანიდან ამიერკავკასიაში ქრისტიანი სომხების გადმოსახლებას.

რუსეთის მთავრობას, რომელიც ტრადიციულად თავს ქრისტიანი ხალხების „მფარველად" აცხადებდა, ამ რთული ღონისძიების გატარებაში თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა. რუსეთ-ირანის ომმა გააერანა ის ტერიტორია, რომელიც რუსეთმა შემოიერთა; მოსახლეობის დიდი ნაწილი ომის წლებში ირანის სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებით ქვეყნის ღრმა ზურგში გარეკეს, ხოლო ის, ვინც ამას გადაურჩა, ომის შემდეგ ირანის მტრული პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოექცა და დატოვა საცხოვრებელი ადგილი. პასკევიჩი ცდილობდა, დაცარიელებული ადგილები სომხებით დაესახლებინა. ირანთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, მთავრობის აზრით, საზღვრისპირა სომხური მოსახლეობა გაცილებით უფრო საიმედო იქნებოდა რუსეთისათვის, ვიდრე მუსლიმანური დასახლება, რომელიც იოლად მიემხრობოდა ირანს.

რუსეთის ხელისუფლებამ იცოდა სომხების დიდი უნარი კომერციულ საქმიანობაში და მათი უშუალო მონაწილეობით რუსეთს საშუალება მიეცემოდა, სავაჭრო ურთიერთობა გაეჩაღებინა ირანთან და ოსმალეთთან. გარდა ამისა, ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და ხელოსნობის მიმდევარი სომხური ელემენტების გაძლიერებით თვითმპყრობელობას, როგორც აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, „მიზნად ჰქონდა შეექმნა ამ მხარეში დასაყრდენი ძალა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა და საერთოდ სხვა ეროვნულ ელემენტთა სახით, რომლის დაპირისპირება საჭიროების დროს ადვილად შეიძლებოდა, როგორც მუსლიმანების, ისე ქართველების მხრივ მოსალოდნელი წინააღმდეგობისათვის, რამდენადაც ამ ხალხებს შორის გაღვივებული უთანხმოება და მტრული დამოკიდებულება, რასაც ცარიზმი მეტნაკლები ინტენსივობით ყოველთვის ასაზრდოებდა, ხელს უწყობდა ამ მხარის კოლონიური ექსპლუატაციის საქმეში მეტროპოლის საერთო პოლიტიკას"[1].

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ. I, გვ. 527—528.

სომხეთის ტერიტორიის ქრისტიანული მოსახლეობით დასახლებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა შემდეგში ამ ტერიტორიის შემომტკიცებისათვის, რადგან სომხები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ ირანელ დამპყრობლებს, რუსეთის ხელისუფლების ქვეშ ყოფნას უფრო ამჯობინებდნენ, ვიდრე ირანელების ბატონობის ქვეშ დარჩენას. ამიტომ იყო, რომ სომხების დელეგაცია დელეგაციაზე მიდიოდა და რუსეთის ხელისუფლებისაგან გადმოსახლების ნებართვას ითხოვდა. რუსეთის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთი აქტის ისტორიულ შედეგებს წინასწარ ითვალისწინებდნენ. გრაფ დიბიჩისადმი პატაკში, რომელიც პასკევიჩს 1828 წ. 3 მარტს გაეგზავნა, ვკითხულობთ: „...Пользу, которую мы получить можем от заселения лежащих в пустыя земель трудолюбивыми к покорности и по религии к нам преданными, я обласкал сих депутатов и обнадежив их во всемилостливейшем покровительстве... отпустил их в домы, с тем что-бы они готовились к переселению“ [1].

სომხეთის ეკლესიის მესვეურები სათანადო ეკონომიკურ დახმარებას სთხოვდნენ პასკევიჩს სომხური მოსახლეობის გადმოსახლებისათვის. გადმოსახლება ისე უნდა მომხდარიყო, რომ ქრისტიანულ მოსახლეობას არ ეგრძნო ირანის ხელისუფლებისაგან არავითარი შევიწროება. ეს, ცხადია, დიდ ორგანიზებულობას მოითხოვდა. ამიტომაც ირანის აზერბაიჯანიდან სომხების გადასახლების საქმე პასკევიჩს მიუნდვია ლაზარევისათვის, რომელსაც თან ჰყავდა სომხური წარმოშობის შტაბსოფიცრები და ობეროფიცრები, რომლებმაც იცოდნენ ენაც და იცნობდნენ თავიანთი ხალხის ზნე-ჩვეულებას. საცხოვრებელი ადგილებიდან აყრილი სომხების დასახლება ერევნისა და ნახიჩევანის ტერიტორიებზე დიდად შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმე იყო. ამიტომ პასკევიჩმა ერევნის დროებით მმართველობას დაავალა, შეექმნათ „განსაკუთრებული კომიტეტი“ („Особый комитет“), რომელიც ერევნის დროებითი მმართველობის უშუალო ხელმძღვანელობით ხელს შეუწყობდა მოსახლეობის ორგანიზებულად დასახლებას. ერევნის ოლქის დროებით მმართველობაში შეიქმნა „გადმოსახლებულთა დამხმარე განსაკუთრებული კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა სომხეთის საოლქო სამმართველოს უფროსი, ცნობილი ქართველი პოეტი ა. ჭავჭავაძე.

საყურადღებოა, რომ ღარიბ-ღატაკებს, რომლებსაც არავითარი ეკონომიკური საშუალება არ გააჩნდათ, სახელმწიფო სესხის სახით აძლევდა მცირეოდენ თანხას გადმოსახლებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ პასკევიჩი ზემოაღნიშნულ პატაკში წერს: „Совершенно бедным семейст-

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 978, л. 1.

вам, имеющим необходимую надобность в денежном пособии, как при подъеме с места так и при водворении их, решился я назначить таковое пособие взаимообразно и предписал отчислить для сей надобности и вообще на расходы по переселению християн нащет суммы, получаемой от персидского правительства по трактату 50 т. рублей серебром"[1].

პასკევიჩი სწერს დიბიჩს, რომ გადმოსახლებულებზე შეღავათი გავრცელდებოდა მხოლოდ იმ პირობებში, რომლებიც იმპერატორის 1819 წლის 22 ოქტომბრის განკარგულებით საქართველოში გადმოსახლებულ კოლონისტებს ეძლეოდათ.

ფეოდალების მიწებზე მათი დასახლება „განსაკუთრებულ კომიტეტს" კატეგორიულად ეკრძალებოდა.[2] მუსლიმანური მოსახლეობისაგან განცალკევებით იქმნებოდა ქრისტიანული მოსახლეობის ცალკე ოლქები. დასახლება ეწყობოდა ქუჩების მიხედვით. განსაკუთრებით ღარიბ ოჯახებს ეძლეოდათ სესხი 10-დან 20 მანეთამდე ყოველგვარი ნამატის გარეშე 4 წლის განმავლობაში, შემდეგ კი სესხის პროცენტი უნდა გადაეხადათ.[3] პასკევიჩი 1828 წლის 26 მაისს დიბიჩს აუწყებდა, ირანიდან სომხების გადმოსახლება წარმატებით მიმდინარეობსო. ყარაბაღში დასახლდა 279, ხოლო ერევნის ოლქში 948 ოჯახი, სულ გადმოსახლებულ ოჯახთა რაოდენობა 5000-ს აღწევსო.[4]

ერთ ხანს გადმოსახლებულთათვის მძიმე პირობები შეიქმნა, სიღარიბე და შიმშილი ტანჯავდა მათ. პურს საყიდლადაც ვერ შოულობდნენ, რადგანაც ომი იყო თურქეთთან, ხოლო ირანში პურს ხალისით არ იძლეოდნენ და არც არაფერი იშოვებოდა. ამიტომ სწერდა პასკევიჩი დიბიჩს: „И даже предписал строго, полковнику Лазареву, дабы он отнюдь не трогал с места тех, которые не могут взять с собою хлеба до новой жатвы т. е. по 1 июля. Ибо гораздо лучше сих християн оставлять вовсе в Персии, нежели подвергать их бедствиям голода в областях наших".[5]

პასკევიჩი ცდილობდა, მოსახლეობის გადასახლებისას აჩქარება არ გამოეჩინათ. იგი თანხას ზომიერად ხარჯავდა და გადმოსახლებულთა მიმართ დახმარება იმდენად ინტენსიური როდი აღმოჩნდა, რამდენადაც საჭირო იყო. თუმცა მთავრობამ გადმოსახლებულთა დასახმარებლად იმაზე მეტი გაიღო, რასაც ადრე ამ საქმისათვის ითვალისწინებდა (ნაცვ-

---

[1] ЦГВИА СССР, ф. ВУА, д. 978, л. 2.
[2] იქვე, ფ. 7.
[3] იქვე, ფ. 8.
[4] იქვე, ფ. 14.
[5] იქვე, ფ. 15.

ლად 50 000 მანეთისა 400 000 მანეთი). ეს თანხა ირანიდან მიღებული კონტრიბუციის ანგარიშზე ეძლეოდა სომხურ მოსახლეობას. გადმოსახლებულებს სულ მალე თვითონ უნდა დაეფარათ მათზე გაწეული ხარჯი. აკად. პ. გუგუშვილის მართებული თქმით, „გადმოსახლებულები... პირდაპირ ისე განიხილებოდა, როგორც თვითმპყრობელობის ხაზინის მიერ იაფად შესყიდული მოსახლეობა“.[1]

სომხური მოსახლეობის გადმოსახლებას წინააღმდეგობას უწევდნენ ირანის მმართველი წრეები და ინგლისის დიპლომატიური მისია კაპიტან ვილოკის მეთაურობით. ისინი ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდნენ, რომ ჩაეფუშათ სომეხი ხალხის ამიერკავკასიაში გადმოსახლების რუსული პოლიტიკა. მართლაც, ირანმა ამ საქმეში გარკვეული ხელისშეშლაც კი შეძლო, მაგრამ რუსეთის მოხელეთა და სომხეთის რელიგიის მესვეურთა აქტიური დახმარებით ეს საქმე ძირითადად წარმატებით დაგვირგვინდა. მარტო 1828 წელს აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე ირანიდან გადმოსახლდა 35. 566 სომეხი.[2] სომხების გადმოსახლება, მათი მიწათმოწყობისა და საბინაო პირობების მოწესრიგება ცარიზმის ბატონობის პირობებში არც ისე ადვილი იყო. ის აწყდებოდა დიდ სიძნელეებს, ამასთან ერთად ხშირად წარმოიშობოდა ისეთი სირთულეც, რაც ზოგიერთი რუსი მოხელის ანგარებას ამჟღავნებდა. გადასახლებისათვის გათვალისწინებულ თანხას ხშირად ამ საქმესთან დაკავშირებული მოხელეები თვითონ იჯიბავდნენ.

ოსმალეთთან რუსეთის ომის დამთავრების შემდეგ ასევე ფართო ხასიათი მიიღო აქედან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სომხების გადმოსახლებამ. ომის დამთავრების პირველ წელს ოსმალეთიდან სომხეთში გადმოსახლდა 21. 666 სომეხი, ხოლო 1829—1831 წლებში სომხეთის ოლქებსა და შიდა რუსეთის გუბერნიებში გადმოსახლდა 100 000-მდე სომეხი.[3] ირანისა და ოსმალეთის სომხური მოსახლეობის ლტოლვა გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც, განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიეცა მას რუსეთსა და ოსმალეთს შორის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ომების შემდეგ.

რუსეთ-ოსმალეთის 1828—1829 წლების ომის პერიოდში ოსმალური პროპაგანდისა და რუსეთის „ქრისტიანული“ პოლიტიკის შედეგად რუსეთის მიერ შემოერთებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიიდან გა-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ. I, გვ. 533, თბ. 1949.

[2] З. Т. Г р и г о р я н, Присоединение Восточной Армении к России в начале XIX века, стр. 159, М., 1959 г.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 160.

მუსლიმანებული მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა,[1] ხოლო სამაგიეროდ, აკად. ი. ჯავახიშვილის ცნობით, ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30. 000 მცხოვრები ჩასახლდა,[2] საქართველოს ამ წმიდათაწმიდა ტერიტორიამ შეიფარა ოსმალეთიდან ლტოლვილ მოძმე სომეხთა დიდი ნაწილი.

საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში ურთიერთგატანის, ძმობისა და მეგობრობის საუკეთესო ტრადიცია არსებობდა. სამშობლო ქვეყანაში სახელმწიფოებრიობადაკარგული, ირანელი და ოსმალო დამპყრობლებისაგან შევიწროებული სომხები მუდამ პოულობდნენ საქართველოში უანგარო მხარდაჭერას, მათ ყოველთვის ეძლეოდათ თავშესაფარი.

ცარიზმის მიერ ამიერკავკასიაში სომეხთა გადმოსახლების პოლიტიკას ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა სომეხი ხალხის ისტორიაში. მან შემდეგში ნიადაგი შეამზადა სომეხი ერის კონსოლიდაციისათვის, ხელი შეუწყო დენაციონალიზაციის გზაზე დამდგარი სომეხი ხალხის მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას და მის შემდგომ ეკონომიკურ და კულტურულ აღდგენა-აღორძინებას.

* * *

ამიერკავკასიის ხალხებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში. ოსმალეთის თითქმის ყველა ციხესიმაგრის აღებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ირეგულარული ჯარის ნაწილები,არამედ თვით ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები, ქურთები, აზერბაიჯანელები და სომხები. ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის საფაშოების აღებაში მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ჩვენ აქ არ შეუდგებით ყოველივე ამის დეტალურად დასაბუთებას, მხოლოდ ერთ ცნობას მოვიყვანთ, რომელიც ყარსიდან სამხედრო კორესპონდენტს მოუწოდებია. 1829 წლის 8 თებერვალს „თბილისის უწყებანის“ მე-6 ნომერში ამის შესახებ ვკითხულობთ: „Армяне- — народ промышленный, оборотливый... в искренной преданности к правительству нашему нельзя сомневаться. Выгоды, замеченныя ими в новой перемене, слишком велики: вместо угнетения, крепость; вместо грабежей, покровительство; вместо пренебрежения, справедливость... И армяне от души желают принадлежать к России; Здесь как в Эриване, малютка, едва начинающий лепетать, видя наших. кричит по-русски: Здравствуй!... И с молоком матери всасы-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 884, თბ. 1973 წ.
[2] იქვე.

вал любовь к нам".[1] დამოწმებული ცნობა ნათლად გვიჩვენებს ოსმალეთის ძალმომრეობის ქვეშ მყოფი სომხური მოსახლეობის საერთო სიმპათიურ განწყობილებას რუსეთის მიმართ. ავტორი მეტისმეტად აიდეალებს სომხური მოსახლეობისათვის რუსეთის ხელისუფლების ქვეშ ყოფნის პირობებს, ხატავს მას როგორც სამართლიანობისა და მფარველობის რეალურ გარანტიას, რაც, ცხადია, მეტისმეტად გადაჭარბებული იყო. თუმცა რუსეთის ქვეშევრდომობაში სომხური მოსახლეობის გადასვლა ნამდვილად აძლევდა მას ფიზიკური არსებობის გარანტიას და მომავლის საუკეთესო პერსპექტივას. სწორედ ამიტომ იბრძოდა სომხური მოსახლეობა ასე თავდადებით რუსი ჯარისკაცებისა და ამიერკავკასიის მოძმე ხალხების მხარდამხარ როგორც ირანელი, ისე ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ.

გარდა იმისა, რომ ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ და დიდძალ მატერიალურ საშუალებებს ხარჯავდნენ, ისინი დიდი მზრუნველობით ეპყრობოდნენ დაჭრილ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებმაც სისხლი დაღვარეს ამიერკავკასიის ხალხების პატრიოტ შვილებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. ქ. თბილისი ფრონტზე დაჭრილი რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის იყო მყუდრო ადგილი, სადაც ისინი ქალაქის მცხოვრებლებისაგან დიდი ყურადღებითა და სიყვარულით იყვნენ გარემოსილნი. 1828 წლის „თბილისის უწყებანის" № 14 ზემოაღნიშნულის შესახებ შემდეგს იტყობინებოდა: „К сбережению больных много способствовали спокойныя помещения, которыя, заботливостью начальства приготовлены были для них в пределах Грузии. В Тифлисе граждане сего города, воспломененные похвальною ревностию, доставили безвозмездно на первые дни, все нужные для новоприезжих жизненные припасы".[2]

ქართველების ასეთი მზრუნველი დამოკიდებულება მოძმე რუსი ხალხის ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიმართ არ იყო შემთხვევითი ხასიათის მოვლენა. ოსმალეთთან და ირანთან ომებმა ნათლად დაანახვა ქართველ ხალხს, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველო გარეშე მტრების გამუდმებული და ამაოხრებელი თავდასხმებისაგან დაეცვა, რუსეთი იყო. დაჭრილ რუს მებრძოლებს ქართველები უყურებდნენ, როგორც საკუთარ შვილებსა და ძმებს და ამიტომაც სრულიად ბუნებრივი იყო ქართველთა ასეთი თბილი დამოკიდებულება მათ მიმართ. ამიერ-

---

[1] Тифлисские Ведомости, № 6, 8 февраля 1829 г.

[2] Тифлисские ведомости, № 14, 1828.

კავკასიაში და მის საზღვრებთან წარმოებულმა ომებმა ცხადყო რუსი და ამიერკავკასიელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის სიმტკიცე და პერსპექტიულობა. ისინი ერთიანდებოდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც ყოველდღე ხელშესახები დადებითი შედეგები მოჰქონდა. ყოველივე ეს კი მათ უნერგავდა მომავლის რწმენას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან საბოლოოდ განთავისუფლებისათვის.

1829 წელს რუსეთის ჯარებმა დიდი წარმატება მოიპოვეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ისინი დაემუქრნენ კონსტანტინოპოლს. ოსმალეთის მთავრობა და მისი ევროპელი მრჩევლები რუსეთთან დაზავებას ესწრაფოდნენ.

1829 წლის 14 სექტემბერს ადრიანოპოლში დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერიამ შეიერთა საქართველოს ძველი ქალაქები: ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. სამცხე-საათაბაგოს მცირე ნაწილიც რუსეთს შეუერთდა. აღნიშნულმა საზავო ხელშეკრულებამ დაადასტურა ამიერკავკასიაში რუსეთის დიდი სამხედრო წარმატება. მდ. ყუბანსა და მდ. ჩოლოკს შუა მდებარე შავი ზღვის სანაპიროებიდან აღიკვეთა ოსმალეთის ბატონობა. რუსეთმა მოიპოვა ბოსფორის სრუტეზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება, ოსმალეთმა იკისრა რუსეთის სასარგებლოდ დიდძალი კონტრიბუციის ვადახდა.

ირანთან და ოსმალეთთან ომის დასრულების შემდეგ 1830 წელს რუსეთმა ჭარ-ბელაქანი დაიპყრო და იქ რუსული მმართველობა დაამყარა.[1] ამით ბოლო მოეღო ლეკთა ყაჩაღური რაზმების გამანადგურებელ შემოსევებს საქართველოში. რუსეთთან ჭარ-ბელაქნის შეერთებას უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა საინგილოს მოსახლეობის კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის.

რუსეთის ომი ირანთან და თურქეთთან ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდა მოძალადეთაგან ამიერკავკასიის ხალხების განთავისუფლების საქმეში. ამასთან რუსეთის გამარჯვება ამ ორ ქვეყანასთან ომში ნიშნავდა ინგლისისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკურ მარცხს ახლო და შუა აღმოსავლეთში.

XIX საუკუნის 20-იანი წლების რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის ომებმა კიდევ უფრო გაძლიერა რუსეთის პოზიციები ამიერკავკასიაში და აქ მცხოვრები ხალხები მტკიცედ დააკავშირა რუსეთთან. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ცდა, აღედგინათ ამიერკავკასიაში ირანისა და ოსმალეთის ბატონობა, უდღეური აღმოჩნდა. უფრო პოზიტიურად გამოიკვეთა რუსეთის ძლიერება ახლო და შუა აღმოსავლეთში.

---

[1] იხ. მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ. 1953 წ. გვ. 149.

ენკიარ-ისკელესის 1833 წლის ;ხელშეკრულების ძალით, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო, რუსეთმა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა. ამით ბოლო მოეღო ამიერკავკასიაში ირანისა და თურქეთის დამკვიდრების საფრთხეს. ამიერკავკასიის ხალხებმა საბოლოოდ იხსნეს თავი ფიზიკური განადგურებისაკან და უზრუნველყვეს თავიანთი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა.

რუსეთთან ამიერკავკასიის ხალხების შეერთების პროგრესულობას აშკარად გრძნობდნენ XIX საუკუნის მოწინავე ადამიანები; ისინი მას სასიცოცხლოდ აუცილებელ მოვლენად მიიჩნევდნენ. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ გენიას არ გამორჩენია ამ ისტორიული აქტის უაღრესად დიდი მნიშვნელობა. იგი წერდა:

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყეველვა;
შავი ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე
მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა[1]
(„საფლავი მეფის ირაკლისა“)

ამიერიდან რუსეთის ძლიერების საფარქვეშ აღმოჩნდა მთელი ამიერკავკასია. კასპიისა და შავი ზღვების მხრიდან მტრის ყოველგვარ თავდასხმას ბოლო ეღებოდა. ქართველი ერის სასიქადულო შვილმა ი. ჭავჭავაძემ მაღალი შეფასება მისცა რუსეთთან საქართველოს შეერთებას: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ეღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენ ცოლ-შვილებზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება. მოეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა. დაუდგა ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა“.[2]

ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას მოჰყვა ამ მხარის სამეურნეო და ეკონომიკური აღორძინება და სწრაფი ტემპით განვითარება. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა: „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს, — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს“.[3]

---

[1] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. თბ. 1968 წ., გვ. 123.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. IV, გვ. 216—217, თბ. 1955 წ.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. III, გვ. 734.

რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებამ ხელი შეუწყო ადრე ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე მდგომი ხალხების ეროვნულ კონსოლიდაციას. ამიერკავკასიაში მკვიდრდებოდა რუსული პროგრესული კულტურა. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების წარმომადგენლები ადვილად პოულობდნენ საერთო ენას გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ბელინსკისა და პლეხანოვის რუსეთთან. დიდი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ამიერკავკასიის ხალხთა მოწინავე ინტელიგენციის ჩამოყალიბებაზე. რუსული კულტურისადმი მადლიერების გრძნობით გამსჭვალული ი. ჭავჭავაძე შემდეგნაირად ახასიათებდა ამ გავლენას: „რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ შიაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.[1]

სომეხი ხალხის გამოჩენილი შვილი, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების მოწმე ხაჩატურ აბოვიანი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ირანელთა ბატონობისაგან აღმოსავლეთ სომხეთის განთავისუფლებას და რუსეთთან მის შეერთებას. იგი წერდა: „დაე, იკურთხოს ის საათი, როცა რუსმა სომხების მზიურ ქვეყანაში შემოდგა ფეხი და ყიზილბაშის წყეული სული ჩვენი მიწა-წყლიდან განდევნა! სანამ პირში სული გვიდგას, დღედაღამ, ჩვენი მწუხარებით სავსე წარსული მოვიგონოთ და რუსის დანახვაზე უფალს მადლობა შევწიროთ, რომ ჩვენი ლოცვა-ვედრება შეიწყნარა და ძლიერ, ღვთისმოყვარე რუსი ხელმწიფის მფარველობაში მოგვაქცია“.[2]

ხაჩატურ აბოვიანი ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა რუსულ ენასა და ლიტერატურას და თანამემამულეებისაგან მის შესწავლას მოითხოვდა. იგი წერდა: „რუსული ენა გაამდიდრებს ჩვენს აზროვნებას, გრძნობებს... რუსეთის სახელი ჩვენთვის ისევე წმინდა უნდა იყოს, როგორც მისი სისხლი, რომელმაც სამუდამოდ დაგვიხსნა... შევისწავლოთ რუსული ლიტერატურა, იგი ამ ხალხის სულიერი ბუნების ცოდნაშიც დაგვეხმარება, მის კულტურასთანაც დაგვაახლოებს და რუს ხალხთანაც დაგვამეგობრებს, რომლის მარტო სახელიც კი სიყვარულისა და თავგანწირვის სიმბოლოდ მიაჩნდათ ყველგან“.[3]

ამიერკავკასიის მოწინავე ინტელიგენცია იმთავითვე განასხვავებდა ერთმანეთისაგან ორ რუსეთს — პროგრესულსა და რეაქციულს — და

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, 1928 წ. ტ. VIII, გვ. 285.

[2] ხ ა ჩ ა ტ ურ ა ბ ო ვ ი ა ნ ი, სომხეთის ჭრილობა, თბ. 1960 წ. გვ. 43. ა. დავითიანის კრიტიკული შენიშვნით.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 8—9.

მუდამ მხარს უჭერდა პროგრესულ რუსეთთან ერთობის, ძმობისა და მეგობრობის იდეას. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური აკაკი წერეთელი ამის შესახებ წერდა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობასა და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელ ჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომლებსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.[1] დემოკრატიულ რუსეთთან განუყოფლობასა და ერთობას ქადაგებდნენ ამიერკავკასიის მოწინავე ადამიანები, რომლებსაც რეაქციული რუსეთი, ხალხთა საპყრობილედ მიაჩნდათ. აი რას წერდა ამის შესახებ „სახალხო გაზეთი“: „არის ორი რუსეთი, ერთი მტრობისა, მეორე ერთობისა და კულტურისა. ერთი ამკვიდრებს ერებს შორის უთანხმოებას და შუღლს, მეორე აშენებს ერთა სოლიდარობას, სამართლიანი ურთიერთობის საკურთხეველს და სჭედავს ძმობისა და ადამიანობის ოქროს გვირგვინს. ერთი უარყოფს ჩვენს უფლებას და ოდნავად პატივს არ სცემს ჩვენს ეროვნულ ვინაობას და ჩვენც მთელი არსებით დაშორებული ვართ ასეთ რუსეთს. ჩვენი სული და გული არ ეგუება მას, არა გვიზიდავს რა, არა გვაერთიანებს რა მასთან... მეორე რუსეთი — განათლების, რუსეთი მხატვრული შემოქმედებისა, პოეზიისა და მუსიკისა — მეგობარია ჩვენი, მისი გული გაშლილია ჩვენთვის, მისი სახე სიხარულით გვეგებება და თვალები სიყვარულით გვიცქერიან. მის მოყვარულად გამოწვდილ ხელს მაგრად ჩავიჭერთ ხელში და ძმად მოსულს მხურვალედ სალმით გავცემთ პასუხს“.[2]

თვითმპყრობელობა რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის და მათ შორის თვითონ რუსი ხალხის უბოროტესი მტერი იყო. ცარიზმი, ადგილობრივ მემამულეთა და ბურჟუათა რეაქციულ ზედაფენას რომ ეყრდნობოდა, ახორციელებდა არარუს ხალხთა ეროვნული, კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას, მთელი სისასტიკით ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ამუხრუჭებდა მათს სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. რუსეთის იმპერიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში წამყვანი როლი შეასრულა რუსმა ხალხმა, რომელმაც პირველმა აღმართა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა.

---

[1] ჟურნ. „ალდე“, № 26, 1913. წ.

[2] მოყვანილია ი. კაჭარავას წიგნიდან „კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ“. თბ. 1969 წ. გვ. 97.

ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ტრადიციებზე იზრდებოდა და იწრთობოდა ამიერკავკასიის პროლეტარიატი, რომელიც აქტიურად ჩაება სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ გამართულ გიგანტურ ბრძოლაში. რუსეთის პროლეტარიატის ძმური დახმარებით, კომუნისტური პარტიისა და დიდი ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ხალხებმა დაამხვეს ექსპლუატატორთა ბატონობა, ბოლო მოუღეს სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას და დაამყარეს სოციალისტური წყობილება.

ისტორიამ დაადასტურა რუსეთის შესახებ ფ. ენგელსის შეხედულება, რომელიც მან კ. მარქსისადმი 1851 წელს გაგზავნილ წერილში გამოთქვა: „Россия действительно играет прогрессивную, цивилизирующую роль по отношению к востоку... господство России играет цивилизующую роль для Черного и Каспийского морей и Центральной Азии. для башкир и татар“.[1]

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 27, стр. 241.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თ ა ვ ი I. ირანის ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთის მიმართ. გენერალ ერმოლოვის დიპლომატიური მისია ირანში 11

თ ა ვ ი II. რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ირანში 44

თ ა ვ ი III. ირან-ოსმალეთის ომი (1821—1823 წ.წ.) და ერზერუმის საზავო ხელშეკრულება 65

თ ა ვ ი IV. რუსეთ-ირანის ურთიერთობის შემდგომი გართულება, მენშიკოვის დიპლომატიური მისია და ირანის ვერაგული თავდასხმა 76

თ ა ვ ი V. მოულოდნელი თავდასხმის პირველი შედეგები. რუსეთის პოზიციების დასუსტების საფრთხე ამიერკავკასიაში 100

§ 1. შუშის ციხის თავდაცვა 127

თ ა ვ ი VI. ბრძოლები შამქორთან და ელიზავეტოპოლთან და მათი ისტორიული მნიშვნელობა 133

§ 1. საშინაო მდგომარეობის გამწვავება ირანში პირველი სამხედრო მარცხის შემდეგ 149

თ ა ვ ი VII. 1827 წლის საომარი მოქმედება 157

თ ა ვ ი VIII. ქართველები ომში 182

თ ა ვ ი IX. დეკაბრისტები კავკასიის ცალკეულ კორპუსში 200

თ ა ვ ი X. კასპიის ზღვის ფლოტილია ომში 225

თ ა ვ ი XI. რუსეთის დიპლომატიური და სამხედრო ბრძოლა ზავისათვის . . . 238

§ 1. რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავება 238

§ 2. საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვა დეიქარხანში, საომარი მოქმედების განახლება და თურქმენჩაის ხელშეკრულება 245

თ ა ვ ი XII. პოლიტიკური მოვლენების განვითარება დაზავების შემდეგ ამიერკავკასიასა და ირანში 264

§ 1. კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობასთან რუსეთის დაახლოების ცდა და მისი შედეგები 264

§ 2. ირანთან ურთიერთობის გამწვავება საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ა. ს. გრიბოედოვი—რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ირანში. თეირანის შეთქმულება 271

§ 3. ანტირუსული ძალების ბრძოლა ირანში რუსეთთან ომის განახლებისათვის და მათი დამარცხება 308

§ 4. ა. ს. გრიბოედოვის ნეშტის გადმოსვენება თბილისში 316

§ 5. ირანზე და თურქეთზე გამარჯვების პირველი შედეგები ამიერკავკასიის ხალხებისათვის 318

ნაშრომი რეკომენდებულია თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის მიერ.

რეცენზენტები:

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ი. უთურაშვილი
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. აკოფაშვილი

ИБ № 569

გამომცემლობის რედაქტორი ო. ბერიშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. კარბელაშვილი
ტექრედაქტორი ნ. მგელაძე
უფროსი კორექტორი მ. კებულაძე
კორექტორი ნ. ჩხიკვიშვილი
გამომშვები მ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 24.I.78, ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.VI.78, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, საბეჭდი ქაღალდი № 1, ნაბეჭდი თაბახი 20,75, სალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,97.

უე 06916 ტირაჟი 2.000 შეკვეთა 282

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство „Ганатлеба", Тбилиси, Марджанишвили № 5
1978

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028.
ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.